

წმ. გრიგოლ ფერაძე
ღღიურები



წიგნი III • 2021

წმ. გრიგოლ ფერაძე
ღღიურები

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა
კომისიის წევრები

ლავით ყოლაია
პარშავის უნივერსიტეტი, კომისიის თავმჯდომარე

პაველ ლიბარა
პოლონეთის ეროვნული მუზეუმის ინსტიტუტი

გაბრიელ მარტი
კრაკოვის იაგელონის უნივერსიტეტი

ვინციენ მატეუსკი
პოლონეთის მუზეუმების აკადემია

პაველ ოლშევსკი
იან კონანოვსკის უნივერსიტეტი ვილნოში ტრიბუნალის ფილიალი

ჰენრიკ პაპროსკი
პარშავის მართლმადიდებლური სასულიერო სემინარია

ვლადიმერ სულეა
პოლონეთის ეროვნული მუზეუმის ინსტიტუტი

გიორგი ასტაშკა
კარლსრუეს უნივერსიტეტი

მისელი ბახტაქი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბეჟა კობახიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი მამულა
პარიზის სოციალური მუზეუმების უმაღლესი კვლევების ცენტრი

შორენა მურუსიძე
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ლიმბტი სილაჩაძე
საქართველოს ეროვნული არქივი

ოთარ ჯანელიძე
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

პოლონეთის ეროვნული მემკვიდრეობის ინსტიტუტი
პოლონელი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების კომისია

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისია

წიგნი III

წმ. გრიგოლ ფერაბე
ღლიურები

გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და შენიშვნები
დაურთო დავით ყოლბაიამ



პარშაჰა 2021

Reviewers

Prof. Otar Janelidze (Georgian National Museum, Tbilisi)

Prof. Mikheil Bakhtadze (Ivane Javakishvili Tbilisi State University)

Cover

Piotr Warisch, David Kolbaia

Proofreading

David Kolbaia, Sofio Ivania

Index

David Kolbaia

Typesetting

Piotr Warisch

Translators

Ambrosi Grishikashvili, Ketii Gurchiani, David Kolbaia,

Natela Popkhadze, Sofio Rezrichenko

On the Cover: Archimandrite Grigol Peradze. Photograph taken in Warsaw, 1935.

Photograph from the Archive of the Archdiocese of the Orthodox Church in Warsaw

This publication is co-sponsored by Wojciech Wróbel, the Honorary Consul of Georgia in Wrocław

Printed by

Pasaż Sp. z o. o. ul. Rydlówka 24

30-363 Kraków

Copyright © David Kolbaia & The International Commission for the Heritage of St. Grigol Peradze
Centre for East European Studies University of Warsaw, 2021

ISBN 978-83-8229-953-3 (pdf)

ნა. ბრიზოლ შერაძე
(1899-1942)

წმ. ბრიგოლ ფერაძე შტრიხები ბიოგრაფიიდან

„მოქალაქეობა არის მსხვერპლის გაღება. მოქალაქეობა არის ბრძოლა თავის წრესთან, დროსთან, თავის თავთან. (...) მოქალაქეობა მოითხოვს შეგნებას, პატიოსნებას, მოითხოვს ამროვნებას, ფიქრს, მხნეობას, ჭკუას. მოქალაქეობა მოითხოვს ნათლიან თვალთ საგნების დანახვას, წინდახედულებას, აუქჩარებლობას, სიმდაბლეს, რომელიც არაა მონის მახვენებელი, არამედ განათლებულ ადამიანის, სხვისი ამრის გაგონებას და ადამიანში ადამიანის ძებნას და დაფასებას. მოქალაქეობა არის მსხვერპლის გაღება, საკუთარი თავის დაწვა სხვისთვის გასანათლებლად“¹.

გრიგოლ ფერაძე

წმ. გრიგოლ ფერაძე დაიბადა 1899 წლის 31 აგვისტოს (13 სექტემბერს) ბაკურციხეში, მღვდელ რომანოზ ფერაძისა და მარიამ სამადალაშვილის ოჯახში. 1899 წლის 16 ნოემბერს მონათლა ბაკურციხის წმ. გიორგის ეკლესიაში. მიმრჩეველად იყვნენ: სიონის ტაძრის დიაკონი ალექსი სამადალოვი და ალექსანდრე კუსიკოვის ცოლი – ელისაბედი; საიღუმლო ნათლისღება აღასრულა თბილისის ფერისცვალების მონასტრის მღვდელმონაზონმა გერმანემ². 1905 წელს გრიგოლის მამა რომანოზ ფერაძე გარდაიცვალა და დარჩა დედა სამი მცირეწლოვანი ვაჟით: არჩილით, გრიგოლითა და ვასილით. მალე ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. შვიდი წლის გრიგოლი, ბიძამ, ყვარლის ეკლესიის მოძღვარმა, გიორგი ფერაძემ თავისთან წაიყვანა, სადაც გრიგოლი დაახლოებით ხუთი წელი ცხოვრობდა. სასკოლო ასაკს მიღწეული გრიგოლი დედამ თბილისის

1 გრიგოლ ფერაძე, შინაარსი ჭეშმარიტი მოქალაქეობისა („მამო ჩვენოს განმარტება“), „ჯვარი ვამისა“, პარიზი, 3(1933). = წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წინარები-ზანგიური ქართული ლიტურგიკის შესახებ, პატროლოგია, პოეზია, ქადაგებანი, წიგნი მეორე. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და დამატებითი შენიშვნები დაურთო დავით ყოლბაიამ, ვარშავა 2014, გვ. 307-348.

2 ბაკურციხის წმ. გიორგის ეკლესიის სამეგრეოკო წიგნი გრიგოლ ფერაძის დაბადებისა და ნათლობის შესახებ, 1919 წლის 4 აპრილი. ვარშავის მართლმადიდებლური მიგროპოლის არქივი. = წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, ბერმონაზვნობის ისტორიისათვის საქართველოში, ქართული ეკლესიის უძველესი ისტორია, წიგნი პირველი, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო დავით ყოლბაიამ, ვარშავა 2012, გვ. 355.

სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გრიგოლმა სასულიერო სემინარიაში დაიწყო სწავლა, რომლის რექტორიც იმ დროს ცნობილი მეცნიერი დეკანოზი კორნელი კეკელიძე იყო. იგი თავიდანვე ყურადღებას და მზრუნველობას არ აკლებდა ნიჭიერ სტუდენტს. სწორედ კორნელი კეკელიძის შუამდგომლობის საფუძველზე მიმართა საკათალიკოსო საბჭომ გენერალ ფონ კრესს თხოვნით, გაეგზავნათ გრიგოლ ფერაძე გერმანიაში თეოლოგიურ ფაკულტეტზე სასწავლებლად. ფონ კრესს აღუთქვამს დახმარება, ამაზე მეტყველებს მის მიერ 1918 წლის 4 სექტემბერს საკათალიკოსო საბჭოს სახელზე გაგზავნილი საპასუხო წერილი, მაგრამ გერმანიის რევოლუციის გამო ეს გეგმა ჩაიშალა.

გრიგოლმა მასწავლებლად დაიწყო მუშაობა გორის მამრის სოფელ ბემო ხანდაკეში, მაგრამ იქ დიდხანს არ გაჩერებულა. 1919-1921 წლებში სამხედრო მომზადებას გაიარა. მსახურობდა გორში, ბორჯომსა და ახალციხეში. 1921 წლის მარტში სოფელ მანავეში მასწავლებლად მუშაობდა,³ შემდეგ კვლავ უნივერსიტეტს დაუბრუნდა⁴. 1921 წლის ოქტომბერში, საქართველოს საეკლესიო საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელსაც კათოლიკოს-პაგრიარქი ამბროსი ხელაია ხელმძღვანელობდა, გრიგოლ ფერაძე სასწავლებლად გერმანიაში გაიგზავნა⁵, სადაც მას სრულყოფილი თეოლოგიური ცოდნა უნდა შეეძინა. გრიგოლს ამ საქმეში განსაკუთრებით ხელი შეუწყო ცნობილმა პროფესორმა კორნელი კეკელიძემ, არგურ ლაისგმა და დოქტორმა იოჰანეს ლეფსიუსმა.

3 სამსახურებრივი ანკეგა, 1933 წელი. ვარშავის მართლმადიდებლური მიტროპოლიის არქივი. წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, გვ. 361-366.

4 სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1918 წელს გრიგოლ ფერაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბრა. იხ. წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, დოკუმენტები, გვ. 358.

5 საქართველოს კათოლიკოს -პაგრიარქის ამბროსი (ხელაიას) წერილი გერმანიის საელჩოს თბილისში: „საქართველოს ეკლესია ამჟამად კრიტიკულ მდგომარეობაშია, რაც ახალგაზრდა, განათლებული სასულიერო პირების დიდი ნაკლებობის გამო უფრო უარესდება. წინათ ქართველი ახალგაზრდები უმადლეს თეოლოგიურ განათლებას იღებდნენ რუსულ სასულიერო აკადემიებში, სადაც თეოლოგია „ოფიციალურ“ საგნად იყო მიჩნეული და დღევანდელი მეცნიერებისაგან ძალიან შორს იდგა. ახლა, დროის შესაბამისად, შეგვიძლია უარი ვთქვათ რუსულ თეოლოგიაზე, და როგორც სომხურ და ბერძნულ ეკლესიებშია მიღებული, გავგზავნოთ ახალგაზრდა თეოლოგები გერმანიაში, სადაც თეოლოგია როგორც მეცნიერება ძალიან მაღალ დონეზეა. გრიგოლ ფერაძე ამ ქართველთაგან პირველია, რომელსაც განზრახული აქვს მომავალში თავისი ცოდნა და ენერგია ქართულ ეკლესიას მოახმაროს. მე, საქართველოს კათოლიკოს -პაგრიარქი, ამ ღვთის მოსაწონ საქმეში მას კურთხევას ვაძლევ და მესამე საეკლესიო კრებაზე ერთხმად დაადგინა, შესაძლებლობის ფარგლებში მაგერიალურად დაეხმაროს ნიჭიერ ახალგაზრდას. ფერაძე პირველი თეოლოგია, რომელიც გერმანიაში მიდის, შემდეგ კი სხვებიც გაჰყვებიან მის კვალს. გელათის მონასტერი 1921 წლის 6 დეკემბერი. ამბროსი საქართველოს კათოლიკოს -პაგრიარქი“.

გრიგოლ ფერაძე წერდა: „სიონის საკათედრო ტაძარში, საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ეკლესიაში, რომელიც აგებულია მეათე საუკუნეში, რომელშიც ინახება ღვთისმშობლის რამდენიმე საუცხოო ხაგი და საქართველოს უწმინდესი რელიქვია წმ. ნინოს ჯვარი, იმ დღეს მორწმუნეთა სიმცირე იგრძნობოდა. თვით კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე წირავდა რამდენიმე მღვდელთან ერთად. შესასვლელთან შეეჩერდი – ვერაფერს ვხედავდი, თითქოს გაქვავდი, ვერც პატრიარქთან მივედი, როდესაც მორწმუნენი მიუახლოვდნენ. ღვთისმსახურების დამთავრების შემდეგ, ეკლესიიდან გამოსვლისას, პატრიარქმა შემაძმინია და მომესალმა – „ქრისტე აღსდგა“. ავგომაგურად ვუპასუხე, როგორც წესი იყო და თან გამოვეყვი. ახალი დღე იწყებოდა. პატრიარქის სასახლისაკენ მიმავალი, აღდგომის დღეებში ყოველთვის ხალხმრავალი ქუჩა ახლა სრულიად დაცარიელებულიყო, ფანჯრის დარაბებიც მიეხურათ. ეგყობოდა, რომ ქალაქი ვერ აღიქვამდა უდიდესი დღესასწაულით მონიჭებულ სიხარულს. პატრიარქი მარგო მიდიოდა, არცერთი მღვდელი არ აცილებდა. მე შორიანხლოს მივეყვებოდი. ქუჩის კუთხეში ორი წითელარმიელი გამოჩნდა, მიმდით შეხედეს პატრიარქს და გზა განაგრძეს. თუმცა ერთ-ერთი სახლის კარებთან მჯდარი ზეღამხედველი მისი უწმინდესობის დანახვისას ფეხზე წამოდგა. სასახლეში შესვლისას პატრიარქი შეჩერდა, თითქოს იგრძნო, რომ უკან მივეყვებოდი. ორივე ხელი ჩამავლო და ტკივილითა და დარღით საგვე მამობრივი ხმით მითხრა: „სულიერად დაცემული ვარ. წადი აქედან, გადაარჩინე შენი ახალგაზრდობა“⁶.

გერმანიაში გამგზავრებამდე გრიგოლ ფერაძე თბილისში IX უბანში, საყდრის ქუჩა № 9-ში ცხოვრობდა. 1921 წელს მან თხოვნით მიმართა საქველმოქმედო საზოგადოებას დახმარების გასაწევად⁷. 1921 წელს გრიგოლ ფერაძე გერმანიაში გაიგზავნა და მისი ბედი განუყრელად დაუკავშირდა ევროპას. მრავალგზის ცდის მიუხედავად, იგი სამშობლოში ვეღარ დაბრუნდა. „ღრმად

6 G. Peradze, *Droga do zwycięstwa*, „Polska Stronica Słowa”, 2(1937), 18-19 [=„გზა გამარჯვებისაკენ“. წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი მეორე, გამოსაცემად მოამზადა და დამატებითი შენიშვნები დაურთო დავით ყოლბაიამ, ვარშავა 2014, გვ. 361-366.

7 „მაქვს დიდი სურვილი გერმანიაში გამგზავრებისა სწავლის გასაგრძელებლად. ესლა ეს სურვილი მიცხოველდება. გერმანიის მისიამ, საკათალიკოსო საბჭოს შუამდგომლობით, მიმიღო გრანსპორტგზე უფასოდ და ყოველგვარი ხარჯები იკისრა ბერლინამდე. მთავრობიდან საჭირო საბუთები უკვე მაქვს მიღებული. ერთდროული დახმარება მომცეს საზოგადოება „მწყემსმა“ და საკათალიკოსო საბჭომ, მაგრამ ვინაიდან სკი პენდიის შოენამდე მე მომიხდება გერმანიაში ოთხ-ხუთ თვეს დარჩენა მაინც ჩემი საკუთარი ფულით, რომელიც ჩემი სიღარიბის გამო არა მაქვს [...] ამის გამო უმორჩილესად ვთხოვთ გამიწიოთ ერთდროული დახმარება და მომცეთ საშუალება ჩემი წმინდა მისწრაფების შესრულებისა მომავალში ჩვენს საყვარელ სამშობლოს სამსახურებლად“. წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი. დოკუმენტები, გვ. 356.

პატივცემულო ბატონო, ამ წერილის მომგანი, ბატონი გრიგოლ ფერაძე, ქართველი ახალგაზრდა, აპირებს ბერლინში ევანგელისტური თეოლოგიის შესწავლას, რათა შემდეგ თავის სამშობლოში ქართული სამღვდლოების სულიერი და მორალური აღმავლობისათვის იბრუნოს. ბატონი ფერაძე ძალიან მონდომებულია და მე იგი ძალიან თბილად წარმომიდგინა ქართული ეკლესიის მწყემსმთავარმა. თუმცა ახალგაზრდა კაცის ფულადი სახსრების სიმწირისა და ქართული ეკლესიის მმართველობის ამჟამინდელი გაჭირვების გამო საკმარისი ფინანსური შესაგანის იმედი არ უნდა გვექონდეს, მაგრამ გერმანიის კულტურული პოლიტიკისთვის მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს ეკლესიის ჩართვა გერმანელი მეცნიერების გავლენის სფეროში და ამიგომ კარგი იქნებოდა, თუ ახალგაზრდა კაცს ბერლინში ფინანსურ დახმარებას გაუწევდნენ. [...] ამიგომ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარმა აქაური გერმანელებისათვის გადმოცა, ღრმა პატივისცემით, არგურ ლაისგი, მწერალი, თბილისი 1921 წელი, 10 ოქტომბერი“⁸.

არგურ ლაისგის წერილი მიმართული იყო დოქტორ იოჰანეს ლეფსიუსისადმი, რომელთანაც ბერლინში გრიგოლ ფერაძე პირველად ჩავიდა. მან დიდი მზრუნველობით მიიღო ქართველი თეოლოგი. გრიგოლ ფერაძეს დაუნიშნა სტიპენდია, ხელი შეუწყო გამხდარიყო ბერლინის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი⁹.

გრიგოლ ფერაძე ბერლინში რიჰარდ შეფერის ოჯახში სწავლობს გერმანულ ენას; ხოლო 1922 წლის 12 მაისს ბერლინის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ხდება, სადაც აღიარებული სპეციალისტების ადოლფ ფონ ჰარნაკის¹⁰, ადოლფ დაისმანის¹¹, კარლ ჰოლისა¹² და ბრუნო მაისნერის¹³ ხელმძღვანელობით სწავლობს თეოლოგიას, ეუფლება ძველებრაულ, ძველბერძნულ, სირიულ, არაბულ, კოპტურ, ლათინურ, ძველსლავურ და ძველსომხურ ენებს. პარალელურად სწავლობს გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, დანიურ და პოლონურ ენებს. თავდაპირველად გრიგოლ ფერაძე აპირებდა დაეწერა ნაშრომი გიორგი

8 თ. ჭუმბურიძე, ქართული ხელნაწერების შესწავლა უცხოეთში. გრიგოლ ფერაძის არქივ-გრაფიული ძიებანი, თბილისი 2006.

9 ფრიდრიხ-ვილჰელმის უნივერსიტეტის ჩათვლის წიგნაკი. ვარშავის მართლმადიდებლური მიგრაციის არქივი. წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, გამოსაცემად მოამზადა და დამატებითი შენიშვნები დაურთო დავით ყოლბაიამ, ვარშავა 2012, გვ. 366-367.

10 ადოლფ ფონ ჰარნაკი (1851-1930), გერმანელი თეოლოგი, ეკლესიის ისტორიკოსი, პაგროლოგი. ჰარნაკის კომენტარებით ივანე ჯავახიშვილმა გერმანულ ენაზე გამოსცა „ეესტატე მცხეთელის მარტვილობა“.

11 ადოლფ დაისმანი (1866-1937), გერმანელი მეცნიერი, ფილოლოგი.

12 კარლ ჰოლი (1866-1926), ლუთერანული ეკლესიის ისტორიკოსი.

13 ბრუნო მაისნერი (1868-1947), გერმანელი ასირიოლოგი და არქეოლოგი, 1921 წლიდან ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი.

ათონელის (1000-1065) შესახებ, მაგრამ ბერლინში საჭირო ლიტერატურა ვერ მოიპოვა. ბერლინის უნივერსიტეტის ქართული ენის ლექტორის, პროფესორ რიჩარდ მეკელანის რჩევით მან მიმართა ბონში პროფესორ ჰაინრიხ გუსენს¹⁴, რომელსაც ძალიან კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა და ქართული ლიტერატურისა და ისტორიის ყველა დარგში იყო გარკვეული. გერმანიაში ეკონომიკური კრიზის გამო 1924 წლის აგვისტოდან 1925 წლის დეკემბრამდე გრიგოლ ფერაძე იმყოფებოდა ლოლანის კუნძულზე, როდში (დანია), მღვდლის ოჯახში, სადაც ეკლესიის ისტორიის საკითხებზე აგრძელებდა მუშაობას¹⁵. 1924 წლის საშობაო არდადეგების დროს თოთხმეტი დღე იმუშავა პროფესორ გუსენის კერძო ბიბლიოთეკაში; როდესაც დაბრუნდა ბერლინში დოქტორ ლეფსიუსმა ურჩია მას ბონში გაეგრძელებინა სწავლა.

1925 წლის 29 აპრილს გრიგოლი სასწავლებლად გადავიდა ბონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სადაც იღრმავებდა რელიგიის საკითხებისა და აღმოსავლური ენების ცოდნას, მიიღო ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი ნაშრომისათვის „ქართული ბერმონაზვნობის ისტორია მისი დასაწყისიდან 1065 წლამდე“. გრიგოლ ფერაძე წერდა: „ის, რაც მე დოქტორმა ლეფსიუსმა ჩამაგონა, კიდევ უფრო გააძლიერა პროფესორმა გუსენმა. უკვე დრო იყო დამეწყო ქართულ თემატიკაზე მუშაობა. მან დიდსულოვნად დამითმო მთელი თავისი ბიბლიოთეკა, ასევე უშურველად მესმარებოდა თავისი მდიდარი ცოდნა გამოცდილებითაც. მისი მეოხებით გავიცანი ცნობილი მეცნიერი, ორიენტილისტი მეფედ მიხნეული პაულ პეეტერსი¹⁶. სწორედ ამ ნაცნობობას, რომელიც შემდგომში პირად მეგობრობაში გადაიზარდა, ვუმაღლი ძალზე ბევრ შემოქმედებით იმპულსს“.

ბონში გრიგოლ ფერაძე სწავლობდა აგრეთვე პ. კალესთან¹⁷, ა. ბაუმშტარკთან¹⁸, კ. კლემენტთან და ა. ერჰარდთან¹⁹. გრიგოლ ფერაძის პირველი ნაშრომი, „ქართული ბერმონაზვნობის ისტორია მისი დასაწყისიდან 1065 წლამდე“. სამწუხაროდ, სრულად არ დაბეჭდილა. ნაშრომის პირველი ნაწილი - „ბერმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში“ – გამოქვეყნდა „Zeitschrift für

14 ჰაინრიხ გუსენი (1863-1927), გერმანელი ორიენტილისტი, ბონის უნივერსიტეტის პროფესორი. შუალ.: A. Baumstark, *Heinrich Goussen*, OC, 24:1927, გვ. 356-360; H. Kaufhold, *Die Sammlung Goussen in der Universitätsbibliothek Bonn*, OC, 81(2007), გვ. 213-227.

15 გრიგოლ ფერაძის წერილი იოჰანეს ლეფსიუსს, როდში (დანია) 1924 წლის აგვისტო. გრიგოლ ფერაძე, საისტორიო ჟურნალი „არგანუჯი“, 11(2003), გვ. 9-100.

16 პაულ პეეტერსი (1870-1950), ბელგიელი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, ქართველოლოგი. შუალ.: P. Devos, *Le R. P. Paul Peeters*, Bruxelles, 1951.

17 პაულ ერნესტ კალე (1875-1964), გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე და ფილოლოგი.

18 ანტონ ბაუმშტარკი (1872-1948), გერმანელი თეოლოგი, ლიტურგიკის ისტორიკოსი.

19 ალბერტ იოსებ მარია ერჰარდი (1862-1940), გერმანელი კათოლიკე მღვდელი, ეკლესიისა და კულტურის ისტორიკოსი, პაგროლოგი და ბიზანტოლოგი.

Kirchengeschichte”²⁰. მეორე ნაწილი დაბეჭდა ფრანგულმა ჟურნალმა „Revue d’Histoire Ecclésiastique”²¹, ხოლო დასკვნითი ნაწილი გამოქვეყნდა ბერნში²² გამომაველ ჟურნალში „Internationale Kirchliche Zeitschrift”.

გერმანიაში, ვისბადენში სტუმრობისას 1925 წლის შემოდგომაზე, უკანასკნელად შეხვდა დოქტორ ლეფსიუსს²³. იგი 1926 წლის თებერვალში გარდაიცვალა. სწავლის დასრულებისა და დოქტორის ხარისხის მოპოვების შემდეგ გრიგოლ ფერაძეს სურდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. ამ მიზნით განცხადებით მიმართა საბჭოთა საელჩოს. იმის გამო, რომ პასუხი არ ჩანდა, გერმანიის აღმოსავლეთის მისიის იმდროინდელი დირექტორის წინადადებით, სამეცნიერო მივლინებით გრიგოლ ფერაძე ბელგიაში გაემგზავრა, რათა გარკვეული დროით ემუშავა ისეთ გამოჩენილ ქართველოლოგთან, როგორც იყო ბოლანდისკი პაულ პეეგერსი. გრიგოლ ფერაძეს განზრახული ჰქონდა, აგრეთვე გარკვეული დრო დაეთმო კათოლიკური თეოლოგიის შესწავლისათვის ლუვენის ცნობილ ძველ უნივერსიტეტში. 1926-1927 წლებში ლუვენის უნივერსიტეტში ესწრებოდა ლექციებს; სწავლობდა ძველ ქართულ წიგნებს ბოლანდისკების ბიბლიოთეკაში, პაულ პეეგერსთან საუბრობდა ქართული ჰაგიოგრაფიისა და ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხებზე. აქვე მოამზადა დასაბეჭდად სამეცნიერო ნაშრომი – „Die Probleme der ältesten Kirchengeschichte Georgiens”²⁴. როგორც თვითონ წერს თავის ავტობიოგრაფიულ ნაშრომში, აქ მან შეცვალა თავისი გეგმები და სქოლასტიკის

20 G. Peradze, *Die Anfänge des Monchtums in Georgien*, „Zeitschrift für Kirchengeschichte”, 46(1927), 1, გვ. 34-75; ცალკე გამოცემა: Gotha 1927, Fr. A. Perthes, გვ. 41+3 nbl. [= *Początki monastycyzmu w Gruzji*, „Pro Georgia”, 17(2008), გვ. 7-43 = *Dziela zebrane, O monastycyzmie gruzińskim, O Liturgii gruzińskiej*, t. I, გვ. 81-116] = ბერმონაზვნობის ისტორიისათვის საქართველოში, ქართული ეკლესიის უძველესი ისტორია, წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, მოამზადა, შესავალი და დამატებითი შენიშვნები დაურთო დავით ყოლბაიამ, ვარშავა 2012; რეცენზია: R. Janir, „Echo d’Orient”, 26(1927), გვ. 381-382; J. Lebon, RHE, 24(1928), გვ. 487-488; S. Hilpisch, OC, 25-26(1928-1929), 3serie, Bd. 3-4, გვ. 296; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, გფილისი 1928, ტ. I.

21 G. Peradze, *L’activite litteraire des moines georgiens au monast`ere d’Iviron au mont Athos*, RHE, 23(1927), 3, გვ. 530-539; [= ათონის მთის ივირონის მონასტრის ქართველი ბერების ლიტერატურული საქმიანობა, წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, გვ. 133-146].

22 G. Peradze, *Über das georgischen Monchtum*, IKZ, 34(1926), Neue Folge, 16, 3(135), გვ. 152-168; [*O monastycyzmie gruzińskim*, „Pro Georgia”, 17(2008), გვ. 77-90; = ბერმონაზვნობის ისტორიისათვის საქართველოში, წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, გვ. 89-132].

23 გრიგოლ ფერაძემ მიუძღვნა მას ცალკე გამოქვეყნებული ნაშრომი: *Dem Andenken von D. Johannes Lepsius*, იხ.: G. Peradze, *Die Anfänge des Monchtums in Georgien*, Gotha 1927, გვ. 3.

24 G. Peradze, *Die Probleme der altesten Kirchengeschichte Georgiens*, OC, 29(1932), 3 Serie, Bd. 7: Festschrift Anton Baumstark zum 70. Geburtstag, გვ. 153-171; რეცენზია: O. G. von Wesendonk, „Völkische Kultur”, 5(1933), გვ. 89-93.

ნაცვლად ეკლესიის ისტორიის, პაგროლოგიისა და ორიენტალისტიკის შესწავლა დაიწყო²⁵.

1927 წლიდან გრიგოლ ფერაძე სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა ინგლისში, სადაც გაეცნო ბრიტანეთის მუზეუმისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში დაცულ ეკლესიის მამათა თხზულებების უძველეს ხელნაწერებს. მუშაობდა აღმოსავლური ხელნაწერების ფონდით განთქმულ წიგნთსაცავებში: ბირმინჰემის „The Selby Oak College“ და მანჩესტერის „John Ryland's Library“, ლონდონთან მაილა ველიში - პროფესორ გასტერის (Dr. M. Gasterr) ბიბლიოთეკაში.

1927 წელს ბონში გარდაიცვალა პროფესორი გუსენი და გრიგოლ ფერაძეს მისი ადგილი შესთავაზეს. „ვფიქრობ, მთელ გერმანიაში ვერ მოიძებნებოდა ერთი მეცნიერიც კი, რომელიც მას თუნდაც ნაწილობრივ მაინც შეცვლიდა. პეეტერსის გარდა არ მეგულებოდა სხვა ვინმე, ვინც მასავით იქნებოდა დაუფლებული ყველა აღმოსავლურ ქრისტიანულ ენას. მე ლექციები უნდა წამეკითხა მხოლოდ ძველი სომხური და ძველი ქართული ენების შესახებ“²⁶.

ბონში გრიგოლ ფერაძეს ხელსაყრელი პირობები ჰქონდა საკუთარი მიზნების მისაღწევად. პროფესორ გუსენის ბიბლიოთეკა, რომელიც მან კოლონიის კარდინალს უანდერბა, ოცდაათი წლით გადაეცა ბონის უნივერსიტეტს, სადაც ყოველთვის იყო ქართული და სომხური ენებით დაინტერესებული რამდენიმე ადამიანი. 1927 წლის ივლისში გრიგოლ ფერაძე დანიშნეს ბონის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის თანამდებობაზე. 1928 წელს ბონში ჩაგარდა ორიენტალისტთა ყრილობა, სადაც წაიკითხა მოხსენება საქართველოს პრეზიზანტიური ლიტურგიკის შესახებ, ხოლო 1930 წელს ვენაში გამართულ ორიენტალისტთა ყრილობაზე სახარების ქართულად თარგმნის პრობლემის კვლევის შედეგები.

1927 წელს გრიგოლ ფერაძემ მეორე მსოფლიო კონფერენციაშიც მიიღო მონაწილეობა, რომელიც შვეიცარიის ქალაქ ლომანაში ჩაგარდა. კონფერენციის თემა იყო „რწმენა და საეკლესიო წყობა“. სწორედ ლომანის კონფერენციაზე გრიგოლ ფერაძემ გაეცნო სრულიად პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური მიგროპოლიტი დიონისე (ვალედინსკი)²⁷.

25 G. Peradze, *Pojęcie, zadania i metody patrologii w teologii prawosławnej*, „Elpis”, 8(1934), 1, გვ. 209-218. (რევიუზე ფრანგულ ენაზე, გვ. 243-244). ცალკე გამოცემა: Warszawa 1934, Drukarnia Synodalna, გვ. 12. [= „პრო გეორგია“, 13(2006), გვ. 157-165 = პაგროლოგიის გაგება, ამოცანები და მეთოდები მართლმადიდებლურ თეოლოგიაში, წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი მეორე, გვ. 73-66.

26 *Im Dienste der georgischen Kultur* (1926-1940), Aus der Welt des Ostens, Königsberg 1941, გვ. 30-50; [=ქართული კულტურის სამსახურში, წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, გვ. 51-86].

27 დიონისე (კონსტანტინე ვალედინსკი, 1876-1960), 1923 წლიდან სრულიად პოლონეთისა და ვარშავის მიგროპოლიტი. 1924 წელს კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ოფიციალურად ცნო

შემდგომში ამ კონფერენციის მუშაობის შესახებ წერილი გრიგოლ ფერაძემ დაბეჭდა ჟურნალში „Der Orient“ და იქ დაწვრილებით აღწერა თავისი შთაბეჭდილებები.

1931 წლის 18 აპრილს გრიგოლ ფერაძე პარიზის ბერძნულ საკათედრო გაბარში ბერად აღიკვეცა, 19 აპრილს კი იგი დიაკვნადაც აკურთხეს. ამავე წლის 25 მაისს პარიზის წმ. სტეფანეს სახელობის ბერძნულ ეკლესიაში მსოფლიო საპაგრიარქოს საყდრის ეგზარქოსმა გერმანოზმა იგი მღვდლად აკურთხა. მის გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინა მძიმე ავადმყოფობამ და სულიერმა განცდებმა, რაც მან „ჰერუბინთა ჰიმნი“ აღწერა:

„დღეს მე მივხვდი წარსულს, ვიგრძენი, რაც მომელის,
განაჩენი ცხადია, სიკვდილის გყვედქმნილი გავხდი“
დარჩი შენ ერში, გადიქეც ხიდად (...)
„მოისხენ პირით ღუმილის ჯაჭვი და უპაგრონე ქართლოსის შვილებს“
მხოლოდ სიკვდილი. მხოლოდ დანგრევა,
მხოლოდ სრწნილება და ცეცხლში დაწვა თქვენ შეგიძლიათ²⁸. (....).

პარიზში გრიგოლ ფერაძე ქართულ სათვისტომოს დაუკავშირდა და იქ მუდმივად დასახლდა. აქტიურად მონაწილეობდა მრევლის ორგანიზებაში. შემდეგ მამა გრიგოლი ეკლესიის მღვდლად განამწესეს. 1931 წლის აგვისტოში მისი რედაქტორობით პარიზში გამოიცა „ჯვარი ვაზისა“. ამ ჟურნალმა თავისი არსებობის მცირე ხნის მიუხედავად (1931-1934 წწ.), თვალსაჩინო როლი შეასრულა და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიაში²⁹. პარიზში გრიგოლ ფერაძე სასულიერო მოღვაწეობასთან³⁰ ერთად აქტიურ სამეცნიერო საქმიანობასაც ეწეოდა;

პოლონეთის მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობა რუსეთის ეკლესიის გვერდის ავლით. 1948 წელს მიგროპოლიტი დიონისე კომუნისგების მიერ ჩამოშორებულ იქნა ეკლესიის მმართველობიდან. S. Dudra, Metropolita Dionizy (Waledyński) 1876-1960, *Warszawska Metropolia Prawosławna* 2010; K. Urban, *Przyczynek do losów metropolity Dionizego Waledyńskiego po II wojnie światowej*, „Wiadomości Polskiego Autokefalicznego Kościoła Prawosławnego”, nr 4/1990; A. Mironowicz, *Kościół prawosławny na ziemiach polskich w XIX i XX wieku*, Białystok 2001.

28 „რომელნი ქერუბიმთა”, წმ. გრიგოლ ფერაძე, თბილეთის კრებული, წიგნი მეორე, ვარშავა 2014, გვ. 233-252.

29 თ. ჭუმბურიძე, გრიგოლ ფერაძის არქეოგრაფიული ძიებანი, თბილისი 2006.

30 იხ. გრიგოლ ფერაძე, ქართველ წმ. ნინოს მრევლის ოფიციალური ნომერი. პარიზი 1(1933), საეკლესიო ცხოვრება: წირვები სრულდებოდა ყოველ კვირას გრიგოლ ფერაძის პარიზში ყოფნის დროს. „პირველი წირვა გადახდილ იქნა 1931 წლის 31 მაისს. შემდეგ მარიამობისთვის განღებულთვის გასულამდის, ქრისტეშობისთვის 14 იანვრამდის. 1932 წელი, მთელი აპრილის, მკათათვედა მარიამობისთვის, 25 და 30 ქრისტეშობისთვის; 1933 წელს 1 იანვრითან კვირაცხოვლობამდის (23 აპრილი). მოინათლნენ: 1) 1933 წლის 31 მაისს არჩილ ბურაბიშვილის ბავშვი არჩილ-გარიელი-რობერტი, 2) 29 მარიამობისთვის გრიგოლ ურაგაძის ქალი მარიამ-მელეა, 3) 20

ოქსფორდის, სორბონის, დუბლინის და კრაკოვის უნივერსიტეტებში ლექციებსა და მოხსენებებს კითხულობდა ძველი ქართული კულტურის, ადრეული ქრისტიანობისა და აღმოსავლეთის ეკლესიების შესახებ, ეძიებდა და იკვლევდა ქართულ ხელნაწერებს.

1933 წელს გრიგოლ ფერაძე პოლონეთის მიგროპოლიტმა დიონისემ მიიწვია ვარშავის უნივერსიტეტის მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკულტეტზე პაგროლოგიის პროფესორად. გრიგოლ ფერაძეს წელიწადში ორჯერ უფლება ჰქონდა გამგზავრებულიყო პარიზში წმ. ნინოს ეკლესიის მრევლთან შესახვედრად, ხოლო სამაფხულო და საშობაო არდადეგების პერიოდში შეეძლო სამეცნიერო მიზნით ხანგრძლივად ემოგზაურა სამღვარვარეთი³¹. 1933 წლის 7 დეკემბერს გრიგოლ ფერაძემ წაიკითხა საინაუგურაციო მოხსენება თემაზე: „პაგროლოგიის როლი, ამოცანები და მეთოდები მართლმადიდებლურ თეოლოგიაში“³².

1934 წელს ლონდონის წმ. სოფიის ბერძნულ საკათედრო ტაძარში მამა გრიგოლი არქიმანდრიტად აკურთხეს. იმავე წლის მაისში პოლონეთის მიგროპოლიტ დიონისეს დავალებით ლუბლინის ეპისკოპოსმა საბამ ის მიგრიტ შეამკო³³.

ენკენისთვის ვასო ციციშვილის ქალი სუსანა, 4) 22 ენკენისთვის მიხეილ ხუნდაძის ქალი თამარი -იონანა-ელისაბედი, 5) 27 ლენინობისთვის ალექსანდრე ჯინჭარაძის ქალი ქეთევანი 6) 1932 წლის 6 იანვარს იოსებ სარჯველაძის ქალი თინათინი, 7) 14 იანვარს შოთა ნიკოლაძის შვილები დავით-რევაზი და ნინო-ნათელა, 8) 23 აპრილს სპირიდონ კედიას ქალი თეოდორა, 9) 19 მაკათივეს მექი კედიას ქალი მინობი-მეინაბი, 10) 29 მარიაობისთვის დიმიტრი ამილახვარის ვაჟი იოსებ-ოთარი. ჯვრის წერა: 1) 30 ენკენისთვის 1931 წელს ივანე-ევგენ-მარია-ვიქტორ ტურანკიანმა ნაგალია ბაგრატიონის ასულზე, 2) 26 თებერვალს 1933 მიხეილ სტურუამ თამარ ევგენი გეგეჭკორის ასულზე, 3) ნიკოლოზ ქვარიანმა სიღონია ნოვაკის ასულზე 19 ლენინობისთვის (ვარშავაში 1932 წელი). დასაფლავება: 1) 1931 წლის 29 მაისს ნიკოლოზ იაშვილი, 2) 9 ენკენისთვის სვიმონ წერეთელი (ყოფილი მარშალი), 3) 1933 წლის 26 მარტს აკაკი წერეთლის მეუღლე ნაგალი“.

31 სამეცნიერო მოგზაურობის შესახებ გრიგოლ ფერაძე წერდა: „ეკლესიას აქვს ორი მოვალეობა: 1) სულიერ-რელიგიური და 2) დაცვა ჩვენი ეკლესიის გრადიციის, ე.ი. მეცნიერული, უნდა გამოვგყდე, რომ უკანასკნელი უფრო მაინტერესებს თუნდაც იმ მიზეზით, რომ ამ დარგში ჩემს საკუთარ თავს ვეძიარები. ეკლესიურ მუშაობაში კი იძულებული ვარ სხვებსაც დავეყრდნო და ხანდახან ეს ნდობა არ მიმართილებდა. [...] ყველამ იცის, რომ მიხდება სწორად პარიზის დაგოვება ხან მიწვევენ სხვაგანაც ლექციების წასაკითხად (როგორც იყო ეს გასულ წელს ოქსფორდში) ან სამეცნიერო მუშაობის გამო, რადგან არსად მთელ ევროპაში არც ერთ წიგნსაცვას ქართული წიგნები სრულად არა აქვს ან კიდევ თვით, ჩვენი მრევლის სიღარიბის გამო მივდივარ სხვაგან (როგორც მაგალითად პოლონეთში) ჩვენი ეკლესიისთვის რაიმეს საშოვნელად“.

32 პაგროლოგიის გაგება, ამოცანები და მეთოდები მართლმადიდებლურ თეოლოგიაში, წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი მეორე, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და დამატებითი შენიშვნები დაურთო დავით ყოლბაიამ, გვ. 73-66.

33 ლუბლინის ეპისკოპოსის საბას წერილი ვარშავისა და სრულიად პოლონეთის მიგროპოლიტ დიონისეს, 1934 წლის 22 მაისი. ვარშავის მართლმადიდებლური მიგროპოლიის არქივი.

1934 წელს გერმანიაში გაემგზავრა და აღწერა ლაიფციგის, ბერლინისა და გოეტინგენის ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერები. ლაიფციგის უნივერსიტეტში აღმოაჩინა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების ე.წ. ტიშენდორფისეული ნუსხა³⁴. 1935 წელს მან რუმინეთში, ბულგარეთსა და საბერძნეთში იმოგზაურა, რამდენიმე თვე დარჩა საბერძნეთში ათონის მთის მონასტერში. მოინახულა პეგრიწონის მონასტერი ბულგარეთში, სოფის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა პეგრიწონის ქართული მონასტრის ტიპიკონის მანამდე უცნობი ხელნაწერი და სხვა³⁵. 1936 წელს მოგზაურობდა იერუსალიმსა და სირიაში, სადაც არაერთ ქართულ წარწერას მიაკვლია, წმინდა მიწაზე ყოფნისას განსაკუთრებით დაინტერესდა პილიგრიმების ჩანაწერებით. ვარშავაში დაბრუნების შემდეგ დაწერა დღიურები „იერიქონის ვარდები, წმინდა მიწასა და სირიაში მოგზაურობის დღიური“³⁶.

1937 წელს ავსტრიაში, ვენაში, გაემგზავრა გრაცის უნივერსიტეტის თეკაში დაცული შუპარდგის ქართული კოლექციის გასაცნობად³⁷. 1937 წელს ვარშავაში ჩაგარდა შოთა რუსთაველის იუბილე. გრიგოლ ფერაძის მოხსენება დაიბეჭდა ვარშავის ქართული კომიტეტის მიერ გამოცემულ წიგნში³⁸. ლუბლინში გრიგოლ ფერაძისა და გიორგი ნაკაშიძის დახმარებით იუზეფ ლობოდოვსკიმ³⁹ პოლონურად თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“⁴⁰. 1938 წლის სექტემბერში გრიგოლ ფერაძემ მონაწილეობა მიიღო ბრიუსელში გამართულ ორიენტალისტთა საერთაშორისო

34 კონსტანტინ ტიშენდორფი (1815-1874), გერმანელი ლუთერანი ლი თეოლოგი და პალეოგრაფი.
35 ამ აღმოჩენაზე წერს სოფის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი: რ. რაიკოვი, *Нов важен документ за историята на Бачковския манастир*, „Зор“, 17(1935), No 4878, 2 X 1935, გვ. 5.

36 G. Peradze, *Z dziennika podróży po Ziemi Świętej i Syrii* (5. VII.-28. IX. 1936), „Polska Stronica Słowa“, 3:1938, 5-6, 30. I. 1938, გვ. 6-7; 7-8, 13. II. 1938, გვ. 4-6; 9, 27. II. 1938, გვ. 6-7; 12-13, 27. III. 1938, გვ. 5-7; 14-15, 10. IV. 1938, გვ. 5-6; 16-17, 24. IV. 1938, გვ. 7-8; 18-19, 8. V. 1938, გვ. 6-8; „Wiadomości Metropolii Prawosławnej w Polsce“, 2:1939, 10, 5. III. 1939, გვ. 2-3; 11, 12. III. 1939, გვ. 2-3; 13, 26. III. 1939, გვ. 2-3; 14, 02. IV. 1939, გვ. 3; 15, 08. IV. 1939, გვ. 5; 18, 30. IV. 1939, გვ. 3; 19, 07. V. 1939, გვ. 3; 21, 21. V. 1939, გვ. 3; 22, 28. V. 1939, გვ. 3; 24, 11. VI. 1939, გვ. 3; 25, 18. VI. 1939, გვ. 3; 26, 25. VI. გვ. 3; 27, 02. VII. 1939, გვ. 3; 28-29, 9. VII. 1939, გვ. 2-4; 30-31, 23. VII. 1939, გვ. 3-4; 33, 13. VIII. 1939, გვ. 4= 108. [=Z dziennika podróży po Ziemi Świętej i Syrii (5. VII.-28. IX. 1936), „Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies. University of Warsaw“, vol. 13, Warsaw 2005].

37 ჰუგო ერნესტ მაროი შუპარდტი (1842-1927), გერმანელი ენათმეცნიერი, ბასკოლოგი. ის.: *Cartas a Schuchardt. La correspondencia inedita de los folkloristas y otros intelectuales españoles con el romanista y linguista Hugo Schuchardt*. Sevilla: Fundación Machado, 1996.

38 G. Peradze, *Religia Szoty Rustaweli*, „Pro Georgia“, 13(2006), გვ. 177-180; [=შოთა რუსთაველის რელიგია, წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი მეორე, გვ. 261-66].

39 იუზეფ ლობოდოვსკი (1909-1988), პოლონელი პოეტი და მწერალი, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ცხოვრობდა ესპანეთში.

40 J. Łobodowski, *Rachunek sumienia. Wybór wierszy 1940-1980*, Paris 1987, გვ. 5; Szota Rustaweli, *Rycerz w tygrysie skórze*, przekład Jerzy Zagórski i Jan Braun. Wstęp Szota Rustaweli – *Mysliciel*, David Kolbaia i ks. Henryk Paprocki. *Pod redakcją David Kolbaia*, Warszawa 2017.

კონფერენციაში. ვარშავაში დაბრუნებულმა მოამზადა სამეცნიერო ნაშრომი ქრისტიანულ-ორიენტალისტურ სექციაზე წაკითხული მოხსენების საფუძველზე და დასაბუქდალ გადასცა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალ „Elpis“-ს. იქვე მოათავსა რამდენიმე რეცენზიაც.

გრიგოლ ფერაძის შრომების დიდი ნაწილი დაწერილია გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ და პოლონურ ენებზე. მათ იცნობდნენ და იმოწმებდნენ უკვე ივ. ჯავახიშვილი, (ქართული ერის ისტორია, I, გვ. 329-332, 334) კ. კეკელიძე, (ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 25, 137, 553). მისი გამოკვლევები რეცენზირებული და შეფასებულია ცნობილი მეცნიერების ა. ბაუმშტარკის, მ. თარხნიშვილის, გ. დეეტერსის, რ. ჟანენის და სხვათა მიერ, მაგრამ მთლიანად მისი სამეცნიერო შემკვიდრეობა საქართველოში, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ არ არის შეფასებული.

გრიგოლ ფერაძე იყო პოეტი. მისი ენა გამოირჩევა არქაული ფორმებითა და ხალხური ლექსიკით. იგი იყენებს ეკლესიის საგალობლებს, ქართული სიმღერების ლექსიკას. ჟურნალ „ქართლოს“-ში „გან-ფარის“ ხელმოწერით საკუთარ ლექსებს აქვეყნებდა. უკანასკნელად გრიგოლ ფერაძემ „ქართლოს“-ის რედაქციაში 1938 წლის 11 ნოემბრით დათარიღებული ლექსის ხელნაწერი დატოვა:

„ვიყავი მარტო მთელი ცხოვრება
მარტოც შევხვდები თეთრ საბანს თოვლის
გზა შორი გრძელი იყო მგზავრობა
რა ძლიერ მოკლე ყოფილა მწირის“⁴¹

გრიგოლ ფერაძე იყო არაერთი პოლონური და საერთაშორისო სამეცნიერო სამოგადოებისა და ორგანიზაციის წევრი, თანამშრომლობდა მრავალ სამეცნიერო ჟურნალთან. 1939 წლის მაისის ბოლოს მიიწვიეს ბიზანტოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც უნდა გამართულიყო 1939 წლის შემოდგომაზე ალჟირში. პროფესორ გაბრიელ მილეგს გასაცნობად გაუგზავნა ფრანგულ ენაზე მომზადებული რეფერატი ბაჩკოვოს (პეგრინონის) მონასტრის შინაგანაწესის შესახებ, მაგრამ პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში შეხვედრის შემდეგ გამგზავრებაზე უარი განაცხადა: „უარი ვთქვი მოგზაურობაზე, რადგან ვარშავაში მაქვს საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა, დაახლოებით ორი ათასი ტომი, მათ შორის იშვიათი ქართული პაგრისტიკული წიგნები. ვფიქრობდი, რომ არ შემეძლო ბედის ანაბარა მიმეგოვებინა ევროპაში მთელი ჩემი ცხოვრების ნამოღვაწარი, მთელი ეს სიმდიდრე, ამი-

41 გახსენება - გრიგოლ ფერაძე, ჟურნალი „კავკასიონი“ XVI-XVII, პარიზი 1972/1973, „Kavkassioni. Recueil littéraire et historique (en Géorgien)“, გვ. 108-114.

გომ ვარშავაში დავრჩი, იქ ვიყავი მისი აღების დროსაც, მიუსხედავად იმისა, რომ უცხოელებს ქალაქის დაგოვების ნება დართეს. ღმერთს მადლობას ვწირავ, რადგან როგორც ჩემი ბიბლიოთეკა, ასევე მოკრძალებული ბინა ხელუხლებლად გადარჩა.⁴²

1942 წლის მაისში გრიგოლ ფერაძე ვარშავაში ვესტაპომ დააპატიმრა. დაპატიმრების უშუალო მიზეზი ვახდა ის, რომ ეხმარებოდა და იფარავდა ფაშისტების მიერ ღვენილ ებრაელებს. გრიგოლ ფერაძის ბინაზე ჩაგარდა ჩხრეკა, რის შედეგადაც გაქრა ძვირფასი ძველი ხელნაწერები და საეკლესიო ნივთები, რომლებსაც იგი თავისი მოგზაურობის დროს საქართველოში დასაბრუნებლად იძენდა. გრიგოლ ფერაძის პოლონეთში ცხოვრების ბოლო წლებისა და მოწამებრივი სიკვდილის ცნობები მწირია. მით უფრო მნიშვნელოვანია ის ინფორმაცია, რომელსაც გვაწვდიან მასზე უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები, ისინი, ვინც პირადად იცნობდნენ მას. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლის ვიგალი (თალიკო) უგრეხელიძის⁴³ გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, რომელიც ინახება ლონდონის პოლონეთის ბიბლიოთეკაში⁴⁴. უგრეხელიძის ცნობით: [...] „ვარშავაში ჩამოვიდა ყველგან ცნობილი ქართველი ახალგაზრდა ბერი გრიგოლ ფერაძე. დასახლდა მართლმადიდებელი საკათედრო გაძრის ახლოს, სადაც იყო სინოდის შენობები. ბერი ფერაძე იყო თეოლოგიის ლექტორი ლონდონში, პარიზში, ბერლინში და სად არ ვინდა. ვინაიდან ომი დაიწყო და დარჩა ვარშავაში, რადგან წასვლა არსად შეიძლებოდა და ცხოვრობდა ერთ პაგარა ოთახში⁴⁵. მისი წიგნების ფასი ღდეს აუღწერელია, რადგან მან ათონიდან ჩამოიგანა მრავალი წიგნი ქართული მწერლობისა, რომელთა შორის იყო ორი დიდი საეკლესიო გალობათა კრებული. ყოველი გომი შეიცავდა 400 გვერდს და დართული ჰქონდა გალობათა ნოტები. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბერი გრიგოლ ფერაძის წიგნები დიდ განძს წარმოადგენდა. გ.ა.-მ მას ჯამშუშად მიუჩინა ბ.მ., რომელიც გაიძვერულად შეუჩნდა ჩვენს ბერს. ბ. მ. გუგუციც კი იყო, მაგრამ გაიძვერობაც როდი აკლდა. ბერი ფერაძე მას შეეჩვია ისე, რომ სვაშიადი გაუშხილა. კელიდან ჩამოიღო დიდი ხაგი, გადმოიღო ერთი დიდი აგური, იქიდან გამოიგანა ქალაღლი და წაუკითხა გ.ა.-ს ნამოქმედარი. ბ.მ. გაიქცა და ეს მოახსენა გენერალ ალ.კ.-ს. გ.ა., გენერალი ალ.კ. და პოლ-

42 Im Dienste der georgischen Kultur (1926-1940), *Aus der Welt des Ostens*, Königsberg 1941, გვ. 30-50.

43 ვიგალი (თალიკო) უგრეხელიძე (1902-1983), ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. პოლონეთის არმიის საკონგრატო ოფიცერი, პუბლიცისტი და მთარგმნელი, სამოვალ მოღვაწე.

44 ვიგალი უგრეხელიძის რვეული II, ფურც. 1-322. აღწ. 661/ხელ., ლონდონის პოლონური ბიბლიოთეკა.

45 ვიგალი უგრეხელიძის რვეული II, აღწ. 661/ხელ., ფურც. 72.

კოვნიკი ნ.კ. უკვე გესგაპოს წვერები იყვნენ. ბერს გესგაპო მიუგზავნეს და დააჭერინეს. ამანათი გერმანელებმა წაიღეს, ბერი მკაცრ ბანაკში გაგზავნეს, სადაც ექვს კვირაში სული ამოხდა. ბ.მ., გ.ა.-მ ფულით და (კავკასიელთა კლუბში) სამსახურით დააჯილდოვა და მისი მოქმედების სიმართლის მცოდნე მოწმე ბერი ფერაძე საიქიოს გაისგუმრა. [...] გრიგოლ ფერაძის ამანათი მოიგანეს, იქ სადაც გ.ა. ბაგონობდა. ეს იყო ვეებერთელა გრაფ ბრანიცკის სახლი, რომელიც მათ გერმანელებმა ჩამოართვეს, პაგრონი ოჯახით გარეკეს და მოათავსეს იქ „Kaukasische Vertrauensstelle“, რომლის უფროსი იყო ექ. გ.ა. ამ დაწესებულების მფარველობის ქვეშ შედიოდნენ: ქართველები, სომხები, ამერბაიჯანელები და კავკასიის მთიელები. ყოველ ეროვნულ ჯგუფს ჰყავდა თავიანთი უფროსი, რომელნიც გ.ა.-ს ქვეშევრდომები იყვნენ. გ.ა. ისე მბრძანებლობდა, როგორც ჰიგლერი. ჰყავდა თავისი ჯაშუშები და დამქაშები, რომელნიც დიდად სარგებლობდნენ. ს.კ. იყო მისი მარჯვენა ხელი, რომელმაც გ. ა. სამუალებით მიიღო გერმანელებისგან ხელსაყრელი სამსახური. მისცეს მას ე.წ. „Kommissarische Verwaltung“ - ში კომისრობა. ე. ი. ებრაელების სახლებისა და მათი ქონების თადარიგი. როგორც ვიცით, ებრაელებს ჩამოართვეს გერმანელებმა მთელი ქონება, ებრაელები გაქლიგეს და ბევრი რამ ამ ქონებიდან გ. ა.-ს და ს. კ.-ს ხვდა წილად⁴⁶. დავიმოწმებთ კიდევ ერთ ადგილს ვ. უგრეხელიძის ხელნაწერიდან: „[...] ბერის ამანათი მოიგანეს კლუბში და ერთი დიდი ოთახი აავსეს. მე, როდესაც ეს გავიგე, იქ მივიბრუნე, მინდოდა ორი ძველი ქართული საეკლესიო გალობის წიგნი გადამერჩინა გესგაპოს ხელიდან. იმ ოთახში შევედი. დამხვდა იქ პოლკოვნიკი ჩ. და მითხრა, რომ უკვე გესგაპომ ქონება აღწერაო. წიგნების ხელის ხლება აღარ შეიძლებოდა. მაგიდაზეც ეწყო წიგნები. დავინახე წაბლისფერყდიანი პაგარა სახარება და დავიწყე მაგიდის ირგვლივ სეირნობა და პოლკ. ჩ.-თან ბაასი. ერთ წამში, ოდეს იგი მიბრუნდა, მე ვიხელთე დრო და სახარება ვიგაცე ჯიბეში. რამდენიმე წამის შემდეგ გამოვედი და სახარება დღემდე მაქვს შენახული. დანარჩენი ყველაფერი გესგაპომ წაიღო და დაიკარგა სამუდამოდ. სახარება ეძებეს თურმე მეორე თუ მესამე დღეს. პოლკ. ჩ. შემეკითხა სახარებაზე თუ რამე ვიცოდი, მაგრამ სიგყვა ბანზე ავუგდე. მითხრა კი, რომ დიდი აურზაური იყო“⁴⁷.

გრიგოლ ფერაძე ვარშავის პავიაკის ციხეში ჩასვეს. მან თავისი ბინა მინდობილობით გადასცა ვარშავის სამიგროპოლიგოს დიაკვანს ეყი ბერკმან-კარენინს. ასევე მიანდო თავისი ქონების გამგებლობაც: „ჩემი

46 აგგორის მიერ ცნობილია ინიციალით მითითებული კონკრეტული პირების გვარი და სახელი. ვიგალი უგრეხელიძის ხელნაწერი ჯერ არ გამოქვეყნებულა, ამიგომაც თავს შევიკავებთ მათი დასახელებისაგან. აღწ. 661/ხელ., ვიგალი უგრეხელიძის რვეული II, ფურც. 74. ლონდონის პოლონური ბიბლიოთეკა.

47 ვიგალი უგრეხელიძის რვეული II, აღწ. 661/ხელ., ფურც. 75. ლონდონის პოლონური ბიბლიოთეკა.

ბინა ავეჯითურთ ვთხოვთ ვადასცეთ ვინმე კანცელარიის მუშაკს. ჩემი არდაბრუნების შემთხვევაში ჩემს ბიბლიოთეკას სამიგროპოლიტოს ვუანდერძებ. ნივთები (განსაცემელი, თეთრეული, ფეხსაცმლები, ყველა სხვა ნივთი) გაყიდეთ, ხოლო მიღებული თანხა გადაეცეთ ჩვენი სამრევლოს ობოლ ბავშვთა სახლს. ჩემი ქართული წიგნები და საბუთები (აგრეთვე ხატები) ომის შემდეგ უნდა გადაეცეს ქართულ ეკლესიას⁴⁸ ვარშავის მართლმადიდებლური მიგროპოლიის არქივში დაცულია შეიდი დოკუმენტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ მამა გრიგოლის პავიაკის ციხეში ყოფნის სურათი. 1) 1942 წლის 5 მაისს პოლონურ ენაზე შედგენილი გრიგოლ ფერაძის საცხოვრებელი ბინის დალუქვის პროტოკოლი, 2) 1942 წლის 28 მაისს რუსულ ენაზე შედგენილი გრიგოლ ფერაძის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის პროტოკოლი, 3) 1942 წლის 10 ივნისით დათარიღებული მინდობილობა გრიგოლ ფერაძის ხელმოწერით ვარშავის სამიგროპოლიტო დიაკვნის ეკი ბერკმან-კარენინის სახელზე, 4) 1942 წლის 10 ივნისით პოლონურ ენაზე შედგენილი გრიგოლ ფერაძის პირადი ნივთების აღწერის პროტოკოლი დაპატიმრებულისთვის გადასაცემად, 5) 1942 წლის 20 ივნისით გერმანულ ენაზე დაწერილი გრიგოლ ფერაძის წერილი ეკი ბერკმან-კარენინის სახელზე, 6) 1942 წლის 11 დეკემბრის ოფიციალური ცნობა გერმანულ ენაზე გრიგოლ ფერაძის გარდაცვალების შესახებ, 7) 1942 წლის 15 დეკემბრის გერმანულ ენაზე დაწერილი ვარშავის მართლმადიდებლური მიგროპოლიის წერილი ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტის სახელზე.

პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესია, მიუხედავად თავისი ურთულესი მდგომარეობისა, ყველაფერს აკეთებდა გრიგოლ ფერაძის გასათავისუფლებლად. უშედეგო გამოდგა ვიორგი ნაკაშიძისა და მიგროპოლიტ დიონისეს მცდელობა ესხნათ არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე. 5 მაისს დაპატიმრებისთანავე დალუქეს მისი ბინა. შემდეგ მღვდელმა იან კოვალენკომ დალუქა გრიგოლ ფერაძის საცხოვრებელი ბინა, რომელიც მდებარეობდა ვარშავაში ბრუკოვას ქუჩა №22-ში; 28 მაისს კი პოლიციელებმა ბინა გაჩხრიკეს და მის ბიბლიოთეკაში, წიგნების უკან, ინგლისური და ამერიკული ვალუტა აღმოაჩინეს. გესგაპოს მტკიცებით ის ებრაელთა დახმარების ფონდს ეკუთვნოდა და არქიმანდრიტის წინააღმდეგ უტყუარ ნივთმტკიცებას წარმოადგენდა.

პავიაკის ციხეში ყოფნისას მამა გრიგოლმა 1942 წლის 10 ივნისს დიაკონ ბერკმან-კარენინს მის ბინაზე ბრუნვის უფლება მისცა. მამა გრიგოლის თხოვნით მისი ბინიდან პატიმრისთვის გადასაცემად გაიგანეს პირადი თეთრეული და საშემოდგომო პლაშჩი. შემონახულია ერთი წერილის აღწერა, რომელიც

48 H. Paprocki, *Niektore okoliczności aresztowania i pobytu w więzieniu Pawiak ks. archimandryty Grzegorza Peradze*, „Wiadomości Polskiego Autokefalicznego Kościoła Prawosławnego”, 17(1987), 2-3, გვ. 68-72.

დაწერილია მამა გრიგოლის მიერ 1942 წლის 20 ივნისს პავიაკის ციხეში ბერკმან-კარენინისთვის გადასაცემად. ეს წერილი ერთგვარი ანდერძია, რომელშიც გამოთქმულია რამდენიმე სურვილი თავისი ქონების შესახებ. მასში, სხვათაშორის, ამგვარ რამეს ვკითხულობთ: „ბინა გთხოვთ გადასცეთ რომელიმე კონსისტორს (...). იმ შემთხვევაში თუ აქედან ვერ გამოვალ, ჩემი ბიბლიოთეკა გადაეცეს მეგროპოლიას, ნივთები გაიყიდოს, რომლის შემოსავალი დაენიშნოს ვოლაზე ჩვენი მრევლის ობლებს (...). ჩემი ქართული წიგნები და ღოკუმენტები (ასევე ხატები) ომის შემდგომ გაეგზავნოს ქართულ ეკლესიას“.

1942 წლის 18 ნოემბერს გრიგოლ ფერაძე ოსვენციმის ტყვეთა ბანაკში გადაიყვანეს. 1942 წლის 11 დეკემბერს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტმა რუდოფ ჰოსმა, ოფიციალური ცნობა გაუგზავნა ვარშავის სამიგროპოლიტოს ღიაკვანს ეკი ბერკმან-კარენინს ოსვენციმის ტყვეთა ბანაკიდან გრიგოლ ფერაძის გარდაცვალების შესახებ. 1945 წელს აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკის ორმა ყოფილმა პატიმარმა გრიგოლ ფერაძის გარდაცვალების შესახებ ვარშავის მართლმადიდებლურ მიგროპოლიას აუწყა, რომ მამა გრიგოლმა თავისი ნებით აღიარა არჩადენილი დანაშაული, რომ მან მოიპარა პური და ამით მთელი ტყვეთა ბანაკი გადაარჩინა. იგი ჯერ ძაღლებს დააგლეჯინეს, ხოლო შემდეგ ბენზინი გადაასხეს და ბანაკის თვალწინ დაწვეს. სამწუხაროდ, მათი განცხადება არავის ჩაუწერია, ან დაიკარგა, ან აღმოჩენას ელოდება. მხოლოდ მიგროპოლიტი დიონისე 1946 წლის 1 თებერვლის წერილში რუსეთის პაგრიარქ ალექსი I-ს წერდა: „ჩვენი მართლმადიდებელი თეოლოგიის სექციის პროფესორი, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე, ქართველი, თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული. ბონისა და ოქსფორდის პროფესორი, ენების მცოდნე, რუსული და ქართული ენების გარდა ფლობდა ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებს, დაპატიმრებულ იქნა და გადაყვანილი აუშვიცის ტყვეთა ბანაკში, იქ დახვრეტილი“⁴⁹. ჰენრიკ პაპროცკის ვარაუდით, შესაძლებელია, რომ ეს ინფორმაცია ამ ორი ყოფილი პატიმრის მონაცემებზე არის დაკავშირებული⁵⁰.

გრიგოლ ფერაძის გარდაცვალება დღემდე რამდენადმე ბუნდოვანია ჰაგიოგრაფებისა და ისტორიკოსებისათვის; შევიდა თუ არა ნებაყოფლობით გაზის კამერაში მრავალშვილიანი პატიმრის ნაცვლად, თუ მის მიერ არჩადენილი დანაშაულის აღიარებას პატიმრების თვალწინ მისი დაწვა ან დახვრეგა მოჰყვა? რასაკვირველია, სრული უგყუარობით „ისტორიული სიმართლის აღდგენა ალბათ შეუძლებელია, მაგრამ ასე იყო თუ ისე, დღეს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლ ფერაძემ თავი გასწირა და

49 Św. Grzegorz Peradze, *Dziela zebrane, O monastycyzmie gruzińskim, O Liturgii gruzińskiej*, ჰენრიკ პაპროცკის რედაქციით, გვ. 25, შენიშვნა 69.

50 H. Paprocki, *Życie i dzieło św. Grzegorza Peardzego, Dziela zebrane*, Warszawa 2010, გვ. 25.

მთელ ქვეყანას მოყვასისათვის თავგანწირვის იშვიათი მაგალითი უჩვენა.⁵¹

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მოკლე ხანში საქართველოს მართლმადიდებელურმა ეკლესიამ მამა გრიგოლ ფერაძის კანონიზაციის პროცესი დაიწყო, წერს ჰენრიკ პაპროცკი. შესაძლებელი გახდა ასევე მისი ცხოვრებისა და მოწამებობრივი სიკვდილის ინტენსიური შესწავლა. ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა გიორგი ნაკაშიძემ კინოლოკუმენტალისგ რეზო თაბუკაშვილს მნიშვნელოვანი მასალები გადასცა მეორე მსოფლიო ომისა და მისი შემდგომი პერიოდის შესახებ⁵². ცნობილია, რომ 1921-1939 წლებში პოლონეთის არმიაში ასზე მეტი ქართველი საკონტრაქტო ოფიცერი, მათ შორის, ექვსი გენერალი მსახურობდა⁵³. მათ გარდა იყვნენ მნიშვნელოვანი რაოდენობის ექიმები, მეცნიერები და მოხელეები. აქაურ ქართულ დიასპორას მხოლოდ ერთი სასულიერო პირი გრიგოლ ფერაძე ჰყავდა. ქართული სათვისტომოს იოსებ სალაყაია და კოგე იმნაძე, ნოე ქორღანიას ყოფილი აღიუგანტი ედგნენ სათავეში, ხოლო გენერალი ალექსანდრე ბაქარიაძე – ქართველ სამხედრო ოფიცრებს. 1926 წლიდან არსებობდა „პრომეთეს ლიგა“⁵⁴.

1939 წელს ვითარება შეიცვალა. გერმანულმა საოკუპაციო ხელისუფლებამ არსებული ქართული კომიტეტი დაშალა და მის ადგილას, პროფაშისტური კავკასიის კომიტეტი შექმნა. გრიგოლ ფერაძე კი ამ რამდენიმე ადამიანისაგან შემდგარ ჯგუფს გაემიჯნა.

„თუმცა მათ საოკუპაციო ხელისუფლების მხარდაჭერა ჰქონდათ, ძალზე ბევრი რამის მიღწევაც შეეძლოთ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქართველი ოფიცრების მიერ შედგენილი „საბრალდებო აქტი“, რომელიც

51 თ. ჭუმბურიძე, ქართული ხელნაწერების შესწავლა უცხოეთში. გრიგოლ ფერაძის არქეოგრაფიული ძიებანი, თბილისი 2006.

52 H. Paprocki, *Życie i dzieło św. Grzegorza Peradzego, Dzieła zebrane*, Warszawa 2010, გვ. 27.

53 დ. ყოლბაია, რეჰიოსპოლიტას ფრთებქვეშ. ქართული ემიგრაცია პოლონეთში 1921-1939 წლებში, ვარშავა 2019.

54 პრომეთეს ლიგა 1926-1927 წლებში შეიქმნა. ლიგის ცენტრალურ ადგილს ვარშავა წარმოადგენდა. „პრომეთეს“ კლუბი იერუსალიმის გამზირზე № 7 იყო განთავსებული. ეს სამოთახიანი ბინა ერთი დიდი დარბაზისა და ორი ოთახისგან შედგებოდა. ერთი ოთახი კლუბის მდივნისთვის საცხოვრებლად იყო განკუთვნილი. 1927 წელს კლუბის თავმჯდომარე პროფესორი რომან სმალსტოცკი გახდა. იოსებ სალაყაია და სიმონ მდივანი – მოადგილეები იყვნენ. 1933-1939 წლებში კლუბის მოადგილე ბრწყინვალე მოსაუბრე და დიპლომატი ლოქტორი გიორგი ნაკაშიძე გახდა. კლუბის სამეურვეო საბჭოს წევრები იყვნენ: ბარახბი ბაიგუგანი ჩრდილოეთი კავკასიელთა წარმომადგენელი, მეჰმედ ემინ რესულზადე, აზერბაიჯანელი მწერალი და პოლიტიკოსი, პარტია „მუსაფაგის“ თავმჯდომარე, კოგე იმნაძე, ნოე ქორღანიას ყოფილი აღიუგანტი. კლუბის მდივანი ბაჟიაკი, ხოლო 1932 წელს ოსი ეროვნების ინჟინერი ბალო ბილაგი იყო. ლიგა პარიზში ფრანგულენოვან ჟურნალს *Prométhée*-ს გამოცემდა, რომლის რედაქტორი მწერალი და სამოგალო მოღვაწე გიორგი ვეგაზაე იყო. იხ. G. Mamouliia, *Les combats indépendantistes des Caucasiens entre URSS et puissances occidentales. Le cas d la Géorgie (1921-1945)*, Paris 2009.

ამ ჯგუფის ხელმძღვანელის წინააღმდეგ იყო მიმართული, ბევრ რამეს ხლის ფარდას გრიგოლ ფერაძის დაპატიმრების შესახებ. აქ არ დავასახელებ ამ რამდენიმე ადამიანის გვარს, ისინი ამას არ იმსახურებენ, თუმცა ცნობილია, რომ სწორედ მათი დაბეზღების შემდეგ დააპატიმრეს გრიგოლ ფერაძე⁵⁵, წერს ჰენრიკ პაპროცკი.

მოპოვებული მასალებისა და მოწმეთა განცხადების საფუძველზე მოხერხდა გრიგოლ ფერაძის კანონიზაცია 1995 წლის 19 სექტემბერს და მამა გრიგოლი „წმინდა წამებული“ გახდა. „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმიდა სინოდის სახელით არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე კანონიზირებულ იქნას წმინდანად და ეწოდოს მას წმინდა მღვდელმოწამე. ამინ.“⁵⁶

გრიგოლ ფერაძის ბიოგრაფი ჰენრიკ პაპროცკი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიგანა გრიგოლ ფერაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისა და მისი წმინდანად შერაცხვის საქმეში, გამოთქვამდა სურვილს, რომ აუცილებლად თაემოყრილიყო და ერთიანად გამოცემულიყო უდროოდ გარდაცვლილი მეცნიერის გაფანტული და ხშირად ძნელად ხელმისაწვდომი პუბლიკაციები და რომ ეს იქნებოდა პატივის მიგება საქართველოს იმ დიდი შვილისადმი, რომელიც განგებამ ვარშავაში, ხოლო შემდეგ აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკში მოიყვანა.

გრიგოლ ფერაძის „დღიურების“ გამოქვეყნება სწორედ მის მიერ ქართული კულტურის აღმავლობის საქმეში გაწეული ღვაწლისა და მნიშვნელოვანი წვლილის წარმოჩენის, მისი უკვდავყოფის მცდელობას წარმოადგენს.

55 H. Paprocki, *Analiza dokumentów odnoszących się do sprawy aresztowania w 1939 roku w Warszawie trzech Gruzinów*, „Pro Georgia”, 4(1994), გვ. 64-77.

56 „თეთრი ანგელოზის ძიებაში“, დოკუმენტური ფილმი არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის შესახებ. რეჟისორები: ექი ლუბახი და თამარ ლუარაბიძე, კონსულტანტი დეკანოზი ჰენრიკ პაპროცკი, ვარშავა 1996.

დღიური

1920 წლის 26 ნოემბერი – 1921 წლის 6 ნოემბერი

1920 წელი

26. XI. პარასკევი

წუხელ საღამოს, როდესაც მომბეზრდა დაწყებული რომანის „თეთრი ზამბახის“¹ წერა, რენანის „მოციქული პავლე“² და გერმანული ბიბლიის კითხვა³ დაეფიქრდი რა უნდა გამეკეთებინა, (ერთი და იგივე მუდამ მოსაბეზრებელია ჩემთვის), რისთვის მომეკიდა ხელი. გადავწყვიტე დღიურების წერა. ვიცი, რომ ჩქარა ესეც მომბეზრდება და თავს გავანებებ, მაგრამ რამდენიმე ხნით მაინც შევიქცევ თავს.

დღიურებს ვწერდი დიდი ხნის წინათ – მას აქეთ ორი ან სამი წელიწადი იქნება. მას შემდეგ მრავლად გამოიცვალა ჩემი ცხოვრება, ათასი თავგადასავალი გადამხდა, ათას უცნაურ ხალხს შევეყარე და ათასი ალაგი მომივლია — მაგრამ ჩემზე ვერანაირი გავლენა ვერ მოახდინა, ისეთივე გამოუცდელი ვარ, როგორც ვიყავი - ყველაფრის მოშიში და ყველას... მოკეთე.

27. XI. შაბათი

დღეს ერთი ჩვენი ჯარისკაცი ლამისყანელი ესგატე გოგიაშვილი წავიდა შვებულებას ათი დღით და მას წერილი გავაგანე მამა ისესთან – ვნახოთ რა პასუხს მოიგანს. იქნებ მამა ისემ რამე გამოაგანოს – მაგრამ განა მისვლება ამას ბერი?

რალაც ცუდი განწყობა აქეთ ულფანიანს და სელემნიოვს. არ ვიცი რა მიზეზია, მაგრამ ძალიან მეზრალეებიან – უფრო სელემნიოვი – უნდა ვეცადო, რომ მათთან სასაუბროდ შეგობრული ენა გამოვინახო.

1 „თეთრი ზამბახი“ გრიგოლ ფერაძის დაუმთავრებელი რომანი. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია მანქანაზე ნაბეჭდი ხელნაწერის 40 თაბახი.

2 ერნესტ რენანი (1823-1892), ფრანგი მწერალი, ისტორიკოსი, ფილოლოგი და ფილოსოფოსი, აღმოსავლეთმცოდნე, სემიოლოგი და რელიგიის ისტორიის მკვლევარი. Эрнест Жозеф Ренан, *Аночтол Павет*, 1869.

3 ლოცვები, წიგნი, რომლითაც გრიგოლ ფერაძე გერმანულს სწავლობდა კერძო კოლეჯიაშია დაცული - *Der goldene Himmelsschlüssel. Nach dem ehrw. P. Martin v. Cochem für fromme und heilsbegierige Seelen.* Neue Ausgabe. Mit Bischöflicher Druckbewilligung. 8. Auflage, Verlagsanstalt Benziger & Co 1900.

დღეს ბატარეის⁴ უფროსმა სკოლის მოწყობის შესახებ ისაუბრა, როგორც ჩანს მას ჩემი მასწავლებლად დანიშვნა სურს, მაგრამ ნურას უკაცრავად, მახეში არ გავებმები, რა ინტერესია მასწავლებლობა? თუ დავთანხმდები — კარგ განათლებას, სწავლის შუქს შევიტან, ბნელში მყოფ ხალხს — ნათელს დავანახებ, მაგრამ შემიძლია ყველაფერი ესლა გავაკეთო — ძარღვებაშლილი ვარ და უფრო დავსნეულდები, საერთო პრინციპები მე არას მიშველიან რა და ჩემი თავის დაჭლექებით კი სამუდამოდ გავიფუჭებ ცხოვრებას.

სანდახან როგორი ეგოსი ვარ, მაგრამ რაში გამოიხატება ეს ეგოიზმი — მინდა შევინახო ის სიბავშვე და უბრალოება გულში, ის სიახლე შთაბეჭდილებების, ის დაუწერელი დაფა... ისევ ღმერთს უნდა მივინდო, „На святое провидение наложил я давно“ — ამბობს კილციოვი. „განგებასა ვერვინ შეცვლის, არ საქმნელი არ იქმნების“ —ო, ამბობს რუსთაველი⁵.

ხვალ კვირაა, ქალბატონ ლაუდენბახს წერილი უნდა გავუგზავნო, სხვა არა იყოს რა, დიდი სირცხვილია ჩემთვის. წერილი, რომელიც გერმანულად დავწერე ღიუფელს გავუგზავნე, ნეტავ რა პასუხი მომივა, ათასგვარი სიკეთე გამიწია და მე მადლობის მაგივრად წერილის დაწერა ვერ მოვახერხე. ხვალ დავწერ, მაგრამ დღეს რა მიშლის?

უკანასკნელ დროს რაღაც დამჩემდა, საშინელი სიზარმაცე ყველაფრისადმი, აუტანელი აპაგია, ერთ სიგყვას ვერ ვიტან, უბრალო ნათქვამიც მწყინს. გერმანულის სწავლა დავივიწყე, „თეთრ გამბახს“, რომელსაც გასართობად და ჩემი თავის გამოსაცდელად ვწერდი, თავი დავანებე და დღეს მესამე ღამეა ხელი არ მომიკიდია.

რა არის ჩემს თავს — დღეს წერის გუნებაზე ვარ და კალამი მეურჩება — „Тирания мелочей“ ანდრეევის⁶ თქმისა არ იყოს, მეორე კალამს ვიღებ და

4 ბატარეა (ფრანგ. *batterie*), საქართველოს არმიის ქვეითი ბრიგადები შედგებოდა ბრიგადის სამმართველოს, 4 ქვეითი ბატალიონისა და საარტილერიო დივიზიონისგან. თავის მხრივ საარტილერიო დივიზიონში სამი ბატარეა შედიოდა. 1919 წლის დისლოკაციის მიხედვით მესამე საარტილერიო დივიზიონი განთავსებული იყო გორში, მაგრამ 1920 წლის თებერვლის გორის დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად ეს საარტილერიო დივიზიონი თავის სამივე ბატარეით ახალციხეში გადავიდა. გრიგოლ უფრაძე მე-3 ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის მე-3 ბატარეაში მსახურობდა.

5 შოთა რუსთაველი, რუსთველი (დაახ. 1160/1165 -?), XII საუკუნის დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე, საქვეყნოდ ცნობილი პოემის „ვეფხისტყაოსანის“ ავტორი. 1960 წელს პალესტინაში ქართველმა მეცნიერებმა ირაკლი აბაშიძემ, გიორგი წერეთელმა და აკაკი შანიძემ, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში სეგზე გამოსახული შოთა რუსთაველის პორტრეტი მოიძიეს და გადაიღეს. ლევენდის თანახმად პოეტი ჯვრის მონასტერში გარდაიცვალა.

6 „Самая ужасная тирания - это тирания мелочей“ — ლეონიდ ანდრეევი (1871-1919), რუსი მწერალი, დრამატურგი, ჟურნალისტი. მიჩნეულია რუსული ექსპრესიონიზმის მამამთავრად. მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთის ბოლშევიკური რევოლუცია. 1918 წელს საცხოვრებლად გადავიდა ფინეთში, სადაც გარდაიცვალა 48 წლის ასაკში.

ვაგრძელებ წერას. არ ვიცი რით მოვირჩინო თავი, ჩემს იპოზონდრიას⁷ და მელანსოლიას⁸ როგორ ვუშველო – ღმერთო, შენ დამიფარე.

საერთოდ ამისთანა ვარ, ერთ წუთს ვინთები, შემძლია ყველაფერი გადავწვა და მეორე წუთს ვიქცევი ნაცრად – მხურვალე ცეცხლი გულში რომ გინთია, [გექსტი გაუგებარია].

ფინკელის⁹ რომანსი „на могилу с розами“ საუცხოოა და „თეთრ ბამბახს“ რომ დაეამთავრებ პაგარა მოთხრობის წერას – „შეამკეთ ვარდებით საფლავი“¹⁰ შევუღლები.

28. XI. კვირა

ღღეს კვირაა, მაგრამ კანცელარიაში მორიგე ვარ და ვერსად ვერ წავსულვარ. მხოლოდ ვმორიგეობ, მაგრამ რას ვაკეთებ - არაფერს. სიარული არ მიყვარს, (მერე ამ სიციფეში რა სასიამოვნოა), და ისევ კანცელარიაში ჯდომა - წერა და კითხვა მირჩევნია, სხვა რაღაა უკეთესი.

მოჩიაშვილს დეპეშა დავუწერე, საბრალო ჯარისკაცი ძალიან მიყვარს და მებრალებს. სუთი თევს სახლიდან არაფერი ამბავი არ მიუღია. თითქოს რაღაცას ვპირდები, მაგრამ ვაგყუებ – როგორ ვუთხრა ეს სიმართლე. ღმერთო, მომეცი ძალა და მხნეობა, რომ აქ უნუგეშოდ მყოფ ხალხს ვემსახურო, რომლებსაც სახლიდან წერილები არ მიუღიათ. რა საგულისხმოა, რომ სახლიდან მხოლოდ ცუდ ამბებს აგყობინებენ – შიმშილს, სიციფეს და უბედურებას და გულს უხეთქავენ, უმანკობას უკარგავენ, სიმშილს უფრთხობენ ისედაც ათასგვარი ფიქრებით სავსე ჯარისკაცებს. ფიქრები მირბიან და მირბიან...

ისევ ეკლესიაზე ვწერ. აქ ერთი ქართული ეკლესიაა და წავალ, ვინმე კანდელაკი ბენიამინე მღვდელი¹¹ სწირავს, მამა ფრიად ნასწავლი და სემინარიელი, (გაგონილს ვიძახი, თორემ პირადად არ ვიცნობ), კვირა-

7 იპოქონდრია - ავადმყოფური შიში, გამოწვეული თავის ჯანმრთელობაში დაეჭვებით.

8 მელანქოლია - ნაღვლიანი განწყობილება.

9 ალექსანდრე მოისევიჩ ფინკელი, (დაბ. 1899), რუსი ლინგვისტი, მთარგმნელი და პროფესორი. რუსული ენის სახელმძღვანელოების ავტორი. აქვეყნებდა სტატიებს ენათმეცნიერებაში და მთარგმნელობით თეორიებში. მთელი თავისი ცხოვრება უილიამ შექსპირის სონეტების თარგმნას მიუძღვნა.

10 ვრიგოლ ფერაძეს ასეთი სათაურით მოთხრობა არ გამოუქვეყნებია.

11 მღვდელი ბენიამინ კანდელაკი (1877-1944), დაიბადა მღვდლის ოჯახში, 1894-1900 წლებში სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1904 წელს ახალციხის წმ. მარინეს სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესეს, ხოლო 1923 წელს თბილისის კალოუნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის გაძრის წინამძღვრად. მონაწილეობდა 1917 წლის I საეკლესიო კრებაზე. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ახალციხის გამგეობის წევრი. 1937 წელს დააპატიმრეს და რუსეთში გადაასახლეს. გარდაიცვალა 1944 წელს.

ობით საყდარში მორწმუნეები დადიან – ორი ბერი და იმდენივე მოხუცი კაცი, რამდენიმე ბავშვი ცნობისმოყვარეობის გამო საყდარში შემოსულნი მღვდელს შესცქერიან, რომ მისი მიხვრა-მოხვრა შეისწავლონ და შემდეგ სახლში მისვლისას მას გააჯავრონ და სხვა არაფერი, არც ქაღაგება მწეობრიობაზე, არც რიგიანი წირვები, მაგრამ ესლა ამ გაქანებულ სპეკულაციის დროს წირვები ვის სჭირდება ან ღვთისმსახურების მთელი დასი.

ვიტყვი არა – არა – არა. მას სჭირდება არა სუსტი გრადიციების მაგარებელი მღვდლები, რომლებიც შინაგანად სავსე არიან ათასგვარი სიბილწით, მაგრამ როგორი გრადიცია არის გადასაგდები, რა თქმა უნდა, უარესი. ძველი უნდა დარჩეს ახალთან შეერთებული, უკეთ გაახლებული და გამშვენიერებული, ხალხის სულთან უფრო დაახლოებული... აღმოსავლეთის ეკლესიის წმინდანები რაღაც ბუნებრივები არიან, სასწაულმოქმედნი, „Созерцательные существа“, ხოლო დასავლეთის ეკლესიის წმინდანები უფრო აქტიურად მოქმედებენ. პირველთა ცხოვრებაში ბევრი ფანტასტიური, მითიური ელემენტია შეტანილი, ხოლო მეორეთა ცხოვრებაში – სიცოცხლე, სიმართლე და ბუნებრიობა.

დღეს გენერალი (პოლკოვნიკი) ვაშაკიძე ჩვენს ბაგარეაში იყო მოხუცი, უფრო სწორედ დივიზიონის საპყრობილეში, სადაც ალექსაშვილი იყო დატუსაღებული. პოლკოვნიკმა დაკითხა: „შე მამაძაღლო, თოფი თათარს რომ მიჰყიდე მერე იმ თოფით თათარი ჩემკენ მობრუნდება და მე მომკლავსო“. საშინელი ვინება, ცემა, უხეში სიტყვები ისმოდა. ალექსაშვილმა მითხრა: „ხელჯოხი ისე მომიბჯინა მუცელზე – კინაღამ მუცელი გამისკდაო“. კაპიტანმაც მისგან მაგალითი აიღო და ჯარისკაცი გელაშვილი ცემა, არ ვიცი რისი გულისთვის. ვფიქრობ, დამნაშავე გელაშვილი იყო, მაგრამ ესლა როცა კაპიტანმა ცემა დამნაშავე უკვე კაპიტანია.

გელაშვილს ჩივილი უნდა, მაგრამ ჩვენ ხელი ავაღებინეთ. ეჰ, რა ბრძმები ვართ, მონები, მონობაში დაბადებულნი. დრო თუ მექნება მინდა პაგარა, ცოცხალი მოთხრობა ჯარისკაცების ცხოვრებაზე დავწერო – იქნებ „კომუნისტი“¹² გაეგზავნოს, იქ უფრო დამიბეჭდავენ. „მხედარში“¹³ - ცდა ამით იქნება, ვერ მოვიცალე, რომ რედაქტორს წერილი მივწერო თუ რა მიზეზით არ მიბეჭდავენ.

ნეტავ, როგორ არის ჩემი ვასოს¹⁴ ბუდი....

12 გაზ. „კომუნისტი“, საქართველოს კპ ცენტრალური და თბილისის კომიტეტის ორგანო. მისი პირველი ნომერი 1920 წლის 3 ივნისს გამოვიდა.

13 „მხედარი“ – სამხედრო სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო სექციის ყოველკვირეული დასურათებული ჟურნალი. გამოიცემოდა 1920 წლის მაისიდან დეკემბრამდე. ჟურნალის რედაქტორი იყო ნიკო კურდღელაშვილი.

14 გრიგოლ ფერაძეს ჰყავდა ორი ძმა – უფროსი არჩილ ფერაძე (1895-1937), სამხედრო მოსამსახურე, რომელიც მეუღლესთან ერთად დახვრიტეს და უმცროსი ვასილი (1903-1982), ფიზიკის ლექტორი.

დღეს საწერი არაფერი მაქვს. კანცელარიაში თამარაშვილი მის, ნეგავ რა უნდა. კეთილი ჯარისკაცია, მაგრამ თუ გაცხარდა ავია, მაგრამ ცხოვრება სომ ასეთია. დღეს აზრი გამომელია, ძილი და მოსვენება სურს გონებას და ამიგომაც ასე ვწერ.

პ.ს. ულფანიანს ცალკე ოთახი დაუქირავებია - მაგრამ ამაზე ხვალ.

29. XI. ორშაბათი

მჭედლიძეს, მე-3 ბაგარეის ერთ ჯარისკაცს მოხსენებითი ბარათი დავუწერე 24/XI, მაგრამ დღესაც მისი საქმე არ გარკვეულა. მაიორმა მოსიძემ¹⁵, (თუმცა მას არ ვიცნობ, მაგრამ ძალიან მეჯავრება), ეს ქალაღი მაგიდის ქვეშ ამოუდვია. წერილი ოცეულის უფროსის პარკაძის წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელიც მისი უსამართლობით იყო გამოწვეული. პარკაძე განრისხებულია და ამ საცოდავს რაღაც კიდევ შარი მოსდო და ციხეში ექვსი დღე-ღამით დააგუსაღა, მიზეზი ის იყო, რომ „კატელოკი“¹⁶ გაურეცხავი ჰქონდა.

დღეს საღამოს ეს ბიჭი ისევ საგუსაღოში ვნახე, საცოდავს მინდა ვუშველო, რაიმე დახმარება აღმოვუჩინო, მაგრამ რა დახმარებას აღმოვუჩინ – რით შევეშველები?

მივმართავ კორესპონდენციას – მაგრამ ამ დარგის წერას შეჩვეული არ ვარ და ძალიან გამოუცდელი. ციხეში დიდი საცოდაობაა, ათასგვარი მართალი ხალხი იგანჯება – ესეც დემოკრატიული წესწყობილება. ქრისტიანულ ქვეყანაში თეთრი გიორგის შუბს ჯვარი რომ მოვხსენით, განა ამით ჩვენი გულიდან ის დიდი კაცთმოყვარეობის პრინციპები უნდა აღმოვფხვრათ და განვაძევოთ, ხელი ავიღოთ მამა-პაპათა იდეალებზე, რომლებიც ჩვენს გულებში საუკუნეებიდან გაღმოსულნი, ჩაბეჭდილნი არიან.

მაიორი მოსიძე ერთხელ ციხეს გადაურჩა, მაგრამ ეხლა დიდ შენიშვნას მიიღებს. მე უნდა გავაკეთო ეს საქმე, რომც დავიგანჯო. თავს შევწირავ, სიმართლეს არ დავათრგუნებ.

ყველა მეუბნება – შენ წერის ნიჭი გაქვსო. აბა ერთი ნიჭი თუ მაქვს ვცდი – იქნებ მე დამრჩეს გამარჯვება.

გუსაღების გადაყვანა სურთ თბილისში – ალექსაშვილი, მარკომიშვილი, გიგინეიშვილი, მჭედლიშვილი, გერგერაშვილი, ბოლაშვილი, ყოყოჩაშვილი, ივერაშვილი. დღეს მარშავა ციხეში ჩასვეს, მხოლოდ იმისთვის, რომ მისი მორიგეობის დროს საჯინბოში ვიღაცამ ერთი გომარა ქერი მოიპარა.

15 მაიორი ალექსანდრე პავლეს ძე მოსიძე (1892 – ?), საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის № 595 ბრძანებით მე-3 საარტილერიო დივიზიონის მე-3 ბაგარეის უფროსად დაინიშნა. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. (ეროვნული საბჭო). აღწერა 1. ფონდი 183, გვ. 17 – 1836 ფურცელი. საქმე 412.

16 კატელოკი – რუსულად, ჯარისკაცის ზედა განსაცმლის საყელი.

ყოყოჩაშვილის და ივერაშვილის პაგიოსნების მწამს, ისინი თავის დღეში ქურდობას ვერ იკადრებდნენ, მაგრამ მეთაური ამბობს: „მათი მორიგეობის დროს დაიკარგაო?“, მას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს – მეორე „სმენის“ მორიგეები რაგომ არ დაკითხეს. ალალ-მართალ კაცს იმედი უქრება, როდესაც ხელავს, რომ სიმართლე არ გადის.

რას ვწერ, ამრი მაქვს რაღაც, მხოლოდ გამოთქმა ვერ ძალმძის. ღმერთო, შენ მომეცი სალი ამრი და მახვილი სიგყვა წერილობისა.

ისევე ვფიქრობ იმ კორესპონდენციაზე, არ ვიცი როგორ დავიწყო, მსურს დარბაისლური შესავალი, თორემ ძაღლს, რომ აუშვებენ ხელს „с цепи сорвался“-ს იტყვიან, მეც ისე დამემართება.

მინდა ახალქალაქში წერილი მივწერო მასწავლებელ მარია ალექსანდროვნას, მაგრამ ხვალაც მოვასწრებ. საჭიროა აგრეთვე კაპიტან გამყრელიძესთან წერილის გაგზავნა.

დღეს სამკითხველოში წიგნი გამოცეცვალე, ჩავაბარე რენანის „Св. Павел“¹⁷, სულით და გულით მისი „იესოს ცხოვრების“¹⁸ წაკითხვა მინდა, მაგრამ სამკითხველოში ეს წიგნი დაკარგული იყო და რენანის მეორე წიგნი - „Апостолы“¹⁹ გამოვართვი.

რენანი თხრობას ქრისტეს აღდგომით იწყებს და კარგად ჩანს, რომ მას აღდგომის არ სწამს. აღდგომა, ხომ ქვაკუთხედი ქრისტიანობის „Если Христос не воскрес, то и проповедь наша тщетна, тщетна и вера ваша“²⁰ – ამბობს პავლე. მარიამ მაგდალინელს ჰალუსინაციას აბრალებს, ეს აღდგომა, მას რაღაც ალევორიულად ესმის, მაგრამ ჩვენ რომ ალევორიებს, გაუგებარ დოღმებს გავყვეთ და ალევორიულად რაიმე ამრი მოვძებნოთ, მაშინ ხომ ნეოპლაგონიკურ სკოლას მიეუახლოვდებით – პლაგონს და სხვებს. ნეოპლაგონიზმი კი მაშინ გაჩნდა, როცა ანტიკური რელიგია პოლიტიკიზმის განსაცდელში იყო, როდესაც დახავსებული წარმართობის დამცველად გამოვიდა. ესლაც თეოლოგიაში ნეოპლაგონიზმის ელემენტების შემოპარვა აშკარად ქრისტიანობას არ მოწმობს. ქრისტიანობამ თავის დროზე წარმართობა მოჭამა, მაგრამ რენანი პირდაპირ ახსნას გაურბის და ყველაფერს ალევორიულად განმარტავს. მაგრამ საქმის ვითარება ასე არ არის. ქრისტიანობაში იმდენი დაუშრეგელი კაცის მამოძრავებელი ძალაა, ისეთი ღვთაებრივი, სიმშვენიერე და ათასი სილამამეა, გავა რამდენიმე ათასი წელი, იქნებ მილიონიც, და ისევე, როგორც ესლა ჰხიბლავს ათასებს ან ჰხი-

17 Эрнест Жозеф Ренан, *Апостол Павел*, 1869.

18 Ernest Renan, *la Vie de Jésus, édition revue et augmentée, réédition d'après la 13e édition (1867), premier volume de l'Histoire des Origines du christianisme. Calmann Lévy, Paris, 1895;* Эрнест Жозеф Ренан, *Жизнь Иисуса*, 1863.

19 Эрнест Жозеф Ренан, *Апостолы*, Перевод с французского М. А. Шишмаревой, 1907.

20 „ხოლო თუ ქრისტე არ აღმდგარა, ფუჭია ქადაგება და ფუჭია თქვენი რწმენა“, 1კრ. 15:14.

ბლავდა უწინ, მაშინაც კაცის გულს მოჰხიბლავს, მოაჯალოვებს, გონებას და ქელს მოღრეკს ადამიანის ამპარგაენობას.

ძალიან მცდარია ის აზრი, თითქოს უწინ უფრო მორწმუნე ხალხი იყო და ესლა კი მორწმუნეები შემცირდა. „Спаси меня Боже если... и истина умолчивается ради человечества“ – ამბობს დავითი. უწინ დიდი ცრუმორწმუნეობა იყო და ესლა კი უფრო სპეგაკლება და იქნებ ჩქარა, წმინდა რელიგიის თაყვანისცემლების განახლება მოხდეს.

რენანის „Св. Павел“ წავიკითხე, რა გამოვიგანე ამ წიგნიდან? რენანს აქამდე სრულებით არ ვიცნობდი, ეს სამი თვეა, რაც დავიწყე მისი წიგნების წაკითხვა და ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ნეგავ, რა მიზანს ისახავდნენ, რომ სემინარიაში რენანის წაკითხვას გვიკრძალავდნენ. ვამაყობდი იმით, რომ სემინარია დავამთავრე და ვაი სირცხვილო, რენანის წიგნებს ამ სამი თვის წინ გავეცანი - მისი „იესოს ცხოვრება“ არც ახლა მაქვს წაკითხული.

1. XII. 1920 წელი. ოთხშაბათი

ის წერილები იმ აუწერელი უსამართლობის შესახებ, რომელიც ახალციხის გარნიზონში ჩვეულებრივი ამბავია უკვე დავწერე და დავამთავრე. 3/XII გავაგზავნი „საქართველოში“ – იქნებ გველები ახმაურდნენ, ასისინდნენ, მაგრამ მე ვერაფერს მიზამენ, ან რა უნდა მიყონ, ყველაფერი იმ განცხადებაში სიმართლეს შეიცავს. დღეს მორიგე ვარ – საღამოს სიის ამოკითხვის შემდეგ ფინკელის რომანსი „რივოჩკა“ საუცხოოდ იმღერეს და ძალიან მომეწონა.

ბარლაძესთან ამხანაგობას უნდა ვუფრთხილდე, განა იმიგომ რომ უსინდისოა ან ქურდი, ან გამცემი – პირიქით მთელ ბაგარეაში კარგი და პატიოსანი ჯარისკაცია. ლეიგენანგი ერისთავი ადამიანის სულს სწვდება, აი მას რომ კარგი განათლება ჰქონოდა, სახელოვანი ვინმე გამოვიდოდა, ერისთავი ესლაც გენიოსობას იჩენს, მაგრამ მთელი რიგი ჯარისკაცები, არგილერშიკი, კაპიგნის მსხაურნი და სხვანი უფრო პატიოსნები არიან. შესაძლოა სწავლით მალა არ იდგნენ, მაგრამ მნეობით და პატიოსნებით გამოირჩევიან.

2. XII. ხუთშაბათი

ნაგვრა მისრულდება, ნახევარი უკვე გაკეთებულია, ღმერთო ან ერთი ან მეორე. ახლა კი ჩემთვის ვამჯობინებ მეორეს. ღმერთო, შენ დამიფარე.

მცირე შტრიხი, მაგრამ ძალიან დამახასიათებელი და ყურადსაღები – დღეს მე-3 ბაგარეის მაიორი დაიბარეს, კანცელარიაში. საქმის მწარმოებელი შემოვიდა და ბევით გამაგზავნა. მაიორი ჯარისკაცებს ამეცადინებდა. მოვახსენე, სხვათაშორის, „ჩესტი“ ავუღე. ეს ოხერი ქუდი მეხურა, მაგრამ ამაში საქმე არა – ყველა ჯარისკაცი მოვალეა მიესალმოს უფროსს – უდისციპლი-

ნობის და ჯარის გასალაზმნების მომხრე არ ვარ – სასტიკი დისციპლინაა საჭირო, მაგრამ ეს არ არის შესანიშნავი. სანამ ვლაპარაკებოდი, ხუთი წუთის განმავლობაში ხელი მეჭირა და ამ მოვლენამ მის თვალში ბუნებრივად ჩაიარა. სხვა დროს – ნურას უკაცრავად, როცა მან ჩემგან „ჩესტი“ მიიღოს – დაიკვებოს ის რაც ესურვება. ამ პაგარა სურათიდან ჩანს მისი ხასიათი და შორს შორს მისგან.

3. XII. პარასკევი

დღეს წერილი მივიღე დრიუფელისგან,²¹ სრულ უარს მწერს სტიპენ-დიაზე, მაგრამ წერილის მიღება მაინც გამიხარდა. ის ამრი, რომ მიკადრა და პასუხი გამცა მახარებს და გულს სიამოვნებით მივსებს. ვერ გამიგია მოგიერთი სიგყვები, ამრს კი მივუხვდი, ხვალ პოლკოვნიკს უნდა წავაკითხო. დღეს „საქართველოში“ წერილი გავაგზავნე და ძალიან ვნანობ, ნეგავ არ გამეგზავნა, მაგრამ რას ვიზამ ესლა, მაინც რომ დაბეჭდონ არ გაიგებენ და ნომრებს დავძალავ, ამას მაინც მივალწევ.

როგორც ჩანს, მასწავლებლად და კულტურის ხელმძღვანელად დამნიშნავენ. უარის თქმა შეუძლებელია – მე არ ვიგყვი უარს – მაგრამ ენა – ენა – ისევ ენის საკითხი წამოიჭრა. მეგყველება უნდა გავაუმჯობესო და გავწვრთნა. ხვალიდან მშვიდ, აუჩქარებელ, საუბარს დავიწყებ.²² ისევ იმ კორესპონდენციაზე ვფიქრობ, ძალიან დავაშავე, რომ გავაგზავნე – ჯიბლაძეს ვკიცხავდი და მასზე ათჯერ უარესი საქციელი ჩავიდინე, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. მომავალში უნდა ვეცადო, რომ ასეთი რამ არ ჩავიდინო.

საღამოს წერილის წერის გუნებაზე ვარ. ელენე ბათუმში ყოფილა, მაგრამ რაგომ არ მიგზავნის წერილს, ორი გავუგზავნე და ჯერ არცერთის პასუხი არ მიმიღია, სანამ მისგან წერილს არ მივიღებ – აღარაფერს მივწერ...

21 ხელნაწერში არ წერია გარკვევით თუ ვინ არის ეს პიროვნება.

22 საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობა მრუნავეა, რომ მას განათლებული და შეგნებული ჯარისკაცები ჰყოლოდა, ამიგომ მათ შექმნეს საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც შედგებოდა საგუნდო (ასეული) სკოლის, ათასეულის (ბაგალიონის) სკოლის და ჯარისკაცთა უნივერსიტეტისაგან. როგორც ჩანს გრიგოლ ფერაძე საგუნდო სკოლის მასწავლებლად უნდა აერჩიათ. პროექტის შესახებ ის. დ. სილაქაძე, პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შემაფერხებელი ფაქტორები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენების 100 წლის შემდეგ – მოდელი ევროპისათვის? საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში, თბილისი 2018, გვ. 227-288.

4. XII. შაბათი

დღეს სამი წერილი დაეწერე – არქიმანდრიგ პავლესთან,²³ გერმანთან²⁴ და კეზელთან²⁵, სადღეისოდ საკმარისია. ჩემს კისერზე ახლა მხოლოდ სამი ვალი მაქვს აღებული – ჯარისკაცებისთვის წერილის დაწერა, წერილი მაღამ ლაუდენბახთან, რომელთანაც აქამდეც უნდა მიმეწერა, კაპიტან გამყრელიძესთან და პაგარა წერილი სათაურით „ორი კომუნიზმი“.

სხვებთან წერილები დაეწერე. ნაკაშიძეს სახლში ორი წერილი გავუგზავნე, ჯიბლაძესთანაც, ბალოშვილთან, სანამ მათგან პასუხს არ მივიღებ ნურას უკაცრავად, რომ მეორე წერილის ღირსნი გაეხადო.

ისევ „ორი კომუნიზმი“

დღეს დილით კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეს უკანასკნელ თავს ვკითხულობდი²⁶, იქ მოციქული პავლე არიგებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მორწმუნეები მოწყალების შესაკმეხად ე.ი. მათთვის ვინც იერუსალიმში ლოცვა-ვედრებაში არიან და მოსეს დოღმების შესრულებას ანდომებდნენ მთელ ხანს, სამუშაო დრო არ ჰქონდა, ან რა იყო იერუსალიმში სამუშაო, რომელიც მაშინ პირწმინდად პროლეგარულ ქვეყანას წარმოადგენდა, იქ განახორციელეს კომუნიზმი. მხოლოდ სამი დღით და შემდეგ ისევ შთაინთქა, ისევ ჩაიფუშა – მიზეზი კაცის გულის სისხარბეში იყო, ბოროტებასა და შურში.

ეს პირველი კომუნიზმი.

ეხლანდელი რუსეთის კომუნიზმი – ლენინის,²⁷ გროცკის,²⁸ მათი სამოგადო მოღვაწეობით, სამოგადო მუშაობით, სრული ნაციონალიზაციით

23 არქიმანდრიგ პავლე ჯაფარიძე (1888-1929), ბერად აღიკვეცა ათონის ერთ-ერთი მონასტერში. საქართველოში მობრუნებული მღვდელმონაზვნად შიომღვიმის მონასტერში გამწესდა. 1918-1921 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საქართველოში ბოლშევიკების შემოჭრის შემდეგ სვეტიცხოვლის ტაძარში წინამძღვრის მოადგილედ დაბრუნდა. კათოლიკოს-პატრიარქის დავალებით მას და ეპისკოპოსის დავით (კაჭახიძეს) ქუთაისში საეკლესიო განძის მიგროპოლიტ ნაზარის საეპარქიო სახლის სარდაფში განთავსება დაევალიათ. 1924 წელს საკათალიკოსო საბჭოს სხვა წევრებთან ერთად გაასამართლეს. გარდაიცვალა 1929 წელს. დაკრძალულია სვეტიცხოვლის ეზოში.

24 დეკანოზი გერასიმე ჯაჯანიძე (1869-1924), სასულიერო სემინარიის პედაგოგი, საქართველოს ეკლესიის წმინდანი. 1924 წელს ბოლშევიკებმა მიგროპოლიტ ნაზართან და სხვა სასულიერო პირებთან ერთად საფიხსიას ტყეში დახვრიტეს.

25 მღვდელი დიმიტრი კეზელი.

26 პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ. შედგება 16 თავისგან, დაწერილია დაახლ. 59 წელს.

27 ლენინი (ნამდვილი გვარი ულიანოვი) (1870-1924), პოლიტიკოსი, მარქსიზმის თეორეტიკოსი, ბოლშევიკური პარტიის დამაარსებელი, 1917 წელს რუსეთში ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი ლიდერი.

28 ლევ გროცკი (ლევ ბრონშტეინი) (1879-1940), მარქსისტი, რევოლუციონერი და თეორეტიკოსი. წითელი არმიის დამაარსებელი და პირველი ხელმძღვანელი.

ესადაგება პირველს, რომ მოგადად არავის არფერი არ უნდა ჰქონდეს, არამედ ყველაფერი სამოგადოებისაა და ამით უახლოვდება პირველ კომუნიზმს, მხოლოდ განსხვავება დიდია – იქ უფრო რელიგიური საფუძველი უდევს, მაგრამ რელიგია ეკონომიურ მიზეზებიდან არ გამომდინარეობს, ყოველ შემთხვევაში ღმერთი და მორწმუნე და მავედრებელი ხალხი. მეორე კომუნიზმი – ეკონომიური, უკვე ტერორიზმის და წართმევის საფუძველზე არსებობს და ამით ამ ორ კომუნიზმს შორის სრული წინააღმდეგობაა. პირველი ღვთაებრივია, მეორე კი მიწიერი. რამდენადაც პირველს მხოლოდ სიყვარული, თავისუფლებაში შესვლა აინტერესებს, ვინც შედის ყველაფერს ჰყვადის და მოციქულებთან მიაქვს. ყველას ანანია და საფირას²⁹ მაგალითი აშინებს, გულში სიხარული არაამქვეყნიური უღვივით – ყველას ერთი გული და ერთი სული აქვს. მეორე – კონგრასტია პირველის, მიზანს ისევ ისეთივეს ისახავს, მაგრამ პრობლემის გადაჭრა და ლგოლვა სულ სხვანაირიად არის დასახული.

რენანს საუცხოო სიგყვები აქვს, რომელთაც ჩემებურად გადმოვიღებ „იერუსალიმის ეკლესია დღითიღვე თავის ბრწყინვალეობას ჰკარგავდა და თავის ღიღებას და უფროსობის გადაცემას ანტიოქიას უქაღდა“. მიზეზი ამ კომუნიზმში იყო. თავდაპირველად, თითქოს ქვეყანაზე ღვთის სასუფეველი განხორციელდა.

5. XII. კვირა

ღღეს კვირაა, ღღცვის გუნებაზე ვიყავი, ქავთარაძეს ვთხოვე და არ გამიშვა, ძალიან ნაწყენი ვარ და მთელი ღღის სიამოვნება ჩამიშხამა, მაგრამ რა ვუყოთ სულ სიამოვნებაში და სიხარულში ხომ არ ვიქნები.

მოვიდა ახალი ოფიცერი და როგორც ჩანს მას გამოვიყენებ. ჯერ ბინა ან სახლი იშოვოს შემდეგ შევეხვეწები, რომ გერმანული მასწავლოს, რასაკვირველია, მე მას ქართულს ვასწავლი – ამ ჯარისკაცს ამას არ დაუუკარგავ. თუ გერმანული ვისწავლე, ერთი მხრივ მცირედ განვვითარდები, რენანსაც ახლა გავეცანი, ცოგაოდენ სგაგეებსაც გაზეთებისთვის დაეწერ. იქნებ კალამი განმვივითარდეს – მერე მნეობრიობა თუ შევინახე ჩემი თავი სიწმინდეში თუ იმ ცუდ ჩვეულებას მოვცილდი – ბედნიერი ვიქნები. წერილებსაც ვწერ, რასაკვირველია, ამას ერთგვარი მნიშვნელობა აქვს ჩემი გონების გამოსაცდელად.

გერმანულად დაეწერე წერილი ღღუდენბახთან – გერმანელებს წავაკითხებ, გადავაწერინებ და გავუგზავნი.

ვცდი კიდეც კათოლიკოსთან წერილის გაგზავნას – ვნახოთ იქნებ რაიმე

29 საქმეები თავი 5. ანანია და საფირა.

პასუხი მომწეროს. დაეწერე წერილი მიგროპოლიც ნაზართან.³⁰ წერილებს რომ მოვრჩები, შევუღებ „ორი კომუნიზმის“ წერას.

ახალი ოფიცერი ძალიან კარგი კაცია, პირველი დანახვისთანავე მომეწონა, რა ბედნიერი ვიქნები, რომ გერმანულად ლაპარაკი მასწავლოს.

6. XII.1920. ორშაბათი

დღეს რაიმე შესანიშნავი ჩემს ცხოვრებაში არ მომხდარა. წერილი ლაუნდენბახთან გავაგზავნე. „თეთრი მამბახის“ წერაზე ხელი ავიღე, რამდენი ხანია აღარ დამიწერია – შობისთვის აუცილებლად უნდა დავამთავრო.

დღევანდელი დღით კმაყოფილი არ ვარ – არც გერმანული წამიკითხავს რიგიანად, არც რამე დამიწერია – მაგრამ ნეგავ – რა გავაკეთე – არ ვიცი. ღმერთო, ცოდვის გამრავლების დღეებია.

დღეს, სხვათაშორის, „ორ კომუნიზმს“ რომ ვწერდი ვაჩნაძე გვერდზე მეჯდა, დანახა თუ არა, არ ვიცი, ვგონებ არა, მაგრამ სულ ერთია – ნეგავ საიდან მოვიდა ეს კაცი... ღმერთო ...

7. XII. 1920. სამშაბათი

საერთოდ ეს რამდენიმე დღეა ცუდად ვაგარებ ცხოვრებას, სულ ჩამოვშორდი ყველაფერს, ვქვეითდები – ჩემი დევიზია მნეობა და გერმანული ენის შესწავლა, თვითგანვითარება.

„ორი კომუნიზმი“ ძალიან მაინტერესებს და შევუდექი მასალის შეგროვებას. ძალიან დიდი ნაწარმოები გამოვა, სადისერტაციოდ მოვამზადებ – ცალკე რვეულს გავაკეთებ და მთელ მასალას დავაგროვებ³¹.

ბერულაშვილი თამარაშვილის წერილს წერს, მოკითხვას უთვლის ამხანაგებს და მე კი მივიწყებ. მივიწყებ - მერე მე ჩემს თავზე რა დიდი წარმოდგენა მაქვს, იქნებ მისთვის დიდი ამხანაგობა არ გამიწვევია, ჭირის დროს ხელი არ მომიმართავს, მისი განცდის, დაცემის დროს არ გამიმხნევებია, მაგრამ რომ იცოდეს ეს გული რა უბოროლდ სცემს მისდამი სიყვარულით. ის პირველი კაცია, რომელმაც გამიგო, გამიცნო და შემწეობა თავისუბური აღმომიჩინა. მას შემდეგ ჩემს გულში მან დიდი ადგილი დაიკავა – კაცის გულის მოსაგებად ბევრი რამ საჭირო არ ყოფილა – გუშინ წერილი მივწერე და მოვიკითხე. ჩვენ სამხრეთის მცხოვრებლები ისე ვართ მოკლებულნი ხშირ ალერსს და მზის თბილ სხივს, რომ ამ ყინვაში მკრთალი და ნელ თბილი სხივიც კი გვახარებს და გვათამაშებს.

30 წმ. მიგროპოლიცი ნაზარი, ერისკაცობაში იოსებ ლეკავა (1872-1924). დახვრიტეს 1924 წლის 27 აგვისტოს ბოლშევიკური რეპრესიების დროს ქუთაისის მახლობლად საფიჩხიას გყეში.

31 1931 წელს ვარშავაში კომუნიზმის სამეცნიერო კვლევების ინსტიტუტი დაარსდა, რომელიც აგროვებდა მასალებს კომუნიზმის იდეოლოგიის შესახებ. აქვეყნებდა სამეცნიერო შრომებს და ეძებდა გზებს ევროპაში მისი განვითარების შესაჩერებლად.

სვიმონიშვილს და მოკვდომია, დღეს კიდე თითი გაიფუჭა. არც დღევანდელი დღის კმაყოფილი ვარ. მოჩაშვილი საცოდავი ჩამომციებია, ჩამომგირის, მაგრამ რა სიგყვა ვუთხრა, რა ხერხით და რა გზით ვუშველო - ძალიან მებრალეა. დღეს „რემინგტონზე“³² ვბეჭდავდი, მაიორს გაუკვირდა, „აი, სამხედრო სამსახურმა ბეჭდვა გასწავლაო“, ბეჭდვა კი არა გერმანულს რომ ვისწავლი მაშინ ვიქნები ბელნიერი. „თეთრ მამბახს“ ამ ორ კვირაში დავამთავრებ.

8. XII. 1920. ოთხშაბათი

გავიგე, რომ სამსახური ორი წელიწადი გამხდარა.³³ აქამდე მესმოდა ეს ამბავი, მაგრამ არ მჯეროდა, ახლა კი უფრო დავრწმუნდი. ვინაიდან ქვეყანა, ყველანი ამას გაიძახის და ამდენი ხალხი ლაპარაკობს, ვგონებ სიმართლე უნდა იყოს. მე არ ვნაღვლობ, ვინაიდან სარგებლობა ერთგვარი მაქვს. ვისწავლე „რემინგტონზე“ ბეჭდვა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთია. გამოვიცვალე, სრულიად უცნობი ხალხი გავიცანი, წიგნ-გამბეჭდვითან დაკავშირებული ადამიანები და ამ სფეროში დავგრივალდი. ჯერ აღრეა იმის თქმა, ჯერ დრო არ არის მთელი სარგებლობის ან მავნებლობის აღნუსხვის – ეს მომავლის საქმეა. შემდეგში, როდესაც ამ ხანას გავივლი, გავიზრდები, გადმოვხედავ ამ ძველ წარსულს – ლეგენდას, რომელიც ერთ დროს მაშფოთებდა, მალეღებდა, ძარღვებს მიშლიდა, ხანდახან დამეყები არ მეძინა, ვგიროდი ბევრჯერ – რამდენი მწარე წუთები განმიცდია – და მაშინ, მხოლოდ მაშინ გამიკვირდება, რა მდაბლად ვიყავი მაშინ.

„ვისაც ვებრძოდი ბრძოლად არ ღირდენ,
გვიან შევიტყვე ეს ცლომილება“

მეც ამას ვიგრძნობ მხოლოდ მაშინ – გავიგებ, რომ ამაო ყოფილა მთელი ჩემი მაშინდელი განჯვა-წვალება. ღმერთო შენ დამიფარე, შენ მომეც ძალა საბრძოლველი ბოროტ სულთან.

9. XII. 1920 წელი. ხუთშაბათი

დღეს ხუთშაბათია, დაახლოებით იგივე როგორც სხვა დღეები, არაფერი ახალი არ განმიცდია, არაფერი ახალი არ წამიკითხვას, არაფერი თვალსაჩინო არ გამიკეთებია. დღეს მაიორმა Fenster zu, „закрытое окно“ – Fenster auf, Licht aus, „открытое окно“ Messer auf ლაპარაკი დამიწუნა – სხვა არ ვიცი რა დავწერო, რაღაც უფსკრულისკენ მივექანები და არც ვიცი ჩემგან რა იქნება.

32 ამერიკული საბეჭდო მანქანა, რომელსაც 1873 წლიდან *Remington and Sons* კომპანია ამზადებდა.

33 ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა. სამხედრო ბეგარისა და შეიარაღებულ ძალთა შევსების მოქმედი კანონით ჯარისკაცებს ქვეით ნაწილებში 1 წლითა და 4 თვით იწვევდნენ, ხოლო დანარჩენ ნაწილებში კი 1 წლითა და 8 თვით. ინფორმაციის მოწოდებისთვის მადლობას ვუხდობ ბაგონ დიმიტრი სილაქაძეს.

12. XII. 1920. კვირა

ეს კვირაც გავიდა, როგორც ვუყურებ განვლილ დღეებს კმაყოფილი არ ვარ, არაფერი რიგიანი არ წამიკითხავს, არაფერი საგულისხმო, თვალსაჩინო არ გამიკეთებია. ერთი კვირა, და რამდენი ამისთანა კვირა, დღეები, თვეები და წლები მეკარგება. ღმერთო მეც არ დამკარგო, არ დამივიწყო ქაშთან ერთად, მაგრამ ახლა განა დაკარგული არ ვარ – დაკარგული, რა მწარეა ამ აზრთან შეგუება.

ძალიან ველავ, მაგრამ ისევ ვნელდები, მიცხრება აღშფოთება და მზად ვარ კაცს გადავეხვიო, ვაკოცო, დავივიწყო წარსული.

ოჰ, რამდენი ცოდვა არის ადამიანის კისერზე და რა დიდი ცოდვილი ვარ მე. დავაბრუნე რენანის „მოციქული“ და მის მაგივრად შოთა რუსთაველი ავიღე.

„ორი კომუნიზმი“ მღევნის – დღეს მითხრეს, რომ წიგნი ყოფილა ლუნაჩარსკის³⁴ „Социализм и религия“ – რენანის წიგნებიდან ლუნაჩარსკი-ზე გადასვლა საინტერესო იქნება – რენანი ოქროა, რომელიც მეცნიერულად დასაბუთებულ პასუხის გაცემას ცდილობს, მაგრამ ეცყობა ასევე რომ ღრმა მორწმუნეა, მუხლს იღრეკს ქრისტეს წინაშე – სახარება აღაფრთოვანებს – მისი წიგნით ეკლესიამ შეიძლება ბევრი სიკეთე მოიპოვოს, მაგრამ ლუნაჩარსკის წიგნი წარმოდგენილი მაქვს როგორი იქნება – ესლაც ვგრძნობ, მაგრამ საინტერესოა მაინც მისი წაკითხვა, ნეგავ სადმე ვნახო.

ცხოვრება და სიკვდილი ადამიანურია.

შოთა რუსთაველის ნაძრახი ცხოვრების მგმობელი მთელი თავისი სიდიადით მიდგება გულში.

„თეთრი ზამბახი“ მომბებრდა, მაგრამ მაინც უნდა დავამთავრო, დღესვე წინ წავწეე.

დღეს რაბათში საყდარში³⁵ ვიყავი. მონაზონმა ქალწულმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა – აი, ყველგან ეკლესიებში, რომ იყვნენ ასეთი სათნოებით მოსულნი მანდილოსანი ჩვენი ეკლესია მაჯისცემას დაიწყებდა, ეკლესიური ორგანიზმი გაცოცხლდებოდა. ესლა კი მკედარი, მიდუნებული და მხოლოდ ასეთ მანდილოსნებს ძალუძთ მის გაცოცხლება, ისე როგორც მარიამ მაგდალინელმა, მარიამ იაკობისამ, სალომემ³⁶ და სხვებმა გააცოცხლეს ქრისტე და ქვეყანას სასიხარულო ამბავი ახარეს, ვეცდები ეს ქალი ახლოს გავიცნო.

34 ანაგოლი ვასილის ძე ლუნაჩარსკი (1875-1933), პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ლიგერატურათმცოდნე. 1917-1929 წლებში სსრკ განათლების სახალხო კომისარი.

35 წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია (IX-X საუკუნეების) რაბათის გერიტორიაზე მდებარეობს.

36 „ხოლო იყვნეს დედანიცა, რომელნი შორით ხედეიდეს, რომელთა თანა იყო მარიამ მაგდალინელი და მარიამ იაკობისი მცირისა და იოსეს დედა და სალომე“ (მარკოზი 15:40).

13. XII. 1920 წელი. ორშაბათი

დღეს ერთი რამ ვისწავლე, აქამდე თითქოს ბრმა ვიყავი და ესლა თვალე-
ბი ამეხილა.

სალამოს ჯიბოსთან პურის სათხოვნელად ვიყავი, გვარდიელების
დღე იყო, ყველანი წარმოდგენაზე წავიდნენ Panem et circenses³⁷ – ჩვენი
შიკრიკი ჭკადუა გავაგმავენე და ჯიბომ მე მომანდო ვახშმის ალება (ამას
არავითარი მნიშვნელობა არა აქვს). საქმე იმაშია, რომ ჯიბოსთან მი-
ვდივარ პურის სათხოვნელად. ჯიბო განგებ დამემალა, გარეთ გავიდა,
რასაკვირველია, იმიტომ რომ არ უნდოდა პურის მოცემა – მე მივხვდი
– მაგრამ განა მიხვედრაა საჭირო... ჯიბოს მოქალაქეობრივი გამბე-
დაობა აკლია, მითხრას, რომ არ შეიძლება, გამლანძლოს, გამომაგლოს.
მე კიდევ მოქალაქეობრივი შეგნება მაკლია, ამრი და ალლო, რომელიც
გრძნობს კაცის უსიამოვნებას და კაცის გულისყოფას, მიმოხვრას და მის
საიდუმლოებას ვგრძნობ, ვიცი, მაგრამ დამხრჩვალის არ იყოს ხავს რომ
ეჭიდება, მეც ისე შემართება, სოფლიდან დაშორებული წერილების წერას
ვანდომებ დროს.

როგორ მაგყუებს ელენე³⁸, მისგან ერთი წერილის მეგი არ მომხვლია.

დღეს სახლიდან წერილი მივიღე, დედა³⁹ მწერს⁴⁰ თვალეების ტკივილ-
ზე – ღმერთო შენ დაიფარე, დაიხსენი, ღმერთო ნუ დააბრმავებ. როგორ
მეშინია, ესლა ამ სიკეთის დროს, როდესაც დედა გვყავს – ძველი ჭირი და-
ვიწყებულია, ბოლმა და დარდი წყლისთვის გაუგანებია, ესლა რომ რამე
დაემართოს, ნუ იქნება ეს უფალო. დაიცავი მხევალი შენი კაცთა მოყვარე.

როგორ წავა შემდეგში ჩემი ცხოვრება, რა გზას დავადგები ან რა
მიმართულებას მიიღებს – მომიწევს გერმანიაში წასვლა ან ისევ სოფლის
მასწავლებლობა, შეიძლება სოფელში მასწავლებლობაც სანაგრელი
გამიხდეს.

ჯიბოსთან წმინდა მეგობრობა მსურს, მთელ ბაგერეაში ამისთანა კარ-
გი, წმინდა გულის ჯარისკაცი არაა – და მხოლოდ ამ ჩემი პურის თხოვნით
ვიშორებ ... მაგრამ როცა მომშივდება, მომინდება პური, როდესაც ვახშმად
კარგოფილი წვენი იქნება როგორ მოვერიო, როგორ უნდა მოვიშორო ეს

37 „Panem et circenses“, „მიეცით ხალხს პური და სანახაობა“, რომელი იმპერატორი გაიუს
ოქტავიანე ავგუსტი ძვ.წ. I საუკუნე.

38 ელენე ბარნაბიშვილის წერილი გრიგოლ ფერაძისადმი, სთხოვს 400 მანეთის ოდენობით
ფულის სესხებას. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული
ცენტრი.

39 მარიამ სამაღალაშვილი (1868-1932), ბაკურციხის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის
წინამძღვრის რომანოზ ფერაძის მეუღლე (1864-1905).

40 დედის წერილი გრიგოლ ფერაძისადმი. კერძო ხასიათის. უთარილო, ავტოგრაფი, კორნე-
ლი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ცული ჩვეულება – როდესაც მომშვიდება წავიკითხავ ამ დაწერილს ან თუ უფული მექნება პურს ვიყიდი.

გელათის მონასტრიდან განძის გაგანამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. წავუკითხე ჯარისკაცებსაც და ყველანი აღშოთდნენ – გაბეთის ნომერს ვინახავ. გარდა ამისა, კათოლიკოსს თანაგრძნობის წერილი მივწერე. ვფიქრობ ქორდანიასაც⁴¹ წერილი მივწერო, მაგრამ ჯერ ვერ ვბედავ. რა გაბედავა საჭირო მოქალაქეობრივი მოვალეობაა ჩემი, მითუშეგეს როგორც მორწმუნესი.

პაგრიარქი ლეონიდესთან⁴² მესამე წერილს ვაგზავნი – ის ორი მიღებული აქვს – მინდა გელათის თაობაზე პაგარა წერილი დავწერო გაბეთ „საქართველოსთვის“.

14. XII. 1920. სამშაბათი

რა საშინელია ჩვენი ეკლესიის მდგომარეობა - საშინელი, განგება დიდი განჯავა და განცდა მიაყენა მას. აიგანს თუ არა ესოდენ მძიმე გვირთს. მთელი ეკლესიის გამომხატველი კათოლიკოსია. კირიონმა⁴³ ვერ აიგანა და ამ მძიმე გვირთის ქვეშ დაეცა, მოიღრიკა, კათოლიკოსმა ვერ აიგანა ტალღებთან ბრძოლა, პაგრიარქი ლეონიდეს მაგრდება, მაგრამ ისიც მსხვერპლია ეკლესიისთვის, მგარაკად შესაწირავი და მხოლოდ თავისი სიკვდილით სხვის სიკვდილს დათრგუნავს, სხვა გზა არაა.

წავიკითხე კათოლიკოსის პროტესტი გაბეთ „საქართველოში“ და მისი წერილი ქორდანიასადმი, მაგრამ ამ გელათის ტრაგედიამ რამე გამომხატურება ჰპოვა საზოგადოებაში, ვინმემ აიმაღლა ხმა — ითქვა კიდევ რამე. არა, არა, არა.⁴⁴

კათოლიკოსის პროტესტი დარჩა, როგორც ხმად მლაღადებლად უდაბნოსა შინა – რა საშინელებაა, ვკანკალებ, როდესაც მესმის ეს ხმა საერთო სიჩუ-

41 ნოე ქორდანია (1868-1953), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე 1918-1921 წლებში. საფრანგეთში საქართველოს ემიგრაციული მთავრობის მეთაური, გარდაიცვალა პარიზში 1953 წელს.

42 ლეონიდე ოქროპირიძე (1861-1921), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პაგრიარქი 1918-1921 წლებში. სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთვის აქტიური მებრძოლი.

43 წმ. კირიონ II კათოლიკოს-პაგრიარქი (ერისკაცობაში ვიორგი ერონიმეს ძე საძაგლიძე-ელი) (1855-1918). 1917 წლის I საეკლესიო კრებაზე არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პაგრიარქად. 1918 წლის 27 ივლისს მარტყოფის საპაგრიარქოს რეზიდენციაში მოკლეს. სსენების დღე 9.VI (ძვ.სგ. 26.VI).

44 დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი საკითხი გელათის საგანძურის გაგანა იყო. მენ-შევიკებს მიანდათ, რომ ეროვნული განძი სახელმწიფოს ეკუთვნის, ეკლესიის აზრით – სამღვდელეობას. „სამღვდელეობის შავი ლაშქარი დემოკრატიას ესხმის თავს“, გაზ. „ერთობა“, 1920 წლის 11 დეკემბერი, № 283.

მეში, „Выстрелы в глухую темную ночь”. თვალები მიბრმავდება, როდესაც სინათლეს სიბნელში, უკუნეთში გამონაკრთობს ვხედავ და მიკვირს. მხოლოდ ამის ახსნა მწაღია ამ გაკვირვების ახსნა. ნუთუ გამოძახილს არ იწვევს სხვისი სულიდან, გულიდან ეს პროტესტი უწმინდესობისა, ნუთუ ეს ბანს არ აძლევს მას, გარემო, მონათესავე სული. საშინელებაა ერთადერთი ხმა, ერთადერთი სინათლე, ერთადერთი გყვია ბნელეთის სამეფოს წინააღმდეგ და კვალე სიჩუმე, კვალე სიწყინარე.

ოჰ, როგორ დაცემული ჩანს ჩვენი ერი, როგორ მნებობრივად გახრწინლა იგი – გაბილწებული – ჯეროსანი ქართველი ისტორიას ჩაბარდა და მის ნაცვლად ვიდაც გონება-გვინგალეული დათარეშობს. ღმერთო, შენ დამიფარე ასეთი მწვავე ამრებიდან, მომაშორე ასეთი უნუგემო, ბოროტი ფანგამია ჩემგან.

მწამს ჩვენი ერის ღიადი მომავალის – იგი ყველაფერს ითმენს, მაგრამ ხახულის სიწმინდის შეგინება რომ მოითმინო – კათოლიკოსის პროტესტი ვერ ნახო, ყოველი ქართველის გულში ვერ იპოვო გამოძახილი, ვისაც ჯერ ქართველური სული არ დაუკარგავს, მაშინ სიცოცხლე არ ღირს – სიკვდილი ჯობია.

მე დავემსგავსები იმ სხვა საუკუნის გვიან მგზავრს ვალაქტიონ ტაბიძისა⁴⁵ არ იყოს – ან როგორც დავითაშვილი მეუბნებოდა ხოლმე „შენ შუა საუკუნეებში უნდა დაბადებულიყავი“.

თუ რამე ნიჭი მაქვს ან კეთილშობილება – ეს ორი საქმე უნდა გავაკეთო – მივწერო წერილი ჟორდანიას, უსახელო კი არა, რა საჭიროა უსახელო, და პაგარა წერილი ვაბეთ „საქართველოში“ გავაგზავნო დასაბეჭდად.

ღმერთო, შენ დამეხმარე, ერთი მხრივ კიდე გამოვიცდები.

15. XII. 1920 წელი

როგორც იყო დავამთავრე დოსტოევსკის⁴⁶ წიგნი „Униженные и оскорбленные”,⁴⁷ ძალიან მომეწონა – შესანიშნავი წიგნია – მაგრამ ადამიანის განჯვა გადამეგებულია - ვანა ქვეყანაზე იმოდენა განჯვა იქნება, რამდენიც ამ წიგნშია დახატული. ალიოშა, ვანია მისი გმირები არიან და ყველაზე საჭიროა ცალკე დახასიათების დაწერა. ეს ჩემი შემდეგი სამუშაო იქნება.

45 ვალაქტიონ ტაბიძე (1891-1959), პოეტი, პოემიის მეფედ წოდებული. მისი ლექსების პირველი კრებული 1914 წელს დაიბეჭდა, ხოლო ლექსების მეორე კრებული „არგისტული ყვავილები“ 1919 წელს. სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

46 თედორე დოსტოევსკი (1821-1881), რუსი რომანისტი, მწერალი და ესეისტი.

47 „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი“ (*Униженные и оскорбленные*) 1861 წელს გამოიცა.

16. XII. 1920 წელი. დეკემბერი

ისევ გელათის შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ და მიკვირს, რაგომ კათოლიკოსის პროტესტი გამოსმაურებას არ ჰპოვეს, ხმა მღალაღებლად უღაბნოსა შინა.⁴⁸ უცნაურია ჩვენი ერის ფსიქოლოგია, მარმაცი — მოუხეშავი, მის წმინდათა-წმინდას დასცინიან და ქელავენ და იგი გაჩუმებულა, ხმას არ იღებს, რა საშინელეაა.

საქართველოში ბოლშევიკებმა მენშევიკებს⁴⁹ ბრძოლა გამოუცხადა და ყველაფერი შეიწირა – სიმართლე და დაგანჯული ეკლესიაც.

ღვთის წინაშე არ მეგონა, რომ საქართველო მორწმუნე და ნამდვილი ხალხის ინტერესების დამცველის პოზიციას დაიჭერდა. შეიძლება ცოცხალი იქნებ ბევრიც აქ ერთგვარ პარტიობას, პარტიულ ინტერესებს უკავია, მაგრამ ამით სურთ ისინი თავისკენ მიიმხრონ, მიიზიდონ სინდის შეგინებულებიც, მაგრამ ეს გარემოება და მოსაზრება არ მიკარგავს იმ დიდ აღფრთოვანებას და მუხლმოდრეკას საქართველოსადმი. ... ახალციხეში ყველაფერს მოშორებული ვარ, გაბეთები კანტი-კუნტად მოდის და ამის გამო საშუალება არ მაქვს ყველაფერს თვალ-ყური ვადევნო. შეიძლება თბილისში გაცხარებული, საშინელი ბრძოლაა ამის თაობაზე, მაგრამ აქ ჩემამდე არაფერი არ მოდის და უცნაურ დასკვნებსაც ვადგები.

გელათის მონასტრიდან გაზიდულ ნივთებს შორის, თამარის ქოშების გარდა, ყველაფერს რელიგიურ, სარწმუნოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. მთავრობამ ხომ გამოაქვეყნა, რომ არ შეიძლება რელიგიური მნიშვნელობის განძეულობის გაგანა, მაშ რისთვის გაიგანა?

ამკარაა და ნათელი, რომ მენშევიზმი კრახს განიცდის და შემოდგომის ბუზბივით არ იცინა ვის უკბინონ, ვის დაესიონ მკლავზე – მაგრამ ამათა ეკლესიას ამით ისინი ვერ დასცემენ. პირიქით, მორწმუნეებს უფრო აამხედრებენ და აღაშფოთებენ და განა ამჟამად საჭიროა ვნებათა ავღმზნება და მოქალაქეთა ჩხუბი, ისედაც არეულ-ღარეულია სახელმწიფოს საქმეები და მენშევიკები კი თავისი უგაქტობით უფრო ურევენ ისედაც ამღერეულ წყალს.

ამ გრაგელაში ცხადია მენშევიზმი ბოლშევიზმისკენ ისრება და ჩქარა მოვა დრო, ძალიან ჩქარა, როდესაც თვით ქორდანი და მისი კომპანია უფრო უკიდურესი ბოლშევიკები გახდებიან – ვიდრე ლენინი-გროცკითურთ.

ეკლესიების დარბევა, კათოლიკოსის მასხრად ავღება და მას ვისაც სრულიად საქართველოსთვის ქართული სული არ დაუკარგავს, საქართველოში მოსახელებობის დიდი ნაწილი მისი პატივმცემელია და ქორდანიამე

48 მათე, თავი 3. 3

49 მენშევიკები (რუს. меньшевик, „უმცირესობა“), 1917 წლიდან ცალკე პოლიტიკური პარტია. მენშევიკებმა განსაკუთრებულ წარმატებას საქართველოში მიაღწიეს. პარტია ფორმალურად აიკრძალა საბჭოთა რუსეთის გერიგორიამე 1921 წლიდან.

გაცილებით მაღლა აყენებს. ჩემთვის პირადად, როგორც სასულიერო კაცისთვის მნიშვნელოვანია კათოლიკოსის როლი და დიდებაც რომ დამიდონ – ვირჩევ მას.

ბეჭდვითი თავისუფლებაც მოჭორილია, თორემ სადა არის იგი – შეიძლება ჩქარა, რუსული ბოლშევიკური „პრავედა“-სი⁵⁰ არ იყოს – ბურთი და მოედანი ერთობას დარჩეს – უკეთ არგუნონ მათ თვით მენშევიკებმა, უკვე ბოლშევიკურ ტანში მოვლინებულებმა. შრომითი ბეგარის იძულებით შემოღება – წითელი არმია – იგივე გვარდიაა – პრეგორიანელები – გარშემო გახტთან მეუფისა.

ღმერთო, ჩქარა გადაიაროს ამ რისხვამ, ამ ჯოჯოხეთურმა დრომ. ღმერთო, როგორ მინდა პატარა წერილი დავბეჭდო და ვერ ვახერხებ.

31. XII. 1920 წელი. პარასკევი

ღღეს ოცდათერთმეგია – ორი კვირაა დღიური ხელში არ ამიღია, თბილისში ვიყავი 20-28 დეკემბერს. ჩამოსვლის შემდეგ ვერაფერს ვწერ, შთაბეჭდილებები ბევრია.

ნაკაშიძეებს მესამე წერილი გავუგზავნე, თუ პასუხი არ მომივიდა მასთან ყოველგვარ კავშირს გავწყვეტ... გიორგი გარსიაშვილს წერილი გავუგზავნე...

კათოლიკოსთან საუბარი ცალკე აღწერის ღირსია, გაბრუმა ჩაჩანიძეს⁵¹ ღირსების მოყვანაც საჭიროა. რამდენ ხალხს ვიცნობ, მამა პავლეს და სხვებს.

სხვა რაღა ვწერო – მგონი სრულად ამოვიწურე.

ღმერთო, ხვალ ახალი წელიწადია, ღღეს დახურულ კარებთან ვდგავარ, შიშით და მოკრძალებით ვიცქერი – ეს მომავალი ახალი წელი რას მომიტანს. გავთავისუფლდები თუ არა სენისგან, რომლითაც ეხლა შებოჭილი ვარ – გამორიყული ამხანაგებიდან და რომელიც მთელ ცხოვრებას მიშხამებს. შევისწავლი თუ არა რიგიანად გერმანულს, აი ეს ორი საკითხი, მაგრამ მესამე უფრო მნიშვნელოვანია თუ როგორ წავა ჩემი ცხოვრება, რა შინაარსის იქნება, არ ვიცი და ეს მახორობებს. ჩემი ცხოვრების მსოფლმხედველობა, მომავალი გადაწყვეტილი არ მაქვს – უკანასკნელი სიგყვა არ მითქვამს, როგორი იქნება იგი და ამას მიჩვენებს ეს ახალი წელი. კრძალვით, შიშით ვდგავარ ამ ფარდასთან – რას მომიტანს იგი?

50 „პრავედა“, („სიმართლე“), რუსულენოვანი საბჭოთა კავშირის წამყვანი გაზეთი. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოფიციალური ორგანო 1912-1991 წლებში. გაზეთი დაიხურა 1991 წელს პრეზიდენტის ბორის ელცინის განკარგულებით.

51 გაბრუმა ჩაჩანიძე, მიგროპოლიტი გაბრიელი (1901-1956), გრიგოლ ფერაძის სასულიერო სემინარიის მეგობარი. 1921 წელ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, სადაც შემდგომში კითხულობდა ანტიკური და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიას. დაკრძალულია სიონის გაძრის ვალაყნში.

დღეს პანაშვიდზე მაიორის ძმის წლისთავზე ვიყავი, ღმერთო, რამდენი რამ შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში. რა ნეგარება და სიამოვნებაა ქართული პანაშვილის მოსმენა, რა წარმგაცი სიტყეებია, ღრმა აზრები. რა უბედურებაა, რომ სმენა არ მაქვს.

ხვალ ლეონიძესთან წერილს დავწერ და ვთხოვ, რომ „ჭაშნიკი“⁵² გამო-მიგზავნოს.

პანაშვილის შთაბეჭდილება ყურებში ჩამკვივის და გონება საესეა მწუხარების განცდით, რაღაც სიამოვნებას და ესთეგიურ კმაყოფილებას მაგრძნობინებს ჰანგი: „სულთა და წმიდათა თანა ღმერთო“.⁵³ მთელი დღე საღაც ვიყავი, ბევრი ვიარე, სულ ყურში ჩამწიოდა, გონებაც, მეხსიერებაც თითქოს ამოძრავდა და შორეულ წარსულში მომაგონა მივიწყებული

სემინარია, გაზაფხული. მე უწმინდესს დავეუხლოვდი, გამოცდების უკანასკნელი დღეებია, (მგონი კიდეც დავამთავრეთ), ვიდექი სემინარიის წინ კარებთან – საღამოა სიბნელით მოცული ეზო, ბალახი ნამით იბანება და ჩვენ გაციება მოგველის, მაგრამ არ ვინძრევით, ვზივართ, ბინაში შესვლა სულ არ გვაგონდება – რამ გავვართო ასე – რამ დაგვიმორჩილა? მე ვგალობ (ბულბულის სმა არ მაქვს) „სულთან და წმინდა თანას“ – და უწმინდესს მოსწონს, მის თვალებზე ცრემლმა გაიკვლია, ბედნიერი დრო. მართლაც, რა მშვენიერია ეს დღეები, რა სიმძლავრე და ამასთანვე უბრალოება გამოისახება მასში – გულიდან ამონადენი, ამონასროლი, გულის პასუხია, სულიდან ამოსული კივილია შეშინებული არსებისა, რომელსაც სიკვდილის შიში განუცდია. გრძნობს ყველაფერს, ესმის არარაობა, მაგრამ გონებას დიდ ნებას არ აძლევს – ეშინია. გონებას უკანასკნელი ილუმინები არ მოჰკლას, არ გაუმწარებს ისედაც გამწარებულ ცხოვრებას. ეს მელოდიები, მხოლოდ გონების დაუკითხავად ინთხევიან, გაზაფხულის მდინარესავით. ერთი არგისტკა იყო ვარა (ჟორჟ დე მარტანის⁵⁴ ცოლი), რომელსაც ეს ლოცვები ძალიან უყვარდა, მუდამ ამას გალობდა, იძახდა, რომ მოვევლები ჩემთვის დიდი ბედნიერება იქნება, რომ ეს ჰიმნი ჩემზე იგალობონ – თავისთავად არაფერი ესმოდა. საშინელება არ არის, რომ გონებაში „სულთა თანა“ მომდის.

ძალიან მეშინია, წლევეანდელი დღე ხომ სარკეა მთელი წლის მოქმედების და ცხოვრების, გადმოცემით, როგორც დღეს მოიქცევი ისეთი იქნება მთელი

52 „ჭაშნიკი“ – სინჯი ღვინისა. ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი 1978, გვ. 559.

53 მიცვალებულის საგალობელი, „სულთა თანა“. ქართული გალობა, ათნოლოგია. შემდგენ-ლები და მუსიკალური რედაქტორები: ლევან ვეშაპიძე და სვიმონ (ჯიქი) ჯანგურაშვილი. ტომი I, თბილისი 2016, გვ. 375-378.

54 ჟორჟ დე მარტელი (1878-1940), ფრანგი დიპლომატი. 1920 წელს დაინიშნა საფრანგეთის უმაღლეს კომისრად ამიერკავკასიაში.

წელი და მეშინია ამ ახალმა წელმა და „სულთა და წმინდათა თანა“ არავინ თვისგომი არ მომიკლას, მაგრამ დიდი ბავშვობა გამოვიჩინე, რა ჩემი საქმე იყო პანაშვიდზე წასვლა, თუმცა ყოველი მოქალაქის მოვალეობაა.

დმერთო, ახალი წელი რა ცუდად გამიგარებია ამ ნაწერს რომ ვკითხულობ – ჭკადუა ღავგოვე კანცელარიაში და მე კი ხეგიალი ღავიწყე გარნიზონში.

ახლა ღაპარაკი, ცუდი ღაპარაკი ღამჩემღა – წინააღმდეგ მივღივარ – ჯანღაბას – რაც უნღათ ის გაკეთონ, მე მხოლოდ მაყურებელი ვიქნები და ყველაფერს ჩემს დღიურს გავუზიარებ.

დღეს ძალიან მებრალება ორი პირი – მაიორი, რომელსაც ატყუებენ, მაგრამ ვერაფერს იგებს, ჯამაგირით კმაყოფილღება. ღვთისნიერი, უწყინარი კაცია. ერისთავი – ქურდი, გაიძვერა. მებრალება, რომ მას მოქალაქეობის შეგნება აკლია, ღემოკრაგიაში, სამშობლოს სიყვარული და ეღემენგარული შეგნება, მაგრამ მეგი რაღა უნღა მოეკითხოს ოფიცერს - პროტექციით წამოსკუპებულს, უსწავლელს, თუმცა ჩემთვის არფერი არ ღაუშავებია, ცოგას ვღაპარაკობ მასთან – შემღეგში მას სრული ღახასიათება სჭირღება.

1921 წელი

1.1. შაბათი

აი ახალი წელიც, საჭიროა თავიღან ღაწყება, საღამოს თორმეგის ნახევარამღე ვიჯექი კანცელარიაში. თორმეგამღე ვეღარ მოვითმინე, ჯიბეში ჩურჩხელები და ვაშლები მეღაგა, ვკითხულობდი ბიბლიას. მაიორი შემოვიღა მითხრა, რომ ჯარისკაცებში ჩვენზე უკმაყოფილოები არიან ინგლისური განისამოსის ღარიგების გამო. მაიორთან მესხის თავმჯღომარეობით დელეგაცია ჩამოვიღა. მე, ღვთის წინაშე დიდი წინღაუხეღაობა გამოვიჩინე, რომ სამხეღრო ფორმა გამოვართვი, ღამავიწყღა ჯარისკაცის ფსიქოლოგია „ან ყვეღას – ან არავის“.

ღიღას აღრე ავეღექი, ჯერ წყაროზე ხელ-პირი ღავიბანე, შემღეგ კანცელარიაში ღამფა ავანთე და ბიბლიის კითხვა ღავიწყე – მერე მაიორს მივულოცე, შემღეგ მთელ ახალციხეში უმიზნო, არაფრით გამართლებული ხეგიალი ღავიწყე. საღამოს, თეატრში მაიორისა და ათი ჯარისკაცის თანღასწრებით „არგიღერშიკების“ შესახებ საგულისხმო საუბარი მქონღა, ძალიან აღელვებული ვიყავი.

2. I. 1921. კვირა

დღეს კვირაა, რაბათში ვიყავი, თუმცა აქ ფოჩგასთან ახლოს საყდა-რია,⁵⁵ მაგრამ მე მაინც რაბათის საყდარი მირჩევნია,⁵⁶ იქ უფრო ღოცვის გუნებაზე ვდგები. მეათე ათასეულის ჯარისკაცები მუდამ შემოდიან, სანთლებს ანთებენ და ისევ ჩქარა გადიან, მთელი წირვა სამს არ ჰქონდა მოსმენილი. საყდარში მათი დანახვა მახარებდა, ძალიან სასიამოვნო იყო ჩემთვის, მაგრამ მწყინდა, რომ წირვას არ ისმენდნენ და მყის გადიოდნენ. მაგრამ ჯარისკაცებს ეს ეპატიებათ – მართლაც წირვა, რომ არ მოისმინონ განა ქრისტიანები არ არიან? – ეს რუსებმა იცოდნენ, შეეძლოთ დღეში სამი ლიტურგია მოესმინათ, საყდარში მუხლი მოედრიკათ, ცრემლად ქცეულიყვნენ და ეს ყოველივე არ აბრკოლებდა მათ ცხოვრებაში ყველაფერი სისაძაგლე და წარმართობა ჩაედინათ.

ერთხელ კათოლიკოსს ვუამბე პორუჩიკ ალექსანდროვზე, რომელიც რადიო ელექტრო-ტექნიკას გვიკითხავდა, ვუთხარი რომ ის მონაწილეობას სასახლის, სამხედრო გაძრის და სახაზინო თეატრის აფეთქებაში იღებდა. „Я должен знать, он был смирен и в церковь ходил и посещал храм, одноко это не помешало ему взять на себя грех и убить людей“ – რუსულად თქვა პაგრიარქმა ლეონიდემ – „ჩვენი ხალხი ასეთი არ არის – ქრისტიანული სული ძვალში და რბილში აქვს გამჯდარიო“.

მინდა შობას ერთი პაგარა ქადაგება წავიკითხო – შევეუდგები მომზადებას. – გუშინ ჯონ ლოკის⁵⁷ „Idols“-ის კითხვა დავამთავრე.

აწყურებიდან ოთხი ვერსის მანძილზე არის ძველი მონასტერი თისელი⁵⁸, ძალიან მაინტერესებს. მაიორს უნდა ვთხოვო, რომ სამი დღით გამიშვას გაზაფხულზე, დავათვალიერებ და მოვილოცებ. თუ ღმერთი მოწყალეა არქიმანდრიტი პავლე ჩამოვა და მასთან თანხლებით შემოვივლი საფარას⁵⁹ და

55 საყდარი საყდარულად საბჭოთა პერიოდში დახურეს და მერე დაანგრიეს. 1923 წელს სგალინის ანტირელიგიური პოლიტიკის შედეგად საქართველოს გერიტორიაზე 1212 ეკლესია დაიხურა.

56 ახალციხის წმ. მარინეს სახელობის ტაძარი.

57 უილიამ ჯონ ლოკი (1863-1930), ინგლისელი მწერალი. *Idols by William John Locke*, Cambridge 1911.

58 თისელის ღვთისმშობლის ეკლესია XIV-XV საუკუნეთა მიჯნით თარიღდება. ძველი მონასტელა გრაფინია უვაროვამ XIX საუკუნის ბოლოს და ექვთიმე თაყაიშვილმა 1902 წლის ექსპედიციის დროს.

59 საფარის მონასტერი, სამცხის მფლობელ ჯაყელთა ერთ-ერთი რეზიდენცია. დაარსებულია არა უგვიანეს X საუკუნეში. საფარის მონასტერში მოღვაწეობდნენ კათოლიკოსი არსენი (IX ს.), ივანე და გაბრიელ საფარელები (X-XI), იოანე მტბევარი (XII ს.), მწიგნობარი ეფრემი (XII-XIII) და სხვა. ექვთიმე თაყაიშვილი, *Сафарсий монастырь, его надписи и остатки стеной росписи*, თბილისი 2018, გვ. 69-85.

ვარძიას⁶⁰ ვნახავ კუმურდოს⁶¹ – ჩქარა მოვიდეს ეს ბედნიერი დღე.

ხვალინდელი დღის მოვალეობაა ორი წერილის დაწერა – ლაუდენბახთან და არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძესთან.

3. I. 1921. ორშაბათი

სალამოს ქადაგება დაწერე – წავუკითხე ვაჩნაძეს და თაბაგარს – ულფანიანიც აქ იყო და ძალიან მოეწონათ. ვაჩნაძემ თქვა: „მე ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამისთანა ქადაგებას დაწერდიო“ – ერთგვარი პატივისცემაა.

დღევანდელ შთაბეჭდილებებში ერთ ამრს დიდი მნიშვნელობა აქვს. მაიორმა მითხრა: „თქვენ ბევრს ლაპარაკობთო“, შემდეგ დასძინა „Вы забываете что Вы должны слушаться“, ამაზე მეტი შეუძლებელია ბიუროკრატიზმი.

დაგვიწყებია დრო, რომელშიც ცხოვრობთ – მე არ ვარ „სალდათი“. მე ვარ ჯარისკაცი, ახალი ჯარისკაცი, განახლებული სახელმწიფოსი. მე ყურმოჭრილი მონა კი არ ვარ, „Послушный“, ქურდი ერისთავის ან შეუგნებელი უგულო ზემდეგის კაპრიზების ამსრულებელი. მე ვარ მოქალაქე და ვამაყობ, რომ ჯარისკაცი ვარ.

მძულს „სალდათობა“, ძირს „სალდათობა“.⁶²

4. I. 1921. სამშაბათი

მაიორს დღითიღვე ვძულდები და ვეჯავრები, რატომ შემძულა? არ ვიცი, ვიცი მხოლოდ ერთი მიზეზი – „ბევრს ლაპარაკობო“. ჩუმად რომ არ ვარ და სიმართლეს პირში ვეუბნები – მაგალითად გუშინ ერისთავმა გული წაიღო,

60 ვარძია, კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი (XII-XIII სს.), გამოკვეთილი ერუშეთის მთის კალთაზე 500 მეტრის სიგრძის 13 სართულიან კლდეში. მონასტერი დიდი როლს ასრულებდა ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ვარძიაში მოღვაწეობდა იოანე შავთელი, რომელმაც იქ შექმნა „გალობანი ვარძიისა ღვთისმშობლისანი“. მონასტრის წიგნსაცავიდან შემორჩენილია ვარძიის ოთხთავის დასურათებული ხელნაწერი (XII ს.). ვარძიაში ღვთისმშობლის მიძინების გაძარის კედლებზე ქრისტეს ცხოვრების ამსახველ სცენებთან ერთად გამოსახულია გიორგი III-ისა და თამარ მეფის პორტრეტი. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი 1971, გვ. 263-267.

61 კუმურდო (X ს.), ქართული საკათედრო გაძარი, რომლის ნანგრევები შემორჩენილია სოფელ კუმურდოსთან. მონასტერში მოღვაწეობდნენ იოანე კუმურდოელი (X ს.) და ზოსიმე (XI ს.). კუმურდოს მახლობლად აღმოჩენილია უძველესი დროის ნამოსახლარი.

62 საქართველოს მთავრობის პოლიტიკა იყო ჯარისკაცებს გაერჩიათ, არსებული სამხედრო-სავეალებულო სამსახური და ჯარისკაცის საპატიო მოვალეობა. მისი სამოქალაქო უფლებები და მოვალეობა. ეს განწყობა აისახა გრიგოლ ფერაძის ჩანაწერებში. იხ. დ. სილაქაძე, დემერგირობის პრობლემა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში (1918-1921 წწ.), ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, თბილისი 2011, გვ. 389-391.

თავის კაპტენარმუსი⁶³ არ ჰყავს და სულ მე მამუშავეებს, რაღაც სამუშაოს მოცემა მოინდომა – სამუშაო, რომელიც ძალიან რთული იყო – „Вы вечером заставьте Улфаяна, Селезнёва. Селезнёву прикажите это и работайте вдвоём” - მე ვუთხარი, „რაც ჩემი წილადი სამუშაოა ის მომეცით მეთქი, რა ჩემი საქმეა ან მე უფლება მაქვს, რომ სელეზნიოვს ვუბრძანო, რომელიც უფროსის მდივანია ან კიდევ სხვებს“.

მაიორმა ეს იწყინა, თავხედობად ჩამომართოვა, გამლანძლა და ამისთანა მაგალითები ბევრია, თითქოს საბაბს დაეძებს, რომ დამგანჯოს... დღეს კნუტი აიკვირება, თითქოს დაკარგულა და დაგვემუქრა თუ არ იპოვითო...

კულტურის გასაზრცელებლად სკოლას ხსნიან, მაგრამ მე სულ სხვა ამრის ვარ – ჯარისკაცებს სახლში წასვლის ყოველგვარი ხალისი აქვთ დაკარგული. ჯარისკაცებსა და ოფიცრებს შორის ერთგვარი სულიერი განცდა არ არსებობს. პირველი – მეორეს როგორც ღმერთს, მეუფეს ისე შესცქერის, შიშით და ძრწოლით. მეორე კი – პირველს ისე უყურებს, როგორც „სალდათს“, მისი ბრძანებების, ყოველი კაპრიზების შესასრულებლად. გულში ამრი აქვთ დაბურებული, რომ მხოლოდ „შიში შეიქმს სიყვარულსა“, ერთ ხელში მათრახით ვვლინებიან ჯარისკაცებს, გინებით და უშვერი სიგყვებით მიმართავენ. მთავრობამ ბრძანებით უნდა მოსპოს ეს საშინელება. ოფიცრებმა გაიგეს, რომ თუ ჯარისკაცი სცემს ადგილს, ავტორიტეტს დაკარგავს, გამეთებში მისი სახელი გამოქვეყნდება.

მაიორს ისევ ისეთი გული აქვს, უფრო საშინელი და გაალმაცებული, ირონიით ლაპარაკობს, მასხრად იგდებს ჯარისკაცებს – მისი ურთიერთობა აშკარად მოქმედებს ჯარისკაცების ზნეობაზე – ჯარისკაცებს პირუტყვად ხდიან, რაღაც უგონო მანქანად მიიჩნევენ და თუ მათ მიერ გონიერი სიგყვა ითქვა – უკვირთ და ეუბნებიან: „не забывайте что вы Солдат”. კომედია, საშინელი კომედია – დაუსრულებელი. კომედია – სიცილში, ცრემლი გამოსჭვივის და არ იცი საგირალია თუ სასაცილო. „O tempora, o mores!”⁶⁴

დღეს ულფანიანმა ჩემზე ზნეობრივი გამარჯვება მოიპოვა – ერთი ჯარისკაცი გვარად ყარაულაშვილი აბუეგია, თვალების გაშტერება იცის და ერთ წერტილს უმბერს, თან თითქოს სძინავს – სახე აწითლებული, განისამოსი ჭიათურის მადაროდან გამოსულს უგავს. მაიორს სძულს იგი, მის ყოფნას ბაგერეაში დასანახავად ვერ იგანს.

სალამოს მე, სელეზნიოვი და ულფანიანი სანაპირო რაზმელების რეპეტიციებზე ვიყავით. ნაჭყებია, ჯაკობია, ჯავახია, ხარჩილავა და

63 კაპტენარმუსი, (რუს. Каптенармус, ფრანგ.), ევალება საწყობიდან სურსათის, განისამოსის და იარაღის მიღება, რომელსაც შემდეგ ოფიცრებს, ასეულის ჯარისკაცებს ურიგებს.

64 ოპ, დროება! ოპ, ჩვევები! ციციერონის შეძახილი მის საუბარში კაგალინას წინააღმდეგ. მარკუს გულიუს ციციერონი (ძვ.წ.106-ძვ.წ.43), ძველი რომის ყველაზე სახელგანთქმული ორატორი და კონსული ძვ.წ. 63.

სხვები წარმოდგენის გამართვას აპირებდნენ. ჩვენც მოგვიპატივეს მონაწილეობის მისაღებად, სელემნიოვი პასუხისმგებელ გამგედ აირჩიეს, მე კომისიის წევრად, ულფანიანი – რეჟისორად. ლაპარაკი ბევრი იყო, ბევრი ლამაზი სიტყვები დაიხარჯა, მაგრამ საქმით არაფერი გაკეთებულა. რეპეტიციებზე სიარულით გულგაწყალებულმა ჯარისკაცებმა წიგნი მოპარეს – როგორც იტყვიან „დედაბერს მამალი დაუკლეს, რომ დილით აღრე მამლის ყივილი აღარ მოესმინა“. ეს ფანატიკოსი თავისას არ ილის, ყოველ საღამოს რეპეტიციები აქვს, ამაზე დავიწყეთ სიცილი. ამ სიცილში გაგვახსენდა ყარაულაშვილი, მისი გაშტერება. სუმბათამ გაისხენა ამაზე, როცა „კომანდირმა“ რომელიმე ჯარისკაცის შემოყვანა მიბრძანა. წავედი და ყარაულაშვილი შემოვიყვანე, რომელიც ანამბლად მაშინ კარებთან დამეგაკა – „კომანდირმა“ თვალეები დააშტერა და მითხრა: „მასხრად ხომ არ მიგდებ – „პოდსუდში“ მიგცემო“. ესლა ამას ვიგონებდით და ვიციოდით. აზრად მომივიდა ყარაულაშვილის დაძახება, რომ უფრო მეტად გვეცინა, ულფანიანმა უარი განაცხადა, „ცოდოა, ღვთისგან მასეა დაბადებული“. მე მებრალება, ძალიან მეცოდება, მაგრამ მაინც მოვიყვანეთ. ულფანიანმა დარბაისულად გამოკპითხა, არ გაუცინია, „ქაშაც“ შესთავაზა, მის მდგომარეობაში შევიდა – ხვალ ბათუმში მიდის და არც პერანგი აცვია და არც ფეხსაცმელი.

დღეს ლეონიძესთან წერილი დავწერე – ვთხოვე რომ „ჭაშნიკი“ გამოვიგზავნოს.

5. I. 1921. ოთხშაბათი

მეც ციხეში მოვხვდი – ის რისკენაც თითქოს ვესწრაფოდი შემისრულდა. რაღაც უმნიშვნელო, რაღაც სიტყვის გულისთვის, სამსახურის მოვალეობის შეუსრულებლობის გამო ორი დღე-ღამით ჩამსვევს. მიზეზი შემდეგია: რაღაც რიცხვებს ვწერდი, საჭირო იყო ორნაირი მელნით წითელი და შავით სარგებლობა. მაიორის კალამი თავისუფალი იყო, მე ავიღე და დავიწყე წერა. მაიორი შემოვიდა, დაინახა ჩემს ხელში კალამი და ყვირილი დაიწყო, ერთი ალიაქოთი ამიგება. ვიყავი ჩუმად, ხმა არ ამომიღია – როდესაც გაჩუმდა წავიბუტბუტე „СВЯТОЙ СВЯТЫМ“.

გამწარდა, ხელმეორედ ყვირილი დაიწყო, ჩემს სიტყვებს უდისციპლინო მოქმედება უწოდა და ესლა ციხეში ვარ. ყარაულის უფროსი თოფურია თავს დამცქერის, როგორც ჩანს ჭკვიანი და პატიოსანი ვინმე უნდა იყოს, მაგრამ რა ქნას საბრალომ, ესლა მის ხელში გუსალი ვარ. დღეს კაპანაძემ ჩემი დატუსაღება ვერ შემომბედა.

ციხეში ვარ, ჯერ ვერაფერს ვწერ. ჯარისკაცებმა მოხსენების დაწერა დამავალეს სამხედრო მინისტრთან,⁶⁵ რასაც მე შევასრულებ. სვიმონიშვილმა გამაფრთხილა, როდესაც თაბაგარმა თქვა: „წერილს ხელმოსაწერად მე თვითონ დავაგარებო“. მითხრა: „ნუ ენდობი მათ, ხალხი ცრუა – გაუგანელი, თუ შენ ორ ნაბიჯს წინ წარსდგამ, ისინი პირიქით, ორ ნაბიჯს უკან გასდგამენო“.

წერეთელმა კაუცკის⁶⁶ წიგნი წასაკითხად წაიღო.

6. I. 1921. ხუთშაბათი

წუხანდელი ნამჯდარი ციხეში უძილო ვარ, თავი მტკივა, ცუდად ვგრძნობ თავს. იმ დამეს თოფურია გავიცანი და ძალიან შემიყვარდა – კარგი რამ ყოფილა ამხანაგი ნამდვილი, მოსიყვარულე ყველასი.

დღეს მაოირმა მეორე დამე მაპაგია, ხვალ შობაა – საღამომე ქადაგება მღვდელს მივუგანე და ხვალ წავიკითხავ.

7. I. 1921. პარასკევი

დღეს ქადაგება წავიკითხე⁶⁷ – ხალხი კმაყოფილი დარჩა, ათასეულის ჯარისკაცებიც იყვნენ. დივიზიონის უფროსთან მაიორის თაობაზე საჩივრის ქალაღი შევადგინეთ – ყველა ჯარისკაცმა საღამოს ხელი მოაწერა – აღფრთოვანებულნი იყვნენ, ნიფხავ-პერანგებში ხელის მოსაწერად ჩამოვიდნენ, მაგრამ მეორე დღეს ხელი აიღეს. ისინი ვინც მესვეწებოდნენ, მაქებებდნენ და ხელს აწერდნენ ახლა ამბობდნენ ამოგვშალებითო. ყველა ის დოკუმენტი ხელთ მაქვს, მთელი ის მღვდლვარება და მიწერ-მოწერა, ჩემი მოთხრობისთვის შემდეგში გამომადგება.

8. I. 1921. შაბათი

მოსიძეს ლაპარაკი გავიგე ფერაძეს რაღაც ღონოსი დაუწერიაო, მაგრამ შეუძლებელია, რომ ასეთმა უმნიშვნელო გარემოებამ დიდი აღე-

65 ნიკოლოზ ჭიჭინაძე (1873-1921), ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი (1920 წლის ნოემბრიდან 1921 წლის თებერვლამდე).

66 კარლ კაუცკი (1854-1938), გერმანელი ფილოსოფოსი, ეურნალისტი და მარქსიზმის თეორეტიკოსი. აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს საერთაშორისო აღიარების პროცესს, ესმარებოდა ქართულ დელეგაციას გერმანიაში. 1920 წლის სექტემბერსა და დეკემბერში იმყოფებოდა საქართველოში. მან საქართველოს თავდაცვის ფონდს მეუღლესთან ლუიზ კაუცკისთან ერთად ძვირფასეულობა შესწირა.

67 სავარაუდოდ გრიგოლ ფერაძემ ქადაგება პოლონეთში 1937 წელს გამოაქვეყნა. იხ. Grzegorz Peradze, *Droga do zwycięstwa*, „Polska Stronica Słowa”, 2(1937), 18-19, გვ. 4. [=„გზა გამარჯვებისაკენ“; იხ. წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი მეორე, გამოსაცემად მოამზადა და დამაგებიითი შენიშვნები დაურთო ცოლბაიამ, ვარშავა 2014, გვ. 361-366].

ღვება გამოიწვიოს, აქ რაღაც არის დამალული და მაიორმა ბოლშევიკობა დამწამა, მიკიჟინა „თქვენ რომ წერილში შიმშილზე და სიტიგვლეზე ხელს აწერთ, ნუთუ არ იცით დღევანდელი საქართველოს ვითარებაო“.

ვუპასუხე, რომ ჩვენ კარგად გვესმის საქართველოს მდგომარეობა, არც სიტიგვლე გვაშინებს და არც სიცივე და ჩვენ მოვითხოვთ ნამდვილ ადამიანურ მოპყრობას და ნადირებად ნუ გვხდიან მეთქი. ეს ყველაფერი 10 [იანვარს] მოხდა, 11-იანვარს არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა, გარდა იმისა, რომ სელემნიოვთან ქალაქში შელაპარაკება მომივიდა, რომელიც ჩემი სამუშაოსთვის მჭირდებოდა, ის კი სხვა მიზნებითვის იყენებდა. როდესაც ვუთხარი, ქალაქს რა უყავი მეთქი - „Нахально и грубо ответил - использовал“. ავლელი და გავცხარდი, „ნახალკა“ ვუწოდე, არ მახსოვს ღვთის წინაშე, ეს სიტყვა ვუთხარი თუ არა, ის კი ვუთხარი სიტყვები ვერ მომიძებნია თქვენი საქციელის დასახასიათებლად მეთქი – თურმე ეწყინა, მიუხედავად ჩემი პატივისცემისა და სიყვარულისა, მოხსენებითი ბარათი დაუწერია და 12 იანვარს მაიორს თხოვნით მიმართა: „Наложить на него дисциплинарное взыскание“.

12. I. 1921. ოთხშაბათი

მაიორმა [მოხსენებითი ბარათი] წაიკითხა და მითხრა ბოდიში მოიხადეო. თვით სელემნიოვი იმ დღეს არ მოსულა. იმდენი შეგნება არა აქვს სელემნიოვს, სარგებლობს შემთხვევით, ხედავს რომ მძიმე, გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარ. მაიორი, როგორც მხეცს ისე მიყურებს, სარგებლობს ამით, რომელიც მისი სულის სიმჩაგის, შეგნების ნაკლებობის მაჩვენებელია, ამხანაგობაზე ბევრს ლაპარაკობდა – ხოლო „დონოსობა“⁶⁸ და „შიონობა“⁶⁹ ამხანაგური საქციელი არა, რომელიც თვითონ ჩაიდინა.

მაგრამ რაც მოსახდენია – მოხდეს, ფარდა აეხადა და პირისპირ ყველას შევეცქერი. რაც სწავლია ღმერთს ისე იყოს, ვერავინ აღუდგება მის ნება-სურვილს.

13. I. 1921. ხუთშაბათი

დღეს მამოს წლისთავია, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსს „შეიშრობ ცრემლსა ჭირთ მანელაბელს“⁶⁹ ვკითხულობდი და მომაგონდა საცოდავი მამო, როგორ დაგივიწყო, ღმერთო.

68 დონოსი – რუსულად, სამხილებელი წერილი.

69 ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817-1845), ქართველი პოეტი, ლირიკოსი. ლექსი „შეიშრობ ცრემლსა ჭირთ მანელაბელს“ პოეგმა 1843 წელს დაწერა.

14. I. 1921. პარასკევი

დღეს, ე.ი. 14 იანვარს მოვიდა გენერალი,⁷⁰ არ ვიცი მიცნობს თუ არა. კანცელარიაში შემოვიდა და რაღაც ფულის გაღონებზე საუბრობდა. ჩემზე კრინტი არ დაუძრავს, მეც რასაკვირველია ჩუმად ვიყავი. შემდეგ გვეით ავიდა და იქ ლაპარაკობდა. მე მთელი სისწორით მისი ნაამბობი გადმომცეს.

მასალკინმა მითხრა: „Как вам не стыдно, я думал, что вы интелгентный человек, а такое совершаете – в чём дело – спросил я. Ах остыньте пожалуйста, неужели сами не знаете“.

ლაცაბიძე ქვევით ჩამოვიდა და მას მიმეზი ვკითხე – თურმე გენერალს უკითხავს, სამინისტროში წერილი ვინ დაწერა – „მე თქვენი წერილებით ვერ შემაშინებთ, განა მე არ მებრალება ჯარისკაცი და ბრძანება გასცა, რომ ფერაძე დაუყონებლივ დააგუსაღეთო“ – თურმე ისე ყოფილა გაბრაზებული ლაყუჩები უკანკალებდნო.

მაიორი გახარებული ჩამოვიდა, პირზე ღიმილი უთრთოდა, სახეზე დამცინავი გამომეგყველება ჰქონდა – თვითონ ბრძანება გასცა, სელემზიოვმა კი საჩქაროდ დაპატიმრების ჟურნალში ჩემი გვარი სამი კვირით შეიგანა, ბრძანება კი მხოლოდ ორი კვირით იყო გაცემული. მე მას მოვუვლი, ჯერ ამ ღრუბელმა გადაიაროს. შემდეგ მაიორს ვუთხარი: „ლოგინის წაღების ნება ხომ მაქვს მეთქი“. მითხრა: „ღამე დაწვებით და დღე კი ყარაულებს ჩააბარებთო“. მე ვუპასუხე: „დღე არ მძინავს მეთქი“.

ბევით ამოვედი, ლოგინი ელიმბარაშვილს გავაგანე. ის იყო, რომ უნდა წავსულიყავი ჭკადუამ დამიძახა – მაიორი გეძახისო, მე ისევ ქვემოთ ჩამოვედი, ჩემზე ცნობები გენერალს გაუგზავნეს. აღელვებულმა წერილი გერასიმე იმნაიშვილს⁷¹ და პაგრიარქ ლეონიდეს მივწერე, საქმეში ჩაერიონ და საქმეს მისცენ კანონიერი მსვლელობა. 12 იანვარს საღამოს წერილი გავაგზავნე – ვნახოთ რა პასუხი მოვა. აქამდე გაჩუმებული ვიყავი და ესლა საქმეს შესაფერისი გზა მივეცი.

დღეს ვაჩნაძე, ბელიანიძე, ბარელიძე, კაპანაძე, ლეკანოძე, ნოვიკოვი, გუგუნავა და ჯანჯღავა წავიდნენ. მოგს ხვალ დავწერ, ამ ბოლო დროს ბევრი შთაბეჭდილება მაქვს, მაგრამ რაღაც მიძნელება თქმა.

70 სავარაუდოდ ივლისხმება მე-3 ბრიგადის სარდალი გენერალი ვარდენ წულუკიძე (1865-1923), რადგანაც ახალციხის გარნიზონი და მე-3 დივიზიონის მე-3 ბატარეა, სადაც გრიგოლ ფერაძე მსახურობდა, სწორედ ამ ბრიგადის დაქვემდებარებაში იყო. გენერალი წულუკიძე, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ჩართული იყო ანგისაოკუპაციო მოძრაობაში. იყო სამხედრო ცენტრის წევრი და დახვრიტეს ბოლშევიკებმა 1923 წლის 20 მაისს.

71 გერასიმე სოფრომის ძე იმნაიშვილი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის განყოფილების მუდმივი წევრი (1917 წლიდან), საკათალიკოსო საბჭოს წევრობის კანდიდატი (ნ. თალაქვაძე, მოქალაქე მღვდლის დღიურიდან, თბილისი 2013, გვ. 222 და 329. მღვდელი ნიკიტა თალაქვაძე მას „კლერიკალ მასწავლებლად და კირიონის მოწინააღმდეგედ მოიხსენიებს“ (იქვე, გვ. 39).

17. I. 1921. ორშაბათი.

დამაგუსაღეს, მაგრამ ციხიდან რომ გამომიშვებენ, სანამ ჯარისკაცი ვარ, უფიქრობ ჯარისკაცებზე დიდი მოთხრობა დავწერო და დავამთავრო...

25. I. 1921. სამშაბათი.

დღეს 25 [იანვარია] დღიურის წერა არ შემძლია, შთაბეჭდილება ისეთი ცხადი და ნათელია, რომ კუბოს ფიცრამდე არ დამავიწყდება. ღმერთო, შენ მომეც ნიჭი და აზრი, რომ ყველაფერი კარგად გამოვხატო და აღვწერო, ორი კვირით დაგუსაღებული ვარ, შემდეგ ვნახოთ რა იქნება. „Да, не откликается сердце Ваше, внутри Бога и внутри меня“.

4. II. 1921. პარასკევი

საღამოა, ვზივარ, ყურში რაღაცა ჩამსისინებს, გულს მიწყალებს და მოსვენებას არ მაძლევს – არ ვიცი რა უნდა. დღეს ვაჩნაძეს წერილი მივწერე.

მივიღე წერილი ლაუდენბახისგან, სხვათაშორის მწერს das Irdische vergehet, aber das Ewige bestehet. ამ სიტყვებმა ძალიან მანუგემეს და მისი დიდი მაღლობელი ვარ. სხვათაშორის, მწერს, რომ „Можно страдать за добро, но за справедливость лучше“ რაღაცნაირად ვარ და დამვიწყებია.

მოთხრობას ვწერდი, მაგრამ თავი დავანებე, რა საჭიროა ან იქნებ შემდეგ მოვკიდო ხელი – ეს უკვე მერმისის საქმეა. ხუთი თვე კიდევ დამრჩა და შემდეგ ისევ მასწავლებლობა სადმე სოფელში. ღმერთო რას ვაკეთებ, რომ გავაგრძელო სწავლა უმაღლეს სასწავლებელში – ხვალიდან შევუღვები. გავიცანი სამხედრო ოფიცრები – და ამას ჩემი განვითარებისთვის და გამოცდილებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. სხვათაშორის, ციხეში ორი კვირით ყოფნამ თვალები ამიხილა და ბევრი რამ შემასწავლა. ჯერ ერთი, ყველას არ უნდა ვენდო. ვინც უფრო დიდი მყვირალაა, უსათუოდ ის უფრო მხდალია, მშიშარაა. უღჟანიანი დაპატიმრებულია ნავთის მოპარვაზე, ხვალიდან შევუღვები დღიურის ხელახლა წერას.

23. II. 1921. ოთხშაბათი

თვის მიწურულია და ახლა გამახსენდა დღიური – ბაგარეა ფრონტზეა. მე ისევ ახალციხეში დარჩენილი 5 თებერვლიდან საავადმყოფოში ვიწევი, საღამოს 7 საათზე გამომიშვეს. პალატაში ყოფნის დროს ყველა ჩემი განცდა ცალკე მაქვს აღწერილი. შკლიარსკი უფროსია, ახალ ჯარისკაცებს წესდებას ვასწავლი – დრო თუ რაიმე მრჩება თვითგანვითარებას ვანდომებ. მტერი მოსდგომია სამშობლოს და ცდილობს თბილისის აღებას, მაგრამ ჩვენი ჯარი თბილისს არ დაანებებს, განდევნის და მტერს უკუაქცევს.⁷²

72 რუსეთის მე-11 წითელი არმია, რომელიც საბჭოთა ამერბაიჯანიდან გადმოვიდა და ქვეყნის

ქუთათელაძეა უფროსი, ძალიან საინტერესოა (აღამიანია), თავისი ისტორია მიაბო. ცამეტი წლის სახლიდან გაქცეულა, 1905 წელს მასწავლებლი უცემია – შეშინებია მამის და ფოთში გაპარულა – ფოთიდან ზღვით ნოვოროსისკში ჩასულა – ნოვოროსისკი არ მოსწონებია, როსტოვში გადასულა, არც როსტოვი მოსწონებია და ეკატერინებურში გამგზავრებულია – საინტერესო და საგულისხმოა მისი ნაამბობი თუ როგორ გაიხსნა ქალი, რომელიც თურმე ეძლეოდა, მაგრამ მან იმდენი პასუხისმგებლობა გამოიჩინა, რომ მას ომის დროს უარი უთხრა.

აი ქართველი კაცის მაღალი ბუნება, იმ დროს, როდესაც სამშობლო განსაცდელშია დანაშაულად მიმანჩნია სახლში წასვლა და შვებულებით სარგებლობა და თუმცა სახლში ვარ გაშვებული, ომის დამთავრებამდე არ წავალ.

კათოლიკოსის მოქმედება მიკვირს, ესლა საერთო გაჭირვების დროს გაჩუმებულია, ხმას არ იღებს...⁷³ ბრძოლას განაგრძობს, მაგრამ ესლა რა მტრობის დროა? ჩვენ თუ გელათით ვამაყობდით, მხოლოდ იმიგომ, რომ იქ გვირგვინები და ქოშები იყო? – ეს რომ საზოგადოებაში გავიღეს გაიკიცხება. მართლაც, წინათ მღვდლები იყვნენ და ოქროს ქოშები ტაძრებს არ ამშვენებდნენ, ესლა კი უბრალო მღვდლები სხედან, ფიცხის ღირებულებას რომ არ წარმოადგენენ და ოქროს ქოშებს ეპოგინებიან, ებლაუჭებიან და მასში სურთ ერთგვარი დახმარება ჰპოვონ, თუნდაც საკუთარი პრესტიჟის დაცვა, მაგრამ ეს ყველაფერი დროებითია.

ექვთიმე თაყაიშვილის⁷⁴ საინტერესო სტატიები იბეჭდება, „საქართველოში“. სამწუხაროდ არც მისი დასაწყისი და არც დასასრული წამიკითხავს – მხოლოდ შუა ნაწილი და ძალიან მომეწონა. თუ ნომრებს ვიშოვი სტატიებს წავაკითხებ ყველას – მაგრამ ახალციხეში ვინ მაღირსებს ასეთ ბედნიერებას.

24. II. 1921. ხუთშაბათი

ღღეს ხუთშაბათია,⁷⁵ ღღე-ღღეს არ ჰგავს და კვირა-კვირას. ისე გადის ეს წუთისოფელი, რომ ვერაფერს იგებ, ვერაფერი სამახსოვრო გონებაში არ რჩება.

სიღრმეში მოაღწია, დაახლოებით 45000 ოფიცერსა და ჯარისკაცს ითვლიდა.

73 გრიგოლ ფერაძე არ არის ინფორმირებული, რომ 1921 წლის 22 თებერვალს გაზეთი „საქართველოში“ კათოლიკოს-პაგრიარქის ლეონიდეს მოწოდება გამოქვეყნდა, სადაც ერს ბრძოლისა და თავდადებისაკენ მოუწოდებს. იხ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პაგრიარქის მოწოდება, გაზ. „საქართველო“, 41 (22. 02. 1921), გვ. 1.

74 ექვთიმე თაყაიშვილი (წმ. ექვთიმე ღვთისკაცი) (1863-1953), ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

75 1921 წლის 24 თებერვალს წითელმა არმიამ თბილისის ფრონტის სამივე უბანზე იერიში მიიტანა.

25. II. 1921. პარასკევი.

დიდი შემადრწუნებელი ამბები დადის, თბილისი თითქოს აღებულია, მაგრამ არა – გყუილია. თან ამდენი პროვოკაცია დიდად გავრცელებულია. დღეს გიჟივით დავრბივარ სიმართლის გასაგებად და ბოლოს გავიგე – თბილისი აულიათ⁷⁶ მაგრამ ჯერ ისევ ჩვენს ხელშიაო. ღმერთო შენ დაიფარე საქართველო, შენ დაიფარე ჩვენი ტანჯული ქვეყანა. არაფრის თავი არ მაქვს, არც ლაპარაკის, არც მოქმედების, რა გვეშველება? შაბათია, ჯარისკაცები უკან აღარ დაბრუნდნენ. არ მინდა წავიკითხო წინა ფურცლები დღიურისა – ვიცი უფრო ავიშლები და ამიშფოთდება გონება, საფრანგეთიდან 100000 ფრანკის დახმარება მოდის.

5. III. 1921. შაბათი.

დღეს შაბათია – ათასი პროვოკაცია დადის, საქმის ნამდვილი ვითარება კი არავინ იცის – ზოგი იძახის ხაშური აღებულია, ზოგი იძახის მცხეთა ჩვენებმა აიღესო – ვის დაუჯერო არ ვიცი – ლამის არის გავიჟივლე – რა იქნება შემდეგში ღმერთმა უწყის.⁷⁷

პარკაძე ჩამოვიდა ფრონტიდან და ამბები ჩამოიგანა – ულფანიანი გაპარულა. არაფრის თავი არ მაქვს, აზრი დამეკარგა, ყველაფერი გაგონილი რიგიანად ვერ გადმომიცია – აზრი რაიმე ახალი ვეღარ შემიქმნია - სასოწარკვეთილება!

რა იქნება, რა მოგველის?

14. IV. 1921. კვირა

რამდენი ხანია ჩემი დღიურისთვის არაფერი არ მიმიმაგებია. ჩემი ცხოვრება საგრძნობლად გამოიცვალა. კვირას, 17 აპრილს გამომწერეს საავადმყოფოდან და მას შემდეგ ჯერ ახალციხეში ვიყავი – შემდეგ ახალციხიდან – აბასთუმანზე⁷⁸ ბაღდაღზე⁷⁹, ზეკარის⁸⁰ უღელტეხილზე გადმოვედი, საინტერესო მოგზაურობა იყო, დიდი დაღლილობა ვნახე და დავიგანჯე. ჯიხაში მივედი იქიდან ნიგოთში და მთელი გურია დავიარე – შთაბეჭდი-

76 1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკებმა თბილისი დაიკავეს.

77 იგულისხმება ოსიაურის ბრძოლა, რომელიც 4 მარტს ქართული არმიის წარმატებით დაიწყო, მაგრამ 5 მარტს მოწინააღმდეგემ კონტრშეგვის შედეგად დაიკავა ხაშური. იხ. დ. სილაქაძე, ოსიაურის ბრძოლა (რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი), ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი 2011, გვ. 239-256.

78 აბასთუმანი - მდებარეობს მესხეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ოცხის ხეობაში. ახალციხიდან დაშორებულია 28 კილომეტრით.

79 ბაღდადი - მდებარეობს იმერეთის დაბლობზე, მდინარე ხანისწყალზე.

80 ზეკარი, რკინის ჯვარი უღელტეხილი (2182 მ.), მდებარეობს იმერეთის მხარეში, მესხეთის ქედზე. ზეკარზე გადიოდა ბაღდათი-აბასთუმანის გზა.

ლებები ბევრი მაქვს, მაგრამ როდის შევძლებ მის გამოყენებას? ვფიქრობ ამქვეყნად არაფერი არ ღიკარგება.

სამხედრო სამსახურიდან გამანთავისუფლეს, როგორც მასწავლებელს სოფელ მანავეში მომცეს ადგილი.⁸¹ სვალ წავალ, მაგრამ როგორ დამხედლებიან, როგორ მიმიღებენ. სადგურზე ფხალაძეს შევხვდი და მიჩრია „მწყემსად შედექი და იქ უფრო ბევრს აიღებ, ბევრს იშოვიო!“ მან თავისი ამრი მითხრა, მე კი მოხეტიალე ბერი მინდოდა ვყოფილიყავი, სახარება ხალხისთვის მექადაგა. ეს იდეა და ამრი მოსვენებას არ მაძლევს – არ ვიცი სად წავალ, ღმერთო, შენ დამიცავი და დამიფარე.

სხვა გზა არა მაქვს, ჩემი უკანასკნელი სავანე და ადგილი, ჩემი მისწრაფება და ნაგვრა, საითკენ ვილგვი – იქნებ ვაჭარბებ ჩემს ამრს და იდეას – როგორი იქნება, წინასწარ ზედმეგია ყველაფერზე წერა, კომკეების ჰაერში აშენება, მომავალი ყველაფერს გვიჩვენებს და დაგვანახებს. ერთი კი აშკარაა თუ ღმერთისთვის სასიამოვნოა, ის ყოველთვის ხელს მოგიმართავს და საქმე ბრწყინვალედ ჩატარდება და თუ არა, რასაკვირველია, უმჯობესია რომ სულ არ დაიწყო.

თუ მონასტერს ვესტუმრები ისევე კათოლიკოს ამბროსის.⁸²

მომავალში რამდენი შეფერხება და დაბრკოლება მეღის, პირველი თვით საკათალიკოსო საბჭოდან და ნეგარი მღვდელმთავრებისგან, რამდენი განჯვა წინ მაქვს განზომილი. მაგრამ რა გამოვა, მხოლოდ ფანტაზია არის ჩემს საგანჯველად შობილი, რომ მომავალი გამიმწაროს, მომიშხამოს. ისევე სჯობია დავეთხოვო ამ ბრწყინვალე ამრებს, სულერთია არ განხორციელდება.

რა სულით დავეცით მეოცე საუკუნეში, სულით ღარიბნი ვართ, ძალიან ღარიბნი და დაცემულნი - ჰურზე გადავედით, ჰურს ვეთაყვანებით და გუნდრუკს პატივსვცემთ. ღმერთო, რა მეღის შემდეგში, ჩემს სულში დიდი გადაფასებები ხდება, რა მეღის შემდეგში??

ნეგავ მანავეში როგორ იქნება?

29.V. 1921. კვირა

ღღეს კვირაა, სვალ მანავეში მივიღვარ. მასწავლებლად ორი თვის დანიშნული ვარ, სიონში ვიყავი მიმალული. უწმინდესთან ლოცვა-კურთხევაზე წავედი. მიქელაძის პაპა კათოლიკოსთან ერთად მიდიოდა, მეც უკან მივყვებოდი. გზაზე უწმინდესს ყველა გაკვირვებით შესცქეროდა, თითქოს

81 მანავე - სოფელი კახეთის მხარეში.

82 წმ. ამბროსი (ბესარიონ სელაია) (1861-1927), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1921-1927 წლებში). ბოლშევიკების მიერ რეპრესირებული, იმყოფებოდა მეტეხის საპრობილეში 1924 წლის დამლევამდე. შინაპატიმრობაში მყოფს ღვთისმსახურება აკრძალული ჰქონდა, გარდაიცვალა 1927 წელს. სსენების დღე 29 მარტი.

პირველად ხედავდნენ. მოგმა პირველად ნახა და სიცილით უყურებდა, მოგი - ზიზღით, მაგრამ უმეგესობა საღამომით ეგებებოდა, ღუქნების წინ მჯდარი მოვაჭრეები ფეხზე წამოდგნენ.

სასახლესთან უწმინდესს მიქელაძე დაშორდა და მეც გამოვჩნდი, როცა დამინახა ორივე ხელი ჩამავლო და ტკივილითა და დარღით სავსე მამობრივი ხმით მითხრა:

– „სულიერად დაცემული ვარ. წადი აქედან, გადაარჩინე შენი ახალგაზრდობა“. შევიგრძენი მამაშვილური მზრუნველობა, სიმწარე, ტკივილი და სევდაც.

დალაგებით ვიმსჯელებ, დამშვიდებით...

ვთქვათ გერმანიაში წასვლა ვერ შევძელი, უმაღლეს მისწრაფებებზე ხელი ავიდე, რას გავაკეთებ – შევძლებ ვემსახურო ჩვენს ეკლესიას? მღვდლობა სტაგისტიკისთვის სასაცლოა, ეკონომიური, კუჭის გულისთვის ანაფორის ჩაცმა – სირცხვილი და დიდი ცოდვაა. უცოლო მღვდლობას, რომელსაც კათოლიკური პაგრობა მისდევს ჩემს აზროვნებას ეწინააღმდეგება. საჭიროა მორწმუნეთა დარაზმვა, მორწმუნეთა შეკავშირება. დღეს ეკლესიას ერთი ხსნა აქვს, ერთი გამოსავალი იმ ჯადოსნური წრიდან და ეს ხსნა თვით მორწმუნეთა და არა მთვარემე. უფსკრულისკენ გაქანებულ გემს ვერაფერი ვერ შეაკავებს. ეკლესიას ვერც რომელიმე პარტია უშველის, ვერც რომელიმე ფორაქაშვილების დახმარება⁸³ – ხსნა მხოლოდ მორწმუნეთა. სარწმუნოება ცარიელ, გარეგან მხარეს არ წარმოადგნს. იგი „Обрядность“ - ში. არ გამოიხატება, არამედ ადამიანის მთელი ცხოვრება – დაბადებიდან სიკვდილამდე. ეკლესია ყოველ მის აზრს, ფიქრს პასუხს უნდა აძლევდეს, მისი ყოველი საქციელი დამრიგებლური, სარწმუნოებრივი მოტივებით სავსე უნდა იყოს – სახარების ფრთებქვეშ.

შეიძლება, ცალკე პარტიების შექმნა, როგორც არის „Христос (...) и даже Христос вступал (...)“ ამისი მსგავსნი და ასეთი ნაბიჯები მორწმუნე სამოგადოებაში ნიადაგს ჰპოვებენ. იქნებ ვცდები, მაგრამ ეს მოსაზრება მრავალმხრივი ფაქტის შედეგია, ხსნა ასე რომ ვთქვათ თეოკრატიულ მმართველების ქადაგებაშია, უკეთუ სასულიერო პირის (მონათვლა) უმაღლეს საერო პირად – ეს ფანტაზიაა, იქნებ ეწინააღმდეგება კიდევ ქრისტეს, მაგრამ ასე უნდა მოვიქცეთ, რომ სარწმუნოება ცოცხალი მაინც შევინარჩუნოთ. ამისთვის საჭიროა ცოდნა, ყოველმხრივ განათლება, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებაა. სამოგადოება ეკლესიას შესცქერის, მისგან მოელის ხსნას, შევებას და თუ დღეს ეს მიმალულია, არ ჩანს ღრობითია, ბურუსი გადაიყრება და მზე ცხოველი ისევ გამოანათებს.

83 ეკატერინე ფორაქაშვილი-სარაჯიშვილი (1862-1916), დავით სარაჯიშვილის მეუღლე. ქართული მწერლობის, მწიგნობრობისა და ხელოვნების ღრმა პატივისმცემელი და მფარველი.

19.VII. 1921. სამშაბათი

რალაც ღვთის განგება, სხვა რალა უნდა იყოს, რომ ეს წინათ დაწერილი ღვაამთავრე. უწმინღვსთან ბევრჯერ ვყოფიღვარ, ბევრი მისაუბრია, ბევრი შესანიშნავი ღა საგუღისსმომ ამრები ჩემთღვის უთქვამს ღა არასღროს ჩამიწერია, ამრალაც არ მომსღვღია. ღმერთომ, როგორია შენი გზა ღა ბრძანება ჩემთღვის მიუხღლომელ-გამოუცნობი. თითქოს მის სიკვღიღში მეც ღანაშაუღი მიმიღღღვის, თითქოს მეც მონაწიღე ვარ ამ საშინელი გრადეღის, იქნებ იღუმენიამ, რომ თქვა „მე რომ ანაფორა ჩამეცვა“. მართლაც მისი ასეთი აღსასრული არ მოხღდებოღა? მაგრამ ვინ იფიქრებღა, ჩვენი მღვღელმთავარი, მამა კეთიღი ღა მწყემსი ჭემშარიგი აღარ არის. ეხღა ბეციღან გვიყურებს ღა გვხღდავს, მისი სიგყვები ყურში ჩამესმის - საღ ვიყავით? განა ჩვენ სახელმწიფოებრიობის ღირსნი ვართ, „უფაღო მიჩვენე გზა იგი, რომელიც ვიღოღე“...

შენს გულთა მალვას ვერ მიგიხვღით უწმინღვსო, რომ ჩვენ შეიღნი ვართ ამ გარყვნიღი საუკუნისა, ამ შეჩვენებულ ღროში. ჩვენ გაქონღრისკაცებულღნი ღა უღღრესაღ გათახსირებულები ვართ, საღ შეგვწვეს ძაღა გოღგოთის ჯვრის სამიღავაღ? ღღიურ ღუკმას იგანს მხოლოღ ჩვენი ცხოვრება, ღღითი ღღე გულში ღვთის მიერ ანთებულღ ცეცხღი ფეთქავს. ძაღიან მაღღა გვაყენებღი, ძაღიან გვიფარებღი... საღ წავიღღეთ – საღ? ღმერთომ, მიჩვენე გზა, რომელსაც ვიღოღე. უწმინღვსო, ევეღრე ღმერთის, რომ გზაზე ღამაყენოს ღა მომიგევოს ანგეღოში ცოღღვების გამო ჩემგან გამწარებულღი.

გიჟივით ღავღიღვარ, რა მეშვეღება, მამა მომიკვღა, ჩვენო უბელურო ეკღესიაე! როგორ იარსებებს, რა მომავაღი გაქვს. რა მეშვეღება, ვისთან მივაღ, ვინ მიწინამღღვრებს, ვინ გამიღღვება, ვინ იქნება ჩემი პაგრონი. კაღამი არ მერჩის – უწმინღვსო მიჩვენე გზა, რომელსაც ვიღოღე.

20.VII. 1921. ოთხშაბათი

ღღევანღელი ღღე საუბელუროღ ბიღწი ღღეა ჩემს ცხოვრებაში! განა მარგო ღღევანღელი, როღღის ყოფიღა ბეღნიერი ღღე, როღღის ყოფიღა კარგი. ღმერთომ, როღღის გამიხსნი სულს ღა გულს, რომ ნეგარი სიხარული ვიგრძნო!

ღღით ვნახე მიგროპოღიგი ნაზარი, ბევრი მეღაპარაკა, ღამარიგა. როგორ იქნება ჩემი საქმე – არ ვიცი. ერთი კი ამკარაა ან ცოღი უნდა შევირთო ან ბერაღ წავიღე, ორიღან ერთი. ასე ღარჩენა შეუძლებელია – ღღითიღღე ვღნები, ღღითიღღე ვიღღები ღა გონებაც არეული მაქვს. ... ღა ეს ორი გზა - რომელს ღავაღღები – უფრო, როგორც მიგროპოღიგმა ნაზარმა ღამარიგა – ისე ვიცხოვრებ. საკათაღიკოსო საბჭოში თივიურ ჯამაგიღს ღამინიშნავენ ღა უნივერსიგეგში⁸⁴ ვივღი – შემღღეში ღმერთია მოწყაღე.

84 1921 წლის შემოღგომაზე გრიგოღ ფერაბე გვიღისის სახელმწიფო უნივერსიგეგის სიბრძნი-

რაც მანავიდან წამოვედი საშინელი ცოდვების მორევში ჩაფლული ვარ, რომ იგყვიან აპოლოგიას მიაღწია. ორშაბათს, სამშაბათს და ღღეს ექვს საათზე ღვთისმსახურებაა, საღამოს დედას ვეჩხუბე, გაბრაზებულმა ბორჯომის ჭიქა⁸⁵ და ლამბაქი დავამტვრიე. ვასო კარგ გუნებაზე იყო და მღეროდა - ვუყვირე „რა გემღერება მეთქი“, დეღამ საბანი ორჯერ დამახურა – ორჯერვე მოვისროლე. განა უწმინდესი ამას არ ხელავს? ღმერთო, მე კიდევ ბერობა, მონასტერში შესვლა მინდა. ეს იმის ნიშანია, რომ ვიღუპები. გზა ორნაირი მაქვს, მაგრამ მეორე გზას დავადგები – სხვა არაფერი არ იქნება, ღმერთი მოწყალეა და ჩემი შემწე.

12. IX. 1921. ორშაბათი

მეონი ამ ერთ კვირაში 25 ან 26 სექტემბერს გერმანიაში წავალ. ღღეს 22 წლის შევსრულდი. ქუთაისში გელათის საეკლესიო კრებაზე ვიყავი⁸⁶ საწერი ბევრი მაქვს, მაგრამ არ ვიცი, როგორ ან საიდან დავიწყო. სვალ დილით გამსახურდიასთან⁸⁷ მივდივარ, შემდეგ – გოროშელიძესთან,⁸⁸ მერე შახსეი-ვახსეის⁸⁹ საყურებლად, შემდეგ საკათალიკოსო საბჭოში, სადაც საბუთებს ბეჭედი უნდა დავარტყა, საღამომე – დემჰნერთან⁹⁰ Михайлова 108.

ღმერთო, შენ მომიმართე და მომიწყვე ცხოვრება, უშენოდ ვერაფერს მივაღწევ – ვერაფერს გავაკეთებ და თუ ღირსი ვარ მომავალში შენ გემსახურები და შენი მონა-მორჩილი ვიქნები. მომიმართე ხელი თუ არა და მეორე გზა და ვეშაპი პირდაღებული მელის და ჩამყლაპავს, მშთანთქმავს – ნუთუ 22 წლის ნაწვალები უნდა დამწვას ღმერთო.

სმეგყველების ფაკულტეტზე ჩაირიცხა. წმ. გრიგოლ შერაპე, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, ღოკუენგები, გვ. 358.

85 ბორჯომის სპეციალური ჭიქა 140 გრამიანი იყო.

86 1921 წლის 1-5 სექტემბერს გელათის ღვთისმშობლის ტაძარში შედგა საქართველოს III საეკლესიო კრება. კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა მიგროპოლიტი ამბროსი ხელაია.

87 კონსტანტინე გამსახურდია (1891-1975), ქართველი მწერალი, ფილოსოფიის დოქტორი. სწავლობდა პეტერბურგის, კენისბურგის, ლაიფციგის, მიუნხენის, ბერლინის უნივერსიტეტში, 1920 წელს დაბრუნდა სამშობლოში და ჩაება როგორც ლიგერაგურულ ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში.

88 მალაქია გოროშელიძე (1880-1937) რევოლუციონერი, ბოლშევიკი, საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, კრიტიკოსი. 1928-1930 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. 1936 წელს იყო განათლების სახალხო კომისარი. დახვრიტეს 1937 წელს.

89 შემოკლებულად წარმოთქმული სიტყვიდან „შახ-ჰუსეინ, ვაჰ ჰუსეინ“. რიგუალის მიხედვით კაცები და ბიჭები მსველელობისას მოთქვამენ, ხელით და ჯაჭვებით, საკუთარ სხეულს გკვილს აყენებენ და ამით სიმბოლურად იმ განჯვას განიცდიან, რომელიც წმინდა მუჰამედის შუამავალის შვილიშვილია, ჰუსეინმა გადაიგანა.

90 გვარი კარგად არ იკითხება.

არტურ ლაისტი⁹¹ ძალიან მეხმარება.

16. IX. 1921. პარასკევი

დღეს ვიყავი სერიოჟა ქავთარაძესთან,⁹² როგორ იქნება ჩემი საქმე, ჩემი ცხოვრება, ჩემი მდგომარეობა, ჩემი მომავალი? დეთისგან და ხალხისგან არ ვიცი რა მელის, რა იქნება მომავალში. ხელი არ მემართება, ღმერთი არ მეხმარება – რა უნდა ჩემგან, რა დამიშავებია მისთვის — თითქოს ვცდები...

ღმერთო, შენ მიშველე და მომიმართე ხელი, შენ შემეწიე და იყავი ჩემი მფარველი.

სად წავიდე. სიბნელე საშინელი, მომავალში საშინელი წყვლიადი და იმ წყვლიადში მე ჩაძირული, მე ჩახშობილი, მე ჩამპალი და ჩავარდნილი, თითქოს მზე ამოდის, თითქოს მზემ გამაცისკროვნა, თითქოს ჩემთვისაც გათენდა, მხოლოდ ერთი რამდენიმე ხნით.

ღმერთო, შენ მიშველე.

საშინელი, სულიერი სიშორე. სულიერი უნათესაობა მოსვენებას არ მაძლევს - დუგუ მეგრელის⁹³ ლექსი? მაგრამ რა საჭიროა. ყველაფერი გულში მაქვს ჩამარხული და ნუთუ ღმერთი არ მომცემს შეწვევას, რომ ოდესმე ჩემი ოცნება განვახორციელო, მაგრამ როდის დადგება ეს დრო და იმ განთიადის მოლოდინში ბნელეთში ჩავიფლები და იქიდან ამოსვლა ძალიან გამძინელებს.

29. IX. 1921. ხუთშაბათი

დღეს საზღვარგარეთის პასპორტი და საბუთები მივიღე. ხუთშაბათია, ხვალ მანავში წავალ, ორშაბათს ან სამშაბათს დავბრუნდები და მერე გერმანიაში. თითქოს მისრულდება ნაგვრა, მაგრამ ყველაფერი წინასწარ

91 არტურ ლაისტი (1852-1927), გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ქართული და სომხური ლიტერატურის მთარგმნელი. იხ. შ. რევიშვილი, არტურ ლაისტი და ქართული ლიტერატურა, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 1, თბილისი 1967; A. Woźniak, *Dobry Europejczyk w Tyflisie. Śladami Artura Leista*, „Pro Georgia“, 7(1998), გვ. 85-99.

92 სერგო (სერიოჟა) ქავთარაძე (1885-1971), ბოლშევიკი, რევოლუციონერი. 1920 წლის მაისიდან 1921 წლის თებერვლამდე რსფსრ-ს წარმომადგენელი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1921 წლის 25 თებერვლიდან, მცირე ხნის განმავლობაში იყო საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს („სახკომსაბჭოს“) თავმჯდომარე საქართველოში.

93 დუგუ მეგრელი (დემიგრი სომგარია) (1867-1938), მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე. მუშაობდა საქართველოს დამფუძნებელი კრების საქმეთა სამმართველოში და თბილისის ოლქის სასამართლოს წევრად. 1919 წელს გამოსცა პოემა „პრომეთე“, სოლო იმავე წლის 26 მაისს გაბ. „ერთობაში“ გამოქვეყნდა მისი ლექსი „განთავისუფლდა ამირან გმირი“, რომელიც ივანე გომართელს მიუძღვნა. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

უნდა დავეგეგმო, თორემ იქ ძალიან ძნელი და გვიანი იქნება. კათოლიკოსის წერილი ლეფსიუსთან⁹⁴ და დამოწმებული საბუთები გერმანიის მისიაში უნდა მივიგნო. ფული მეორეხარისხოვანი საკითხია და ღმერთიც დამეხმარება.

ღმერთო, არა მარტო ჩემი შრომითა და მეცადინეობით, არამედ შენი შემწეობითა და დახმარებით ეს ყველაფერი შესაძლებელი გახდა. ესე იგი მომავალში ვეცდები, რომ შენ გემსახურო, შენ შემოგწირო ჩემი სიცოცხლე და ბედნიერება, შენს ღიღბას და სახელს.

მაინც არ მჯერა – სიმშარია. ღმერთო, შენ დამეხმარე და შემეწიე.

24. X. 1921. ორშაბათი

თითქმის თვე გავიდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ღლიურში დავწერე და ისევ აქ ვარ. წასვლა არ მეღირსა, ნეგაჲ წავალ, ეს კი მგონი უმჯობესია.

ალეკო მუხიაშვილი მოკლეს – ყურძენში შეპარულა. მამამისს სამძიმრის წერილს გავუგზავნი. ღმერთი არ მეხმარება, მაგრამ იქნებ გამიმართლა, ღამის არის რომელიმე უღაბნოში გავიქცე.

საკათალიკოსო საბჭო, სხვათაშორის, 100000 მანეთით დამეხმარა და „მწემსმაც“ 100000 მანეთი მომცა, ქარუმიძე 21 ნახევარი სტერლინგით და 100 ფრანკით დამეხმარა. ამას რომ ვწერ დედა მუხლმოდრეკილი ლოცულობს.

სამშაბათს უნდა წავსულიყავი, ყველას დავემშვიდობე, გამოვეთხოვე, წასვლა – ვერ მოხერხდა, დაერჩი და ახლა კარში გასვლის მრცხვენია – ივანიცკი⁹⁵ ნელ-ნელა იმ სულით იეღინთება, რომელსაც საკათალიკოსო საბჭო მოუცავს.

25. X. 1921. სამშაბათი

თბილისში ღლითილდე ჩვენი ცხოვრება უარესდება, დედას სურსათი შემოელია, პური, ფქვილი – ღმერთო, შენი იმედით ვარ; ესლა უფრო მტკიცედ ვიქნები და ყოველ ღონეს ვხმარობ, რომ არ შევუშინდე არავითარ

94 იოჰანეს ლეფსიუსი (1858-1926), ცნობილი გერმანელი ეგვიპტოლოგის კარლ ლეფსიუსის (1858-1926) შვილი. პასტორი, ევანგელიკური ეკლესიის მისიონერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. 1895 წელს დაარსა Deutsche Orient-Mission, რომელიც სცემდა ჟურნალ „Der Orient“-ს (1919-1936). იოჰანეს ლეფსიუსმა ხელი შეუწყო გრიგოლ ფერაძის 1921 წელს გერმანიაში სასწავლებლად ჩამოსვლას.

95 რაფიელ ინგილო-ივანიცკი (1866-1966), ქართველი იურისტი, პუბლიცისტი, სასულიერო მოღვაწე. საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს წევრი და მდივანი. ეროვნული საბჭოს წევრი საინგილოდან. 1918-1920 წლებში პუბლიცისტურ წერილებში მკაცრად ამხელდა ხელისუფლების სათავეში მოსულ სოციალ-დემოკრატების კოსმოპოლიტურ პოლიტიკას. 1922 წლიდან ცხოვრობდა ემიგრაციაში ბერლინში, ვენასა და რომში. 1948 წელს მღვდლად ეკურთხა და გამწესებულ იქნა ირაკლი ბაგრატიონისა და ქართველ ემიგრანტთა მიერ დაარსებულ მადრიდის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გაძრის წინამძღვრად. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

გაჭირვებას. ძალიან მეშინია, ვაითუ ნებართვა არ მომცენ. რუსები, საერთოდ დიდი მამაძაღვლები არიან, მათ სძულთ და ეჯავრებათ ქართველები, ჩვენი განათლება და წინ წაწევა.

დღეს ჩვენთან ბერი ილია⁹⁶ იყო, ძალიან გამხსარდა მისი ნახვა კარგი ადამიანია და ჩემი მოსიყვარულე, ჩემი მასიამოვნებელი და პატივისცემული. ილია – ბეთანიაში⁹⁷ აპირებს გადასვლას, სრული იმედი აქვს, რომ მეც იქ დამგოვებს, მიყვები? ვნახოთ, როგორ წავა ცხოვრება და როგორ ულგიმაგუმებს წამომიყენებს.

საცოდავი მუჩიაშვილი, როგორ მებრალება. სწორედ იმ დღეს გარდაიცვალა მანავიდან ფეხით ბარგაკიდებული, რომ მოვლიოდი. ავლაბარში სამძიმრის წერილი დავწერე და კატოს დავუგოვე – ფოსტით როგორმე გაუგზავნის, არ ვიცი მიიღეს თუ არა.

კეკე გაბაშვილი⁹⁸ და მისი შვილი კოტე⁹⁹.

ამ ორ კვირაში ჩემი ყოფნა-არყოფნის საკითხი გადაწყდება. ბუღუ მდივანის¹⁰⁰ ცოლთან¹⁰¹ ვიყავი, მითხრა, რომ ჩემს ქმარს თქვენს თაობაზე დაველაპარაკები, თქვენ კი თხოვნა შეიგანეთო – შევიგან, იქნებ გამოვიდეს.

26. X. 1921. ოთხშაბათი

ეხლა ჩემს ფიქრებს იშვიათად ვუზიარებ ლიურს, რაღაც გული ავიცრუე, მაგრამ თვით ცხოვრების ბრალია, ისეთ საშინელ და ნერვიულ პროცესში ვარ, ნერვებაშლილი, იმედი თუ უიმედობა ერთმანეთზე გადამდის. სახლში დედის ჩივილი და გირილი მესმის¹⁰². უფქვილობა, უპურობა, უფულობა თავის საქმეს აკეთებს და მე მისპობს, მიშხამებს არსებობას და წუთებს.

96 მამა ილია (ფანცულაია), ათონის წმინდა მთის ყოფილი მოღვაწე.

97 ბეთანიის მონასტერი (XII-XIII სს.), მღებარეობს თბილისის დასავლეთ ნაწილში, დიდგორის რაიონში. გაძარში შემორჩენილია თამარ მეფის ფრესკა.

98 ეკატერინე (კეკე) გაბაშვილი (1851-1938), მწერალი და საზოგადო მოღვაწე. 1918 წელს გაბ. „ხმა ქართველი ქალისა“ დაიბეჭდა მისი წერილი „სალამი დამოუკიდებელ საქართველოს“. 1921 წლის 19 თებერვალს მისი შვილიშვილი მარო მაყაშვილი კოჯორ-გაბახმელას ბრძოლის ველზე დაიღუპა. ეკატერინე გაბაშვილი დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

99 კონსტანტინე (კოტე) მაყაშვილი (1876-1927), პოეტი, მარო მაყაშვილის მამა. საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი თავმჯდომარე, სათავადაზნაურო ბანკის დირექტორი.

100 პოლიკარპე (ბუღუ) მდივანი (1877-1937), ბოლშევიკი, რევოლუციონერი, სახელმწიფო მოღვაწე. რსფსრ-ს წარმომადგენელი თურქეთის რესპუბლიკაში. 1921-1922 წლებში საქართველოს რევკომის თავმჯდომარე და ამიერკავკასიის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე. რეპრესირებული, დახვრიტეს 1937 წელს.

101 მარიამ მდივანი - ბუღუ მდივანის მეუღლე. რეპრესირებული.

102 გერმანიამ გამოგზავრებამდე გრიგოლ ფერაძე თბილისში IX უბანში, საყდრის ქუჩაზე №9 ცხოვრობდა.

დღეს მითხრეს სამშაბათს წახვალო, ვნახოთ რამდენად მართალი იქნება – უკანასკნელი იმედი თუ გამართლდა კარგია. დღეს ნიკო თავდგირიძეს¹⁰³ და შალვა ქარუმიძეს¹⁰⁴ შევხვდი. გუშინ ბინაში უკანასკნელად ვიყავი, გიჟივით დავდივარ, ნაცნობებთან დანახვის და ლაპარაკის მრცხვენია. ეს მხოლოდ ერთადერთი პრობლემა არ არის, როგორც იტყვიან „Idee first“ ჩემი ნერვიული მდგომარეობით არის გამოწვეული. სინამდვილეში კი ყველამ იცის საქმის ვითარება. ქორდანია მსგავსი დაბერებულ-დახავსებული ჩინოფნიკების, როგორც სულით ასევე ხორციით, მათი ამრი და ლაპარაკი, ქცევა და თეატრალურ ქესგ-გაკვირვებანი არც უნდა მაშინებდეს, არც ნერვებს მიშლიდეს - ღირსნი არიან ლანძღვა – ღაცინვის. რა რიგ მეჯავრება ქორდანია!

მივდივარ! მაგრამ საით! თითქოს ვიცი – რისთვის? სხვა არაფერი ცხოვრების საკითხი და ზრუნვა არ მაინტერესებს, რაღაც ღვთის ნუგეში, ღვთის ძახილს მივეყვები. მგონი ღვთის ძახილს და ვნახოთ სულის ეს ძახილი სად მიმიყვანს და რას მიქაღის. იქნებ ნოვოროსიისკში ჩამომსვან და გამაბრუნონ უკან საქართველოსკენ, ღმერთო ნუ იქნება ასე.

ამ ბოლო დროს გამწარებული ლექსებს ვწერ, ოთხი ლექსი „მანავის ხეობა“, „გროლეგი“, „უფროთ მფრინავნი“ და „ჩემს მამას“ დავწერე. ვფიქრობ, მეტი უნდა ვიკითხო და გავეცნო ახალგაზრდა მწერლებისა და მგოსნების ლექსებს, გედმიწევნით შევისწავლო ლექსის სტილი, რითმა და მიმართულებები ჩვენს მწერლობაში ვფიქრობ, რომ ლექსების წერის ნიჭი მაქვს და თუ ეს ნიჭი განვავითარე, მეც ცოგათოღენ წვლილს შევიტან ქართულ ლიტერატურაში.

თავდგირიძე მოვაგყუე ოთხი გირვანქა სტერლინგი მაქვს მეთქი. ღმერთო, ნუთუ არ უნდა მრცხვენოდეს.

„კახეთმა“¹⁰⁵ და „საქართველოს რევკომმა“¹⁰⁶ უარი მითხრეს დახმარებაზე. ღმერთო, შენ ნუ მეტყვი უარს, ნუ გადამელობები წინ, ნუ დამინგრევ გზას.

ბერმა ილიამ ყველი და არქიმანდრიგ ამბროსი ხელაიას წიგნი „ჭელი-

103 ნიკო თავდგირიძე (1871-?), პუბლიცისტი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი ორგანიზაციის წევრი.

104 შალვა ქარუმიძე (1887-1952), საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1920 წლიდან საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი.

105 საზოგადოება „კახეთი“ 1895 წლიდან არსებობდა და მასში 1920-21 წლებში 246 მევენახე იყო გაერთიანებული.

106 „საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა“ 1921 წლის 25 თებერვლის მოვლენების შემდეგ თბილისში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო. რევკომის პირველი თავმჯდომარე იყო ფილიპე მახარაძე (1868-1941). გააუქმა დამფუძნებელი კრება და სამინისტროები, შექმნა მილიცია და საგანგებო კომისია ანგი-საბჭოთა მოძრაობასთან საბრძოლველად.

შის ვარიანტი ქართლის მოქცევისა¹⁰⁷ მოგვიგანა. თავისუფალი დრო, რომ მექნება უნდა დაეწერო პაგარა იუმორისგული მოთხრობა „მეაღბომე პოეტები“...

30. X. 1921. კვირა

დღეს კვირაა, სიონში კათოლიკოსი ამბროსი სწირავდა და მეც იქ წავედი. დილით ჩვენთან კაგო მოვიდა. გაყევი „საღდათის ბაზარზე“¹⁰⁸, რომ მივედი გადავიფიქრე სიონში¹⁰⁹ წასვლა, ვიფიქრე მღვდლები დამხვდებიან დაიწყებენ წივილ-კივილს, ერთ ამბავს და ისევ ვარჩიე კალოუბანში¹¹⁰ ასვლა. საყდარში მხოლოდ ერთადერთი კაცი იდგა – მხოლოდ ერთი. ვიყავი და გავბრუნდი, წავედი სიონში რაც იქნება იყოს მეთქი. სიონში სამეიმო წირვა იყო, მაგრამ ხალხი ერთობ მცირე, გალობდა მაისურაძის ხორო, რომელიც არ მომწონს, საშინლად გალობენ, არა სჯერათ.

კათოლიკოსმა სიგყვა წარმოთქვა იოანე ოქროპირის ერთ-ერთი ქადაგებიდან, „როდესაც ანგიოქიის ეკლესიაში შედარებით ცოცხა მორწმუნე ყოფილა იოანე ოქროპირს უთქვამს „თქვენ ჭეშმარიტი ქრისტიანები ხართ“. ქადაგების იდეა სახარებიდან იყო ამოღებული „იყავით სრულ, ვითარცა მამა თქუენი...“. ამ დიდ იდეაზე შეიძლებოდა უკეთესი, დღევანდელ მდგომარეობასთან მისადაგებული ქადაგების დაწერა, მაგრამ მისი ქადაგება საშინლად ნაკლები იყო. ბარგყული¹¹¹ არქიერები ჩვენს

107 არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას მიერ მიკვლეულ იქნა ჭელიშის მონასტერში „მოქცევა ქართლისაჲ“-ს მანამდე უცნობი რედაქცია, ე.წ. ჭელიშური ხელნაწერი (XIV ს-სა) და ასევე წმინდა სახარება, შემდგომში ჭელიშის ოთხთავის სახელით ცნობილი. ჭელიშის აღნიშნული ხელნაწერი, სხვა მნიშვნელოვან ხელნაწერებთან ერთად, არქიმანდრიტმა თბილისში ჩამოიგანა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო სამოვადოების მუზეუმს გადასცა (ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში – H600), ხოლო ამ აღმოჩენის შესახებ 1907 წელს თავად წაიკითხა გამოკვლევა.

108 „საღდათის ბაზარი“, მდებარეობდა ახლანდელი კოლმეურნეობის მოედნის ტერიტორიაზე. მას „რუსის ბაზარსაც“ უწოდებდნენ, რადგან იქ კვირაობით რუსი ჯარისკაცები იკრიბებოდნენ. ბაზრობაზე აბსოლუტურად ყველაფერი იყიდებოდა: ავეჯი, ჭურჭელი, ფეხსაცმელი, განსაცმელი, თეთრეული და სხვა სახის ნივთები. იხ. თ. კვირკველია, ძველთბილისური დასახლებანი, თბილისი 1985.

109 სიონის საკათედრო ტაძარი, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ეკლესია, რომელიც აგებულია X საუკუნეში, რომელშიც ღვთისმშობლის რამდენიმე საუცხოო ხატი და საქართველოს უწმინდესი რელიქვია წმ. ნინოს ჯვარი ინახება.

110 კალოუბანი – თბილისის ისტორიული უბანი ყოფილი პიონერთა სასახლისა და ისტორიის მუზეუმის ტერიტორია, წყაროებში მოხსენიებულია XVI საუკუნეში. კალოუბანში (ახლანდელი კინოთეატრ „რუსთაველის“ ადგილას იდგა ადრინდელი შუა საუკუნეების წმ. გიორგის საყდარი. П. И. Иоселиани, *Описание древностей города Тифлиса*, Тифлис 1886; თ. კვირკველია, ძველთბილისური დასახლებანი, თბილისი 1985.

111 კუნკული (ბარგყული) (ბერძ. „აქლემი“), შავი ან იისფერი. ზედა ნაწილში გაფართოებული

წინამძღვარს, კათოლიკოს-პაგრიარქს ჰბაძაველენს, ხოლო უწმინდესს პლატინა-ბრილიანგის ჯვრით მიმაგრებული ბარგყული ესურა და უფრო რუს მთავარეპისკოპოსს ჰგავდა, ვიდრე საქართველოს კათოლიკოს-პაგრიარქს. სიგყვის შესავალში უწმინდესმა აღნიშნა, რომ „ორი თვე სრულდება, რაც კათოლიკოსი ვარ და აქ ეს ჩემი პირველი წირვა არისო“. მიზეზად ეკლესიის სიღარიბე მოიყვანა, ხოროს უქონლობა და სხვა. ორიდან ერთი - ან სომეხთა კათოლიკოსივით ან რომის პაპივით წელიწადში ერთხელ სწიროს ან გვიმზე და ბრწყინვალეობაზე სრულად აიღოს ხელი და უბრალო მღვდელმთავრის როლი შეასრულოს, როგორც დავითი ან სხვანი.

შევხვდი მისაკო წერეთლის¹¹² ცოლს,¹¹³ ძალიან გაისარა ჩემი ნახვით, კარგად მიმიღო, მაღლობა გადამიხადა და თქვა: „კვირას წახვალო“. არ ვიცი როგორ იქნება, სამშაბათს მანაუში წავალ, ერთ ფუთ¹¹⁴ ფქვილს მაინც მოვიგან, თორემ საშინელებაა ჩემი აქ ყოფნა, შიმშილით ვკვდები.

1. XI. 1921. სამშაბათი

გუშინ პასტორ მაიერთან¹¹⁵ ვიყავი, კარგად მიმიღო, ძალიან გაუხარდა და მოიწონა ჩემი ამრი. მხოლოდ ბერლინის თეოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლა არ მირჩია. მითხრა „დღეს გერმანიაში ღვთისმეტყველების ორი მიმართულება არსებობს, ერთი ურწმუნო თეოლოგების, რომლებიც ეკლესიაში მსახურებისათვის რწმენას, სიყვარულს, დაგიკარგავენ. სწორედ ამ კატეგორიას ბერლინის კათედრა ეკუთვნის პროფესორ ჰარნაკის¹¹⁶ მეთაურობით“. ჰკითხე პასტორ ლეფსიუსს, ის დაგარიგებს,

ცილინდრის ფორმის თავსაბურავი, რომელიც გადაჭიმულია ნაჭრით. მისი სახელწოდება წარმოდგება აქლემის ბეწვისგან. ისფერი კუნკულ-ბარგყული ჯილდოს სახით ეძლევათ თეთრი სამღვდლოების წარმომადგენლებს. შავ კუნკულ-ბარგყულს აგარებს მორჩილი და იგი ასევე წარმოადგენს იეროდიაკონისა და არქიდიაკონის თავსაბურავს. მღვდელმთავრებს შეუძლიათ აგარონ კუნკული ღვთისმსახურების შესრულების გარკვეულ პერიოდში. სიმბოლურად, კუნკულ-ბარგყული გამოხატავს უფლის ეკლიან გვირგვინსა და სხეულის მოკვდინებას.

112 მისიელ წერეთელი (1878-1965), ორიენტალისტი, ფილოლოგი, სოციოლოგი და პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. 1918-1919 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებში.

113 თამარ ვახვახიშვილი - მისაკო წერეთლის მეუღლე.

114 ფუთი – 16 კგ.

115 რიჰარდ მაიერი (1869-1933), საქართველოს ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის წინამძღოლი 1900-1931 წლებში. 1932 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს ციბირში. დახვრიტეს მოსკოვში 1933 წელს. გერმანული ლუთერანული ეკლესია (Lutherische Kirche Sankt Peter und Paul) განთავსებული იყო ამჟამინდელი კოტე მარჯანიშვილის ქუჩის და დავით აღმაშენებლის პროსპექტის გადაკვეთაზე. იხ. ნ. პაპუაშვილი, ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის ისტორიიდან საქართველოში, თბილისი 2018.

116 ადოლფ ფონ ჰარნაკი (1851-1930), გერმანელი თეოლოგი, ეკლესიის ისტორიკოსი, პაგროლოგი. ჰარნაკის კომენტარებით ივანე ჯავახიშვილმა გერმანულ ენაზე გამოსცა „ეესტატე

ჭემპარიგ ვგაბე დაგაყენებს, ენდე მას, როგორც მამას – ნუ შეგეშინდება, დაგაბინავენს და მოგივლის“.

მე მივიღივარ (თუ წავალ) იმ სურვილით და აზრით, რომ მომავალში ეკლესიას ვემსახურო და მას შეეწირო ჩემი იქ შეძენილი ცოდნა და სწავლა და რა სახეირო იქნება ჩემთვის ისეთ ფაკულტეტზე შესვლა, რომელიც დამიკარგავს და წამართმევს რწმენას – მომამორებს სურვილს და სიყვარულს ეკლესიისადმი. ნუ იქნება ესე – პოვინციაში მირჩევნია ცხოვრება – ერლანგენში¹¹⁷ ან ლაიფციგში¹¹⁸ ან გრაიფსვალდში¹¹⁹ ცხოვრება იქ გაცილებით იაფი იქნება და უფრო უკეთ შევინახავ თავს და განვამტკიცებ ჩემს რწმენას...

დღეს გობრონმა ვასოს კოსტიუმი უფეშქაშა...

არ ვიცი წავალ თუ არა. მისიას უკანასკნელ დღემდე ვუვლებ ყურს და თუ უარი მითხრა, მაშინ შიმშილით მოვკვები თუ წყურვილით „K черту вели“ პირდაპირ სტამბოლში წავალ – რა ვქნა, ალბათ ესეც ღვთის ნება იქნება, წავალ კი უსათუოდ.

4. XI. 1921. პარასკევი.

გუშინ ბერლინიდან დეპეშა მიიღეს – ამ დეპეშის ასლი ნოვოროსიისკში და მოსკოვში გაუგზავნიათ. დეპეშის შინაარსი მაინცდამაინც შესანიშნავი და საინტერესო არ არის, მაგრამ ერთგვარად მან რაღაც იმედის სიო შემოიგანა. წავალ ორშაბათს ან სამშაბათს – დედა გირის, მახსენებს უფქვილობას, მეუბნება უწმინდესთან წადი სთხოვე ფქვილი. არჩილი აქ არის, მაგრამ მე მაგზავნიან კათოლიკოსთან. ამ თვეს ნახევარი მილიონი ფული¹²⁰ დაფხარჯე, მეგი რა უნდა ვქნა? დამანებეთ თავი...

კეკელიძესთან¹²¹ ვიყავი და მითხრა, რომ „ამ საბუთით გერმანიაში არ მივიღებენ, ხვალ ათ საათზე მოდი და სხვა საბუთს გაგიმზადებო“ – ხვალ წავალ.¹²²

მცხეთელის მარტვილობა“.

117 ერლანგენი, ქალაქი ბავარიის მხარეში.

118 ლაიფციგი - საქსონიის უდიდესი ქალაქი.

119 გრაიფსვალდი - ქალაქი როსტოკის ოლქში. მდინარე რიკის ნაპირზე.

120 ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის გაანგარიშებით 1920 წელს 1913 წელთან შედარებით, გაძვირდა პური 58, 8%; ქერი – 62, 9% – ით; ხორცი, თითქმის 20%-ით; ყველი 41, 1%-ით. გაზეთი „ერთობა“, № 236, 1920 წ. იხ. თ. ათანელიძის შვილი, ეკონომიკური რეფორმების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წწ.), გვ. 111.

121 კორნელი კეკელიძე (1879-1962), ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანადადამფუძნებელი. თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი. 1919-1925 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნისმეცველების ფაკულტეტის დეკანი.

122 გრიგოლ ფერაპის სახელზე გაცემული საბუთი ინახება ვარშავის მართლმადიდებლური მიგროპოლის არქივში. წმ. გრიგოლ ფერაპე, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, ლოკუმენტები, გვ. 358.

6. XI. 1921. კვირა

სამშაბათი, უკანასკნელი დღეა. ჩემი თავით კმაყოფილი არ ვარ, დედა დიდიდან საღამომდე 500 მანეთის გულისთვის დიდუბეში დადის. მე წინანდებურად ფულს ვხარჯავ, საღამოს 3500 მანეთი დავხარჯე, ეს ჩემი ნებისყოფის სისუსტეა, რომელთანაც საჭიროა ბრძოლა... „Всякого следует считать невиновным, пока не докажут что он виновен. მგონი მივდივარ...

...8... რას ნიშნავს ეს რიცხვი? რვას! უარს! გამარჯვებას? არ ვიცი...¹²³

123 გრიგოლ ფერაძის საქართველოში შედგენილი „დღიური“ არასოდეს გამოქვეყნებულა. აქამდე მხოლოდ მისი ფრაგმენტები იყო ცნობილი. „დღიური“ დაწერილია 1920-1921 წლებში. რთული აღმოჩნდა დღიურის სრული სახით აღდგენა, როგორც ჩანს, რაღაც ნაწილი დაიკარგა, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი წარმოადგენს შესანიშნავ დოკუმენტს საქართველოს იმდროინდელი მოვლენების შესასწავლად. რთული აღმოჩნდა ხელნაწერზე მუშაობა, გექსტი ძნელად იკისება, დაწერილია შავი მელნით და ნაწილობრივ ფანქრით, მაგრამ ბოლოს მაინც წარმატებით დასრულდა. ხელნაწერი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ზზა ბამარჯვებისაჲენ

1921 წელი. აღღგომა

აღღგომა გამარჯვების ღღესასწაულია, რომელიც შვებასა და აღღრ-
თოგანებს ჰგერის ადამიანს. ბევრისმთქმელია თავად ის ფაქტიც, რომ
იგი გაზაფხულზე მობრძანდება, როღესაც ბუნება ზამთრის ძილისაგან
იღვიძებს და ნაირგვარი ფერებით ირთვება. ჩვენთან, საღაც გაზაფხული
ძალიან ჰგავს შემოღგომას, ბუნების ამ გრიუმეს ადამიანი ისე მკვეთრად
ვერ გრძნობს, როგორც მაგალითად ანაგოლიაში, საღაც გაღამზმარი
უღანოები გაზაფხულზე ყვავიღების ფაფუკი ხალიჩით იფარება.

გაზაფხული აღმღრენის პერიოღია, ბუნების გამოღვიძების, სიცოცხლის,
სიღამზმის, ისეთი სიღამზმის, როგორიც მხოლოდ ბუნებას ახასიათებს.
წელიწადის ამ ღროს დააწესა ქრისტიანულმა ეკღესიამ ღღესასწაულ-
თა ღღესასწაული, სიხარული სიხარულთაგანი – აღღგომის ღღესასწაული,
სიკვეღიღისა და ჯოჯოხეთის (ჰადესის) დათრგუნვის, საგანისა და მისი ძა-
ღის დამარცხების ზეიმი. უნებურად სწორედ ამ ღღეს გაღაეშღება ადამიანს
თვალწინ წარსუღის სურათები, ნათღად წარმოუღგება სამშობლო, მშობ-
ღიური სახღი, ახალგაზრღობის წღები. სამწუხაროღ, ჩვენი თაობისათვის
მოგონებები უფრო მეგად სეღღიანია, ვიღრე მხიარული.

* * *

მაგონღება აღღგომის ღღესასწაული სამშობლოს დაგოვების წინ 1921
წღის¹ მათი. ეს იყო წელი, როღესაც მთელი საქართველო სისხღში ცურავღა.
სამივე ძმა ფრონგზე ვიყავით. ღღღაჩეღი თბიღისში იყო, არაფერი იცოღა ჩვენ
შესახებ. სამი ძმიღან². პირვეღი მე ღავზრუნღი სახღში. ბინა³ გაქურღული

1 ანაგოღია, რეგიონი ჩრდილო-ღასავეღთ აზიამი, რომელიც ამჟამად თურქეთშია. გერმინი
ნიშნავს „მზის ამოსვღას“ ან „აღმოსავღეთს“. ქვეყნის ამ ნაწიღს ასევე უწოღებენ მცირე აზიას.
2 გრიგოლ ფერაძეღ ჰყავღა ორი ძმა: უფროსი არჩიღ ფერაძე (1895-1937), სამხეღრო მო-
სამსახურე, რომელიც მეუღღესთან ერთად ღახვრიგეს და უმცროსი ვასიღი (1903-1982),
ფიზიკის ღექტორი.

3 თბიღისში გრიგოლ ფერაძეღ საყღრისის ქუჩამე № 9 ცხოვრობღა.

დამხვდა, ქალაქი შიმშილობდა. დრო არ მქონდა დასვენებაზე მეფექრა. უნდა მეჩქარა, რათა უმცროსი ძმა მომეძებნა. სხვადასხვა ამბავი აღწევდა დედის სმენას. საქართველოს სამი ქალაქი მოვიარე ქ., ბ., და ს.⁴, სადაც სამხედრო ჰოსპიტლები მდებარეობდა იმ იმედით, იქნებ მეპოვა იგი. რკინიგზები ბევრგან განადგურებული იყო, უმეტესად ფეხით დავდიოდი, ხიდების უმეტესობა აუფეთქებინათ და წითელარმიელები ცდილობდნენ მათ აღდგენას. ხიდზე გადასვლის უფლება რომ მიგელო, მათთან ერთი დღე მაინც უნდა გემუშავა.

ბ.-ში უშედეგო ძებნის შემდეგ ქ.-ში ძლივს მივაგენი დაკარგულ ძმას, რომელსაც ჩემი ჩასვლის დღეს ფეხი მოჰკვეთეს⁵.

თბილისში იმავე „ოდისეით“ დავბრუნდი. დიდი შაბათი იდგა. ბინის კარები ღია დამხვდა. როგორც მეზობლებმა მითხრეს, დედას წინა დღეს, წითელ პარასკევს, ჩემი ძმის წერილი მიეღო და შვილის სანახავად გამგზავრება გადაეწყვიტა, ამიგომაც რკინიგზის სადგურში წასულიყო. მეც სასწრაფოდ მივაშურე. მაგარებლები არარეგულარულად მოძრაობდნენ. ვაგონებში მოხვედრას მხოლოდ მამაკაცები ახერხებდნენ ძალის გამოყენებით, ქალები კი მთელი დღეების განმავლობაში რიგს ელოდნენ. დედაც მათთან ერთად, წინა დღიდან მოყოლებული, ბილეთების დაკეცილ სალაროსთან იდგა. ხელი მოვკიდე და ვთხოვე, რომ დაეცადა გზების აღდგენამდე, მერე კი ორივენი ერთად მოვახერხებდით წასვლას. დედა ჯიუგობდა, მაგრამ როცა შეამჩნია, გამვლელ-გამომვლელთა ყურადღებას ვიქცევდით, ჩემს ნებას დაჰყვა. გადატანილი განჯვით დაღლილი, ნერვიულობისაგან გამოფიგული ქალი, რომელსაც ალბათ არასდროს გაუცდენია აღდგომის დიდი დღესასწაული, იმ დღეს ეკლესიაში ვერ წავიდა და სახლში დარჩა.

4 სავარაუდოდ ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი.

5 საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია ბერლინის უნივერსიტეტის სტუდენტის გრიგოლ ფერაძის 1922 წლით დათარიღებული წერილი, რომელიც მან გერმანიიდან საქართველოს მთავრობას გაუგზავნა.

„ჩემი ძმა ვასილ ფერაძე სტუდენტი თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბოლშევიკებთან ბრძოლის დროს ჩაეწერა მონახლსედ მე-11 ქვეით ათასეულში. დაიჭრა მარცხენა ფეხში ქალაქ ხაშურთან. იწვა რამდენიმე ხანი ქუთაისის საავადმყოფოში, სადაც უყვეს ფეხის ამჟუგაცია.

ამჟამად იგი იმყოფება თბილისში. განიცდის საშინელ გაჭირვებას და ღვენას ბოლშევიკებისგან და როგორც მწერდა ამას წინათ ციხეშიც მჯდარა რამდენიმე ხანი. ამ ორი თვის წინათ მივიღე მისგან ფეხის ზომა აღებული თბილისში არსებული გერმანული ლაზარეთის ექიმის მიერ. ფეხი იმ სანებში ფასობდა 5000 მარკა. ქართული საელჩოს საშუალებით გავუგზავნე თხოვნა საქართველოს მთავრობას და ვთხოვი უმორჩილესად დახმარებას ფეხის შეძენაში.

ვინაიდან აქამდის არავითარი პასუხი არ მიმიღია ფეხის ფასი კი დღითიდღე იზრდება და ამ კვირებში უკვე 8000-8500 აღწევდა. მე თვითონ არავითარი შეძლება არ მაქვს ფეხის შესაძენად და ვიღებ დახმარებას კერძო საქველმოქმედო საზოგადოებიდან. უადრესად ვკადნიერდები ამ მეორე თხოვნით საქართველოს მთავრობისადმი. მთხოვნელი: გრ. ფერაძე, ბერლინი, 16 მარია-მობისთვე, 1922 წ.“

* * *

სიონის საკათედრო ტაძარში, საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ეკლესიაში, რომელიც აგებულია X საუკუნეში, რომელშიც ინახება ღვთისმშობლის რამდენიმე საუცხოო ხატი და საქართველოს უწმინდესი რელიქვია წმ. ნინოს ჯვარი, იმ დღეს მორწმუნეთა სიმცირე იგრძნობოდა. თვით კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე⁶ წირავდა რამდენიმე მღვდელთან ერთად. შესასვლელთან შეეჩერდი – ვერაფერს ვხედავდი, თითქოს გაექცავედი, ვერც პატრიარქთან მივედი, როდესაც მორწმუნენი მიუახლოვდნენ.

ღვთისმსახურების დამთავრების შემდეგ, ეკლესიიდან გამოსვლისას, პატრიარქმა შემაძინა და მომესალმა „ქრისტე აღსდგა“. ავტომატურად ვუპასუხე, როგორც წესი იყო და თან გამოვყევი.

ახალი დღე იწყებოდა. პატრიარქის სასახლისაკენ მიმავალი, აღდგომის დღეებში ყოველთვის ხალხმრავალი ქუჩა ახლა სრულიად დაცარიელებულიყო, ფანჯრის დარაბებიც მიეხურათ. ეგყობოდა, რომ ქალაქი ვერ აღიქვამდა უდიდესი დღესასწაულით მონიჭებულ სიხარულს. პატრიარქი მარტო მიდიოდა, არც ერთი მღვდელი არ აცილებდა. მე შორიასლოს მივყევოდი. ქუჩის კუთხეში ორი წითელარმიელი გამოჩნდა, მიზლით შეხედეს პატრიარქს და გზა განაგრძეს. თუმცა ერთ-ერთი სახლის კარებთან მჯდარი ზედამხედველი მისი უწმინდესობის დანახვისას ფეხზე წამოდგა.

სასახლეში შესვლისას პატრიარქი შეჩერდა, თითქოს იგრძნო, რომ უკან მივყევოდი. ორივე ხელი ჩამავლო და გკვივლითა და დარდით სავსე მამობრივი ხმით მითხრა:

„სულიერად დაცემული ვარ. წადი აქედან, გადაარჩინე შენი ახალგაზრდობა“. შევიგრძენი მამაშვილური მზრუნველობა, სიმწარე, გკვივლი და სევდაც⁷.

* * *

იმ დღეს ქალაქში უმიზნოდ ვხეტიალობდი. მიუხედავად დაკეტილი მაღაზიებისა, ქუჩაში დიდი მოძრაობა იყო. მშიერი და სასოწარკვეთილი ხალხი (უმეტესობა ყოფილი სახელმწიფო მოხელეთა ოჯახის წევრები) ქუჩაში ყიღდა უკანასკნელ ნივთებს, რათა გროშები ეშოვათ პურის საყიდლად. ვუყურებდი, ვაკვირდებოდი ამ ხალხს და ყოველი მხრიდან ვგრძნობდი ომის შემდგომ აგონიას. ადამიანები, რომლებიც არასდროს იცნობდნენ ქუჩას, დღეს მის კუთხეებში გრიალებდნენ. ერთ-ერთი ყოფილი უმაღლესი მოხელის ცოლიც, ორ ქალიშვილთან ერთად, ხელში რაღაც ნივთებით ქუჩაში გამოსულიყო. ერთი გოგონა გვერდით ედგა, მეორე წინ და უკან დადიოდა, თითქოს ვინმეს ეძებდა. უცებ კვივლი გაისმა – ვიღაც კაცმა ქალს ხელიდან ნივთი გამოგლიჯა და გაიქცა. ხალხით გარშემორტყმულ, გაწბილებულ

6 ლეონიდე ოქროპირიძე (1861-1921), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1919-1921 წლებში.

7 დღიური. 1920 წლის 26 ნოემბერი – 1921 წლის 6 ნოემბერი, გვ. 54-55.

აღდგომა კი ქრისტეს გამარჯვებაა სიკვდილზე, სიკეთის ამაღლება ბოროტებაზე, თუმცა, ბოროტება ძლიერია, წარმოიქმნება თუ არა, მაშინვე ავიწროებს სიკეთეს და არ აძლევს გამარჯვების საშუალებას. ამიგომაცაა, რომ რადგანაც ხალხი ცხოვრებაში ვერ ხედავს ამ გამარჯვების ხელშესახებ შედეგებს, აღდგომის დღესასწაულს ვერ უძღვნის მთელ თავის სულს.

ნუთუ ბოროტების მომძლავრებაზე არ მიგვითითებს დედაჩემის ტკივილი? ტკივილი იმ ქალისა, რომელსაც არასოდეს გაუცდენია არც ერთი ღვთისმსახურება, იმ დიდ ღამეს კი სახლში დარჩა. ან ქვეყნის უმაღლესი საეკლესიო პირის „აღსარება“ თავისი მრევლის ახალგაზრდა წევრის წინაშე? ან ახალგაზრდის ცხოვრება, რომელიც სიცოცხლის საუკუთესო პერიოდში იძულებულია მიაგოვოს სამშობლო და შევლა უცხო მხარეში ეძიოს?

* * *

ქრისტე გამარჯვებასთან წამებითა და ჯვარცმით მივიდა. თვით მასაც კი, ღვთის ძეს, სიმწრითა და მოთმინებით სავსე ფიალა უნდა შეესვა, ეკლიან გზაზე უნდა ევლო. გამარჯვებისაკენ გზა ხომ ყოველთვის ეკლიანია და ჯვარცმაზე გადის.

უდიდესი სიბარულის დღეებში ჩვენი თავის მიმართ კრიტიკულნი უნდა ვიყოთ. ქრისტეს ცხოვრებისა და წამებისა მაგალითის გათვალისწინებით უნდა დავასკვნათ და ვაღიაროთ, რომ ეკლესია მოწოდებულია ბრძოლისა და გამარჯვებისათვის. მიზანს იგი მიაღწევს მხოლოდ მოთმინების, ეკლიან გზაზე სიბარულის, გოლგოთისა და ჯვარცმის გზით. სხვა გზა ქრისტეს პრინციპების საწინააღმდეგოა, იმ პრინციპებისა, რომლებიც მიზნის მისაღწევად მოითხოვენ ადამიანის მთელს არსებას. სხვა გზა მხოლოდ ბოროტებას ეხმარება და კეთილმოსურნეობისა და კეთილსინდისიერების მქონე ადამიანს კატასტროფისკენ, გრაგელიისკენ მიაქანებს. და ეს ემართება არა ცალკეულ ადამიანს, არამედ მთელ სამოგალოებას, მთელ ერს.

თუკი გავითვალისწინებთ ამ საშიშროებას და მაინც დავიწყებთ საკუთარი თავის დამშვიდებას არარსებული გამარჯვებებით, განა არ იქნება ეს ქრისტესა და მისი ეკლესიის ღალატი? განა ამით არ ჩავიდენთ უდიდეს ცოდვას?

* * *

აღდგომის დღე უნდა გახდეს მთელი ჩვენი საქმიანობის, ჩვენი ცხოვრების შემმოწმებელი, რწმენის, ღვთის, სინდისისა და ხალხის მიმართ ჩვენი დამოკიდებულების განმსაზღვრელი.

ყველას, ვინც ამ დიდ დღეს განიცდის მსგავს უკიდევანო დარღსა და სევდას, ვესალმები: ქრისტე აღსდგა!

ჩემი სწავლა-განათლების წლები ბერმანიაში

იმედი მაქვს, რომ ჩემი მისიის მეგობრებს კიდეც ვახსოვარ. ქარ თული ეკლესიის პაგრიარქის, მისი უწმინდესობის ამბროსის მიერ ოთხი წლით გერმანიაში თეოლოგიის შესასწავლად გაგზავნილი, დოქტორ ლეფსიუსმა გულთბილად მიმიღო, მისიის წევრებთან წარმადგინა და მითხრა, რომ გარკვეული ხნის შემდეგ ჩემი მეცადინეობისა და მიზნების შესახებ ვილაპარაკებდი.

ამის გაკეთება აქამდე სამწუხაროდ ვერ შევძელი, სწავლითა და მუშაობით მეცისმეტად ვიყავი დაკავებული, მით უმეტეს, ჩემი აქამომდელი განათლება ნაკლოვანი იყო, და ამიგომ არცერთი წუთი არ უნდა დამეკარგა უქმად. ახლა კი უნივერსიტეტის ნამდვილი წლები გასრულდა, შევძლებ ალბათ ამის შესახებ მოკლე მიმოხილვა მოგაწოდოთ.

გერმანიაში რომ ჩამოვედი, გერმანულ ენას ძლივს ვფლობდი, ეს რთული ენა გენერალური მდივნის შეფერის ოჯახში შევისწავლე, ხუთი თვის შემდეგ, დაახლოებით 1922 წლის მაისში ბერლინის თეოლოგიის ფაკულტეტზე ჩავირიცხე და თანდათანობით ჩავაბარე გამოცდები გერმანულ, ბერძნულ და ებრაულ ენებში.

ბერლინში სამი წლის განმავლობაში ვსწავლობდი, ვისმენდი გერმანული თეოლოგიური მეცნიერების ყველა დიდი წარმომადგენლის ლექციებს და იმთავითვე განვიზრახე ასისტენტ-კონსულტანტთან პროფესორ ჰოლთან ხარისხი დამეცვა. მისივე შემოთავაზებით მიხლოდა დამეწერა ნაშრომი ცნობილ ქართველ ბერზე გიორგი მთაწმინდელზე (მოღვაწეობდა ათონის წმინდა მთაზე 1000-1063 წლებში). მთელ გერმანიაში ვეძებდი ქართულ წყაროებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერსად მივაგენი, საქართველოდანაც, ბუნებრივია ვერ მივიღებდი.

1924-1925 წლების ზამთრის სემესტრში ბერლინის უნივერსიტეტის ქართული ენის ლექტორი დოქტორი მეკელანინი გულთბილად შემხვდა და მირჩია მიემართა პროფესორ გუსენისათვის ბონში, რომელიც იქაურ უნივერსიტეტში აღმოსავლურ (ქართულ, სომხურ, ეთიოპიურ, კოპტურ და სირიულ) ენებსა და აღმოსავლური ეკლესიის საკითხებს ასწავლიდა.

მიემართე პროფესორ გუსენს და, ჩემდა სასიხარულოდ, მას აღმოაჩნდა არა მარტო ის, რაც მჭირდებოდა, არამედ გაცილებით მეტი, რის შესახებ წარმოდგენაც კი არ მქონდა, მან მომწერა: „მე ყველა წიგნი მაქვს, რაც გესაჭიროებათ. შემდეგ მაცნობა ძვირფასი ლიგერაგურის სია „სამწუხაროდ ვერცერთს ვერ გამოგიგზავნით, მაგრამ ჩემი სახსრებით აქედან

ფოტოთი გადავიღებ ცალკეულ, მნიშვნელოვან ადგილებს, რომლებიც თქვენს კუთვნილებად იქცევა“.

ფოტოთი გადაღება ძვირი ჯდება, მით უმეტეს, რომ საქმე დაახლოებით ასამდე წიგნს ეხებოდა, ამიტომ ღოქტორ ლეფსიუსისა და პროფესორ ჰოლის რჩევით 1924-1925 წლების საშობაო არდადეგებზე ბონში გავემგზავრე, რათა პროფესორ გუსენის შესანიშნავი ბიბლიოთეკა მენახა.

პროფესორ გუსენმა ძალზე გულისხმიერად მიმიღო, თითქმის მთელი დღე მასთან დავყავი, მეცნიერმა ბევრი მნიშვნელოვანი რამ მთამაგონა. მასთანსაუბარმა ისეთი მთაბეჭდილება შემიქმნარო მსწორედის აღმოვაჩინე, რომელიც ჩემი სწავლა-განათლებისათვის მჭირდებოდა. განმაცვიფრა პროფესორ გუსენის უაღრესად განსწავლულობამ ქართული ლიტერატურისა და ისტორიის ყველა სფეროში და აგრეთვე იმან, რომ მათ ირგვლივ ყველა ქართული წიგნი ჰქონდა თავის ბიბლიოთეკაში.

საშობაო არდადეგებზე საშუალება მომეცა ამ წიგნებს გავცნობოდი, მაგრამ რა არის თოთხმეტდიანი არდადეგები და რას შეიძლება კაცმა ამ მოკლე დროში მიაღწიოს?

პოგსდამში დაბრუნებულმა ჩემი სამუშაოს შედეგებზე მოხსენება გააკეთე. ღოქტორ ლეფსიუსმა მირჩია მომავალი ბაფსულის სემესტრში სასწავლებლად ბონში გადავსულიყავი (1925) და თან დაწყებული სამუშაოც დამესრულებინა.

ასეც მოვიქეცი, ბაფსულში შრომა ნაწილობრივ მზად მქონდა, მაგრამ ნაშრომის მოცულობა იმდენად გაიზარდა, რომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მე მინდოდა მხოლოდ გამოკვლევა გამეკეთებინა ცნობილ ქართველ ბერზე გიორგი მთაწმინდელზე. ნაშრომი მის ცხოვრებაზე პირველად ვთარგმნე ქართულიდან გერმანულად, ეს თარგმანი ბოლანდისკ პაულ პეეგერსის ლათინურ თარგმანს შევუდარე და გავეცანი მის შესავალსა და დასკვნებს (Analecta Bollandiana B. 36-37 Histoire Monastique Georgienne). გექსტის კრიტიკულ ანალიზს რომ შეიცავდა. ნაშრომი რომ დავამთავრე მივხვდი, რომ მეთოდური შეცდომა დავუშვი ქართული ეკლესიის აყვავების პერიოდიდან მნიშვნელოვანი წარმომადგენლის გამოყოფა თავისთავად შეცდომა არ იყო, რადგან ამ ეკლესიას ალბათ მხოლოდ სახელით იცნობენ, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა ჯერ წინა პერიოდის ბერობაზე გამეკეთებინა გამოკვლევები, რათა მეჩვენებინა თუ რაგომ მოხდა, რომ პირველი გამოკვლევა სწორედ გიორგი მთაწმინდელს მივუძღვენი. ამგვარად ნაშრომიდან „გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობა“ წარმოდგა „ქართული ბერმონაზვნობის ისტორია მისი დასაწყისიდან 1064 წლამდე“.

კითხულობენ და, ალბათ, არც უსამართლოდ, რაგომ მაინცდამაინც ბერობა ქართული ეკლესიისა, რომელიც ასე უცნობია? მართებულია პირველი ნაშრომი ბერობას რომ ეხება?

ამის გასაგებად უნდა გავითვალისწინოთ თუ რას ნიშნავს ბერობა აღმოსავლეთის ეკლესიისთვის, კერძოდ ქართული ეკლესიისთვის, არსად აღმოსავლეთში ბერობას ისეთი დიდი როლი არ შეუსრულებია, როგორც საქართველოში. ბერობის ისტორია იმავდროულად ნიშნავს მისიის ისტორიას, რამეთუ ბერები ცნობიერად თუ შეუცნობლად სახარების მქადაგებლებად გვევლინებიან. ბერობის ისტორია ნიშნავს კულტურას, საერო ლიტერატურისა და ეკლესიის ისტორიასაც.

პარადოქსია, რომ აღამიანები, რომლებიც ისტორიასა და ადამიანებს ჩამოშორდნენ და სიმარტოვეში დაისადგურეს, რომლებსაც სურდათ დავიწყებას მისცემოდნენ, ღვთივკურთხეულნი და ცნობილი პიროვნებები გახდნენ.

ნაშრომი საკმაოდ ვრცელი გამოვიდა და ოთხ ნაწილად დაიყო: 1. ქართული მონასტრები პალესტინაში და სინას მთაზე. მოკლე რეფერატი მონოგრაფიებზე: „ძველი ქართული ძეგლები წმინდა მიწაზე და სინას მთაზე“, „ცნობები ძველ საქართველოზე წმინდა მიწიდან“, პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი (რუსულად) 2. ქართული ბერობა თვით საქართველოში (სამი ასურელი მამა, წმ. სერაფიონი, წმ. ილარიონი, წმ. გრიგოლ ხანცთელი; 3. ქართული ბერობა ათონის მთაზე (წმ. იოანე და წმ. ეფთვიმე, წმ. გიორგი მთაწმინდელი); 4. ბოლოს, შეჯამება და დასკვნები.

მათი ცხოვრების ნაწილი ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ნაწილი კი ვრცლად აღვწერე თითოეულის ცხოვრება მოიცავს ტექსტის კრიტიკული ანალიზის შემცველ შესავალს, თვით ტექსტს კომენტარებით და ბოლოს, დასკვნებსა და მოგად შეფასებას.

ჩემი ნაშრომი 1925 წლის შემოდგომაზე მზად მქონდა, მაშინ მე პროფესორ შნაიდერთან ვიმყოფებოდი ვისბადენში, რომელმაც გულისხმიერება გამოიჩინა და გერმანულ ტექსტს სტილისტურად გადახედა. აქ ძალიან დიდი სიხარული განვიცაღე.

ლოქტორი ლეფსიუსის ნახვისა და მასთან საუბრის უკანასკნელი საშუალება მომეცა, ვაჩვენე ნაშრომი, რომლის გამოქვეყნებაც უნდოდა, შემომთავაზა მეორე თემა, რომელიც მას ძალიან აინტერესებდა და რომელსაც ყურადღებით უნდა მოეკიდებოდი. ლოქტორმა ლეფსიუსმა მირჩია რომ ამ სამუშაოს გამო ბონში დავრჩენილიყავი რომ ნაშრომში მეჩვენებინა ჩემი სამშობლოს ეკლესიის ამჟამინდელი მდგომარეობა ამავე დროს ვცდილიყავ ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მომეპოვებინა და მემუშავა პროფესორ გუსენის ხელმძღვანელობით, სადამდეც ეს საჭირო იქნებოდა. ლოქტორ ლეფსიუსს მართებულად მიაჩნდა, რომ სწავლის დასრულების შემდეგ რამდენიმე ხნით ისევ გერმანიაში დავრჩენილიყავი, რათა აქ მეორე სამეცნიერო თემა დამემუშავებინა. უკანასკნელად ვნახე მაშინ ლოქტორი და დიდად მტკივა გული, რომ იგი ჩემი სწავლის ბოლო პერიოდს ვეღარ მოესწრო.

ბეპირი გამოცდები 24 და 26 თებერვალს ჩავაბარე. ნაშრომი – აღმოსავლეთმცოდნეობის სემინარის თხოვნით – რეცენზირებულ იქნა პროფესორ ჰოლის მიერ ბერლინიდან.

ეს ნაშრომი ჯერ კიდევ ხელნაწერს წარმოადგენს. დიპლომის მისაღებად ნაშრომის რაღაც ნაწილი უნდა დაიბეჭდოს. პროფესორ გუსენთან ერთად დიდ მადლობას ვწირავ ბონის აღმოსავლეთმცოდნეობის სემინარის დირექტორს პროფესორ პაულ კალეს მრავალმხრივი რეკომენდაციებისა და სულიერი თანადგომისათვის.

მომავალში, როცა ნაშრომის პირველი ნაწილი დაიბეჭდება, მინდა გამოვიკვლიო ქართული და სომხური ეკლესიების განყოფის მიზეზები. ეს ის მეორე თემაა, რომლის დამუშავების სურვილიც დოქტორ ლეფსიუსმა აღმიძრა. ვფიქრობ, რომ აწ განსვენებული საყვარელი ადამიანის ანდერძსა და დაგალებას შევასრულებ. შევეცდები ობიექტური ვიყო ორი მეზობელი ხალხის (ქართველებისა და სომხების) მიმართ, რომლის მცხოვრებლებმა სხვადასხვა უბედურებების გამო მთელ მსოფლიოში საკუთარი სახლი უნდა ეძებონ.

ერთი პატარა წერილი ვერ დაიგევეს ყოველივეს, რაც სწავლის ოთხი წლის განმავლობაში შთაბაგონა დოქტორმა ლეფსიუსმა. ეს მთელი ცხოვრების პროგრამაა, რომელზეც დიდი გავლენა ამ ყოველმხრივმა და ღვთის მადლით სავსე ადამიანმა მოახდინა.

საეკლესიო ცხოვრება
წმ. ნინოს ქართული მართლმადიდებელი მრევლი

16 აპრილი 1933 წელი, პარიზი.

საეკლესიო ცხოვრება:¹

წირვები სრულდებოდა ყოველ კვირას ჩემი პარიზში ყოფნის დროს, პირველი წირვა გადახდილ იქნა 31 მაისს 1931; შემდეგ 9 მარიაშობისთვითვან ღვინობისთვის გასვლამდის 25 ქრისტეშობისთვითვან 14 იანვრამდის. 1932 წელი, მთელი აპრილი, მკათათვე და მარიაშობისთვე. 25 და 30 ქრისტეშობისთვე; 1933 წლის 1 იანვრითვან კვირაცხოვლობამდის (23 აპრილი); შემოსავალ - გასავალი წირვების და საწევრო გადასახადის ჯამი იბეჭდება ყოველ წლის გასულს და ეგზავნებათ მრევლის წევრებს.

მოინათლნენ:

1) 31 მაისს 1931 არჩილ ბურაბიშვილის² ბავშვი არჩილ-გარიელ-რობერტი. 2) 29 მარიაშობისთვეს გრ. ურაგადის³ ქალი მარიაშ-მედეა⁴. 3) 20 ენკენისთვეს ვასო ციციშვილს ქალი სუსანა⁵. 4) 22 ენკენისთვეს მის. ხუნდაძის⁶ ქალი თამარი-იონა-ელისაბედი. 5) 27 ღვინობისთვეს ალექსანდრე ჯინჭარაძის ქალი ქეთევანი⁷. 6) 1932. 6 იანვარს იოს. სარჯველაძის ქალი თინათინი⁸. 7) 14 იანვარს შოთა ნიკოლაძის შვილები დავით-რევაზი და

1 ქართველ წმ. ნინოს მრევლის ოფიციალური ნომერი. გამოდის წელიწადში ერთხელ სააღდგომოდ და მრევლის წევრთათვის სავალდებულოა. 4, Rue Recamier, Paris 7. ფასი 1 ფრ. გაზეთის ერთადერთი ნომერი დაცულია წმ. ნინოს პარიზის ქართული ეკლესიის ბიბლიოთეკაში. მადლობას ვუხდით დეკანოზ არჩილ ღვინობაშვილს მასალის გადმოცემისთვის.

2 არჩილ ბურაბიშვილი (1896-1964), ივანე ბურაბიშვილისა და ნინო ნიკოლაძე-მაკაროვას უფროსი ვაჟი.

3 გრიგოლ ურაგაძე (1880-1959), დამფუძნებელი კრების წევრი. ხელი მოაწერა 1920 წლის 7 მაისს საქართველოსა და რუსეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულებას.

4 მედუნია ურაგაძე გრიგოლ ურაგაძისა და არაიანა წულუკიძის ერთადერთი ქალიშვილი.

5 ელიზ-სუმი ციციშვილი (1922-1955), ვასილ და ნაგაშა ციციშვილების ქალიშვილი. საფრანგეთის გერმანელი ფაშიზმების „წინააღმდეგ გობის“ მოძრაობის წევრი. გესტაპოს მიერ დაპატიმრებული, მძიმედ დაავადებული გარდაიცვალა 1955 წელს.

6 მისიელ ხუნდაძე (1898-1983), იურისტი, პარიზის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი.

7 ქეთევან ჯინჭარაძე, ქართველი იუნკერის და საფრანგეთის უცხოური ლეგიონის მაიორის ალექსანდრე ჯინჭარაძისა და ნინო მაჩაბელის ქალიშვილი.

8 იოსებ სარჯველაძე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. პოლიტიკური და სამოვადლო მოღვაწე. მან პარიზში 1931-1943 წლებში მაწვნის წარმოების პროდუქციას მიჰყო ხელი.

ნინო-ნათელა⁹. 8) 23 აპრილს სპ. კედიას¹⁰ ქალი თეოდორა¹¹. 9) 17 მკათათვის მექი კედიას¹² ქალი ზინობია-ზინაბა¹³. 10) 29 მარია მოზისთვეს დიმი. ამილახვარის¹⁴ ვაჟი იოსებ-ოთარი.

ჯვრის წერა:

30 ენკენისთვეს 1931 ივანე-ევგენ-მარია-ვიქტორ გურანქანმა¹⁵ ნაგალია ბაგრაგიონის ასულზედ 2) 26 თებერვალს 1933 მისეილ სტურუამ¹⁶ თამარ ევგენი გეგეჭკორის¹⁷ ასულზედ. 3) ნიკოლოზ ქვარიანმა¹⁸ სილონია ნოვაკის ასულზედ 19 ღვინობისთვეს (ვარშავაში 1932წ.).

დასაფლავება:

1) 29 მაისს 1931 ნიკოლოზ იაშვილი. 2) 9 ი. წ. ენკენისთვეს სვიმონ წერეთელი¹⁹ (ყოფილი მარშალი). 3) 26 მარგს 1933 აკაკი წერეთელის მეუღლე ნაგალია.²⁰ საჭიროა, რომ საქართველოს გარეთ მყოფმა ქართველებმა შეგვაგყობინონ ყოველთვის მოკლე განცხადებით ნათლობა, ჯვრისწერა ან მიცვალება თავიანთი ოჯახის წევრთა ან მეგობართა (სახელი, მშობლების სახელი, დრო და ადგილი დაბადების, ნათლობის დროს ნათლიებიც). – ეს განცხადება უნდა ყოველთვის ხელმოწერილი იყოს წმ. საიდუმლოების შემსრულებელ

9 შოთა ნიკოლაძე (1899-1963), ქართული იუნკერი. 1928 წელს პარიზში არჩილ ზურაბიშვილთან ერთად აღადგინა სპორტული საზოგადოება „შეგარდენი“. მეუღლე – მედეა ლამბაშიძე. შვილები ნათელა და რეზო ნიკოლაძეები.

10 სპირიდონ კედია (1884-1948), ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი უცვლელი ლიდერი 1917 წლიდან გარდაცვალებამდე (1948 წ.), საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე.

11 თეოდორა (თეონა) კედია, პიანისტი, პარიზის კონსერვატორიის კურსდამთავრებული. სოფო ჩიჯავაძისა და სპირიდონ კედიას ქალიშვილი.

12 მელქისედეკ (მექი) კედია, დამოუკიდებელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რამზის მეთაური.

13 ზეინაბ კედია (1921-2016), მექი კედიას ქალიშვილი, ლევან ზურაბიშვილის მეუღლე, საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის დედა.

14 დიმიტრი ამილახვარი (1906-1942), პოლკოვნიკი, საფრანგეთის არმიის ქართველი მოღვაწე. 1924-1926 სწავლობდა სენ-სირის სამხედრო სასწავლებელში. პარიზში დიმიტრი ამილახვარი ირინე დადიანზე დაქორწინდა და ორი შვილი თამარი და ოთარი შეეძინა.

15 ჟან გურანქანი (1885-1977) ნაგალია ბაგრაგიონ-მუსხრანელის ქმარი.

16 მისეილ სტურუა (1906-1973), დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

17 თამარ (მათიკო) ევგენის ასული გეგეჭკორი-სტურუა (1910-2005).

18 კოლა (ნიკოლოზ) ქვარიანი (1903-1980), ცნობილი ქართველი ფალავანი. 1927 წლიდან ცხოვრობდა პოლონეთში, შემდეგ – საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. Jerzy Irakli Godzjaszwili, *Mikolaj Kwariani - Gruzja!*, „პრო გეორგია“, 2(1992), გვ. 47-50.

19 სიმონ წერეთელი (1844-1931), იურისტი, საზოგადო მოღვაწე, ქუთაისის გუბერნიის თავად-ამნაურობის წინამძღოლი. დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე.

20 ნაგალია ბაზილევსკაია აკაკი წერეთელის მეუღლე, გარდაიცვალა პარიზში 1933 წლის 28 მარგს.

მღვდლის მიერ. აგრეთვე პარიზში მყოფნი ქართველებიც მოვალენი არიან, ჩემი აქ არ ყოფნის დროს, ბერძნების ან რუსების მიერ შესრულებული დასაფლავება განცხადებით აცნობონ ჩვენ ეკლესიას.

შემოწირული ნივთები:

ქ. ცაცუ ჩარკვიანმა ორი შანდალი, პატარა ღვთისმშობლის ხაგი სამსხვერპლოსთვის და რამდენიმე გადასაფარებელი: ქ. მარია კვინიგაძისამ²¹ ძვირფასი გადასაფარებელი წმ. გრაპემისათვის; ბ. ექ. თაყაიშვილმა ყაზანის ღვთისმშობლის ხაგი თვისი მეუღლის²² ანდერძის თანახმად; ბ. ხოშგარიას²³ ანდერძის აღმსრულებლებმა სამი ხაგი წმ. კონსტანტინე და ელენეს აკად. რიორისის მიერ დახატული დაგვიდო რენის ბრონზის „Ecce homo“; ბ. ნ. დადიანის ოჯახმა²⁴ სამი ძვირფასი დაფარნა წმ. საიდუმლოთათვის; ბ. არჩილ მურაბიშვილმა წმ. ემბაზი; ქ. მაკრინე ჩხენკელისამ²⁵ ძვირფასი გილო წმ. ოდიკისთვის; ქ. სოფო ბაგრაგიონმა ორი ძვირფასი გადასაფარებელი; ქ. ნ. ჯაფარიძისამ²⁶ გადასაფარებელი საინისთვის; ქ. ელენე მამულაიშვილმა²⁷ მოქარვა ბ. ბილანიშვილის²⁸ მიერ დახატული გარდამოსხნა; ბ. მ. ბილანიშვილმა თვის მიერ დახატული ღვთისმშობელი გადმოსვეწილთა საქართველოთგან ბ. ალენმა²⁹ ძველი ღვთისმშობლის ხაგი და ჯვარი მე-XVII-XVIII საუკ. ჩერქესიული მუშაობა; ქ. მაყაშვილისამ წმ. ნინოს დიდი ხაგი დახატული და ნაკურთხი ბოდბის მონასტერში და რამდენიმე რუსული ხაგი; ქ. ნაგალია ბაგრაგიონ-გურანქანმა³⁰ წყვილი

21 მარიამ მაყაშვილი (1889-1960), გიორგი კვინიგაძის მეუღლე.

22 ნინო პოლგარაცკაია გარდაიცვალა 1931 წელს, მისი ნეშტი ლევილიდან გადმოსვენებულ იქნა 1987 წლის 22 თებერვალს და დაიკრძალა ქმრის ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით.

23 აკაკი ხოშგარია (1873-1932), ქართველი მრეწველი და ფილანგროპი.

24 ნიკოლოზ (კოკი) დადიანი (1878-1939), მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი. ქართველი ფედერალისტი, შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1921 წელს მეუღლესთან, უფროს ვაჟთან და უმცროს შვილებთან ერთად პარიზში ემიგრაციაში გადავიდა.

25 მაკრინე ჩხენკელი (მაკრინე სიმონის ასული თურქია), აკაკი ჩხენკელის მეუღლე. მან ქართველოლოგ ლეა ფლურს (კიგა ჩხენკელის მოწაფეს) გადასცა ოჯახში დაცული არქივი, მათ შორის დამოუკიდებლობის აქტი (ორიგინალი), კონსტიტუცია და დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა.

26 ნინო ჯაფარიძე (1879-19630), დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე.

27 ელენე მამულაიშვილი (1904-1998), დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

28 მისიელ ბილანიშვილი (1901-1934), ფერმწერი, გრაფიკოსი და მონუმენტალისტი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1922 წელს შევიდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. 1925 წელს ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ სწავლის გასაგრძელებლად პარიზში გაგზავნა, სადაც დაამთავრა ანდრე ლოგის სამხატვრო სკოლა. 1928 წელს პარიზში მისი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. გარდაიცვალა 1934 წელს.

29 უილიამ ალენი (1901-1973), ინგლისელი ისტორიკოსი და ქართველოლოგი.

30 ნაგალია ბაგრაგიონ-მუხრანელი-გურანქანი (ნაგაშა) (1903-1979), ნიკო ბურის ქალიშვილი.

ჯვრის საწერი გვირგვინი; ქ. ე. აბხაზისამ³¹ შავი მაულის პარკი ჯვრისთვის; ქ. შიონყელდმა, გარდაცვალებულ ძმის რენეს სულის მოსახსენებლად ორი ძვირფასი შანდალი; ქეთევან ჯინჭარაძის³² ნათლობის სახსოვრად მისმა ნათლიამ ბ. გიორგი მაჩაბელმა³³ ძვირფასი ჭური წმ. მირონისთვის; პაგარა ეთერიკო რუსაძემ³⁴ წმ. გიორგის საგი, დახატული ბ. ფილოშვილის მიერ; ქ. ქეთევან ჩხენკელისამ პაგარა ღვთისმშობლის საგი; ბ. სვ. ფეიქრიშვილ-მა I დაფარნა, I პაგარა გადასაფარებელი მაცხოვრის და წმ. ნინოს საგი; ქ. ბარათაშვილმა პაგარა ოქროს ჯვარი ღვთისმშობლის საგისთვის, მიცვა-ლებულ ელენასა სულის მოსახსენებლად; ქ.მ. ლოღობერიძემ ორი პარკი ეკლესიის ნივთებისათვის; ქ. ნინო ჯაფარიძის მიერ შეგროვილი ფული შესამოსელთათვის:

რ. ერისთავი 15 ფრ., გ. რ. 90, გ. ერისთავი 10, თ. გ. 10 ნ. ჯ. თ. ლ. აბდუშვილი 20, ჩიხო რეხიასი 5, კელია ვალენგინე 10, დაფინა აბაშიძე 200, დარო მარინოვიჩ 100, ვ. ვაჩნაძე 20, ლოპეც ლავარერრი 50, ჩერქეზიშვილი³⁵ 30, კვინიგაძისა³⁶ 40, ო. გეგეჭკორი 10, ლევან მამულაიშვილი 50, ალ. ასათიანი 15, კ. გვარჯალაძე³⁷ 10, ნ. გვაზავასი 10, სოფო ბაგრატიონი 10, სიამაშვილი 20, ნასყიდაშვილი 10, ექ. თაყაიშვილი³⁸ 10, ავ. ასათიანი 10, ვალოდია გოგუაძე³⁹ 20, ? 10, სვიმონ

31 ელენე აბხაზი (1870-1942), კონსტანტინე აბხაზის მეუღლე. დაკრძალულია პარიზის სენ ქენევიე დე ბუას სასაფლაოზე.

32 ქეთევან ჯინჭარაძე, ქართველი იუნკერის და საფრანგეთის უცხოური ლეგიონის მაიორის ალქსანდრე ჯინჭარაძისა და ნინო მაჩაბელის ქალიშვილი.

33 გიორგი მაჩაბელი (1885-1935), საქართველოს თავისუფლებისათვის ცნობილი მებრძოლი. 1926 წელს დაარსა პარფიუმერიული კომპანია „Prince Matchabelli“, რომელიც 1920-1930-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების უმნიშვნელოვანესი კორპორაციების ხუთეულში შედიოდა. მაჩაბელის ფირმის ფლაკონზე გამოსახული იყო მისი საგვარეულო გერბი და სამეფო გვირგვინი. რ. დაუშვილი, ო. ჯანელიძე, გიორგი მაჩაბელი, თბილისი 2019.

34 ეთერი რუსაძე, ქართველი პიანისტი – არქიტექტორ ოთარ ჯაყელის მეუღლე.

35 ელენე ჩერქეზიშვილი (1884-1957), მოცეკვავე.

36 იგულისხმება მარიამ მაყაშვილი.

37 კონსტანტინე გვარჯალაძე (1884-1969), საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე (1918-1921). ცხოვრობდა სტამბოლში, ლონდონსა და პარიზში. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

38 ექვთიმე თაყაიშვილი (წმ. ექვთიმე ღვთისკაცი) (1863-1953), ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

39 ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძე (1880-1954), სამხედრო მოღვაწე. 1918-1921 წლებში საქართველოს სახალხო გვარდიის ჯავშნოსანი მაგარებლის მეთაური, საქართველოს ეროვნული გმირი (1918), 1921 წლიდან პოლიტიკური ემიგრანტი.

წერეთელი 5, ელ. ახმეტელი 10, ? 10, ერაძე⁴⁰ 10, კახელაძე⁴¹ 5, გორგენაძე 5, ერ. ებრაღიძე 5, გრ. ურაგაძისა 10 და ილ. დადეშქელიანი⁴² 47, 40 (რაც გვაკლდა) 1822-40.

ეკლესიას სჭირდება შავი შესამოსელი პანაშვილების და დიდ მარხვის წირვებისთვის, შავი გადასაფარი წმ. გრაპემის და სამსხვერპლოსთვის და პაგარა გულმედ ჩამოსაკიდი ვერცხლის შემოქროვებული მედალიონი წმ. საიდუმლოსთვის ავაღმყოფთათვის სახლში მისაგანად.

მრევლის ბიბლიოთეკას მოუვიდა შემდეგი წიგნები:

ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი (ქუთ. 1898)⁴³ ბ. ნ. დადიანის ოჯახისგან, ეპ. გაბრიელის ქადაგებანი 2 ტომი⁴⁴ (ქუთაისი 1913, გამ. 2), ბ. ან. გუგუშვილი-საგან⁴⁵, დენ. ჯაფარიძის⁴⁶ ოჯახმა „მნათობი“ ორი ნომერი (4-1927, 7-1928), თეატრი და მუსიკა ნომერი პირველი-მარტი, ქუთაისი 1919 და ორი ნომერი „ქართული მწერლობის“ ქ. ელ. აბნაზისამ, მ. ავალიშვილის „ვეფხისტყაოსნის საკითხები“⁴⁷ (პარიზი 1931), აგრეთვე მოგვდის რეგულარულად: 1) მსოფლიო პაგრიარქის ორგანი „ორთოდოქსია“ (ბერძნულად), პოლონეთის ავგოკე-ფალურ ეკლესიის „ვოსკრესნოე ჩგენიე“,⁴⁸ ინგლისითგან „ქრისტიანული აღმოსავლეთი“ (ინგლისურად), გერმანიითგან „ორიენტი“⁴⁹ და ემიგრაციის ყველა ქურნალ-გამეთები, გარდა ამ სიის მაქვს რამდენიმე ქართული წიგნი. ბ. ყიფშიძემ გადმოცა წიგნი დარმშტადში ყოფნის დროს. სამწუხაროდ ეს წიგნები დამრჩა გერმანიაში ჩემს სხვა წიგნებთან ერთად მათი სია გამოქვეყნდება შემდეგ ნომერში).

40 ვიორგი ერაძე (1882-1971), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შრომის მინისტრი და მთავრობის არქივის კომისიის თავმჯდომარე.

41 დავით კახელაძე, ქართველი ემიგრანტი. იხ. გრ. ურაგაძე დავით კახელაძე (ნეკროლოგი). „მებრძოლი საქართველო“, პარიზი 16(1953), გვ. 30-31.

42 ილაშაშ დადეშქელიანი (1896-1967), პარიზის მართლმადიდებლური მრევლის გენერალური მდივანი.

43 ანტონ ჭყონდიდელის „ქადაგებანი“, ქუთაისი 1898.

44 „ქადაგებანი“ იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, ქუთაისი 1913.

45 ანდრია გუგუშვილი (1895-1970), ლონდონში საქართველოს საელჩოს მდივანი 1918-1921 წლებში. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ სამეცნიერო მუშაობას შეუდგა. იყო ლონდონის საქართველოს საისტორიო საზოგადოების მდივანი და ქურნალ „გეორგიკას“ ფაქტობრივი რედაქტორი და მისი ნამდვილი სულის ჩამდგმელი. გარდაიცვალა 1970 წელს. ცნობილმა ინგლისელმა ისტორიკოსმა და ქართველოლოგმა უილიამ ალენმა ანდრია გუგუშვილის ნეშტი თავის საგვარეულო აკლდამაში მოათავსა.

46 ივანე ჯაფარიძე (1867-1934), ქართველი გენერალ-მაიორი. 1918-1921 წლებში იყო უცხოელთა მისიებთან ურთიერთობების განყოფილების უფროსი და სამხედრო დავალებათა შტაბ-ოფიცერი.

47 შ. ავალიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები (შვიდ მნათობთა ლექსი, შოთა მანიქეველი, გველი და მთვარე, მიჯნურობა), პარიზი 1931.

48 „Польская Автокефальная Православная Церковь, журнал „Воскресное Чтение“.

49 „Der Orient“. VMonatsschrift für die Wiedergeburt der Länder des Ostens, Potsdam, 1918-1936.

საეკლესიო წიგნები გვაქვს წესი ნათლობის, ჯვრისწერის და წესის აგების და პანაშვილის (ფოტოგრაფიები), დიდი ახალი აღთქმა ქაშნი, კონსტანტინოპოლში დაბეჭდილი წირვის წესი, სუცური დავითნი, შემოწირული ქ. რების მიერ, მუსიკა ვ. კარბელაშვილის⁵⁰ და ფალიაშვილის⁵¹ და სამწუხაროდ მხოლოდ ნეგატივები წირვის გარდა ამისა წმ. ნინოს დაუჯდომელი ქ. გოგვაძის მიერ გადმოწერილი საქართველოს სამოთხითვან.⁵²

საეკლესიო საწყობითვან შეიძლება შექმნა „ჯვარი ვაზისა“⁵³ ნომრები 1-2 (5 ფრ. თითო), მარკომის სახარება (2 ფრ.) და ფოტოგრაფია ღვთისმშობლის ხაგის (0, 50 სან.)

„ჯვარი ვაზისა“ პირველი ნ-ის დაბეჭდვა დაჯდა 1350 ფრ. (500 ცალი) აქედან ეკლესიამ გადაიხადა 350 ფრ. შემოვიდა გაყიდვით 288 ფრ., ბრიუსელიდან 500 ფრ., ყიფიანის ოჯახიდან 20 ფრ., ხარბინიდან ბ. კიკნაძის საშუალებით 122 ფრ. და ივ. ქავთარაძისგან⁵⁴ (პოლონეთი) 10 ფრ. (ღეფიციცი 60 ფრ.).

მეორე ნომრის გამოცემა დაჯდა 1000 ფრ. (300 ცალი). ჯერჯერობით ამ ხარჯის დასაფარავად შემოვიდა გაყიდვით 130 ფრ., ქ. მარინოვიჩმა 100 ფრ., ბრიუსელიდან ყიფიანის ოჯახმა 107 ფრ. ვასო ციციქივილიმა 25 ფრ., ნ. ქვარია-ნისგან 30 პოლ. ოქრო⁵⁵, ნ. მათიკაშვილისგან⁵⁶ 20 ოქრო და დათა ლალიძისგან⁵⁷ 10 ოქრო.

მესამე და მეოთხე ნომერი გამოვა ერთად 15 მარიაშობისთვის 1931. დაბეჭდილ იქნება სხვათაშორის „აღაპები ჯვრის მონასტრის“ ჩემ მიერ აღმოჩენილ ლაიფციგის ხელნაწერის მიხედვით, კატალოგი ქართული ხელნაწერების კრაკოვში ჩარტორიციკის მუზეუმში ამოს წინასწარმეცყველის

50 ვასილ კარბელაშვილი (1858-1936), მუსიკოსი, პედაგოგი, სასულიერო პირი. ვ. კარბელაშვილი, ქართულ-კახური ვალობა კარბელაანთ კილოთი, (1897 „მწუხრი“ I ნაწილი) და (1898 „ცისკარი“ II ნაწილი).

51 ბაქარია ფალიაშვილი (1871-1933), ქართული ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი, კლასიკოსი. იხ. ზ. ფალიაშვილი, ქარ თული ლიტურგიკა, 1910 წელი.

52 მიქაელ-გობრონ საბინინი „საქართველოს სამოთხე“, 1882.

53 „ჯვარი ვაზისა. წმინდა ნინოს ქართული მართლმადიდებელი მრევლის ორგანო“, პარიზი 1931-1934. ამ ჟურნალმა თავისი არსებობის მცირე ხნის მიუხედავად თვალსაჩინო როლი შეასრულა და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

54 ივანე ქავთარაძე (1897-1944), პოლონეთის არმიის ოფიცერი. ვარშავის აღმოსავლეთის ინსტიტუტის თანამშრომელი, ისტორიკოსი. 1929 წელს ვარშავაში პოლონურ ენაზე გამოსცა წიგნი „საქართველო ისტორიულ ჭრილში“. ვარშავის აჯანყების დროს მეუღლესთან ერთად დახვრიტეს 1944 წლის 2 აგვისტოს.

55 ზლოცი (პოლ. *złoty* „ოქროსი“), პოლონეთის ძირითადი ფულის ერთეული (100 გროში).

56 ნიკოლოზ მათიკაშვილი (1900-1993), ყოფილი იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი. დაამთავრა ვარშავის უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი.

57 დავით (დათა) ლალიძე, საქართველოს არმიის ყოფილი იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი. დაამთავრა ვარშავის უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი.

თარგმანი ებრაულიდან. სამწუხაროდ „ქებათა-ქების“ თარგმნას ვერ დახვდა ქართული საზოგადოება შეგნებულად. ერთმა მითხრა პირში ამ უძველესი და უღამაზესი პოემის შესახებ „ეს ხომ პორნოგრაფია“-ო, მეორეს უთქვამს „საქართველოში რას იცყვიან“-ო. მე ყოველთვის მხიარული ვარ თუ ვისაც რაიმე სათქმელი აქვს პირში მითხრას, და რაც გინდა თქვან საქართველოში ესაა ღღეს პირველი მოვალეობა ჩვენი ეკლესიის მიაწოდოს ერს ბიბლია არა დამახინჯებული კონფესიონალურ ან დიპლომატიურ თვალსაზრისით, ანდა რუსულ მართლმადიდებელ პრიზმის ქვეშ გაგარებული, არამედ როგორცაა იგი. ეს ასწევს ჩვენს ერში ეკლესიის ავტორიტეტს და სიყვარულს მისდამი. სრულიად გაუგებარიც იქნებოდა თუ ღღეს ბიბლიის თარგმნელმა არ ისარგებლა იმ მეცნიერული შედეგებით ბიბლიის ტექსტების ფილოლოგიურ შესწავლისა და უფრო უკეთესი და უძველესი ვარიანტების აღმოჩენით, რადგანაც „ჯვარი ვაზისა“ ჩემ საკუთარ ანგარიშით ვცემ ღიდი მადლობელი ვიქნები თუ ვინმე დამეხმარება მე-3, მე-4 ნომრის გამოცემაში. „ჯვარი ვაზისა“ ბეჭდავს ქართულ ტექსტებს ევროპულ ბიბლიოთეკებში გაფანტულს, მე თვით მაქვს ძლიერ საინტერესო მასალა დაგროვილი ევროპის ღიდი წიგნთსაცავებიდან.

ზოგ გამოკვლევებს, რომელიც დააინტერესებს უცხო საზოგადოებას ვათავსებ გერმანულად ან ფრანგულად, მაგრამ არის ისეთი საბუთებიც, რომელიც მხოლოდ ქართველისთვისაა საინტერესო ან შესანიშნავი და სწორედ ამგვარ საბუთების გამოქვეყნებას და ბიბლიის თარგმნას ემსახურება „ჯვარი ვაზისა“.

ნააღდგომევეს მივემგზავრები სამი კვირით ირლანდიაში და შემდეგ ორი თვე ნახევარი დავრჩები ლონდონში „ბრიტანულ მუზეუმში“ სამუშაოდ ვამზადებ წიგნს, რომელიც გამოვა ინგლისურად (სამ-ოთხ წელიწადში), „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ უკვე მაქვს გამოცემული და სწორედ მის დახმარებით მივემგზავრები ახლა.

ეკლესიას აქვს ორი მოვალეობა: 1) სულიერი-რელიგიური და 2) დაცვა ჩვენი ეკლესიის გრადიციის, ე.ი. მეცნიერული. უნდა გამოვგყდე, რომ უკანასკნელი უფრო მაინტერესებს თუნდაც იმ მიზეზით, რომ ამ დარგში ჩემ საკუთარ თავს ვემყარები. ეკლესიურ მუშაობაში კი იძულებული ვარ სხვებსაც დავეყრდნო და ხანდახან ეს ნდობა არ მიმართილდება. საჭირო არაა მაგალითებს გამოვუღე (მათი მოყვანა ჩვენი მრევლის ისტორიაში თავსდება, რომლის დღიურსაც ვაწარმოებ). მაგრამ ერთის მოყვანა კი საჭიროა. ყველამ იცის, რომ მიხდება ხშირად პარიზის დაგოვება ხან მიწვევენ სხვაგან – ლექციების წასაკითხად (როგორც იყო ეს გასულ წელს ოქსფორდში) ან სამეცნიერო მუშაობის გამო, რადგან არსად მთელ ევროპაში არც ერთ წიგნსაცავს ქართული წიგნები სრულად არა აქვს ან 2) კიდევ მე თვით, ჩვენს მრევლის სიღარიბის გამო მივდივარ სხვაგან (როგორც მაგ. პოლონეთში). ჩვენ ეკლესიისთვის რაიმეს საშოვნელად, ამის

გამო სრულიად შეუფერებელია ბოგიერთების თქმა: მღვდელი უნდა იყოს ყოველთვის პარიზში.

ჩემი მოგზაურობა არაა გამოწვეული გართობის მიზნით. და ამის ერთგვარი შეგნების იმედი პარიზის ქართულ ახალშენში უნდა მაინც მქონდეს. ჩემი პოლონეთში ყოფნის დროს აკურთხეს პარიზში ქაქუცა ჩოლოყაშვილის⁵⁸ ძეგლი⁵⁹ შექმლეთ ჩემთვის მოეცადათ ან ნებართვა აეღოთ, ქაქუცა ჩოლოყაშვილმედ პანაშვიდის გამო საგანგებოდ ჩამოვედი 1931 თიბათვე-ში გერმანიიდან და 1932 აგრეთვე საგანგებოდ ინგლისიდან ჩვენმა წარმომადგენელმა კოლონიაში ღენ. ჯაფარიძემ მწუხარება განაცხადა. ამ საქმის გამორკვევა საჭიროა. შემდეგში: ა) პანაშვიდი ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოსახსენებლად უნდა შეეფარდოს ყოველთვის ჩემი პარიზში ყოფნის დროს უკიდურეს შემთხვევაში და ეს ეხება მათთაც ვისაც ქორწინება ან ბავშვის მონათვლა ანდა რამე სხვა საქმე აქვთ (დასაფლავების გარდა) დაწერონ თხოვნა და ორი კვირის წინ ითხოვონ ნებართვა.

დროა შევიგნოთ, რომ ჩვენ ვართ ქართული ეკლესიის წევრნი და მოვიქცეთ, როგორც ეს შეეფერება საქართველოს ეკლესიის წევრებსა. უკიდურეს შემთხვევაში: ა) ამ პირებს უფლება არა აქვთ რამე საეკლესიო ფუნქციის ჩვენ საეკლესიო ცხოვრებაში. ბ) თუ იგინი არიან წევრად ამოშლილ იქნებიან სიიდან. გ) მათი სახელი და გვარი გამოცხადებულ იქნება „ჯვარი ვაზისა“ ადღომის ნომერში და დ) გაეგზავნება მათ შესახებ ვრცელი მოხსენება ჩვენ საკათალიკოსო ტახტს (მათი ვინც თავიანთი წარსული მოღვაწეობით ამისი ღირსნი არიან).

სია სრულ უფლებიან წევრთა: ბ. ბ. ე. თაყაიშვილი, ილ. დადემკელიანი, თენგიზ დადემკელიანი, იოსებ დადიანი⁶⁰, ნიკოლოზ დადიანი, დ. სხირგლაძე, კემულარია,⁶¹ ლევან ბურაბიშვილი,⁶² ღენ. ჯაფარიძე, ვახტანგ ღამბაშიძე⁶³,

58 ქაქუცა ჩოლოყაშვილი (1888-1930), პოლკოვნიკი, საქართველოს ეროვნული გმირი. 1922-1924 წლებში ხელმძღვანელობდა პარტიზანულ ბრძოლას საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ. თავის თანამებრძოლებთან ერთად დატოვა საქართველო და ჩავიდა საფრანგეთში. 1930 წლის 27 ივნისს ტუბერკულოზის შედეგად გარდაიცვალა პარიზში.

59 1930 წლის 23 ოქტომბერს სენგ-უნის სასაფლაოზე ქაქუცას ძეგლი გაიხსნა.

60 იოსებ დადიანი (1863-1937), ქართველი მრეწველი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1921 წლიდან პოლიტიკური ემიგრანტი

61 იოსებ კემულარია (1879-1957), გრიგოლ კემულარიასა და ნინუცა ნიკოლაძის (მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის დისშვილი.

62 ლევან ბურაბიშვილი (1906-1975), ინჟინერი, ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილი. პარიზის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე. საქართველოს პრეზიდენტის სალომე ბურაბიშვილის მამა.

63 ვახტანგ ღამბაშიძე (1872-1951), ქართველი ექიმი და საზოგადო მოღვაწე, საფრანგეთში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე. გარდაიცვალა ინგლისში 1951 წელს.

იური ფაღავა⁶⁴, ალ. ერისთავი,⁶⁵ სამ. ფირცხალავა⁶⁶, ანდრო ლეკანოზი, დათა ვაჩნაძე⁶⁷, მიხეილ კედია,⁶⁸ ზურაბ ავალიშვილი, მიხეილ ნანობაშვილი, კონსტ. ჯაყელი, ნიკო აბხაზი, გიორგი მაჩაბელი, ქ. ქ. ტასო წერეთლისა, ნინო გვაზავასი, ნინო ზურაბიშვილისა, ჰელმ, იქსკიულ დადემკელიანი, ნატალია ბაგრატიონ-გურანჯან, გ. ბერიძისა, დაფინე აბაშიძის ასული; 1931 ქრისტეებისთვის მომხდარ კრებაზე მიღებულ იქმნენ წევრებად ბ. ბ. ლენ. კვინიგაძე,⁶⁹ ირაკლი ბაგრატიონი,⁷⁰ ალ. ასათიანი, და ქ. ელენე მამულაიშვილის ასული.

სამრევლო საბჭოს წევრები: ექვ. თაყაიშვილი, ილ. დადემკელიანი (მდივანი). ლენ. ივანე ჯაფარიძე (მნათე), ნიკოლოზ დადიანი, იოსებ დადიანი, ანდრო ლეკანოზი (სამინადარი), იოს. კემულარია და ლევან ზურაბიშვილი.

მიუხედავად კრიზისისა და საშინელი გაჭირვებისა საეკლესიო საქმე მიდის ღვთისწყალობით კარგად. წირვას ესწრება ყოველთვის არა უკანასკნელ 30-35 სული დიდ უქმეებში ეკლესია ყოველთვის სავსეა, გალობს გუნდი ბ. შალვა ამირეჯიბის მეთაურობით. ქადაგების სერიალ მქონდა თემა „შინაარსი ჭეშმარიტი მოქალაქეობისა (მამაო ჩვენოს მიხედვით)“, რომელიც უკვე დასრულდა (11 სიგყვა), და თუ ვინმე ამას გამომიცემს მადლობის

64 იური ფაღავა (1878-1950), იურისტი. 1920-1921 წლებში დიპლომატიური სამსახურით ირანში იმყოფებოდა. 1922 წელს სამკურნალოდ ცოლ-შვილთან ერთად გერმანიაში წავიდა. 1923 წელს ოჯახი გერმანიიდან საფრანგეთში გადავიდა და პარიზის გარეუბანში, მონჟურში სამუდამოდ დასახლდა.

65 ალექსანდრე (საშა) ერისთავი (1880-1950), დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე.

66 სამსონ ფირცხალავა (1872-1952), საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წლიდან ემიგრაციაში გადავიდა. სამშობლოში დაბრუნდა 1948 წელს. 1951 წელს დააპატიმრეს და შუა აზიაში გადაასახლეს, სადაც გარდაიცვალა.

67 დავით (დათა) ვაჩნაძე (1884-1962), ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. 1922 წელს დააპატიმრეს, ემიგრაციაში წავიდა 1924 წელს.

68 მიხეილ კედია (1902-1953), იურისტი, სწავლობდა ბერლინსა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. ცხოვრობდა პარიზში. საფრანგეთის ოკუპაციის დროს „ქართველ შინდღერად“ წოდებული დეპორტაციისაგან იხსნა ქართველი მაჰმადიანები, სიკვდილისგან უამრავი ქართველი ებრაელი. სწორედ ამიგომ მან პარიზის დიდი რაბინის ვაისის და ებრაული კულტურის ასოციაციის ხელმძღვანელის მოსერის მადლობა დაიმსახურა.

69 გენერალი კვინიგაძე (გიორგი ჩიქოვანი) (1874-1970), ჟორდანიას მთავრობამ 1921 წლის თებერვალში კვინიგაძე მთავარსარდლად დანიშნა და თბილისის დაცვა დაავალა. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ემიგრაციაში გადავიდა. ცხოვრობდა პარიზში.

70 ირაკლი ბაგრატიონი (1907-1977), იქორწინა იგალიელი გრაფის უგო პასკენის ასულ მარია-ანგუნანგაზე. 1944 წელს მათ შეეძინათ ვაჟი, გიორგი. ღელა მშობიარობას გადაჰყვა. მეორე მეუღლე ანიგა მარია-მერსედესი, ბორბონების ესპანური სამეფო სახლის წარმომადგენელი (გარდაიცვალა 1961 წელს).

მეტი არა ეთქმის რა,⁷¹ შემდეგ წლისთვის გავაკეთებ ქადაგებათა სერიად „წირვის ახსნას“.

პარიზის მრევლი უმზუნველყოფს წირვებს. საჭიროა, რომ სხვა კოლონიებმაც დახმარება გაგვიწიონ (პოლონეთი, ხარბინი, ამერიკა, სპარსეთი და სხვა.) – პარიზი ერთადერთი ადგილია საქართველოს გარეთ, სადაც იწირება და ლოცულობენ ქართველთა კეთილდღეობაზე. სხვა რომ არა იყოს რა მხოლოდ ამასაც მორწმუნე ადამიანისთვის აქვს დიდი მნიშვნელობა და სწორედ ამ მიზნისთვის უნდა დაგვეხმარონ ყველანი.

საეკლესიო მუშაობისთვისაც უკეთესი იქნება, რომ ვიყო ყოველთვის მრევლთან. შემოწირულობა შეიძლება გადაეგზავნოს ნ. ჯაფარიძეს 38-bis B de la Republique, Boulogne ან ბ. ანდრო დეკანოზს 26 Rue Lacrelell. Paris 15. ან და შეიგანოთ ფოსტაში (საცა გინდა იყოს) pour la paroisse orthod. georg.de S-te Nino 4, Rue Recamier, Paris 7, კონგოს № 141842, ვისაც 50 ფრ. მეტის შემოწირვა სურს ბანკის სახელობაზე 48 bis Bd Raspoil Peris 14. № 8905 pour le paroisse da სხვა (როგორც გევით).

ეკლესიისადმი მთლიანი განწყობილება ქართული სამოგალოების არის საუკეთესო, ვინც დახმარებას არ გვიწევს ის მაინც თვის გავლენით ან ენით ჩვენ წინააღმდეგ (ჩემი აზრით) არ ილაშქრებს და ესეც უკვე ერთგვარ ღვაწლად ჩაითვლება ჩვენ თანამედროვე დაკნინებულ ცხოვრებისთვის.

შემოწირულობანი ფულით: (მარიამობისთვის თან 1931 წ.)

ჯ. ჯაყელი 1000 ფრ.; მ. ნასყიდაშვილი 6; ღენ. კვინიგაძე 78; გალ. ასათიანი 15; დიმ. ანანიაშვილი 10; ჩაჩიბაია 50; სოლ. ბალდასგანიშვილი⁷² 15; მაკრინე ჩხენკელი 30; ელენე აბხაში 55; ალ. ქორქია 20; ბალანჩივაძე⁷³ 50;

71 შინაარსი ჭეშმარიტი მოქალაქეობისა („მამაო ჩვენოს განმარტება“), „ჯვარი ვაზისა“, 3(1933), გვ. 13-68. იხ. წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული. წინარებიზანტიური ქართული ლიტურგიკის შესახებ, პაგროლოგია, პოეზია, ქადაგებანი. წიგნი მეორე. გამოსაცემად მოამზადა, დამატებითი შენიშვნები დაურთოთ დავით ყოლბაიამ, ვარშავა 2014, გვ. 307-347.

72 სოლომონ ბალდასგანიშვილი (1891-1941), საქართველოს ეროვნული გვარდიის პოლკოვნიკი. 1923 წლიდან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1924 წელს შალვა ამირეჯიბთან ერთად საქართველო დატოვა და საფრანგეთში გადავიდა. გარდაიცვალა 1941 წელს ბუქარესტის საავადმყოფოში. დაკრძალულია ქალაქ კრონშტანდში (დღევანდელი ბრაშოვის) სასაფლაოზე.

73 გიორგი (ჯორჯ) ბალანჩინი (1904-1983), მოცეკვავე, ქორეოგრაფი, ამერიკული კლასიკური ბალეტის ფუძემდებელი.

დიმ. სინჯიკაშვილი⁷⁴ 5; ივ. ვაჩნაძე 10; გ. ნობაძე⁷⁵ 5; ელ. გამრეკელი 5; შალ. ბერიძე⁷⁶ 5; ვლად. გამრეკელი 5; აკ. პაპავა⁷⁷ 50; ნიკოლოზ დადიანი 15; მეჭიკელია 4; ფაჩულია 10; თამ. ერისთავის საშუალებით 500; ლ. მამულაიშვილი 100; შიონფელი 5; დაფ. აბაშიძე 100; ალ. ასათიანი 10; ნოე ცინცაძე⁷⁸ 50; კრმე 45; პაგარიძე⁷⁹ 5; რაფაელ ერისთავი 6; ლუკა ყაზბაიშვილი 20; იოსებ დადიანი 2; რობერტ ბოკოინი 10; იაკ. ხოჭოლავა 5; მანმე. სიამაშვილი⁸⁰ 5; კემულარია 20; გობეჩია 2; მეუნარგია 5; მელიქიშვილი-კრუმენშტერნი⁸¹ 20; გეგეჭკორი 10; იუნკრების კავშირიდან (შ. ნიკოლაძე) 100; ალ. ერისთავის 5; დენ. ალ. ერისთავი⁸² 5; კარგარეთელი⁸³ 13; პლ. მიქელაძე 190; მერი დადიანი 25; ივ. ასათიანი 5; აკ. ასათიანი 5; მლ. ქართველი 7; ქართველ იუნკრების

74 დიმიტრი სინჯიკაშვილი (1907-1976), ჟურნალისტი. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ საქართველო დატოვა და ემიგრაციაში საცხოვრებლად საფრანგეთში გადავიდა. გარდაიცვალა ნიუ-იორკში. დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

75 ვიკტორ ნობაძე (1893-1975), ქართველი ემიგრანტი, მეცნიერი, ცნობილი რუსთაველოლოგი, ლექსიკოგრაფი და ჟურნალისტი.

76 შალვა ბერიძე (1892-1970), ისტორიკოსი, მთარგმნელი. 1924 წლიდან ცხოვრობდა საფრანგეთში. დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი, სწავლობდა ქართულ-ბასკურ ურთიერთობებს. იტალიაში შეუდგა სამეცნიერო მოღვაწეობას. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მან ქართულიდან ფრანგულ ენაზე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა.

77 აკაკი პაპავა (1890-1964), მწერალი და ჟურნალისტი. უცხოეთში გაბნეული ქართული რელიქვიებისა და არგუმენტების მოძიებასა და გადარჩენის საქმეში ფასდაუდებელი დეპუტი აქვს შეგანილი. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

78 ნოე ცინცაძე (1887-1978), საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. 1922 წელს ხელისუფლების მიერ სამშობლოდან გაძევებული. ცხოვრობდა საფრანგეთში. 1974 წელს მისი ხელმძღვანელობით პარვარდის უნივერსიტეტს ოცდაათი წლის ვადით შესანახად გადაეცა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის არქივი.

79 ელისე პაგარიძე (1896-1975), ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ჟურნალ „ივერიას“ დამაარსებელი და რედაქტორი. პარიზის ქართული ეკლესიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და სამრევლო საბჭოს მდივანი. საფრანგეთის ქართული ემიგრაციის სათვისტომოს თავმჯდომარე. ლევან მურაბიშვილთან ერთად ქართული ეროვნული ცენტრის დამაარსებელი. იხ. შ. კალანდაძე, სიგყვა წარმოთქმული ელისე პაგარიძის დასაფლავებაზე, „ივერია“, 17(1975), გვ. 6.

80 მანია სიამაშვილი, სპირიდონ ქუთათელაძის უფროსი ქალიშვილი. 1921 წელს ემიგრაციაში გაპყვა მეუღლეს ვლადიმერ სიამაშვილს, რომელიც მალევე დაიღუპა ვარშავაში და პოლონეთიდან პარიზში საცხოვრებლად გადავიდა.

81 მარიამ მელიქიშვილი-კრუმენშტერნი (1869-1942).

82 გენერალი ალექსანდრე ერისთავი (1873-1955), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დაფლავებით იმყოფებოდა ანკარაში. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ 1921 წელს გადავიდა საფრანგეთში.

83 ალექსანდრე კარგარეთელი (1899-1983), ქაქუცა ჩოლოყაშვილის ერთ-ერთი შეფიცული.

კაეშირი 138, 90; გ. მურაბიშვილი 2; გვაბაია 4; ვ. ქლენტი⁸⁴ 50; ივ. ვაჩნაძე⁸⁵ 5; ნ.ნ. (კვინიგაძის მიერ) 100; ისგრახო გერსამია 5; მარიამ ბარათაშვილი 30; ლევან ჯაფარიძე 3; თამ. ვაიგხაუშისა 25; ბერლინის ქართველ კოლონიით-გან 90; კოსტი 50; გ. ვაჩნაძე 10 ფრანკი; ყიფიანი – ბრიუსელი – 50. – მთლად 3290, 90.

დასასრულს ყველას გულითადი მადლობა მრევლის დამაარსებელ და მის სულისჩამდგმელ ბ. ილ. დადეშქელიანს, თანამშრომლებს და ღენ. ჯაფარიძეს და მის ოჯახს, მამულიაშვილის ოჯახს სეფისკვერისთვის, ბ. ივ. მურაბიშვილის⁸⁶ ჩვენი ეკლესიის წესდების ფრანგულიდან ქართულად თარგმნისთვის, მგალობელთა და ბ. შალვა ამირეჯიბს და ყველას შემოსწირველთა და კეთილ მოსურნეთ.

მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღვთისა მამისა და ზიარება სულისა წმიდისა იყავნ თქვენ ყოველთა თანა ამინ.

ლოცვები:

რადგან სამწუხაროდ სამრევლო სკოლის ამ და ყოველ კვირეულ კურსე-ბი ვერ ეწყობა, ვთხოვთ დაასწავლოთ ბავშვებს შემდეგი ლოცვები:

ლოცვა უფლისა – მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა! წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი ვითარცა ცათა შინა ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ ღღეს და მომიგე-ვენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენც მივეუტევეთ თანამდებთა მათ ჩვენთა. და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მისხენ ჩვენ ბოროტი-საგან. ამინ.

ლოცვა უფლისა წმიდისა – მეუფეო გეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მო-ვედ ჩვენ შორის და წმიდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა, და აცხოვენნ სახიერო სულნი ჩვენნი.

ლოცვა წმიდისა სამებისა – დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულ-სა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

84 ლეონტი (ვიქტორ) ქლენტი (1884-1969), საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართვე-ლოს დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წლიდან ცხოვრობდა საფრანგეთში.

85 ივანე ვაჩნაძე (1899-1976), იუნკერი, იბრძოდა კოჯორ-გაბასმელასთან. 1921 წელს საქართველოს მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში გადავიდა. გიორგი კვინიგაძის რეკო-მენდაციით სენ-სირის სახელგანთქმულ სამხედრო სკოლაში დაიწყო სწავლა. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა საფრანგეთის უცხოური ლეგიონის სპეციალურ ჯგუფს. დაკრძა-ლულია ლევილის სასაფლაოზე.

86 ივანე მურაბიშვილი (1872-1940), სამოგალო და პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი და მთარგმნელი. 1921 წლიდან ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობდა ემიგრაციაში. ეროვ-ნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. შვილები არჩილი, გიორგი და ლევანი. გარდაიცვალა 1940 წელს. დაკრძალულია ლევილში.

ყოვლად წმიდაო სამებაო შემიწყალენ ჩვენ, უფალო მისსენ და მილხინე ცოდვათა ჩვენთაგან. მეუფეო შეგვინდევ უშჯულოებანი ჩვენნი, წმიდაო მოიხილე და განკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისათვის, წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო შეგვიწყალენ ჩვენ. (სამჯერ).

ლოცვა ღვთისმშობლისადმი – ღვთისმშობელო ქალწულო, ვიხაროდენ მიმადლებულო მარიამ! უფალი შენთან არს. კურთხეულ ხარ შენ ღვთათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშვენ სულთა ჩვენთა. (სამჯერ.)

ღირს არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ შენ ღვთისმშობელო. რომელი მარადის სანაგრელ იქმენ ყოვლად უბიწოდ და ღვლად ღვთისა ჩვენისა. უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმაგებით უზმესთაესსა სერაბიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიგყვისა ღვთისასა მხოლოსა ღვთისმშობელსა გალობით ვადიდებდეთ.

სიმბოლო სარწმუნოებისა – მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა-მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა, და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მხოლოდ შობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, თანა-არსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა. რომელი ჩვენთვის კაცთათვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდაამოსდა გეცით, და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა, და მარიამისაგან ქალწულისა განკაცდა და ჯვარს-ეცვა ჩვენთვის, პონტოელისა პილატეს-მე, და ივნო, და დაეფლა, და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა: და ამალდა გეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა; და კვალად მომავალ-არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკვდართა რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ, და სული-წმიდა უფალი, და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისათანა თაყვანის-იციემების და დიდების, რომელი იცყო-და წინასწარმეგყველთა მიერ, ერთი წმიდა კათოლიკე, და სამოციქულო ეკლესია, ვადიარებ ერთსა ნათლის-ღებასა მოსაგვევებლად ცოდვათა, მოველ აღდგომასა მკვდრეთით, და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა, ამინ.

ქართული ელემენტის გავლენა ბალკანეთის ხალხების სულიერ კულტურაზე

დიდი ხანია ვნაგრობდი ათონის მთის მონასტრების მოხილვას, მხოლოდ 1935 წლის მაისში მოვახერხე ამ ნაგვრის ასრულება. გზად რუმინეთი და ბულგარეთი უნდა გამეფლო, ამიტომ ეს ქვეყნებიც მოვინახულე. მე ქართულ ენაზე უკვე დავწერე ჩემ მიერ ჩატარებული გამოკვლევების სრული ანგარიში¹; წინამდებარე ნაშრომში ჩემი მოგზაურობის მხოლოდ მთავარ შედეგებს აღვნიშნავ, რომელიც გრძელდობოდა 1935 წლის 14 ივლისიდან 22 სექტემბრამდე.

პირველად რუმინეთს ვესტუმრე.

რუმინეთისა და საქართველოს ურთიერთობაზე ჯერ არაფერი დაბეჭდილა, თუმცა ისტორიკოსს აქ შეუძლია მოიძიოს მრავალი საინტერესო მასალა; თანაც ის ამ ქვეყანაში უნდა დარჩეს უფრო მეტხანს. მე ათ დღეზე მეტი დრო ვერ გამოვინახე, რადგან ჩემი უპირველესი მიზანი იყო ათონის წმინდა მთაზე გამგზავრება. ამის გამო ვიკვლევდი მხოლოდ ყველაზე აუცილებელსა და ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს. მე არ ვცდილვარ გამოძიებულა სახელგანთქმული ქართველი პოეტის ბესარიონ გაბაშვილის² ცხოვრება რუმინეთში, რომელმაც სიცოცხლის ბოლო წლები ამ ქვეყანაში გაატარა და იქვე გარდაიცვალა³. ასევე იძულებული ვაგხდები მიმეტოვებინა არქივებში ძიება მრავალი ქართველი ემიგრანტის ბედისა, რუმინეთში რომ გადასახლდნენ მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში,

1 (*) მოგზაურობის ვრცელი ანგარიში მალე გამოქვეყნდა ქართულ საეკლესიო ჟურნალში „ჯვარი ვაზისა“ № 5.

2 ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) (1750-1791), ქართველი პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე. თეიმურაზ II კარის მოძღვრის მაქარია გაბაშვილის ვაჟი. მას ეკუთვნის რომანტიკული განწყობილებით აღბეჭდილი ლირიკული ლექსების ციკლი („სევდის ბაღს შეველ“, „განთ-გატანო“, „მე შენზე ფიქრმა მიმარინდა“ და სხვა). ბესიკის პოემებისათვის დამახასიათებელი იყო მდიდარი მეტაფორული ამროვნება, დახვეწილი ბგერწერა. მას უამრავი მიმბაძველი გაუჩნდა, რაც ერთობ ართულებდა ავთენტური მასალის შერჩევას შემორჩენილ ხელნაწერებში. იხ.: გ. ლეონიძე, ბესიკი, მარმონტელი, ლესაჟი, „ლიტერატურული გაზეტი“, 1938 №14; ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თბილისი 1949. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი 1956.

3 (*) იხ. „ჯვარი ვაზისა“ (პარიზი, 1931), №1, გვ. 19-24, სადაც მე გამოვაქვეყნე ბესარიონ გაბაშვილის რამდენიმე უცნობი ლექსი უორდროპის კოლექციის ერთი ქართული ხელნაწერიდან (ოქსფორდი, ბოლდის ბიბლიოთეკა).

აგრეთვე კვლევა პალესტინის ქართული მონასტრებისა და რუმინეთის ეპარქიის ურთიერთობის შუასაუკუნეებში⁴ და კიდევ რამდენიმე საკითხისა⁵. პროფესორ ნიკოლაე იორგას⁶ შუამდგომლობითა და დახმარებით უფლება მომცეს მემუშავა დიდი ქართველი მოღვაწის, ბუქარესტის არქიეპისკოპოსის, ანთიმომ ივერიელის (1716) მიერ რუმინეთის აკადემიაში⁷ შემონახულ მასალებზე. ანთიმომ ივერიელმა დიდი სახელი მოიხვეჭა რუმინეთის ეკლესიის საკეთილდღეოდ გაწეული ღვაწლისათვის, მას დღესაც დიდ პატივს სცემენ მთელ რუმინეთში. ანთიმომ ივერიელს არც თავისი სამშობლო დავიწყებია. 1707-1708 წლებში მან თბილისში გაგზავნა მესტამბენი, რომლებმაც პირველი სტამბა დააარსეს საქართველოში. მომდევნო წელს აქ დაისტამბა პირველი ქართული სახარების წიგნები. სამწუხაროდ, არავის უცდია შეესწავლა საქართველოს ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში დაცული მდიდარი მასალა ამ პიროვნების შესახებ, რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიაში⁸ კი მასზე ცოცხა რამ თუ დაიძებნება⁹.

4 (*) ამ თემაზე უამრავი მასალა აქვს შეგროვილი ღოსთიეოსს, იერუსალიმის პაგრიარქს; ხსენებული პაგრიარქი იმყოფებოდა საქართველოში 1659, 1660 და 1679 წლებში და კრებდა გადასახადს თავისი საპაგრიარქოსათვის; დასახელებულ ნაშრომში ღოსთიეოსი აღწერს საქართველოში თავის მოგზაურობას, აფხაზეთის კათოლიკოსთა ისგორიას და იერუსალიმის ქართული მონასტრების ისგორიას. ბროსეს გარდა, რომელიც მას მიმოიხილავს თავის ნაშრომში „პოლიტიკური და საეკლესიო მმართველობა საქართველოში XVII საუკუნეში“ (პეტერბურგი 1839), რომელიც შემდეგ სელემნიოვმა თარგმნა რუსულად, ეს საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალა არავის არ გამოუყენებია.

5 (*) ბოლო ხანებში რუმინეთში გავრცელდა თეორია, რომლის მიხედვით ქართულმა არქიეპიტქურამ დიდი გავლენა მოახდინა რუმინეთის არქიეპიტქურის განვითარებაზე.

6 ნიკოლაე იორგა (1871-1940), ისტორიკოსი, მწერალი, პოეტი, 1893 წლიდან რუმინეთის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1931-1932 წლებში რუმინეთის პრემიერ-მინისტრი. რუმინეთის ხელისუფლების დაკვეთით გვარდიელის მიერ მოკლულ იქნა 1940 წლის 27 ნოემბერს.

7 რუმინეთის აკადემია (რუმ. Academia Română), დაარსდა 1866 წელს ბუქარესტში ცნობილი პოლიტიკოსისა და ლიბერატორის კონსტანტი ალექსანდრუ როზეგის (1816-1885) ინიციატივით.

8 (*) J. Brianu, *Bibliographia romanisca veche 1508-1716*, București, 1903, ნახსენებია ორი ნაშრომი, რომელიც ანტიმომ ივერიელის თაოსნობით თბილისში დაიბეჭდა: ახალი აღთქმა 1709 წელს და 170 წლის ლიტურგიკონი (გვ. 483-484 და 543-544).

9 (*) ის მოწამებრივად დაიღუპა, მდინარე ღუნაიში გადააგდეს თურქებმა. 1903 წელს ბუქარესტში დაიბეჭდა წიგნი, სადაც ნახსენებია თბილისში დაბეჭდილი ორი ქართული წიგნი „ლითურდია“, თბილისი 1710 (გვ. 483-484) და ქართული სახარება, თბილისი 1709 (გვ. 543-548). 1929 წლის ბრიტანეთის ენციკლოპედია (14-ე გამოცემა) ამ არქიეპისკოპოსის შესახებ გვიამბობს: „ანთიმომ ივერიელი, რუმინეთის ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწე. დაბადებით ქართველი, რუმინეთში მოვიდა მტვირთვე საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც უბრალო ბერი. 1705 წელს ის რამნიქუს ეპისკოპოსი გახდა, ხოლო 1708 წელს ვალახეთის არქიეპისკოპოსი. აქტიურად მონაწილეობა იმ დროის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რის გამოც უთანხმოება მოუვიდა ახლადდანიშნულ ბერძენ უფროსებთან და გადაასახლეს რომალიაში. ღუნაიშე რომ გადადიოდა, 1716 წელს, წყალში გადააგდეს და დაახრჩვეს, როგორც ფიქრობენ, ვალახეთის მმართველის“

* * *

ათონზე რომ მოხვდეს, საბერძნეთის მთავრობის სპეციალური ნებართვაა საჭირო. ასეთი ნებართვის მისაღებად მე სალონიკეში მომიხდა შეჩერება. ერთ დროს ამ ქალაქში ილარიონ ქართველი აფარებდა თავს (გარდაიცვალა 875 წ.), საკმაო ხანს იცხოვრა აქ და სახელიც გაითქვა თავისი სიწმინდითა და სასწაულქმედებით. სიკვდილის შემდეგ იმპერატორ ბასილის, მაკედონელის (867-886) ბრძანებით მისი წმინდა ნაწილები კონსტანტინეპოლში გადაასვენეს და იქ ქართული მონასტერი ააგეს. ილარიონ ქართველის ცხოვრება პირველად ბერძნულად დაიწერა და შემდეგ ითარგმნა ქართულად. კონსტანტინეპოლის ქართული მონასტერი რომანა¹⁰, სადაც ილარიონის წმინდა ნაწილებმა ჰპოვა საუკუნო სასუფეველი, მოხსენებული აქვს რუს მოგზაურს 1200 წელს¹¹. პარგუარმა დააპირა მოეძებნა ამ მონასტრის ადგილმდებარეობა, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან მოულოდნელად გარდაიცვალა.

ქალაქი სალონიკე¹² ბედს უნდა უმადლოდეს, რომ სწორედ მისადმია მიმართული მოციქულის ორი ეპისკოლე. ბიზანტიურ პერიოდში და შუა საუკუნეებში იქ ბერი სახელგანთქმული თეოლოგი ცხოვრობდა. მათ შორის სიმონ სალონიკელი, გრიგოლ პალამა და მრავალი სხვა. ადვილი დასაშვებია, რომ ილარიონის პოპულარობა მიიზიდავდა ქართველებს სალონიკეში სამოღვაწეოდ. რაც კი რამ შემორჩა წარსული ეპოქიდან, ომებისა და თურქების ბატონობის დროს განადგურდა.

ათონზე ორი მიზნით გავემგზავრე – როგორც მოგზაური და როგორც მკვლევარი, ვითარცა საეკლესიო მოღვაწეს, მაინტერესებდა შემეგყო,

დავალებით. ის დიდად ნიჭიერი კაცი იყო, მრავალი ევროპული და აღმოსავლური ენა იცოდა. გელმიწევნით ჰქონდა შესწავლილი რუმინული ენა და ცდილობდა ოფიციალურ ენად რუმინული დაემკვიდრებინა ეკლესიაში. ის შესანიშნავი ბეჭდვის ოსტატი იყო და თვითონ ჭრიდა სისაგან შრიფტს წიგნებისათვის, რომლებიც დაბეჭდა გირგოვიშტში, რაზნიქუში, სნაგოვში და ბუქარესტში. პირველმა შემოიღო აღმოსავლური შრიფტი რუმინეთში და დაბეჭდა პირველი არაბული მიმართვა აღმოსავლეთის ქრისტიანებისადმი (რაზნიქუ, 1702). გარდა ამისა, მან მოამზადა ქართველი მესტამეები და გამოჩარხა შრიფტი, რომლითაც მისმა მოწაფემ, მიხაილ იშტვანოვიჩმა დაბეჭდა პირველი ქართული სახარება (თბილისი, 1709). მისი ქადაგებანი დახვეწილი სტილით და ენით არის დაწერილი და მეტად ლამაზად გაფორმებულ-დაბეჭდილი. მან დაწერა მთელი ციკლი საკითხავებისა, ქადაგებებისა, სახარებისა და სხვა: ის: M. Gaster, *Chrestomathie roumaine* (Leipzig 1881); *Geschichte der rumänischen Literatur*, [წგნ.:] G. Grober, *Grundriss der Romanische Philologie* (Strasburg 1899, II); E. Picot, *Notice sur Anhim d'Ivir* (Paris 1886).

10 (*) პოლ პეეტერსი, „ილარიონ ქართველი“, 1913 წ. ბრიუსელი, გვ. 236-269. მოჰყავს ქართული ტექსტის ლათინური თარგმანი სამეცნიერო აპარატიურით. [პაულ პეეტერსი (1870-1950), ბელგიელი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, ქართველოლოგი. შუად.: P. Devos, *Le R. P. Paul Peeters*, Bruxelles, 1951].

11 (*) ნოვგოროდის არქივისკოპოსი ანტონი 1200 წელს აღწერს ქართულ ეკლესიას კონსტანტინეპოლში, სადაც ილარიონის წმინდა ნაწილებია შენახული (პეეტერბურგი 1859, გვ. 36).

12 სალონიკი (ბერძ. Θεσσαλονίκη) საბერძნეთის სილითი მეორე ქალაქი.

როგორ ცხოვრობდნენ იქაური ბერები და თვითონაც მეგემნა იქაური ცხოვრება. ამასთან მსურდა ივერთა მონასტრის ქართული ხელნაწერები დამეთვალეირებინა, ზოგი მათგანი გადამეწერა, ამასთან ერთად შემიკრიბა მასალები მეცხრამეტე საუკუნეში იქ მცხოვრები ქართველების შესახებ; დაბოლოს მსურდა შემეძინა ქართული წიგნები და, თუ შევძლებდი, ქართული ხელნაწერებიც¹³.

ათონის წმინდა მთაზე არის ოცი მონასტერი, თხუთმეტი სკითი და ორასზე მეტი სენაკი. ეს ყველაფერი წარმოადგენს ერთ დამოუკიდებელ სამონასტრო რესპუბლიკას¹⁴; მისი დედაქალაქია კარიესი¹⁵. აქვეა რესპუბლიკის პარლამენტი, რომელიც ოცი წევრისაგან შედგება (ოცი დიდი მონასტრის წარმომადგენლები), აქვე ცხოვრობს პრეზიდენტი; რესპუბლიკას თავისი პაგარა ნავსადგური აქვს – ქალაქი დაფნი; ჰყავს თავისი პაგარა პოლიციაც. ოცი მონასტრიდან ხუთს, უძველესს, უმეტესი უფლებები გააჩნია, სწორედ ამ ხუთი მონასტრიდან ყოველწლიურად რიგრიგობით ირჩევენ პრეზიდენტს. ეს მონასტრებია: ლავრა¹⁶, ვატოპედი¹⁷,

13 (*) ალექსანდრე ცაგარელი იყო პირველი ქართველი მეცნიერი, რომელმაც კვლევები ჩაატარა ათონის ივერთა მონასტერში, იერუსალიმის ჯვრისა და საბაწმინდის ლავრაში. სარდაფებსა და სენაკებში იპოვა და აღწერა ხელნაწერები, დაამზადებინა ფრესკების პირები, გადმოიღო წარწერები, მოიპოვა ცნობები ახლო აღმოსავლეთში ქართველთა კულტურული საქმიანობის შესახებ. ალექსანდრე ცაგარელი (1844-1929), ენათმეცნიერი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, პალეოგრაფი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი. იხ.: ალ. ცაგარელი, ცნობები ქართული მწერლობის ძეგლებზე და ქართულ სიძველეთა ძეგლები წმინდა მიწაზე და სინაზე, 1888 წელი.

14 *) საკითხს აქვს იგივე პრივილეგიები, რაც მონასტერს; მაგრამ არ გააჩნია საკუთარი მიწები და იხდის წლიურ გადასახადს იმ მონასტრის სასარგებლოდ, რომელსაც ეკუთვნის. სენაკი მთლიანად დამოკიდებულია მონასტერზე; მასში არ შეიძლება იყოს ოთხზე მეტი ბერი არა აქვს უფლება აკურთხოს მღვდელი ან რომელიმე ეკლესია თავისი მონასტრის ნებართვის გარეშე, მესენაკეებიც წლიურ გადასახადს უხდიან მონასტერს.

15 კარიესი ათონის წმინდა მთის მთავარი ქალაქი, სადაც მდებარეობს წმ. მთის მმართველი ორგანოს, წმინდა „კინოგის“ აღმინისგრაციული შენობა.

16 წმინდა ათანასეს ლავრა (ბერძ. Μονή Μεγίστου Αθανάσιου), უძველესი და ყველაზე დიდი სავანე ათონის მთაზე. ცნობილია დიდი ლავრის სახელით. მონასტერი წმინდა მთის მონასტრების იერარქიის სათავეში დგას. ლავრაში (საკუთრივ მის გერიგორიაზე) 17 გაბარია, ხოლო 19 გაბარია – გარეთ. ლავრის გერიგორიაზე 50 ბერია, ხოლო მის გარეთ 300. ლავრის ბიბლიოთეკაში დაცულია 2116 ხელნაწერი, 20000 ნაბეჭდი წიგნი და 100 უცხოენოვანი ხელნაწერი. ვატოპედის მონასტერი (ბერძ. Βατοπέδι), ათონის მთაზე მდებარე იერარქიით მეორე. გამოირჩევა თავისი სიმდიდრით, სიძველით და ვრცელი გერიგორიის ფლობით. მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცულია 2000 ხელნაწერი, 25 გრაგნილი, საბუთები და 3500 ნაბეჭდი წიგნი.

17 ვატოპედის მონასტერი (ბერძ. Βατοπέδι), ათონის მთაზე დაარსდა 972-985 წლებში. დაარსა სამმა მდიდარმა და წარჩინებულმა ადამიანმა – ათანასემ, ნიკოლოზმა და ანტონიმ. მონასტერი ათონის მთაზე იერარქიით მეორე ადგილზეა. გამოირჩევა თავისი სიმდიდრით, სიძველით და ვრცელი გერიგორიის ფლობით. ბიბლიოთეკაში დაცულია 2000 ხელნაწერი, 25 გრაგნილი, საბუთები და 3500-ზე მეტი ნაბეჭდი წიგნი.

ივერონი¹⁸, ქილენდარი¹⁹, წმ. დიონისე²⁰. ამ მონასტერთაგან დღეისათვის ოთხი ბერძნების ხელშია და მხოლოდ ერთი, ხილანდარი, ეკუთვნის სერბებს. წინათ ივერთა მონასტერს მეორე ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული²¹ და ქართველებისა იყო. თვით სახელიც მიანიშნებს ამას. ის მათე საუკუნეში ააშენეს ქართველებმა – იოანე და თორნიკე ერისთავებმა²². მომდევნო საუკუნეში ივერთა მონასტერი გახდა ქართული განათლებისა და კულტურის ცენტრი. აქ ცხოვრობდნენ დიდი მწერლები ექვთიმე²³ (გარდ. 1028) და გიორგი მთაწმინდელები²⁴ (გარდ. 1065), რომლებმაც უამრავი თეოლოგიური და ფილოსოფიური თხზულება თარგმნეს, როგორც ბერძნულიდან ქართულად, ისე პირიქით²⁵.

18 ივერთა მონასტერი (ბერძ. Μονή Ιβήρων), ერთ-ერთი მონასტერი ათონის მთაზე. დაარსდა 980-983 წლებში. მონასტერს ათონის იერარქიით მესამე ადგილი უკავია. მონასტრის წიგნსაცავში 2000 ხელნაწერია დაცული, ოხუთმეტი გრაგნილი ლიტურგიული ხელნაწერი, 20000 დაბეჭდილი წიგნი ქართულ, ბერძნულ, ლათინურ ენებზე. მონასტერი იოანე ნათლისმცემლის სახელობისაა. მის დაქვემდებარებაში შედის თექვსმეტი სამლოცველო თვით მონასტრის შიგნით და ათი გარეთ. მონასტერში ინახება ივერიის ყოვლწმინდა ღვთისმშობლის ხატი.

19 ქილენდარის მონასტერი (ბერძ. Χιλανδαρίου), 1198 წელს სერბმა მეფე სტეფანე ნემანმა და მისმა ძემ დაკომ დააფუძნეს. მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცულია 700-მდე სლავური და 100 ბერძნული ხელნაწერი, 25 სლავური და 27 ბერძნულ ენაზე დაწერილი პერგამენტი. ბიბლიოთეკა ინახავს 6600 ბეჭდურ გამოცემას. ხილანდარის მონასტერს მეოთხე ადგილი უკავია ათონის მონასტრების იერარქიაში.

20 დიონისეს მონასტერი (ბერძ. Μονή Διονυσίου), ერთ-ერთი მონასტერი ათონის მთაზე, რომელსაც იერარქიით მეხუთე ადგილი უკავია. დაარსებულია XIV საუკუნეში დიონისე კორისელის მიერ და ამიგომ დაარქვეს მონასტერს მისი სახელი. თავად მონასტერი იოანე ნათლისმცემლის სახელობისაა. მონასტრის ბიბლიოთეკაში 804 ხელნაწერია დაცული და 4000 დაბეჭდილი წიგნი.

21 (*) არსებობს ერთი საინტერესო საბუთი 1169 წლისა, სადაც ივერიის მონასტრის ბერი მიხეილი, ხელს აწერს ქართულად ლავრას შემდეგ – მეორე ნომრად.

22 (*) ის დიდებული სარდალი გახლდათ, რომელმაც თავი დაანება სამხედრო საქმეს და ათონზე წავიდა ბერად. იმ დროს ბიზანტიის იმპერიაში ბარდა სკლიაროსი აჯანყდა. მეფის ოჯახის თხოვნით თორნიკემ გაიხადა ბერის სამოსელი და საომარი აბჯარი ჩაიცვა, ჩაახშო აჯანყება და დაუბრუნდა თავის მონასტერს, მაღლობის ნიშნად ბიზანტიის იმპერატორებმა ათონს შესწირეს მიწები და პრივილეგიები უბოძეს. ეს ამბავი 979 წელს მოხდა.

23 ექვთიმე მთაწმინდელი (955-1028), ქართველი მთარგმნელი და სასულიერო მოღვაწე. ათონის სალიტერატურო სკოლის ფუძემდებელი, 1005-1019 ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი. ექვთიმე მთაწმინდელის დავალი აღწერა გიორგი მთაწმინდელმა. [იხ. წმ. გრიგოლ ფრეაძე, ათონის მთის ივირონის მონასტრის ქართველი ბერების ლიტერატურული საქმიანობა, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, რედ. დავით ყოლბაია, ვარშავა 2012, გვ. 133-145; კ. კეკელიძე, ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, [წგნ.:] ეტიკები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1945. მისივე: ბოგიერთი საკითხი ექვთიმე ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, I, თბილისი 1956].

24 გიორგი მთაწმინდელი (1009-1065), ქართველი სასულიერო და სამოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი. ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი.

25 (*) ივერიის მონასტრის შესახებ ორიოდე სერიოზული გამოკვლევა არსებობს, მე ვიცი ორი

ათონის სკოლამ გარდატეხა მოახდინა ქართულ კულტურაში. ბიზანტია იმ დროს ისევე მოწინავე იყო, როგორც პალესტინა, ანგიოქია და კოპტური ეკლესიები იყვნენ ადრე²⁶. ათონზე ადრეული საუკუნეების კულტურულ მემკვიდრეობას ისევე მიაქციეს ყურადღება, წიგნების უმრავლესობა ხელახლა ითარგმნა ოფიციალური ბიზანტიური ტექსტებიდან თეოლოგიის ყველა სფეროში დიდი მუშაობა იქნა გაწეული, რათა ათონზე მისი დონე აეწიათ ბიზანტიის დონემდე და უფრო მაღლაც.

ივერთა ქართული მონასტრის დამაარსებლები იყვნენ ათონზე ბერმონაზვნობის დამაარსებლის – ათანასეს მეგობრები. ათანასემ დიდი ლავრა დააარსა. წმ. ათანასე ტრაპიზონელი ლაზი იყო, დედა ქართველი ჰყავდა. დედა-შვილი ჯერ ერთ მონასტერში იღვწოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მრავალი ქართველი შემოუერთდათ, დედამ ცალკე მონასტერი აიშენა. სამონასტროდ აირჩიეს კლიმენტის უბის ნაპირი ადგილი ათონზე, სადაც ღვთისმშობელი და იოანე მოციქული ერთად მოვიდნენ ღვთის სიკეთის გასაცხადებლად. სწორედ ამ ადგილებში იმალებოდა წმინდა ეპისკოპოსი კლიმენტი, როცა მას ღვენიდნენ.

აგებისთანავე ქართული მონასტერი გადაიქცა მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ცენტრად. ღვთისმშობლის სახეზე გამოჩნდა ზღვაზე და ბერი – ქართველი, სახელად გაბრიელი – გაივლის ზვირთებზე, როგორც მიწაზე, მოჰკიდებს ხელს ღვთისმშობლის ხაგს და დიდი ზეიმით დაასვენებს ეკლესიაში. მეორე დღით ხაგი ბერებს მონასტრის კარზე, გარეთ დახვდება. ისინი შეასვენებენ ხაგს ეკლესიაში, სასწაული განმეორდება. ბოლოს ღვთისმშობელი სიმშრად მოველინება გაბრიელ მონაზონს და მოახსენებს – „არ მსურს ბერები მიცავდნენ, მე თვითონ დავიცავ თქვენს მონასტერს“. მაშინ კარებთან პაგარა საყდარი ააგეს და ხაგი შიგ დაასვენეს. ეს ხაგი დღესაც იქ არის. ამ საოცარმა თქმულებამ და სასწაულებრივმა ხაგმა აურაცხელი სიმდიდრე შესძინა მონასტერს მთელი საქართველოდან, რომელიც ამ პერიოდში თავისი ძლიერების მწვერვალზე იმყოფებოდა; მონასტერს უამრავ სიმდიდრეს სწირავდნენ ეკლესიები, მეფეები, თავადები, რათა ივერთა მონასტერს უცხოეთში შესაფერისად წარმოეჩინა

პაგარა გამოკვლევა ანტ. ნაგროვეისა რუსულად, თბილისი, 1909 და 1912 წ. და იოსელიანის ნაშრომი, გიმთიე ქართლის ეპისკოპოსის მოგზაურობა იერუსალიმში, ათონელ მამათა ცხოვრებაზე. ის. სქოლიო 1, გვ. 14. 1885 წ. იემუიგმა ბერმა მექერიანმა სირიაში აღმოაჩინა ქართული მონასტერი და მისი ფოტოსურათები გადასცა გაბრიელ მილეს. პარიზში, ქართული ახალშენები იყო კვიპროსზე, დამასკოში, ალექოში, ბაჩკოვოში – ბულგარეთში და სხვა სამწესაროდ, მონოგრაფიები მათზე ჯერ არ გამოქვეყნებულა.

26 (*) იემუიგმა ბერმა მექერიანმა სირიაში აღმოაჩინა ქართული მონასტერი და მისი ფოტოსურათები გადასცა გაბრიელ მილეს. პარიზში, ქართული ახალშენები იყო კვიპროსზე, დამასკოში, ალექოში, ბაჩკოვოში – ბულგარეთში და სხვა სამწესაროდ, მონოგრაფიები მათზე ჯერ არ გამოქვეყნებულა.

მათი ქვეყნის სიმდიდრე და ღირებულება. მეჩვიდმეტე საუკუნეში (1647 წ.) ამ ხაგის ასლი გავგზავნეს მოსკოვში და მონასტერს თვით რუსეთშიც უბოძეს ღირებული მიწები და სიმდიდრე.

ივერთა მონასტრის ღირებულებამ და სიმდიდრემ ბერძენ ბერებს შური აღუძრა და მათ მოინდომეს, რაღაც არ უნდა დაჯდომოდათ, მოეწყოთ მისი ანექსია, როგორც ქართული წყაროები გვამცნობენ, ბერძნებმა ჯერ კიდევ ადრე, მეთერთმეტე საუკუნეშივე მოინდომეს ქართველების გაძევება მონასტრიდან. მაგრამ მაშინ ეს ვერ მოახერხეს. შემდგომ საუკუნეებში უფრო გაძნელდა მონასტრის დაცვა ბერძნების შემოგვევებისაგან. შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე მიზეზი. მეცამეტე საუკუნის შუაწლებიდან ქართველების პოლიტიკური ძლიერება თანდათან ეცემა. ქვეყანა სუსტდება და დაგაკდება. მონღოლების შემოსევამ, სპარსელებისა და თურქების წინააღმდეგ დაუსრულებელმა ომებმა ერთიანად გამოაცალეს მას ძალა. ამას დაემატა არეულობა ქვეყნის შიგნით. საქართველო დაიშალა რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ, ძლიერ გაჭირდა უცხოეთში მონასტრების შენახვა. ქართველებს რომ მხოლოდ ერთი-ორი მონასტერი ჰქონოდათ უცხოეთში, მაშინ შეძლებდნენ მის მოვლასა და დაცვას, მაგრამ მონასტრები საკმაოდ ბევრი იყო. მარტო პალესტინაში ოცამდე ქართული მონასტერი იღვწოდა. ქართული სამონასტრო კომპლექსი იყო სირიაშიც (საკვირველ მთაბე), სინას მთაბეც. საქართველოდან წამოსულ მოგზაურებსა და ბერებს გზაზე თურქები ძარცვავდნენ და ხოცავდნენ. ქართველები იძულებული გახდნენ შეეშვათ ბერძნები, რადგან სამონასტრო სამსახური უამრავ ხელს ითხოვდა. მაგრამ დამკვიდრდნენ თუ არა მონასტერში, ბერძნებმა მოახერხეს დაეკავებინათ ყველა მაღალი თანამდებობა, და ქართველებიც შეევიწროვებინათ. სამწუხაროდ, ჯერ არ ვიცით, როდის გადავიდა ივერთა მონასტერი ბერძნების ხელში.

მეცხრამეტე საუკუნეში ქართველი ეპისკოპოსები შეეცადნენ დაებრუნებინათ მონასტერი, მაგრამ რუსეთის მთავრობას მაინცდამაინც დიდი გულისყური არ გამოუჩენია ამ საქმის მიმართ. მან მხოლოდ ის მოითხოვა, რუსებიც მიეღოთ ივერთა მონასტერში, რაც იმას მოასწავებდა, რომ მონასტერი, რომელიც უკვე ბერძნული იყო, გადაიქცეოდა რუსულ მონასტრად. ქართველებმა ამაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. ვარდა ამისა, რუსებისათვის ერთობ არასასიამოვნო ფაქტი იყო, რომ მათ ხელქვეითი ქვეყნის ეკლესია რანგით მესამე იყო ათენის იერარქიაში, ეს მაშინ, როცა რუსული წმ. პანტელეიმონის მონასტერი მეცხრამეტე ადგილზე იდგა მხოლოდ. რუსეთის პოლიტიკა საქართველოში მთლიანად მიმართული იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური ტენდენციების გაუქმებისაკენ; როგორღა დაეხმარებოდა რუსეთის მთავრობა მას ქართული კულტურის ახალი ცენტრების დაარსებაში?

ბოლოს ქართველმა ეპისკოპოსებმა ათონზე დაიმკვიდრეს სენაკი იმ ადგილას, სადაც წინათ იოანე მახარებლის მონასტერი მდებარეობდა. ეს სენაკი²⁷ ივერთა მონასტრის ახლოს იდგა და მასვე ეკუთვნოდა. სენაკს ქართველები განაგებდნენ 1885 წლიდან 1919 წლამდე. ამ სენაკმაც საკმაოდ დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში. სამწუხაროდ, ამ სენაკის შესახებ ჯერ არაფერი დაწერილა ათონზე ყოფნისას შევეცადე შემეგროვებინა მასალა სენაკის ისტორიისათვის, მაგრამ ცოცხა რამეს მივაკვლიე. სენაკში ორმოცდაათი ბერი ცხოვრობდა; ჰქონდათ კარგი ბიბლიოთეკა. ნაბეჭდი წიგნების გარდა აქ იყო ხელნაწერები, რომლებიც თვითონ გადაეწერათ ივერთა თუ სხვა ქართული მონასტრებიდან და მუზეუმებიდან. ბელმა გამიღიმა და თხუთმეტი ხელნაწერი ვიშოვე და თან წამოვიღე²⁸. ბერძნები ითმენდნენ ამ სენაკის არსებობას, მაგრამ ხელსაყრელ დროს და საბაბს უცდიდნენ იქიდან ქართველების გასაძევებლად. ასეთი ხელსაყრელი დრო დაუდგათ ომის შემდგომ წელს, როცა რუსეთში არეულობა დაიწყო და ბოლშევიკების მოძრაობა გაძლიერდა, ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკის წინაშე კი უამრავი პრობლემა იდგა გადასაჭრელად – მას არ ჰქონდა საშუალება დაეცვა ქართველი ბერების უფლებები ათონზე²⁹. სწორედ მაშინ გამოაძევეს ქართველები სენაკიდან და, როგორც იცყვიან, ქუჩაში დაყარეს. ზოგი მათგანი საქართველოში გაემგზავრა დახმარების მისაღებად. დანარჩენებმა ღროებით პროტო-

27 (*) ამ სენაკში მხოლოდ ორი ბერი იყო, ბენედიქტე და იონა (1919). აქ მრავალი ქართული ხელნაწერი ჰქონდათ, გადაწერილი არა მარტო ივერიის მონასტრის ბიბლიოთეკიდან, არამედ საქართველოს მონასტრებიდანაც. მათ გადაბეჭდეს აგრეთვე საქართველოში დაბეჭდილი წიგნები. მე პირადად მაქვს: 1. მამა დოროთეოსის ასკეტიკური კრებული. 2. იოანე კლემასის „კიბე“, ფოთი, 1902, და 3. „თვენი“, თბილისი 1882 წ.

28 (*) მათ შორის: 1. მოციქულთა აპოკრიფული ცხოვრებანი; 2. დიონისე არეოპაგელის თხზულებათა სრული კრებული კომენტარებით; 3. აპოფთეგეგმები; 4. მაკარი დიდის სწავლანი; 5. ისააკ სირიელის სწავლანი; 6. იონა ხელაშვილის გამოუქვეყნებელი ავტოგრაფი (მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი მწერალი მოგვიტორობს სანკგ-პეტერბურგში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების ცხოვრებას). სრულ კატალოგს მე გამოვაქვეყნებ ჟურნალში „ჯვარი ვაზისა“. დაბეჭდილი წიგნებიდან აღსანიშნავია: 1. „საქართველოს სამოთხე“, ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი. სანკგ-პეტერბურგი, 1882 იშვიათია; 2. მეთვრამეტე საუკუნის ლიტურგიული წიგნები 3. მეცხრამეტე საუკუნის კათეხიზმის კრებული; 4. პენთეკოსტარიონი; 5. გრიგოლიონი დიდმარხვისათვის და სხვა.

29 (*) ქართველებმა მოითხოვეს სკითი, ბერძნებმა ამაზე უარი უთხრეს, მათ არ ღართეს ნება, რომ 1877 წელს იოანე მახარებლის სახელზე აშენებული ეკლესია ეკურთხებინათ; ის მხოლოდ 1918 წელს აკურთხეს ბერძნებისაგან მალულად. მაშინ, როცა ათონზე გაერთიანებული სამხედრო ჯარი შევიდა. ამასთანავე ბერძნების ბრძანებით არც ერთი ქართველი ბერი არ შეიძლებოდა მღვდლად ეკურთხებინათ, ამიგომ სენაკის ბერები იძულებული იყვნენ საქართველოდან მოეწვიათ მღვდელი. მაშინ ბერძნები იძულებული გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ და ვეღარ გააძევეს ქართველები თვით ბერძენი პოლიციელების დახმარებითაც კი.

მარტივ სტეფანეს სენაკს შეაფარეს თავი (რომელიც რუსეთის მონასტერს ეკუთვნის). აქ 1928 წლიდან ხუთი ქართველი ბერი დასახლდა ქირით; დღეს იმ ხუთიდან სამია ცოცხალი: ძმები მათე და ათანასე გვაგავეები და გიხონი. დღესაც იქვე ცხოვრობენ და ბაღში მუშაობენ. ორი ქართველი ბერი – იოანე და მიხეილი – ცხოვრობს ღვთისმშობლის საფარველის ეკლესიის სენაკში. ბერი სიმონ ბაღდავაძე კი წმ. პანტელეიმონის მონასტრის სამზარეულოში მუშაობის საფასურად ცხოვრობს ოთახში და თავს ირჩენს. ათონზე მცხოვრები ქართველები ძლიერ მოხუცდნენ და გაღარიბდნენ. მაგრამ თავის სიღარიბეს ისე არ უჩივიან, როგორც იმას, რომ ისინი შეიძლება უკანასკნელი ქართველები აღმოჩნდნენ ათონზე და მათი სიკვდილის შემდეგ ქართველების სახსენებელი გაქრება იქ. ერთადერთი სალოცავი ის არის, რომ მათ შემდეგაც დარჩნენ ათონზე ქართველები. იქნებ მოხერხდეს მათთან მოწაფეების გაგზავნა!

როდესაც ქართველები გააძევეს იოანე მახარებლის სენაკიდან, მათ მოახერხეს ბიბლიოთეკა გადაერჩინათ და გადაეგნათ ახალ ადგილსამყოფელზე. მაგრამ 1932 წელს ხანძარი გაუჩნდა სწორედ იმ შენობას, სადაც ბიბლიოთეკა იყო მოთავსებული და თითქმის მთლიანად განადგურდა – რაც დიდი დანაკლისია ქართული კულტურისათვის! ერთი ბერი, მამა ბართლომე დაიღუპა იმ ხანძრის დროს. ღვთისათვის ამ ბიბლიოთეკაში დარჩენილია ორასი ნაბეჭდი წიგნი და ხელნაწერი. ამათგან მე სამოცი წამოვიღე. ქართველებმა უნდა იმრუნონ იმაზე, რომ ევროპაში გაიგანონ ბიბლიოთეკის დანარჩენი ნაწილი³⁰. ადგილზე ყველაფერი დაშლის და განადგურების პირზეა; ევროპაში კი ეს წიგნები მეცნიერულად შეიძლება გამოიყენონ და დაამუშაონ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ათონზე მცხოვრები ბერები ახლა ღრმა მოხუცები არიან (მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა, გიხონი 85 წელს არის გადაცილებული) და წარსულის შესახებ ბევრს ვერაფერს გვიამბობენ. განსაკუთრებით ერიდებიან ისინი იმაზე საუბარს, თუ როგორ დევნიან ბერძნები, ალბათ ეშინიათ, ბერძნებმა შური არ იძიონ, ანდა ალბათ, რაშიც მე ღრმად ვარ დარწმუნებული, ამას აკეთებენ ქრისტიანული კეთილშობილების გამო, რომელიც გვასწავლის, რომ სიკეთე და სიყვარული მიეუზღოთ ჩვენს მტრებს შურისა და სიძულვილის წილ, ყოველ შემთხვევაში, რელიგიური და მნეობრივი ნორმების მიხედვით ქართველები დღესაც პირველნი არიან ათონზე, ასე დამარწმუნეს ბულგარელმა და მოლდაველმა ბერებმა³¹.

30 (*) იხ. სქოლ. 2. გვ. 14, ქურნალში „ჯვარი ვაზისა“ დავბეჭდავ იმ წიგნების კატალოგსაც, რომლებიც იქ დარჩა.

31 (*) საცოდავმა ქართველმა ბერებმა მიაბნეს, რომ „ღვთისმშობელს უყვარს ჩვენი ერი და ის დაიცავს ჩვენს ქვეყანას, არ დაუშვებს, რომ ქართველების სსენება გაწყდეს!“ საინტერესოა ერთი ეპიზოდი მეცხრამეტე საუკუნის ცხოვრებიდან. ღვთისმშობლის დიდად

მემოხსენებული სენაკის გარდა, ქართველები მეცხრამეცე საუკუნეში ილია წინასწარმეცველის სენაკშიც ცხოვრობდნენ, ესეც ივერთა მონასტერს ეკუთვნის და მისგან რამდენიმე ნაბიჯზე მდებარეობს. ქართველებმა სასწაულებრივად შეაღწიეს ამ ადგილებში, როგორც უკვე ვთქვით, მეცხრამეცე საუკუნეში ქართველებს ბერძნები ივერთა მონასტერში აღარ აჭაჭანებდნენ, მხოლოდ ერთხელ დაემორჩილნენ ბერძნები თურქეთის ფაშის ბრძანებას³² და ბენედიქტე ქიოგიშვილი³³ შეუშვეს მონასტერში. მამა ბენედიქტეს ქადაგება დაკავშირებული იყო ღვთისმშობლის ხატთან. სიცოცხლის ბოლო წლებში მან ითხოვა მიეცათ სენაკი. მას ნება დართეს ქართველებიც მიეღო ამ სენაკში. პირველად ბესარიონ ქიქოძე, სახელგანთქმული გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსის ძმა (გარდაიცვალა 1896 წელს)³⁴ მივიდა მასთან. ბესარიონ ქიქოძემ მთელ კუნძულზე გაითქვა სახელი თავისი უბიწო ცხოვრებით. რუსებმა მისი „ცხოვრება“ შეიგანეს ბრწყინვალე ბერების სიაში, რომლებიც შემდეგ წმინდანებად უნდა შეერაცხათ; ბესარიონის სხენების დღეს ისინი ზეიმობენ 1 ოქტომბერს. ამ სენაკში უკანასკნელად ცხოვრობდა ბერი საბა, მაგრამ 1919 წელს, როცა მისი თანამემამულეები იოანე მახარებლის სენაკიდან გამოაძევეს, პროტესტის ნიშნად საბამ დაგოვა ილია წინასწარმეცველის სენაკი და საქართველოში დაბრუნდა. საბედნიეროდ, მან თან წაიღო ყველაზე მნიშვნელოვანი ხელნაწერები, ისინი ახლა თბილისის არქეოლოგიურ მუზეუმში ინახება.

ამ ორი სენაკის გარდა მეცხრამეცე საუკუნეში ქართველები ცხოვრობდნენ ათონის ნახევარკუნძულის სხვადასხვა მონასტრებსა და სენაკებში. მათი უმრავლესობა მიიღეს წმ. ღიონისეს მონასტერში, რამდენიმე ბერი წმ. პანტელეიმონის მონასტერში ცხოვრობდა.

ქართველი ბერების წარმომადგენლებს შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მამა ილარიონი³⁵. ის იყო იმერეთის უკანასკნელი მეფის

დაფასებული ხატის ასლი გაათამაშეს, წილი ყარეს; იგულისხმებოდა, რომ ის შეხვდებოდა ყველაზე უფრო ღირსეულ მონასტერს ათონზე. ქართველები მონაწილეთა სიის სულ ბოლოს იყვნენ მიწერილნი, მაგრამ ხატი სწორედ მათ ერგოთ, როდესაც ბერძნებმა ქართველები გააძევეს მონასტრიდან, მათ ნება არ მისცეს ქართველებს, რომ ეს ხატიც თან წაეღოთ.

32 (*) პოტომარგირ სტეფანეს სენაკში ვიპოვე ფურცელი, გვერდი 33-34, როგორც ჩანს, ეს არის ნაწყვეტი ქართველების ისტორიისა ათონზე მეცხრამეცე საუკუნეში. აღწერილია კიოგოშვილის ამბავი. გამოვაქვეყნებ მთლიანად ქართულ ენაზე.

33 ბენედიქტე (ბესარიონი) ქიოგიშვილი, ათონის მთაზე ქართველი ბერ-მონაზვნობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

34 ბესარიონ (ვახილი) ქიქოძე წმინდა გაბრიელ ქიქოძის ძმა (გარდ. 1896).

35 წმ. ილარიონ ქართველი (იესე ყანჩაველი, 1776-1864), იმერეთის მეფის სოლომონ II-ის მოძღვარი და სახელმწიფო საკითხებში მისი მრჩეველი. შემდეგში ათონის წმინდა მთის ბერი. მან ივერონის წიგნსაცავში შეადგინა კატალოგი. წიგნებიდან და ხელნაწერებიდან ამონაწერები გააკეთა, რაც თორმეტი გომად მოამზადა სათაურით „ყვავილნარი“. კრებულში, ძირითადად,

სოლომონის³⁶ აღმსარებელი. მას შემდეგ, რაც იმერეთში რუსები დამკვიდრდნენ, მეფე გრაპიზონში გადავიდა, თან გაჰყვა ილარიონი; მეფის გარდაცვალების შემდეგ ილარიონი საქართველოში დაბრუნდა. შემდეგ სანკე-პეტერბურგში ჩავიდა გაძევებული იმერეთის დედოფლის³⁷ სანახავად. ბოლოს ილარიონი ათონს წავიდა. მაგრამ ბერძნებმა ივერთა მონასტერში არ შეუშვეს და მიიღეს წმ. დიონისეს მონასტერში. ილარიონი 1864 წელს გარდაიცვალა, სიცოცხლეშივე რამდენიმე სასწაული მოახდინა. სიკვდილის შემდეგ მისი ცხოვრება ბერძნულად აღწერა მისმა მოწაფემ, ბერმა საბამ. აღსანიშნავია, რომ ორივე ილარიონის ცხოვრება, როგორც უფროსის (875), ასევე უმცროსის, თავდაპირველად ბერძნულად დაიწერა. მე გადავაწერინე ეს ცხოვრება³⁸.

ერთი თვის განმავლობაში, ბუნებრივია, ძნელი შეიქნა ამომწურავი ინფორმაციის მიღება ყველა საკითხზე, ყველაფრის მოხილვა, ყველა უმთავრესი დეტალის შესწავლა, რაც შუქს მოჰყენდა ათონზე ქართველების მოღვაწეობის ისტორიას. ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი ადგილზე. ამას რამდენიმე მოგზაურობა დასჭირდება. არა გვგონია, საქართველოდან ვინმემ შეძლოს ათონზე მისვლა. ამიტომ ეს ქართველი ემიგრანტების მოვალეობაა და რაც შეიძლება სასწრაფოდ უნდა გაკეთდეს. დროთა განმავლობაში ათონზე მოზინადრე უკანასკნელი ქართველებიც დაიხოცებიან და ცოგა რამ, რაც კიდევ არსებობს, დაიკარგება. მასალები უნდა მოათავსონ ქართული კულტურის სამღვარგარეთულ კერებში; ბოდლის კოლექციაში – ოქსფორდში (უორდროპის კოლექცია) და პროფესორ გუსენის ქართულ კოლექციაში – ბონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა³⁹.

წმინდანთა ცხოვრება იყო აღწერილი, რომელიც გადაეცა მოგრაფოს ილუმენს, რომელიც რუსეთში მიემგზავრებოდა. მან გამოსცა თორმეტივე ტომი ქართულ ენაზე, შემდგენლის მიუთითებლად. წმ. ილარიონი გარდაიცვალა წმ. ვიორგის სახელობის სენაკში. წმინდანად შეირაცხა 2002 წელს. ხსენების დღე 27 II.

36 წმ. ილარიონ ქართველი (იესე ყანჩაველი, 1776-1864), იმერეთის მეფის სოლომონ II-ის მოძღვარი და სახელმწიფო საკითხებში მისი მრჩეველი. შემდეგში ათონის წმინდა მთის ბერი. მან ივერონის წიგნსაცავში შეადგინა კაგალოგი. წიგნებიდან და ხელნაწერებიდან ამონაწერები გააკეთა, რაც თორმეტ ტომად მოამზადა სათაურით „ყვაილინარი“. კრებულში, ძირითადად, წმინდანთა ცხოვრება იყო აღწერილი, რომელიც გადაეცა მოგრაფოს ილუმენს, რომელიც რუსეთში მიემგზავრებოდა. მან გამოსცა თორმეტივე ტომი ქართულ ენაზე, შემდგენლის მიუთითებლად. წმ. ილარიონი გარდაიცვალა წმ. ვიორგის სახელობის სენაკში. წმინდანად შეირაცხა 2002 წელს. ხსენების დღე 27 II.

37 დედოფალი მარიამი (1785-1815), სოლომონის თურქეთში გადასვლის შემდეგ მოსკოვში ცხოვრობდა.

38 (*) იხ. აგრეთვე ლეონტიევი, „კლიმენტ ცეცეროლში ოპტინოდან“, მოსკოვი, 1882 წ. ილარიონის შესახებ გვ. 1-29. 1836 წელს ილარიონმა პროფესორ ჩუბინაშვილის თხოვნით შეადგინა ივერიის ქართული მონასტრის ხელნაწერების პირველი კაგალოგი.

39 (*) მომავალში დაწერილებით უნდა შეისწავლონ სოფელი იერისო (ათონის მახლობლად) და ბაჩკოვი (იხ. ქვემოთ) – ქართული გრაფიკის თანახმად იერისოში ქართველები ცხო-

* * *

ათონიდან პოლონეთში დაბრუნებისას გზად ბულგარეთი უნდა გამეველო, და თუმცა უკვე ძლიერ გაღალღილი ვიყავი, ამასთან რამდენიმე კვირის განმავლობაში ციებით გახლდით ავად, მაინც მსურდა რამდენიმე დღით ბულგარეთში დარჩენა. უპირველესად მაინგერესებდა ბაჩკოვოს (პეგრიწონის) მონასტრის და იმ საიდუმლოებით მოცული ხელნაწერის ნახვა, რომელიც სოფიის სახელმწიფო ბიბლიოთეკის კატალოგში აღწერილი იყო მერელედ, როგორც „ხელნაწერი გაურკვეველ ენაზე“. ჩემი ვარაუდით, შეიძლებოდა ხელნაწერი ქართული გამომდგარიყო⁴⁰. რაც შეეხება ბაჩკოვოს მონასტერს, ის დააარსა ქართველმა დიდებულმა და ბიზანტიის იმპერიის დომესტიკოსმა გრიგოლ ბაკურიანმა, რომელიც 1086 წელს დაიღუპა პაჭანიგების⁴¹ წინააღმდეგ ბრძოლაში. მონასტერი პლოვდივის (ფილი პოპოლთან) ახლოს მდებარეობს. დაახლოებით ცხრა კილომეტრით არის დაშორებული პაგარა ქალაქს, სახელად ასენოვგრადს (სტანიმაკე). მონასტრის დამფუძნებელმა მისი ტიპიკონი დაწერა სამ ენაზე: ქართულად, სომხურად და ბერძნულად. ბერძნები არ უნდა შეეშვათ მონასტერში. მონასტერს უნდა გაეგარებინა ხაზი ბოგომილების⁴² სექტის წინააღმდეგ და ჰქონოდათ სემინარია ბერების სასწავლებლად, აგრეთვე მოხუცთა თავშესაფარი.

ამ მონასტერმა დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში. თეოლოგიის გარდა იქაური ბერები განსაკუთრებით ფილოსოფიაში იყვნენ განსწავლულნი. იოანე პეგრიწის⁴³ სახელი კარგად არის ცნობილი

ვრობდნენ. ისინი იქ ქართველმა მეფეებმა დაასახელეს. მათ ევალებოდათ მონასტრისათვის მუშაობა და თვალყურის დევნება.

40 (*) ცონევი. სოფიის საჯარო ბიბლიოთეკის ძველი წიგნების და ხელნაწერების კატალოგი, სოფია 1910, (ბულგარ.) გვ. 517.

41 (*) 1086 წელს გრიგოლ ბაკურიანი დაიღუპა პაჭანიგების წინააღმდეგ ბრძოლაში [პაჭანიკები, რამდენიმე გომთა კავშირი, ჩამოყალიბდა მომთაბარე თურქების, სერმატული და უნგრულ-ფინური გომების შედეგად. VIII-IX საუკუნეებში სახლდებოდნენ მდინარე ვოლგასა და ურალს შორის].

42 ბოგომილები, სექტა, მოძრაობა, რომელსაც საფუძვლად ედო დუალისტური მანიქეისტური რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება სამყაროს ორსაწყისიანობის შესახებ. სახელი ეწოდათ სექტის დამაარსებლის ბოგომილის სახელის მიხედვით. ბოგომილობა გმოზდა სიმდიდრეს, ექსპლუატაციას, სახელმწიფო ხელისუფლებას, უარყოფდა აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიას, საეკლესიო იერარქიას, გაძრებს, საეკლესიო საიდუმლოებებს და წეს-ჩვეულებებს. არ ცნობდა ძველ აღთქმას, ჯვრის თაყვანისცემას, წმინდანებს. შემორჩენილია ბოგომილთა მიერ შექმნილი აპოკრიფული ლიტურგურა. Д. Ангелов, *Богмилство в България*, пер. с болгар., М., 1954.

43 იოანე პეგრიწი (XII), ქართული სასულიერო სემინარიის წინამძღვარი ბულგარეთში, ბაჩკოვოს მონასტრიდან გამოიძახა მეფე დავითმა. საქართველოში ცხოვრობდა გელათის მონასტერში, ის უფრო ფილოსოფოსი იყო, ვიდრე თეოლოგი, ნეოპლატონიკოსი, ფარ-

ქართულ ლიტერატურაში. მოგვიანებით დავით აღმაშენებლის⁴⁴ მიერ ის დაინიშნა გელათის მონასტრის საეკლესიო აკადემიაში პროფესორად.

ამ მონასტერმა ასევე დიდი როლი შეასრულა ბულგარული კულტურის განვითარების საქმეში და მისმა ტიპიკონებმა, როგორც ეს ცნობილმა მეცნიერმა პროფესორმა სირკუმ⁴⁵ მიუთითა, გადაძვევები გავლენა მოახდინა ბულგარეთის მონასტრებზე. იან რილის⁴⁶ მონასტრის შემდეგ ის არის უმნიშვნელოვანესი და უმდიდრესი ბულგარეთის მონასტრებს შორის. მისი ტიპიკონი გრიგოლ ბაკურიანმა დაწერა სამ ენაზე: ქართულად, სომხურად და ბერძნულად. პირველად ბერძნული ტექსტი ლაიფციგში 1888 წელს გიორგიო მუსეოსმა გამოსცა, რომელიც იყო სტეინმასხოს ერთ-ერთი მცხო-

თო საერთო განათლების მქონე ადამიანი; მას დიდი დამსახურება აქვს ქვეყნის წინაშე ქართული გრამატიკის და ფილოსოფიური ტერმინოლოგიის დამუშავების გამო. იოანე პეტრიჭიშვილმა დაწერა ორიგინალური ასკეტურ-მისტიკური პოეტური ტრაქტატი „სათნობათა კიბე“, რომელსაც საფუძვლად დაედო „კლემენტის“ ექვთიმე მთაწმიდისეული ქართული თარგმანი. ვალექსა „სათნო სანაქსარი“ ანუ „გალობანი ყოველთა წმიდათანი“. მასვე მიაკუთვნებენ მცირე ზომის იამბიკურ ლექსებს. T. Iremadze, Konzeptionen des Denkens im Neuplatonismus. Zur Rezeption der Proklichen Philosophie im deutschen und georgischen Mittelalter: Dietrich von Freiberg, Berthold von Moosburg, Joane Petrizi, Amsterdam/Philadelphia 2004; Ioane Petrizi, Kommentar zur Elementatio theologica des Proklos. Übersetzung aus dem Altgeorgischen, Anmerkungen, Indices und Einleitung. Herausgegeben von Lela Alexidze und Lutz Bergerman. Bochumer Studien zur Philosophie, 47, 2009.

44 დავით აღმაშენებელი (1073-1125), საქართველოს მეფე 1089-1125, გიორგი II ძე. ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი მონარქი.

45 პოლიხრონი სირკუ (1855-1905), სლავისტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი. იოანე რილევი (876-946), მშობლების გარდაცვალების შემდეგ ადრეულ ასაკში დაგოვა სოფელი და რილის მთების გამოქვაბულში გადავიდა, სადაც ველური მცენარეებით იკვებებოდა. შემდეგ რილის უდაბნოში გადაინაცვლა, სადაც სამოცი წელი მარხვასა და შეუწყვეტელ ლოცვაში გაატარა. სიცოცხლეშივე გახდა წმინდანი და მის ირგვლივ უამრავი ადამიანი შეიკრიბა და სათავე დაუდო სამონასტრო ცხოვრებას.

46 იოანე რილევი (876-946), მშობლების გარდაცვალების შემდეგ ადრეულ ასაკში დაგოვა სოფელი და რილის მთების გამოქვაბულში გადავიდა, სადაც ველური მცენარეებით იკვებებოდა. შემდეგ რილის უდაბნოში გადაინაცვლა, სადაც 60 წელი მარხვასა და შეუწყვეტელ ლოცვაში გაატარა. სიცოცხლეშივე გახდა წმინდანი და მის ირგვლივ უამრავი ადამიანი შეიკრიბა და სათავე დაუდო სამონასტრო ცხოვრებას. რილის მონასტერი მდებარეობს რილის მთების სამხრეთ-დასავლეთით, დღესქალაქ სოფიიდან 117 კმ-ით სამხრეთით მდინარე რილსკის ღრმა ხეობაში. მონასტერს სახელი ეწოდა მისი დამაარსებელი – განდევნილი იოანე რილევის პატივსაცემად. 941 წელს მან საკუთარი ხელით დაწერა „ანდერძი მოწაფეთა მიმართ“, რომელიც ძველი ბულგარული მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლია. E. Спространов, *Материали по историята на Рилския манастир*, „Сборник за народни умотворения, наука и книжнина“, 18, 1901, გვ. 171-206, მისივე: *Опис на ръкописите в библиотеката на Рилския манастир*, 1902.

ვრები (დღევანდელი ასენოვგრადი, რომელიც ცხრა კილომეტრით არის დაშორებული მონასტრიდან), როგორც სადოქტორო ნაშრომი. სამწუხაროდ, გამოგოვებულ იქნა გიპიკონის § 24, სადაც საუბარია, რომ ბერძენი ბერები არ უნდა მიეღოთ მონასტერში. ათენის მთავარეპისკოპოსმა ლუი პეტიგმა⁴⁷ ბუქარესტის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში გიპიკონის უფრო სრული ტექსტი აღმოაჩინა, სამწუხაროდ ისიც ხარვეზებიანი⁴⁸.

წილად მხვდა ბედნიერება და აღმოვაჩინე, რომ საიდუმლოებით მოცული ხელნაწერი ბულგარეთის საჯარო ბიბლიოთეკაში გახლდათ ამ გიპიკონის ქართული ასლი. ამ ამბავმა დიდი სენსაცია გამოიწვია ბულგარეთში⁴⁹; საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა რაიჩო რაიკოვმა⁵⁰.

ამ ფაქტს ვრცელი და საინტერესო სტატია უძღვნა. ეს ხელნაწერი გადაწერილია 1702 წელს, რაც იმის მანიფესტაციაა, რომ იმ დროს ვინმე ქართველი ცხოვრობდა პეგრიწონის მონასტერში. მუსგად არ არის გარკვეული, როდის დაკარგეს ქართველებმა ეს მონასტერი ან როდის გადავიდა ის ბერძენების თუ ბულგარელების ხელში. იქ ჯერ კიდევ არის შემორჩენილი ქართული ნივთები: ღვთისმშობლის ხატი (შეიძლება იფერთა ხატის ასლი იყოს) ქართული წარწერით⁵¹. ქართული სტილით ნაგები საძვალე, გრიგოლ ბაკურიანის

47 ლუის პეტიგო (1868-1927), ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ამალღების ორდენის წევრი, ჟურნალ „Echos d’Orient“, 1912 წლიდან ათენის ლათინთა მთავარეპისკოპოსი, შეად.: J. Walter & D. Stiernon, *Notes historiques de la présence assomptionniste en Grece (1934-1984)*, Ateny, 1984; *Actes du Colloque Mgr Petit tenu a Rome en 1997*, edites par B. Holzer, Roma, 2002.

48 (*) G. Museos, *Gregorios Pakourianos megas domestiokos tes Dyseos kai to ep’autou typikon tes mones tes Petritzonitisses*, [წგნ.:] Dissertationes Jenenses, Leipzig, 1888, IV, გვ. 135-219. *Typicon de Grégoire Pacourianos pour le monastere de Petritzos (Bačkovo) en Bulgarie. Texte original publie par L. Petit*, „Wizantijskij Wriemennik“, Prilozhenie] k XI tomu (1904), გვ. XXXII+63. ლათინური თარგმანი გამოაქვეყნა მ. თარხნიშვილმა: *Typicon Gregorii Pacuriani*, [წგნ.:] Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, Louvain, 1954, tomus 144 = Scriptorum Iberii, tomus III; В. А. Арутюнова-Фиданян, *Типик Григория Пакуриана*, Ереван, 1978.

49 (*) ამ აღმოჩენაზე წერს სოფიის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი: რ. რაიკოვი, *Нов важен документ за историята на Бачковския манастир*, „Зора“, 17(1935), № 4878, 2 X 1935, გვ. 5.

50 (*) გაზეთი „ზორა“. სოფია, № 4878; 2 ოქტომბერი, 1935, გვ. 5.

51 ღვთისმშობლის ხატი ქართული წარწერით:

„მოიჭედა წმიდა ესე ხატი ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობლისაი პეგრიწონს ორთა ხორციელად ძმათა მიერ თაოელთა ეგნაგის შეილთა მოძღურისა ათანასის და ოქროპირისა პერპერითა რკე და წინაშე ხატისა საკანდლითა ვეცხლისაითა საბერძნეთს მეფობასა კეთილად მსახურთა მეფეთა ანდრონიკე, მისაელ და ანდრონიკესა პალეოლოღოს ძეთასა, ხოლო ქართლს კონსტანტინესა და დიმიტრისსა ბაგრატიონიანთასა, დასაბამითიგანთა წელთა ბერძულად ხეით, ხოლო ქართულად ხშიე.

წმიდაო ღმრთისმშობელო, შეიწირე მცირე ესე ძღუენი მათი და შეუნდვენ და მეოს ეყავე მათ და მშობელთა მათთა დღესა მას დიდსა სასჯელისასა წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისა. ამინ, ამინ იყავნ, ამინ. ქრონიკონსა ფლა, ინდიქციონსა თ.

დროინდელი, მასში ახლაც მარხავენ ბერებს, ცნობილმა ბულგარელმა მეცნიერმა სტანიმირ სტანიმიროვმა⁵² მითხრა, რომ მთავარი ეკლესიის გუმბათზე ყოფილა ჯვარი ქართული წარწერით, მაგრამ იქ ვერაფერი ვნახე ისეთი, რომ ეს წარწერა გადაეწერა ჩემთვის; პროფესორმა ლასკოვმა⁵³ 1896 წელს საძვალეში იპოვა წარწერა და გადაწერა იგი; 1912 წელს მან ისევ ინახულა საძვალე, მაგრამ წარწერა უკვე აღარ ჩანდა; პროფ. სირკუმაჯ გადაწერა ქართული წარწერები ბაჩკოვოს მონასტერში და გადასცა ისინი პროფესორ ცაგარელს. ბოლო პროფ. ცაგარელმა მოხსენება გააკეთა ამ თემაზე, რომელიც, ჩემი აზრით, არსად დაბეჭდილია⁵⁴. ეს არის და ეს. უფრო ბევრი შემორჩა საეკლესიო ნივთები: ჯვრები, შანდლები და სხვა; ზოგი მათგანი, მომინანქრებული, სოფლის საეკლესიო მუზეუმში გადაიტანეს, ზოგი ისევ მონასტერშია. ამ ნივთებს ქართული წარწერა არა აქვს, მაგრამ ისინი დამზადებულია საქართველოში ან ქართული ფულით არის ნაყიდი ქართული პერიოდის დროს. ამ საკითხზე უამრავი ლიტერატურაა⁵⁵ გამოქვეყნებული ბულგარულ ენაზე, მე ზოგი ვიყიდე, ზოგიც მაჩუქეს, მაინც უუნდამენტური გამოკვლევა მათზე ჯერ არ გამოქვეყნებულია.

ამ საქმეს ბულგარეთის ეკლესიამ უნდა მოჰკიდოს ხელი. აუცილებლად უნდა შეადარონ პეგრიწონის მონასტრის გიპიკონის ქართული გეგმა ბერძნულს და დაწვრილებით შეისწავლონ ისინი; ადგილზე უნდა გადაწერონ მონასტრის ქართული წარწერები; უნდა ჩაგარდეს გათხრები მონასტრის მნიშვნელოვან ადგილებში.

ქრისტე ღმერთო, შეიწყალენ სულნი მათნი, კაცო მოყუარე, ამინ“.

წარწერა თარიღდება 1311 წლით. კონსტანტინე (1293-1329), რომელიც იყო იმერეთის მეფე, მეფე ღვთის VI ნარინის შვილი, ხოლო დიმიტრი იყო კონსტანტინეს შვილი. ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი გიპიკონი. ძველი ქართული ენის ძეგლები, 13, თბილისი, 1971, გვ. 354-362; E. Bakalova, *La vénération des icônes miraculeuses en Bulgarie: aspects historiques et contemporains d'un pèlerinage*, „Ethnologie Française”, 12(2000), გვ. 266-267, ბიბლიოგრაფია გვ. 273-274; A. Grabar, *Les revêtements en or et en argent des icônes byzantines du Moyen Age*, Venise, 1975.

52 სტანიმირ სტანიმიროვი (1858-1943), ბულგარეთის ეკლესიის ისტორიკოსი.

53 დანილ ლასკოვი (გარდ. 1922), ბულგარელი თეოლოგი და ისტორიკოსი.

54 (*) ალექსანდრე ცაგარელმა მოხსენება წაიკითხა 1887 წელს რუსეთის არქეოლოგიური სამოგადოების აღმოსავლური სექციის სხდომაზე. სათაურია: ბულგარეთში სირკუს მიერ მოძებნილი ქართული წარწერების შესახებ.

55 С. Станимиров, *Бачковският манастир от 1086 до 1402 г.* „Духовна култура”, 1939, № 7-8, გვ. 238-251; E. Bakalova, *Изображения на грузински светци в Бачковската костница*, „Известия на Института за изкуствознание”. 16(1972), გვ. 87-108; Н. Ломоури, *К истории грузинского Петрицонского монастыря (Бачковский монастырь в Болгарии)*, Тбилиси 1981; E. Данков, *Средновековната философска школа в Петричкия (Бачковския) манастир*, „Философска мисъл”, 1984, № 3, გვ. 96-105. Tbilisi 1981.

ეს უცხოეთში ქართველების კულტურული მოღვაწეობის მხოლოდ ფრაგმენტებია. ჩვენს უწმინდეს მოვალეობად უნდა მივიჩნიოთ შემორჩენილი ფრაგმენტების მიკვლევა და შესწავლა, რაც დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს ისტორიის შესწავლას და ქართული ელემენტის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ, ამასთანავე თვით ჩვენ მოგვანიჭებს ძალას დღევანდელი უკეთ გააზრებაში.

იერიქონის პარლამი. წმინდა მიწასა და სირიაში
მოგზაურობის აღიწერი (5. VII-28. IX.1936)

მხოლოდ 1936 წლის მაგსულის მიწურულს მომეცა შესაძლებლობა, დიდი ხნის ნანატრ წმინდა მიწას ვწვეოდი. ჩემთვის ერთობ საინტერესო იყო იმ ქვეყნის მონახულება, რომელიც კაცობრიობის საშინელი ტრაგედიებისა და უდიდესი მიღწევების მოწმე გახლდათ. ეს ქვეყანა მიმიდავდა არა მხოლოდ როგორც ბერს, არამედ როგორც ქრისტიანული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარსაც. მართლაც, პალესტინა, განსაკუთრებით კი ბეთლემი,¹ სადაც მაცხოვარი იშვა, იმ მეცნიერების აკვანიც იყო, რომელსაც მე წარმოვადგენ. 392 წელს სწორედ აქ დაწერა ნეგარმა იერონიმემ² პირველი გამოკვლევა ქრისტიანული ლიტერატურის ისტორიის დარგში.³ ამ მხარეში ცხოვრობდნენ დიდი ქრისტიანი მწერლები, რომელთა შრომის ნაყოფი და მიღწევები მთელი ეკლესიისთვის სანიმუშო იყო. დაბოლოს, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ამ ქვეყნით დაინტერესებული ვიყავი, როგორც ქართველი.⁴ მშვენიერი და წმინდა ვადმოცემის მიხედვით, საქართველოს ურთიერთობა წმინდა მიწასთან ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს დროიდან იღებს სათავეს.⁵

1 ბეთლემი (ებრ. בית לחם ბეთ-ლაჰმი „პურის სახლი“; არაბ. بيت لحم ბაით ლაჰმ „ხორცის სახლი“), ქალაქი პალესტინის ავტონომიის ტერიტორიაზე.

2 ნეგარი იერონიმე სტრიდონელი (დაახლ. 345-420), ეკლესიის მამა, ბიბლიოლოგი. ებრაულიდან ლათინურ ენაზე თარგმნა ბიბლია. ამ თარგმანს „ვულგატა“ ეწოდება. მის კალამს ეკუთვნის ასევე დოგმატური, ეგზეგეტიკური და ისტორიოგრაფიული შრომები. მისი ხსენების დღე 15 VI.

3 ნეგარი იერონიმე სტრიდონელი, *De viris illustribus*, PL 23, 601-720 = *O znakomitych mężach*, przeł. W. Szoldrski, Warszawa 1970.

4 ქართველები, კავკასიის ავტოქთონური მოსახლეობა, ცხოვრობენ ძირითადად საქართველოში, აგრეთვე თურქეთში, რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვა ქვეყნებში. ქართველების მშობლიური ენა – ქართულია, რომელიც კავკასიური ენათა ოჯახის, ქართველურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. ქართველები მართლმადიდებლები არიან.

5 მაგალითად, საქართველოს ეკლესიის გრადიციით I საუკუნეში უფლის კვართი საქართველოში ქართველი ებრაელების მიერ იქნა ჩამოტანილი. სამწუხაროდ, ხელთ არ მაქვს ქრონიკები და ციტირებას ვაკეთებ მიხეილ თამარაშვილის მიხედვით: M. Tamarati, *L'Eglise géorgienne des origines jusqu'à nos jours*, Roma 1910, გვ. 95-119: „La sainte Tunique en Georgie“, [„მოქცევა ქართლისაჲ“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი 1963, გვ. 127-128, 130; „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I, თბილისი 1955, გვ. 107-108].

საქართველოში ქრისტიანობა იერუსალიმიდან შემოვიდა.⁶ ამასთანავე, საქართველოში ოდითგანვე იერუსალიმის ეკლესიის ლიტურგიკული პრაქტიკა გამოიყენებოდა.⁷ აღრეული ცნობები წმინდა მიწაზე ქართველი მომლოცველებისა და ქართულ მონასტრების შესახებ V საუკუნით თარიღდება.⁸

ბერძნული საპაგრიარქოს ბიბლიოთეკაში 162 ქართული ხელნაწერი იყო დაცული;⁹ გარდა ამისა, როგორც წმინდა მიწაზე ნამყოფი ხალხის გადმოცემებიდან ვიცით, პალესტინის სხვადასხვა მონასტერში უძველესი ქართული საბუთები ინახებოდა.¹⁰ ამიგომ ნამდვილად ღირდა, რომ გემში ჩაემჯდარიყავი და გემი ამელო წმინდა მიწისკენ, რათა ეს ყველაფერი მენახა, ფოტოსურათები გადამეღო და შემესწავლა. არეული დრო იყო. არაბებსა და ებრაელებს შორის გაჩაღებული მგრობა მუშაობაში ხელს

6 მთელი მასალა შეკრება კ. კეკელიძემ ნაშრომში *К вопросу об иерусалимском происхождении грузинской церкви*, წიგნში: კ. კეკელიძე, ეგიულები ძველი ქართული ლიტურჯურის ისტორიიდან, გ. IV, თბილისი 1957, გვ. 358-363. სკორნელი კეკელიძე (1879-1962), ქართველი ფილოლოგი, ძველი ქართული ლიტურჯურის სპეციალისტი. იყო თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, სადაც გრიგოლ ფერაძე სწავლობდა. მან დიდი დახმარება გაუწია გრიგოლ ფერაძეს, რომ ეს უკანასკნელი გერმანიაში სასწავლებლად წასულიყო.

7 კ. კეკელიძე, *Иерусалимский канонарь VII века*, Тифлис 1912; G. Peradze & A. Baumstark, *Die Weihnachtsfeier Jerusalems im siebten Jahrhundert*, OC, 23(1927), N 1, გვ. 310-318 [= *Święto Narodzenia Chrystusa w Jerozolimie w VII wieku*, [წიგნში:] Św. Grzegorz Peradze, *Dziela zebrane*, Warszawa 2010, I, გვ. 195-202].

8 R. Raabe, *Petrus der Iberer, ein Charakterbild zur Kirchen und Sittengeschichte des fünften Jahrhunderts*, Leipzig 1895. [თ. მგალობლიშვილი, *Un Unknown Georgian Monastery in the Holy Land*, „Aram Periodical”, 19(2007), გვ. 527-539; მისივე, *Georgians in the Holy Land*, London 2007.]

9 (*) იერუსალიმში ბერძნული მართლმადიდებლური საპაგრიარქოს ქართული ხელნაწერების კატალოგი რამდენჯერმე გამოქვეყნდა. ა. ცაგარელი, *Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, Православный Палестинский Сборник*, 1888, გვ. 144-192; R. P. Blake, *Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque patriarcale grecque à Jérusalem*, ROC, 23(1922-1924), 345-413; [24(1924), 190-210, 387-429; 25(1925-1926), 132-155].

10 ქართველი მომლოცველების მონათხრობი გამოცემულია ქართლის მთავარეპისკოპოსის გიმოთის [გაბაშვილი, გარდ. 1764] 1755 წლის „მომოსვლაში“ [მომოსვლა, წმიდათა და აღმოსავლეთისა ადგილთა, პლაგონ იოსელიანის გამოცემა, გფილისი 1852; რუისის მიგროპოლიგის იონა (ველევანიშვილის) (1737-1821), მოგზაურობა 1783-1790 წლებში. [მომოსვლა ანუ მგზაურობა იონა რუისისა მიგროპოლიგისა, პლაგონ იოსელიანის გამოცემა, გფილისი, 1852] და ალავერდის მთავარეპისკოპოსის პეტრეს 1899 წლის მოგზაურობა [მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ, გფილისი, 1901]; ბაგონ გიორგი ავალიშვილის (1769-1850), [ქართველი დიპლომატის, მწერლისა და ქართული თეატრის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენელი რუსეთის იმპერატორის კარზე 1819-1820 წლების „მოგზაურობის“ ძალიან საინტერესო ხელნაწერი, რომელიც თბილისის სიძველეთა დაცვის მუზეუმში ინახება. [გიორგი ავალიშვილი, მგზაურობა თბილისიდან იერუსალიმამდე, ელ. მეგრეველის გამოცემა, თბილისი 1967].

მიშლიდა. ეს კონფლიქტი განსაკუთრებით ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილებისას მარბოლებდა. მაგრამ მაინც შეეძებელი, რომ თითქმის ყველაგან მოვხვედრილიყავი, თუმცა დაგეგმილი სამი თვის ნაცვლად ორი თვე ვიმოგზაურე. დარჩენილი დრო, ანუ სამი კვირა, სირიაში გავაგარე და ეს დრო ჩემი სამუშაოსთვის კარგად გამოვიყენე. მართლაც, კონფლიქტის გამო იქ უჩვეულო აგმოსფერო სუფევდა. ამ განსაკუთრებულ ვითარებაში ბევრ ისეთ საკითხზე დაფიქრება მომისდა, რაზედაც ფიქრი მშვიდობიანობის ქამს აზრად არ მომივიდოდა.

ცნობილია, რომ ადამიანი საფრთხისას უფრო ადვილად ამქლავნებს თავის ხასიათს და გულს უხსნის ხოლმე იმას, ვისაც მიენდობა, ან იმას, ვისგანაც დახმარებას თუ თანადგომას მოელის. ამგვარ ვითარებაში უფრო ავლენს მაღლიერების გრძნობას, თუმცაღა ბუნებით ნაკლებად მიმნდობია.

29.VI. ორშაბათი-4. VII. შაბათი

ვარშავიდან 29 ივნისს (ორშაბათს) წამოვედი. გზაზე კოლოშიაში¹¹ ვესტუმრე ქართველ პორუჩიკს, ვისთან ერთადაც თბილისის¹² სასულიერო სემინარიაში ვსწავლობდი. თვრამეგი წელი იყო, რაც არ მენახა.¹³ ოთხშაბათს, 1 ივლისს, ჩავჯექი კონსტანციდან საიფასკენ¹⁴ მიმავალ გემში, რომელსაც „პოლონია“¹⁵ ერქვა. მგზავრთა შორის პოლონელი მასწავლე-

11 კოლოშია (უკრ. Коломия), ქალაქი სამხრეთ-დასავლეთ უკრაინაში მდ. პრუტთან (ივანო-ფრანკოვსკის ოლქი), ომთაშორის პერიოდში სტანისლავოვის სავოევოდოში სიდიდით მეორე ქალაქი.

12 თბილისი, (გვილისი 1845-1936 წლებში), საქართველოს დედაქალაქი, რომელიც მდინარე მტკვრის ორივე სანაპიროზე მდებარეობს. თბილისის დაარსების ისტორია ლეგენდით არის მოცული. მისი ყველაზე ცნობილი ვერსია მოგვითხრობს, რომ ერთ დღეს მეფე ვახტანგ გორგასალი (440-502) სამეფო ამაღლასთან ერთად სანადიროდ გაემართა და ცხელი წყარო აღმოაჩინა. მოჯადოებული არემარის სილამაზით ქალაქის დაარსება ბრძანა, რომელსაც თბილისი, ქართული სიტყვიდან (თბილი) უწოდეს. სინამდვილეში დღევანდელი თბილისის ტერიტორიაზე ადამიანის დასახლებები უკვე სპილენძის ხანაში (ძვ. წ. IV-III სს.) არსებობდა, ხოლო არქეოლოგიური გათხრები ადასტურებენ, რომ ჯერ კიდევ IV საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქი და ციხესიმაგრე არსებობდა. ვახტანგ მეფემ კი თბილისის აღორძინებას და აღმშენებლობას ჩაუყარა საფუძველი, ააშენა სამეფო სასახლე, რომ საგახგო ქალაქი მცხეთიდან თბილისში გადამოეგანა.

13 ივლისისხმება მაიორი ირაკლი კიკნაძე. პოლონურ არმიაში 1921-1939 წლებში ას რვა ქართველი საკონტრაქტო ოფიცერი მსახურობდა შუად. დ. ყოლბაია, რეჩპოსპოლიტის ფრთებქვეშ. ქართული ემიგრაცია პოლონეთში 1921-1939, ვარშავა 2019.

14 საიფა (ებრ. אֵיפָא; არაბ. عَافَا, ჰაიფა), მდებარეობს ისრაელის ჩრდილოეთ ნაწილში, სიდიდით მესამე ქალაქი და უდიდესი სამღვაო პორტი.

15 „პოლონია“, სამგზავრო გემი 1912-1939 წლებში. 1930 წლიდან პოლონეთის დროშის ქვეშ გდინია-ნიუ-იორკის მიმართულებით დაცურავდა. 1933 წელს კონსტანცა-სტამბული-იფა-საიფას მიმართულებით 123 რეისი შეასრულა. 1939 წელს გემი ჯართად გაიყიდა.

ბლების ჯგუფი იყო. სამი კვირით მიდიოდნენ პალესტინის, სირიისა და ეგვიპტის დასათვალსებლად. სხვა მგზავრებს ეგყობოდათ, რომ მარტონი იყვნენ სამოგზაუროდ წამოსულნი. კოლომიდან მიმავალ მაგარებელში ერთი კაცი გავიცანი, ვისაც დიდად ვემაღლიერები. მისი რჩევა ხაიფაში ძალიან გამომადგა. ებრაელი¹⁶ იყო, მაგრამ ამას ყველას უმაღავდა (მათ შორის, მეც).

გემი სავსე იყო ებრაელი ემიგრანტებით, რომელნიც პალესტინაში სხვადასხვა ქვეყნიდან მიდიოდნენ. განსაკუთრებით ბევრი პოლონეთიდან იყვნენ წამოსულნი.

5.VII. კვირა

ჩვენი გემი ხაიფას უახლოვდება. შორიდან მოჩანს კარმელის¹⁷ წმინდა მთა, სადაც წინასწარმეგყველი ელია,¹⁸ ბიბლიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერსონაჟი, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

მთის უდიდესი ნაწილი კათოლიკე ბერებს, კარმელიტებს, ეკუთვნით. აქ მართლმადიდებლებსაც მშვენიერი მონასტერი აქვთ და მიწის საკმაოდ დიდ ნაკვეთს ფლობენ. ხაიფაში მოგზაურობა დაგვეგმილი არ მქონდა; იმავე დღეს იერუსალიმში მინდოდა წასვლა.¹⁹

16 ებრაელები, (სიგყვა სიგყვით - [იაჰვეს მადიდებლები] ან [იაჰვეს] თაყვანისმცემლები ებრ. *יהוה* - იაჰადეთ), სემიტური მოღვმის ხალხი, ანტიკური ხანიდან პალესტინაში მცხოვრები (იუდეველებად და ისრელიანთა სახელით მოხსენიებული), ებრაულ ენაზე მეგყველებდნენ, შუა საუკუნეებსა და ახალი ისტორიის პერიოდში მთელ მსოფლიოში ცხოვრობდნენ და მრავალ ენაზე საუბრობდნენ. ებრაელები სავარაუდოდ ჰაბირუს ჯგუფში შედიოდა, რომლებიც ძვ.წ. II ათასწლეულში ქმნიდნენ მესოპოტამიიდან პალესტინაში ჩამოსულ ეთნიკურ ჯგუფს. მიჩნეულია, რომ თავად გერმინი ებრაელი მომდინარეობს ჰაბირუს სახელწოდებიდან. ებრაელთა ძირითადი განმსაზღვრელი არის უძველესი მონოთეისტური რელიგია ანუ იუდაიზმი და ებრაელთა ყოფა, კულტურა. თავად გერმინი „იუდაიზმი“ მომდინარეობს იუდას (იეჰუდას) სახელწოდებიდან ანუ ბიბლიური პატრიარქის იაკობის 12 შვილის ერთ-ერთი სახელიდან და გვიანდელი სახელი ერთ-ერთი ისრაელის 12 შთამომავლებიდან.

17 კარმელის (ებრ. *מון* ბერძ. *Χερμελ, Κάριμος*, არაბ. *كركم*) მთის ქედის განშტოება ეშვება სმელთაშუა ზღვისკენ. ფაქტობრივად კარმელი არის მთავრებილი, რომლის სიგრძე დაახლოებით ზღვის დონიდან 564 მეტრზეა აზიდული. მის ფერდობებზე მდებარეობს ქალაქები ჰაიფა, ნესჰერი და გირაგ კარმელი. იუდეველები, ქრისტიანები და მუსულმანები მას წმინდა ადგილად მიიჩნევენ. კარმელის ორ მღვიმეში ელისე წინასწარმეგყველი იმყოფებოდა, სადაც (1 მეფეთა წიგნების მიხედვით) ბაალის თაყვანისმცემლებს შეხვდა, ხოლო იესო ქრისტეს ოჯახი ეგვიპტიდან დაბრუნებული იქ უნდა გაჩერებულიყო. ქრისტიანობის პირველი საუკუნეებიდან კარმელის მთის გამოქვაბულებში ბერები ცხოვრობდნენ.

18 ელია (ებრ. *אליה*, ელიაჰუ; ძვ.ბერძ. *Ηλίας*, ელიას), ძველი აღთქმის ერთ-ერთი წინასწარმეგყველი, ებრაულად ნიშნავს - უფალი არის ღმერთი, შდრ. 1 და 2 მეფეთა.

19 იერუსალიმი (ებრ. *ירושלם* იერუშალაიმ; არაბ. *القدس* ალ-ყუდსი ასევე *القُدس* ურშალიმ; ბერძ. *Ιεροσόλυμα*; ლათ. *Hierosolyma*), ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქი, წმინდა ქალაქი.

მაგარებელში, რომელიც ნაშუადღევს იერუსალიმისკენ დაიძრა, ძირითადად, თელ-ავივში²⁰ მიმავალი ებრაელები ისხდნენ. დაცვა გაძლიერებული იყო, გზაში თავდასხმა რომ არ მომხდარიყო. იმ ადგილას, სადაც გზა კლდეებშია გაჭრილი, თვითმფრინავი თავს დაგვეგრილა. მგზავრები ძალიან არ შეშინებულან. კუპეებში არაბებზე²¹ ლაპარაკობდნენ. თვალწინ გასაოცარი ხელი გადაგვეშალა. შესანიშნავად მოვლილი მიწის ნაკვეთების გვერდით, სადაც საუცხოო ბაღები გაეშენებინათ, ველური უდაბნო მოჩანდა. არაბების ნახევრად დანგრეული ქოხმასხების მეშობლად ულამაზესი ვილები იყო წამოჭიმული. ერთი მომთაბარე არაბული ოჯახი რკინიგზის ლიანდაგთან დაბანაკებულიყო. ეს შიშველ-ტიტველი ადამიანები შესაბრალისნი იყვნენ, განსაკუთრებით მდიდრულად ჩაცმულ-დახურულ ებრაელთა გვერდით.

გულ ქარემის²² გაჩერებაზე კუპეში ერთი ახალგაზრდა არაბი შემოვიდა. თავდაპირველად იქ მსხდომებს უნდობლად უყურებდა. მეც დამაცქერდა, ეგყობოდა, რომ ცდილობდა, შეეგყო, მეც ებრაელი ვიყავი თუ არა. მის შემაწუხებელ მზერას ველარ გავუძელი და გამოველაპარაკე. ფრანგული კარგად იცოდა, რადგან განათლება იაფა²³ ფრანგულ კათოლიკურ მისიონერულ სკოლაში ჰქონდა მიღებული და ქრისტიანობასაც უკეთ იცნობდა, ვიდრე თავის რელიგიას. ძალიან თავაზიანი აღმოჩნდა. მაშ, მისიონერების გარჯას ამოოდ არ ჩაუვლია. ამან ძალიან გამახარა. შემდგომში მისნაირ არაბებს კიდევ მრავალჯერ შევხვდი. რა თქმა უნდა, აშკარა ქრისტიანული მისიონერობა მუსლიმურ მოსახლეობაში სახიფათოა და ხშირად უშედეგოც, მაგრამ ბავშვების აღზრდით, შესაძლოა, მათი რელიგიის მღუღე ერთგვარად გადაილახოს. ამ ადამიანებთან ურთიერთობისას თავში სხვადასხვაგვარი

20 თელ-ავივი-იაფა (ებრ. תל-אביב-יפו), შემოკლებით თელ-ავივი, სიდიდით მეორე ქალაქი ისრაელში, მდებარეობს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. თელ-ავივი დაარსდა 1909 წელს საპორტო ქალაქ იაფოს უბანში. 1950 წელს თელ-ავივი და იაფო ერთ მუნიციპალიტეტად - თელ-ავივი და იაფოდ გადაკეთდა.

21 არაბები (არაბ. عرب, თავდაპირველი მნიშვნელობით „მომთაბარეები“), არაბეთის ნახევარკუნძულზე უძველესი ღრობიდან მომთაბარე სემიტური მოდგმის ხალხი. არაბების უმრავლესობა თეთრები არიან. პირველი ცნობები არაბების შესახებ ბიბლიაში გვხვდება ძვ.წ. 1000 წელს და 1600 წლის განმავლობაში ძირითადად არაბეთის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ. VII საუკუნეში დაიწყო მემობელი ქვეყნების ექსპანსია და იმ გერიგორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას შეერივნენ რომელთა არაბიზაცია გამოიწვია. არაბებს შორის ყველაზე გავრცელებული რელიგია არის სუნიზმი - ისლამის ძირითადი მიმართულება, მაგრამ არიან ისლამის შიიზმის მიმდევრებიც (ერაყში, იემენში, სირიასა და ლიბანში) და ქრისტიანები (ლიბანში, სირიასა და ეგვიპტეში).

22 გულ ქარემი (არაბ. طاهر; ებრ. גולחרם), ქალაქი პალესტინაში, გულ ქარემის პროვინციაში, ამჟამად მდებარეობს პალესტინის ეროვნული ავტონომიის გერიგორიაზე.

23 იაფა (ებრ. יפו; არაბ. يافا), 1923 წლამდე პალესტინის უმნიშვნელოვანესი საპორტო ქალაქი, რომელიც 1948 წლიდან ისრაელის სახელმწიფოში შედის, ხოლო 1950 წლიდან თელ-ავივის ნაწილი გახდა.

ამრი მიგრიალებდა: დახვეწილი მანერების მქონენი – ხან ათზე მეტი უცხო ენა რომ იციან, შინაგანად უკეთესნი თუ არიან თავიანთ გაუნათლებელ თანამემამულეებზე? პირიქით, მათ უფრო ეჯავრებათ ევროპელები, ვიდრე იმ უბრალო ხალხს. ვფიქრობდი, განა უნივერსიტეტებში იმისთვის ისწავლეს, რომ იდეოლოგიურ მუშაობას აპირებდნენ, ან უნდოდათ, რომ თავიანთ ხალხს გამოსდგომოდნენ? არა, იმედი ჰქონდათ, განათლების წყალობით უკეთეს სამსახურს ვიშოვით და უმრუნველად ვიცხოვრებთო, მუსტად ისევე, როგორც ჩვენში ხდება ხოლმე.

მებრალეებიან ეს აღმოსავლელი ადამიანები, როცა ვხედავ, რომ ასეთი მონდომებულნი, თავდადებულნი და იდეოლოგიური მუშაობის მოყვარულნი, ქრისტიანულ სკოლებში იმგვარად არიან აღმრდილნი, რომ თავიანთ ხალხთან, მათ საუკეთესო სულიერ ძალებსა და წარსულის გრადიციებთან სიახლოვეს კარგავენ.

ასლა თავზე ერთი კი არა, რამდენიმე თვითმფრინავი დაგვეგრიალებდა. მაგარებლის ყველა ფანჯარა დახურეს. მგზავრები ერთმანეთს იმ არემარეში მომხდარ ნაირ-ნაირ ამბებს უყვებოდნენ. ამან ერთი წერილი გამახსენა, ვარშავაში ყოფნისას იერუსალიმელი არქიმანდრიტისგან რომ მივიღე. იგი მწერდა, რამდენიმე კვირის წინ ამ გზაზე თვრამეტი ბომბი ჩამოუვდიათო. ჩვენი მაგარებელი ერთ პაგარა სადგურში შეჩერდა. მალე იერუსალიმში ვიქნებით. მაგარებელმა, რა თქმა უნდა, რამდენიმე საათით დააგვიანა, რაც არავის გაჰკვირვებია. ასეთ ვითარებას ყველა მიჩვეული იყო.

ეს ადგილი მთავორიანია. თვალწინ „ქებათა-ქების“²⁴ სურათი დამიდგა, კლდეთა და მთათა სადიდებელი. ეს სურათები წამიერად სხვა მოგონებით იცვლება და მახსენდება, ღვთისმშობელი ხარების შემდეგ როგორ წავიდა ენ კერეში²⁵ თავისი ნათესავის, ელისაბედის მოსანახულებლად, რამდენაც ყველაზე დიდებული და უძველესი საეკლესიო საგალობელი, გასაოცარი მაგნიფიცაც²⁶ შეიქმნა. ამ საგალობლის მელოდია ჩამესმის. სხვას ვერაფერს ვხედავ და აღარაფერი მესმის. მინდა, შევინარჩუნო ეს სასოება, ესოდენ ციურ სიმშვიდესა და სიხარულს რომ მგვრის. არაბი კი ხელს მიშლის. არადა, განუმომლად თავაზიანია და ჩემს გართობას ცდილობს.

ჩვენს კუპეში ბევრი მგზავრი შემოდის. აქ თავდასხმას არ უნდა მოველოდეთ. ჩემ წინ ერთი ხანში შესული ქალი დაჯდა. ისეთი შესახედავია,

24 ქება ქებათა, სოლომონ მეფის მიერ დაწერილი (ებრ. מִשְׁנֵי מִשְׁנֵי, ძვ.ებრ. מְתָמָ אֲתָמָתָ, ლათ. *Canticum Canticorum*), წიგნი, რომელიც მოგვითხრობს მწყემსი ბიჭისა და შულამელი გოგონას სასიყვარულო ამბავს.

25 აინ ქერეში, ენ ქერეში (ებრ. מְרָחֵץ, არაბ. عَيْنُ الْكَلْبِ „ყურძნის წყარო“), მღებარეობს სამხრეთ-დასავლეთ იერუსალიმის ნაწილში. ქრისტიანული გრადიციის მიხედვით აქ უნდა ეცხოვრათ წმ. მაქარიას და მის მეუღლეს ელისაბედს.

26 ლუკა, 1, 46-56.

როგორც ჰოლანდიელი მხატვრების „მწუხარე ღვთისმშობელი“²⁷ სხვა სიგეყებით რომ ვთქვა, დარდიანი და მგირალი დედაა. მის გამხდარ სახეს შეჭირვების, ჯაფისა და გამუდმებული ჭმუნვის დაღი ატყვია; ყველაფერს კი ბეციური სისარულისა და მოვალეობის აღსრულების შეგრძნება ავვირვინებს. მისი გარეგნობა ელისაბელს მავონებს. ვცდილობ, მისი გამომეტყველება გონებაში აღვიბეჭდო. ალბათ, ან სძინავს, ან ფიქრითაა გართული. იქნებ ყოველდღიურ პრობლემებზე, ხარჯებსა და მწირ შემოსავალზე წუხს. უეცრად იგი ჩემს არაბს მიუბრუნდა და რაღაც უთხრა. არაბს სიცილი წასკდა და დიდხანს ვეღარ გაჩერდა. ძალიან მაინტერესებდა, ქალმა რა უთხრა და, რადგან არაბი არაფერს მეუბნებოდა, თავად შევეკითხე.

– „ისეთი არაფერი, – მითხრა მან სიცილით, – ამ სულელმა ქალმა მითხრა, მთის გადაღმა ბერები ცხოვრობენ, ყველა monpère²⁸ ერთნაირი შესახედავი და ეს monpère აგრეთვე იმათნაირიაო“.

იერუსალიმში როცა ჩავედით, ვნახე, რომ იქ არც გაქსები იყო და არც ავგობუსები; თანაც შვიდი საათი უკვე შესრულდა, შვიდის მერე ქალაქში სიარული არ შეიძლებოდა. ბარგი სადგურის შემნახველ საკანში დავგოვე და რუსული სასულიერო წარმომადგენლობის²⁹ გზა ვიკითხე. დილაზე იქ უნდა დავბინავებულიყავი. მგზავრთა უმეგესობა დილაზე სადგურზე დარჩენას აპირებდა, მოგს კი კერძო მანქანა ელოდა.

გზად მიმავალი პოლიციელმა გამაჩერა და პოლიციის განყოფილებაში წამიყვანა. ბედად, პოლიციის განყოფილება რუსული სასულიერო წარმომადგენლობის შენობაში იყო განთავსებული. ასე რომ, წასასვლელი აღარსად ვიყავი. ამასთან, პოლიციელის თანხლებით ქალაქში გავლა სხვა დროს თუ უსიამოვნო იქნებოდა, ახლა მასთან ერთად სიარულმა იქ მიმიყვანა, სადაც მისასვლელი ვიყავი. საბედნიეროდ, მაგარებლის ბილეთი თან მქონდა. ჩემი პასპორტიც ადასტურებდა, რომ ამ ქვეყანაში ახალი ჩამოსული ვიყავი და შეიძლებოდა, აქაური წესები არ მცოდნოდა. ერთმა ოფიცერმა თავაზიანად მიმაცხილა წარმომადგენლობის კარამდე. მოგვიანებით მას კვლავ შევხვდი იერიქონში და იქაც რამდენჯერმე გამიწია ფასდაუდებელი სამსახური.

წარმომადგენლობაში ბერებს ვახშამი უკვე დაესრულებინათ და მეკარე კარიბჭის დახურვას აპირებდა. ჩემი წერილი ვარშავიდან ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მიღებული, ასე რომ, არ მელოდნენ. ბერი ჩემმა გარეგნობამ

27 „მწუხარე ღვთისმშობელი“.

28 „მამაო“ (ფრანგ.).

29 პირველი რუსული მისია იერუსალიმში 1847 წელს გაემგზავრა, ხოლო 1857 წელს ოფიციალური ინაუგურაცია შედგა. მისიის შექმნის მიზანი იყო რუსეთიდან ჩამოსული პილიგრიმების მოვლა, აგრეთვე პალესტინასა და სირიაში მართლმადიდებელი მოსახლეობისთვის დახმარების გაწევა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მისია საზღვარგარეთ არსებული რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

გააოცა. როცა ვუთხარი, რომ ილუმენის ნახვა მინდოდა და მათთან დარჩენას ვაპირებდი, მკითხა:

– „ვინ ბრძანდებით, მამაო?“

– „არქიმანდრიტი გრიგოლი ვარ, ვარშავიდან“.

– „არქიმანდრიტი გრიგოლი?“ – ძალიან ნელა, დამარცვლით გაიმეორა. დიდი ყურადღებით მაკვირდებოდა, ალბათ, ცდილობდა დაენახა რაიმე ნიშანი, რომელიც ჩემს გარეგნობაში არქიმანდრიტს ამოაცნობინებდა, მაგრამ რაკილა ამგვარი ნიშნის პოვნა ვერ შეძლო (არც გრძელი თმა მქონდა და არც გრძელი წვერი), ხელი ჩაიქნია და ილუმენის საძებნელად გაეშურა.

6. VII. ორშაბათი

დილის 6 საათზე მარის რეკვამ გამაღვიძა. სამწუხაროდ, სანამ ჩავიცვამდი, ღვთისმსახურება უკვე დაწყებულიყო. ეკლესიაში ბევრი ხნიერი ქალი იყო. არ მინდოდა, ხალხის ყურადღება მიმეპყრო და ამიგომ იქვე, შესასვლელთან დავდექი, რადგან ეკლესიიდან წასვლას ღვთისმსახურების დასრულებამდე ვაპირებდი.

ჩემ გვერდით რამდენიმე ქალი იდგა. ერთს მარჯვენა ხელი არ ჰქონდა და პირჯვარს მარცხენით იწერდა. მეორეს ბლითებით სავსე კალათი ეჭირა, იქ მყოფ ქალებს თითო-თითოს ურიგებდა და სთხოვდა, რომ ორი სულისთვის, ალბათ, მისი ოჯახის წევრების ან ნათესავთა სულებისთვის ელოცათ. ცალხელა ქალმა ორი სულისთვის სალოცავად ორი ბლითი მოსთხოვა. ბლითი მეც მივიღე და მადლობა თავაზიანად გადავუხადე რუსულად. „*Ish ty, tak khorosho govorit po russki*“³⁰ – თქვა მან. ალბათ, ბერძენი ვეგონე და პატრიოტული გრძნობით აღვსილმა, მეორე ბლითიც მაჩუქა.

ნასაუბმევს ერთ მორჩილთან ერთად სადგურში წავედი ჩემოდნის წამოსადებად. შემდეგ მისი უწმინდესობის, იერუსალიმის პატრიარქის, სანახავად ყველაზე მნიშვნელოვან ქრისტიანულ გაძარში, უფლის საფლავის ეკლესიაში³¹ წასვლას და შუადღისას სადილობაზე დაბრუნებას ვაპირებდი.

30 „შესხედეთ, რა კარგად ლაპარაკობს რუსულად?“.

31 ქრისტეს საფლავის გაძარი, წმინდა საფლავის გაძარი (აგრეთვე ცნობილია, როგორც ალდგომის გაძარი, ასევე ანასტასის გაძარი (ბერძ. Αναστάσιον), მდებარეობს იერუსალიმის ძველი ქალაქის ქრისტიანულ უბანში. 336 წლით დათარიღებული გაძარი სპარსელების მიერ 614 წელს განადგურდა. არაბების შემოსევამდე აღდგენილი ალ-ჰაქიმის მიერ 1009 წელს განადგურდა. აღდგენითი სამუშაოები 1012 წელს დაიწყო და XI საუკუნის 40-იან წლებში დამთავრდა. მას შემდეგ გაძარი რამდენჯერმე დაზიანდა, მაგრამ ჯვაროსნების მიერ აღდგენილი, მოგვიანებით ხელახლა გადაკეთდა. ამჟამად არქიტექტურულად საკმაოდ ქოგურია. შეიძლება გამოიყოს გაძრის რამდენიმე ნაწილი: ქრისტეს საფლავის სალოცავი, ბერძნული გაძარი, გოლგოთის სამლოცველო, წმ. ელენეს აკლამა, ფრანცისკელების წმინდა ზიარების საიდუმლოს სამლოცველო, ბერძნული მონასტერი, აგრეთვე შუა საუკუნეების სამრეკლოსთან სამლოცველო და ეთიოპიელი და კოპტი ბერების არც ისე დიდი საძმო.

უფლის საფლავის ეკლესია ვალაჲნით გარშემორტყმული ძველი ქალაქის ცენტრში დგას. ახალი იერუსალიმი ფართო ქუჩებით, მაღალი და ლამაზი შენობებით და ევროპული ყაიდის მაღაზიებით ვალაჲნის მიღმაა. რუსული წარმომადგენლობის შენობა ახალ რაიონშია და ძვირადღირებულია, რადგან მიწის ღირებულება ახლა უფრო მაღალია. შენობებში, სადაც ადრე რუსეთიდან ჩამოსული მრავალი მომლოცველი თავმჯდომარე პოულობდა, ახლა პალესტინის მთავრობაა განთავსებული. ბერებს ამ შენობების ძალზე მცირე ნაწილი უჭირავთ.

უფლის საფლავის ეკლესიის კენ მიმავალ გზაზე მრავალი ძველი მონასტერი. მათგან სამმა ჩემი ყურადღება მიიპყრო და ისტორიის ის მონაკვეთი გამახსენა, როცა იქ ჩასული ქართველნი, მარტოსულნი, მიუსაფარნი და ყველასთვის უცხონი არ იყვნენ. იერუსალიმში ჩემსავით აქეთ-იქით არ დაეხეებოდნენ გაძრების საქმეებზე. იმ დროს ქართველები იერუსალიმში ჩამოდიოდნენ, როგორც აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს შვილები. შემოდიოდნენ დროშების ფრიალით, მხიარულ სიმღერებს და ეროვნულ ჰიმნს მღეროდნენ. სხვებისგან როდი ითხოვდნენ შემწეობას ან მფარველობას. პირიქით, სხვებს მათგან სჭირდებოდათ დახმარება. მრავალი მონასტერი ჰქონდათ, სადაც ყველას შეეძლო თავმჯდომარის პოვნა. ძველი ისტორია და ამ მონასტრების წვლილი ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაში კიდევ უფრო მრავალი ენთუზიაზმსა და სურვილს, რომ მათთვის მიეზადათ.

რამდენიმე ასეთი მონასტრის გვერდით უნდა ჩამეგლო. პირველი ქუჩა მარცხნივ, პაგარა ბორცვზე გადადის და ფრანცისკელთა Casa Nova³² - დან ფრანცისკელთა მონასტრისკენ მივყავართ, რომელიც იერუსალიმში კათოლიკეთა ციგადელს წარმოადგენს. ამ მონასტერს „სან სალვადორეს“ ეძახიან. მიუხედავად იმისა, რომ ეს მონასტერი ერთობ სახელგანთქმულია, მისი ისტორია ნაკლებად ცნობილია. ფრანცისკელები არ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ იგი ერთ დროს ქართველებს ეკუთვნოდა. სავარაუდოა, რომ ეს არის ყველაზე ძველი ქართული მონასტერი, დაარსებული V საუკუნეში პეტრე იბერის³³ მიერ.

32 კასა ნოვა, პილიგრიმების სახლი ფრანცისკანელების მიერ 1866 წელს აშენებული.

33 პეტრე იბერიელი (411-491), ქართველი ბერი, 455 წლიდან მაიუმის ეპისკოპოსი. მის სახელთანაა დაკავშირებული წმინდა მიწაზე პირველი ქართული მონასტრის დაარსება. მისი ცხოვრების სირიული ვერსია აღმოაჩინა რ. რააბემ, *Petrus der Iberer, ein Charakterbild zur Kirchen und Sittengeschichte des fünften Jahrhunderts*, და 1895 წელს გამოსცა ლაიფციგში. პეტრე იბერის ცხოვრების ქართული ვერსია ნ. მარმა გამოსცა 1896 წელს, *Житие Петра Иверя, царевича-подвижника и епископа маямского*, „Православный Палестинский Сборник“, 16(1896); მისი ცხოვრების კომპლექსური რედაქცია ოსკარ ფონ ლემმა მოკლე ნაწყვეტის სახით გამოსცა, *Iberica*, პეტერბურგი, 1906; იხ. აგრეთვე ვ. ჩაჩანიძე, პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბილისი 1974.

ფრანცისკელი მამები წერენ და ყვებიან, თუ როგორ მიჰყიდეს მათ ქართველებმა ეს მონასტერი 1551 წელს; თუმცა ფრანცისკელთა საბუთებში ოდნავ განსხვავებული ამბავია მოთხრობილი. ეკლესია, რომელიც ქართველთა დროს არსებობდა, 1889 წელს დაანგრის (ძალიან მცირე ზომისა იყო და კათოლიკური ქვეყნიდან ჩამოსულ უამრავ მომლოცველს ვერ იტევდა)³⁴ და მის ნაცვლად ახლანდელი უბარმაზარი, თუმცა არცთუ ისე ლამაზი ეკლესია აღმართეს. საკათედრო გაძრის შენობას ქართული სტილის გავლენა ოდნავ ატყვია. წამიკითხავს, რომ მშენებლობის დროს უპოვიათ რამდენიმე ძველი ქართული წარწერაც, რომლებიც მონასტრის მუზეუმში უნდა ინახებოდეს. ცხადია, რომ მათი ნახვა მინდა. როგორმე მცველისგან³⁵ შუამდგომლობის წერილი უნდა მივიღო და მონასტერი დაწვრილებით შევისწავლო.

ამ მონასტრის გარდა, უფლის საფლავის ეკლესიისკენ მიმავალ გზაზე, ქუჩის მარცხენა მხარეს, წმ. ბასილის დედათა მონასტერს შეხვდებით, ხოლო ქუჩის მარჯვენა მხარეს – წმ. თევდორეს მონასტერს. ორივე ქართული მონასტერია.³⁶ ეს ნაგებობებიც, რაც შეიძლება დაწვრილებით უნდა შევისწავლო.

შუადღე ახლოვდებოდა, მაგრამ უფლის საფლავის ეკლესია ჯერ კიდევ ბინდუნდით იყო მოცული. თუმცა ბევრი წამიკითხავს ამ ეკლესიაზე და მისი მრავალი ფოტოსურათიც მინახავს, იგი ჩემთვის მაინც სრულიად ახალი და უცნობი აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, მინახავს ამაზე უფრო დიდი გაძრებიც, მაგრამ ამ ეკლესიამ მაინც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა სიძველისა და განსაკუთრებულობის გამო. ეს ეკლესია მრავალი თაობის მიერ წარმოთქმული ურიცხვი ლოცვისა და ვედრების მოწმეა და აქ მათი უხილავი, მაგრამ მაინც შესამჩნევი ძალა იგრძნობა. ეს ძალა ერთდროულად ამაფორიაქებელიც არის და დამამშვიდებელიც. ეკლესიაში დრო სწრაფმავალია. ეს ეკლესია ისტორიისა და მრავალი თაობის ცხოვრების წარმომსახველია.

ეს ყოველივე მხოლოდ ჩემთვის არ გახლდათ უცხო. თავად მეც უცხო ვიყავი დღედაღამ აქ მყოფი ბერებისთვის. ყველანი ერთპირად მე მიყურებდნენ. რამდენიმე ერისკაცმა დახმარება შემომთავაზა. მე ყველა შემოთავაზებაზე უყოყმანოდ უარი ვთქვი და ვიკითხე, ვინმეს ხომ არ შეეძლო, საპატრიარქოსკენ³⁷ გამძღოლოდა. ერთი კაცი მაჩვენეს და ისიც

34 (*) E. Horn, *Ichnographiae locorum et monumentorum veterum Terrae Sanctae*, Roma, 1902, გვ. 187.

35 წმინდა მიწის მცველი - წმინდა მიწის კუსტოდის პროვინციის უფროსი, რომელიც დამოუკიდებელი აღმინისტრაციული ერთეულია, ფაქტიურად ფრანცისკანული ორდენის ერთ-ერთ პროვინციას წარმოადგენს. მისი სპეციფიკური მისია პაპის კლემენს IV მიერ 1342 წლის ბულით „Gratias agimus” და „Nuper carissimae” დამტკიცდა.

36 ა. ცაგარელი, *Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае*, გვ. 122.

37 იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესია (ბერძ. Ελληνορθόδοξο Πατριαρχείο Ιεροσολύμων),

მითხრეს, რომ იგი ვალდებული არ იყო, გამოემყოლოდა. „რა თქმა უნდა, ეს ვიცი, – მივუგე მე, – გასამრჯელოს მივცემ“. როცა გაძრიდან გამოვდიოდი, თურქი კლიგეთიმპრობელი ჩემი სალაურობით დაინგერესდა. როცა შეიგყო, რომ ქართველი ვიყავი, თქვა: „ჩვენი არაბული წიგნებიდან ვიცი, რომ თქვენებურები აქ უწინ მრავლად იყვნენ და ძალაც შესწევდათ“.

იერუსალიმის პაგრიარქმა გიმოთემ³⁸ დაუყოვნებლივ მიმიღო. მისი მზერიდან და მიმოსვრიდან უბრალოება გამოსჭვიადა, რაც ასე ახასიათებთ აღმოსავლელ ეპისკოპოსებს. ხელი გამომიწოდა და მოწიწებით ვემთხვია. შემდეგ გვერდით დამისვა. მე თან მქონდა რუსულ ენაზე დაწერილი შუამდგომლობის წერილი, რომელიც მასთან ჩემმა მღვდელმთავარმა, მიგროპოლიტიკმა დიონისიმ³⁹ გამომაგანა; აგრეთვე ერთი წერილი ბერძნულ ენაზე, პარიზის ქართული მრევლის მეთაურის, არქიეპისკოპოს გერმანოსის⁴⁰ გამოგზავნილი. ჩვენ ინგლისურად ვსაუბრობდით და პოლონეთში მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობაზე ვბჭობდით. საუბრის დროს პაგრიარქთან ერთი არქიმანდრიტი შემოვიდა. როცა შეიგყო, რომ ქართველი ვიყავი, მაშინვე მითხრა:

„თქვენი და ჩვენი ეკლესიები ძველად დაახლოებულნი იყვნენ“.

– „ეს ახლაც გრძელდება, – მივუგე მე, – იერუსალიმის წმინდა საკათედრო გაძარი დიდ ყურადღებას იჩენს საქართველოს საპაგრიარქოში მიმდინარე მოვლენების მიმართ. აღსანიშნავია, რომ მან პირველმა აღიარა საქართველოს ეკლესიის აღდგენა“.

იაკობ მოციქულის ღრვიდან იღებს სათავეს [წმ. იაკობი - იესო ქრისტეს ნახევარძმა იყო, სავარაუდოდ იოსების შვილი წინა ქორწინებიდან (მარკოზი 6, 3; ვალ. 1, 19), იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსი, იუდეველ ქრისტიანთა წარმომადგენელი, მოწამებრივად აღსრულებული დაახ. 62 წელს. ქალკედონის საეკლესიო კრების დადგენილებით იერუსალიმის ეპისკოპოსის 451 წელს პაგრიარქის ტიტული უბოძეს. 1099-1187 წლებში, როდესაც იერუსალიმი ჯვაროსნების ხელში მოექცა პაგრიარქი კონსტანტინეპოლში გადავიდა.

38 გიმოთე I (პითაგორას თემელისი, 1878-1955), 1907 წლიდან ჟურნალ „ნება სიონის“ პასუხისმგებელი მდივანი იყო. 1921 წელს იორდანის ეპისკოპოსად აკურთხეს, 1935 წლიდან – იერუსალიმის პაგრიარქი გახდა. მის კალამს ეკუთვნის 37 ისტორიული და არქეოლოგიური ნაშრომი წმინდა მიწის შესახებ.

39 დიონისი (კონსტანტინე ვალედინსკი, 1876-1960), 1923 წლიდან ვარშავისა და სრულიად პოლონეთის მიგროპოლიტი. 1933 წელს მან პოლონეთში მიიწვია მამა გრიგოლ ფერაძე, როგორც ქართული ემიგრაციის მურვე და ვარშავის უნივერსიტეტის მართლმადიდებლური თეოლოგიის კათედრის პროფესორი.

40 არქიეპისკოპოსი გერმანოსი (სტრინოპულოსი, 1872-1951), 1904-1922 წლებში ქალკის თეოლოგიური აკადემიის რექტორი. 1907 წელს გერმანოსი მღვდლად აკურთხეს და აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. 1912 წელს სელევკიის მიგროპოლიტის ტიტული მიიღო. 1922 წლიდან თიაგერიის მიგროპოლიტი გახდა, შემდეგ ჩრდილო და დასავლეთ ევროპის ერთიანი საპაგრიარქოს ეგზარქოსი. მან გრიგოლ ფერაძე 1931 წელს მღვდლად აკურთხა.

ისინი ძალიან წუხდნენ საქართველოში იერუსალიმის საპაგრიარქოს საკუთრების ბედზე და აინგერესებდით, ოდესმე თუ შეძლებდნენ მის დაბრუნებას.

– „ჩვენ კი ძალიან გვადარდებს ბედი ძველი ქართული მონასტრებისა, რომლებიც ახლა საპაგრიარქოს ხელშია და გვანგერესებს, ოდესმე თუ დავიბრუნებთ მათ“ – მივუგე მე.

არქიმანდრიგს ნარცისი ერქვა. იგი საპაგრიარქოს სამეცნიერო ჟურნალის, „ნეა სიონის“⁴¹-ი ერთ-ერთი გამომცემელი გახლდათ. შემდგომში რამდენჯერმე შევხვდი მას და ყოველთვის ძალიან თავაზიანად მეპყრობოდა.

მისმა უწმინდესობამ ყველა თხოვნა დიდსულოვნად შემისრულა. მე კი ბევრი რამ მსურდა, სახელდობრ: 1) შესაძლებლობა უნდა მქონოდა, რომ საპაგრიარქოს ბიბლიოთეკაში ოფიციალურ საათებში მემუშავა; 2) უფლება მქონდა, სამი დღე მეცხოვრა წმინდა ჯვრის მონასტერში⁴² და მათი მასპინძლობით მესარგებლა. ეს მონასტერი ქართველთა აშენებული იყო და მას ისინი ყველაზე დიდხანს ფლობდნენ. უკანასკნელი ქართველი ბერი იქ XIX საუკუნის შუა წლებში კიდევ ცხოვრობდა. შუა საუკუნეებში ეს მონასტერი ქართული კულტურის ცენტრს წარმოადგენდა და ჩვენი უდიდესი პოეტი, შოთა რუსთაველი,⁴³ იქ ბერად იყო აღკვეცილი. წელს მისი უკვდავი ეპიკური ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“⁴⁴ შექმნიდან 750 წლისთავი აღინიშნება. პოეტი მონასტრის ეკლესიაშია გამოსახული.⁴⁵ ამაოდ მქონდა იმედი, რომ ბედი გამიღიმებდა და იქ მის საფლავს აღმოვაჩენდი.

41 „ნეა სიონი“ (ბერძ. Νέα Σιών), იერუსალიმის საპაგრიარქოს ოფიციალური ჟურნალი. გამოდის 1904 წლიდან.

42 ჯვრის მონასტერი XI საუკუნეში ქართველების მიერ იმ ადგილას აშენდა, სადაც V-VI საუკუნეებში სხვა ეკლესია იდგა. მას შემდეგ მონასტერი არ დანგრეულა. შუა საუკუნეებში ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა. ამჟამად მონასტერი იერუსალიმის ბერძნულ საპაგრიარქოს ექვემდებარება.

43 შოთა რუსთაველი (XII-XIII სს.), ქართველი პოეტი, ქართული საერო ლიტერატურის მამამთავარი, ერთ-ერთი უდიდესი შედევრის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. (პოლონურად თარგმნა ე. ზაგურსკიმ, კონსულგაცია ი. ბრაუნი. შესავალი დ. ყოლბაია და პ. პაპაროცკი, ვარშავა 2017.

44 შდრ. G. Peradze, *W jaki sposób uczyć na emigracji jubileusz Szoty Rustawelego?*, „Wschod-Orient”, 7: 1936, no. 1, გვ. 86-87; ასევე, *Kim jest dla nas Szota Rustaweli?*, „Polska Stronica Słowa”, 2: 1937, no. 51 no 10, გვ. 2; ასევე, *Religia Szoty Rustaweli’ego*, G. Nakaszidze, *Szota Rustaweli*, Warszawa, 1937, გვ. 13-15; წმ. გრიგოლ ფერაძე, თბილულებათა კრებული, წიგნი მეორე, როგორ უნდა აღვნიშნოთ კვირეობაში შოთა რუსთაველის იუბილე? გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო დავით ყოლბაიამ, გვ. 267-271.

45 შოთა რუსთაველის ფრესკა ვანდალების მიერ 2004 წელს სერიოზულად დაზიანდა და მას სარესტავრაციო სამუშაოები კარგად არ ჩაუტარდა.

იმის ნებაც დამრთეს, რომ მსოფლიოს ერთ ყველაზე ასკეტურ მონასტერში, იუდეის უდაბნოში მდებარე წმინდა საბას⁴⁶ დიდ ლავრაში რამდენიმე დღე გაშეგარებინა. ყველაზე მეტად ის მესიამოვნა, რომ უფლება მომცეს, მთელი თვის მანძილზე საპატრიარქოს ნებისმიერ მონასტერსა და ეკლესიაში, სადაც ვისურვებდი, ღვთისმსახურებაში მიმელო მონაწილეობა.

მისმა უწმინდესობამ არქიმანდრიგი მამა კალიქსტი მომიჩინა გამყოლად და შუამავლად. მას კიევის თეოლოგიური აკადემია ჰქონდა დამთავრებული და იმ დროისთვის ბევრი აკადემიური ნაშრომის ავტორი იყო⁴⁷. იგი ჩვენს მიგროპოლიგს, დიონისისა და ვოლინის არქიეპისკოპოსს ალექსისაც⁴⁸ მასპინძლობდა, როცა ისინი წმინდა მიწას ესტუმრნენ.

წარმომადგენლობაში კმაყოფილი დავბრუნდი, რადგან ჩემს მიზნებს მივალწიე. შუადღე ახლოვდებოდა. ჩვენს მონასტრებში პუნქტუალობას მიჩვეულნი არ ვართ, ბერებს არა აქვთ დროის განრიგი. აქ კი ყველაფერი საათობრივად არის განსაზღვრული. სიამოვნებით აღვნიშნავ ამ გარემოებას, რადგან იგი წინამძღვრის წესრიგიანობის მაჩვენებელია.

სადილი, ჩვეულებრივ წარიმართა, ისევე, როგორც სხვა მონასტრებში. წინამძღვარს ველოდით და ვლოცულობდით. სადილობისას ერთი მორჩილი იმ დღისთვის განკუთვნილი წმინდანის, ცხოვრებას“ კითხულობდა, ორი დიაკონი კი სუფრას ემსახურებოდა. ნასადილევს ისევ ვილოცეთ. შევიტყვე, რომ რამდენიმე ბერი „მემო“⁴⁹ მონასტერში (ენ-კერემში) აპირებდა წასვლას. მომდევნო დღეს, ძველი კალენდრით 24 ივნისს, წმ. იოანე ნათლისმცემლის დაბადების დღე იყო და ღვთისმსახურება აღსრულდებოდა წმ. ბაქარიას სახლში, რომელიც წარმომადგენლობის საკუთრება იყო. ღვთისმსახურებაში მონაწილეობის მისაღებად მეც მიმიწვიეს. გაფიცვის გამო მონასტრისკენ ავგობუსები არ მიდიოდა და გზის დიდი ნაწილი ფეხით უნდა გაგვევლო, თუმცა მე სიარული არ გამიძნელებოდა.

დაახლოებით სამ საათზე გავემგზავრეთ. ჩავსხედით ავგობუსში, რომელიც ებრაელთა კოლონიაში მიგვიყვანდა, ანუ თითქმის ნახევარ გზას გაგვაგარებდა და შემდეგ ასე, ხუთი კილომეტრი ფეხით უნდა გაგვევლო. უნებურად გამახსენდა გუშინდელი დღე და ქალი, ელისაბედს რომ მივამგვა-

46 საბაწმინდის ლავრა (ბერძ. Λαύρα Σάββατος Ἡγιασμένου, არაბ. მარ საბა, ებრ. מנזר סבא), მდებარეობს პალესტინაში, იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით. სავანე წმ. საბა კაპადოკიელმა 439 წელს დაარსა. ლავრა ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი მონასტერია, რომელიც დღესაც აგრძელებს ძველი ტრადიციების დაცვას.

47 კალისტოს მელიარასი (გარდ. 1937), არქიმანდრიგი, იერუსალიმის თეოლოგიური სკოლის მასწავლებელი, ავტორი ნაშრომისა: Οι Άγιοι Τόποι εν Παλαιστίνη και τα εσ' αυτών δίκαια του ελληνοικόν εθνους, იერუსალიმი, 1933, I-II; თესალონიკა 2002.

48 ალექსი (ალექსანდრე გრომაძე, 1882-1943), ვოლინის ეპისკოპოსი.

49 ბერძნული გექსტიდან ლუკა 1, 39: τὸν οὐραίνῃ, ὃν οὐραίνῃς. – მთა, მთიანი რეგიონი, რუს. Горы.

ნე, მთები, რომელთა ხილვისას ღვთისმშობლის მოგზაურობა მაქარიას სახლამდე წარმოქმნასა და მისი ტკიბილი ჰიმნის ჰანგები ჩამესმა.

მოგზაურობა ძალიან სასიამოვნო აღმოჩნდა. მოასფალტებულ გზას აღმართ-აღმართ მივუყვებოდი, თითქოს უდაბნოში მივაბიჯებდით, სადაც შებინდებისას მზის ოქროსფერი ანარეკლი მეწამულად იფერება. საქართველოში ასეთ ნათებას „მკვდრის მზეს“ ეძახიან. გარემო გასაოცრად ჩაწყნარებულია. გზად არავინ შეგვხვდრია. ამბობენ, ეს გზა სახიფათოაო. თუმცა მე გული ხიფათს არ მიგრძნობდა. ვიღაცამ გალობა წამოიწყო და მე ეს მკრეხელობად მეჩვენა.

როგორც იქნა, გამოჩნდა სოფელი ენ-კერეში, სადაც მონასტრის შენობა და ფრანცისკელთა ეკლესიის კოშკებია. გადმოცემის მიხედვით, იოანე ნათლისმცემელი აქ უნდა იყოს დაბადებული. ფრანცისკელთა სხვა ეკლესია, მაქარიასა და ელისაბედის საზაფხულო სახლი, მარცხნივ, მოპირდაპირე მთაზეა. მონასტრის გვერდით მიწის დიდი ნაკვეთი, მთელი ფერდობი მართლმადიდებლური მონასტრის საკუთრებაა. ამ მონასტერს თავისი ეკლესია⁵⁰ აქვს, სადაც ებრაელი მღვდლის ოჯახი ცხოვრობდა. გულისწუხილი მეუფლება იმის გამო, რომ ოდესღაც აქ იყო მღვდელმსახური, ერთდროულად სამ სახლს რომ ფლობდა. რად უნდოდა? აქ, ამ მთებში ცხოვრობდა წმინდა ოჯახი, ამ ჰაერს სუნთქავდა, აქ იშვა და სიჭაბუკე გააგარა იმან, ვისზე უმეტესი „დედისაგან შობილი არავინ აღმდგარა“.⁵¹ აქ ესტუმრა ღვთისმშობელი ელისაბედს; ეს არის წყარო, სადაც მან წყალი შესვა. ეს უკვე საკმარისია ღვთისმოსავის წარმოსახვისთვის.

სოფლის განაპირას ახალი, ყვავილებით დაფარული საფლავია. აქ ახალი დროის გმირი, რევოლუციის დროს მოკლული არაბი განისვენებს. ერთი მოხუცი ქალი რუსულად მოგვესალმა. უკვე ორმოცი წელია, რაც ეს ქალი იერუსალიმელ ბერებს თხის რძით ამარაგებს. აქედან უკვე მოჩანდნენ მონაზვნები, რომელნიც მონასტრიდან ჩვენ შესაგებებლად მოეშურებოდნენ. მონასტრის შენობა რამდენიმე სართულიანია. სართულებს ტერასების ფორმა აქვს. იღუმენია და რამდენიმე მონაზონი კარიბჭესთან დაგვხვდნენ. მარები რეკავდა, როცა შევედით ბაღში, სადაც სამსართულიანი სასტუმრო სახლი იდგა. ჯერ ჩაიღველიეთ, მერე ცოცხა დავისვენეთ, შემდეგ კი საღამოს საგანგებო ღვთისმსახურება გაიმართა. აკათისგოთა⁵² (ლიგანია) თანხლე-

50 რუსული მართლმადიდებლური მონასტერი XIX საუკუნის ბოლოს დაარსდა. მონასტერს ორი ეკლესია აქვს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი (1894 წლიდან) იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაა.

51 მათე 11, 11.

52 აკათისგოს (ბერძ. Ακάθιστος, „დაუჯდომელი“), ლიტურგიკული ჰიმნი, რომელიც 12 საგალობლისგან შედგება, აღესრულება ფეხზე ღვთისმშობლის მიმართ.

ბით მხოლოდ მონაზვნები გალობდნენ, ჩვენ კი იკოსებს⁵³ ვკითხულობდით. არქიმანდრიგს თავზე ჯვრიანი მიგრა ეხურა, ჩვენ მიგრის გარეშე ვიყავით. საგანგებო ღვთისმსახურებაზე *Magnificat* იგალობეს. გულისფანცქალით ველოდი ამ წუსს. ბაღში ვიდექი, მთის ძირას. ეკლესია იმხელა არ იყო, რომ ყველა დაგეულიყო. იმჟამად იქ ასზე მეტი მონაზონი და კიდეც მრავალი სკუმარი იმყოფებოდა. ჰაერი არ იძვროდა, ჯერ არ დაბინდებულყო. ერთ კაცს თავზე შემოდებული ახლად გამომცხვარი პური სახაბაზოდან საერთო სასადილოში მიჰქონდა, რომელიც შემადლებულ ადგილას, ზედა ტერასაზე იყო. ახლადგამომცხვარი პურის სუნი ეკლესიიდან მომდინარე საკმევლისა და მცხუნვარე ბაფხულის მყუდრო სადამოს გაფურჩქნულ ყვავილთა სურნელს ერწყმოდა. ამქვეყნად ყველაზე მშვენიერი და დიდებული საგალობელი ეკლესიიდან ზეცისკენ მიემართებოდა.

7. VII. სამშაბათი

გუშინ ეკლესიიდან ძალიან გვიან დავბრუნდით. ჩვენთვის – ექვსი ბერისთვის ორი ოთახი იყო გამზადებული. კარგად გავიცანი ისინი, ვინც ჩემთან ერთად უნდა დაბინავებულიყო. ერთი მათგანი ვოლინიდან⁵⁴ იყო, ამიგომ ბევრი გვქონდა სასაუბრო და, სხვა ბერებისთვის ლოცვაში ხელი რომ არ შეგვეშალა, ბანზე ავედით. ბანიდან მთელი სოფელი ხელისგულზე გადაშლილივით მოჩანდა. სოფელში აქა-იქ შუქი ენთო. გვესმოდა, მონასტერში მონაზვნები ხვალინდელი დღისთვის როგორ ემზადებოდნენ. წარსულში ეს მონასტერი სკუმრიანობით იყო ცნობილი. არეულობის გამო დღეს ბევრი ხალხი არ მოსულა. აქაურობას ხვალ, ალბათ, მეგნი ეწვევიან.

ბანზე სიამოვნებით დავრჩებოდი უფრო მეტ ხანს, მაგრამ ქვემოთ უნდა ჩავსულიყავი. მეორე დღეს წირვა მქონდა და უნდა მოვმზადებულიყავი.

8. VII. ოთხშაბათი

მთელი დამე საშინლად მეძინა. თავი მტკიოდა, მაგრამ უნდა მომეთმინა. როცა პირს ვიბანდი, ვესტიბიულში დიდი ქვა შევნიშნე ლათინური წარწერით. როგორმე ამ წარწერის ფოტოსურათი უნდა გადამეღო. ჯვაროსნების დროს ამ მიწას ფრანცისკელები ფლობდნენ. ეს წარწერაც, სავარაუდოდ, იმჟამინდელია. ჩემი აზრით, ბევრი ძველი წარწერის ნახვა სხვა რუსულ მონასტრებსა და სახლებშიც არის შესაძლებელი. ეს წარწერები ჯერჯერობით შესწავლილი არ არის და მათი გამოკვლევა შეავსებს წმინდა მიწის

53 იკოს, (ბერძ. οίκος, „სახლი“), დაუჯდომელი საგალობლიდან ერთი სტროფი.

54 ვოლინი (უკრ. Волинь), ისტორიული მხარე, რომელიც მოიცავს მდ. ბუგის ზედა ტერიტორიას, დნეპრის შესართავიდან სტირუს, ჰორინიას და სლუჩის ჩათვლით - დღევანდელი უკრაინა.

ისგორიას. ამის გაკეთება, წესით, ჩემი ვალია, რადგან მონაზვნები სხვა სარწმუნოების მიმდევრებს არ ენდობიან და მათ ყველაფერს არ აჩვენებენ. ვნანობდი, რომ ფოტოაპარატი თან არ მქონდა. აქ მერე აუცილებლად უნდა დავბრუნებულიყავი.

წირვა დასრულებული არ იყო, როცა ეკლესიაში მყოფნი აჩოჩქოლდნენ. ვიგრძენი: მონაზვნები ვილაცხას გზას უთმობდნენ. თვალი ირგვლივ მოვაგარე და ეთიოპიის იმპერატორის მეუღლე⁵⁵ დავინახე. მას ორი ქალბატონი და ამაღა ახლდა, რომელშიც რამდენიმე სასულიერო პირიც ერია. სასულიერო პირები ფეხშიშველები იყვნენ. იმპერატორის მეუღლეს და განმალა ქალბატონებს, რომელნიც მას ახლდნენ, ფეხზე მხოლოდ აბრეშუმის წინდები ეცვათ. მათ პრივილეგიით არ უსარგებლიათ – არ დამსხდარან და მოკრძალებით ფეხზე იდგნენ.

ღვთისმსახურების შემდეგ იმპერატორის მეუღლე და მისი ამაღა ჩაიბე მიიწვიეს. ერთმა სამხედრომ, რომელიც ფრანგულად საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა, მითხრა, რომ იმპერატორის მეუღლის თანმსლებთაგან ერთი ნეგუსის (ეთიოპიის იმპერატორის) ქალიშვილი იყო. იგი ოთხი წლის წინ რას დესტაზე გათხოვილა,⁵⁶ მეორე ქალბატონი კი გახგის მემკვიდრის მეუღლე გახლდათ⁵⁷. მე წილად მხვდა პაგივი, ჩაის სმისას თარჯიმნობა გამეწია. გახგის მემკვიდრის მეუღლის გვერდით ვიჯექი, მისგან ხელმარჯვნივ რას დესტას მეუღლე იჯდა, ჩვენ წინ – იმპერატორის მეუღლე, მის უკან – აბისინიის არქიმანდრიგი. სხვები ცოცა მოშორებით ისხდნენ. მონაზვნებს უნდოდათ, სამხედრო ჩემ გვერდით დაესვათ, რათა საუბარი გადავიღებულიყო, მაგრამ იმპერატორის მეუღლემ მას საპაგიო ადგილას დაჯდომის ნება არ დართო. ალბათ, კარის ეგიკეტი ამის უფლებას არ აძლევდა. იმპერატორის მეუღლეს ძალიან ნაზი და სასიამოვნო, მეტყველი სახე ჰქონდა, საამოდ იღიმებოდა, მაგრამ არ ლაპარაკობდა. არც გახგის მემკვიდრის მეუღლე ჩანდა საუბრის მოყვარული, თუმცა ეტყობოდა, რომ უცხო ენა იცოდა. მას ძალიან ლამაზი, პაგარა ჯვარი ჰქონდა ამოგვიფრული მარჯვენა მკლავზე, იდაყვთან; თითზე ვერცხლის ბეჭედი ეკეთა. როცა მონაზონმა წვნიანი ჩამოაგარა, რას დესტას მეუღლემ ფრანგულად მკითხა, ამ საჭმელში კარაქი ან კვერცხი სომ არ არისო. ალბათ, ისინიც მარხულობდნენ. მონაზვნები თვალს არ აშორებდნენ, როცა

55 ვოიბერო მენენ ასგავი (1889-1962), იმპერატორ ჰაილე სელასი I (1892-1975) პირველი მეუღლე, დაქორწინდნენ 1911 წელს.

56 პრინცესა გენაგენ ვორკი (1912-2003), იმპერატორ ჰაილე სელასი I-ის (1892-1975) უფროსი ქალიშვილი, არისტოკრატი გენერლის რას დესტა დამგეუსის (1892-1937) მეუღლე. მათ 1932 წელს იქორწინეს.

57 ვოიბერო ვალაგა ისრაელი (1906-1945), გახგის მემკვიდრის, პრინც მერიდამზას ასფავ ვოსენის (ამჰა სელასი 1916-1997) პირველი ცოლი. დაქორწინდნენ 1932 წელს.

მელაპარაკებოდა. უჩვეულო სიჩუმე იყო და დიდი საგრაპემოს ყველაზე შორეულ კუთხეშიც ყოველი სიგყვის გაგონება შეიძლებოდა. მონაზვნებს ვუთხარი, რაც იმ ქალბატონს აინტერესებდა. როცა გაიგეს, რას მეკითხებოდა, გამხიარულდნენ. მისთვის, პატივცემული სტუმრები დამერწმუნებინა, რომ ამ დღეს მართლმადიდებლური ეკლესია მარხვას ითვალისწინებდა და ყველაფერი წმინდა მამების მიერ დადგენილი წესისამებრ იყო მომზადებული. ამ განმარტების მიუხედავად, ქალბატონი რას დესტა ყოველ ჯერზე, როცა ახალი კერძი შემოჰქონდათ, იმავე შეკითხვას იმეორებდა (ხან იმპერატორის მეუღლის თხოვნით, ხანაც თავისით) და მეც ყოველ ჯერზე უნდა მეთარგმნა. მონაზვნები ისევ ისე მხიარულად არწმუნებდნენ, რომ ყველაფერი რიგზე იყო. სადილის ბოლოს ხილი შემოიგანეს. რადგან იქ ყველაფერი ძვირი იყო და მონასტერს იმ დროს საკმაოდ უჭირდა, დესერტად მხოლოდ მონასტრის ბაღში დაკრეფილი გარგარი მოგვართევს. გარგარი ჯერ კიდევ მთლად მწიფე არ იყო და ქალბატონმა რას დესტამ ეს აღნიშნა, როცა მე მას ხილი თავაზიანად შევთავაზებ. „ეჭვი ხომ არ ეპარება, რომ ხილი სამარხვოა?“ – გავიგონე უკნიდან ვიდაცის ხუმრობა. მაღლობა ღმერთს, არავის გაუგია.

ოფიციალური სადილის შემდეგ საპაგიო სტუმრები გავასეირნეთ. ოფიცერმა თავისი სავიზიტო ბარათი მომცა და მე მოვალე ვიყავი, იგი სტუმრად მიმეწვია. საგრაპემოში დავბრუნდით და ისევ სუფრას მივუსხედით. ამ უხვი, ორნაწილიანი სადილის შემდეგ ჩაი სასტუმრო ოთახებში მოგვართევს. ორი საათი იყო და ჩაის შემდეგ შინ უნდა წავსულიყავით. ჩაისთვის მასპინძლებს მაღლობა გადავუხადე და ფრანცისკელთა მახლობელი მონასტრის სანახავად გავეშურე. სამწუხაროდ, მონასტერი იმქამად დაკეტილი დამხვდა. ამას აღარაფერი ეშველებოდა. ახლა წმინდა იოანეს სენაკის მონახულება დავაპირე. ეს სენაკი დაახლოებით საათნახევრის სავალზე იყო იმ ადგილიდან. წმინდა იოანე ჰეროდემ⁵⁸ ამ მღვიმეში ჩაამწყვდია. აქედან გავზავნა იოანემ თავისი მიმღევრები იესოსთან, რომ ეკითხათ: „შენ ხარ მომავალი, თუ სხვა ვინმეს უნდა ველოდოთ?“ შუა საუკუნეებში ეს სენაკი მომლოცველებს დიდად აღაფრთოვანებდა⁵⁹. სამწუხაროდ, არ ვიცოდი, იქ როგორ მივსულიყავი. უფრო გამოცდილი თანამგზავრები უნდა მეპოვა. სასტუმრო ოთახში დავბრუნდი, სადაც სტუმრები ჩაის კიდევ სვამდნენ და შევთავაზებ, რომ გამომყოლოდნენ. ბერები და მონაზვნები შემფოთდნენ. ეს გზა თურმე ძალიან სახიფათო ყოფილა და, დიდი ხანია, სენაკს არავინ სტუმრებია,

58 ჰეროდე ანტიპა (22 ძვ.წ. - 39 ახ.წ.), ჰეროდე დიდის ვაჟი, რომელიც ახ.წ. 4 წელს პერეას და გალილეის გეგრარქი გახდა - 39 წელს იმპერატორმა კალიგულამ გააძევა.

59 წმ. იოანე ნათლისმცემლის სენაკი – ქალაქიდან 5 კმ არის დაშორებული. ამ ადგილას იმყოფებოდა იოანე ნათლისმცემელი, სანამ შეუდგა თავის საქმიანობას.

მაგრამ ორი, ინგლისური წარმოშობის ბერი არ შეშინდა და დამთანხმდა გამოყოლას. ამ ბერებს მართლმადიდებლობა რამდენიმე წლის წინ მიეღოთ. ერთი მათგანი, წინამძღვარი ნიკოლას ჯიბსი,⁶⁰ იმ დროს უკვე ჭარმაგი, ყოველმხრივ გამოცდილი კაცი, ადრე რუსეთის ტახტის მემკვიდრის აღმზრდელი იყო და რუსეთის მეფის ოჯახში ათ წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა. მეორე იყო ახალგაზრდა, გრძელი, წითური თმა-წვერით შემოსილი მღვდელ-მონაზონი.⁶¹ კიდევ ერთი ბერი, ახალგაზრდა მორჩილიც შემოგვიერთდა. ერთ მონაზონს უთხრეს, რომ ჩვენთვის სენაკამდე მიმავალი უმოკლესი გზა ეჩვენებინა.

მონასტრის მიწები გავიარეთ. გზა ძალიან ცუდი იყო, უფრო სწორად, გზა არც ეთქმოდა. მალლა რაღაც ნანგრევები მოჩანდა. ამ ადგილას ომამდე დიდი საკათედრო გაძრის მშენებლობა იყო დაწყებული. მონასტრის ტერიტორიას გალავანი არ ჰქონდა, ყაჩაღები ღამით ხშირად თავს ესხმოდნენ, მონაზვნებს აწიოკებდნენ და ძარცვავდნენ. ალბათ, ძველ, კარგ დროში გალავანი არ სჭირდებოდათ. ახლა კი მისი აშენება ძალიან ძნელი გახლდათ. მონაზონმა გზა მშვიდობისა გვისურვა. სულ მარჯვნივ უნდა გვევლო. საკმაოდ დიდხანს ვიარეთ, მაგრამ ვერანაირი ბილიკი, რომელიც მარჯვნივ მიემართებოდა, ვერ შევამჩნიეთ. ალბათ, ავეცილეთ. ბოლოს ერთი არაბი შეგვხვდა. ჩიქორთული არაბულით ვკითხე, წმინდა იოანეს სენაკისკენ მიმავალ გზას ხომ ვერ მიგვასწავლი-მეთქი. მან სამუშაოს თავი დიდსულოვნად მიანება (თხებისთვის გომურს აშენებდა), უკან გაგვაბრუნა და მარჯვნივ მიმავალ ბილიკზე დაგვაყენა. ბილიკი სოფელზე გადიოდა. ძეხორციელი არსად შეგვხვედრია. პაგარა ხილზე გადავედით. იქ რამდენიმე არაბი იჯდა. როცა მათ შორის მყოფმა ხნიერმა კაცმა დაგვინახა, რუსულად გვკითხა: „წმინდა იოანეს სენაკისკენ მიდისართო?“ და გზა მიგვასწავლა. რამდენიმე ბიჭი აგვედევნა, საჩუქარს გვთხოვდნენ. ხნიერმა არაბმა არაბულად დაგუქსა და თავი დაგვანებეს.

მონასტრის კარი დაკეტილი იყო, თვით შენობას ქვითკირის გალავანი ჰქონდა შემოვლებული. აქ კათოლიკე ბერები ცხოვრობდნენ, რომელნიც მართლმადიდებლებზე პრაქტიკულნი იყვნენ. ამ ქვეყანაში ჯერ გალავანი უნდა ააგო და მხოლოდ ამის მერე დადგა რაიმე შენობა ან გააშენო ბაღი. გალავანი ერთადერთი მოწმობა იყო მაშინ, როცა რაიმე წერილობითი საბუთი არ ჰქონდათ, რაც ამ ქონებაზე მათ უფლებას დაადასტურებდა.

60 ჩარლზ სიდნეი ჯიბსი (1876-1963), რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის შვილების აღმზრდელი 1908-1918 წლებში. 1934 წელს მართლმადიდებლობა აღიარა და ბერად აღიკვეცა (მას ნიკოლოზი უწოდეს). 1937 წელს დიდ ბრიტანეთში დაბრუნდა (შდრ. Ch. L. Benag, *An Englishman in the Court of the Tsar: The Spiritual Journey of Charles Sydney Gibbes*, London 2000; F. Welch, *The Romanovs and Mr. Gibbes*, London 2003).

61 მღვდელმონაზონი (ბერძ. ιερομόναχος), მღვდლად ნაკურთხი ბერი.

რამდენი ქონება და კარგა ბერძნულმა საპაგრიარქომ მხოლოდ იმის გამო, რომ მამული ვალაენით არ ჰქონდა შემომღულული?! კარიბჭის მცველი, ქრისტიანი რომ ჩანდა, ხელზე გვემთხვია. ნაზარეთელი იყო. ძმა ავგუსტინი არ გამოჩნდა, ასე რომ თავად გავუყევით გზას ყმაწვილკაცის თანხლებით. იქ განსაკუთრებული არაფერი აღმოჩნდა – პაგარა მღვიმეში სამლოცველო იყო მოწყობილი; თუმცა ყველანი აღგვაფრთოვანა ხელმა, ამ ადგილიდან თვალწინ რომ გადაგვეშალა.

კარიბჭესთან შავკანიანი მამაკაცი გველოდა. იგი მონაზვნებთან დარაჯად მუშაობდა და ჩვენთან მეგზურად გამოეგზავნათ. როცა მონასტრიდან წამოვედით, იქ არ ყოფილა. ცოცხა რუსული იცოდა, თუმცა გზაში უმეტესად დუმდა. როცა არაბულ სოფელს კვლავ მივუახლოვდით, პაგარა ბიჭები თავს დაგვეხსნენ, ქვები დაგვიშინეს. ჩვენი მეგზური მათ მამაცურად იგერიებდა, ქვებს ესროდა და არაბულად უყვიროდა. ღვთის მადლით, ეს სახიფათო მონაკვეთი მოკლე გამოდგა. ბიჭებმა ვერ გაბედეს იმ ადგილის იქით, თავიანთი ემო-ყურის მოშორებით გამოგვიკიდებოდნენ. ასე იქცევიან ძაღლები: ისინი თავს არასდროს ესხმიან უცხოებს იმ ადგილას, რომელიც მათ პაგრონს არ ეკუთვნის.

ნასაუმბევეს არქიმანდრიგ კალიქსტს ვეწვიე. ძალიან გულთბილად მიმილო და წმ. კონსტანტინეს და წმ. ელენეს ბერძნული, პალესტინის უდიდესი მონასტერი დამათვალეირებინა. აქ იყო იერუსალიმის საპაგრიარქოს ცენგრი და თვით პაგრიარქიც აქ ცხოვრობდა.

მონასტერი უფლის საფლავის ეკლესიის გვერდით, მიწის დიდ ნაკვეთზეა გაშენებული. იგი ყოფილი ქართული მონასტრების – წმ. დემეტრესა და წმ. თეკლას მონასტრების მიწებსაც ფლობდა. მონასტრების ძველი ეკლესიები ჯერ კიდევ იდგა, თუმცა ქართული კვალი იქ აღარსად ჩანდა. წმ. თეკლას მონასტრის საგანძურის მცველს ახსოვდა ეს ამბავი, რომელიც სრულებით უცხო აღმოჩნდა წმ. დემეტრეს მონასტრის ბერი-სათვის. ჩვენ ბიბლიოთეკაში შევედით. არქიმანდრიგმა წარმადგინა ბიბლიოთეკის გამგესთან, არქიეპისკოპოს მელიგონ მადაბელთან⁶², რომელიც, იერუსალიმის საპაგრიარქოში იერარქიით მეორეა იერუსალიმის პაგრიარქის შემდეგ. მანაც ძალიან გულთბილად მიმილო და ნება დამრთო, ბიბლიოთეკით მესარგებლა ოფიციალურ საათებში, ანუ ყოველდღე ცხრის ნახევრიდან თორმეტის ნახევრამდე. ეს დრო საკმაო არ იყო. მუშაობა შემდგომი კვირიდანვე უნდა დამეწყოს. არქიმანდრიგს ვთხოვე, ჩემთვის უფლის საფლავის ბაზილიკა ეჩვენებინა, რაზედაც სიამოვნებით დამთანხმდა. დიდი ხნის წინ თვით გოლგოთიაც ქართველებს ეკუთვნოდა.

62 მადაბა (ბიბლიური მედაბა, ბერძ. Μαδαβα), ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ იორდანიაში, რომელიც ამანის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს.

ალ. ცაგარელის⁶³ დროსაც კი არსებობდა ქართული წარწერა იმ ადგილას, სადაც ქრისტე ჯვარს აცვეს. სამწუხაროდ, ეს წარწერა მოაშლევიანა და რუსული წარწერით შეაცვლევინა დიდი მთავრის მეუღლემ ელიზავეტა ფიოდოროვნამ,⁶⁴ რომელმაც თავის დიდგვაროვან მეუღლესთან ერთად, დიდი ამაგი დასდო წმინდა მიწას. მისი ქმარი ერთხანს რუსეთის საიმპერატორო მართლმადიდებლური პალესტინური სამოგადოების პრეზიდენტი იყო.⁶⁵

მადლობა ღმერთს, რომ ალ. ცაგარელმა ამ წარწერის⁶⁶ ფოტოსურათი დაგვიტოვა. იქ მრავალი სამლოცველო და ღვთაებაა. მართლმადიდებლებს,

63 ალექსანდრე ცაგარელი (1844-1929), ცნობილი ქართველი მეცნიერი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტი. გრიგოლ შერაბე წერდა: „სახელგანთქმული ქართველი მეკლევარი ჩემთვის ნიმუში იყო სამეცნიერო მუშაობისას. იგი იყო პირველი, ვინც მთელ მსოფლიოში მოიძია ქართული ხელნაწერები, დაიწყო მათი აღნუსხვა და კატალოგების შექმნა. იგი იყო ძველი ქართული ხელნაწერების სამეცნიერო კვლევის ფუძემდებელი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი დიდი ხნის მანძილზე. 1929 წელს გარდაიცვალა თბილისში. მის ნაკვალევს დავადექი და მიხლოდა მენახა ის, რაც მისთვის მიუწვდომელი იყო XIX საუკუნის ბოლოს“. [Św. Grzegorz Peradze, *W służbie kultury gruzińskiej*, [ასევე:] *Dziela zebrane*, I, გვ. 69; წმ. გრიგოლ შერაბე, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, ბერძნულ-სომხური ისტორიისთვის საქართველოში, ქართული ეკლესიის უძველესი ისტორია, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო დავით ყოლაბაძემ, ვარშავა, 2012, გვ. 74].

64 ელისაბედ ფიოდოროვნა (1864-1918), რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის მეუღლის, ალექსანდრა ფიოდოროვნას და. დიდი მთავრის, სერგეი ალექსანდროვიჩის მეუღლე. მას შემდეგ, რაც მისი მეუღლე 1905 წელს რევოლუციონერებმა მოკლეს, მოსკოვში დავრდომილთა თავშესაფარი დააარსა. იგი ბოლშევიკებმა აწამეს და მაღაროში ცოცხლად ჩააგდეს. 1992 წელს ელისაბედ ფიოდოროვნა რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღეა 18 VII.

65 1882 წელს პალესტინის რუსეთის საიმპერატორო სამოგადოება სერგო ალექსანდროვიჩ რომანოვის (1857-1905) ინიციატივით დაარსდა პალესტინაში, სირიასა და ლიბანში მართლმადიდებლობის მხარდასაჭერად. მას ჰქონდა სკოლები, სასტუმროები და საავადმყოფოები. სამოგადოება მონაწილეობას იღებდა არქეოლოგიურ გათხრებში და წმინდა მიწის შესახებ სამეცნიერო შრომებს აქვეყნებდა. 1918 წელს პალესტინის საიმპერატორო სამოგადოება რუსეთში სახელმწიფო ინსტიტუტად გამოცხადდა. 1992 წელს სამოგადოებამ საქმიანობა განაახლა. შტრ. ა. ვრუშევი, *Императорское Палестинское общество: (по петербургским архивам), Архивы русских византистов в Санкт-Петербурге*, პეტერბურგი, 1995, გვ. 134-156; Россия в Святой Земле: документы и материалы, М., 2000, I-II; Н. Лисовой; *Православие в Святой Земле. СПб., 1881. (Православный Палестинский сборник. Т. I. Вып. 1. Изд. В. Н. Хитрово).*

66 ა. ცაგარელი, *Памятники грузинской старины въ Святой земле и на Синае*, გვ. 248.

ფრანცისკელებს, სომხებს⁶⁷, სირიელებს⁶⁸ და კოპტებს⁶⁹ თავთავიანთი დიდი თუ პაგარა სამლოცველო აქეთ. წმინდა სახარების მთელი გრაგედია და დიდება სწორედ ამ ადგილას აღსრულდა. აქ, ამ სახურავექვეშ იყო გოლგოთა, სადაც ჩვენი მაცხოვარი ჯვარს აცვეს, სადაც დედამისი, წმინდა იოანე, მორწმუნე ასისთავი და ხალხის ბრბო იყო თავშეყრილი. ცოცხა მოშორებით იყო ადგილი, სადაც იგი დაკრძალეს და სადაც აღდგა; სადაც ნიკოდემოსისა და იოსებ არიმათიელის საფლავები იყო; სადაც მისი სამოსი⁷⁰ გაიყვეს და სადაც მოგვიანებით წმ. კონსტანტინემ⁷¹ და წმ. ელენემ⁷² სამი ჯვარი იპოვეს. შუა საუკუნეებში სწამდათ, რომ აქ იყო ადამისა და მელქისედეკის საფლავები და აქ უნდა ყოფილიყო მთელი სამყაროს ცენტრიც. აქვე იყო პირველი ლათინი მეფეების საფლავებიც; სამწუხაროდ, ამ საფლავებზე წარწერები განადგურებულია. ქართველთა უსახელოვანესი მეფე თამარი,⁷³ რომლის საფლავსაც ამოდ ეძებდნენ საქართველოში, შესაძლოა, აქ იყოს დაკრძალული. რამდენიმე სამლოცველო და თვით გოლგოთაც ოდესღაც ქართველებს ეკუთვნოდა. არ ვიცოდი, ენით გამოუთქმელი მადლიერება როგორ გამოემხატა ფრანცისკელთა მცველის მიმართ. მან არქიმანდრიტს თავი ძალიან თავაზიანად დაუკრა და ბევრი სიძველე მაჩვენა. „უმათერე-

67 სომხები (სომხ. Հայեր), ინდოევროპული წარმოშობის ხალხი, რომელიც თავდაპირველად ამიერკავკასიაში და სომხეთის მთიანეთში სახლობდნენ. მრავალსაუკუნოვანი ემიგრაციის შედეგად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დამკვიდრდნენ. სომეხი ხალხის იდენტურობის ერთ-ერთ საფუძველს სომხური სამოციქულო ეკლესია წარმოადგენს. სომეხი უძველესი ერია 3000 წლოვანი ისტორიით, ამავე დროს მსოფლიოში პირველი ქრისტიანული სახელმწიფოა, რომელიც 301 წელს სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

68 რომის იმპერიის სირიის პროვინციის მოსახლეობის აღმნიშვნელი საერთო სახელი.

69 კოპტები (არაბ. اقباط აკბატ), კოპტური ეკლესიისა და კათოლიკური ეკლესიის კოპტური წესების მიმდევრები. ისინი ეგვიპტელი ქრისტიანების შთამომავლები არიან.

70 შდრ. მათე 27, 32-66; მარკოზი 15, 20-47; ლუკა 23, 26-56; იოანე 19, 17-42.

71 წმ. კონსტანტინე I დიდი (272-337), რომის იმპერატორი. მისი გამეფებით დასრულდა ქრისტიანების დევნა (313 წელს გამოსცა ე.წ. „მილანის ედიქტი“). წმ. კონსტანტინე დიდმა 324 წელს ქრისტიანობა რომის იმპერიის ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა, დედაქალაქი რომიდან ბიზანტიონში გადაიტანა და მას კონსტანტინეს ქალაქი – „ონსტანტინოპოლის უწოდა, რომელიც შემდეგ ბიზანტიის დედაქალაქი გახდა. მისი ხსენების დღეა 21 V.

72 წმ. ელენე დედოფალი (255-328), რომის იმპერატორის კონსტანტინე დიდის დედა. წმინდა მიწაზე იერუსალიმის პატრიარქ მაკართან ერთად ცხოველმყოფელი ჯვრის ძებნას შეუღდა, რომელიც 326 წელს აღმოაჩინა. მაშინ კონსტანტინე დიდის ბრძანებით მაცხოვრის საფლავზე უფლის აღდგომის გაძარი ააგეს. ელენე დედოფალმა ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი პატრიარქ მაკარს გადასცა, ნაწილი კონსტანტინოპოლში წაასვენა. ელენე დედოფალს ცხოველმყოფელი ჯვრის აღმოჩენისათვის წმინდა მოციქულთასწორი ეწოდა. მისი ხსენების დღეა 21 V.

73 წმ. თამარ მეფე (დაახ. 1165-1213), საქართველოს მონარქი, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენელი.

სია, – მითხრა მან ფრანგულად, – საკუთარი შინაგანი ბუნების სრულყოფას ცდილობდე“. მისი ნათქვამი გაძრის სიწმინდით შთაგონებულ დალოცვად მივიღე და იქაურობა გამხსნევებულმა დავგოვე.

არქიმანდრიტს დავემშვიდობე და პოლონეთის გენერალურ კონსულთან, ბატონ მჯისლავ კურნიკოვსკისთან⁷⁴ შესახვედრად გავემურე. უკვე კარგა ხანი იყო გასული, რაც იერუსალიმში ვიყავი და ჩემი მოქალაქეობრივი ვალი ჯერაც არ მქონდა აღსრულებული. იქ ცნობილი იემუიგის, მამა ფრანც მორელის⁷⁵ რომიდან გამოგზავნილი წერილი მელოდა. ჩვენ, როგორც მკვლევარებს, ერთმანეთთან კავშირი გვქონდა. ეს იყო სარეკომენდაციო წერილი პაპის ბიბლიური ინსტიტუტის დირექტორთან, ინსტიტუტს იემუიგები მართავდნენ. წერილში უნიშვნელოვანესი ცნობა იყო: რომის სომხურ ხელნაწერებში ძველი ქართული ხელნაწერები აღმოჩენილიყო. შესაძლოა, მათში მნიშვნელოვანი ძველი ქრისტიანული, პაგრისტიკული ლიტურჯურული საბუთებიც ყოფილიყო. ამ ცნობამ ძალიან გამახარა.

ნასადილევს გეთსიმანიაში⁷⁶ წავედი მამა ნიკოლას ჯიბსის სანახავად. ჩვენ ერთმანეთს მანამდე ენ კერეში შევხვდით და წმ. იოანეს სენაკში ერთად წავედით.

საშინელი სიცხე იყო. იერუსალიმის კარგად შემონახული ძველი გალაგანის ძირას მივაბიჯებდი. დამასკოს კარიბჭის⁷⁷ მარცხნივ პალესტინის მუზეუმი⁷⁸ იყო – ძალიან ლამაზი, პალესტინური სტილის შენობა. როგორც ჩანდა, დამთვალეირებელთა მისაღებად ჯერ არ გაეღოთ. კარიბჭეს როცა გავცდებოდი, ქვემოთ უნდა დავშვებულიყავი და შემდეგ მარჯვნივ შემეხვია. კარგად მოასფალტებულ გზასა და გალაგანს შორის დანგრეული სახლე-

74 კამბიეჟ მჯისლავ კურნიკოვსკი (1885-1965), პოლონელი დიპლომატი, სამართლის დოქტორი, 1932-1936 წლებში პოლონეთის გენერალური კონსული იერუსალიმში. შდრ. *Rocznik Służby Zagranicznej. Stan na 1 kwietnia 1938 r.*, ვარშავა 1938, გვ. 119, 198.

75 ფრანც მორელი (1863-1947), გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე, იემუიგების ორდენის წევრი, ძველი ქართული ენის გრამატიკის ავტორი (*Grammatik zur Altgeorgischen Bibelübersetzung mit Textproben und Wörterverzeichnis*, Rome 1930).

76 მათე, 26, 36. სანუ: მეთისხილის ბალი: გეთსიმანია (ებრ. מנחתא בერד. Γεθσημανι), გრადიციულად ითარგმნება როგორც მეთისხილის ბალი), ადგილი სადაც იესო მოციქულებთან ერთად ლოცულობდა.

77 დამასკოს კარიბჭე (ებრ. מנחתא შაარ შესემ; არაბ. باب الدماشق, ბაბ ალ-ამუღ), დამასკოს კარი იერუსალიმის არაბულ კვარტალში მთავარი შესასვლელი. კარიბჭის ებრაული სახელი ქალაქ სიხემის სახელს უკავშირდება, კარიბჭედან გამოსული გზა იერუსალიმის ქალაქისკენ მიემართებოდა. უძველეს დროში კარიბჭის გავლით გზა დამასკოსკენ მიემართებოდა, საიდანაც მომდინარეობს კარიბჭის ევროპული სახელი.

78 იგულისხმება როკველერის მუზეუმი, წინათ პალესტინის არქეოლოგიური მუზეუმი, რომელიც ისრაელში გათხრების შედეგად მოპოვებული ძეგლების დიდი კოლექციით არის ცნობილი. მუზეუმი 1930 წელს დაარსდა. მის შენობაში განთავსებულია ისრაელის სიძველეთა დაცვის დეპარტამენტი.

ბი მოჩანდა. ამბობენ, რომ აქ კრაკოვის პარკისნაირი პარკის გაშენებას აპირებენ. წმ. სტეფანეს⁷⁹ კარიბჭის უკან (რომელსაც წმ. მარიაშის კარიბჭესაც უწოდებენ) გზა დაღმართზე ჩადიოდა, მარცხნივ უხვევდა და ხეობის გავლით მეთისხილის მთისკენ⁸⁰, „მცირე გალილეისკენ“⁸¹ მიემართებოდა. იმ ადგილს ჩაუვარე, სადაც წმ. სტეფანე ჩაქოლეს. იქ ახლა პატარა ბერძნული მონასტერია,⁸² რომელსაც მარცხნიდან სომხური გეთისმანია ესაზღვრება, მის გვერდით კი ბაზილიკაა, სადაც ღვთისმშობლის საფლავია.⁸³ ბაზილიკისკენ მიმავალი გზა ორად იყოფოდა: ერთი გზა მეთისხილის მთისკენ, მცირე გალილეისკენ მიდიოდა, მეორე კი, ფრანცისკელთა გეთისმანიისა და სოფელ სილოანის⁸⁴ გავლით, ბეთანიისკენ⁸⁵ მიემართებოდა

79 წმ. სტეფანეს კარი, (ლომების კარიბჭე), სახელი მომდინარეობს სულთან ბაიბარსის დინასტიური სიმბოლოდან, რომელიც გამოსახულია კარიბჭის გარე ფასადზე. ქრისტიანები მას ჩვეულებრივ წმ. სტეფანეს კარს ეძახდნენ, რადგან ამ ადგილას წმ. სტეფანე ქვებით ჩაქოლეს (საქმეები 7, 58). ამ კარიბჭედან იერუსალიმის მუსულმანურ უბანში შედისარ.

80 მეთისხილის ანუ ელეონის მთა (ებრ. מִתְּהַרְהָר, ბერძ. όρος των Ελαιών), ძველი იერუსალიმის აღმოსავლეთით მდებარეობს (ზღვის დონიდან 818 მეტრ სიმაღლეზე) და მისგან კედრონის ხეობით არის გამოყოფილი. თავისი წოდება მთამ იმ მეთისხილის ბაღებისაგან მიიღო, რომელიც მის ფერდობზე იყო გაშენებული.

81 მცირე გალილეა (ბერძ. Μικρά Γαλιλαία, ლათ. *Viri Galilei*), წარსულში სადგომი მეთისხილის მთაზე, სადაც იუდეველთა დღესასწაულზე იერუსალიმში ჩამოსული გალილეელები ჩერდებოდნენ. დღეს ეს სახელწოდება მონასტრის სახელს უკავშირდება, რომელიც მართლმადიდებლური გრადიციის თანახმად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წმინდა ადგილია. უკავშირდება მაცხოვრისა და მოციქულების ცხოვრებას დიდი ხუთშაბათიდან სულთმოფენობამდე. 1880 წელს მცირე გალილეა იერუსალიმის მართლმადიდებელმა პატრიარქმა მუსულმანებისგან შეისყიდა.

82 ლომების კარიბჭესთან ანუ წმ. სტეფანეს კარებთან ახლოს, იმ ადგილას სადაც წმ. სტეფანე ქვებით ჩაქოლეს (საქმეები 7, 55-60), მდებარეობს წმ. სტეფანეს სახელობის მართლმადიდებლური ეკლესია.

83 როგორც აპოკრიფი *Transitus Mariae* მოგვითხრობს ამ ადგილიდან იესოს დედა მარიაში ბეცაში ამაღლდა. ჯერ კიდევ II საუკუნეში ამ ადგილს თაყვანსცემდნენ იუდეველი ქრისტიანები. IV ს-ში აქ ღვთისმშობლის სახელობის პირველი ტაძარი აღიმართა, ხოლო იმპერატორმა მაკრიკიოსმა 490 წელს შემოთა ეკლესია დააშენა. ჯვაროსნების დროს შემოთა ეკლესია დანგრეული დახვდათ. 1120-1130 წლებში ღვთისმშობლის საფლავთან ახალი ეკლესია და მონასტერი აშენდა. სალადინმა იგი 1187 წელს დაანგრია, მხოლოდ ღვთისმშობლის აკლდამა მისდამი პატივისცემის ნიშნად ხელუხლებლი დატოვა.

84 სილვანი (ებრ. בֵּית הַשִּׁילָנִי არაბ. السيلان) სოფელი ძველი იერუსალიმის მახლობლად, რომელიც გადაჭიმულია კედრონის ხეობის გასწვრივ. ბერძნული სილოამი (Σιλωάμ) ებრაული სილოამიდან მომდინარეობს, ხოლო არაბული სილვანი ბერძნული სილოამიდან. ისტორიული სილოამ (სილოე) მდებარეობდა კედრონის აღმოსავლეთ ფერდობზე. XIX საუკუნის მოგზაურები ამ სოფელს ციცაბოზე გამწვანებულს და გაშენებულს აღწერენ.

85 ბეთანია (ბერძ. Βηθανία, ახლანდელი ალ-აიზარია), სოფელი, რომელიც სახარების თანახმად მეთისხილის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე მდებარეობს, იერუსალიმიდან 2,7 კმ. დაშორებული. ბეთანიაში მდებარეობდა მარიაშის, მართას და ლაზარეს სახლი.

და მერე იერიქონის მიმართულებით ვრძელდებოდა. რუსულ გეთისიმა-
ნიაში მისასვლელად გზას ჯერ ზეთისხილის მთისკენ უნდა გაუყვეთ. იქ
კი, რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ, მარჯვნივ შეუხვიეთ.

მამა ნიკოლას ჯიბსი შინ იყო. იგი მონასტრის ყველაზე მაღალ ადგილას,
მომცრო შენობაში ცხოვრობდა, რომელიც ვილას წააგავდა. გემოვნებით
მოწყობილი ვილა ერთ მდიდარ და ღვთისმოსავ, მართლმადიდებლუ-
რი ეკლესიით დიდად დაინტერესებულ ინგლისელ ქალს დაექირავებინა,
რამდენიმე თვის წინ კი ინგლისში წასულიყო და სახლი მამა ნიკოლასი-
სთვის დაეგოვებინა.

ვილას აივანი ჰქონდა, საიდანაც თვალწინ დიდებული ხედი გადა-
მეშალა. განტოგვილი კვიპაროსის მიღმა არა მარტო ყველაზე დიდი
სამონასტრო ეკლესიის – წმ. მარიამ მაგდალინელის⁸⁶ ოქროსფერ
გუმბათებს ვხედავდი, არამედ ფრანცისკელთა გეთისიმაში აღმარ-
თული ეკლესიის გუმბათებსაც და, მათ უკან, იერუსალიმის გალაგანსა
და ოქროს კარიბჭეს,⁸⁷ რომელიც არაბთა ხანის შემდგომ გადაკეტილია.
კარიბჭის უკან ომარის მეჩეთია.⁸⁸ წმ. მარიამ მაგდალინელის ეკლესიაში,
რომელსაც გულმოდგინედ ასუფთავებდა რამდენიმე მონაზონი, ხელო-
ვნების ნიმუშები აღარ იყო. ყველაფერი წარმომადგენლობის მთავარ
ეკლესიაში გადაუგანიათ. მხოლოდ ვერეშჩაგინის⁸⁹ ნახატები იყო დარ-
ჩენილი. ერთ-ერთი მათგანი მესხიერებაში ჩამებეჭდა: დილით უფლის
საფლავთან მისულმა წმინდა ქალებმა ლოღბე ჩამომჯდარი ანგელოზი
იხილეს და მას გაესაუბრნენ. ფოტოსურათის გადაღება მიხდოდა, მაგრამ,
სამწუხაროდ, ეკლესიაში უკვე ბნელია. აქ, აკლდამაში დაკრძალულია
დიდი მთავრის მეუღლე ელიზავეტა ფიოდოროვნა, რომელიც წმ. მართა-
სა და მარიამის მონასტრის ილუმენია იყო მოსკოვში და ბოლშევიკებმა
მოკლეს. იგი მაღაროში ჩააგდეს, საიდანაც ერთმა ბერმა ამოასვენა და,
მთელ რუსეთში ძნელი და ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, ჩამოასვენ-
ნა და დაკრძალა იმ ეკლესიაში, რომელიც მისი აშენებული იყო. ის ბერი,

86 1888 წელს მარიამ მაგდალინელის რუსული მართლმადიდებლური ეკლესია აკურთხეს. მას
ესწრებოდა პრინცესა ელისაბედ ფიოდოროვნა, რომელიც მისი უკანასკნელი სურვილის თა-
ნახმად იქვე არის დასაფლავებული. მისი ბალზამირებული სხეული 1921 წელს ჩაასვენეს.

87 ოქროს კარიბჭე (ებრ. מִזְבֵּחַ הַזָּהָב, შაარ ჰარახამიმ, „მოწყალების კარიბჭე“), იერუსა-
ლიმის ძველი ქალაქის გალაგანზე დღემდე შემორჩენილ კარიბჭეთა შორის უძველესია.
ებრაული ტრადიციის თანახმად ამ კარიბჭიდან იერუსალიმში მესია უნდა შემოვიდეს. 1530
წელს კარიბჭე ოსმალეთის მმართველების მიერ დალუქულ იქნა. კარიბჭე ჩვეულებრივ
„მშვენიერ კარიბჭედ“ იწოდებოდა (საქმეები 3, 2).

88 ეს სახელი ეწოდა არაბთა ხალიფის ომარ I-ის დროს (დაახ. 581-644), რომლის ჯარებმა
დაიპყრეს სირია, ეგვიპტე, ერაყი და სპარსეთის დიდი ნაწილი, 638 წელს – იერუსალიმი.

89 ვასილ ვასილიევიჩ ვერეშჩაგინი (1842-1904), რუსი მხატვარი.

მამა სერაფიმი,⁹⁰ ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა. გადავწყვიტე, უახლოეს ხანში ვწვეოდი. წმ. მარიამ მაგდალინელის მონასტერი ამჟამად ინგლისის მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნის, რომელსაც აქ, ბეთანიამში, მცირერიცხოვანი მრევლი ჰყავს.

მამა ნიკოლასი მართალი იყო, როცა დაჟინებით იმეორებდა, რომ იერუსალიმი რელიგიური ცენტრი უნდა ყოფილიყო, ხოლო სამთავრობო და საეკლესიო დაწესებულებები (ასევე უნივერსიტეტები, გარდა სამონასტრო უმაღლესი სასწავლებლებისა) სადმე სხვაგან უნდა გადაეგანათ. როცა უკან ვბრუნდებოდი, გამომაცნია და ერთი ძველი ბილიკი და დიდი ლოდი მახვენა. აქა-იქ ძველ სასაფლაოთა ნაშთები მოჩანდა. ლოდთან ყვავილები იყო დარგული. მამა ნიკოლასს სწამდა, რომ ქრისტემ თავისი ბოლო ლოცვა სწორედ ამ ადგილას წარმოთქვა.

– „იქ, ქვემოთ, სადაც ფრანცისკელთა მონასტერია, – მითხრა მან, – გზა ძალიან ახლოს იყო, აქ კი უფრო სიწყნარე იქნებოდა.

– აქეთ მომავალი ებრაელები და იუდა აქედან უკეთ გამოჩნდებოდნენ“. მართლაც, სახარება გვაძნობს, რომ ისინი შორიდანვე მოჩანდნენ“.

რაკილა ცოგა დრო კიდევ მქონდა, მეთისხილის მთაზე ავედი, რათა სახელგანთქმული მართლმადიდებლური დედათა მონასტერი მენახა. 808 წლის, Commemoratorium-ის⁹¹ თანახმად, ამ ადგილას მამათა და დედათა მონასტრები უძველეს დროშივე არსებობდა. როცა რუსებმა გასული საუკუნის მეორე ნახევარში საკათედრო გაძრის მშენებლობა დაიწყეს, მრავალი საინტერესო მოზაიკა აღმოაჩინეს სომხური წარწერებით, რომლებიც V-VII საუკუნეებით თარიღდება. ომის დროს რუსული სასულიერო წარმომადგენლობიდან მუშეუმი ამ მონასტერში გადმოუგანიათ. ცნობილი არქეოლოგის, მ. როსტოვეცევის⁹² მოწმობით, მუშეუმი საკმაოდ საინტერესო იყო.

გზა საშინელი გამოდგა. მამა ნიკოლასის ვილის უკან, მარჯვნივ ცხოვრობდა არაბული ოჯახი, რომელიც ერთ დროს მთელ გეთსიმანიას ფლობდა, რუსებისა და ფრანცისკელების კუთვნილი მიწების ჩათვლით. ამბობენ, რომ მათი სახლის სარდაფში ახლაც არის მოზაიკა, რომელმაც იერუსალიმში სახელდარბე მჯდომი ქრისტეს დიდებით შესვლაა გამოსა-

90 სერაფიმი (იური მისაილოვიჩი კუზნეცოვი, 1875-1959), პერმის ეპარქიაში წმ. ალექსის მონასტრის წინამძღვარი, დიდი მთავრის მეუღლის, ელისაბედ ფიოდოროვნას მეგობარი და მოძღვარი, 1921 წელს მან ჩამოასვენა მისი ცხედარი იერუსალიმში (შდრ. Г. Бирилов, *Краткое жизнеописание игумена Серафима (Кузнецова). К 40-летию со дня кончины*, Журнал Московской Патриархии, 61:1999, № 7, გვ. 41-45).

91 Commemoratorium – (ლათ. „სამახსოვრო ჩანაწერები“) ქრისტიანული პილიგრიმული ლიტერატურის ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლი, რომელიც 808 წლით თარიღდება.

92 მ. როსტოვეცივი, *Русская археология в Палестине*, „Христианский Восток“, 1(1912), გვ. 257. [მიხეილ როსტოვეცივი (1870-1952), ცნობილი რუსი არქეოლოგი და სიძველეთმცოდნე, 1917 წლიდან ემიგრაციაში ცხოვრობდა.]

ხული, თუმცა ოჯახი ამ მოზაიკას არავის აჩვენებს. ამ სახლის უკან კიდევ ერთი კათოლიკური მონასტერია, მარცხნივ – ძველი მონასტრის ნანგრევები. ქრისტემ, ალბათ, ამ ადგილას იწინასწარმეტყველა იერუსალიმის დანგრევა.⁹³ მონასტერი ბერძნებს ეკუთვნოდათ. ნანგრევებში შევედი და ქვა-ლორღში კარგა ხანს ვხეგიალებდი. ერთმა მოზრდილმა ხვლიკმა დამინახა და ქვის ქვეშ შეიმალა. სულ მალლა, მთაზე, პაგარა არაბული სოფელი გამოჩნდა. ერთ-ერთი პირველი სახლის კედელზე გაკეთებულმა წარწერამ შემაცდინა და იმის ნაცვლად, რომ მარცხნივ გამეხვია, პირდაპირ წავედი. იმ წარწერის მიხედვით, ეს გზა მეთისხილის მთაზე, მონასტრისკენ მიდიოდა. თუმცადა, მონასტრის კარიბჭე დაკეტილი დამხვდა და მთელი არაბული სოფლის გავლა მომიხდა, შესასვლელი კარი რომ მომენახა. როცა იქაურ ბინადართა სახლებს, ან უფრო სწორად, საცოდავ ქოხმახებს ვათვალიერებდი, ვფიქრობდი, რომ აქაურნი ან მონასტრის ნანგრევებზე იყვნენ დამკვიდრებულნი, ანდა დიდ საკათედრო გაძარს მიკედლებულნი. სამწუხაროდ, მონასტრის მუზეუმში მდიდარი კოლექცია აღარ იყო. უბირ მონაზვნებს თურმე ერთმა ცბიერმა და თაღლითმა სომეხმა ყველაზე ფასეული ნივთები დასცინცლა, ალექსანდრიაში გაყიდა და გამდიდრდა. როცა ხელოვნების ნიმუშები სასულიერო წარმომადგენლობიდან მოიგანეს და გახსნეს, მონაზვნები ანტიკურ წარმართულ ქანდაკებათა – შიშველი ჰერმესის, აღონისისა და აფროდიტეს – ხილვამ შეაძრწუნა. სომეხმა ვაჭარმა ეს ამბავი შეიგყო და მონასტერს საჩოთირო ნივთები თავიდან მოაშორა.

მუზეუმის მოზაიკა კარგად არის ცნობილი; მისი ფოტოსურათები მრავალ ჯერაა გამოქვეყნებული. მე უფრო მაინტერესებდა იუდეველთა მეფის, ემეკიას⁹⁴ საფლავის ქვა, რომელიც პალესტინაში, რუსულ გერიგორიაზე მშენებლობისას აღმოაჩინეს. მონაზონმა, რომელიც იქაურობას მათვალიერებინებდა, მითხრა, ებრაელები ამ ქვის აღმოჩენამ ძალიან აღაფრთოვანა, გვეშინია, არ მოიპარონ და ამიგომ საგანგებო ყუთში გვაქვს მოთავსებული და ჩაკეტილი. გასაღები ვიღაც სხვას ჰქონდა. მე არავის შეწუხება არ მინდოდა, თანაც მაგვიანდებოდა. შინისკენ იმავე გზით გამოვბრუნდი. ჯერ კიდევ მთაზე ვიყავი, როცა ერთმა არაბმა, მეჩეთთან რომ იჯდა, რუსულად შემომთავაზა შევსულიყავი და მენახა ამაღლებამდე დატოვებული ნაფეხური ჩვენი მაცხოვრისა⁹⁵. იმ დღეს საკმაოდ ბევრი რამ ვნახე და ამიგომ თავაზიანად მადლობა ვუთხარი.

93 მათე, 24, 15-22.

94 ემეკია (ძვ.წ. ?-698), იუდეის მეფე ძვ. წ. 715-686 წლებში.

95 ამაღლების გაძარი (ბერძ. Εμψάνου, ლათ. *Imbanon*), 330-378 წლებში აიგო. ამჟამად შემორჩენილია გაძრის ცენტრალური ნაწილი და მაცხოვრის გერფის ანაბეჭდი.

9. VII. ხუთშაბათი

ნასაუმზევეს პაპის ბიბლიურ ინსტიტუტში⁹⁶ წავედი. იქ ძალიან საინტერესო რამ შევიტყვე. თურმე ჩემი ხელმძღვანელი, სახელგანთქმული აღმოსავლეთმცოდნე პეეტერსი,⁹⁷ რამდენიმე თვის წინ იერუსალიმში ყოფილა ხუთი-ექვსი დღით. სხვა ადგილებთან ერთად წმ. იაკობის სომხურ მონასტერსაც სწვევია, რადგან უთქვამთ, შესაძლოა, იქ ქართული ხელნაწერები იყოსო.⁹⁸ ამის გამო მამა სავინიაკმა,⁹⁹ ამავე ინსტიტუტის თანამშრომელმა, (წარმოშობით ფრანგმა), შემაგულიანა, რომ იქ და უფლის საფლავთან მდებარე სხვა მონასტრებში ხელნაწერების მოძიებას შეედეგომოდი. ასევე შევიტყვე, რომ იესოს სამოგადოების წევრი, ბეირუთის¹⁰⁰ იესოს კოლეჯის პროფესორი მამა ოვანეს მესერიანი,¹⁰¹ ანტიოქიის გვერდით,¹⁰² საკვირველ მთაზე, განაგრძობდა არქეოლოგიურ გათხრებს. ძველად იქ ქართველი ბერები ცხოვრობდნენ და შესაძლოა, ბევრი ქართული ძეგლი აღმოჩენილიყო. მამა სავინიაკი დამპირდა, რომ სარეკომენდაციო წერილს გამატანდა მის აღმაგებულებასთან, უფლის საფლავის გვერდით მდებარე კათოლიკური მონასტრის ილუმენთან და იერუსალიმის კათოლიკური სკოლის რექტორთან, ვისი დახმარებითაც შეეძლებოდა მდიდარ კათოლიკურ კოლეჯებში ჩემთვის საინტერესო საბუთების მოძიებასა და გამოკვლევას.

96 იგულისხმება, იერუსალიმის ბიბლიისა და არქეოლოგიის სკოლა – *Ecole Bi et Archeologique Francaise de Jerusalem*, რომელიც მარია იოსებ ლაგრანგეს (1855-1938) მიერ 1890 წელს დაარსდა.

97 პაულ პეეტერსი (1870-1950), ცნობილი ბელგიელი აღმოსავლეთმცოდნე, რომელთანაც გრიგოლ ფერაძე თანამშრომლობდა. როგორც თავად აღნიშნავს, მასთან სიახლოვემ „დიდი შემოქმედებითი სტიმული მისცა“. შდრ. P. Devos, *Le R. P. Paul Peeters*, Bruxelles 1951. (შდრ. G. Peradze, *W służbie kultury gruzińskie*, „Przegląd Prawosławny”, 11(1996), №. 9, გვ. 9, ქართული კულტურის სამსახურში, წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო დავით ყოლბაიამ, ვარშავა 2012, გვ. 54 .

98 წმ. იაკობის ეკლესია (სომხ. Սուրբ Հակոբյանց վանք) იერუსალიმის სომხური საპატრიარქოს დიდი კომპლექსის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ეკლესიამ საბოლოო სახე XII საუკუნეში მიიღო. ეკლესია წმ. იაკობ უფროსის და იაკობის, იესოს ძმის სახელზე აიგო.

99 რაფაელ სავინიაკი (1874-1951), ფრანგი დომინიკელი, არქეოლოგი, იერუსალიმის ბიბლიური სკოლის მასწავლებელი.

100 ბეირუთი (არაბ. بيروت, ბაირუთ, ბერძ. Βηρυττός, ასევე Λαοδικεία ή του Φοινίκης), ლიბანის დედაქალაქი და უდიდესი ქალაქი, სადაც ლიბანის მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს.

101 ოვანეს მესერიანი (1888-1965), სომეხი იემუიტი, არქეოლოგი და ეკლესიის ისტორიკოსი. ბეირუთში 1923 წელს წმ. გრიგოლ განმანათლებლის კოლეჯის დამაარსებელი. 1932 წლიდან თეოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი. შდრ. H. Jalabert, *Mecorian Hovhannes, Diccionario histórico de la Compañía de Jesús. Biográfico-Temático*, ed. Ch. E. O’Neill & J. M. Domínguez, Roma-Madrid, 2001, III, გვ. 2597-2598.

102 შდრ. J. Mecorian, *Expédition archéologique dans l’Antiochene occidentale*, Beyrouth, 1965.

მამა სავინიაკმა ინსტიტუტის მუშეუმის ოთახში მიმიღო. სხვა ნივთებთან ერთად იქ იყო იორდანის უდაბნოში იეზუიტების მიერ ჩაგარებული არქეოლოგიური გათხრებისას გადაღებული ერთი ფოტოსურათიც. მასზე გამოსახულია უძველესი წარმართული სიმბოლო, ისეთი ვარსკვლავი, ახლა კომუნისტებს რომ აქვთ, მის ირგვლივ კი – ასტარგე.¹⁰³

სადილობამდე ცოცხალი დრო კიდევ მქონდა და იერუსალიმის ანგლიკანელი ეპისკოპოსის მოსანახულებლად წავედი. სარეკომენდაციო წერილი მასთან საქართველოს ცნობილმა მეგობარმა, გიბრალგარის ეპისკოპოსმა ჰაროლდ ბაქსტონმა¹⁰⁴ გამომაგანა. სამწუხაროდ, ეპისკოპოსი იერუსალიმში არ იყო და მისმა თანაშემწემ, არქიდიაკონმა, მიმიღო. მან მაუწყაა წმ. ჯვრის მონასტრის ეკლესიაში ქართული წარწერების არსებობის შესახებ, ხოლო შემდეგ სარეკომენდაციო წერილი გამოგანა სომხებთან და კანონიკ ბრიჯმანთან, ვისაც სირიელებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ისიც მითხრა, კოპტებთან დაკავშირება ძნელიაო. არქიდიაკონმა ბევრი რამ მიაძებო ქართველ დიდებულზე, რომელიც საქართველოს უკანასკნელი მეფის პირდაპირი შთამომავალი ყოფილა. იერუსალიმში ინგლისელებთან უმსახურია, სასაფლავო უვლიდა, ცოცხალის წინ კი გიბერიაში¹⁰⁵ გადასულა.

შინისაკენ მიმავალმა გზად დომინიკელთა მონასტერში შევიარე. ეს მონასტერი, სავარაუდოდ, იმ ადგილასაა აშენებული, სადაც წმ. სტეფანეს სახლი იდგა. ეკლესიაში დაცული უძველესი მოზაიკები სპარსელების შემოსევამდელია, 614 წლით თარიღდება. წმინდა მიწის არქეოლოგიისა და ისტორიის საუკეთესო ექსპერტები, მამა ვინსენტი¹⁰⁶ და მამა აბელი¹⁰⁷ აქ ცხოვრობენ და უმდიდრესი ბიბლიოთეკა აქვთ. ამერიკელი პროფესორი ბლეიკი,¹⁰⁸ რომელმაც იერუსალიმის საპაგრიარქოს ქართული ხელნაწერების კატალოგი შეადგინა, რამდენიმე წლის წინ მათთან ცხოვრობდა. მე მამა დე ვომ¹⁰⁹ მიმიღო. მან მირჩია, მცირე გალილეაში, ბეთისხილის მთა-

103 ასტარგე (ფინიკიური „ამგართი“, არამეული „ათარი“, ებრაული „ამთორეთი“), დასავლურ სემიტურ მითოლოგიაში ნაყოფიერების დიდი ქალღმერთი, ბაბილონში ცნობილია, როგორც „იმგარი“.

104 ჰაროლდ ჯოსლინ ბაქსტონი (1880-1976), 1933-1947 წლებში გიბრალგარის ანგლიკანელი ეპისკოპოსი.

105 გიბერიადა, გიბერია (ებრ. גִּבְרִיָּה; არაბ. جَبْرِيت, ბერძ. Τιβεριάζ), ქალაქი ისრაელის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც გიბერიადის ტბის დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. ქალაქს სახელი რომის იმპერატორ გიბერიუსის პატივსაცემად ეწოდა. გიბერიადა გალილეის დედაქალაქი გახდა.

106 ლუი ვინსენტი (1872-1960), ფრანგი დომინიკელი, ბიბლიოლოგი და არქეოლოგი.

107 ფელიქს-მარი აბელი (1878-1953), ფრანგი დომინიკელი, ბიბლიოლოგი და არქეოლოგი.

108 რობერტ პირპონტ ბლეიკი (1886-1950), ამერიკელი ბიბლიანტიკი და ქართველოლოგი.

109 როლანდ დე ვო (1903-1971), ფრანგი დომინიკელი, ბიბლიოლოგი, *Bible de Jerusalem*-ის ერთ-ერთი მთარგმნელი და *Ecole Biblique de Jerusalem*-ის წევრი.

მე, ბერძნული მონასტერი მომენახულებინა. მითხრა, რომ ამ მონასტრის ეკლესიაში ქართული წარწერა იყო შემორჩენილი. ძალიან გამიხარდა და ამ ცნობისათვის მადლობა გადავუხადე.

წარმომადგენლობის კართან იეზუიტ მცველს შევხვდი, რომელთანაც ჩემთვის გადმოსაცემი რეკომენდაციები იყო დაგოვებული. იგი რუსი ემიგრანტი აღმოჩნდა. რამდენიმე წლის წინ კათოლიკობა მიუღია. დავემშვიდობე და ჩემს ოთახში შევედი. შევიტყვე, რომ პოლონეთის გენერალური კონსულიჩემთან საპასუხო ვიზიტს აპირებდა. ნასადილევს წმ. იაკობის სომხურ მონასტერში წავედი. აქ არის იერუსალიმის სომეხი პაგრიარქის რეზიდენცია.¹¹⁰ ეს მონასტერი, რომელიც იაფას კარიბჭის¹¹¹ გვერდით მდებარეობს, ოდესღაც ქართველებს ეკუთვნოდა. მოგზაურებმა, მეგწილად ფრანგებმა, ამის შესახებ ძალზე საინტერესო ცნობები დაგვიტოვეს. უცნობია, მონასტერი სომხებმა როდის დაისაკუთრეს. ქართულ ლიტერატურაში ამის თაობაზე ძალიან მწირი ცნობებია.¹¹²

იმ მღვდელს, რომელთანაც ინგლისელმა არქეოლოგებმა სარეკომენდაციო წერილი გამაგანა, არ ეცალა, რადგან სკოლაში გამოცდები გარდებოდა. როცა ვკითხე, ქართული ხელნაწერები ხომ არ გაქეთ-მეთქი, ჯერ მითხრა, არ ვააქვსო; მერე კი აღიარა, რომ ჰქონდათ, მაგრამ ძალიან ცოგა.

– მან ისიც მითხრა, გვერჩინა, სომხურ და ქართულ ეკლესიებს შორის განსხვავებულება არ მომხდარიყო.

ახლა მონასტრების უმეტესობა ბერძნების ხელშია და გიჯობთ, ისტორია და ძეგლები თავდაპირველად იმ მონასტრებში შეისწავლეთო.

შესხედრის დრო მომდევნო შაბათისთვის დამინიშნა და შემპირდა, რომ მის უწმინდესობასთან წარმადგენდა. შინ არ მიმეჩქარებოდა და ამიგომ გადავწყვიტე, რუსთა არქეოლოგიური გათხრები მომენახულებინა, უფლის საფლავის ბაზილიკის მახლობლად რომ მიმდინარეობდა. ეს ადგილი ადრე ეთიოპიელებს¹¹³ ეკუთვნოდათ, შემდეგ კი მათ რუსებს

110 თორკომ კუშაგიანი 1929-1939 წლებში იერუსალიმის სომეხი პაგრიარქი იყო.

111 მიგზაგურად აშენებული იაფას კარიბჭე 1588 წელს აიგო. კარიბჭის სამხრეთით, ქალაქის კედელი 1898 წელს გაირღვა, რომ იმპერატორ ვილჰელმ II ძველ ქალაქში ეგლით შესვლა შეეძლებოდა. ამ კარიბჭით ბერძნულ და სომხურ უბნებში შედიხარ.

112 ალ. ცაგარელი, *Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае*, გვ. 117-120; *Baumgarten travels [The Travels of Martin Baumgarten, a Nobleman of Germany, Through Egypt, Arabia, Palestine and Syria]*, London, 1746, 1782 (1782 გამოცემა), ლონდონი, 1907, გვ. 419.

113 ეთიოპიელები, ეთიოპიაში მცხოვრები მოსახლეობის საერთო სახელი, რომელთაგან ამჰარები ყველაზე მნიშვნელოვან აფრიკულ გომს წარმოადგენდნენ (ამჰ: ህዳር-ამჰარა), ენისა და ეთნიკურობის საფუძველზე სხვა გომებიდან განსხვავდებიან. მოსახლეობენ ეთიოპიის მაღლობზე და მრავალი წლის განმავლობაში გაბატონებულ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ. ისინი უძველესი სემიტების შთამომავლები არიან, მეტყველებენ ამჰარულ ენაზე. ამჰარებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მდიდარი ეთიოპურ საკრალური ხელოვნების შექმნაში.

დაუთმეს იმ მონასტრის სანაცვლოდ, რომელიც რუსეთის მთავრობამ აუშენა. ის მონასტერი ამჟამად ებრაულ კვარტალში, წინასწარმეტყველთა ქუჩის ერთ-ერთ გადაბრკვეთ ქუჩაზე მდებარეობს.

აქ აღმოაჩინეს კარიბჭე, რომელიც ქრისტემ გაიარა, როცა გოლგოთისკენ ბელზე გასაკრავად მიჰყავდათ.¹¹⁴ ამ დღემ ალმოჩენამ დაადასტურა, რომ გოლგოთა ნამდვილად არსებობდა. ის იქვე, გალავანთან უნდა ყოფილიყო. იქ ძველი კედლების საძირკველიც ვნახე. ამჟამინდელი გალავანი მოგვიანებითაა აშენებული.

იქიდან უფლის საფლავის ბაზილიკისკენ გავეშურე. როგორც ყოველთვის, ბაზილიკაში ახლაც ბნელოდა. შიგნით სიწყნარე სუფევდა, თუმცა იგი ხალხით იყო სავსე. შესასვლელში ეთიოპიის იმპერატორის მეუღლე შემხვდა რამდენიმე ქალბატონისა და ამაღლის თანხლებით.

ღვთისმსახურება აქ ღამით მიმდინარეობდა, თერთმეტი საათიდან სამის ნახევრამდე. უწინ ხალხს ეკლესიიდან შინ წასვლა შეეძლო, ახლა კი ღამეს აქ ათევენ, ანუ ეკლესიაში არიან საღამოს შვიდის ნახევრიდან დილის ექვსის ნახევრამდე. თუ ხვალ წირვის აღსრულების ნებართვას მომცემდნენ, აქ საღამოსვე მოვიდოდი. იმხანად ეთიოპიით ვიყავი მოხიბლული და მინდოდა, ერთი ნაცნობი ეთიოპიელი მეპოვა. ამიგომ მათ მონასტერში წავედი. ბაღში ბევრი ბერი იდგა, მაგრამ გამოლაპარაკება ვერავისთან შევძელი. მათ თავიანთი, მართლმადიდებლური ხაგებით სავსე ეკლესია მაჩვენეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ნაცნობი ეთიოპიელის ვინაობა იცოდნენ, მაინც ვერ შევძელი გამეგო, სად ცხოვრობდა იგი.

ებრაულ უბანში ვიყავი. იქაურობა ძალიან საინტერესო იყო. პოლონური ლაპარაკიც კი გავიგონე. მომწყურდა და ებრაულ მაღაზიაში შევედი. მაღაზიის მეპატრონე კოლომიჯადან იყო. როცა ვუთხარი, რომ მის მშობლიურ ქალაქში რამდენიმე დღე მქონდა გატარებული, ძალიან გაუხარდა და თანამემამულედ მიმიჩნია. სირიელ ობოლთა თავშესაფარი იქიდან შორს აღარ იყო. ობოლთა თავშესაფარს ცნობილი მეცნიერის, ბარონ ტიშენდორფის¹¹⁵

114 1858 წელს რუსეთის მთავრობამ იერუსალიმში ანასტასის გაძრის გვერდით მიწის ნაკვეთი შეისყიდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, რომელსაც ანტონინი კაპუსტინი (1817-1894) ხელმძღვანელობდა აღმოაჩინა 2,5 მ სიგრძის კედლის ფრაგმენტი და ძველი კარიბჭე. კედელს ორივე მხრიდან გასასვლელი ჰქონდა. ეს იყო გოლგოთამდე მიმავალი გზის ფრაგმენტი, რომელიც ჯვარცმად მიმავალმა იესო ქრისტემ განვლო.

ანტონინი (ანდრეი კაპუსტინი 1817-1894), არქიმანდრიტი, ბიზანტოლოგი და არქეოლოგი, ათენსა და კონსტანტინოპოლში რუსეთის საელჩოსთან არსებული ეკლესიების წინამძღვარი იყო. 1865-1894 წლებში იერუსალიმის რუსული მისიის ხელმძღვანელი ვახდა. ის. მისი ნაშრომი: *Раскопки на русском месте близ храма Воскресения в Иерусалиме*, პეტერბურგი, 1883 (PPS, 7).

115 G. Peradze, *Der Codex Sinaiticus – die Sinaimonche – Russland*, „Der Orient“, 16(1934), 5, გვ. 110-111 [= Codex Sinaiticus – სინის კოდექსი – სირიელი ბერები – რუსეთი, წმ. გრიგოლ

სიძის, პასგორ შნელერის¹¹⁶ გერმანული წარმომადგენლობა ესმარებოდა. სირიელი ბავშვები იქ ახლა აღარ ჩანდნენ, მათ ნაცვლად არაბი ბავშვები იყვნენ, თუმცა ობოლთა თავშესაფარი მაინც ძველ სახელს ინარჩუნებდა. ძალიან გულთბილად მიმიღეს. ერთმა მდივანმა, ახალგაზრდა გერმანელმა, რომელიც უკვე დიდი ხანი იყო, რაც იქ მუშაობდა, თავშესაფარი დამათვალიერებინა. ყველაფერი ჰქონდათ საიმისოდ, რომ ბავშვებს პრაქტიკული ჩვევები განეფითარებინათ. ასწავლიდნენ მეწაღეობას, ღურგლობას, საბაზობას და ა.შ.; საკუთარი სტამბაც კი ჰქონდათ. ახლა დიდ გასაჭირში იყვნენ იმის გამო, რომ მათ ქვეყანაში უცხო ვალუტასთან დაკავშირებით შეზღუდვები შემოიღეს.

სკოლის დირექტორს, პასგორ შნელერს ვკითხე, რომელიმე განათლებულ ქრისტიან არაბს ხომ არ იცნობთ, ვინც აქაურ მართლმადიდებლურ ეკლესიაში არსებულ ვითარებაში გამარკვევეს-მეთქი. დირექტორმა თავაზიანობა გამოიჩინა და წერილი გამაგანა ერთ ცნობილ ექიმთან, ვისაც ქალაქში დიდ პატივს სცემდნენ.

აქ ყოფნა ძალიან საინტერესოა, მაგრამ სახლში უნდა დავბრუნებულიყავი, რადგან ძალე შეიდი საათი შესრულდებოდა. სომეხი მღვდლის ნათქვამი გულში მომხვდა: „გვერჩინა, ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის განხეთქილება არ მომხდარიყო“. მან ისიც იცოდა, რომ პარიზში, იქაური სომხური სამწყსო და მათი არქივისკოპოსი ქართველ ემიგრანტებს შორის მისიონერულ საქმიანობას ეწეოდნენ. ალბათ, ეს სომხების საერთო მიზანი იყო. ჩემთვის ამის გაგება და ასეთი დასკვნის გაკეთება ძალზე მნიშვნელოვანი გახლდათ.

10 VII. პარასკევი

ნასაუზმევს ერთ მონასტერში წავედი, რომელსაც სალვაგორე ერქვა. მამა სავინიასის წერილი ვაჩვენე და თავად წინამძღვარმა მიმიღო დაუყოვნებლივ. სამწუხაროდ, ქართული ძეგლები იქ საერთოდ აღარ იყო შემორჩენილი. მას შემდეგ, რაც მონასტერს ფრანცისკელები დაეპატრონენ, იგი მნიშვნელოვნად გააფართოვეს, თუმცა წმ. კონსტანტინეს და წმ. ელენეს

ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი მეორე, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო დავით ყოლბაიამ, ვარშავა, 2014, II, გვ. 87-90; ასევე, *Dokumenty dotyczące zagadnień odnalezienia i tekstu kodeksu synajskiego*, „Elpis”, 8(1934), 2, გვ. 127-151 წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი მეორე, დოკუმენტები სინის კოდექსის აღმოჩენისა და გექსტის პრობლემების შესახებ II, გვ. 91-118. [ბარონ გიმენლორფი (1812-1874), გერმანელი ლუთერანი თეოლოგი და პალეოგრაფი].

116 იოჰან ლუდვიგ შნელერი (1820-1896), ლუთერანი პასგორი, რომელმაც იერუსალიმში 1860 წელს ობოლთა თავშესაფარი დააარსა. მისი საქმიანობა მისმა ვაჟმა ლუდვიგმა (1858-1953) განაგრძო.

ბერძნულ მონასტერზე დიდი მაინც არ იყო. მეგზურად მონასტრის პირველი მდივანი, მამა სტანისლავ ბორკოვსკი¹¹⁷ მომიჩინეს. იგი პლოცკელი¹¹⁸ იყო. მათ საკმაოდ დიდ ბიბლიოთეკაში ორი ეთიოპიური და ერთი სირიული ხელნაწერი აღმოჩნდა. გარდა ამისა, იქ იყო მდიდარი კოლექცია, რომელშიც თავმოყრილი გახლდათ მომლოცველთა მიერ შესრულებული წმინდა მიწის აღწერილობანი. თვით ეკლესიაში არანაირი ქართული კვალი აღარ ჩანდა.

ფრანცისკელთა მონასტრის ბაღი ღაგაკებით იყო სავსე. იერუსალიმში ღაგაკები ყოველთვის ბევრნი იყვნენ. ფრანცისკელები მათ ყოველ კვირაში ათი ათას პურს ურიგებდნენ. „ქრისტიანებს თუკი არ დავეხმარებით, აქ ქრისტიანობა გაქრებაო“, – მითხრა ჩემმა მეგზურმა. შთაბეჭდილება შემექმნა, რომ იქაურმა მოსახლეობამ ქრისტიანობა შეებღაღა, რადგან ბიზნესად აქცია. მათთვის მთავარი იყო, რომ ქრისტიანები ყოფილიყვნენ; სხვადასხვა აღმსარებლობათა არსებობა არ აღარდებდათ. მშობლებს შვილები ინგლისურ სკოლაში ხალისით შეჰყავდათ, რათა მათ სკოლის დამთავრების შემდეგ კარგი სამსახურის შოვნა შესძლებოდათ. არ ენადვლებოდით, რომ შეიძლებოდა, მართლმადიდებელ ბავშვებს ინგლისურ სკოლებში ანგლიკანური აღმსარებლობა მიეღოთ. ამგვარი განსხვავებანი მხოლოდ ბერებისა და მღვდლებისთვის არსებობდა. უბრალო ხალხისთვის ქრისტე ერთი იყო. როცა მართლმადიდებლური ეკლესია აღმეფა და რუსეთი პალესტინის უდაბნოში ოქროს ფანგავდა, აქ მართლმადიდებლობა ყვაოდა (სტაგისტიკურად). ახლა ბედი ინგლისელებს უღიმის. პროტესტანტიზმიცა და კათოლიციზმიც მართლმადიდებლობის ხარჯზე აღმეფა. თავად შევხვედრივარ რამდენიმე ანგლიკან არაბს, რომელთა მშობლებიც მართლმადიდებელნი იყვნენ.

117 ლუდვიგ ბორკოვსკი, აურელიუსი (1887-1970), პოლონელი ფრანცისკანელი ღვთისმსახური (1912 წ.) და წმინდა მიწის სამეურვეო სამდივნოს თანამშრომელი. სწავლობდა ვაშინგტონის უნივერსიტეტში, სადაც კანონიკური სამართლის დოქტორის გახდა. იყო წმინდა მიწაზე პოლონელი პილიგრიმების მეგზური. მეორე მსოფლიო ომის დროს წმინდა მიწაზე დახმარებას უწევდა პოლონელ ლგოლვილებსა და მე-2 კორპუსის ჯარისკაცებს. მისი ინიციატივით ენ კერემის ეკლესიის გალავნის ირგვლივ შეიქმნა დაფა Magnificat-ის ტექსტით 40 ენაზე; დაფა ზეთისხილის მთაზე მდებარე ეკლესიაში ლოცვა უფლისადმი პოლონური ენაზე და ბეთლემის შობის ბაზილიკის მარი. მის კალამს ეკუთვნის: *Przewodnik po Ziemi Świętej, ierusalimi* 1934, 19422; *Przewodnik po Istambule i Atenach*, იერუსალიმი 1938; *Grób Chrystusa Pana i Kalwaria*, იერუსალიმი 1942; იხ. J. Bar, *Udział Polski w literaturze franciszkańskiej* (bibliogr.), „*Studia Theologica Varsaviensia*” 1(1963) z. 1, გვ. 268-269, 5(1967) z. 2, გვ. 192; S. Grzybek, H. Czerwien, B. Panasiuk, *Polska bibliografia biblijna za lata 1931-1965*, ვარშავა 1968, I-II (passim); S. Pawlik, *Nekrologi*, „*Nasza Przeszłość*” 34(1971), გვ. 239-240.

118 მამა ბორკოვსკი დაიბადა სოხოჩინში პლონსკისთან ახლოს, ანუ პლოცკიდან 46 კმ. დაშორებული.

სანსალვატორის მონასტრიდან გამოვედი და მონასტრის გერიგორიაზე აშენებული კათოლიკური სკოლისკენ გავემართე. სკოლა იქ აუშენებიათ, სადაც, გადმოცემის თანახმად, ქრისტე გაშოლგეს.¹¹⁹ სამწუხაროდ, მამა ლემერი¹²⁰ იერუსალიმში არ იყო და მის ნაცვლად მამა ბალდიმ¹²¹ მიმიღო, რომლის სახელი აღრეც გამეგონა. სხვა ნაშრომებთან ერთად მის კალამს ეკუთვნის ძალიან მნიშვნელოვანი წიგნი: ცნობარი წმინდა მიწის მომლოცველთათვის.¹²² ამქამად ის იგალიურად თარგმნიდა პროფესორ გუსენის¹²³ ნაშრომს VII საუკუნის იერუსალიმის ლექციონარის შესახებ.¹²⁴ მონასტერში ძალიან საინტერესო მუშეუშია. მამა ბალდიმ ერთი ქართველი თავს მუსლი უჩვეულო ამბავი მომითხრო: დაახლოებით ოთხი წლის წინ აქ თურმე პოლონეთიდან ჩამოსული ქართველი თავადი სწავლობდა და ქართულ ძეგლებს დაეძებდა. თავს მუსლიმად ასაღებდა. შემდეგ მექაში¹²⁵ წასულა. იქ შეუტყვიათ, რომ ქრისტიანი იყო და მოუკლათ. მამა ბალდიმ მისი სახელი ვერ გაიხსენა, მაგრამ დამპირდა, რომ მაცნობებდა. ამ პოლონელი ქართველის ასავალ-დასავლით ძალიან დავინტერესდი.

119 V საუკუნის დოკუმენტებში გაშოლგვის გაძარი არის მოხსენიებული. სავარაუდოდ, ჯვაროსნების დროს ახალი სამლოცველო დაარსდა. მომდევნო საუკუნეებში ქრისტიანებს მისი მოვლის უფლება ჩამოერთვათ, ხოლო ნაგებობა სხვადასხვა მიზნებისთვის გამოიყენებოდა. ბავარიის პრინცის მასიმილიანის ძალისხმევით, იბრაჰიმ ფაშამ 1838 წელს სამლოცველო კათოლიკებს გადასცა. მას შემდეგ მას ფრანსიკანელები უვლიან, რომელსაც ლათინური სახელიდან *flagellum* ანუ „გაშოლგვის“ სამლოცველოს ეძახიან. 1929 წელს მისი რეკონსტრუქცია დასრულდა და დღემდე ასეა შემორჩენილი.

120 პოლინ ლემერი (1896-1963), ფრანცისკელი ბერი; 1928-1963 წლებში. იგი იყო ფრანცისკელთა ბიბლიური კვლევების ინსტიტუტის (Studium Biblicum Franciscanum) პროფესორი. აღნიშნული სასწავლებელი, რომელიც ძველ იერუსალიმში მდებარეობს, წარმოადგენს რომის კათოლიკური ეკლესიის ბიბლიური კვლევებისა და არქეოლოგიის უნივერსიტეტის „ანგონიანუშის“ ფაკულტეტს.

121 დონატო ბალდი (1888-1965), ფრანცისკელი ბერი, ბიბლიოლოგი, პალესტინოლოგი და ისტორიკოსი. 1938-1940 და 1950-1963 წლებში იერუსალიმის Studium Biblicum Franciscanum-ის დირექტორი.

122 დ. ბალდი, *Enchiridion Locorum Sanctorum. Documenta S. Evangelii loca respicientia*, Jerusalem 1935, 19823.

123 ჰაინრიხ გუსენი (1863-1927), გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე, ბონის უნივერსიტეტის პროფესორი, გრიგოლ ფერაპის საღოქტორო თემის ხელმძღვანელი. შდრ. A. Baumstark, *Heinrich Goussen*, Oriens Christianus, 24:1927, გვ. 356-360; H. Kaufhold, *Die Sammlung Goussen in der Universitätsbibliothek Bonn*, Oriens Christianus, 81:1007, გვ. 213-227.

124 H. Goussen, *Über georgische Drucke und Handschriften, die Festordnung und den Heiligenkalendar der altchristlichen Jerusalems betreffend*, Mönchen-Gladbach, 1923.

125 მექა (არაბ. مكة), წმინდა ქალაქი საუდის არაბეთის ისტორიული ჰეჯაზის რეგიონში. მდებარეობს ჯედადან 73 კმ-ში, აბრაამის ვიწრო ქვიშიან ხეობაში. მექაში არის კუბური ფორმის ნაგებობა ქააბა. ისლამურ რელიგიაში ეს არის ყველაზე სათაყვანებელი ადგილი. ნაგებობების გარშემო სამლოცველოა – მასჯიდ ალ-ჰარამი .

ქართველ ემიგრანტთა წრებისათვის ამგვარი პიროვნება სრულიად უცნობი გახლდათ.

შინისაკენ მიმავალმა გზად სომხურ კათოლიკურ მონასტერში შევიარე. სრულიად ახალი შენობა იყო, სიძველეების გარეშე.

იერუსალიმის გალავანი დანგრეული ქრისტიანული ტაძრების ქვებით იყო აგებული. ერთხანს ამ ტაძრებს განგებ ანგრევდნენ, რომ ქვები გალავნის ასაშენებლად გამოეყენებინათ. ზოგიერთ ქვაზე ჯვარი შევამჩნიე. ასეთი ქვაა, მაგალითად, წმ. სტეფანეს კარიბჭის თავზე. მითხრეს, კედლის შიდა მხარეს უფრო მეტი ამგვარი ქვა არისო, ამიგომ ნაშუადღევს ძველ ქალაქში სახეგიალოდ გავწიე და კედელს ჩავუარე. სამწუხაროდ, გზა გრძელი არ გამოდგა და ვერაფერი ვნახე. არაბულ უბანში აღმოვჩნდი. იქ ბიჭებმა დამინახეს და ყვირილი აგებეს: „ხური, ხური“ (მამაო, მამაო), ქვებიც დამიშინეს. მადლობა ღმერთს, არაფერი შემემთხვა. ფეხი არ ამიჩქარებია, რათა შიში არ დამგყობოდა. მართალია, იქ ბევრი სკოლა და მონასტერია, ბავშვები მაინც საშინლად უბრძელნი არიან. ნეტავ, ეს რით აიხსნება?

ფიქრებში ისე ვიყავი წასული, ვერც კი შევამჩნიე, რომელიდაც კათოლიკურ მონასტერს როგორ მიუახლოვდი. მონასტერი საფრანგეთის მთავრობას ეკუთვნოდა; იქ სახელგანთქმული სამღვდელონი ცხოვრობდნენ. იმ ადგილას, სადაც ახლა მონასტერია, ადრე ბეთესდა¹²⁶ იყო. მისი ნანგრევები ღღემდნენ შემორჩენილი. თვით ეკლესია იმ ადგილას იყო აშენებული, სადაც, გადმოცემის თანახმად, ანა და იოაკიმე ცხოვრობდნენ. ერთი ბერი, ბურგუნდიელი ფრანგი, გამომყვა და მონასტერში ყველა საინგერესო სიძველე მაჩვენა. ქრისტეს მიერ ხეიბრის სასწაულებრივი განკურნების ისტორია ბეთესდას წინ ყველა ენაზე იყო დაწერილი. ქართული წარწერა XVIII საუკუნის ლათინურ შრიფტს მივაბგვანე.

იქვე ახლოს მდებარე ბერძნულ მონასტერში ახლახან ნანახის შთაბეჭდილებით დაგვირთული შევედი. გადმოცემის თანახმად, ამ მონასტრის ეკლესიაც იოაკიმეს და ანას ნასახლარზე დგას. მაჩვენეს კიდევ ის ადგილი, სადაც ეკლესიის ქვეშ აკლდამაა. სავარაუდოდ, ძველად აქ სამლოცველო იყო. სარესტავრაციო სამუშაოთა ჩატარებისას იქ ძალიან ძველი ხატი და მოზაიკური იაგაკი აღმოჩნდა. მიწის პირიდან რამდენიმე მეტრით დაბლა ვიყავით, კედლები დანესტიანებული იყო, ჰაერი – ჩახუთული. ოჯახი, რომელიც ქრისტიანული გადმოცემით, მდიდარი იყო, ასეთ პირობებში არ იცხოვრებდა. იქნებ ერთსართულიანი სახლი ჰქონდათ, რომელიც თანდათან მიწაში ჩაეფლო, ხოლო შემდეგ მიწის ფენას ნანგრევებიც დაემატა?

126 ბეთემდა (ბერძ. Βηθεσδα; არამ. בֵּית עַזְזַיָּה – მოწყალების სახლი, წყალობის სახლი), საბანელი, სამკურნალო ადგილი იერუსალიმთან ახლოს, სადაც იესო ქრისტემ სასწაული მოახდინა და განკურნა პარალიზებული კაცი, რომელიც აღწერილია სხარებაში, იოანე 5, 1-15.

ყოველ შემთხვევაში, ასეთნაირადაა გეთსიმანიაში ღვთისმშობლის ბაზილიკა, რომლის კარიბჭეც ახლა იმ ფანჯრის ადგილასაა, აღრინდელი კარიბჭის გემოთ რომ იყო. ახლა ის ძველი კარი აკლდამის გვერდით მდგარი შენობების ნგრევისა და დაშლის შედეგად მიწაშია ჩაფლული. ძველი იერუსალიმის ღონებზე ჩასასვლელად 5-6 მეტრის ამოთხრა დაგეჭირდებოდა.

წირვა დილაადრიანად დამთავრდა. უფლის საფლავის ეკლესიის წინამძღვარმა, ბერძნული საპატრიარქოს პირველმა არქიმანდრიტმა, თავის სენაკში ყავაზე მიმიწვია. შემდეგ კი დასაძინებლად დავწექი. ფანჯარაში მზის პირველი სხივები შემოიჭრა. მესმოდა, მუეძინი სალოცავად როგორ მოუხმობდა მორწმუნეებს მინარეთიდან. დიდხანს ვერ დავიძინე. იმაზე ვფიქრობდი, რაც წინამძღვარმა მითხრა, ქართველები აქ ოდესღაც ძლიერნი იყვნენ, მაგრამ ახლა იმ დიდებას ვეღარ დაიბრუნებენო.

– „ყველაფერი სომხების გამო დაკარგეთ, – თქვა მან, – ასეთია ცხოვრების მდინარება! აღამიანი იბადება, ვაჟკაცდება და მერე კვდება...“

მაშ, მისი აზრით, საქართველო უკვე მკვდარია და ჩვენი აღსასრულიც დადგა? ნუთუ ეს მართლა ასეა? ალბათ, ამ შემთხვევაში ჩვენს დამოკიდებულებას წმინდა მიწის, ჩვენი ძველი ძეგლებისა და ჩვენი ძველი კულტურის აკვნის მიმართ გადამწყვეტი მნიშვნელობა ვერ ექნება. მაგრამ თუკი ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მაშ რაღას უნდა ჰქონდეს? გონებას ვძაბავდი, რომ მეპოვა ძალა, რომელიც გამომაცოცხლებდა და აღმაფრენას შემმატებდა და მივხვდი, როგორ გვაკლდა თავმდაბლობა და სისპეგაკე. იქნებ, მათ შესწევთ ამის ძალა, ვინც წერს და ლექციებს კითხულობს? არაფრის დიდებით! ამის ძალა ერს, მხოლოდ ერს შეიძლება ჰქონდეს! მე კი რა შორს ვარ ახლა ერისგან!

II VII. შაბათი

იერუსალიმი ქრისტეს მიმართ კეთილგანწყობილი არ იყო. ამიგომ არც მისი მოწაფეების პატივისცემელი და მოყვარული ყოფილა. თავადაც ხომ თქვა, რომ არ არის მოწაფე თავის მოძღვარზე უმეტესი.¹²⁷ ასე იქნება მის მეორედ მოსვლამდე.

საპატრიარქოში სადილობამდე მივედი. წმ. ჯვრის მონასტერში წასვლას ვაპირებდი. ვფიქრობდი, ხვალ ნაშუადღევს წავალ და სამ დღეს დავრჩები-მეთქი.

ბერძენთა გადმოცემით, წმ. ჯვრის მონასტერი იმპერატორმა წმინდა კონსტანტინე დიდმა ააგო, მაგრამ ამის არაფითარი საბუთი არ არსებობს. სინამდვილეში იგი XI საუკუნეში ერთმა ქართველმა, პროხორემ დააარ-

127 მათე 10: 24.

ეკლესიის კელის გარეთა მხარეს ჯვრისფორმიანი ორნამენტების სიუხვეა. ეს ჯვრები ძალიან მაგონებს იმ ჯვრებს, საქართველოში პარსლის და ოპიზის¹³² ახლომასლო რომ ვნახე. მონასტრის არქეოლოგიური კვლევა ამ ჯვრების შესწავლით უნდა დაიწყო. კაიაფას სახლის გვერდით, სადაც ახლა ეკლესიაა, ერთი ძალიან ბებერი ბეთისხილის ხე ღვას. ამ ხიდან მოკრეფილ ბეთისხილს ემბიადინში¹³³ აგზავნიან, სადაც წმინდა ბეთს ამზადებენ. ამან გამახსენა საქართველოში გავრცელებული ერთი პოპულარული ლეგენდა, რომელსაც უმეგესად სოფლის მკვიდრნი ყვებიან: სომხებს იერუსალიმში წყარო ჰქონიათ, საიდანაც წმინდა ბეთი მოედინებო. ეს ლეგენდა, სომხებს იერუსალიმში ვითომდა სასწაულთმოქმედი წყარო რომ აქვთ, გაუნათლებელ ხალხში სომხური ეკლესიისადმი პატივისცემას მრდის.

ჩემმა მეგობრმა მონასტრის წარსული სომხური თვალთახედვით მომიტხრო და, რა თქმა უნდა, ქართველები არ უსხენებია (თუმცა, იერუსალიმში მათ უფლებას ამ მონასტერზე ყველა აღიარებს). მან შემომთავაზა, ყველაფერი აღმეწერა და გამომექვეყნებინა. „ო, არა, მე მხოლოდ თქვენს სტუმართმოყვარეობაზე დავწერ“, – მივუგე მე. მას უნდოდა, რომ ძალიან ესამოვნებინა და მითხრა: თქვენ ჩვენზე ბედნიერები ხართ, სამშობლო გაქვთ, ჩვენ კი მთელს მსოფლიოში ვართ გაფანტულები და ყველგან პატარა კუნტულები გვაქვს“.

მინდოდა, ის ღამე ისევ უფლის საფლავის ეკლესიაში გამეგარებინა, მაგრამ იმ დღის განცდებისგან ძალიან დაქანცული ვიყავი. მომდევნო კვირა უნდა დამეგვემა: წმინდა ჯვრის მონასტრიდან როცა დავბრუნდებოდი, ერთი დილა მაინც უნდა დამემთმო ბიბლიოთეკისთვის და შემდეგ ბეთლემში წავსულიყავი. პარასკევს, სურსათის ქარავანს გაყვებოდი და იუდეის უდაბნოში წმ. საბას მონასტერს მოვინახულებდი. შემდეგ მეტი დრო მექნებოდა და საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში რამდენიმე კვირას მშვიდად ვიმუშავებდი.

12 VII. კვირა

ღღეს მამა ნიკოლასს შევხვდები გეთსიმანიის ბაზილიკაში, სადაც ღვთისმშობლის აკლდამაა. იქ წირვას დავესწრებით, სტუმართმოყვარე მამის სახლში ჩაის დავლევთ და ბეთანიისკენ ერთად გავემშურებით. ჩვენ მიწვეულნი ვართ ბეთანიის მცირე მონასტერში, რომელიც იმ ადგილა-

132 პარხალი და ოპიზა, ქართული მონასტრები ისტორიულ გაო-კლარჯეთში (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე). ოპიზაში მოღვაწეობდა სახელგანთქმული ბექა ოპიზარი (XIII), ანჩისხატის ჩარჩოს მოჭედილობისა და წყაროსთავის სახარების ყდის შემმოსველი.

133 ემბიადინი (სომხ. Էմբիადին), ქალაქი სომხეთში, მდებარეობს თურქეთის სამღვართან ახლოს, არმავირის პროვინციაში, ერევნიდან დასავლეთით 20 კმ-ში. სომხური სამოციქულო ეკლესიის პატრიარქის რეზიდენცია, რომელიც სრულიად სომეხთა კათოლიკოსის ტიტულს ატარებს.

საა აგებული, სადაც მართა ქრისტეს შეხვდა და გირილით უთხრა: უფალო, აქ რომ ყოფილიყავი, ჩემი ძმა არ მოკვდებოდა“.¹³⁴ ომამდე იქ რუსი მომლოცველებისთვის სახლი იდგა; ომის შემდეგ მისი ნანგრევებიღა დარჩენილი. იქ ახლა ინგლისელი მონაზვნები ცხოვრობენ, რომელთაც ცოცხა ხანია, რაც მართლმადიდებლობა მიიღეს.

გეთისიმანია ახლა მხოლოდ ბერძნებისა და სომხებისაა. ბაზილიკა მიწის ქვეშაა. იქ ჩასასვლელად ორმოცდარვა საფეხური უნდა ჩაიარო. ახლანდელი შესასვლელი იმ ფანჯრის ადგილზეა, რომელიც ადრე კარის გემოთ იყო. სავარაუდოა, რომ აკლდამის გემოთ იდგა ბაზილიკა, რომელიც სპარსელებმა გაანადგურეს. ბაზილიკის ირგვლივ, მიწის გედაპირზე, სამშენებლო მასალებია მიმოფანტული. თავდაპირველ შესასვლელამდე, რომელიც XII საუკუნით თარიღდება, თორმეტი საფეხურის ჩავლაა საჭირო. წირვა ბერძნულად მიმდინარეობდა. ბაზილიკაში ძალიან ბნელოდა. ღვთისმსახურებას მხოლოდ რუსული გეთისიმანიიდან მოსული რამდენიმე მონაზონი ესწრებოდა. ერთი მათგანი მეფსალმუნის მოვალეობას ასრულებდა. რამდენიმე ლოცვა მოლდავურადაც კი იგალობა. ალბათ, მოლდაველი იყო. წირვის შემდეგ ანთებული სანთლით ხელში მთელი ბაზილიკა მოვიარე. იქ რაიმე უჩვეულო ნივთი ან ხელოვნების ნიმუში არ ყოფილა. ბერძნულ წირვას სომხური წირვა მოჰყვა.

კართან ერთი ფრანცისკელი შემხვდა, რომელიც ხელმარცხნივ მდებარე პაგარა შენობიდან, ფრანცისკელთა სამლოცველოდან გამოვიდა. იგი უფლის საფლავის კათოლიკური მონასტრის წინამძღვარი აღმოჩნდა. მისთვის გადასაცემი სარეკომენდაციო წერილი ჯიბეში მელო. ფრანგი იყო, მაშასადამე, ლაპარაკის მოყვარული. მან მითხრა: სომხები და ბერძნები ოსმალთა ხელისუფლებასთან ჩვენ წინააღმდეგ ხრიკებს ხლართავენ; მოლაღაგეობას და სახელმწიფოს ურჩობას გვაბრალებდნენ. ჩვენ დავიდარაბას თავი ავარიდეთ“.

ბეთანიისკენ საკმაოდ კარგი სამანქანო გზა მიდიოდა, სოფელ სილოამს გასცდებოდა და შემდეგ მარცხნივ, იოსაფაგის ველსა და მდინარე კედრონს¹³⁵ შუა მიემართებოდა. ეს გზა მეთისხილის მთიდან იერიქონამდე პირდაპირ მიდიოდა, ხოლო მეორე გზა – მეთისხილის მთიდან ბეთაგემდე¹³⁶. სახარების თანახმად, ქრისტემ ეს მეორე გზა აირჩია. სოფელს რაგომ

134 იოანე 11, 20-22.

135 კედრონი, (ებრ. נַחַל קֶדְרוֹן), პაგარა ნაკადი რომელიც კედრონის ხეობაში მიედინება, ბიბლიაში მრავალგზის არის მოხსენიებული.

136 ბეთაგე (ებრ. בֵּית אֶגְיֵן, ლეღვის სახლი), უძველესი ადგილი ბეთანიასთან ახლოს, მეთისხილის მთის ფერდობზე, სადაც იესომ ორი მოწაფე უახლოეს სოფელში გაგზავნა, რათა მიეყვანათ მისთვის სახელარი, რომელზეც შემჯდარი იერუსალიმში შევიდა (მათე 21, 1; მარკოზი 11, 1; ლუკა 19, 29).

გაერიდა? ვცდილობდი, ამ კითხვაზე პასუხი მეპოვა და მამა ნიკოლასმა, თითქოს ჩემი გულის ნადები ამოიცირო, მითხრა: „უმჯობესია, სოფელს გავერიდოთ, ძალიან ცუდი სახელის მქონეა“. ესე იგი, ცუდი სახელი უწინაც, ჩვენი მაცხოვრის ღმრთისაჲს ჰქონია! რა დამახასიათებელია ამგვარი რამ აღმოსავლეთისთვის: აჲ ყველაფერი, ცუდიც კი, შემორჩენილია, თუმცა, წმინდა ქალაქის გვერდითაა, სადაც ამდენი სისხლი დაიღვარა სიკეთისა და უკეთესი ცხოვრების სახელით, სადაც ქრისტეს მიმღვერობის ჭეშმარიტი მაგალითების მოწმენი გახდნენ!

გზად „Pater Nosteris“ მონასტერში შევიარეთ. გადმოცემის თანახმად, ქრისტემ პირველად ამ ადგილას თქვა ეს ლოცვა. ეკლესია ჯერ კიდევ დაუმთავრებელი იყო. ბაღში სამშენებლო მასალად გამოსაყენებელი დიდი ქვები ეწყო. ალბათ, უმარმამარ ნაგებობას აშენებდნენ. დარბაზში ქალაქის ფურცლები ეკიდა, რომლებზეც ლოცვა მსოფლიოს ყველა ენაზე ეწერა.¹³⁷

ოცი წუთი ვიარეთ და ბეთანია დავინახეთ. შორს მკვდარი მღვა¹³⁸ და წმინდა მდინარე იორდანე¹³⁹ მოჩანდა. თვალს არ ვუჯერებდი, რომ ეს იყო ბეთანია, ანუ სოფელი, რომელსაც ჩვენი მაცხოვარი ეწვია და სადაც, მისი საუკეთესო მეგობრები, ერთი ძმა და ორი და ცხოვრობდნენ. ჩვენ ხომ ცოცხალი ვიყავით მათ ურთიერთობაზე, მაგრამ რა წარმგაცნია ის, რაც სახარებაში წერია! თითოეული სიტყვა ისეთი მშვენიერია, ისეთი ძვირფასი, ამაღლევებული და ნუგეშისმცემელი...

მერე ნანგრევები დავინახეთ. ალბათ, ჯვაროსანთა ღმრთის საკათედრო კაპრიის ნაშთები იყო. სოფლის თავში ერთი ძალიან კოცხა შენობა და იქაურ ბინადართა ბანიანი სახლები იდგა. მოშორებით ყვავილნარით გარშემორტყმული ბერძნული მონასტერი მოჩანდა. იგი სოფლის განაპირას, იერიქონისკენ მიმავალი გზის გვერდით იყო აშენებული. ბაღი უდაბნოს ესაზღვრებოდა.

137 „მამაო ჩვენოს“ ეკლესია დგას იმ ადგილას, სადაც იესო ქრისტემ საუფლო ლოცვა „მამაო ჩვენო“ ასწავლა თავის მოწაფეებს. კონსტანტინე დიდმა გამოქვაბულის თავზე IV ს. ეკლესია ააშენა. 1910 წელს აღმოჩენილ იქნა ეკლესიის საძირკველი, ხოლო 1915 წელს მისი აღდგენითი სამუშაოები დაიწყო, რომელიც დღემდე დაუმთავრებელია. ეკლესიაში ინახება 62 ენაზე დაწერილი ლოცვის გეჰსტი.

138 მკვდარი მღვა (არაბ. *الـمـتـو* ალ-ბაჰრალ-მაითი, ებრ. *יְרֵמְיָהוּ*, იამჰა-მელახ – მარილის გბა), გაუდინარე მლაშე გბა, რომელიც მდებარეობს ისრაელისა და იორდანის საზღვარზე.

139 იორდანე (ებრ. *יַרְדֵּן* ნაჰარ-ჰა იარდენ; არაბ. *نهر الأردن* ნაჰარ-ალ ურდუნ), მდინარე, რომელიც ჰერმონის მთისწინეთიდან ჩამოედინება და ხეობით მკვდარი მღვისკენ მიედინება. ისტორიულად და რელიგიურად მსოფლიოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მდინარეა. მისი სიგრძე შეადგენს 251 კმ-ს. სათავეს იღებს ჰერმონს მისადგომებთან. მდინარე იორდანე მიედინება ან ესაზღვრება ლიბანს, ისრაელს და იორდანისას.

როგორც ჩანს, ქრისტიანულ მონასტერს აქ დიდ პატივს სცემდნენ და ძალიან აფასებდნენ. ერთ არაბს ვთხოვეთ, რომ მონასტრის გზა ესწავლებინა და მან თავაზიანად გვაჩვენა, საით უნდა წავსულიყავით. მერე კი დაუმატა, ბავშვი ავად მყავს, ხვალ იქ წასვლას და მონაზვნებთან ბავშვის წაყვანას ვაპირებო. მისი ნათქვამიდან დავასკვენი, რომ მონაზვნებს საავადმყოფო ჰქონდათ. ამ ქვეყანაში ავადმყოფის მკურნალობას სპეციალური სამედიცინო განათლება არ სჭირდება. თითქმის ყველა ავადმყოფობა იქაურთა უსუფთაობითაა გამოწვეული. ასე რომ, ამ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის უპირველესი და საუკეთესო საშუალება სისუფთავეა.

მონასტერს აშკარად ეგყობოდა, რომ გადაკეთებული იყო, შესაძლოა, ინგლისური ფონდების წყალობით. იქ იდგა ერთი დიდი, ორსართულიანი, ფართოთიანი სახლი, ძალიან რომ ჰგავდა იმ სახლებს, რომელნიც მართა-სა და მარიამთან ქრისტეს სტუმრობის ამსახველ სურათებზეა გამოსახული. მონასტერში ორი დედა წინამძღვარი იყო. ერთს მართა ერქვა, მეორეს – მარიამი. ისინი მართლმადიდებელი არაბი გოგონებისთვის სკოლის დაარსებასა და უფრო დიდი ეკლესიის აშენებას აპირებდნენ. ჩემი ამრით, ეს სულაც არ იყო საჭირო – პატარა და ლამაზად მოწყობილი სამლოცველო ჰქონდათ, რაც მათთვის სრულიად საკმარისი გახლდათ. იქ სულ ხუთნი თუ ექვსნი ცხოვრობდნენ, სამლოცველოში კი ოცდაათზე მეტი დაეგეოდა. თუმცაღა მათ საქმეში ჩარევა სულაც არ მინდოდა. აქ, პალესტინაში, ჩინებული ეკლესიის ფლობას საჭიროება არ განაპირობებს, ეს მფლობელებისთვის ღირსებისა და პატივმოყვარეობის დამაკმაყოფილებელი საშუალებაა, მათი კეთილდღეობის მაჩვენებელი.

სადილობისას მონაზვნებმა ამ ადგილის მათებური ისტორია გვიამბეს: ღვთისმოსავ ოჯახს აქ არ უცხოვრია, ამ ადგილას მარიამი და ქრისტე შეხვედრიან ერთმანეთსო. ამის დასამტკიცებლად ბაღში წარწერიანი ლოდი გვაჩვენეს. მონაზვნებს ლოდი ბოქლომდადებულ ყუთში ჰქონდათ მოთავსებული, როგორც დიადი რელიკვია. ჩვენ დიდი პატივი დაგვდეს, ეს ლოდი რომგვაჩვენეს. წარწერა მდაბიური ბერძნულით იყო შესრულებული, რაც იმას ადასტურებდა, რომ მისი ავტორი დიდად განათლებული არ გახლდათ. ეჭვმა გამიელვა: ლოდი ნაყალბევი ხომ არ იყო, რომ ეს უდაბური ადგილი, რომელსაც სხვაგვარად დიდი ფასი არ ექნებოდა, მერე ძვირად გაეყიდათ? რუსეთის სასულიერო წარმომადგენლობა და პალესტინის მართლმადიდებლური საზოგადოება, დიდი ავლა-დიდების და შემოსავლის მქონენი, მშიერი მგლებივით დაეძებდნენ გადმოცემებზედაფუძნებული წარმომავლობის ადგილებს და ხშირად ყოველგვარი ვადამოწმების გარეშე ყიდულობდნენ. საკმარისი იყო, რომელიმე საიდუმლოებით მოცულ არაბს არქიმანდრიგისთვის ეთქვა, რომ იცოდა, სად იყო (ან ჰქონდა) ვასაყიდი „ანტიკვარი“, სასულიერო პირი უმაღლვე შეხვეწებოდა, ამ ადგილის საიდუმლო კათოლიკეს ან პროტესტანტს არ

გაუძხილო. ეს კი იმის გარანგია გახლდათ, რომ გამყიდველი რუსეთის სასულიერო წარმომადგენლობისგან იმდენ ფულს მიიღებდა, რამდენსაც მოისურვებდა.

მონაზვნებმა, როგორც ჩანს, ექსპერტად მიმიჩნიეს და უნდოდათ, რომ წარწერის უცყუარობა დამედასტურებინა. მე რაიმეს დაბეჯითებით თქმას მოვერიდე. ვუთხარი, წარწერის სტილი ერთობ მდაბიური და გრამატიკულად გაუმართავია, მაგრამ მაშინვე დაუშაგე, ამბავი, რომელიც ჩვენი მაცხოვრის აქაურ ეპიზოდს გადმოგვცემს, ძალიან ძველია, რაც ირგვლივ მიმოფანტული ძველი მოზაიკის ნარჩენებითა და საძირკვლის ნანგრევებით დასტურდება-მეთქი. გადმოცემის თანახმად, ეკლესია იქ იყო აღმართული, სადაც ახლა ვიდექით. იქვე, ეკლესიის სახურავქვეშ იყო წყალსატევიც. მოზაიკის რამდენიმე სანიშნუშო ნაგეხი ავიღე და წინამძღვარს მივეცი, რომ სამლოცველოში შეენახა. მამა ნიკოლასმა ურჩია, თუ ახალი ეკლესიის აშენებას გადაწყვეტდნენ, უსათუოდ იქ აეგოთ, სადაც ძველი ეკლესია იდგა და სტილიც დაეცვათ.

კარგი იქნებოდა, მონაზვნებს თავი რომ მოეყარათ იმ ნახაგებისთვის, რომლებმაც სხვადასხვა ეპოქის მხაგვრებს მართასა და მარიამის სახლში იესოს სტუმრობა ჰქონდათ გამოსახული. გადავწყვიტე, ვარშავიდან მათთვის სემირადსკი¹⁴⁰ ნახაგის ასლი გამომეგზავნა.

მონასტრიდან როცა წამოვედით, გაგანია სიცხე იყო, მაგრამ მეჩქარებოდა, რადგან იმ დღეს წმ. ჯვრის მონასტერში უნდა წავსულიყავი. წმ. ჯვრის მონასტერი საათ-ნახევრის სავალზე იყო იერუსალიმიდან, მაგრამ საპირისპირო მიმართულებით. ამის გამო სოფელ სილოამის გავლით წამოვედით, თანაც ასე ჩვენს მოგზაურობას უფრო მრავალფეროვანს გავხდიდით. გზა იმ მღვიმესთან გადიოდა, სადაც წმ. ლამარე იყო დაკრძალული. მიწას კერძო მესაკუთრე ფლობდა და როცა იქ ჩავიარეთ, ერთმა ყმაწვილმა, ვგონებ, მეპატრონის ვაჟმა, დაგვინახა, მოგვიახლოვდა და რუსულად დაიწყო წმინდა სამარხის ქება-დიდება. ჩვენ საუბარი ინგლისურად დავეციეთ, რომ ვერ მიმხვდარიყო, რას ვამბობდით. „ინგლისელები ხართ?“ – გვკითხა მან. ჩვენ პასუხი არ გავვიცია და ინგლისურად დაგვიწყო ლანძღვა-გინება. ამის საბაბი ჰქონდა: ინგლისელი ხელისუფალნი პალესტინაში ხელს არ უწყობდნენ ამგვარ საქმიანობას, ენერგიულად ებრძოდნენ სილაგაკეს, ყოველგვარ თაღლითობას, მომლოცველთა მომცყუებლებსა და ფულის დამცინცვლელებს. აქ რომ რუსული მმართველობა ყოფილიყო, ამგვარ ხალხს, ალბათ, უყოყმანოდ ხელს შეუწყობდა. ჩვენ ამანვე ვსაუბრობდით. მამა ნიკოლასი მარწმუნებდა, რომ მხოლოდ

140 ჰენრიკ სემირადსკი (1843-1902), პოლონელი მხაგვარი. მისი ნამუშევარი „ქრისტე მარიამისა და მართას სახლში“ (1886 წ.) პეგერბურგის რუსულ მუზეუმში ინახება.

რუსეთს უნდა ჰქონოდა მანდატი წმინდა მიწაზე პროტექტორატის დასამყარებლად. რაგომ? რადგან ეს იყო ღვთის მოყვარული ქვეყანა და ერი, რომელსაც ღიდი ღვაწლი მიუძღოდა წმინდა მიწაზე.

სილოამში არანაირი თავგადასავალი არ გადაგვხდომია.

უნდა მეჩქარა. ფრანცისკელთა გეთსიმანიის წინ მე და მამა ნიკოლასი ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ და მე წარმომადგენლობისკენ გავეშურე, რომ სამღიანი მოგზაურობისთვის აუცილებელი ბარგი ჩამელაგებინა.

ხუთი წლის წინ გამოშვებული იერუსალიმისა და მისი შემოგარენის რუკა, რომელიც რამდენიმე წლის წინ შევიძინე, ახლა უკვე გამოუსადეგარი გახლდათ. მონასტერი თითქმის ქალაქში იყო მოქცეული. უდაბნოს ადგილას ახალი ქუჩები, ევროპული ყაიდის ვილები და მშვენიერი სახლები იყო წამოჭიმული. ადრე მონასტრამდე მისვლა ნამდვილი მოგზაურობა იყო, ახლა კი – მხოლოდ მოკლე გასეირნება. იქამდე ავგობუსით მისვლა მცირე საფასურით შეგეძლოთ. გზა რამდენჯერმე ვიკითხე. უმეტესად ებრაელები მხვდებოდნენ. ინგლისური ყველამ იცოდა, მაგრამ უცებ იმ ქვეყნის ენაზე იწყებდნენ ლაპარაკს, საიდანაც იყვნენ გადმოსახლებულნი. უმრავლესობას პოლონურად მიემართავდი და, მართლაც, უმეტესად პოლონელი ებრაელები აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. მონასტერი მთის ძირში იდგა და შორიდან არ ჩანდა. შუა საუკუნეების ციხესიმაგრეს ჰგავდა. მონასტრის კარიბჭესთან ერთი არაბი იდგა. თვით კარიბჭე ძალიან დაბალი იყო: თავი რომ არ მიგერტყათ, თავდახრილი უნდა შესულიყავით. შევეცადე, არაბს გამოვლაპარაკებოდი. მალხიდან იყო – ქართული სოფლიდან. მონასტრის მცველის ვაჟი აღმოჩნდა.

– „ამ მონასტრის მცველობის უფლება ჩვენს ოჯახს აქვს, – მითხრა მან. – მამაჩემის სიკვდილის შემდეგ ან მე გაგხდები მცველი, ან ჩემი ძმა“.

მინდოდა გაშეგო, თუ სმენოდა, რომ გადმოცემით, ამ სოფლის ბინადარნი საქართველოდან იყვნენ გადმოსახლებულნი.

– „ღიბს, ვიცით, მაგრამ ეგ ძალიან, ძალიან ღიდი ხნის წინ იყო“, – მიპასუხა არაბმა.

გასულ საუკუნეში მონასტერში იერუსალიმის საპატრიარქოს სასულიერო სემინარია იყო განთავსებული და ამის გამო იგი ცოცხათი გადაკეთებული იყო. ახლა აქ მხოლოდ ერთი არქიმანდრიტი, ერთი მორჩილი და რამდენიმე ასაკოვანი ცხოვრობდა. მონასტრის ღიდი ნაწილი ბინებად იყო გადაკეთებული და რამდენიმე ოჯახზე გაქირავებული. მათ გარდა, აქ ცხოვრობდა კვიპროსის ავტოკეფალური ეკლესიის ყოფილი მიგროპოლიტი ნიკოლემოსიც¹⁴¹.

141 ნიკოლემოსი (მილონასი, 1889-1937), 1918 წლიდან კვიპროსის კიგიონის მიგროპოლიტი. მან ინგლისის კოლონიურ ადმინისტრაციას 1931 წლის 17 ოქტომბერს პროტესტი გამოუცხადა და ორი დღის შემდეგ ხალხს მოუწოდა, ადმინისტრაციის წინააღმდეგ ამბოხებულიყვნენ.

მონასტრის წინამძღვარი, მამა იოანიკოსი, უკვე მელოდა. რუსულად კარგად ლაპარაკობდა. ომამდე ერთხანს რუსეთში, ტაგანროგში იერუსალიმის საპატრიარქოს მეტოქიონში მოღვაწეობდა. მე პატრიარქისთვის განკუთვნილი ოთახები დაშითმეს. აქ იყო პატრიარქის სამყოფელი, როცა მონასტერში რჩებოდა. ოთახები ზედა სართულზე იყო და ჰქონდა პაგარა აივანიც, რომელიც ქუჩას გადაჰყურებდა. იქიდან დავინახე, მცველის მთელი ოჯახი ეზოდან რომ გავიდა. იქ ლოდზე ჩამოსხდნენ, საუბრობდნენ და გამვლელ ებრაელებს უყურებდნენ. ქუჩის გადაღმა ებრაელები ცხოვრობდნენ, გადმოღმა – არაბები.

– „ეს მონასტერი ორ ყაჩაღს შორის მაცხოვრის ჯვარით არის აღმართული, – თქვა არქიმანდრიტმა, – სახარების მიხედვით, ერთი ყაჩაღი ცხონდა. ნეგავ, ამთავან რომელნი ცხონდებიან: ებრაელები თუ არაბები?“

პაგარა ბიჭმა, ალბათ, იმ კაცის შვილი რომ იყო, ვისაც მე ველაპარაკე, დიდი დოქით წყალი მოიგანა და ოჯახს დააღვინა. ჩემ თვალწინ კვიპაროსების მშვენიერი ბაღი იყო გაღამილი. ბაღი ძალიან ძველი ჩანდა, კვლითა და ეკლიანი მავთულხლართით გულმოდგინედ შემორაგული. ბორცვზე გაშენებული ბაღის უკან იერუსალიმი იწყებოდა. დღის შთაბეჭდილებებით დაქანცულს მისხროდა, რომ აივანზე ჩემთვის ვიჯექი და საღამოს უჩვეულოდ კეთილსურნელოვან ჰაერს ვისუნთქავდი.

13. VII. ორშაბათი

კვიპროსის¹⁴² ყოფილი მიგროპოლიტი ჩემი ოთახების ქვემოთ ცხოვრობდა. მე მას რამდენიმე წლის წინ ლონდონში შევხვდი. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ინგლისელ ხელისუფალთა წინააღმდეგ ბერძნების ამბოხებაში და სამშობლოდან განდევნეს. აჯანყების დროს კვიპროსის გამგებლის სასახლე დაიწვა; მისი მდიდარი კოლექცია ნანგრევებში ჩაიძარხა, მათ შორის ბარძიმიც ქართული წარწერით, რომელიც კვიპროსში ჰქონდა შექმნილი. შესაძლოა, ეს იყო კვიპროსში ქართული სამონასტრო ცხოვრების ერთადერთი თვალსაჩინო მაჩვენებელი¹⁴³. ეს ამბავი ერთხელ გიბრალგარის ახლანდელმა ანგლიკანელმა ეპისკოპოსმა, სინიორ ჰაროლდ ბაქსტონმა¹⁴⁴ მომითხრო.

ინგლისელმა მაღალჩინოსნებმა იგი იერუსალიმში გადაასახლეს, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა. 1962 წელს ნიკოდეიმოსის ცხედარი კვიპროსზე გადასვენეს.

142 კუნძული სმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, თურქეთის სირიისა და ლიბანის სანაპიროებზე. ფართობის სიდიდით კუნძული სმელთაშუაზღვაში მესამეა. სახელწოდება სპილენძის ლათინური (ცუპრუმ) ან ბერძნული (Κύπριος) სახელიდან მომდინარეობს.

143 ვახტანგ ჯობაძემ (1917-2007) კვიპროსზე ღალიას მონასტრის ნანგრევები აღმოაჩინა, რომელიც 5 კმ-ით არის დაშორებული ქალაქ ღალიადან. მონასტერი ქართულ წყაროებში X-XIV საუკუნეებში იხსენიება, როგორც ჟალია (ღალია), დაცარიელდა XVI ს-ში. 2006 წლიდან ქართული მისია არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს.

144 სენიორ ჰაროლდ ბაქსტონს აქვს დიდი ვერცხლის თასი ქართული წარწერით, რომელიც

ბერძნულად ვისაუბრე (ერთი ჭიქა შავი ყავით) და ეკლესიაში წავიდი. მომცრო ეკლესია იყო. მოზაიკის იატაკს ჯერ კიდევ ეტყობოდა მაჰმადიანთა მიერ XVIII საუკუნეში გამართული ხოცვა-ჟლეტისას დაღვრილი სისხლის კვალი. ერთ დროს მოხატული კედლები თეთრად იყო გადაღებილი. ფრესკათა ფრაგმენტები აქა-იქ მოჩანდა. ამ ადგილას ჩვენი სახელგანთქმული პოეტი შოთა რუსთაველი იყო გამოსასული, მაგრამ ახლა იქ ვეღარაფერს ნახავდით. ალ. ცაგარელმა¹⁴⁵ თავის დროზე აქედან ოცი ქართული წარწერა გადმოიწერა. მე მხოლოდ ათი ვიპოვე. დანარჩენი დაზიანებული იყო. არქიმანდრიტმა ჩემი სამუშაოს მიმართ კეთილგანწყობილება გამოამჟღავნა და ისიც კი მითხრა, რომ გადაღებილი ფენის მოშორება და ძველი წარწერების გამოჩენა შეიძლებოდა. თუმცა, ეს ძვირი დაჯდებოდა. ჩემს კვლევას არც ერთი სამეცნიერო ორგანიზაცია არ აფინანსებდა; დამფინანსებელი საერთოდ არ მყავდა და ყველა ხარჯი თავად უნდა გამეწია. ამიგომ იმით უნდა დაკმაყოფილებულიყავი, რასაც შეეძლებდი.

სანამ ფოტოსურათებს ვიღებდი, იერუსალიმიდან მოსულმა ერთმა კაცმა მიკითხა. ქართველი აღმოჩნდა, სირიის მოქალაქე დიმო ცხონდია.¹⁴⁶ იგი ნამდვილად თვით განგებამ გამომიგზავნა. ფოტოსურათების გადაღება საუკეთესოდ შეეძლო და ამიგომ ფოტოაპარატი მას გადავეცი. თავს ექიმობით ირჩენდა. იერუსალიმში ბევრი პაციენტი ჰყავდა. მორჩილებს დროდადრო კუჭი აწუხებდათ, ასე რომ, ექიმის ნაცნობობა თვით არქიმანდრიტსაც გამოადგებოდა.

მთელი ნაშუადღევი ფოტოსურათების გადაღებას მოვანდომეთ. წმ. ჯვრის მონასტერი თითქმის ყველა მოგზაურს აქვს აღწერილი, ქართული ხელოვნების ძეგლებზე ვრცელი ნაშრომის გამოქვეყნებას მეც ვაპირებ¹⁴⁷, ამიგომ აღარაფერს გავიმეორებ. ახლა კი ერთი რამ უნდა აღვნიშნო:

ეკლესიის ჭიშკართან საკმაოდ ახლოს არის კარი, რომლითაც მცირე ნაგებობაში შედიხართ. ის ადგილი მაჩვენეს, სადაც ოდესღაც იდგა ხე,

კვიპროსზე შეიძინა.

145 ალ. ცაგარელი, *Памятники грузинской старины въ Святой земле и на Синае*, გვ. 241-247.

146 გრიგოლ ფერაძე ერთ სტაგიაშიც ახსენებს დიმო ცხონდიას: „ჩემი თანამემამულე დიმო ცხონდია დიდად დამეხმარა 1936 წლის ზაფხულში იერუსალიმში მუშაობისას. ყველა ფოტოსურათი მისი გადაღებულია, რისთვისაც გულითად მადლობას მოვასხენებ“ [G. Peradze, *An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine as revealed in the Writings of non-Georgian Pilgrims*, Georgica, 2:1937, N4-5, გვ. 242. წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, გვ. 233-321.

147 ეს ნაშრომი არასოდეს არ გამოქვეყნებულა.

რომლისგანაც წმინდა ჯვარი გამოთალეს. კელლებზე უამრავი, უმეტესად რუსული ხატი ჰკილია. ჩემი ყურადღება მხოლოდ ერთმა, ძალიან ძველმა ნახატმა მიიპყრო. ეს წმინდა მიწის მარტივი რუკა გახლავთ. ქვეყნის კუთხე-მხარეები აქ იმავე ყაიდაზეა გამოსახული, როგორც მაღაბას ცნობილ რუკაზე¹⁴⁸. ამასთანავე, ჩვენ ისე მცირე რამ ვიცით პალესტინის წმინდა გეოგრაფიაზე და ისე ცოცხა წყარო გვაქვს, რომ ამ ნახატის სერიოზული შესწავლა მეცნიერებისთვის ფრიად მნიშვნელოვანი იქნება.

თუმცა აუგანლად ცხელოდა, ნაშუადღევს მონასტრის ბაღში ვსეირნობდი. უზარმაზარ ბაღში მხოლოდ მეთისხილის ხეები იდგა. ბაღის ბოლოს მღვიმეები მოჩანდა. ერთი მათგანი, საკმაოდ დიდი, წმ. ნიკოლოზის ეკლესია გახლდათ. ალ. ცაგარელის ცნობით, წმ. ჯვრის მონასტრიდან¹⁴⁹ არცთუ ისე შორს წმ. ნიკოლოზის ქართული ეკლესია იყო. ალბათ, ამ ეკლესიას გულისხმობდა. დრო სწრაფად გავიდა, მზე ცის დასავალს უახლოვდებოდა.

შუაღმოსავლეთის შესვენების შემდეგ მონასტერში ყველა მუშაობდა. ჩემს ვაუჩინარებას ბერები შეეშფოთებინა. ბაღში მომავალი მორჩილი დავინახე. როცა თვალი მომკრა, აღარ მოუნდა, ჩემი მიგოვება. მითხრა, აქ მარტო სიარული საშიშია, რადგან შეიძლება, ყოველი კუთხიდან არაბი გამოვიხტესო. მინდოდა, მარტო დავრჩენილიყავი ამ მიწაზე, რომელიც ჩემი წინაპრების რუღუნებით, ლოცვითა და ასკეტიზმით იყო განწმენდილი. მინდოდა, გულისყური მომეკრიბა, ფიქრს მივცემოდი და იმ ეპოქაში გადავზაცვლებულიყავი. მორჩილის თანხლება ხელს ძალიან მიშლიდა, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა, მასთან ერთად შინ უნდა დაებრუნებულიყავი.

მონასტრის კარის მახლობლად მთელი ოჯახი ჩამომჯდარიყო: თვით მოხუცი კაცი, ვისაც ყველა „პაჯის“¹⁵⁰ (ვინც მექაშია ნამყოფი¹⁵¹) ეძახდა, მისი მეუღლე, ორი ბრდასრული ვაჟი და რამდენიმე ბიჭუნა. ბიჭებმა თვალი მომკრეს თუ არა, საჩუქრის სათხოვნელად გამოიქცნენ. მე მოხუცს გვერდით მივუჯექი. იგი მონასტრის პირველი მცველის შთამომავალი იყო,

148 მოზაიკით შესრულებული რუკა მაღაბას (იორდანია) ბიზანტიურ ეკლესიაში 1897 წელს აღმოაჩინეს. ეს წმინდა მიწის ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ძველი კარტოგრაფიული გამოსახულებაა. თარიღდება VI საუკუნით.

149 ა. ცაგარელი, *Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае*, გვ. 123.

150 რაც ნიშნავს პილიგრიმობას მექაში, რომელიც ყოველი მუსლიმისთვის მორალურ ვალდებულებას წარმოადგენს. პაჯი მაჰმადიანთა სოლიდარობას გამოხატავს, რომელიც ისლამური კალენდრის მეთორმეტე თვეს იწყება. ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი ადამიანი ჩადის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.

151 მექა (არაბ. *مكة*) წმინდა ქალაქი საუღის არაბეთის ისტორიული ჰეჯაზის რეგიონში. მდებარეობს ჯედადან 73 კმ-ში, აბრაამის ვიწრო ქვიშიან ხეობაში. მექაში არის კუბური ფორმის ნაგებობა ქააბა. ისლამურ რელიგიაში ეს არის ყველაზე სათაყვანებელი ადგილი. ნაგებობების გარშემო სამლოცველოა მასჯიდ ალ-ჰარამი.

ვინც ქართულიც იცოდა და ქართველთა წარმომავლობაც. მან მითხრა: „ეს მონასტერი ჩვენს ყველა თანასოფელს ძალიან მოსწონს, მაგრამ ჩვენ აქაურები არა ვართ“.

მისგან ბევრი რამის გაგება მინდოდა, მაგრამ საამისოდ ჩემი მწირი არაბულის ცოდნა არ კმაროდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ სოფელში ბოცი ქართული წეს-ჩვეულება, ხოლო მათ დიალექტში ქართული სიტყვები იქნებოდა შემორჩენილი. ძველი დროის რაიმე კვალი იქნებ მათ გვარებშიც მეპოვა. მოხუცის ერთმა ვაჟმა, იბრაჰიმ სპირამ, მთხოვა, ჩემი სახელი ქართულად დამიწერეო. ჰაჯი ჰასანმა კი მითხრა, მალხაში ძალიან ძველი ქრისტიანული ტაძრის¹⁵² ნანგრევებია, არქიმანდრიტმა ფოტიუსმა იქ არქეოლოგიური გათხრები ჩააგარა და ამაზე წიგნიც დაწერაო.¹⁵³

ამ ცნობამ ინტერესი გამიღვივა. რაღაც ხელმოსაჭიდი გამოჩნდა: სოფლის ბინადარნი ერთ დროს უთუოდ ქრისტიანები უნდა ყოფილიყვნენ, სხვაგვარად ეკლესია რაგომ ექნებოდათ? ჰაჯი ჰასანი შემიძინდა, რომ სოფელში წამიყვანდა და თავის ნათესაობასთან რამდენიმე დღეს მასტუმრებდა. მათთვის ფოტოსურათების გადაღება მინდოდა, მაგრამ ვერ დავიყოლიე.

მთელი ღამე თოფის სროლის ხმა ისმოდა (ისევე, როგორც წინა ღამეს); ებრაელთა სახლებისკენ მთიდან ვიღაც ისროდა.

14. VII. სამშაბათი

ეკლესიაში მეორეჯერ მივედი. დღეს ორი წარწერა კიდევ ვიპოვე: ერთი – წმინდა საკურთხეველის ქვემოთ, მეორე – ათონის მთის წმ. დიონისეს მონასტრის მომხატველის – პანსელინოსის¹⁵⁴ (XIII-XIV სს.) მოხატულობის ქვემოთ. მისი ნამუშევრები, გიჟური ბიზანტიური სახეებით, დიდებული გალანტისა და დახვეწილი ხელოვნების ნაყოფია და ფასდაუდებლადაა მიჩნეული. მოზაიკურ იაგაკში შუალედებია, რომლებშიც ჩვეულებრივი ქვის ფილებია ჩაგანებული. საფლავის ქვები ხომ არ არის? ზოგიერთს წარწერის კვალი ამჩნევია, მაგრამ მათი ამოკითხვა შეუძლებელია. შესაძლოა, მათ შორის ამ მონასტრის დამაარსებლის (ან აღმდგენელის), წმ. გიორგი-პროხორესა (XI ს.) და სხვათა სამარხები

152 „მალხაში ძველი ეკლესიის ნანგრევები მდებარეობს, მათი მცხოვრებლების გადმოცემით ეკლესიასთან დიდი საგანძური, ძვირფასი ნივთები და წიგნებია დამარხული, რომელიც მათ ბელსა და სამშობლოს ეხება“, ა. ცაგარელი, *Памятники грузинской старины въ Святой земле и на Синае*, გვ. 141.

153 ვერ დადგინდა, რომელ წიგნზეა საუბარი.

154 მანუელ პანსელინოსი (XIII ს-ის ბოლო – XIV ს-ის დასაწყისი), ცნობილი ბერძენი მხატვარი, მაკედონური სკოლის წარმომადგენელი. იგი უმთავრესად 1360-1370 წლებში ათონის მთაზე, კარიეში, პროგატოს ეკლესიაში შესრულებული ფრესკებით არის ცნობილი.

იყოს, რომელთა სახელებიც ჯერ კიდევ ახსოვთ. იქნებ ჩვენი სასიქადულო პოეტი, შოთა რუსთაველიც აქ არის დაკრძალული. გადმოცემის თანახმად, რუსთაველმა სიცოცხლის ბოლო წლები აქ გააგარა. იგი ერთ ღროს შემოსასვლელიდან ხელმარჯვნივ, კედელზე იყო გამოსახული.

ეს გამახსენდა და თვალი თეთრ კედლებს სევდიანად კიდევ ერთხელ შევაველე. არქიმანდრიგმა მითხრა, როცა ამ თანამდებობაზე გამამწესეს, ყველა ქართული წარწერის წაშლას ვაპირებდიო. მაგრამ საპაგრიარქომ მას ამის ნება არ მისცა. დაქინებით მოითხოვეს, რომ აქ ეს წარწერები ქართველების სამახსოვროდ დარჩენილიყო.

არქიმანდრიგმა მკითხა, ქართველებმა პალესტინაში მოწინავეობა რანაირად დაკარგესო? მე მივუგე, რომ ბევრი რამის გამო, რაც მათ თავს ერთბაშად დააგყდათ. წმინდა მიწაზე ქართველთა დაკნინება ამ ქვეყანაში თურქთა მმართველობის დამყარებისთანავე დაიწყო. ქართველები 1553 წელსვე იძულებულნი გახდნენ, წმ. იოანე ღვთისმეტყველის მონასტერი ფრანცისკელებისთვის დაეთმოთ. უფრო სწორად, ქართული მონასტერი ფრანცისკელებს თვით იერუსალიმის თურქმა ფაშამ მიჰყიდა. თურქებს ქართველები პოლიტიკურ მიზეზთა გამო სძულდათ. საქართველო თურქთა წინააღმდეგ დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. გარდა ამისა, თურქებს მამლუქები¹⁵⁵ სძულდათ და ეს ქართველთა სიძულვილსაც ბადებდა, რადგან მამლუქები კავკასიელები (თუმცა გამაჰმადიანებულნი) იყვნენ, ქართველებს მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ.

ამას სხვა გარემოებებიც ემატებოდა. XIV საუკუნის შემდგომ მცირე სამთავროებად დაქუცმაცებულ საქართველოს ყოველი მხრიდან მოძალეებულ მგრებთანგამუდმებული ბრძოლისგან ძალა ჰქონდა გამოლეული და, ამის გამო, ქვეყნის გარეთ მდებარე მრავალი მონასტრის სათანადო პაგრონობა აღარ შეეძლო. მონასტრებს ვალები დაუგროვდათ, გადასახადების გასასტუმრებლად ფულიარ ჰქონდათდა ამის გამო ქონება დაკარგეს. მონასტრების მძიმე მდგომარეობა, მაღალი გადასახადები და თურქ ხელისუფალთაგან დევნა საქართველოში კარგად იცოდნენ და მათ დასახმარებლად ფულს აგროვებდნენ, მაგრამ იმათ, ვისაც ფული მოჰქონდა, მეტწილად ყაჩაღები ესხმოდნენ თავს, ხოცავდნენ და ძარცვავდნენ. ეს გრაგედია აღწერილი აქვს იერუსალიმის პაგრიარქ დოსითეოსს,¹⁵⁶ ვინც ამ ვითარების გამო ქართული

155 მამლუქები (არაბ. მამლუქ), არამუსლიმური წარმოშობის თეთრკანიანი მონები (ზოგადად წარმართები, ზოგჯერ ქრისტიანები), რომლებსაც ყიდულობდნენ მუსულმანი მმართველები. ისლამზე მოქცეულები საბრძოლო მომზადებას გადიოდნენ. ზოგჯერ ომში გყვედ ჩავარდნილები მამლუქები ხდებოდნენ.

156 დოსითეოს II (ნოგარასი, 1641-1707), იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პაგრიარქი 1669 წლიდან, ძირითადად კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა და ფაქტიურად მოსკოვის მთა-

მონასტრების სია შეადგინა. სამწუხაროდ, ეს მნიშვნელოვანი ნაშრომი დღემდე ნაკლებად არის ცნობილი¹⁵⁷. გამონაკლისს წარმოადგენს მისი მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილი, რომელიც მ. ბროსემ¹⁵⁸ ჯერ ფრანგულად თარგმნა, მოგვიანებით კი ფრანგულიდან რუსულად¹⁵⁹. ჩვენი ემიგრანტები ამ ნაშრომის ქართულად. ჩვენი ძველი ისტორიის შესასწავლად აგრერიგად მნიშვნელოვანი ნაშრომი, მე მგონი, საქართველოში არც კი მოიპოვება.¹⁶⁰

ასლა კი წარსულიდან აწმყოზე გადმოვინაცვლებ. მსოფლიო ომის შემდეგ, როგორც ამბობენ, საბერძნეთის საპაგრიარქოს ვალი ხუთასი ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენდა. ვალები რუსებსაც ჰქონდათ, იქნებ, არც ნაკლები, ვიდრე ბერძნებს. საპაგრიარქოსა და რუსებიც იმედოვნებდნენ, რომ ომი რუსეთისთვის ხელსაყრელად დასრულდებოდა, ფულს წინდაუხედავად სესხულობდნენ, ძირითადად, ებრაელებისგან. რომ არა ინგლისელი ხელისუფალნი, რომელთაც საპაგრიარქოსა და რუსეთის წარმომადგენლობის შემოსავლები თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს და მათი ვალები გადაიხადეს, ბერძნებიცა და რუსებიც იძულებულნი გახდებოდნენ, თავიანთი ქონება აუქციონზე გასაყიდად გაეჭანათ. რა საწყენია, რომ პალესტინაში არ იყვნენ ინგლისელი ხელისუფალნი, როცა იქ ქართული გრაგედია დაგრიალდა!

ინგლისელთა ხელისუფლებას უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული თვით წმინდა მიწისთვისაც. ეს არც სიყალბეა და არც პირფერობა. პირიქით, მათ საქმიანობაში დიდი სიყვარული, პატივისცემა და თავგამოდება იგრძნობოდა იმ ქვეყნის მიმართ, რომელიც, გარკვეულწილად, ყველა ჩვენგანისათვის მეორე სამშობლოა. ინგლისელებმა კარგი სამანქანო გზები გაიყვანეს, იერუსალიმში წყალგაყვანილობის სისტემა შექმნეს და ებრძვიან სიღატაკესა და ყაჩაღობას ამ ქვეყანაში.

ნასადილევს მონასტრის სარდაფში ჩავედი. ჩვენ რასაც სარდაფს ვეძახით, ბერძნულ მონასტრებში არ არის. ისინი სარდაფად ქვედა სართულს იყენებენ. ბერები ზედა სართულზე ცხოვრობენ. ქვედა სართულს ფანჯარა

ერთობის ავენჯი იყო. იგი ორთოლოქსიის რადიკალურ მიმდინარეობას გამოხატავდა, რომელიც სხვადასხვა კონფენსიების დაახლოებას სრულიად გამორიცხავდა. იყო მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომების ავტორი. უფრო ვრცლად იხ. М. Бернацкий, *Досифей II Нотара, Православная энциклопедия*, მოსკოვი 2007, გვ. 71-79.

157 შდრ. კალისტოს (მელიარასი), *Νέα Σύν*, „ნეასიონი“, 24(1929), გვ. 33-48, 98-114, 162-171, 234-243.

158 მარი ფელისიგ ბროსე (1802-1880), ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე, ქართული და სომხური ენების სპეციალისტი.

159 დ. ფავორსკი, *Досифей Нотары, Патриарха Иерусалимского. Неизданные главы истории Иерусалимских патриархов*, 1894, II, გვ. 175-191.

160 იერუსალიმის პაგრიარქი დოსითეოსი, იერუსალიმის საპაგრიარქოს ისტორია, ბუქარესტი, 1715, 12 წიგნად (ბერძნულ ენაზე).

არც ერთ მხარეს არა აქვს, მოგჯერ თოხახებად არც არის დაყოფილი. ქვედა სართულის კედლები მონასტერს ყოველი მხრიდან გარს აკრავს და მონასტერში შესვლა შესაძლებელია მხოლოდ ერთი კარით, რომელსაც საღამოს შვიდი საათისთვის კეტავენ და დღით აღებენ. მეგონა, სარდაფში რამე საინტერესოს ვიპოვიდი. არქიმანდრიტი და იერუსალიმიდან ჩამოსული ბერები ქვემოთ ჩამომყვნიენ. მონასტრის წინამძღვარი აქ აშკარად პირველად იყო. სარდაფი მთელი საუკუნის (ან იქნებ უფრო დიდი ხნის) მანძილზე არავის დაუსუფთავებია. იქ დაყრილი ხარახურისა და ნაგვის ფენების მიხედვით მონასტრის ისტორიის აღდგენაც კი შეიძლებოდა. ზოგი რამ, ძველი ჩაჩქანები და დამიანებული იარაღი, ჯარისკაცებს დაეგოვებინათ. დამტვრეული მათარები და ძველი წიგნაკები, ალბათ, იმ დროიდან შემორჩა, როცა აქ, ქვემოთ, სკოლა იყო გახსნილი. ყველაფერი მტვერში, ქვებსა და მავთულებში იყო ჩაფლული. ანაფორა რაღაცას გამოვდე და გვარიანად გამეხა. და მაინც, აქ რაღაც უნდა ყოფილიყო, შესაძლოა, საფლავეები ან ნამდვილი სარდაფი ქვედა სართულის ქვეშ. დაგეგმარების მიხედვით, ქვედა სართული სენაკებად უნდა ყოფილიყო დაგისრული. უწინ აქ, ალბათ, ბერები ცხოვრობდნენ, თუმცა კი საშინელი ნესტი და სიბნელე იყო.

15. VII. ოთხშაბათი

დღით ჩვენი თან მოვიდა ერთი ბერი, გარეგნობა მოლდაველისა რომ ჰქონდა. სანამ ჩაის ვსვამდით, წმინდა მიწაზე არსებულ მრავალ უძველეს ადგილზე გველაპარაკებოდა, სადაც მონასტრებისა და დიდებული სამლოცველოების აშენება შეიძლებოდა. იგი თავის არქიმანდრიტს „მოსიარულე ანგიკვარს“ უწოდებდა და ამბობდა, მან ყველაფერი იცისო. სოფელ მალხაზე კი გვითხრა, სჯულის კიდობანი ამ ადგილას დადგეს, როცა ის მეფე ღავითის¹⁶¹ დროს ფილისტიმელთა¹⁶² ქვეყნიდან იერუსალიმში მიჰქონდათო. გამორიცხული არ არის, ასე ყოფილიყო. იქნებ ამიგომაც ააშენეს აქ ის სამლოცველო, რომელმაც გუშინ ჰაჯი ჰასანი მომითხრობდა? იმ ბერმა რუსული კი იცოდა, მაგრამ დიდად განათლებული არ გახლდათ, ხოლო რასაც ამბობდა, თავად ეჭვმიუტანლად სჯეროდა. გავიფიქრე, რომ მისგან ბერი რამის შეგცობა შეემძლო.

ჩემი თანამემამულე კვლავ მოვიდა. სტუმართმოყვარე მონასტერი მალე დავეგოვე და მასთან ერთად იერუსალიმისკენ გავწიე. ჩვენი გზა კატა-

161 ღავითი (დაახ. ძვ.წ. 1040-970), ღავით წინასწარმეგყველი, ღავით მეფსალმუნე, ისრაელის სამეფოს მეორე მეფე, იესეი ბეთლემელის უმცროსი ვაჟი, ისრაელის მეფე დაახ. 1010 წლიდან.
162 ფილისტიმელები (ებრ. פלשתים – უცხო, მომთაბარე ეგვიპტელები), ეგვიპტური წარმოშობის ხალხი, რომელიც პალესტინის ტერიტორიაზე სახლდებოდნენ. სიტყვა „ფილისტიმელი“ ანუ „ფელესეტი“. ბერძნები ფილისტიმელებით დასახლებულ მიწას ფილისტიას ეძახდნენ, სწორედ ამ სიტყვიდან მომდინარეობს ქანაანის სახელწოდება, პალესტინა.

მონზე,¹⁶³ იერუსალიმის ახალ უბანზე გადიოდა. იქ, ძირითადად, ქრისტიანი არაბები იყვნენ დასახლებულნი. ამ უბანში დიდი ბერძნული მონასტერიც იყო, სადაც იერუსალიმის პაგრიარქს საზაფხულო რეზიდენცია ჰქონდა. მონასტერი მშვენიერი კვიპაროსების ბაღის შუაგულში იდგა. ქართული და ბერძნული გაღმორცემებით, მონასტერი ქართველებს ეკუთვნოდა.¹⁶⁴ ალ. ცაგარელს ამ მონასტერში ქართული კვალი არ აღმოუჩენია (შესაძლოა, იგი აქ არც ყოფილა). მონასტრის წინამძღვარმა, ვიქტორმა, ძალიან გულთბილად მიგვიღო და გვაჩვენა ქვები, რომლებსაც ქართული წარწერები ჰქონდა. ქვებს სამსხვერპლო მაგიდის ქვეშ ინახავდა. სულ სამი ქვა იყო: ერთი დიდი და ორი მომცრო. წარწერები კარგად იკითხებოდა. ბაგონმა ცხონდიაშ (ჩემი თანამემამულის გვარი ეს გახლავთ) წარწერების ფოტოსურათები გადაიღო. უწინ ამ ადგილას სასაფლაო იყო, ისე რომ, აქ უთუოდ ბევრი ამგვარი ქვის მოძიება შეიძლებოდა, თუმცა ამისთვის ფართო არქეოლოგიური კვლევა-ძიება იყო ჩასატარებელი.

მონასტერი წმ. სვიმეონის სახელობისაა, იმ სვიმეონისა, ვინც ქრისტე ხელში აიყვანა და თქვა: „აწ განუტევებ მონას შენსას, მეუფეო, თანახმად შენი სიგყვისა, მშვიდობით“.¹⁶⁵ გაღმორცემის მიხედვით, აქ იდგა მისი სახლი, მისი საფლავი კი მონასტრის სამლოცველოშია.

უფლის საფლავის ეკლესიის არქიმანდრიტი შეეპიროდა, რომ დღეს, 10 საათზე, განძისაყავს მანახებდა, ასე რომ უნდა მეჩქარა.

სამწუხაროდ, ჩვენი საათები ჩამორჩენილი ყოფილა. არქიმანდრიტი საათზე მეტ ხანს გველოდა. ჩვენ ხელთ მხოლოდ ერთი საათილა გვქონდა, რადგან ბერები შუადღისას სადილობდნენ, ნასადილევს კი ისვენებდნენ. ალ. ცაგარელს შვიდი ნივთი აქვს აღწერილი (სამოსი, ხაგები), რომლებზეც ქართული წარწერებია და აქ უნდა ინახებოდეს. მე მხოლოდ ოთხი ამგვარი ნივთი აღმოვაჩინე, რომელთაგან ერთი ალ. ცაგარელს ნახსენები არა აქვს.¹⁶⁶ არქიმანდრიტის ნებართვით ამ ნივთების ფოტოსურათები გადავიღეთ. ძალიან მინდოდა, მენახა ის დიდი ჯვარი, რომელიც თამარ მეფემ სალადინისგან შეიძინა¹⁶⁷ და კიდევ ბევრი სხვა რამ, რომლებზედაც არ იყო ქართული წარწერები, მაგრამ, შესაძლოა, ყოფილიყო საქართველოდან ჩამოგანილი ან ქართული ფულით შექმნილი. სამწუხაროდ, საამისო დრო

163 კაგამონის რაიონი (კაგამონი), იგივე გონენი, იერუსალიმის სამხრეთ ნაწილშია.

164 (*) ა. ცაგარელი, *Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае*, გვ. 123-124.

165 ლუკა 2: 29.

166 (*) ა. ცაგარელი, *Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае*, გვ. 247-250, XXI-XXIX.

167 ა. ცაგარელი, *Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае*, გვ. 49. სალაჰად-დინი, 1138-1193), აიუბიდების დინასტიის დამაარსებელი, ნაჰრ-ალ ურდუნ 1171 წლიდან ნაჰრ-ალ ურდუნ.

აღარ გვექონდა. გული მწყდებოდა; ვფიქრობდი, იქნებ აქ მეგად ველარც მოვიდე-მეთქი.

უკან გამობრუნებისას წმ. აბრაამის მონასტერში შევიარე (იმ ადგილას, სადაც აბრაამი თავისი ვაჟის მსხვერპლად შეწირვას აპირებდა, ანუ უფლის საფლავის ბაზილიკიდან არცთუ ისე შორს). ალ. ცაგარელის ცნობით, აქ ერთი ქართული წარწერა უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, წარწერა აღარ არსებობდა. საბუნდევროდ, ალ. ცაგარელს იგი ციტირებული აქვს თავის აღწერილობაში.¹⁶⁸

შევიტყვე, რომ წმ. საბას მონასტრის წინამძღვარი იერუსალიმში იყო და გადავწყვიტე, ნაშუადღევს ვსტუმრებოდი. მონასტერში დაბრუნებისას იქნებ თან წავეყვანე.

წინამძღვარს ნაშუადღევს ვეწვიე და შევიტყვე, რომ მხოლოდ ათი დღის შემდეგ აპირებდა მონასტერში დაბრუნებას. რუსული მანაც იცოდა. შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მართლმადიდებელ არაბთან მივედი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბერძნეთის საპატრიარქოს მრევლს მხოლოდ არაბები შეადგენენ, ხოლო მაღალი რანგის სასულიერო პირნი უკლებლივ ბერძნები არიან. ამის გამო, არაბებსა და ბერძნებს უხსოვარი დროიდან უთანხმოება აქვთ. არაბებს არანაირი უფლებები არ გააჩნიათ თავიანთ ეკლესიაში და, ცხადია, მათ ამ უფლებების მოპოვება უნდათ. ოსმალთა მმართველობის დროიდან იქ ბერძნები მბრძანებლობენ. მაშინ ბერძნებმა იერუსალიმის საპატრიარქოში პირველობა ძალიან იოლად მოიპოვეს. კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი (მართლმადიდებელთა უმაღლესი ხელისუფალი) ყოველთვის ბერძენი იყო და იმპერიაში მხოლოდ თავისიანთა მხარდამჭერი გახლდათ. გარდა ამისა, ბერძნები ამ ქვეყნის, ანუ ოსმალთა იმპერიის, მოქალაქენი იყვნენ და იერუსალიმში პირველობის მოპოვება უადვილდებოდათ, რადგან ეკლესიის აგებულება და წეს-ჩვეულებებიც მათ ხელს უწყობდა. ახლა დროება ბერძნებისთვის საზიანოდ შეიცვალა. პალესტინას უცხოელები განაგებენ და ბრიტანელი ხელისუფალნი, უპირველეს ყოვლისა, თავიანთ თანამემამულეთა საჭიროებებსა და მისწრაფებებზე ზრუნავენ. ამჟამინდელ პატრიარქს ხელისუფალნი კარგი თვალით არ უყურებენ, რადგან იგი არაბებს არ მოსწონთ. ბერძენ ბერებს აქ ჩამოსვლისა და დამკვიდრების ნებას არ აძლევენ. ამის გამო მათი რაოდენობა დღითიდღე კლებულობს.

მეორე მხრივ, საკითხავია, არაბები სხვა რელიგიათა მეწოლას თუ გაუძლებენ და ეკლესიებს იმგვარად თუ შეინარჩუნებენ, როგორც ბერძნებმა შეძლეს? მე მგონი, არაბები ამისთვის მზად ჯერ არ არიან. ერთი ბერიც

168 ა. ცაგარელი, *Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае*, გვ. 250, XXX.

კი არ ჰყავთ (ერთი იეროდიაკონის¹⁶⁹ გარდა), რომ არაფერი ვთქვათ არქიმანდრიტებსა და ეპისკოპოსებზე. ბერძნებს არ უნდოდათ, დამატებითი მოცილე გაეჩინათ და ამიგომ არაბებს თავიანთი სასულიერო სემინარიებში არ იღებდნენ, რათა დაწინაურება არ შესძლებოდათ. რუსეთი მოგჯერ, პირიქით, ბერძნებთან დაპირისპირებულ არაბებს ესმარებოდა, თუშცადა, მათ მცდელობას თავგამოდებით არ ესმიანებოდა.

იმ არაბთან საუბარმა, წელან რომ ვახსენე, მე მგონი, ბევრი რამ შემძინა. მას ბერძნები არ უყვარდა და ჩიოდა, რომ ისინი არაბებს მხოლოდ ყვლეფდნენ და სანაცვლოდ არაფერს აძლევდნენ. ერთი ამბავი მიაბმო, 1907 წელს რომ მომხდარა: არაბებს უფლის საფლავის ეკლესიაში ფრანცისკელები გაულახავთ, რადგან მათ ეკლესიაში რამდენიმე მეგრით მეგი ფართობი დაუსუფთავებიათ, ვიდრე ეკუთვნოდათ. ცხადია, მან იცოდა ფრანცისკელთა ქმედებას რა მნიშვნელობაც ჰქონდა და თქვა: „გაძარში, სადაც თითქმის ყველა ქრისტიანულ აღმსარებლობას თავისი მცირე ნაწილი აქვს, ვისრა ნაწილი ეკუთვნის, ნოტარიუსის მიერ დაწერილი რაიმე ხელშეკრულება არ განსაზღვრავს. ერთადერთ კანონად გრადიცია მიანიათ. თუ ფრანცისკელები იმ ადგილს დაასუფთავედნენ, რომელიც მათ კი არა, სხვას ეკუთვნოდა, მალე მას დაეპაგრონებოდნენ კიდევ. ის უბრალო რამ, წინადლით ეს ადგილი რომ დაასუფთავეს, საკმარისი გახლდათ იმისათვის, რომ იქ თავიანთი საკურთხეველი მოეწყოთ. ბერძნები არაბულად მოლაპარაკე ბერძნებს გვეძახიან. მაგრამ, როცა 1921 წელს, მოსახლეობის აღწერა ჩატარდა და ჩვენ ოფიციალურ საბუთებში ბერძნებად ჩაწერა მოვინდომეთ, ბერძენთა საპაგრიარქომ ამის უფლება არ მოგვცა. ბერძნები ჩვენი ფულით სკოლებში მხოლოდ თავისიანებს ასწავლიან. არაბი მხოლოდ უბრალო, უმაბლესი წოდების სასულიერო პირთა შორის შეიძლება შევხვდეთ. უმაბლესი წოდებანი მხოლოდ ბერძნებისთვისაა განკუთვნილი“.

მართლმადიდებლობაზე საუბრიდან სხვა აღმსარებლობებზე გადავინაცვლეთ. იგი პროტესტანტების აღზრდილი იყო და ამიგომ კათოლიციზმი გულზე დიდად არ ესაგებოდა. ამგკიცებდა, კათოლიკურ ეკლესიას უფლება არა აქვს, საკუთარ თავს სრულიად მსოფლიოსი უწოდოს, რადგან ქრისტიანთა ნახევარი მაინც მათი აღმსარებლობისა არ არის. ამგვარი სახელწოდება სწორი მხოლოდ მაშინ იქნებოდა, თუ ყველა კათოლიკობას მიიღებსო. ვცდილობდი, დამერწმუნებინა, რომ თვით ერთ, დიდ ეკლესიად გაერთიანების იდეა კათოლიკურ ეკლესიას უფლებას აძლევდა, ამგვარი სახელი ჰქონოდა. ვუთხარი, რომ ყველანი საყოველთაო შერიგებისკენ უნდა მივისწრაფოდეთ. „საინგერესოა, – განაგრძო მან, – რომ გერმინი „მართლმადიდებლობა“ არაბულად „ჭეშმარიტ ღოგმათა მქონე ეკლესიად

169 იეროდიაკონი (ბერძ. ιεροδιάκονος), მთავარდიაკონი, ბერი, რომელიც დიაკვნად აკურთხეს.

ითარგმნება, (ანუ წარმომდგარია არა სიგყვიდან *ბნჯაა* „დიდება“, არამედ სიგყვიდან *ბნჯაა* „დოგმა“). ჩვენს ეკლესიას ჭეშმარიტი დოგმები აქვს და მისი არაბულად თარგმნილი სახელწოდება ამის დამადასტურებელია. თუ ჩვენმა ეკლესიამ სახელი მცდარად დაირქვა, რომაულმა ეკლესიამ ეს მაშინ რატომ არ გააპროტესტა?“

უპველესი ეკლესია, დედა ყველა ეკლესიისა, საბერძნეთის მართლმადიდებლური საპატრიარქო, მრავალი სიძნელის წინაშეა. მათ შორის უდიდესი არაბებთან უთანხმოება და ებრაელებთან ურთიერთობაა. ამის თაობაზე ამ ქურნალისთვის ალბათ სხვა დროს დავწერ, როცა ებრაელებს გავესაუბრები.

16. VII. ხუთშაბათი

როგორც იქნა, ნაშუადღევს დრო გამოვნახე ბიბლიოთეკაში არსებული 162 ქართული ხელნაწერის შესასწავლად. ამ ხელნაწერთა პირველი კატალოგი ალ. ცაგარელმა შეადგინა, მეორე კი – რ. ბლექიკმა 1924 წელს. ბიბლიოთეკაში ბლექის კატალოგი ჰქონდათ. უცნობი ხელნაწერების დიდი ნაწილი ნ. მარმა¹⁷⁰ გამოაქვეყნა. სამწუხაროდ, არც ნ. მარის პუბლი-

170 სხვა ნაშრომთა შორის წმ. გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრება“ (პეტერბურგი, 1911) [Георгий Мерчул, *Житие св. Григория Хантдзтийского, грузинский текст, введение, перевод Н. Марра с дневником поездки в Шавишию и Кларджию*, СПб, 1911 (*Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии*, кн. 7) (რედ. შენ.). ნიკო მარი (1865-1934), ქართველი ლინგვისტი და არქეოლოგი. მან წამოაყენა მსოფლიოს ენათა კლასობრიობისა და სტადიალური განვითარების თეორია, ჩამოაყალიბა იაფეგურ ენათა დამოუკიდებელი ოჯახის თეორია. 1931 წელს გრიგოლ ფერაძე საბჭოთა კავშირში, ლენინგრადის უნივერსიტეტში სამუშაოდ მიიწვია. „ჩემი კვლევის შედეგები, რომელიც ძალიან ზოგადად თუ ვიგყვი, სახარების ქართულად თარგმნას ესებოდა, მაშინ გავისივრებოვანე, როცა 1930 წელს ვენაში აღმოსავლეთმცოდნეთა VI კერმანულ კონფერენციას ვესწრებოდი. იმ ნაშრომმა, რომელიც კონფერენციის შემდეგ მოკლე ხანში გამოქვეყნდა, შესაძლებლობა მომცა, კავშირი დამემყარებინა ქართველოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის, ასევე შედარებითი ენათმეცნიერების წამყვან მკვლევართან, პროფესორ მართან. ჩვენი სამეცნიერო კავშირი შემდგომში გულთბილ მეგობრულ ურთიერთობად გადაიქცა. 1931 წლის დასაწყისში პროფესორი მარი მცირე ხნით ბონში ჩამოვიდა უნივერსიტეტის ქართული და სომხური განყოფილებების მუშაობის გასაცნობად. სწორედ მაშინ შემომთავაზა, ლენინგრადში გავეყოლოდი და მის ასისტენტად მემუშავა. თუმცა იმდროს სულ სხვა რამ მეწავდა. სერიოზული სწავლებისგან ახლად განკურნებული ვიყავი და პარიზში წასვლას ვაპირებდი, რათა იქაური ქართველი ემიგრანტების სულიერი მწყემსი გაემხდარიყავი. პროფესორი მარი ყოველნაირად ცდილობდა, დაევრწმუნებინე, ეს გადაწყვეტილება რა სახიფათო და სამიანო იყო ჩემი სამეცნიერო კვლევისა და მთავარი მიზნისთვის. მან ქართველ ემიგრანტებზე თავისი შეხედულებები გამაცნო. სამწუხაროდ, ამ წრეს პირადად კარგად არ ვიცნობდი და მისი მოსაზრებები სრულიად ჰიპოთეზური და თეორიული მეჩვენა. ამიტომ ჩემი განმრავლა არ შემეცვლია, რის გამოც მისი მეგობრობა და მხარდაჭერა დავკარგე. ჩვენი საუბრები ჩაწერილი მაქვს და თუ ოდესმე შესაძლებლობა მომიცემა, გამოაქვეყნებ“ [Sw. Grzegorz Peradze, *W służbie kultury gruzińskiej, Dziela zebrane*, I, გვ. 57-58; წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, ქართული კულტურის

კაციები და არც ალ. ცავარელის ნაშრომი ხელთ არა მაქვს. საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში ქართულ მონასტრებში დაცული ხელნაწერები იყო თავმოყრილი. ეს ხელნაწერები, საერთოდ, ამის წყალობით არის შემონახული. მათ შორისაა, ზოგადად, ქრისტიანული ლიტურატივის ისტორიის შესწავლისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე ხელნაწერები. ქართულ ხელნაწერებში, სხვათა შორის, არის 614 წელს სპარსელთაგან იერუსალიმისა და მისი გაძრების დანგრევის ამბავი, წმ. საბას მონასტერში მოღვაწე ბერის, ანგიოქე სტრატეგის¹⁷¹ მიერ დაწერილი. წმინდა მიწის ისტორიისთვის აგრერიგად დიდმნიშვნელოვანი საბუთი მხოლოდ ქართული თარგმანით არის შემონახული. ქართული გექსტი პროფესორმა ნ. მარმა გამოაქვეყნა და იგი რუსულ, გერმანულ და ბერძნულ ენებზე ითარგმნა. ბერძნულად არქიმანდრიტმა კალისტოსმა¹⁷² თარგმნა. მან მიაბო, რომ ბერები გიროდნენ, როცა წარსულში ჩადენილ ბოროტებათა ამბავს კითხულობდნენ.¹⁷³ კოლექციაში ასევე არის რომის ეპისკოპოს იპოლიტეს¹⁷⁴ მრავალი ავთენტიკური ნაშრომი, ასევე ემრას¹⁷⁵ IV, დაკარგული წიგნი და ზოგი მნიშვნელოვანი, თუმცა, სამწუხაროდ, ჯერაც თავმოყურელი საბუთი, როგორცაა ხელნაწერები ძველი აღთქმის წინასწარმეტყველების და წმ. მამა გრიგოლ ხანძთელის, VIII-IX საუკუნეებში მოღვაწე ქართველი წმინდანის „ცხოვრება“, რომელიც ფასდაუდებელ ისტორიულ ცნობებს შეიცავს იმდროინდელ საქართველოზე. საქართველოში მსგავსი ხელნაწერი არ არსებობს.

პალესტინაში ქართული მონასტრების ისტორიის შესასწავლად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ხელნაწერების კიდეებზე ვაგანილ მინაწერებს ეკლესიების ქვიგორთა¹⁷⁶, ანუ დამფუძნებელთა, ბერთა და შეწირულობათა

სამსახურში, წიგნი პირველი, ვარშავა 2012, გვ. 51-85).

171 ანგიოქე სტრატეგი (VI-VIII სს.), წმ. საბას მონასტრის ბერი. იგი პალესტინაში 614 წელს სპარსელთა შეჭრას შეესწრო და აღწერა ნაწარმოებში: „წარგყუენვაი იერუსალიმისაი“.

172 არქიმანდრიტი კალისტოსი (მელიარას), Αντιοχός Στρατήγιος. Ἄλωσις τῆς Ἱερουσαλὴμ ὑπὸ τῶν Περσῶν τῶ 614, Γεωργιανὸν κείμενον, იერუსალიმი, 1910.

173 გამოაქვეყნა და ცალკე წიგნად გამოსცა ნ. მარმა (Антиох Стратиг, *Пленение Иерусалима персами в 614 году, грузинский текст исслед., изд., пер. и арабск. извлеч. приложил Н. Марр*, СПб, 1909 *Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии*, кн. 9) არქიმანდრიტ კალისტოსის სტაგია ურნალში „ნეა სიონი“ (6:1909, გვ. 81); G. Graf, *Dasheilige* (1923), გვ. 19. [ვეორჯ ვრაფი (1875-1955), გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე].

174 წმ. იპოლიტე რომაელი (დაახ. 170-235), თეოლოგი, მემეგიანე და ადრექრისტიანული პერიოდის საეკლესიო მწერალი. ეკლესიის მამა ანტიპაპი 217-235 წლებში, ბიბლიის კომენტარებისა და გრაქტაგების ავტორი. ხსენების დღე 30.VI.

175 4 ემრას წიგნი, ს. მენდალას თარგმანი, *Apokryfy Starego Testamentu*, რ. რუბინკვიჩის გამოცემა, ვარშავა, 1999, გვ. 375-404.

176 ბერძნული κτήταρ – დამაარსებელი, მაშენებელი.

შესახებ.¹⁷⁷ ეს მინაწერები ნ. მარმა გამოაქვეყნა, მაგრამ არასრულად. სამ-წუხაროდ, ამ ნაშრომზე არც პოლონეთში და არც აქ ხელი არ მიმიწვდება. მე თითოეული ხელნაწერი უნდა შევიწავლო, ასე რომ, მომდევნო სამი კვირის მანძილზე ყოველი დილა ამ საქმეს უნდა მოვანდომო.¹⁷⁸

ნაშუადღევს მე და ჩემი თანამემამულე საიდნაიას მონასტერში წავედი. ეპისკოპოს პორფირი უსპენსკის¹⁷⁹ ცნობით, იქ იყო 1755 წელს შესრულებული მაცხოვრის გამოსახულება, რომელსაც ქართული წარწერა ჰქონდა. ნახაგი კი ვნახე, მაგრამ წარწერა ბერძნული აღმოჩნდა, თანაც არ იკითხებოდა.¹⁸⁰ სანთელი მივანათე და წარწერის ამოკითხვას შევეცადე. ცნობისმოყვარე მონაზვნები შემომხვდნენ და გუჩების მოძრაობაზე მაკვირდებოდნენ. ძლივს ამოვიკითხე მხოლოდ ერთი სიტყვა: „ანა“. მაგრამ მონაზვნების აღსაფრთოვანებლად ესეც საკმარისი აღმოჩნდა. „მე ხომ ყოველთვის ვამბობდი, – წამოიყვირა მათში ყველაზე ხნიერმა, – რომ წმინდა ანას სახლი აქ იყო. ახლა ხომ ამის დამადასტურებელი საბუთიც გვაქვს!“

სანამ მივხვდებოდი, რა ხდებოდა, მონაზვნების მთელი გუნდი ნახაგის წინ იატაკზე განერთხა. აი, ასე იბადება ლეგენდები წმინდა მიწაზე!

ერთ მონაზონს ჩემი შესახედაობა არ მოსწონდა. ნამდვილი მართლმადიდებელი ბერის გარეგნობა არ მქონდა, არც გრძელი თმა მამშვენებდა და არც გრძელი წვერი. ალბათ, ან კათოლიკე, ან უნიაგი, ანდაც სომეხი ვეგონე. ამრეებით მიყურებდა და ცდილობდა, სხვა ქალებიც წამკიდებოდნენ. ღვთის მადლით, ისინი მასზე ჭკვიანები აღმოჩნდნენ. გასასვლელთან „მოსიარულე

177 „როცა საბერძნეთის საპაგრიარქოს ბიბლიოთეკაში ქართულ ხელნაწერებს ვსწავლობდი, პაგრიარქმა გიმოთუთოსმა ყურადღება მიმაქცევინა ხელნაწერთა კიდევებზე გაკეთებულ შენიშვნებზე, რასაც მეცნიერები „memento-ს“ უწოდებენ. ბერი ან მომლოცველი ამგვარად აღნიშნავდა მის დროს მომხდარ რომელიმე მნიშვნელოვან ფაქტს, მონასტერში ან იმ მხარეში მომხდარ ამბებს. ამგვარი მინაწერები დიდმნიშვნელოვანია ამა თუ იმ მონასტრის ისტორიის კვლევისთვის. პროფესორ ცაგარელს დიდი ყურადღება არ მიუქცევია ამ მინაწერებისთვის. პროფესორმა მარმა ვაცცილებით მეტი შრომა გასწია ამ შენიშვნათა შესასწავლად (1902). პროფესორმა ბლეიკმა, რომელიც მათ შემდეგ იყო პალესტინაში (1923 წლის 19 დეკემბრიდან 1924 წლის 3 იანვრამდე) და ქართული ხელნაწერების კატალოგი გამოაქვეყნა, თავის ნაშრომში ეს მინაწერები მხოლოდ მოიხსენია. თავად მე წილად მხვდა ბედნიერება, რამდენიმე გამოუქვეყნებელი მინაწერი აღმომეჩინა“ [წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, ქართული კულტურის სამსახურში, გვ. 78].

178 ამის შედეგად დაიწერა შემდეგი ნაშრომი: G. Peradze, *An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine as revealed in the Writings of non-Georgian Pilgrims*, Georgica, 2:1937, 4-5, გვ. 181-246+4 illustrations; ქართულად: უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, თარგმნა გ. ჯაფარიძემ, თბილისი 1995; წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, გვ. 233-321.

179 პორფირი უსპენსკი (1804-1885), ეპისკოპოსი, ცნობილი სიძველეთმცოდნე, არქეოლოგი.

180 *) ა. ცაგარელი, *Памятники грузинской старины въ Святой земле и на Синае*, გვ. 251, XXXIV.

ანტიკვარად“ წოდებული მოხუცი შემოგვხვდა. მონაზონმა მას ჩემზე ჰკითხა, მართლმადიდებელია თუ არაო. ხანგრძლივი განსჯა-განხილვის შემდეგ მოვიდა და მითხრა: „ჯერ გრძელი თმა-წვერით უნდა დამშვენებულიყავით და მერე გვსტუმრობოლით“.

დარწმუნებული ვიყავი, რომ აქ ბევრ დაბრკოლებას წავაწყდებოდი.

წმ. თევდორეს მონასტერში ის ორი ქართული წარწერა ვერ ვნახე, ალ. ცაგარელს რომ აქვს მოხსენიებული¹⁸¹.

წმ. ეკატერინეს მონასტერმა გიჰური რუსული ეკლესიის შთაბეჭდილება დამიგოვა.

წმ. ნიკოლოზის მონასტრის ნახვაც მოვახერხე. სამწუხაროდ, იქ არანაირი სიძველე აღარ იყო შემორჩენილი. იერუსალიმის ეკლესიებში თუკი რამ ძვირფასი იყო, ყველაფერს თავი მოუყარეს და ახლა საპაგრიარქოში ინახავენ.

წმ. ნიკოლოზის მონასტრის ერთი კედელი საპაგრიარქოს ბაღს გადაჰყურებდა. მასზე ქართული წარწერა შემორჩენილიყო. ღვთის მადლით, ეს წარწერა ჯერ კიდევ არსებობდა¹⁸². თუმცაღა, ბაღის ამ ნაწილს ნაგავსაყრელად იყენებდნენ და მიწა რამდენიმე მეტრით ამალღებულიყო. წარწერის ნახევარიღა მოჩანდა.

17. VII. პარასკევი

ნ. მარისა და ალ. ცაგარელის ნაშრომებს ამაოდ დავებდები. მათ გარეშე კი ჩემი მუშაობა ნაყოფიერი ვერ იქნებოდა.

სასულიერო წარმომადგენლობის ბიბლიოთეკა ძალიან მდიდარი იყო. მას რამდენიმე შენობა ეჭირა. ერთი მათგანი მხოლოდ რუსული გამოცემების საცავი გახლდათ, მეორე კი უცხო ენებზე გამოქვეყნებული ნაშრომებისთვის დაეთმოთ. რუსულ განყოფილებაში ვერა და ვერ შევალწიე. მითხრეს, წიგნები იქ ძალიან კარგად არის კატალოგიზირებულიო, მე კი კატალოგის ნახვაც ვერ შევძელი. იქ ჩემთვის საინტერესო წიგნები უნდა ჰქონოდათ, რადგან პალესტინის სამოგადოების გამოქვეყნებული გახლდათ. მეორე ბიბლიოთეკა, სადაც უცხოური წიგნები ინახებოდა, უკიდურესად არეულ-დარეული იყო: თაროები მტვერს დაეფარა, წიგნები კატალოგში არ ჰქონდათ აღნუსხული და ალაგ-ალაგ ჩრჩილებისგანაც იყო დაჭმული. ამ ფასდაუდებელ კოლექციას გულდამძიმებული ვათვალიერებდი. ერთი კარადა არაბული ხელნაწერებით იყო სავსე. იქვე ეწყო „Acta Sanctorum“-ის¹⁸³

181 (*) ა. ცაგარელი, *Памятники грузинской старины въ Святой земле и на Синае*, გვ. 251, XXXII - XXXIII.

182 (*) ა. ცაგარელი, *Памятники грузинской старины въ Святой земле и на Синае*, გვ. XXXI.

183 „Acta Sanctorum“ ბოლანდისგების მიერ მომზადებული წმინდანთა ცხოვრების მრავალგომეული გამოცემა, რომელსაც საფუძვლად დაედო ისტორიულ-კრიტიკული მეთოდი.

თითქმის ყველა გომი და მსოფლიო ომის განაღებად შეგროვებული ძალიან მნიშვნელოვანი თეოლოგიური ჟურნალები. თუმცა, ბიბლიოთეკაში იმ პერიოდის გამოცემათა გარდა, სხვა არაფერი იყო. დავასკვენი, რომ მეცნიერებისადმი მისწრაფება მაშინ გაუქრათ, ანდა, უფრო სწორად, იმკამად სახსრები გამოეღიათ.

რა დასანანია, რომ ვარშავაში ამგვარი ბიბლიოთეკა არ გვაქვს! როცა საღამოთი რამდენიმე ბერს ვუთხარი, ბიბლიოთეკას მეტი ყურადღება უნდა მიაქციოთ და ბიბლიოთეკარი იყოლიოთ-მეთქი, მათ მიპასუხეს, გუნდის მგალობლები არ გვყოფნის, ხოლო ბიბლიოთეკიდან არანაირი შემოსავალი არა გვაქვსო.

წინამძღვარმა განკარგულება გასცა, რომ ბიბლიოთეკაში დემინფექცია ჩაეგარებინათ, თორემ აქ კაცს გუბერკულოში შეეყრებაო. დემინფექციის გამო ბიბლიოთეკას რამდენიმე დღეს დაკეცავდნენ. რა სამწუხაროა!

18.VII. შაბათი

ბიბლიოთეკისკენ მიმავალ გზაზე ერთი ებრაელი შემხვდა, რომელიც ჩვენს წარმომადგენლობაში თითქმის ყოველდღე მოდიოდა და ბურგზე სახელოსნო ყუთი ჰქონდა მოკიდებული. მე შევთვალე ირებდი ხოლმე, ის კი თავს მარილებდა. დღეს მის წინ შევჩერდი. ისიც შეჩერდა და ქართულად რაღაც მკითხა. თურმე ჩემი ვინაობა იცოდა და ჩემთან მოსვლა უნდოდა. ქართველი ებრაელი აღმოჩნდა. ქართულად კარვად ლაპარაკობდა. ეტყობოდა, რომ საქართველო ენატრებოდა. იერუსალიმში საქართველოდან წამოსული ორასამდე ებრაელი ცხოვრობდა. ქართული არ დავიწყებიათ. დამპირდა, რომ თავისიანებს როგორმე გამაცნობდა.

ნასადილეგს რუსეთის ყოფილი საიმპერატორო პალესტინური სამოგადოების მაღალჩინოსნებს ვეწვიე. სამოგადოება ჯერ კიდევ ძალიან მდიდარი იყო, რადგან პალესტინაში მიწებსა და უამრავ სახლს ფლობდა და მისი ქონება ინგლისელებს ჰქონდათ დაქირავებული. ახლა სამოგადოება რამდენიმე მოხუც მომლოცველს ეხმარებოდა, რომელნიც ომის შემდეგ აქ დამკვიდრდნენ. გარდა ამისა, რამდენიმე ათას ბრიგანულ გირვანქა სტერლინგს აძლევდა სასულიერო წარმომადგენლობას რუსული მონასტრებისა და ღაგაკი ქალების დასახმარებლად (აქ ასობით რომ იყვნენ). ისინი, სხვა მომლოცველებთან ერთად ბოლო ხანებში ჩამოვიდნენ და შინ აღარ დაბრუნებულან. ბოლო ომის დროს თურქებმა ციხეში გამოამწყვდიეს, ახლა კი საბჭოთა კომუნისტურ ხელისუფლებას მათი მიღება არ სურდა. ისიც უნდა ითქვას, რომ შინ დაბრუნების სურვილი თავადაც არ ჰქონდათ. მათ არავინ ელოდა, თანაც უთუოდ უარეს დღეში ჩაცვივდებოდნენ ვიდრე აქ, პალესტინაში იყვნენ, სადაც მომლოცველთათვის განკუთვნილ სასტუმროებში ცხოვრობდნენ და ყოველთვიურად მცირე თანხას იღებდნენ საარსებოდ. გარდა ამისა, ზოგიერთი მათგანი მუშაობდა და მოხუც ახლობლებს ეხმა-

რებოდა. ეს ქალები ძალიან რელიგიური იყვნენ და ამიგომ მხნეობას არ კარგავდნენ. წირვაზე უკლებლივ ყოველდღე დადიოდნენ.

სასულიერო წარმომადგენლობა და პალესტინური საზოგადოება ორი სრულიად განსხვავებული და ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორგანიზაციაა. დასანანიია, რომ ისინი ახლაც კი ერთმანეთში ვერ თანხმდებიან. სასულიერო წარმომადგენლობას მიწა და ქონება ჰქონდა შეძენილი, მონასტრებსა და სამლოცველოებს აარსებდა და მომლოცველთა რელიგიურ ცხოვრებას წარმართავდა. პალესტინური საზოგადოება კი დაინტერესებული იყო სამეცნიერო საკითხებით, იკვლევდა წმინდა მიწას, აქვეყნებდა სამეცნიერო ნაშრომებს და აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს. პალესტინურ საზოგადოებას ძალიან საინტერესო და საკმაოდ ნაყოფიერი წარსული ჰქონდა; სახელდობრ, მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომი ჰქონდა გამოქვეყნებული წმინდა მიწის შესახებ. მე ისიც ვიცოდი, რომ იქ ძველი გამოცემების შეძენაც შეიძლებოდა. ერთმა ჩვენმა ეპისკოპოსმა, რომელიც ჩემამდე რამდენიმე წლით ადრე იყო იერუსალიმში, პალესტინის საზოგადოებისგან ძალიან ძვირფასი ნაშრომები შეიძინა.

მე არ გამიშართლა. თავაზიანად კი მიმიღეს, მაგრამ მაინც გულდასურულად. მითხრეს, პაგარა ბიბლიოთეკა გვაქვს, მაგრამ წიგნები ერთ ოთახშია შეყრილი, ერთმანეთზეა დახვავებული და შიგ ვერც კი შეხვალთო. ჩემს შეთავაზებას, რომ ბიბლიოთეკა ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე მომეწესრიგებინა, მათ დუმილით უპასუხეს.

გული მწყდებოდა, რომ ამდენი რამ ასე უსარგებლოდ ეყარა. ჩვენ, პოლონეთში, ამ საზოგადოების გამოცემათა სრული სერიები არ გვქონდა.

ამ ორი ორგანიზაციის დაპირისპირებას, ალბათ, ფინანსურ საკითხებში უთანხმოება განაპირობებდა. წარმომადგენლობაში ჩიოდნენ, პალესტინურ საზოგადოებას ფული უამრავი აქვს, ხარჯი კი არანაირი, ხოლო ჩვენი საქმესულ სხვანაირადაა: ფინანსები არ გაგვანია, უამრავ მოხუცსა და ეკლესიას კი აუცილებლად უნდა დავეხმართო. მათი დავა სასამართლომდეც კი მივიდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, პალესტინურ საზოგადოებას წარმომადგენლობისთვის ყოველწლიურად რამდენიმე ათასი ბრიტანული გირვანქა სტერლინგი უნდა გადაეხადა.

ერთი გავლენიანი ინგლისელი მღვდლის სანახავად წავედი, ვბად კი წმ. ბასილის მონასტერში შევიარე. ალ. ცაგარელს მოხსენიებული აქვს ერთი ქართული წარწერა, რომელიც ამ მონასტერში უნახავს. სამწუხაროდ, წარწერა ახლა აღარ არსებობს.¹⁸⁴ ინგლისელი მღვდლის, კანონიკ ბრიჯმანის სახლში ერთ ინგლისელ ქურნალისგს, ბ-ნ ლამბის¹⁸⁵ შევხვდი, რომელიც

184 (*) ა. ცაგარელი, *Памятники грузинской старины въ Святой земле и на Синае*, გვ. 121.

185 ჯონ როუსონ ლამბი (1865-1942), კანადელი ქურნალისტი და გამომცემელი.

მინისგრ ედენს¹⁸⁶ ვარშავაში ვიზიტისას ახლდა. ბ-ნი ლამბი ვარშავაში მიღებულ შთაბეჭდილებებზე მიაბობდა, რამდენიმე პოლონური სიგყვაც იცოდა. მამამისი, ცნობილი თეოლოგი, კემბრიჯში მოღვაწეობდა.¹⁸⁷ ასე რომ, საერთო ბევრი რამ გვექონდა.

კანონიკმა ბრიჯმანმა წმინდა მიწაზე ქართველთა ისტორია კარგად იცოდა და მირჩია, რომ ამ თემის ექსპერტებს, დომინიკელებს, აბელსა და ვინსენტს, ვწვეოდი. იერუსალიმის ისტორიის ახალი კრებული, რომლის გამოქვეყნებასაც ისინი აპირებდნენ, თურმე წმ. იაკობის მონასტერზე ახალ საბუთებს შეიცავდა და ეს საბუთები ქართველთათვის სასიკეთო გახლდათ.

ჩემი თანამემამულე უმუშევარი იყო. ექიმი კი გახლდათ, მაგრამ მუშაობის უფლება არ ჰქონდა. სამაგიეროდ, გამჭრიახი გონება ჰქონდა და საქართველოს ისტორიით იყო გაგაცებული. სულ თან დამყვებოდა და რამდენჯერმე მნიშვნელოვანი სამსახური უკვე გამიწია. ჩვენ წარმომადგენელი უნდა გვყავდეს, რომელიც აქ მუდმივად იცხოვრებს. ხანდახან, სახლის აშენებადღე ან საკანალიზაციო სისტემის გაყვანამდე არქეოლოგიური გათხრების ჩატარებისას, ქართული წარწერა აღმოჩნდება ხოლმე. კარგი იქნება, პალესტინაში განათლებული ქართველის დასახლება, ვისაც ისტორია ეცოდინება. ამიგომ ვცდილობ, ჩემი თანამემამულე დაეარწმუნო, რომ აქ დარჩეს და პარიზში წასვლა გადაიფიქროს. იქ რა უნდა აკეთოს? იქაური ქართველების უმეტესობა უმუშევარია. ახლა მინდა, ინგლისელ მღვდელს ვთხოვო, რომ მას სამუშაო აშოვნოს. კანონიკმა ბრიჯმანმა ჩემი თხოვნა ჩაიწერა და შემპირდა, რომ ყველაფერს იღონებდა.

აქ სამუშაო დღე ძალიან მოკლეა: ცხრა საათიდან თორმეგის ნახევრამდე და მერე ოთხი საათიდან შვიდის ნახევრამდე.

19.VII. კვირა

სომეხთა პაგრიარქის პირადი მიწვევით წმ. იაკობ მოციქულის სომხურ საკათედრო ტაძარში¹⁸⁸ განსაკუთრებულ წირვას, წმ. იაკობის ლიტურგიას დავესწარი. პაგრიარქის საწიგნის გვერდით ვიდექი, ლიტურგიის სომხურ ტექსტს ვუსმენდი და დიდი გულისყურით ვუცქეროდი,

186 ენკონი რობერტ ედენი (1897-1977), ბრიტანელი პოლიტიკოსი, 1935-1938 და 1940-1945 წლებში საგარეო საქმეთა მინისტრი; 1955-1957 წლებში პრემიერ-მინისტრი. იგი ვარშავაში 1935 წლის აპრილში იმყოფებოდა.

187 ჯომეფ როუსონ ლამბი (1831-1895), ბრიტანელი თეოლოგი და აღმოსავლეთმცოდნე, 1874 წლიდან კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი.

188 წმ. იაკობის ლიტურგიის პოლონური თარგმანი: *Liturgie Kościoła prawosławnego*, მთარგმნელი ჰენრიკ პაპროცკი, კრაკოვი 2003, გვ. 171-203. [წმ. იაკობის ქართული ვერსიის ოლივერ უორდროპისა და ფრედერიკ კონიბირის მიერ შესრულებული თარგმანი გამოიცა პარიზში 1915 წელს.]

როგორ აღასრულებდნენ ამ ძველ ლიტურგიას, რომელზეც რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებულ გამოკვლევაში ვწერდი.¹⁸⁹ ღვთისმსახურების შემდეგ პაგრიარქთან სადილად მიმიწვიეს. პოლონეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაზე და პოლონელი სომხების ცხოვრებასა და ისტორიაზე ხან სომხურად ვსაუბრობდით, ხან ფრანგულად.

ნასადილევს გერმანელი ბენედიქტელების მიძინების მონასტერში¹⁹⁰ წავედი. მონასტერი ფრანცისკელთა ყოფილი გაძრის შორიასლოს მდებარეობდა, იმ შენობაში, სადაც საიდუმლო სერობა გაიმართა. სამწუხაროდ, XVI საუკუნიდან ეს შენობა მაჰმადიანთა ხელშია.¹⁹¹

ერთი გერმანელი ბერი მონასტერს მათვალისწინებდა. სამლოცველოში პოლონელი მასწავლებლების ჯგუფს შევხვდი, ვისთან ერთადაც გემ „პოლონიით“ სასიამოვნოდ ვიმგზავრე. ეგვიპტიდან წამოსულნი რამდენიმე დღით წმინდა მიწას სწვევიან, აქედან კი პირდაპირ პოლონეთში გაემგზავრებოდნენ. მე მათ შევეუერთდი. ექსკურსიას პლოცკელი ფრანცისკელი, პალესტინაში ფრანცისკელთა ცენტრალური ოფისის მდივანი, მამა ბორკოვსკი უძღვებოდა.

მონასტრიდან გამოვედი და, თუმცა ცხელოდა, – ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული და მგვრიანი ქუჩებით გოდების კედლისკენ¹⁹² გავემურეთ. ებრაელებისთვის ესოდენ წმინდა ადგილის გვერდით, რომელიც არაბულ შენობებს შორის მდებარეობდა, ათი-თორმეტი, ან იქნებ მეტი, არაბი ყმაწვილი შევნიშნეთ, რომელნიც გულმოდგინედ ცდილობდნენ, რომ შეეცყოთ, ჩვენ შორის ებრაელებიც იყვნენ თუ არა. მას შემდეგ, რაც არაბებსა და ებრაელებს შორის შუღლი განაღდა, არაბები ებრაელებს ამ კედელთან მისვლის ნებასარ აძლევდნენ.

ჩვენ შორის ებრაელები, რა თქმა უნდა, არ აღმოჩნდნენ.

189 G. Peradze, *Les monuments liturgiques prébyzantins en langue géorgienne*, Le Muséon, 45:1932, Nr. 4, გვ. 255-272; წმ. გრიგოლ შერაბე, თბზულებათა კრებული, წიგნი მეორე, წინარებიზან-ტიური ლიტურგიკული ძეგლები ქართულ ენაზე, გვ. 17-33.

190 1890 წელს იმპერატორ ვილჰელმ II-ის მიერ შესყიდულ მიწაზე ბენედიქტური მონასტერი აიგო და გაძარი 1910 წელს ეკურთხა.

191 საიდუმლო სერობა (ლათ. *coenaculum*) ადგილი, სადაც იესომ და მისმა მოწაფეებმა მისი სიკვდილის წინ ივასშეს. ამბალების შემდეგ მემოთა ოთახში მოციქულად მაგათე აირჩიეს, არის ასევე სულიწმინდის მოფენის ადგილი.

192 გოდების კედელი (ებრ. *הַיִּתּוֹךְ הַבְּרָזָלִי* – ჰაკოტელ ჰამარავი, დასავლეთის კედელი), იერუსალიმის მეორე გაძრის შემორჩენილი დასავლეთი კედელი, რომელიც ებრაელთათვის წმიდათა წმიდა ადგილად ითვლება და მასთან დღესასწაულის დღეებში იკრიბებიან. ებრაელები გირილით შეჭალადადებენ კედლის მდუმარე ქვევს. გოდების კედელი იერუსალიმის გაძრის ნაწილს შეადგენს, რომელიც რომაელების მიერ განადგურებული, ჰეროდ მეფემ აღადგინა. დღესასწაული ყოველთვის აგვისტოში გარდება. მორწმუნეები თავიანთ სავედრებელს ფურცლებზე წერენ და კედლის ბზარებში ღებენ.

ერთმა მრავლისმცოდნე ფრანცისკელმა „დიდი საილუმო“ გაგვანდო: ეს ძეგლი მალე ფრანცისკელებს გადაეცემათო. კი მაგრამ რაგომ? ამ ჭეშმარიტად ებრაულ წმინდა ადგილს ქრისტიანებისთვის, არქეოლოგიური ღირებულების გარდა, არანაირი ღირებულება სომ არა აქვს!

პოლონელ მასწავლებლებს „კასა ნოვასკენ“ გავუძეხი, მომლოცველთათვის განკუთვნილი ფრანცისკელების სასტუმროსკენ, სადაც მათი უმეგესობა იყო დაბინავებული, რადგან „პოლონურმა სახლმა“¹⁹³ ყველანი ვერ დაიგია. მეორე დღეს სადილზე მიმიწვიეს. ნასადილევს ბეთლემისკენ სახედრებით ვაპირებდით წასვლას.

20.VII. ორშაბათი

მთელი დღია ბერძნული საპაგრიარქოს ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი და მუსტად შუადღისას მივედი „კასა ნოვაში“, სადაც ექსკურსანტებს ერთ საათზე მეტ ხანს ველოდი, რადგან ისინი დილიდანვე იერუსალიმში გაძრიდან გაძარში გადადიოდნენ.

„კასა ნოვაში“ სადილობისას ფრანცისკელი ბერების ცხოვრების პირობები სასულიერო წარმომადგენლობაში ჩვენი ბერების ცხოვრების პირობებს შევუდარე. ჩვენ ვჭამდით მხოლოდ თევზის კონსერვებს, ჩამოგანილს ისეთი შორეული ადგილებიდან, როგორცაა ბაღდადი. თავად იერუსალიმში, პურის გარდა, ვერაფერს იყიდდით. მართლმადიდებელი ბერები დერეფნებში მოჩვენებებივით დაბორილობდნენ. კაცმა რომ თქვას, ეს მათივე, ან უფრო მუსტად, მეურნეობის უხეირო გაძლოლის ბრალი იყო. პალესტინაში საკმაო ქონება მათაც ჰქონდათ და ფრანცისკელებზე არანაკლები შემოსავალი უნდა ჰქონოდათ.

ნასადილევს სახედრებზე შევსხედით, ზოგიც ცხენზე ამხედრდა და იაფას კარიბჭის გავლით ბეთლემისკენ გავეშურეთ. მე მთლად უვარგისი სახედარი შემხვდა – მანტი და ნელი. ფეხით სიარული მერჩინა. საუცხოო სამანქანო გზას მივუყვებოდით, რომლის გასწვრივ ბებერი მეთისხილის ხეები იდგა. გზის ორივე მხარეს მშენიერი ვილები მოჩანდა. ბეთლემამდე ათ კილომეტრზე მეტი არ იქნებოდა. ვფიქრობდი, რომ ფეხით უფრო მალე მივიდოდით.

გზის ნახევარი გვექონდა გავლილი, როცა ხელმარცხნივ წმ. ელიას სახელობის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია დავინახეთ, ხოლო ბეთლემის შესასავლელთან, გზის მარჯვენა მხარეს – რაქელის საფლავი¹⁹⁴, რომელიც ებრაელთა ხელში იყო და არაბებსა და ებრაელებს შორის

193 „პოლონური სახლი“, პოლონელი პილიგრიმებისთვის განკუთვნილი სახლი, რომელიც 1931 წელს იერუსალიმის ძველი ქალაქის ერთ-ერთ ნაწილში დაარსდა.

194 ბეთლემის შესასავლელთან გზის მარჯვენა მხარეს რაქელის საფლავია, რომელიც სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა პილიგრიმობის ადგილს წარმოადგენს. საფლავი პაგარა გათეთრებულ შენობაში მდებარეობს, რომელიც 1860 წელს ცნობილმა ფილანგროფმა მოსერ

გაჩაღებული კონფლიქტის გამო დაკეცილი დაგვხვდა. საფლავის გვერდით შევისვენეთ და ჩამორჩენილებს მოვუცადეთ.

ერთმა ექსკურსანტმა შემაგყო, რომ ჯიუტმა ვირმა გამაწამა, ცხენი დიდ-სულოვნად დამითმო და მითხრა:

– „თქვენ, როგორც ქართველს, ამ ქალაქში ვირით შესვლა არ გეკადრებათო“.

ბეთლემის ქუჩებში ჩვენმა მხედრობამ ყველას ყურადღება მიიპყრო. თავიანთი სახლების წინ ჩამომსხდარი ქალები ცნობისმოყვარედ გვიცქეროდნენ. ბეთლემის განთქმული ბაზილიკისკენ¹⁹⁵ გზა სულ აღმა მიემართებოდა. მარცხენა მხარეს, გზის პირასვე, იუდეის უდაბნო იწყებოდა. წმ. საბას ლავრისკენ, ერთ-ერთ ყველაზე ასკეტურ ქრისტიანულ მონასტრისკენ, მხოლოდ ერთი დაკლაკნილი ბილიკი მიდიოდა.

ბაზილიკის წინ მდებარე დიდი მოედანი სავსე იყო დამთვალეირებლებით და საფოსტო ბარათების, ჯვრების, კრიალოსნებისა და სხვა საეკლესიო საგნების გამყიდველებით. ბეთლემი ასევე ცნობილია სადაფით.¹⁹⁶ ხალხი რუსულად გველაპარაკებოდა.

ბაზილიკამდე მისასვლელად ძალიან დაბალი (დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლის) კარიბჭის გავლა მოგვიხდა. მას თითქმის შენარჩუნებული აქვს პირვანდელი სახე, როგორც ჰქონდა წმ. კონსტანტინე დიდის დროს და იუსტინიანეს¹⁹⁷ მიერ გაფართოების შემდეგ. ისეთივეა, როგორც ნეტარმა იერონიმემ ნახა. ვანადგურებისგან ეს ბაზილიკა განგებამ იხსნა VI საუკუნეში, სამარტელთა აჯანყების დროს და 614 წელს,¹⁹⁸ სპარსეთის მეფის, ხოსროს შემოჭრისას, როცა იერუსალიმში და მის ირგვლივ ყველა გაძარი მიწასთან გაასწორეს. ასე რომ, ეს ბაზილიკა უძველესი ქრისტიანული ნაგებობაა. იგი მართლმადიდებლებს ეკუთვნის, სამლოცველოს გარდა, რომელიც, ნაწილობრივ, კათოლიკეებისაც არის. ის ადგილი, სადაც ქრისტი

მონტეფიორემ (1784-1885) ააშენა. რაქელის საფლავთან სშირად შესვდებით უშვილო და ორსულ ქალებს, რომლებიც შვილიერებისთვის და უსაფრთხო დაბადებისთვის ლოცულობენ.

195 მაცხოვრის შობის გაძარი, ბეთლემში 300 წელს იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა იმ გრადიციულ ადგილას ააგო, სადაც იშვა იესო ქრისტი. გაძარი 550 წელს და ასევე ჯვაროსნების დროს XII ს. გადაკეთდა. გაძარში დაბალი შესასვლელის გამო პილიგრიმები თავს ხრიან. მასთან ეკერის სომხური, მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესია-მონასტრები.

196 სადაფისგან გაკეთებული სამკაულით.

197 წმ. იუსტინიანე I (483-565), ბიზანტიის იმპერატორი 527-565 წლებში.

198 ხოსრო II ფარეზი (590-628), სპარსეთის მეფე, რომელმაც დაიმორჩილა სირია და ეგვიპტე. 614 წელს დაიპყრო პალესტინა, გაანადგურა ეკლესიები, დახოცა ქრისტიანები და იერუსალიმიდან გაიგაცა წმინდა ჯვარი. სპარსეთში ამბოხებისას ხოსრო გასტიდან ჩამოაგდეს. გასტი მეფე კავადმა დაიკავა. იგი 628 წელს იმპერატორ ჰერაკლეს დაუზავდა და დაპყრობილი მხარეები და წმინდა ჯვარი უკან დაუბრუნა. ომებისგან დაუძლურებული სპარსეთი 651 წელს არაბებმა დაიპყრეს.

იშვა, დიდი ვერცხლის ვარსკვლავით არის მონიშნული და მართლმადიდებლებისაა.

მთელს ბაზილიკას დიდებული კამარედი გასდევს და კათედრასთან მთავრდება. შობის სამლოცველოში მარმარილოს თხუთმეტსაფეხსურიანი კიბე ჩადის. კიბის მარჯვენა მხარის გამოყენება მხოლოდ მართლმადიდებლებს შეუძლიათ, მარცხენა მხარე კი ფრანცისკელთათვის არის განკუთვნილი. ღმერთმა დაიფაროს, ეს წესი ვინმემ დაარღვიოს.

ყველამ მოწიწებით დაიხოქა. ამ წმინდა ადგილას, სადაც მაცხოვარი ქვეყნიერებას მოეწვინა, სიყვარულით და რწმენით აღსავსე პოლონური სააღვგომო საგალობელი გაისმა. ჩვენი, მართლმადიდებლური საგალობლები გამახსენდა, პოლონეთის სოფლებში რომ მღერიან... „მეცა და დედამიწა, მეცა და დედამიწა, იხარებენ დღეს...“¹⁹⁹ ამ საგალობლის ჰანგმა და სიგყვებმა, გამოსაგვის სისადავემ და უბიწობამ ყველა მოაჯადოვა, გული და სული იმ ბეციური სასოებით აუვსო, ანგელოზებმა რომ აღუთქვეს მწყემსებს და ყველას, ვინც სათნოების მოყვარულია. თვალწინ წარმომესახა ანგელოზთა გუნდი და მწყემსები, რომელნიც ღმერთს ერთად უგალობენ; მოგვები, რომელნიც ვარსკვლავს მოჰყვებოდნენ; სახარებისა და აპოკრიფული ტექსტების სხვა ცნობილი სურათები: თვინიერი ცხოველები ღვთის ძის ირგვლივ, მწყემსების ცოლები სოფლიდან ჩამოგანილი საჩუქრებით, ანგელოზთა გუნდები...

ბაზილიკის იატაკქვეშ ახლახან ძველი მოზაიკა აღმოაჩინეს. მათი ფოტოსურათები ნანახი მქონდა, თვით მოზაიკები კი ვერ ვნახე, რადგან მუყაო ჰქონდა გადაფარებული. ვიღაცამ იკითხა, კარიბჭე ასე დაბალი რაგომ არისო? იქნებ იმიგომ, რომ ქრისტიანებს ამ ადგილის დაცვა გაადვილებოდათ? ან იქნებ იმიგომ დაადაბლეს, რომ არაბებს გაძარში სახედრები არ შემოეყვანათ და ბოძებზე არ მიეხათ?

აქაურ ფრანცისკელებთან კარგად დავისვენეთ და შემდეგ ლათინური სამრევლოს ეკლესია მოვინახულეთ, სადაც ნეგარი იერონიმე ერთ-ერთი პირველი წინამძღვარი იყო. მისი ოთახი, სადაც გამოკვლევებს წერდა, ჯერ კიდევ არსებობდა. ამ ოთახის ჰაერს დიდი მოწიწებით და აღფრთოვანებით ვისუნთქავდი, ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანი მწერლისა და მკვლევარის მიმართ დიდი პატივისცემით გამსჭვალული. ეს ის სენაკია, სადაც შეიქმნა ვულგატა და პატრისტიკული ნაშრომები, რომლებმაც ლექციებს ვკითხულობდი უნივერსიტეტში. იერონიმეს მარგო სამეცნიერო ნაშრომების წერა კი არ ჰგვრიდა დიდ სიამოვნებას, არამედ ასკეტური ცხოვრებაც. მან რომაელი წარჩინებული ქალების, წმ. პაულას და მისი ქა-

199 ლექსის სტრიქონი პოპულარული მართლმადიდებლური საგალობლისა: „მეცა და დედამიწა, მეცა და დედამიწა იხარებენ დღეს“.

ლიშვილის ეუსტოხიუმის დახმარებით, მონასტრები დააარსა.²⁰⁰ ეს სენაკი მრავალი იდეის დაბადების მოწმეა.

დიურერის²⁰¹ ულამაზეს ტილოზე სენაკის სიღრმეში ხელნაწერზე დახრილი ნეტარი იერონიმეა გამოსახული. ფანჯრის რაფაზე დევს ადამიანის თავის ქალა – ასკეტიზმის სიმბოლო. ოთახის შესასვლელში, მღურბლთან, ორი ძულომი თვლემს. ერთი ხანდაზმულია, მეორე – ახალგაზრდა, როგორც დედა და შვილი. თითქოს სენაკს იცავენ, რომ იქ სიმყუდროვე იყოს და მკვლევარს მუშაობაში ხელი არ შეეშალოს. ეს დახვეწილი ალუზია გახლავთ იმ ორ ქალზე.

ბეთლემიდან დაბრუნებისას გზა უფრო მეტად გაიწვლა. ნელა მოვლილით საამო შთაბეჭდილებებით დატვირთულნი. ვირი, რომელზეც ადრე მე ვიჯექი, ახლა უფრო გამანგადა და ბედ მჯდარი ქალი ასაჩქარებლად შეუძახებდა სოლმე.

იერუსალიმი საალყო ვითარებაში იყო და შვიდი საათის შემდეგ გზაზე მოძრაობა იკრძალებოდა. ვინც ამ წესს არ დაემორჩილებოდა, ან მკაცრად დააჯარიმებდნენ, ან დააპატიმრებდნენ. რადგან გვიან ვბრუნდებოდით, შეიძლებოდა, რაიმე პრობლემა შეგვექმნოდა. ამიგომ ჩვენმა გამყოლმა საუკეთესო ცხენი ამოირჩია და იერუსალიმისკენ გაეშურა პოლიციის გასაფრთხილებლად, რომ ჯერ გზაში ვიყავით.

რვა საათი სრულდებოდა, როცა შინისაკენ მიმავალმა ერთ ქუჩაზე შევეხვიე და კუთხეში მდგარი პოლიციელი დავინახე. ნანახი ადრეც მყავდა. არაბი მეგონა. თავაზიანად მომესალმა და უზადო პოლონურით მკითხა: „მამაო, ბეთლემში ექსკურსიით კმაყოფილი ბრძანდებით?“

იერუსალიმისგან განსხვავებით, სადაც ყოველ ნაბიჯზე ჯვარი და გოლგოთა გახსენდებათ, ბეთლემში სიმშვიდე, მყუდროება და ღვთაებრივი სიხარული სუფევს. მეზმანებოდა ის გასაოცარი ღამე და ჩამესმოდა სიხარულით აღსავსე გალობა ანგელოზებისა, ხალხს რომ მოუწოდებდნენ, მაღლა ღმერთი ედიდებინათ და ამქვეყნად მშვიდობისთვის ებრუნათ. მე ამას ვგრძნობდი ყოველ ნაბიჯზე, ეს გამოსჭვითდა იმ საეკლესიო ნივთებიდან – კრიალოსნებიდან და ჯვრებიდან – ქუჩაში რომ იყიდებოდა. ყველაფერი თეთრი იყო, მშვიდობის, უბიწობის, სიწმინდისა და ყრმობის ფერი. ბეთლემში ბავშვების ქალაქი იყო, ქათქათა თეთრი ფერი კი – მისი სიმბოლო.

ფრანცისკელი ბერი, რომელიც მართლმადიდებლურ ბაზილიკას გვათვალიერებინებდა, მართლმადიდებლებს გამთიშველებად მოიხსენიებდა.

200 იხ. ნეტარი ჰერონიმი, *List CVIII do Eustochium, Listy*, თარგმნა J. Czuj, Warszawa, 1953, II, გვ. 414-453.

201 ალბრეხტ დიურერი (1471-1528), გერმანელი მხატვარი და გრაფიკოსი. გვიანი შუა საუკუნეების და ადრეული რენესანსის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. აქ ნახსენებია მისი ნამუშევარი „წმ. იერონიმე თავის სენაკში“, რომელიც შესრულებულია 1514 წელს.

ვგრძნობდი, პოლონელი მასწავლებლები როგორ გაოგნდნენ. თავს შეუ-
რაცხყოფილად გრძნობდნენ, როცა კათოლიკე ბერი ამ წმინდა ადგილას,
თანაც მართლმადიდებელი მღვდლის თანდასწრებით დროდადრო ამას
იმეორებდა. თვალეებზე ვაგყობდი, რომ დაბნეულნი და დარცხვენილნი იყვნენ
და მობოდიშება უნდოდათ. სწორედ ამ წუთას ანგელოზთა სადიდებელი ჰიმ-
ნი გაისმა და ეს ჰანგი შორეული ჩრდილოეთიდან ჩამოსულ მომლოცველთა
გულსა და გონებას მოესალბუნა.

რაოდენი უბრალოება, ბავშვურობა და სიწრფელე იგრძნობა იმ
შორეულ ქრისტიანულ საგალობლებში, ჩვენი ხალხის მიერ შექმნილ
შედეგებში. უბრალო კაცი, ჩვენი მართლმადიდებელი გლეხი, ფიქრს
მიცემული და თავმოდრეკილი აღიქვამს იმ ამბავს, რომ „უბიწო ქალ-
წულმა შვა ძე“²⁰² და ბაგაში მწოლიარე ღვთაებრივ ყრმას სიმდიდრეს,
უხვ მოსავალს, ამქვეყნიურ ღოვლათს კი არ სთხოვს, არამედ სინათლეს,
რაც შეიძლება მეტ სინათლეს ყოველდღიურ ცხოვრებაში: „გამოგვიგ-
ზავნე ჩვენ, ბნელში მყოფთ, შუქი სინათლისა“²⁰³. შუქში ის განათლებას
არ გულისხმობს, როგორც ამას ჩვენ, ნასწავლი ხალხი ვგულისხმობთ,
არც სათემო ცენგრებში კულტურულ და საგანმანათლებლო საქმიანო-
ბას, გაზეთებსა და პრეგენზიულ მოწოდებებს. მისი გულისთქმა რაღაც
უფრო დიადს ესწრაფვის, ყველაზე დიად ჭეშმარიტებას ეძიებს, ღვთა-
ებრივი ყრმისგან რომ მოედინება და ამ დიად მიზანს უმორჩილებს მის
ყოველდღიურ ყოფას.

ბეთლემიდან გამოყოფილი შთაბეჭდილებები ახლადდაკრეფილი, გაზა-
ფხულის მხიარული ფერებით შემკული, უმანკო ფრინგების თაიგულს
მაგონებს.

აღმოსავლეთი კონგრასგების მხარეა. თანამედროვე ვილების გვერდით
დანგრეული ქოხმახები დგას; კარგად ჩაცმულ და მადლარ ადამიანთა გვერ-
დით საცოდავი ქმნილებანი დაბორილობენ; მშვენიერ, სანეგარო ოაზისებს
გარს არგყია უდაბნო, ქვიშის ოკეანე. შესაძლოა, ეს კონგრასტი ყველაზე
მძაფრად აქ, ყრმების, უბიწობის, სიწმინდისა და მშვიდობის ქალაქში შეიმ-
ჩნევა, სადაც ბავშვებს ეთაყვანებიან და ხოცავენ. ეს ის ადგილია, სადაც ორ
წელზე უმრწემესი ბავშვები ამოხოცეს. ეს ის ადგილია, სადაც რაქელი, ათას
წელიწადს საფლავში რომ განისვენებდა, შემზარავმა გრაგვდიამ გამოადვი-
და და მისი გოდება ბეთლემიდან ძალიან შორს, რამაშიც კი გაისმოდა²⁰⁴.

ადამიანის ცხოვრებას განგება წარმართავს. ბედნიერი ვარ, რომ გან-
გების ნებით მე, პოლონეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელმა,
რომლის ვალიც ჩვენი ეკლესიის ახალგაზრდობის აღზრდაა, ამ მყუდრო

202 „უბიწო ქალწულმა შვა ძე“.

203 „ჩვენ, უმეცრებს, განმანათლებელი შუქი გამოგვიგზავნე“.

204 მათე 2, 18.

და მშვიდ მხარეში დაუვიწყარი წუთები გავაგარე პოლონელ მასწავლებლებთან ერთად, რომელთა ვალიც სამშობლოში ახალგაზრდა თაობის აღზრდაა. ჩემთვისა და თქვენთვისაც ასე საჭირო სიმშვიდე და სასოება, რაც ბეთლემის ბაზილიკაში დაგვეუფლა, ახალგაზრდობის აღსაზრდელად უნდა გამოვიყენოთ და დავიფაროთ ყოველივე იმისგან, რაც მათ სულს დათრგუნავს და ლაქად დააჩნდება.

თქვენთან ერთად გაგარებულ ბედნიერ ღღეებს ვიგონებ. მოკითხვას გიგზავნით, იმ გასაოცარი და თავგადასავლებით აღსავსე მოგზაურობის თანაზიარნო.

21. VII. სამშაბათი

ღღეს, საპაგრიარქოს ბიბლიოთეკიდან რომ დავბრუნდი, ღღრეფანში ერთი მორჩილი ღღვინახე. გამიკვირღღა, რადღღან რამღღენიმე ღღღის წინ ყვეღღლას (ჩემ გარღღდა) გამოემშვიღღობა და ხაიღღაში გაემგზავრა იქიღღან ათონის მთაზე²⁰⁵წასასვღღელად. შეცბუნებულა, როცა გაუღღია, რომ „გონრიაში“ (მონღღანაში) მონაწიღღეობა მივიღღე ღღვისმსახურებაში. „ახალი სტიღღის“²⁰⁶ მიმღღევრად და სულიერების უქონელ ერეგიკოსად მიუქნევიღღარ. მიღღხრეს, რომ ჩემ წინაღღმღღეგ ყოფიღღა განწყობიღღი და წინამღღღვრისთვის უღღქვამს, რომ ჩემთან ერთ ჭერქვეშ ვერ იცხოვრებღღა. მის პროგესტს ღღიღი შთაბეჭღღიღღება მოუხღღენია ქაღღებზე, რომღღებმაც, როგორც ამბობენ, ფული მოუგროვეს, ნამცხვრები გამოუცხვეს და რკინიგზის საღღგურამღღე ცრემღღმორეუღღებმა გააციღღეს. იგი ათონის წმ. მთაზე წასვღღას აპირებღღა, მაგრამ ღღმერთმა დასაჯა: ყვეღღაფერი მოპარეს – პასპორტიც და ფულიც. გაუმართღღა, წარმომადღღენღღობის წინამღღღვარი იმ ღღროს ხაიღღაში რომ იმყოფებღღდა და ცოგა ფული მისცა. მორჩიღღმა აქ ერთი საათით ღღარჩენაც აღარ ისურვა და, როგორც მიღღხრეს, წმ. საბას ღღავრაში წავიღღა.

ცოგა ხანს დავისვენე და შემღღეგ მცირე გაღღიღღის მონასტრისკენ გავწიე. მცირე გაღღიღღა ზეთისხიღღის მთის ერთი ნაწიღღია და სხვა არაფერი. ეს სახელი მას ეწოღღა წმ. მათეს სახარების მიხედვით, რომელშიც ნათქვამია, რომ ქრისტეს მოწაფეები გაღღიღღეაში წავიღღნენ და მთაზე ავიღღნენ, საღღაც ისინი იესომ გაგზავნა.²⁰⁷ ღღომინიკელი მამის, ღღე ვოს ცნობით, იქ ქართული წარწერაა შემონახული. ამ მონასტერში იერუსალიმის პაგრიარქის კიღღე ერთი

205 ათონი, ავგონომიური სამონასტრო რესპუბლიკა, წმინდა ათონის მთა (ბერძ. Άγιο Όρος), მთიანი ნახევარკუნძული საბერძნეთში, საღღაც ცხოვრობენ მართლმადიდებელი ბერები. ათონის მთა წარმოადგენს აღმოსავლეთის ისარს ქალკედონის ნახევარკუნძულზე ამავე სახელწოდების მწვერვალით, 390 კმ გერიგორიით.

206 ანუ „ახალი კალენდრის“ მიმღღევარი, რომელსაც ნეობიზანტიურს უწოდებღღნენ. ახალი კალენდარი კონსტანტინეპოლის საპაგრიარქომ 1923 წელს შემოიღღო.

207 შღღრ. მათე 28: 16.

სამაფხულო რეზიდენციაა. გზა გეთსიმანიაზე გადის და შემდეგ, ამაღლების ადგილის გვერდით, „მამაო ჩვენოს“ მონასტრის მარცხნივ, აღმართს მიუყვება.

მცირე გალილეაში მდებარე მონასტერი ძალიან დიდ ადგილზეა გაშენებული და ორი სამლოცველო აქვს. ერთი პაგარაა და ძალიან ძველი, მეორე კი – უფრო დიდი, ნესტიანი და ბარაკისნაირი. შესაძლოა, ფაციფუცით აშენებდნენ, რომ მომლოცველთა მასპინძლობა შესძლებოდათ. აქ ცხოვრობს მამა სერაფიმი, რომელმაც დიდი მთავრის მეუღლის, ელიზავეტას, ცხედარი ჩამოასვენა. ადრე იგი იერუსალიმის ყოფილი პაგრიარქის, დამიანეს²⁰⁸ მოძღვარი იყო, ახლა კი ბერძნების ხარჯზე ცხოვრობს.

სამწუხაროდ, მონასტერში ქართული წარწერები შემორჩენილი აღარ არის. სამაგიეროდ, მთავარ ეკლესიაში ძველი ჯვარია შემონახული, რომელიც ადრე გოლგოთაზე იდგა, სანამ სომხებმა უფლის საფლავის ეკლესია 1808 წელს ცეცხლს მისცეს. ეს ჯვარი, შესაძლოა, ქართული წარმომავლობის იყოს, რადგან გოლგოთა ადრე ქართველებს ეკუთვნოდათ. ხის ჯვარი ალაგ-ალაგ ამომწვარია, თანაც სიძველისგან და სანთლებისა და ბეთუხნის ბეთის ლამპრების კვამლისგან გაშავებული.

შინ როცა ვბრუნდებოდი, გზად „პოლონურ სახლში“ შევიარე. ეს სახლი ძველ ქალაქში მდებარეობდა და ადგილი საპოენელი იყო, რადგან იქითკენ მიმავალ გზას ქუჩაზე გაკრული წარწერები მიანიშნებდა. ამ სახლს ახლა წმ. ელისაბედის დები უვლიან. იღუმენიამ, რომელიც პომზანელი იყო, გულთბილად მიმიღო. ვარშავაში ცხოვრებაზე, პოლონეთსა და წმინდა მიწაზე არსებულ რელიგიურ ურთიერთობებზე ცოცხა ხანს ვისაუბრეთ (მეჩქარებოდა, რადგან უკვე შვიდი ხდებოდა). იქ ერთი ძალიან საინტერესო ფრანცისკელი გავიცანი და გარეთ გამოსულნი გზას ერთად გავუდექით.

გზაზე ეთიოპიელი ბერები გვხვდებოდნენ, რომელნიც ფრანცისკელ მამას ესალმებოდნენ. მან მიაბზო, რომ ეთიოპიელები ხშირად მოდიოდნენ.

წმ. ელისაბედის დების სამლოცველოში, რათა ჩესტოხოვას მარიამის ხატთან ელოცათ. შავი მადონა სამშობლოდან ასე მოშორებულ უცხო ქვეყანაში მყოფ შავკანიანებს ძალიან ძვირფასად მიაჩნიათ!

ხვალ წმ. ელისაბედის დებთან სადილად ვიყავი მიწვეული და ბიბლიოთეკაშიც უნდა მემუშავა.

25. VII. პარასკევი

ნაშუადღევს სასეირნოდ იმდენი დრო აღარ მრჩება, რამდენიც ადრე მქონდა; წარმომადგენლობის ბიბლიოთეკაში ვმუშაობ და იერუსალი-

208 დამიანე I (1848-1931), მეუღლის გარდაცვალების შემდეგ 1873 წელს იერუსალიმში ბერად აღიკვეცა. 1897 წელს იერუსალიმის პაგრიარქი გახდა.

მიდან მოკითხვის ბარათებს ვაგზავნი. დღეს, ნაშუადღევს, მიძინების ეკლესიას კვლავ ვეწვიე. ფრანცისკელთა ყოფილ ტაძარში, ანუ იმ ოთახში მისვლას ვაპირებდი, სადაც საიდუმლო სერობა გაიმართა, მაგრამ ბოლო წუთს გადავიფიქრე.

მინდოდა, რომ მცირედი ხანი ბენედიქტელთა სასიამოვნო გარემოცვაში გამეგარებინა. მასპინძლობა ერთმა ბერმა გამიწია, რომელთანაც მეკარემ წარმადგინა. სასაუბრო ბევრივამ აღმოგვაჩინა, რადგან გერმანიასა და ბელგიაში ბენედიქტელთა მონასტრებში ვცხოვრობდი. გარდა ამისა, ბევრი საერთო მეგობარიც გვეოლია. ყავაზე მიმიწვია და ძალიან თავაზიანად მეპყრობოდა. შემდეგ უეცრად (ნეტავ რატომ?) მკითხა, რა აღმსარებლობისა ხართო. როცა შეიგყო, რომ მართლმადიდებელი ვიყავი, შეიცვალა, ხმას აუმაღლა და მითხრა: „ქართული ძეგლების კვლევა-ძიებას გიჯობთ, ეკლესიის ისტორია შეისწავლეთ და ნახავთ, რომ ჩვენი ეკლესია მართალიაო“.

არ მინდოდა მეპასუხა, რომ პროტესტანტული ეკლესიები სწორედ ისტორიის დეტალური შესწავლის შედეგად ჩამოყალიბდა. უმაღ ავდექი და გარეთ გავედი. საოცარია, კათოლიკე ბერების ახალგაზრდა თაობა ასე ფანატიკური რომ არის. მაშინ, როცა თვით მეკუჭნავე მზად იყო, ემასპინძლა და იღუმენია ხელს მართმევედა, ახალგაზრდა ფრანცისკელები ქუჩაში ან ბურგს შემაქცევდნენ ხოლმე, ან რამეს ჩაიბურტყუნებდნენ. თუმცადა, უნდა ვაღიარო, რომ სხვა რელიგიების მიმართ დიდად პატივისცემულნი არც ჩვენი მართლმადიდებელი ძმები არიან.

26.VII. შაბათი

ნასადილევს ძველ ქალაქში „ვია დოლოროსას“²⁰⁹ გავუყევი. იქ ქუჩები საოცრად ვიწროა. მარცხნივ გზა წმ. სტეფანეს კარიბჭესთან მიდიოდა, მაგრამ მე პირდაპირ გავემართე. ქუჩის მარცხენა მხარეს, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, დიდი და უსუფთაო პასაჟი იყო ორივე მხარეს ჩარჩობული, დაკეცილი მალაზიებით. პასაჟში საკმაოდ ბნელოდა. სადაც შორს შუქი მოჩანდა. შესასვლელთან რამდენიმე შაკანინი ქალი იდგა. მეგონა, რომ ამ პასაჟის იქით ქუჩა გრძელდებოდა, გული გავიმაგრე და პასაჟში შევაბიჯე. სიბნელეში არავინ შემიმჩნევია. რაღაც კიბეს გადავაწყდი. ძალიან გამიკვირდა, როცა ქუჩას კი არა, ომარის მეჩეთში შესასვლელს მივადექი. სანამ ვითარებაში გავერკვეოდი, ვიღაც ბიჭი სიბნელიდან გამოხტა და მტკივნეულად ჩამცხო, თან რაღაცას გაჰყვიროდა. მის ყვირილზე რამდენიმე კაცმა კიბეზე ჩამოირბინა. ვიფიქრე, ამათ, ალბათ, ებრაელი

209 ვია დოლოროსა (ლათ. „მწუხარების გზა“), ქუჩა იერუსალიმში, რომელიც ჯვარცმად მიმავალმა იესო ქრისტემ გოლგოთიამდე განვლო.

ვგონივარ და ჩამქოლავენ-მეთქი. საბედნიეროდ, თავი გავიმხსნე და იმის თქმა მოვახერხე, რომ მღვდელი ვიყავი. ერთმა მათგანმა მანიშნა, რომ გავყოლოდი, დამცინავად მომღიმარე შავკანიან ქალებს შორის გამატარა და გასასვლელთან მიმიყვანა.

დღეს წარმომადგენლობაში მაგალაღან²¹⁰ ხნიერი კაცი, მოსკოვის უნივერსიტეტის მედიცინის პროფესორი ნიკოლაი ნიკოლაევიჩ სოლოვეცივი მოვიდა. იგი ალექსანდრიაში ცხოვრობდა და თავის პროფესიულ საქმიანობას მისდევდა. როგორც შევიტყვე, მისი პაციენტი თვით ეგვიპტის დედოფალი გახლდათ²¹¹. წარმომადგენლობაში როგორც ექიმი, ისე იყო მოწვეული და პალესტინაში დარჩენა ექვსი კვირის მანძილზე შეეძლო. თვით არქიმანდრიტი მრუნავდა, რომ ინგლისელ ხელისუფალთ მისთვის უფრო დიდხანს დარჩენის ნება დაერთოთ.

ჩემი თანამემამულე მედიცინის მოყვარულია. პროფესორი უნდა გავაცნო. ეს მისთვისაც სასარგებლო იქნება და პროფესორსაც თანამემამულე ეყოლება.

28.VII. ორშაბათი

დღევანდელი დღე ძალიან საინტერესო გამოდგა. ბერძნულ ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი, როცა ჩემთან ერთი არაბი მამაკაცი მოვიდა. მითხრა, სიკსეკი მქვია, წარმოშობით ქართველი ვარო. მისი ერთი წინაპარი ხუთასი თუ ექვსასი წლის წინ ქართველი მეფის ელჩობას იერუსალიმში მდივნად ჩამოჰყოლია. სახელად სიმონი რქმევია, გვარი კი აღარ იცოდნენ და „სიკსეკს“ – მისი თანამდებობის, მდივნობის აღმნიშვნელ სიტყვას უწოდებდნენ. ქართულად „სიკსეკი“ მდივანია. მდივანი რქმეოდა, არ სჯობდა? ვურჩიე, სახელი შეეცვალა, მან კი გაიცინა და თავისი ამბის მოყოლა განაგრძო. მამამისს ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა დარჩენია, რომელშიც იმდროინდელი საბუთებიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მამამისის გარდაცვალების შემდეგ დედამისს ყველაფერი გაუყიდა. თუმცა მას ჯერ კიდევ ჰქონია არაბული ხელნაწერი, რომელშიც წმინდა მიწის ქართული მონასტრები ყოფილა აღწერილი. კარგი იქნებოდა, თუ იმ ხელნაწერს ინგლისურად თარგმნიდა – იმ ენაზე, რომელმედაც ვსაუბრობდით.

ეს შეხვედრა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ არ მეცალა, რადგან ხელნაწერებს ჩაველრმავდი. დამპირდა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მეწვეოდა. ნასადილევს რუმინეთის გენერალურ კონსულს ვესტუმრე. იგი რუმინეთის ისტორიის ექსპერტია და მრავალი მნიშვნელო-

210 მაგალა (არამ. 𐤌𐤀𐤋𐤁; ებრ. 𐤌𐤀𐤋), უძველესი ქალაქი 6 კმ დაშორებული ჩრდილოეთ ისრაელის ვალილეიში გიბერიადის ტბის დასავლეთ სანაპირომდე. უძველეს ქალაქ მაგალაღას გვერდით თანამედროვე ქალაქი მიგდალი მდებარეობს.

211 ნაზლი საბრი (1894-1978), ეგვიპტისა და სუდანის დედოფალი 1919-1936 წლებში, მეფე ფუად I (1968-1936) მეორე ცოლი. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ „მეფის დედის“ ტიტული მიიღო.

ვანი გამოკვლევა აქვს გამოქვეყნებული. მისი კვლევის ძირითადი სფერო პალესტინაში რუმინელთა ისტორიაა.²¹²

კონსულის ბინაში ერთი საათი დავეყავი და შთაბეჭდილებებით დავიგვირთე. მან მითხრა: „ქართველებს აქ მუდმივი წარმომადგენელი უნდა გყავდეთ. უფრო მეტიც: აქ სამეცნიერო ექსპედიციებს უნდა აგზავნიდეთ და ამ ქვეყნის ბედ-იღბლით უფრო მეტად დაინტერესდეთო!“ მისი საცხოვრებელი ოთახი ნამდვილი მუზეუმი იყო.

მონასტრებისა და ფრესკების ფოტოსურათთა დიდი კოლექცია ჰქონდა. მათ შორის იყო წმ. ჯვრის მონასტრის ყველა შემორჩენილი ფრესკის დიდი ფოტოსურათი. სამწუხაროდ, როცა ამ ფოტოსურათებს იღებდნენ, ფრესკების უმეტესობა ბათქაშით იყო დაფარული. რა შესაბრალისი იყო ჩემი ფოტოსურათები ამათთან შედარებით! რაკი მარტო ვიყავი, ბევრს ვერაფერს შევძლებდი. ამგვარი მუშაობა მიზნად მთელმა ერმა უნდა დაისახოს. მის ბინაში ასევე ვნახე პალესტინის მონასტრების ისტორია, რომელიც ახლანდელმა პაგრიარქმა, გიმოთეოსმა გამოაქვეყნა.²¹³ ავტორის მტკიცებით, ქართული წარმომავლობისა მხოლოდ ორი მონასტერი: წმ. ჯვრისა და წმ. იაკობისა (წმ. იაკობის მონასტერი ახლა სომხებს ეკუთვნის). მისი თქმით, დანარჩენი მონასტრები ქართველებს ბერძნებისგან მიუღიათ. ბერძნებს საინტერესო მეთოდი აქვთ: მათი აზრით, რადგან ყველა მონასტერი კონსტანტინეს და ელენეს დაარსებულია, მამ ყველა მათი საკუთრებაა. ამაზე კამათი ძნელია, რადგან არანაირი საბუთი არ არსებობს.

რუმინელებსაც მიაჩნიათ, რომ წმ. ჯვრის მონასტერი მათია. კონსული ამ მონასტერს თავისას (ანუ რუმინელებისას) უწოდებს. „ქართველების, მონასტრის ბერების ყველა ვალი რუმინელებმა გადაიხადეს, ამიგომ ეს მონასტერი ჩვენ უნდა გვეკუთვნოდესო“ – მითხრა მან. დიდად საინტერესო მოსაზრებაა.

ამ საუბარმა არა მარტო ახალი თვალსაზრისი შემძინა სადავო საკითხებზე და ახალ მონაცემებზე, არამედ მიმახვედრა, რომ ახალი ამოცანაც არის აღსასრულებელი. თუკი რაიმეს გაკეთება მოხერხდება, ეს, რაღა თქმა უნდა, რუმინეთის კონსულთან ჩემი შეხვედრის შედეგი იქნება. წმინდა მიწის ხელისუფლებამ იორდანეს სანაპიროებზე მიწის საკმაოდ დიდი ფართობები უსასყიდლოდ გადასცა ყველა ქრისტიანულ ეკლესიას, რომელთაც იერუსალიმში მონასტრები ჰქონდათ. ეს მიწა-წყალი უწინ სულთნის საკუთრება გახლდათ და აქ მონასტრის

212 მარკუ ბეზა (1882-1949), დიპლომატი, მწერალი, რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი; 1923 წელს რუმინული პენ-კლუბის დამაარსებელი. 1931-1939 წლებში რუმინეთის გენერალური კონსული იერუსალიმში. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ლონდონში გადასახლდა.

213 ავტორი გულისხმობს იერუსალიმის პაგრიარქ გიმოთეოსის ერთ-ერთ ნაწარმოებს: Timotheos Patriarch, *Hoi Hellines en tois Agiois Topois*, Athens, 1919.

აშენების უფლება არავის ჰქონდა. ერთადერთი გამონაკლისი ეთიოპიის იმპერატორი მენელიქი²¹⁴ გახლდათ, რომელმაც ვრცელი ტერიტორია მიიღო და დიდი ეთიოპიური მონასტერი ააშენა. წმ. იოანე ნათლისმცემლის ბერძნული მონასტერი იორდანელან²¹⁵ ოციოდე წუთის სავალზეა. რადგან ეს ძალიან ძველი მონასტერი იყო, ოსმალთა ხელისუფლება მას ეგუებოდა. იმ დროსთავისი მონასტერი აქ არც ერთ სხვა კონფესიას არ ჰქონდა.

ახლა კი მიწა ბერძნებმაც, ფრანცისკელებმაც, რუსებმაც, სირიელებმაც, სომხებმაც, რუმინელებმაც და ბულგარელებმაც მიიღეს. ეთიოპიელებს მეტი მიწა აღარ სჭირდებოდათ, რადგან ისედაც დიდი ტერიტორია ჰქონდათ. განა, არ შეიძლება, რომ მიწის მცირე ნაკვეთი ქართველებმაც მიიღონ და პაგარა მონასტერი ააშენონ? ეს ძნელი მოსაგვარებელია, რადგან იერუსალიმში აღარც ქართული მონასტრებია და აღარც ქართველები არიან. თუმცადა, აქ მონასტრები არც ბულგარელებს და რუმინელებს აქვთ, მიწა კი მაინც მისცეს²¹⁶. იქნებ გვეთხოვა, რომ მიწა მომლოცველებისთვის მიეცათ? აქაც თავს იჩენს ახალი პრობლემა: საქართველოდან მომლოცველები აღარ ჩამოდიან, ქართველ ემიგრანტებს კი ძალიან უჭირთ და აქ მოგზაურობის სახსრები არა აქვთ.²¹⁷ ამაზე უნდა დაეფიქრდე.

შინ როცა ვბრუნდებით, ბატონი სიკსეკი და არქიმანდრიტი ნარცისი შემხვდნენ. შევიტყვე, რომ გრანსიორდანიამში²¹⁸ თხუთმეტი ათასი მარ-

214 მენელიქ II (ნამდვილი სახელი სალე მარიამი/საჰლე მარჯაბი, 1844-1913), ეთიოპიის შევას სამეფოს მმართველი 1865 წლიდან; 1889 წელს – ეთიოპიის იმპერატორი.

215 მდ. იორდანეს (ისრაელის) დასავლეთის მხარეს ქალაქ ალ-მალთაში, 1 კმ დაშორებით წმ. იოანე ნათლისმცემლის ბერძნული მონასტერი მდებარეობს. ხოლო მის მოპირდაპირედ 6 კმ-ით მკვდარი ზღვიდან მდ. იორდანეს აღმოსავლეთ მხარეს, ვადი ქარარში (ალ-ქარარ) მოჩანს ბიზანტიური ეკლესიის ნანგრევები, სავარაუდოდ იმპერატორ ანასტასის მიერ 500 წ. აგებული ასევე წმ. მარიამ მეგვი პეტელის სამლოცველოს ნანგრევები.

216 ბიზანტიის დროიდან იესოს ნათლობის გრადიციულ ადგილას მოდიოდნენ პილიგრიმები. დაარსდა შემდეგი მონასტრები: ბერძნული, კოპტური, ეთიოპური, ფრანცისკანური და სხვა. ისრაელ-არაბული ქვეყნების ექვსდღიანი ომის შემდეგ 1967 წ. ყველა მონასტერი აღმოჩნდა კონფლიქტის ზონაში. ბერები იბულებული იყვნენ დაეგოვებინათ ისინი და დღემდე დაცარიელებულ ნანგრევებად იქცა.

217 გაეცანით, რას ფიქრობთ გრიგოლ ფერაძე ქართულ ემიგრაციაზე; „ახალგაზრდა თაობა (აღმოსავლეთში კაცი ახალგაზრდად ითვლება, სანამ მთლად არ გაჭაღარავდება და ყველა კბილი არ დასცვივა) ძირითადად უმუშევარი, დაავადებული და გაუნათლებელი იყო. თავის მხრივ, უფროსი თაობა თავს წარსული დამსახურებით იწონებდა, პოლიტიკურ საქმიანობაში იყო ჩაბმული და ახალგაზრდებში თანამომარეებს და თანამებრძოლებს ეძებდა თავისი მიზნების მისაღწევად. მთელი ემიგრაცია პოლიტიკურ თამაშებში იყო ჩართული, უამრო და სულისშემხუთველი ატმოსფეროთი გარემოცული“ [წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, ქართული კულტურის სამსახურში, გვ. 65].

218 გრანსიორდანიამი, სახელწოდება გამოიყენებოდა ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში და

თლმადიდებელი ცხოვრობდა. ისინი ცხრა საეპისკოპოსო საკათედრო გაძარს ფლობდნენ, რომელთაგან მოქმედი მხოლოდ ერთი იყო. ამას გარდა, ცხრაშეგი სკოლაც ჰქონდათ. არქიმანდრიგი ამ სკოლების ინსპექტორი გახლდათ.

ერთ გავლენიან მართლმადიდებელ არაბს ვეწვიე, რომელსაც სასულიერო აკადემია რუსეთში ჰქონდა დამთავრებული. რუსები მაინც არ უყვარდა. მისი აზრით, მათი მიზანი ძალაუფლების განმტკიცება იყო და არა კულტურის შექმნა. რუსების მიმართ აქ კეთილგანწყობილნი მანამდე იყვნენ, სანამ მათ ფული ჰქონდათო. ქართული მონასტრების თაობაზე კი თქვა, ალბათ, ერთ ღროს დიდი გრაგედია დატრიალდა, ქართველებმა ასე ერთიანად რომ დაკარგეს ყველაფერი; სავარაუდოდ, ამ გრაგედიის ამსახველი ქართული ხელნაწერები სადმე უნდა არსებობდეს. სამწუხაროდ, ხელთ ძალიან ცოცხა ქართული საბუთი გვაქვს. იმედია, რომ რაღაც მაინც გადარჩებოდა, მაგრამ ამისთვის კვლევა-ძიებაა საჭირო, თანაც, უპირველეს ყოვლისა, საქართველოშიო. ბოლოს ვკითხე, იქნებ შესაძლებელია, მდ. იორდანესთან მიწის მცირე ნაკვეთი ქართველებმაც მიიღონ-მეთქი. მისი აზრით, ეს შესაძლებელი იქნება, თუ ამ საქმეს ხელს გავლენიანი პიროვნება მოჰკიდებს და არა რომელიმე კერძო პირი. „გარდა ამისა, – დაუმატა მან, – ინგლისელებს ახლა სხვა საქმეც ბევრი აქვთ და ეს ახლა საჩქარო არ არის“.

29. VII. ოთხშაბათი.

ამ დღით, ბიბლიოთეკაში მუშაობის შემდეგ, არქიმანდრიგ კალისგოსს ვეწვიე და შევეკითხე, იორდანეს ნაპირებთან მიწის მოპოვების თაობაზე რა აზრისა ხართ-მეთქი? მითხრა, პატრიარქის კურთხევის გარეშე ვერაფერს დაიწყებთო. პატრიარქი კი ახლა იერუსალიმში არ არის, მომდევნო კვირაში დაბრუნდებაო.

წმ. ჯვრის მონასტერში გადაღებული ფოტოსურათები არ ვარგოდა. ჩემმა თანამემამულემ ყველაფერი ჩემს ფოტოაპარატს დააბრალა. გუშინ ფოტოაპარატი წაიღო. ხვალ წმ. ჯვრის მონასტერში წავა და ახალ ფოტოსურათებს გადაიღებს.

დღეს მამა ნიკოლასმა ჩვენთან ერთად ისადილა. ნასადილევს გავაცილე. გული კვლავ ახალგაზრდულად უძგერდა და სეირნობა უყვარდა. მითხრა, წმინდა მიწის მართვის მანდაგი რუსეთს რომ ჰქონოდა, აქ ყველაფერი ძველებურად იქნებოდა, ეს ერთადერთი ქვეყანაა, სადაც არაფერი არ უნდა შეიცვალოსო. მეც უნდა მეღიარებინა, რომ მართალს ამბობდა, თუ

მოგვიანებით მდინარე იორდანეს აღმოსავლეთით მდებარე დიდი და გაურკვეველი ნაწილის, რომელიც ანგიკურ ხანაში ელომი და მოაბის სახელით იყო ცნობილი.

აქ რუსეთის მმართველობა იქნებოდა, მთელი პალესტინა სულ სხვაგვარი, ერთი დიდი მონასტრისნაირი გახდებოდა და მრავალნი, „მოსიარულე ანტიკვარის“ მსგავსნი, თითქმის ყოველდღე აღმოაჩენდნენ და მოიძიებდნენ ახალ ადგილებს, თქმულებებითა და ღვთაებრივი ლეგენდებით გასხივოსნებულს.

30. VII. ხუთშაბათი

ხვალ საღამოს იუდეის უდაბნოში მდებარე წმ. საბას მონასტერში ვაპირებდი წასვლას, ბევრი საქმე მქონდა და ბიბლიოთეკაში აღარ წავსულვარ. ამის ნაცვლად, პალესტინის მუზეუმი – დამასკოს კარიბჭის გვერდით მდებარე სრულიად ახლებური პალესტინური სტილის ნაგებობა დავათვალიერე. ამქამად დაკეცილი იყო. თუმცა მე გამიმართლა – შემიშვეს და ერთმა მალაქმა, მართლმადიდებელმა არაბმა ოთახები დამათვალიერებინა. ერთ ოთახში დიდი საფლავის ქვა შევნიშნე, რომელსაც ბერძნული წარწერა ჰქონდა. წარწერა გვამცნობდა, რომ ამ ქვის ქვეშ ქართველი ეპისკოპოსი სამოელი იყო დაკრძალული. ჩემმა მეგზურმა მითხრა, რომ ბატონ ჯონ ჰენრი ილიფს,²¹⁹ მუზეუმის ერთ-ერთ უფროს თანამშრომელს, ამ საფლავის ქვის შესახებ გამოკვლევა დაუწერია, დიდი გულისხმიერება გამოიჩინა და იმ ნაშრომის ერთი ეგზემპლარი მიმოვა.

ეს ქვა მაშინ აღმოუჩენიათ, როცა იერუსალიმში YMCA-ს²²⁰ შენობა შენდებოდა. ბატონი ილიფს ვარაუდით, იმ ადგილას VI–VII საუკუნეებში სასაფლაო უნდა ყოფილიყო.²²¹

31. VII. პარასკევი – 2. VIII. კვირა

წმ. საბას მონასტერში²²² ვარ, იუდეის უდაბნოს შუაგულში. გზა იერუსალიმიდან აქამდე ძალიან დამქანცველი იყო. ეს გზა დავითის ან სიონის კარიბჭესთან²²³ იწყებოდა და „სისხლის მიწაზე“ გადიოდა (რომელიც ერთ

219 ჯონ ჰენრი ილიფს (1902-1960), არქეოლოგი, პალესტინის არქეოლოგიის მუზეუმის პირველი კურატორი.

220 YMCA: Young Men's Christian Association, „ჭაბუკთა ქრისტიანული გაერთიანება“. კულტურულ-მეცნიერებითი ქრისტიანული ორგანიზაცია, რომელიც დააარსდა ლონდონში 1844 წელს.

221 I. H. Iliffe, *Cemeteries and a „Monastery“ at the YMCA, Jerusalem (third and sixth centuries A. D.)*, *The Quarterly of the Department of Antiquities in Palestine*, 4:1935, 1-2, გვ. 70-80.

222 წმ. საბა იერუსალიმელი (439-532), ასკეტი. 462 წელს კლდეში გამოკვეთილ მღვიმეში დამკვიდრდა, ხოლო 482 წელს მდინარე კედრონის სათავესთან დააარსა მონასტერი, რომელიც მარ საბას სახელითაა ცნობილი.

223 დავითის ჭიშკარი ან სიონის კარი (ებრ. שַׁעַר יְהוּדָה არაბ. أبواب جبل سion), ძველი იერუსალიმის რვა კარიბჭედან ერთ-ერთი, საიდანაც შედისარ ებრაელების და სომხურ უბნებში. სახელწოდება ბიბლიური მეფის დავითის სახელიდან მომდინარეობს. კარიბჭე 1540 წელს სულთანმა სულეიმან პრწყინვალემ (1494-1566) ააშენა.

დროს იუდას ვერცხლით შეიძინეს),²²⁴ შემდეგ კი უნაყოფო, უწყლო და უგზო უდაბნო იწყებოდა. მე იმ ქარავანს გავეყვი, რომელსაც ბერებისთვის საკვების მისაგანად საპაგრიარქოდან ყოველ პარასკევს აგზავნიდნენ. ბელუნიებს უთხრეს, რომ ჩემზე ებრუნათ; მართლაც, მგზავრობისას არაფერი შემთხვევია. მზე უმოწყალოდ აცხუნებდა. მთელ გზაზე ხე კი არა, ბუჩქიც არსად დაგვინახავს. არც წყალი იყო საღმე, ხოლო რაც თან გვქონდა წამოღებული, ძალიან გათბა. ბელუნიები ჯორებს მიერეკებოდნენ და რაღაცას მღეროდნენ. გზაზე ბელუნიების კარავი შემოგვხვდა და მთლად გიგველი ბავშვები ჩემკენ საჩუქრის სათხოვნელად გამოიქცნენ. ჩემმა მეგზურმა ისინი გარეკა. მხოლოდ მზისგან გავარვარებული ქვიშის ზღვა და ქვიშასავით მოელვარე შიშველი მთები მოჩანდა. ქვიშის ზღვა უსასრულო იყო, თუმცა-ღა ყოველივე ამის ხილვა მაინც მაგკობდა.

სუთსაათიანი სიარულის შემდეგ კედრონისკენ დავეშვი. ამქამად მდინარე თითქმის დამშრალი გახლდა და შეგვეძლო, კალაპოტს ავყოლოდით. მდინარე სათავეს ლავრასთან იღებდა. გაღმოცემით, ჩვენი უფლის მეორედ მოსვლისას ამ მდინარის წყალი ცეცხლად გადაიქცევა, მთელ სამყაროს გაღმოდვრება და გადაწვავს²²⁵. ხელმარჯვნივ ერთი მთა აღმართულიყო. ჩემი მეგზურის მგკიცებით, ეს წმ. მოსეს მთა იყო. ზედ მუსლიმური სამლოცველო იდგა. არაბთა მოსვლამდე ამ ადგილას ქრისტიანული ეკლესია ყოფილა და იქ მყოფ ერთ ყველაზე ცნობილ ბერს მოსე რქმევია. მოგვიანებით ეს ბერი ძველი აღთქმის წინასწარმეტყველ მოსესთან გააიგივეს. ამის გამო ქრისტიანები იქიდან განდევნეს და მათ ნაცვლად მაჰმადიანები დამკვიდრდნენ²²⁶.

მთაზე ავიდოდით. ქვებში თითქოს საფეხურები იყო გამოკვეთილი. ხელმარცხნივ, მდინარის გაღმა, ძველ მღვიმეებს ვხედავდი. მათი უმეტესობა დანგრევის პირას იყო მისული. თვით მონასტერი მაღლიდან მკვიდრი გალაგებით არის შემობღულული. სამრეკლოზე ერთი ბერი მოჩანდა. როცა მიახლოებული სტუმრები დაგვინახა, ზარს შემოჰკრა. სხვადასხვანაირი ზარი ჰქონდათ: ზარს იმის მიხედვით ირჩევდნენ, სტუმრად ვინ მიდიოდა. ზარის ხმაზე მეკარემ კარიბჭე გააღო. მრავალი საფეხური ავიარეთ

224 ჰაკელდამა ან ჰაკელდამას (არამ. חקל דמא, სისხლის მინდორი. ბერძ. ακελδამά), ერთ-ერთი უძველესი ადგილი, რომელიც დღესაც არსებობს იერუსალიმში, მინდორი, რომელიც იუდას მიერ მიღებული ვერცხლით იქნა შესყიდული. გრიგოლ შერაპე ქართული ხელნაწერიდან ციტირებს მათე 27, 8, სადაც განსაზღვრულია, როგორც „ავარაკი სისხლისა“, რაც ნიშნავს „სისხლიან სოფელს“, „სისხლიან დასახლებას“.

225 კედრონის ხევი (ბერძ. Κουιάς Κένδριον), გაივივებულია იოსოფაგას ველთან, რომელიც ბიბლიაში სიმბოლურად „განკითხვის დღით“ არის განსაზღვრული, ამიტომაც „განკითხვის დღის“ საგებზე ცეცხლის აღია გამოსახული.

226 იერიქოს სამხრეთით, იერუსალიმისკენ მიმავალ გზაზე, XIII ს-ში აშენებული ნაბი მუსას მეჩეთი დგას, სადაც მუსლიმთა გრადიციის თანახმად დაკრძალულია მოსე - „მოაბის ქვეყანაში“ (კანონი 34, 1-6). ყოველ წელს აქ მუსლიმი პილიგრიმები იკრიბებიან.

და გარეთა დარბაზს, უფრო სწორად, მონასტრის მთავარი ეკლესიის ნარგეფს მივადექით. იქ დიდი, კარგი ავზი იდგა. სხვა წყალი (წმ. საბას ძალიან პაგარა წყაროს გარდა) არ ჰქონდათ და ბერები ავზებში წვიმის წყალს აგროვებდნენ. გერასებზე გაშენებული მონასტერი გასაოცრად ღამაში იყო. წმ. იოანე დამასკელი აქ ცხოვრობდა და აქ ქმნიდა დიდებულ ჰიმნებს, ღვთისმსახურებისას რომ ვგალობთ.²²⁷ მისი სენაკი სამლოცველოდაა გადაკეთებული. ძველი ხატების პაგარა მუზეუმიც აქვთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ შორის არც ერთი ქართული ხატი არ არის. ძველად აქ ქართველები ცხოვრობდნენ. ისინი წმ. საბას ანდერძშიც არიან მოხსენიებული. მათ უფლება ჰქონდათ, სახარება და მოციქულთა ეპისტოლეები²²⁸ მშობლიურ ენაზე წაეკითხათ.

თვით მონასტერი კლდეში გერასებად არის გამოკვეთილი და ამ ადგილიდან თვალწინ კედრონის თვალწარმგაცი ხეობა გადაგეშლებათ. მზე ჩავა თუ არა, აქ მელიები მოდიან და მათთვის ბერების მიერ დაყრილ პურს ჭამენ. ადრე აქ წმ. საბას ჩიგებიც ბინადრობდნენ, მაგრამ მათი უმეგესობა ბელუნიებმა დახოცეს. აღარც მელიები არიან ბევრი.

ხვალ მღვიმეების დათვალიერებას ვაპირებ და ამიგომ დღეს ვისვენებ. მეც მღვიმეში ვცხოვრობ. ჩემი საწოლის თავზე ყულაბაა, რომელსაც ფრანგულად აწერია მოწყალების თხოვნა, „pour les misérables“ ანუ „საბრალო ღატაკებისთვის“. ძალიან მწყინს, ბერის ასეთ ყოფას რომ ვხედავ აქ - მთელ მსოფლიოში, ალბათ, ერთადერთ ადგილას, სადაც ამგვარი არქაული ასკეტიზმია შემორჩენილი. ბერი არასდროს არ არის საბრალო, თუკი თავისი ნებით და მოწოდებით არის ბერად აღკვეცილი. პირიქით, ბელნიერია, რადგან შინაგან ჰარმონიას ესწრაფვის. ასეთი გრადიცია, ალბათ, ძალიან ძველი დროიდან მომდინარეობს და ვინც პირველად გამოიყენა იგი, უთუოდ ხაზს უსვამდა ჩვენი, მართლმადიდებლური სამონასტრო ცხოვრების უსამღვრო მოკრძალებულობას. მყუდროებაში მყოფი ვცდილობ, ამ აზრის სიღიადეს და სიწმინდეს როგორმე ჩავწვდე.

აივანზე ფეხის ხმა შემომესმა. ვილაც ნახევრად შიშველი ბელუნი ჩემს ოთახში უეცრად, ისე შემოიჭრა, რომ არ დაუკაკუნებია. საჩუქარს მოხოვდა. ალბათ, დრო შეარჩია, სანამ ბერები სურსათის გადმოტვირთვით იყვნენ დაკავებული და შემოიპარა. გარეთ გავაგდე და კარი ჩავკეცი.

აქ ორი რუსი ბერი ცხოვრობს. ერთი მათგანი უბრალო გლეხია, იგი ხნიერია, მაგრამ თავდაუზოგავად მუშაობს. მეორე შედარებით ახალგაზრდაა, აქ ინგენდანგადაა.

227 წმ. იოანე დამასკელი (655-750), ეკლესიის მამა, თეოლოგი და ჰიმნოგრაფი. ერთ-ერთი უდიდესი ბერძენი პოეტი, ხატთა საგთაყვანისცემის დამცველი.

228 (*) А. Дмитриевский, *Описание литургических рукописей хранящихся в библиотеках православного востока*, т.1, Киев 1895, გვ. 222-224.

ღვთისმსახურება აქ ღამის თერთმეგ საათზე იწყება და ღილის ოთხ საათამდე გრძელდება. თერთმეგ საათამდე მარი ღარეკეს. ავდექი და აივანზე გავედი. საამური, თბილი ღამეა. მთელი მონასტერი ვერცხლისფრად შეფერილა. თეთრ კლდეებს, მღვიმეებსა და თვით ტაძარს მღაპრული ღამის ფერები უჩვეულო, წმინდა შარავანდედით შემოჰფენია. ცოდვა იქნება, ასეთი საოცარი ღამე ძილში გავაგარო. შთაგონებას, ჭვრეტას უნდა მივეცე, ჰიმნები ვიგალობო, ვილოცო. ...

წმ. საბას ლავრაში გაგარებულ ორ საოცარ ღამეს ყოველთვის დიდი მონაგრებით გავიხსენებ.

ღილით, ღვთისმსახურების შემდეგ, აივანზე ყავას ვსვამდით და კედრონს გადავყურებდით. შემდეგ ბერები დასაძინებლად წავიდნენ. მე კი კარიბჭე გავაღებინე და მღვიმეების ახლოს გავისეირნე. კარიბჭესთან შორიახლოს დიდი კოშკი იდგა, რომელშიც რამდენიმე ოთახი იყო. იქ ქალებს შეედლოთ დაბინავება, რადგან მათ მონასტერში შესვლის უფლება არ ჰქონდათ. როცა მონასტერს საკმაოდ დავშორდი, უეცრად ის ბედუინი შევნიშნე, ოთახიდან რომ გავაგდე. მე მომყვებოდა. იქნებ გუშინდლის გამო სამაგიეროს გადახდას აპირებდა? ირგვლივ კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. მკვდარი მღვისკენ მიმავალ გზაზეც არაფერი ჩანდა. აღარც მონასტერი და კოშკი მოჩანდა. ბედუინმა ყვირილი შორიდანვე დაიწყო, საჩუქარს მთხოვდა. ვუთხარი, საჩუქარს ხვალ მოგცემ-მეთქი, თან ვთხოვე, მღვიმეები ეჩვენებინა. მშვიდად ველაპარაკებოდი, ვუღიმოდი კიდეც, მან კი აღარ იცოდა, დაეჯერებინა ჩემთვის თუ არა. ამ დროს მონასტრიდან მომავალი ბერი გამოჩნდა. თურმე კოშკიდან ვიდაცას ბედუინი შეუმჩნევია და ბერი ჩემს დასახმარებლად გამოუგზავნია. ბედუინმა ბერი დაინახა თუ არა, მაშინვე მომშორდა.

ბერები აქ უზომოდ ფანატიკოსები არიან. ისინი დროის მიღმა ცხოვრობენ და სრულებით არ აღარდებთ, ქვეყნიერებაზე რა ხდება. ერთმა ბერმა მითხრა, პატრიარქი ღამიანე ერთი წლის წინ გარდაიცვალაო. „რაო? ერთი წლის წინ? – შეაწყვეგინა მეორე ბერმა, რომელიც იერუსალიმიდან რამდენიმე წლის წინ სასჯელის მოსახდელად გამოეგზავნათ. – „ეს ხომ ხუთი წლის წინ იყო!“ „რას ამბობ?“ – უმწეოდ ჰკითხა პირველმა ბერმა, გოცნებულმა „კი არა, დაეჭვებულმა.

ამგვარ გარემოში წარმოსახვა ძალიან აქტიურდება. როცა ღერეფანში კაგა ღავენახე და ხელის გადასმა დავაპირე, ერთმა ბერმა მკაცრად დამგუქსა. მითხრა, წმ. ბასილის²²⁹ სწავლების მიხედვით, კაგა ქალის სიმბოლოა, რადგან უამრავი ქალური თვისება აქვს²³⁰. ვინც კაგას შეეხება, სამი ღღის

229 წმ. ბასილი დიდი (დაახ. 330-379), დიდი კაპადოკიელი მამა, 370 წლიდან კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსი.

230 კაგის ქალურ თვისებები – სინაზე, მზაკვრობისკენ მიდრეკილება და მგრძნო-

განმავლობაში უწმინდურია. ამ სამ დღეში თუ მოკვდება, პირდაპირ ჯოჯოხეთში მოხვდებაო. მე შეემეინდა, რომ საგრაპეზოში აღარ შემიშვებდნენ და ჭამა ოთახში მომიწევდა.

წმ. საბას მონასტერი ძალიან მდიდარია. უამრავ მიწას ფლობს. ადრე მთელი უდაბნო მისი იყო. ახლა პალესტინის უდაბნო პარიზის უბნებზე უფრო ძვირია. ამან ერთი ამბავი გამახსენა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ძალიან გახმაურდა. ებრაელებს უნდოდათ, რომ მკვდარი ზღვის მახლობლად ერთ ველზე პლანგაცია გაემენებინათ. ველი არანაკლებ თხუთმეტი კილომეტრის სიგრძისა იყო და კარგი მოვლა-დამუშავებით არაჩვეულებრივად უხვ მოსავალს მიიღებდნენ. მანამდე უდაბნო თითქოს არავის ეკუთვნოდა, ახლა კი უეცრადსამი მფლობელი აღმოაჩნდა. პირველი გახლდათ ბრიტანული ხელისუფლება, რომელიც ამტკიცებდა, რომ მთელი ტერიტორია მას ეკუთვნოდა. მეორენი იყვნენ ბელუნიები, რომელნიც უდაბნოზე გადადიოდნენ და ამ ადგილას წელიწადში ერთხელ მაინც რამდენიმე კვირის მანძილზე კარვებს დგამდნენ. დაბოლოს, მესამე მფლობელი წმ. საბას მონასტერი იყო. თუმცა მონასტერს არანაირი საბუთი არ ჰქონდა, სასამართლომ მისი უფლება აღიარა და უდაბნოს ნახევარი მიაკუთვნა. მეორე ნახევარი ბელუნიებს მისცეს. ამბობენ, ებრაელები არაფერს იშურებდნენ, ოღონდ მონასტრისგან მიწა გამოესყიდათ, მაგრამ ახლა ამ მიწის მიღება უსასყიდლოდ უნდათო.

წმ. საბას მონასტერს მართლმადიდებლურ სამყაროში დიდ პატივს სცემენ და დიდი სახელი აქვს. ომამდე მას თითქმის ყველგან, მთელ მსოფლიოში ჰქონდა საკუთრება. საქართველოშიც მთელი სოფლები ეკუთვნოდა.

ბიბლიოთეკის ნახვა ძალიან მინდოდა. იგი კომპიში იყო განთავსებული. იქ ასვლა ჭირდა, რადგან გრძელი კიბე უნდა აგვევლით. ამ ბიბლიოთეკიდან საპაგრიარქოში ყველა ხელნაწერი არ წაუღიათ და ალ. ცაგარელმა იქ ერთი ქართული ხელნაწერი ნახა.²³¹ მე კი არ გამიმართლა. მითხრეს, გასაღები ბეთლემში წასულ ბერს გაჰყოლიაო. ასეთი პასუხი მობოდიშების სერხი გახლდათ, როცა ბერებს არ სურდათ, ვინმესთვის თავიანთი კოლექცია ეჩვენებინათ.

აქ კავკასიიდან ჩამოსულ ერთ ბერძენ ბერს უცხოვრია. ამბობდნენ, ქართული იცის და წირვაზე ქართულად გალობსო. სამწუხაროდ, იგი იმ დროს მონასტერში არ იმყოფებოდა.

ბიარობა – ჯერ კიდევ გნოსტიკოსების მიერ შეინიშნებოდა. მარტის კატეხის გულში ჩამწვდომმა კნავილმა და მათი კურკულის არაჩვეულებრივმა ცერემონიალმა კატეხი სექსუალურად თავაშვებულებს მიაკუთვნა, შდრ. J. C. Cooper, *Zwierzęta symboliczne i mityczne*, przeł. A. Kozłowska-Łoś & L. Ryś, პოზნანი 1998, გვ. 117-120.

231 (*) ა. ცაგარელი, *Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае*, გვ. 127.

2.VIII. კვირა

მონასტრიდან დილაადრიან, წირვის შემდეგ წამოვედი. იერუსალიმში ერთ ბელუინს უნდა წავეყვანე, მაგრამ მე სხვა გზა ვარჩიე, რადგან წმ. თეოდოსის მონასტრის²³² მონახულება მინდოდა. ეს წმინდანი პალესტინის სამ დიდ ბერთაგან ერთ-ერთი გახლდათ (მის გარდა ორნი იყვნენ საბა და ექვთიმე).²³³ უწინ აქ დიდი მონასტერი იყო, სადაც სხვებთან ერთად ბესები²³⁴ ცხოვრობდნენ. მათი წარმომავლობის საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, მათი წინაპრები ქართველები იყვნენ, სხვების აზრით – ბესარაბიელები, ზოგიერთი კი მათ თესალიელებად მიიჩნევს.²³⁵ ახლა იქ მხოლოდ ილუმენი ლორენსი და ერთი მორჩილი ცხოვრობენ. ილუმენი მონასტერში არ დამხვდა. იგი მონასტრის მუზეუმისთვის თურმე ძველ მარბაზნებს, ჭურვებსა და მსოფლიო ომის დროინდელ სხვა მსგავს ნივთებს აგროვებდა. ამის გამო მაჰმადიანმა არაბებმა ინგლისელ ხელისუფლებთან დაასმინეს, იარაღს ინახავსო. მას უფლებამოსილება შეუჩერეს. იერუსალიმში ყველა ქრისტიანი დიდად აღაშოთა იმ ამბავმა, რომ ოთხმოც წელს მიგანებული მოხუცი ციხეში ჩამწყვდიეს, სასამართლო დარბაზში კი გისოსებს მიღმა „მაჰბუცთა“ ანუ ბოროტმოქმედთა ადგილას პოლიციელთა ზედამხედველობით მოათავსეს. როცა იერუსალიმში ვიყავი, ის სასამართლო დარბაზი ვნახე, სადაც მოხუცი არქიმანდრიტის პროცესი გაიმართა. მონასტერში მას ახლა სხვა ბერი ცვლიდა. ამბობენ, მამა ლორენსი გაამართლეს და მონასტერში მალე დაბრუნდებო.

მონასტრის მთავარი ეკლესია ომის დროს დაინგრა და მისი ნაშთები იყო შემორჩენილი. მე სამლოცველოში შევედი, სადაც წმ. თეოდოსია დაკრძალული. იქვეა სხვა ბერების ძელებიც. ღვთისმსახურებას ახლა აქ აღასრულებენ. მონასტრის ბაღში მარბაზნები, მარბაზნის ძველი ჭურვები, და დაქანგული შაშხანები იყო მიმოფანტული.

ბელუინის გამო ბევრი უსიამოვნება გადამხდა. გზადაგზა ფასს უმატებდა და თან მემუქრებოდა, თუ არ დავყაბულდებოდი, უდაბნოში მარტოს დამტოვებდა. გარდა ამისა, „სისხლის მიწაზე“ მან პირველივე სასტუმრო სახლში მოისურვა საგზლის მირთმევა, ჭამის საფასური კი მე გადამახდევინა. იაფას

232 წმ. თეოდოს დიდი (424-529), ცნობილი ასკეტი, მეუღლებოდა მამა. 454 წლიდან მღვინეში ცხოვრობდა. 493 წელს წმინდა მიწის ყველა მონასტრის წინამძღვარი გახდა.

233 წმ. ექვთიმე დიდი წლიდან მეუღლებოდა პალესტინაში (377-473), ასკეტი, 356.

234 ბესები თრაკიელების ერთ-ერთი ტომი, მცხოვრებნი ბალკანეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში.

235 (*) J. Tomaschek, *Über*, Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, 4:1890, გვ. 166; Иеромонах Феодосий Олтаржевский, *Палестинское монашество с IV-VI ст.*, Православный Палестинский Сборник, СПб, 1896, т. 44, გვ. 110, 310; P. Peeters, *La version ibéro-arménienne de l'autobiographie de Denysl'Aréopagite*, Analecta Bollandiana, 31:1912, გვ. 288.

კარიბჭის გვერდით სიგარეგების დიდი შეკვრა იყიდა და მისი საფასურიც მე გადავიხადე.

4. VIII. სამშაბათი

პროფესორმა დამარწმუნა, მაგდალაში წავსულიყავი და დამესვენა. მითხრა, იქ, რუსთა ადგილ-მამულში, ბევრი სასწაულთმოქმედი წყაროა, რომლებიც უმთავრესად თირკმელების დაავადებებს შევლისო. თავად იქ რამდენიმე კვირა გაუგარებია და ამბობდა, მაგდალას წყაროები ვიშის წყალივით მარგებელიაო. იქ წასვლა გადავწყვიტე. საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში მუშაობა თითქმის დასრულებული მქონდა, პატრიარქი კი იერუსალიმში ჯერაც არ დაბრუნებულიყო. ვფიქრობდი, გალილეაში ვიხეგიალებდი, თუკი ამის შესაძლებლობა მომეცემოდა.

საიფასკენ მიმავალი მაგარებელი მგზავრებით იყო საესე და ლოდ-შიც²³⁶ ბევრი ებრაელი ამოვიდა. ჩემ წინ ერთი არაბი იჯდა. იერუსალიმიდანვე ერთად ვმგზავრობდით და იცოდა, რომ ქართველი ვიყავი. ებრაელებს ძალიან გულღიად დახვდა. მათ ჩემი სადაურობა მისგან შეიგყვეს. უეცრად ორი ბიჭი მომიახლოვდა, რომელთაც ებრაელ სკაუტთა ფორმა ეცვათ. ერთი ბიჭი ქართულად გამომელაპარაკა. დასავლური კილო ჰქონდა. წმინდა მიწაზე ძალიან ბევრი ქართველი ებრაელი იყო. თელ-ავივში საკუთარი უბანი ჰქონდათ, ხოლო საიფასკენ მიმავალ გზაზე ქართველი ებრაელებით დასახლებული ერთი სოფელიც კი ვახლდათ: ბენიამინო. შემომთავაზმეს, რომ სოფელშიც ვწვეოდი და თელ-ავივშიც.

ჩვენმა ქართულმა საუბარმა სხვა მგზავრების ყურადღება მიიპყრო. როცა ერთ-ერთმა შეიგყო, რომ ქართველი ებრაელები საქართველოში თავს კარგად გრძნობდნენ და საქართველო ენაგრებოდათ, ასეთი რამ თქვა: „ებრაელები თავს ყველგან ცუდად თუ იგრძნობენ, მხოლოდ მაშინ დაიწყებენ პალესტინაში დაბრუნებას“.

5.VIII. ოთხშაბათი – 10.VIII. ორშაბათი

მაგდალაში ვარ და ვისვენებ. აქ ძალიან პრიმიტიული საცხოვრებელი პირობებია. საწოლი ხის ქვეშ, მინერალური წყაროს გვერდით მოვაწყვე, ისე რომ ან საწოლში ვწევარ ან წყალში. მხოლოდ თევზს ვჭამ.

ტიბერიის გბასთან რუსული ადგილ-მამულია, სწორედ იმ ადგილას, სადაც სასწაულებრივი თევზაობა გაიმართა²³⁷ და სადაც ქრისტემ წყალ-

236 ლოდი (ებრ. לוד; არაბ. لُد), ქალაქი ისრაელში, თელ-ავივიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. ცნობილია, როგორც „გუმ დანის“ სახელით. ისტორიულ წყაროებში პირველად მოიხსენიება ძვ.წ. XV საუკუნეში. გადმოცემის თანახმად აქ დაკრძალულია წმინდა გიორგი.

237 ლუკა 5,6.

მე ისე გაიარა, როგორც ხმელეთზე.²³⁸ მკვდრებით აღდგომის შემდეგ ამ აღგილას იგი ბოლოჯერ ესაუბრა თავის მოწაფეებს და აქ გაიმართა მისი მშვენიერი დიალოგი პეტრესთან.²³⁹ აქაური იყო მარიამ მაგდალინელიც. აქ სამი მაგდალაა: ერთი – მთაბე შეფენილი არაბული სოფელი, მეორე – ძველი ებრაული კოლონია, აქედან დაახლოებით სამი კილომეტრის მოშორებით, და ეს მამული. აქ ცხოვრობს ერთი მორჩილი, რომელსაც ნაყოფიერ მიწაზე გრეიპფრუტის პლანტაცია აქვს გაშენებული. მასთან ერთად ერთი მუშაც ცხოვრობს. მორჩილი მაინც უკმაყოფილოა და სირიაში უნდა წასვლა. აქ კიდევ სამი ხნიერი ქალი ცხოვრობს, რომელთაც პატარა სახლები აუშენებიათ. ალბათ, ებრაელებს ამ აღგილ-მამულის დაუფლება უნდათ. მათ სასამართლოშიც კი უჩივლეს რუსულ წარმომადგენლობას. ეგონათ, რომ წარმომადგენლობა სასამართლო პროცესს წააგებდა, რადგან საბუთები არ ჰქონდათ (ყველა საბუთი ლენინგრადში ინახება). მაგრამ წარმომადგენლობამ ქალების წყალობით, რომელნიც ომის დაწყებიდანვე აქ ცხოვრობენ, შემოღობილი აღგილი შეინარჩუნა, ხოლო ღობის გარეთა მიწა, რომელიც ასევე წარმომადგენლობას ეკუთვნოდა, ხელისუფლებას გადაეცა. ადრე აქ ტბები და ჰეროდეს²⁴⁰ სამაფსულო რეზიდენცია იყო. ეს აღგილი მინერალური წყაროებითაა მდიდარი. მღვის პირას საუცხოო ბაღებია, სადაც ხეხილი, ბანანის ხშირი ბუჩქები და ფინიკის მაღალი პალმებია გაშენებული. მათი მშურს, ვინც აქ ცხოვრობს. მებადურებს ყოველდღე ახალი თევზი მოაქვთ. აქედან თოთხმეტ კილომეტრზეა ბეთსაიდა, საიდანაც იყო პეტრე. ბეთსაიდასთან²⁴¹ ახლოსვეა კაპერნაუმი²⁴² რომლის იქითაც „ნეგარებათა მთა“ არის აღმართული. იქით, შორს, მთაზე სეფადი²⁴³ მოჩანს. იქ შუქს ძალიან გვიანაც ვხედავ, როცა უკვე საწოლში ვწევარ. ეს ის ქალაქია, რომელმაც ქრისტემ თქვა,

238 მათე 14, 22-32.

239 იოანე 21, 15-17.

240 ჰეროდე I დიდი (ძვ.წ. 73-4), იუდეის მეფე ძვ.წ. 39-4 წწ.

241 ბეთსაიდა (ებრ. בית שאן „მეთევზის სახლი“, ბერძ. Βηθσαϊδά), მდებარეობს ისრაელში გალილიის გენესარეთის ტბიდან მოშორებით. უძველესი დროიდან დასახლებული, ახალი აღთქმის მიხედვით სამი მოციქულის დაბადების ადგილი: ანდრია, პეტრე და ფილიპესი. სწორედ კაპერნაუმი და ბეთსაიდა დაგმო იესო ქრისტემ (მათე 11, 20-24). 1989 წელს ქალაქი აღმოჩენილ იქნა ჰაიფას უნივერსიტეტის არქეოლოგების მიერ.

242 კაპერნაუმი (ებრ. כפר נחום, კეფარ ნაჰუმ – სოფელი ნაჰუმ, სიტყვასიტყვით ნუგეშისმცემელი სოფელი. ბერძ. Καπερναούμ), არაბები მას თელ ჰუმს უწოდებენ. ქალაქი გადაჭიმულია ჰკმ მანძილზე გენესარეთის ტბის გასწვრივ. იესო ქრისტე ნაზარეთის დატოვების შემდეგ კაპერნაუმი ცხოვრობდა, რომელიც მისი ქალაქი გახდა.

243 ქალაქი სეფადი მღვის დონიდან 850 მეტრზე მდებარეობს, რომელიც უძველესი დროიდან არის დასახლებული.

რომ „ვერ დაიმალება ქალაქი, მთის მწვერვალზე გაშენებული“.²⁴⁴ მთელი ღამე სროლის ხმა გაისმის, ღლისით კი, სეფადისკენ მიმავალ გზატკეცილზე, რომელიც სანახევროდ დანგრეული ღობის გასწვრივ გადის, სულ ჯარისკაცებით სავსე მანქანები მოჩანს.

გიბერია, 11. VIII. სამშაბათი – 16. VIII. კვირა.

მაგდალაში გაგარებული მშენიერი ღლეების შემდეგ, როცა იქ ვმკურნალობდი, რამდენიმე ღლე შუა საუკუნეების ებრაული კულტურის ცენტრში, გიბერიაში დავრჩი. ეს ის ადგილია, სადაც რაბინი აკიბა²⁴⁵ ფილოსოფოსი მაიმონიდესი²⁴⁶, და სხვები ცხოვრობდნენ და სადაც რაბინთა სახელგანთქმული სკოლა იყო. ღლესაც ამ ქალაქის მკვიდრთა ოთხმოცდაათი პროცენტი ებრაელები არიან. თუმცაღა, მისი დაარსების ქამს ებრაელებს ამ ქალაქში დასახლება არ სურდათ და იქაურობას თავს არიდებდნენ, რადგან ყოფილი სასაფლაოს ადგილას იყო გაშენებული. ჰეროდემ ამიგომ ბრძანა, რომ იქ „ცოდვილი და ღატაკი“ გალილეელები²⁴⁷ დაესახლებინათ. სახარების მიხედვით, ქრისტეც ამ ქალაქს არასოდეს სწვევია. ნეტავ, ამ ადგილს თავად გაერიდა თუ შემთხვევის გამოა, რომ გიბერიაში მაცხოვრის ყოფნის თაობაზე სახარებაში არაფერია ნათქვამი? ებრაელები ახლა, ძირითადად, ქალაქის გემო ნაწილში, ბორცვზე ცხოვრობენ. ძველი ქალაქი გენესარეთის გბის ნაპირებთან იმ ებრაელთა შთამომავლებით არის დასახლებული, რომელნიც იქ შუა საუკუნეებშივე დამკვიდრდნენ.

„რუსული სახლი“ სანაპიროსთან ახლოსაა. იგი შუა საუკუნეების დროინდელი ვეებერთელა ნაგებობის ნანგრევებზეა აშენებული. როგორც პროფესორი როსტოვეცივი ფიქრობს, შესაძლოა, აქ ძველად ნავსადგური ყოფილიყო.²⁴⁸ ბერძნული საპაგრიარქოს კუთვნილი ბერძნული შენობა რუსული სახლის პირდაპირ, ქუჩის მეორე მხარეს დგას. ეს ჯვაროსნების დროს აშენებული ვეებერთელა ნაგებობაა.

გიბერიას ძველი სახე არ დაუკარგავს. იგი ისეთივეა, როგორიც ჯვაროსნების დროს იყო. ჰეროდეს აშენებული ქალაქი აქედან რამდენიმე კილომეტრზე, სამხრეთით მდებარეობს. იქ გოგირდის წყაროები და „ჰამამი“ ანუ აბანოებია. უზარმაზარი შენობა, შუა საუკუნეების ციხესიმაგრეს რომ მოგაგონებთ, აბანოების გვერდით არის აღმართული. ეს რაბინთა სკოლაა. აქ ღიდი რაბინები არიან და კრძალუნი.

244 მათე 5: 14.

245 მათე 5: 14.

246 მაიმონიდესი (მოსე ბენ მაიმონი), იგივე რამბამი (1135-1204), თალმუდის უდიდესი ებრაელი მკვლევარი, ფილოსოფოსი და ექიმი.

247 ჰეროდე ანტიპამ გიბერია 17-22 წლებში ააშენა.

248 (*) მ. როსტოვეცივი, *Русская археология в Палестине*, „Христианский Восток“, გვ. 260-261.

საშინლად ცხელა. სხვა რომ არაფერი იყოს, მღვის დონეზე დაბლა ვართ. არაბები მთელი დღე გენესარეთის გბაში წვანან. ჩემი ოთახის აივნიდან მათ მუქ ყავისფერ სხეულებს ვხედავ. ისიც ჩანს, ბიჭები სანაპიროზე როგორ მიდი-მოდიან და გაფაციცებულნი უთვალთვალებენ, რომელიმე ებრაელი წყალში ჩასვლას ხომ არ დააპირებს. ამოდ ირჯებიან! ებრაელები მთელი დღე სახლებში არიან გამოკეტილნი და გარეთ მხოლოდ მაშინ გამოდიან, თუ სანაპიროზე პოლიციელს დაინახავენ. ებრაული სინაგოგა მეჩეთიდან არცთუ ისე შორსაა. პოლიცია ებრაელებს თავს მოუყრის ხოლმე და სინაგოგამდე მიაცილებს, შემდეგ კი უკან მოჰყავს. მათ თავი, ალბათ, ჯოჯოხეთში ჰკონიათ, რადგან გახურებულ კედლებში არიან მთელი დღე გამოკეტილები. ამ ძველი უბნის ბინადარნი თავის სამყოფელს გოვებენ და საცხოვრებლად თანდათან გადადიან ახალ ებრაულ უბანში, რომელიც ბორცვზე გაშენდა. გადაბარგებასაც პოლიცია მეთვალყურეობს. აქ მხოლოდ მოხუცი მამაკაცები რჩებიან, რათა თავიანთ ძველ სახლებში დალიონ სული. ალბათ, მათ არაფერ არაფერს უშავებს. თუშცადა, ვინ იცის? მთელი დამე სროლაა, ხოლო ბომბები დღისითაც კი ფეთქდება. ამ ბომბების წარმომავლობა არაფერ იცის. მე კი არაბები ძალიან თავაზიანად მეპყრობიან, „პადრეს“ მეძახიან და ქუჩაში გზას პაგივისცემით მითმობენ. ერთი ჩემს დასაცავადაც კი გამოეშურა, როცა რამდენიმე ბიჭი ამედევნა და საჩუქარს მთხოვდა. ამის თაობაზე აფორიზმიც კი თქვა: „მღვდელი საჩუქარს კი არა, ლოცვა-კურთხევას იძლევა“.

მინდოდა, რომ აბანოში ყოველდღიურად მევლო, რადგან აქაური წყაროები ართრიგის, რევმატიზმისა და მსგავს სნეულებათა სამკურნალოდ კარგი ყოფილა, მაგრამ „ჰამამი“ (აბანოები) აქედან რამდენიმე კილომეტრზეა. მღვასა და კლდეებს შორის მიმავალი გზა მშვენიერია, მაგრამ ამავე დროს სახიფათოც. პირველ დღეს ერთმა მწყემსმა დამინახა, კლდიდან ჩამოცოცდა და პირსახოცი ხელიდან გამოშვლიჯა. მეორე დღეს ერთი ქალი ჯოხით დამედევნა. ირგვლივ კი არაფერ ჩანდა. საბედნიეროდ, ქალაქისკენ მანქანით მიმავალმა მგზავრებმა ჩამოიარეს და თან გამიყოლეს. თავგადასავლების მაძიებელი არა ვარ და ამიგომ შინ ჯდომა ვარჩიე.

აღმოსავლეთის მცხოვრებთ ერთმანეთთან დასაფარ-დასამალავი არაფერი აქვთ. „რუსული სახლის“ არაბი ბინადარნი დიდ, საერთო აივანზე ცხოვრობენ. ერთიმეორის სრულიად უცხო რამდენიმე ოჯახი ამ აივანზე ყოველგვარი უხერხულობის გარეშე ჭამს, სვამს და იძინებს.

ტიბერიაში საქართველოს მეფეთა ერთი შთამომავალი ცხოვრობს და მუშაობს. დიდი ხნის წინ მის დას, ანასტასია ნიკოლაევა გრუმინსკაიას შეეხვდი. მან კათოლიკობა მიიღო და პოპულარულ, ემოციურ ნაშრომებს წერდა, რომელთა მიზანიც კათოლიკურ ეკლესიასთან დაახლოება იყო.

რამდენიმე წლის წინ ემიგრაციაში გარდაიცვალა.²⁴⁹ ამბობენ, რომ მის დას მოსკოვის ახლოს მდებარე მამულში ქართული ხელნაწერების მდიდარი კოლექცია ჰქონდა. მისი მისამართი ჩაწერილი მაქვს და ვაპირებ, როგორც გადავამოწმო, იქ ყველაფერი შენახულია თუ არა, თუკი, რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობა მომეცემა. ახლა ყველაზე მეტად ვარ დაინტერესებული ცნობით ვიღაც საიდუმლოებით მოცულ ქართველ მონაზონზე, რომელიც იერუსალიმში სამი წლის წინ გარდაცვლილა. მისი სახელი არავინ იცის. ამ მონაზვნის ღვთისმოსავ ცხოვრებაზე იერუსალიმშიც მიაბობდნენ, ახლა კი ერთი საინტერესო რამ შევიგეყვე: მონაზონმა გარდაცვალებამდე, თავისი წიგნები დაუტოვა თავადს, რომელიც მას კარგად იცნობდა. ეს წიგნები, წესით, ახლაც იერუსალიმში უნდა ინახებოდეს ერთ პიროვნებასთან. ქართველმა თავადმა მისი მისამართი მომცა და ნება დამრთო, წიგნებიდან ამომერჩია, რაც კი დამჭირდებოდა, და ვარშავაში წამეღო. იქნებ რომელიმე წიგნზე სახელი ეწეროს, რამეს მაინც შევიგეყობი წმინდა მიწაზე მცხოვრებ უკანასკნელ ქართველ მონაზონზე.

16. VIII. კვირა

ტიბერიიდან წამოვედი და საიფას გავლით იერუსალიმისკენ მივემართე-ბი. ნაზარეთში²⁵⁰ შეჩერებას ვაპირებ. ახლად გაშენებულ გყვს მშვენიერი გზა მიუყვება. სახიფათო გზაა და ამიტომ ჯარისკაცების მთელი რაზმი მიგვაცილებს, თან კერძო მანქანებიც მოგვყვებიან. გზა გრანსპორტისთვის ყოველდღე დილის 8 საათზე იხსნება, შაბათის გარდა. გზა გადის ჰაგინთან,²⁵¹ სადაც ჯვაროსნებმა 1187 წელს სალაღინთან²⁵² დამარცხება იწვინეს და

249 ამ პიროვნების იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა. ქართული სამეფო გვარის გენეალოგია არ იცნობს ანა ნიკოლოზის ასულ გრუზინსკაიას. შესაძლოა, აქ აღრევა ანასტასია ნიკოლოზის ასულ რომანოვასთან (1901-1918) და ეს შეცდომაა. ანასტასია რუსეთის მეფის, ნიკოლოზ II-ის უმცროსი ქალიშვილი იყო. ბოლშევიკებმა მთელ ოჯახთან ერთად დახვრიტეს. 2001 წელს მისი კანონიზაცია მოხდა. რომანოვების ოჯახის ამოსოცვის შემდეგ რამდენიმე ქალი თავს ვითომ-და სიკვდილს გადარჩენილ ანასტასიად აცხადებდა. 1920 და 1930-იან წლებში მეფის ასულის სასწაულებრივი გადარჩენის ამბავი ძალიან პოპულარული იყო. ეს თემა მრავალი ფილმის სიუჟეტი გახდა.

250 ნაზარეთი (ებრ. נָצְרֶת; არაბ. نَاصِرَة) ენ-ნასირა, ბერძ. Ναζαρέτ) ქალაქი ისრაელის ჩრდილოეთ რაიონში. მდებარეობს სუთის მთის ფერდობზე ზღვის დონიდან 320 მეტრ სიმაღლეზე, რომელიც ჩრდილოეთიდან ეზდრელონის ველს ემიჯნება. მდებარეობს 25 კმ გალილეის ზღვიდან და 9 კმ თაბორის მთიდან დასავლეთით.

251 ჰაგინის ბრძოლა (აგრეთვე ცნობილია, როგორც ჰაგინის რქების ბრძოლა), გაიმართა 1187 წლის 4 ივლისს, იერუსალიმის სამეფოს ჯვაროსნებსა და სალაღინის არმიებს შორის.

252 სალაღინი (დაახ. 1137-1193), ეგვიპტის სულთანი, დაპყრობილი ომების შედეგად შეიერთა სირია, შუამდინარეთი, იემენი და შექმნა ვრცელი იმპერია. ცნობილია, როგორც აიუბიდების დინასტიის დამაარსებელი. 1187 წლის 4 ივლისს სალაღინის ჯარებმა დაამარცხეს ჯვაროსნები ჰაგინთან; იმავე წელს აიღეს იერუსალიმი და ქრისტიანები განდევნეს წმინ-

წმინდა მიწა დათმეს. ჩვენ კანაც²⁵³ გავიარეთ, სადაც ჩვენმა მაცხოვარმა პირველი სასწაული მოახდინა.²⁵⁴ სოფელში გზა ბაღებს მიუყვება. დაბალი ღობეების იქით მწიფე ბროწეულები მოჩანს. ყავისფრად გარუჯულ ბავშვებს გზაზე ხილი გამოუგანიათ, მაგრამ მანქანას არავინ უჩერებს. ხელმარჯენივ სასწაულის აღსრულების ადგილას აშენებულ, მართლმადიდებლურ მონასტერს ვხედავ.

ნაზარეთში ჩვენი ავგობუსი ბაზილიკასთან საკმაოდ ახლოს, მარიამის წყაროსთან გაჩერდა. ახლა ამ წყაროს გარს აკრავს ყვავილების პაგარა, საუცხოო ბაღი, რომელიც ერთმა ინგლისელმა ქალმა გააშენა და ნაზარეთს უძღვნა. გორაკზე, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, მშვენიერი მართლმადიდებლური ბაზილიკა დგას.

წირვა ახალი დაწყებული იყო, როცა ბაზილიკაში შევედი. ღვთისმსახურება არაბულად მიმდინარეობდა. იქაური არაბული სკოლის გუნდი გალობდა. შესამოსელთა მცველმა უმაღლესმა შემამჩნია და საკურთხეველში მიმიწვია.

ბაზილიკა იმ ადგილას დგას, სადაც ღვთისმშობლის დროინდელი წყარო მოედინება. ხარების ადგილი აქ არის. აპოკრიფული ნაწერების მიხედვით, ანგელოზი მარიამს მაშინ მოეწვინა, როცა იგი დილით ამ წყაროსთან წყლის ასაღებად მივიდა. სხვა ვერსიების თანახმად, ხარება იოსების სახლში მოხდა. იქ ახლა კათოლიკური ბაზილიკა არის აღმართული.²⁵⁵

წირვის შემდეგ ყველანი ხელმარცხნივ მდებარე პაგარა ეგვიპტეში შევიდნენ, რამდენიმე საფეხური ჩაიარეს და წყალი აიღეს. წყაროსთან ჩასასვლელი ხალხისთვის გარედანაც, ბაზრის მხრიდანაც ღიაა.

აქ, ძალიან ძველი და საკმაოდ ოსტატურად შესრულებული ნახაგები-სა და ფრესკების გვერდით, კედლებზე პრიალა ქალაღლებზე დახატული, იაფფასიანი სურათებიც უკიდიათ, ბაზრობებზე რომ იყიდება. სიამოვნებით ვათვალიერებ. თითქმის ყველაზე ხარებაა გამოსახული. რა კარგი იქნებოდა, ხარების თემაზე შესრულებული ყველა ნახაგის ასლი რომ მოეგროვებინათ და ამ კედლების მოსართავად გამოეყენებინათ. ეს ადგილი საამისოდ ყველაზე შესაფერისია. მხატვრობისთვის ხარებაზე უფრო რთული თემა არ არსებობს. მხატვარმა ოსტატურად უნდა გამოიყენოს ფერები და ჩრდილები მზით გაბრწყინებულ ჰაერსა და ლურჯ ცას შეუხამოს. ეს

და მიწის დიდი ნაწილიდან, რასაც მესამე ჯვაროსნული ლაშქრობა მოჰყვა.

253 ქრისტიანული გრადიციის თანახმად ბიბლიური კანა (ებრ. כנרת; არაბ. كنفك, ბერძ. Κανά) ქალაქი კაფარკანასთან არის გაიგივებული.

254 იოანე 2, 1-2.

255 ლუკა 1, 28; *The protoevangelium of James*, chapter 11, published Ch. Michel, *Evangiles apocryphes*, Paris, 1924, I, გვ. 22-24. [*Apokryfy Nowego Testamentu*, მარეკ სტაროვეისკის რედაქციით, კრაკოვი 20053, I, გვ. 277-278.

თემა ინგლისელ მხაგვრებს უყვართ. ფრა ანჯელიკოც²⁵⁶ მახსენდება და შუა საუკუნეების პოლონელი, კრაკოველი მხაგვრებიც.²⁵⁷

სამწუხაროდ, აქაურობას დახვეწილი გემოვნების კვალი არ ატყვია. საკურთხეველს ფრანცისკელთა ჯვრით შემკული პაგარა გუმბათი ადგას. ვინც ამ ბაზილიკის წარსული არ იცის, იფიქრებს, რომ დასავლელთა აშენებულია. საკურთხეველიდან ოდნავ მოშორებით, ჭერზე, სულიწმიდის სიმბოლოს, ქვისგან გამოკვეთილ მგრელს ვხედავ, თუმცა თავი არა აქვს. ამის გამო ძალიან შევწუხდი და ეს იქაურ არქიმანდრიგს ვუთხარი.

თავაზიანმა არქიმანდრიგმა სტუმრად მიმიწვია და მასთან მთელ დღეს დავრჩი.

17. VIII. ორშაბათი

არქიმანდრიგი მანქანის მოძებნაში დამეხმარა. ხაიფადან იერუსალიმში მიმავალი მაგარებელი რვა საათზე გადიოდა. მძლოლი დამპირდა, რომ მაგარებელს მივუსწრებდით, მაგრამ რამდენიმე წუთით მაინც დავიგვიანეთ და მაგარებელი წასული დაგვხვდა. პირველის ნახევრამდე მოცდა მომიწევდა. ქალაქში გავიარ-გამოვიარე და შემდეგ პაგარა ყავახანაში დავჯექი. იქ ერთ ქართველ ებრაელს შევხვდი, რომელმაც ქართული ჯერ კიდევ კარგად იცოდა.

21.VIII. პარასკევი²⁵⁸

პაგრიარქს, როგორც იქნა, ვეწვიე. იგი მცირე გალილეაში, სამაფხულო რემიდენციაში ცხოვრობდა. მითხრა, ქართული მონასტრის ასაშენებლად იორდანეს ნაპირებთან მიწის მიღება ძალიან გაძნელდება, რადგან ქართველებს იერუსალიმში ერთი მონასტერიც არა აქვთ და საქართველოდანაც მომლოცველები არ ჩამოდიანო. ამიგომ შევეცაღე, ამ საკითხს ახლა სხვაგვარად მივდგომოდი: ვუთხარი, რომ ქართველებს აქ, წმინდა მიწაზე, დიდებული წარსული გვქონდა და ამ ძველი სახელისა და გრადიციების აღსადგენად საბერძნეთის საპაგრიარქოს მხარდაჭერა გვჭირდებოდა.

ამიგომ ხელისუფლებისთვის უნდა მიმემართა, რომელიც საპაგრიარქოს დიდად აფასებდა, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ იგი დიდ გერიგო-

256 ფრა ანჯელიკო (1387-1455), იგალიელი ღომინიკელი ბერი, მხაგვარი .

257 ავტორი გულისხმობს ან კრაკოვის ფრანცისკელთა მონასტრის „ხარების“ ფრესკას, რომელიც დაახ. 1450 წელს არის მოხატული ან ვაველის წმ. მიქაელის ეკლესიის საკურთხეველის „ხარებას“, რომელიც 1517 წელს შეიქმნა; შდრ. *Historia sztuki polskiej*, ტ. დობროვოლსკი, ე. გატარკევიჩის რედაქციით, კრაკოვი, 1962, I, გვ. 353, 413.

258 გექსგს აკლია 18-20. VIII ჩანაწერები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ დღეებში გრიგოლ ფერაძე საპაგრიარქოს ბიბლიოთეკაში მუშაობდა.

რიას კანონიერად ფლობდა. თუმცაღა, დიდ გერიგორიას რა მნიშვნელობა ჰქონდა? ერთი პაგარა სასოფლო-სამეურნეო რეფორმის შედეგად საპაგრიარქო ამ უფლებას დაკარგავდა. მაშინ მათ ვინდა დაეხმარებოდა?

იმ ქალსაც ვეწვიე, ქართველი მეფის ასულის, უკანასკნელი მონაზვნის წიგნები რომ უნდა ჰქონოდა. იგი ხნიერ ქალებთან ერთად რუს მომლოცველთა თავმჯდომარეში ცხოვრობდა. აქ დაახლოებით ასი ქალი იყო დაბინავებული. ერთ უმარმაზარ საერთო ოთახში თითოეულს თავისი საწოლი ედგა. გარდა ამისა, რამდენიმე განცალკევებული ოთახიც იყო, სადაც დიდგვაროვანი ქალები ცხოვრობდნენ.

იქ გუშინ ვიყავი. შიგნით როცა შევედი, ღვთისმშობლის ხატის წინ ღოცულობდნენ, ერთი ქალი ღოცვას კითხულობდა, სხვები კი გალობდნენ. მძიმე ცხოვრება ეწვიათ. რაც ომი დაიწყო, მას შემდეგ აქ ცხოვრობენ. შევბას მხოლოდ ღოცვაში პოულობენ...

ქალბატონისგან შევიტყვე, რომ წიგნები სასულიერო წარმომადგენლობის ბიბლიოთეკაში წაუღიათ. ბიბლიოთეკართან თავად წამომყვა. სამწუხაროდ, წიგნები ვერ ვიპოვე, თუმცა, რამდენიმე საათს ვეძებდი. იმ ქალისგან ასევე შევიტყვე, რომ ქართველი მონაზვნის მოძღვარი მამა სერაფიმი იყო. იგი უნდა მოვინახულო. იქნებ ხვალვე წავიდე.

მამა სერაფიმს ვესტუმრე. სამწუხაროდ, მისი სახელი არც მან იცოდა. მითხრა, მონაზონი როგორი ღვთისმოსავი იყო და რა წმინდად იცხოვრა. ოთხმოცს კარგა ხნის გადაცილებული უნდა ყოფილიყო. ყოველ საღამოს უფლის საფლავზე ღოცვაში აგარებდა. მამა სერაფიმმა იმ ქალაგების ასლი მომცა, რომელიც მონაზვნის დაკრძალვაზე წარმოთქვა.

22.VIII. შაბათი

დღეს ძალიან გამიმართლა. იერიქონში²⁵⁹ წასვლის საშუალება მომეცა, რაც იერუსალიმში პოლონეთის გენერალური კონსულის, ბატონ მდისლავ კურნიკოვსკის დამსახურებაა. ეს ადვილი მოსაგვარებელი არ იყო.

იერუსალიმიდან იერიქონში მიმავალი გზა ძალიან სახიფათოა. იერუსალიმის კედლებს გასცდებით თუ არა, საფრთხე იქიდანვე იწყება, რადგან სამანქანო გზა სოფელ სილოამზე (რომელსაც ძალიან ცუდი სახელი აქვს) და ბეთანიაზე გადის. გარდა ამისა, ყოველი მხრიდან უდაბნო და პიგალო კლდეები აკრავს. გზაზე მწყემსი ბედუინები თუ შემოგზვდებიან, ისინი ქურდობას არ ერიდებიან, თუკი ამის საშუალება მიეცემათ. ჩვენ არავინ შეგვხვედრია, ბუსტად შუა გზაზე კი „კეთილი სამარიტელის“ სასტუმროს ნანგრევები დავინახეთ.

259 იერიქონი (არაბ. أريحا, ებრ. יריחו, ბერძ. Ἰεριχά), ქალაქი იუდეიში, პალესტინის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე იორდანეს მახლობლად.

იერუსალიმიდან ავგობუსი დღეში მხოლოდ ერთხელ გადის, თანაც აუცილებლად გაძლიერებული ესკორტის თანხლებით. თუ ადრე ბილეთი ხუთი პიასტრი ღირდა (ცხრა პიასტრი უკან დასაბრუნებელ ბილეთთან ერთად), ახლა, მას შემდეგ, რაც კონფლიქტი გაჩაღდა, მარტო იქით მიმავალი გზა ღირს მთელი პალესტინური ვირვანქა სტერლინგი და აუცილებლად რამდენიმე დღით ადრე უნდა დაჯავშნო. არაბები ძალიან ხშირად ან თოფს ისვრიან, ან მაღალი კლდეებიდან გზისკენ ქვებს აგორებენ. უბედური შემთხვევები თითქმის ყოველი მგზავრობისას ხდება. ამიგომაა, რომ მას შემდეგ, რაც კონფლიქტი დაიწყო, იერიქონში არც ერთი ტურისტის აღარ ჩამოდის. თუმცაღა, გამოსავალი ყველა ვითარებიდან არსებობს. ხანდახან ავგობუსში არაბი მაღალჩინოსნებიც სხდებიან. ამ დროს აგენტები შეამბობხეებს მთებში ამის თაობაზე აგყობინებენ და მგზავრობაც უსაფრთხოდ ხდება.

შაბათს იერიქონის მერი თავის ქალაქში ბრუნდებოდა. გენერალურმა კონსულმა კურნიკოვსკიმ ეს შეიგყო და ერთ გავლენიან მართლმადიდებელ არაბს სთხოვა, რომ „კაიმაკანთან“ (მერთან) წარვედგინე. მანქანის გვერდით ვიცდიდით. ბევრი მგზავრი მოგროვდა, ჩვენთან ერთად სურდათ წამოსვლა. ერთმა არაბმა პოლიციელმა მირჩია (იქნებ იმიგომ, მანქანიდან რომ მოვეცილებინე), რომ დახმარება მეთხოვა კათოლიკეებისთვის, ანუ „თოკიანი ბერებისათვის“, როგორც თვითონ უწოდებდა მათ. იგი ფრანცისკელებს გულსხმობდა. მართლმადიდებელი არაბი ჩვენს საუბარში ჩაერია. „ეს შეუძლებელია, – უთხრა მან პოლიციელს, – რადგან მამა (ანუ მე) მართლმადიდებელია, ხოლო კათოლიკეებს და მართლმადიდებლებს ერთმანეთი ძალიან სძულთ“. არაბმა პოლიციელმა გაიცინა და თავი გააქნია. ვერ გაეგო, როგორ შეიძლებოდა, რომ მღვდლებს, რომელთაც ქრისტე სწამდათ, ერთმანეთი სძულებოდათ. რა თქმა უნდა, ეს უდაბნოდან მოსული არაბი იერუსალიმში მცირე ხანს იყო ნამყოფი, მაგრამ მწამს, რომ ამ უბრალო კაცის პირით უმაღლესი სიბრძნე ღაღადებდა.

„მიდიოდა ერთი კაცი იერუსალიმიდან იერიქონში და ჩაუვარდა ხელში ყაჩაღებს“;²⁶⁰ – ეს თქვა ქრისტემ ორი ათასი წლის წინ. მისი ნათქვამი ამჟამინდელ ვითარებასაც მიესადაგება. თვით გზაც შიშის მომგვრელია: ორივე მხარეს კლდეები, არანაირი სიღამაზე, არანაირი მომხიბვლელია.

ქვევით ვეშვებოდით. სული ისე მესუთებოდა, თითქოს ძალიან მაღალი შენობიდან ლიფტით ჩავდიოდით.

არაბი პოლიციელი ჩემ გვერდით იჯდა და მეუბნებოდა: ებრაელები თუ კარგი ხალხია, მაშ ევროპაში მათი თავიდან მოშორება რად უნდათ? მათ მოშორებას კი ყველგან ცდილობენ, რადგან თითქმის ყველანი კომუ-

260 ლუკა 10, 30.

ნისგები არიან. „ჩვენ გულზე რაგომლა უნდა გვეხატებოდნენ? ბოლოს და ბოლოს, ეს ჩვენი ქვეყანაა!“ - დაასკვნა მან. იერიქონში წარმომადგენლობას საკმაოდ დიდი მართლმადიდებლური მონასტერი ჰქონდა. თუმცა, იქ დარჩენა შეუძლებელი გახლდათ. ამიტომ ერთ სასტუმროში დავბინავდი, რომლის მეპატრონეც რუსულის კარგად მცოდნე მართლმადიდებელი არაბი იყო. ძალიან გულთბილად მიმიღო და საუკეთესო ოთახი დამითმო.

იერიქონი ოაზისია, იორდანისის უდაბნოს შუაგულში, პალმის ხეთა შორის გაშენებული ქალაქი, ყურძნისა და ბანანების მხარე. აქაურებს ძირითადი შემოსავალი ბანანის პლანტაციებიდან აქვთ. ძველი იერიქონი, სადაც ცნობილი მუზეუმებია, დასავლეთით რამდენიმე კილომეტრის იქითაა. მცირე შესვენების შემდეგ, ერთმა ბერმა დიდი თავაზიანობა გამოიჩინა და ქალაქის დასათვალიერებლად გამომყვავა.

იერიქონის კედლებთან გათხრები ბერლინელმა პროფესორმა სელინმა²⁶¹ ჩაატარა. იგი თავის ლექციაზე, ბერლინში, დიდი აღფრთოვანებით მოგვითხრობდა საკუთარი მუშაობის შედეგებზე. ახლა ყველაფერი თვალწინ მქონდა. ყოველთვის მეგონა, რომ კედლები უზარმაზარი ქვებისგან იქნებოდა აგებული, აგურით აშენებული კი აღმოჩნდა. აგური ისეთი ძველი იყო, რომ ხელში მეფშენებოდა.

წმ. წინასწარმეცხველის, ელისეს წყარო ამ კედლებიდან არცთუ ისე შორსაა. აქ წყალი არ ვარგოდა და მისი ლოცვით სასმელი გახდა.²⁶² მაღალი, ვეებერთელა კლდეები, სადაც მღვიმეებია, დასავლეთით, დაახლოებით, ორი კილომეტრის იქით მდებარეობს. მღვიმეების ზემოთ აღმართულია ბერძნული მონასტერი „სარანდარიონი“, რაც „ორმოცს“ ნიშნავს. გადმოცემის მიხედვით, იორდანეში ნათლისღების შემდეგ ქრისტემ აქ ორმოცი დღე გაატარა. აქ აცდუნებდა მას საგანა და იგი მხეცებით იყო გარშემორტყმული.²⁶³

ახლა აქ დაახლოებით თხუთმეტი ბერძენი ბერი ცხოვრობს. დიდი და კარგი ხეხილის ბაღი აქვთ. მონასტერი ომამდე განაახლეს. წინამძღვარი აბრაამიოსი, რომელიც სამუშაოებს ხელმძღვანელობდა, ახლაც ცოცხალია. იგი გემასპინძლობს და ამ შენობის ისტორიას გვიამბობს. მშვენიერი ეკლესია და ბერთა სენაკებიც კლდეშია გამოკვეთილი. კლდეში გამოკვეთილ მღვიმეებსა და ღერეფნებში დავდივართ. აქედან იერიქონის თვალწარ-

261 ერნსტ ფრანკ მაქს სელინი (1867-1946), ძველი აღთქმის განმარტებათა ექსპერტი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი და არქეოლოგი.

262 2 მეფეთა 2, 14.

263 მარკომი 1, 18. სარანდარიონი, იერიქონთან მდებარე მონასტერი, აგებული კლდოვან მასივში, მღვიმეებით. გრადიციის თანახმად, იესო ქრისტემ ნათლობის შემდეგ 40 დღე იმარხულა და ეშმაკისგან გამოიკადა. ამ ადგილას გაძარი პირველად 430 წელს აიგო; ახლანდელი-მართლმადიდებელი პატრიარქის მიერ, 1895 წელს. შტრ. I. Fokulidos, Το Σαραντάριον, „Νέα Σιών“, „ნეა სიონი“, 23(1928), გვ. 227-273, 321-337, 437-444, 473-481, 530-545, 594-610, 650-661.

მგაცი შემოგარენი მოჩანს. იორდანესა და მკვდარ მღვასაც ვხედავთ და მოაბის მთებსაც.²⁶⁴

ქანანელთა დროს აქ მთელი ქალაქი იყო კლდეში გამოკვეთილი. სამწუხაროდ, ბერებს ანტიკური ისტორია სრულებით არ აინტერესებთ და ერთი დიდი ქვის გარდა, რომელზეც ქრისტე იჯდა, საყურადღებო აღარაფერია შემორჩენილი. აქ მრავალი ეთიოპიელი მომლოცველი მოდის და ზოგი მათგანი ორმოც დღეს რჩება. ახლაც ქვის გვერდით ერთი ეთიოპიელი ღვას და ლოცულობს. ბერებმა მითხრეს, იგალია-ეთიოპიის ომის აქტიური მონაწილე მაღალჩინოსანი ოფიცერიანო.

ღამის ათ საათზე ჩემი ოთახისკენ გავემართე. გზას ზეითუნის ზეთის ლამპრით ვინათებდი. შესასვლელთან შევჩერდი, რადგან ოთახიდან საშინელი სიბინძურის სუნი გამოდიოდა. თეთრეულიც ჭუჭყიანი იყო. მსახურს მოვუხმე და მოვითხოვე, რომ ოთახი სასწრაფოდ დაელაგებინათ. ჩემმა ტონმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა არაბებზე, რომელნიც ჯერ კიდევ ბაღში ისხდნენ. როცა მსახურმა ოთახი დაასუფთავა და ძილი ნებისა მისურვა, სერიოზულად მკითხა, პატრიარქი ხომ არა ხართო?

23.VIII. კვირა

ოთხ საათზე უნდა ავმდგარიყავი და რუსულ მონასტერში წავსულიყავი. ერთ იქაურ ბერთან ერთად იორდანესა და იორდანის უდაბნოში მდებარე რამდენიმე მონასტრის მონახულებას ვაპირებდი. საწოლში ვიწექი და თვალს ვერ ვხუჭავდი. სასტუმროს ბაღიდან არაბების საუბარი და სიცილი მოისმოდა. საათი ავიღე და რას ვხედავ: ღამის თორმეტი გაჩერებულია. ასეთ მნიშვნელოვან დროს მიმგყუნა! რა დრო იქნებოდა? სიჩუმეს მივაყურადე და რამდენიმე წუთის შემდეგ, საუკუნეებად რომ მეჩვენა, ხმა გავიგონე. სულაც არ მეხალისებოდა, რომ ავმდგარიყავი და არაბული სასტუმროს ღერეფანში სრულიად უცხო ადამიანისთვის ასე გვიან დრო მეკითხა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. სამის ნახევარი იყო.

ზუსტად ერთი საათის შემდეგ ავდექი და რუსული მონასტრისკენ გავემშურე. რამდენიმე ქუჩა და პატარა მოსახვევი უნდა გამეგლო. ქუჩის პირას მდგარი დიდი შენობა ქანდარმერიის მთავარი სამყოფელი გახლდათ. ცოცხალი იქით კი, პატარა ბაღის უკან მდებარე შენობაში, ის ბერი ცხოვრობდა.

პოლიციელმა გამაჩერა. როცა ნახა, რომ მღვდლის სამოსელი მეცვა, გამიშვა. ქუჩაში არაბები იწვნენ და ამ მძინარე არაბებზე უნდა გადაამებიჯებინა, რომ გზა განმეგრძო.

264 მოაბი, ისტორიული ქვეყანა დასავლეთ იორდანიაში, მდინარე იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირსა და მკვდარი მღვის სანაპიროზე. ანტიკურ ხანაში დასახლებული მოაბელების მიერ, დავით მეფის სარდლობით ისრაელის ჯარების მიერ დაპყრობილი. მოაბის ჩრდილოეთით ამონიგები ცხოვრობდნენ.

ქანდარმერიის კართან გამაჩერეს. ორი ქანდარმი მომიახლოვდა. ერთი რალაცას მეუბნებოდა, მეორემ კი შაშხანა მომიშვირა. ბოლოს, ერთი თავის უფროსთან წავიდა, ხოლო მეორეს დაავალა, ბერის სახლამდე მივეცილებინე, რომ შეემოწმებინა, მართალი ვუთხარი, თუ არა.

ბერი ისევ საწოლში იწვა, რადგან ავად იყო. ძლივს ლაპარაკობდა. თუმცა მითხრა, რომ ერთ არაბ მუშას გამომაყოლებდა.

მზე ამოიწვერა, როცა უდაბნოს გზას დავაღექით. არაბი ძალიან დაღლილი იყო, რადგან მთელი ღამე ემუშავა. ახლა კი ვირბე იჯდა და ისე მოდიოდა. მე მისი საფასურიც უნდა გადამეხადა და ვირისაც, რაც საკმაოდ ბევრი გახლდათ. ამიგომ ჩემთვის სახედარი ველარ ვიქირავე. ასე რომ ის ვირბე იჯდა, მე კი ფეხით მივყვებოდი.

რუსული მონასტერი ძველი ქრისტიანული გაძრის ადგილას იდგა. მცირე სამლოცველოში ბერძნული მოზაიკური წარწერაა, რომელიც 566 წლით თარიღდება. ეს წარწერა გამოსცეს მამა აბელმაც და პროფესორმა როსტოვეცემაც. ყოველი შემთხვევისთვის ასლი მაინც გადავიღე.²⁶⁵

წმ. მდინარე იორდანესთან აგებულ მონასტერთაგან ყველაზე ძველი წმ. იოანე ნათლისმცემლის ბერძნული მონასტერია. ომამდე ცოცხალი ადრე მონასტერი მიწისძვრამ დააზიანა. მისი შედა ნაწილი ისე ჩამოინგრა, რომ მხოლოდ სამლოცველო და დარჩა. ეს ის ადგილია, სადაც ცაგარელმა ორი ქართული წარწერა ნახა. მან ამ წარწერების ასლები გამოაქვეყნა.²⁶⁶ ამჟამად მხოლოდ ერთი წარწერაა დარჩენილი. არქიმანდრიტი მას ძალიან გულმოდგინედ უვლიდა. ამისათვის დიდი მადლობა გადავუხადე. მან მდინარესთან ჩამიყვანა და იქ ვიცურავეთ. მდინარე საშინლად იყო დაბინძურებული. მონაცრისფრო მასა ძალზე სწრაფად მოედინებოდა. განიერი არა, მაგრამ ღრმა და სახიფათო ნამღვილად იყო.

ამ მდინარესთან თითქმის ყველა ქრისტიანული აღმსარებლობის მონასტრის ნახვა შეიძლება. პირველი ბერძნული მონასტერია, შემდეგ ლათინური, რუსული (შემოუღობავე), ეთიოპიური და რუმინული. მდინარიდან ცოცხალი მოშორებით, იმავე ნაპირზე, ხელოვნურად გაშენებული ხეივანის უკან, სირიული, სომხური და ბულგარული მონასტრებია. ყველა მონასტერი მდინარეს გადაჰყურებს. იქვე იყო აუზები მომლოცველებისთვის. მონასტრებში ბევრი ბერი არ იყო. იქაურობა ჩამკვდარი ჩანდა. ახალი მშენებლობები მხოლოდ სირიელთა და სომეხთა მონასტრებშია. გავიფიქრე, რომ ღრთია განმავლობაში ეს ადგილი შეიძლება სამონასტრო ცხოვრების საერთაშორისო ცენტრადაც გადაქცეულიყო. სამწუხაროდ, ისინი ერთმანეთისგან ძალიან ცოცხალ სწავლობენ და სარგებელიც ნაკლები აქვთ. ფანაგიში და

265 *) მ. როსტოვეცი, *Русская археология в Палестине*, „Христианский Восток“, გვ. 264.

266 *) ა. ცაგარელი, *Памятники грузинской старины въ Святой земле и на Синае*, გვ. 264, XXXV.

გონებაშემღვლელობა თვალშისაცემი არსად ისე არ არის, როგორც აქ, წმინდა მიწაზე.

ამ მონასტრებიდან მხოლოდ ეთიოპიურს ვეწვიე. ძალიან გულთბილად მიმიღეს და საუცხოო შავი ყავით გამიმასპინძლდნენ.

მე და ჩემი არაბი კვლავ გზას გავუღეჭით. ის ახლაც ვირბე იჯდა, მე კი ფეხით მივდიოდი. აუტანელი სიცხე იყო. ვნანობდი, რომ იერიქონში ქოლგა არ ვინათხოვრე ან ხეირიანი ქუდი მაინც არ წამოვიღე. ბერის თავსაბურავი მზისგან ვერ მიფარავდა და მხოლოდ დიდებულ მომავალზე ოცნება, რომ აქ პაგარა ქართული სამლოცველოსა და მონასტრის აშენებას ოდესმე მაინც შევძლებდით და ამით ჩვენს გასაცოდავებულ კულტურულ ცხოვრებაში დადებით წვლილს შევიტანდით, მაძლევდა ძალას, რომ მოგზაურობა განმეგრძო.

უღაბნო გავიარეთ და წმ. გერასიმეს მონასტერს²⁶⁷ მივუახლოვდით. მონასტერს შორიდანვე ვხედავდი. ჯერ ახლოს მეგონა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ წინ ჯერ კიდევ გრძელი გზა გველო. უღაბნოში ერთ ბერს შევხვდით, რომელიც ამავე მონასტერში მოდიოდა. ვირბე მარჯვედ იჯდა, მარჯვენა ხელში ქოლგა ეჭირა. ალბათ, მარგო სიარული არ უნდოდა და მაშინვე დამიწყო გამოკითხვა, სადაური ვიყავი და სად მივდიოდი.

წმ. გერასიმეს დიდ თაყვანს სცემენ მთელ ეკლესიაში. წმინდა მიწის ერთი ცნობილი მომლოცველი, იოანე ფოკა²⁶⁸ ერთ ქართველს შეხვედრია, რომელიც წმინდად ცხოვრობდა. იგი მას „ბერიელს“ უწოდებდა, რაც ინგლისელებისთვის „ესპანელს“ ნიშნავს. წმ. გერასიმეზე მლაპრული ლეგენდებია: მოთხრობილია, როგორ ცხოვრობდა ლომებთან ერთად, რომელნიც ემორჩილებოდნენ და ემსახურებოდნენ მას.²⁶⁹

ახლანდელი მონასტერი თანამედროვეა, ძველის ნანგრევებზე აშენებული. უღაბნოში შორიდანვე რაბისივით მოჩანს, წმ. გერასიმეს საფლავი სადღაც უღაბნოშია. გადმოცემის თანახმად, საფლავი ლომმა გათხარა. მონასტერში ვისადილეთ. საჭმელი მცირე, მაგრამ ძალიან გემრიელი იყო. არქიმანდრიგმა ქოლგა მომცა და შუადღის ორი საათი იქნებოდა, როცა გზას უკან,

267 წმ. გერასიმეს მონასტერი (ბერძ. *Ἐρὸν Μονὴ τοῦ Ἀγίου Γερασίου Ἰορδανίτου*), დაარსდა დაახ. 455 წელს წმ. გერასიმეს მიერ მდ. იორდანედან 1, 5 კილომეტრის მოშორებით.

268 იოანე ფოკა (XII საუკუნე), კრეგელი ბერი, რომელმაც წმ. მიწა და სირია 1185 წელს მოიარა და თავისი მოგზაურობა აღწერა. *Patrologia Graeca*, ed. J. P. Migne, Paris, 1858, vol. 133, col. 928-963, შტრ. cf. *The Pilgrimage of Joannes Phocas into the Holy Land, from the Leo Allatius editio*, თარგმნა: A. Stewart, Palestine Pilgrim's Text Society, London, 1889, V; რუსული თარგმანი: Иоанн Фока, *Сказание вкратце о городах и странах от Антиохии до Иерусалима, также Сирии, Финикии и о святых местах Палестины конца XIII в.*, изд. И. Троицкий, Православный Палестинский Сборник, 9: 1889.

269 წმ. გერასიმე იორდანელი (გარდ. 475), პალესტინელი მეუღაბნოე, მდ. იორდანეს ნაპირზე მონასტრის დამაარსებელი.

იერიქონისაკენ გავუღექით. შემომთავაზეს, მკვდარ ბღვაზე წავიღეთო, მაგრამ ძალიან დაღლილი ვიყავი.

24.VIII. ორშაბათი

კაიმაკანი იერუსალიმში ბრუნდებოდა. შემომთავაზა, რომ გავყოლოდი. უარი ვუთხარი, რადგან მკვდარ ბღვაზე წასვლას ვაპირებდი. ბღვა დაახლოებით ცხრა კილომეტრის სავალზე იყო და ფეხით წასვლა მინდოდა, მაგრამ გამაფრთხილეს, ეს ძალიან სახიფათოაო. ვერავის დავემგზავრებოდი, რადგან იერიქონში არც ერთი მანქანა არ იყო. სასტუმროს მეპატრონემ მირჩია, დახმარება მეთხოვა ქანდარმერიის უფროსისთვის. კალიუმის ქარხანა მკვდარ ბღვასთან ახლოსყოფილა და იქ ქანდარმებს თურმე ყოველდღე აგზავნიდნენ. იქნებ, მას უფლება მოეცა, ქანდარმერიის გრანსპორტს გავყოლოდი. ქანდარმერიის ოფიცერი პოლონელი ებრაელი აღმოჩნდა და ძალიან თავაზიანად შემხვდა. მასთან თითქმის ერთ საათს დავრჩი. რა თქმა უნდა, პოლონურად ვლაპარაკობდით. გამგზავრების უფლება მომცა და იმავე საღამოს მკვდარ ბღვას ვეწვიე. თუმცა ისიც მითხრეს, იერიქონში დაბრუნებას მხოლოდ ხვალ დღით თუ შეძლებთო. მაშ, ერთი ღამე იქ უნდა გამეთია.

ჩემთან ერთი ებრაელი მოვიდა, რომელსაც მსოფლიოს ამ უკაცრიელ მხარეში სასტუმრო ჰქონდა. თავისი ოთახების ქება დაიწყო. ოთახი თხუთმეტი პიასტრი ღირდა. ამას ერთ-ნახევარი პიასტრი მომსახურების ხარჯები, ანუ ათი პროცენტი ემატებოდა. ევროპაშიც ასეთი წესია.

ჯერ ძალიან აღრე იყო და ღამის გასათევს არ ვეძებდი, ამიგომ ქარხნის პაგარა დასახლებაში გავისეირნე და, თითქოს განგებამ გამომიგზავნა, ის არაბი პოლიციელი შემხვდა, რომელმაც წარმომადგენლობამდე მიმაცვია, როცა იერუსალიმში ჩავედი. „მამაო, სასტუმრო რად გინდათ? – მითხრა მან, – პოლიციის განყოფილებაში ბანანის ფოთლებით გადახურული პაგარა, კოსტა ქოხი გვაქვს. შეგიძლიათ, ღამე იქ გაათითო“.

პაგრიოგ არაბს უხაროდა, არაბულად რომ ველაპარაკებოდი.

– „ჩვენ ძლიერები ვართ, – თქვა მან, – ებრაელებს ამ ბრძოლაში ვაჯობებთ. ჩვენმა ხალხმა იცის, ისინი რაინც არიან. მერე ინგლისელებსაც გავყრით და დიდ არაბეთს შევქმნით!“

მე, რა თქმა უნდა, მის რწმენას პაგივს ვცემ და მისი გულისთქმაც შევიცანი. კაცობრიობის კულტურის აღმავლობას, მის პროგრესს ბრძოლა განაპირობებს, თუმცადა, ბრძოლა სამართლიანი უნდა იყოს და არა მზაკვრული.

არაბმა სასადილოდან ხაჭო და პური მომიგანა. ათ საათზე ყველა წავიდა დანიშნულების ადგილის დასაკავებლად. ჩემთან მხოლოდ ერთი ხანშიშესული არაბი დარჩა. ერთი თვის წინ მეზობლის ლეიბი მოუპარავს და ამის გამო დაუპაგმირებიათ. თავის უფლად მიდი-მოდიოდა, მაგრამ გაქცევას არ აპირებდა, თუნდაც იმიგომ, რომ შინ ასეთი პირობები არ ექნებოდა.

ზღვაზე საცურაოდ გავედი. აქ არც თევზი, არც რაიმე სხვა არსება არ ბინადრობს და წყალი ისეა მარილით გაჯერებული, რომ კაცს შეუძლია, ვედ გაწვეს და დაისვენოს. ცურვის შემდეგ ჩვეულებრივი წყლის გადავლება აუცილებელია. მე კი დამავიწყდა მეკითხა, შხაპი სად იყო და ლოჯინში ჩავწექი, მაგრამ მთელი სხეული ისე მექავებოდა, იძულებული გავხდი, ავმდგარიყავი და პატიმრისთვის მეკითხა, შხაპი სად იყო.

სანამ ვბანაობდი, პოლიციის განყოფილების წინ მანქანა გაჩერდა. იქიდან ჟანდარმი გადმოვიდა და მითხრა, ბრძანება მივიღეთ, რომ იერიქონში დავბრუნდეთ და ხომ არ გამოგვეყვებითო. ქოხი ისე მომეწონა, რომ დილამდე დარჩენა ვამჯობინე.

25. VIII. სამშაბათი

მკვდარი ზღვიდან ამ დილას წამოვედი. ჟანდარმების სხვა ცვლას გამოვეყევი. დამაინტერესა და ერთ მათგანს, ჩემ გვერდით რომ იდგა, ვკითხე, ჟანდარმერიაში, არაბების გარდა სხვებიც თუ მსახურობდნენ. აღმოჩნდა, რომ პალესტინელი ებრაელები, ბერძნები, რუსები და ერთი კავკასიელიც კი ჰყოლიათ. ამან ძალიან დამაინტერესა და იგი შემპირდა, რომ იმ „კავკასიელს“ მაჩვენებდა. ჩეჩენი აღმოჩნდა, კავკასიელ მთიელთა ყველაზე სახიფათო გომის შვილი. „ჩეჩენით“ რუსეთში ბავშვებს აშინებენ. მათ კამბაკებიც კი ვერ ეგუებიან. ამ ჩეჩენს კავკასიაში ვიღაც მოუკლავს და გამოქცეულა, სასჯელი მკვლელობის გამო სტამბოლში მოუხდია და მერე აქ ჩამოსულა. მითხრა, რომ კავკასია ენაგრებოდა. მისი მშობლები იქ, მთებში იყვნენ დაკრძალულნი. აბუ ბენ მირზა ერქვა, თავადი გახლდათ!

დღეს იერიქონიდან წასვლა მინდოდა. სასტუმროს მეპატრონემ „კვლავ კარგი რჩევა მომცა: იერიქონის პოლიციის უფროსი ოფიციალური ვიზიტით იერუსალიმში მიდიოდა და შეიძლებოდა, მეც წავეყვანე.

მისი ძებნა დავიწყე. სახეზე ვცნობდი, რადგან დღედაღამ სასტუმროს ყავახანაში იჯდა. სულანელი იყო, შავკანიანი, მაღალ-მაღალი. წინგამოშვერილი ტუჩები და სანახევროდ გარეთ გამოყრილი გრძელი კბილები ჰქონდა. ერთი შეხედვით სასაცილო მოგეჩვენებოდათ, მაგრამ კარგი კაცი იყო.

იგი პოლიციის ავტოფარეხში ვიპოვე. მანქანის შეკეთებას თვალს ადევნებდა.

– „როგორ ბრძანდებით, ალი ეფენდი?“ – ბრდილობიანად ვკითხე ინგლისურად.

– „ძალიან კარგად. თქვენ?“ – მი პასუხა.

რა თქმა უნდა, ნება დამართო, რომ გავყოლოდი. უეცრად ჩვენ ირგვლივ თავმოყრილი არაბებიდან ერთი გამოვარდა, პოლიციის უფროსს ნერვიულად რაღაცას ანიშნებდა და უნდოდა, ჩემთვის ჩაერგყა. ჩემზე ამბობდა, ებრაელია, ებრაელების აგენტიო. რა თქმა უნდა, მათ დამინახეს, რომ დიდ-

ხანს ველაპარაკებოდი ებრაელ ოფიცერს, რომელიც გარეთ არ გამოსულა და არც ბრძანებები გაუცია, როგორც არაბი იზამდა. კეთილ ალი ეფენდის დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმის დასამტკიცებლად, რომ მე მღვდელი ვიყავი და ოფიცერთან საერთო არაფერი მქონდა.

სულანელი შავკანიანის დამსახურებაა, იმ გაუგებრობას თავი უვნებლად რომ დავაღწიე. ნახევარი საათის შემდეგ გზას გავუღეჯით.

იერიქონიდან სამახსოვროდ დამტკნარი ვარდების თაიგული წამოვიღე. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ყვავილი, საერთოდ, ვარდი არ არის. ერთგვარი ჯიშის ფრინგაა. ამ ძველი და წმინდა ქვეყნისადმი წრფელი სიყვარულის გამოხატვისას გადაჭარბებას არ ვერიდებით ხოლმე.

ამ ბიბლიურ ყვავილს ერთი თვისება აქვს, რასაც სიმბოლურ მნიშვნელობას ვანიჭებ: თუნდაც სულ გამხმარს წყალში თუ ჩაღებ, გაცოცხლდება და კვლავ გაიფურჩქნება...²⁷⁰ გვერდით ერთი არაბი მეჯდა. ცოცხა ხნის წინ გარდაცვლილ მარშალ პილსუდსკიმ²⁷¹ საუბარი ძალიან უნდოდა. „აი, ასეთი კაცი გვჭირდება ახლა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გვყავს!“ – თქვა მან. მე მივუგე, რომ ასეთი კაცი საუკუნეში ერთხელ ან სულაც რამდენიმე საუკუნეში ერთხელ იბადება და ქვეყანას მრავალი თაობის ლოცვით ახდენილი ოცნების გვარად მოეველინება.

წარმომადგენლობის დერეფანში პროფესორს შევხვდი. იმქამად უფლის საფლავის ბაზილიკაში საათობით ლოცულობდა და მთელი ღამე იქ რჩებოდა. მისი საუბრის საყვარელი თემა იყო ქადაგებები, რომლებსაც სამლოცველოში ისმენდა. წუხდა, რადგან აქ ყოფნის ვადა ორ კვირაში ეწურებოდა. როგორც შემეძლო, ისე გავამხნევე. ნასადილევს ორ მონასტერს

270 იერიქონის ვარდი - უწოდებენ აღდგომის ყვავილსაც, ხარობს უღაბნოში, გავრცელებულია პალესტინაში, უმთავრესად იერიქონის მახლობლად. გვალვის დროს ფოთლებში ნაყოფს ფარავს და გამოშრობისგან იცავს. წვიმისას ათიოდე წუთში გაიშლება და თესლი წვიმის წვეთებს მიჰყვება. *Cruciferae*-ს ოჯახს განეკუთვნება. სმელთაშუა ზღვისპირეთის რეგიონის აღმოსავლური ნაწილის მცენარეა. გვალვის დროს დერო იხრება და ნაყოფს ფარავს, ისე რომ მთელი მცენარე ბურთის ემსგავსება, რომელსაც ქარი მოგლეჯს ხოლმე და უღაბნოში მიაქანებს. წვიმიანობისას ან როცა პაერი გენიანია, შტოები გაეშლება, ნაყოფი გაიხსნება და თესლი გადმოცვივს; 2) *Asteriscus (Odontospermum) pygmaeus*, პაგარა ყოველწლიური მცენარე, *Compositae*-ს ოჯახისა.

271 იომეფ პილსუდსკი (1867-1935), პოლონელი სამხედრო, სახელმწიფო მოღვაწე, პოლონეთის პირველი მარშალი, სახელმწიფოს მეთაური 1919-1922 წლებში. ორჯერ იყო პრემიერ-მინისტრი (1926-1928 და 1930).

ვეწვიე: ერთს – სირიულს²⁷² და ერთსაც – კოპტურს²⁷³. საინგერესო აღარაფერი იყო დარჩენილი. მათი კოლექციები აღნუსხული, ხოლო კაგალოგები დაბეჭდილი და გამოცემული გახლდათ. თუმცადა, ერთმა სირიელმა მაღალჩინოსანმა მითხრა, რომ სხვებისთვის უცნობი აპოკრიფული ხელნაწერები ჰქონდა და მათი გაყიდვა უნდოდა. მე ამ ხელნაწერების ყიდვა განვიზრახე.

26. VIII. ოთხშაბათი

ბერძნულ საპაგრიარქოში ვიყავი, ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი. ძველი კალენდრით ხვალ ღვთისმშობლის მიძინების დღეა. გეთსიმანიაში ღვთისმშობლის საფლავთან საგანგებო წირვა-ლოცვა გაიმართება. მონაწილეობის მისაღებად მე ოფიციალურად მიმიწვიეს.

საპაგრიარქო ახლა დიდ გასაჭირშია. მას მერე, რაც კონფლიქტი დაიწყო, ყველა მაღაზია დაიკეტა, ხოლო მისი ერთადერთი შემოსავლის წყარო მაღაზიების გაჭირავება იყო.

მამა ნიკოლასმა დღეს ჩვენთან ერთად ისაძლია. მერე შინ გავაცილე. იგი წმინდა მიწიდან მალე აპირებდა გამგზავრებას და იქ, ინგლისში, პაგარა მართლმადიდებლური მონასტრის დაარსება ჰქონდა განზრახული.²⁷⁴ მანვე მითხრა, რომ ხვალ პოლონეთის გენერალური კონსულის შემწეობით უნიკალური შანსი მომეცემოდა, ინგლისელი მაღალჩინოსნისთვის მეკითხა, შესაძლო იყო თუ არა იორდანესთან ქართული მონასტრის დაარსება. „ღვთისმშობელი, საქართველოს მფარველი, ჯენგლმენს შთააგონებს, რომ თქვენ სასარგებლოდ იმოქმედოს“, – მითხრა მამა ნიკოლასმა.

სუენირებზეც უნდა მეზრუნა. მინდოდა, რომ წმინდა მიწიდან ჩემი მეგობრებისთვის სამახსოვროდ რამე ჩამეგანა. მამა ნიკოლასმა მირჩია, ძალიან ძვირფასს ან დიდი ზომისას ნურაფერს იყიდო. მიუხედავად იმისა, რომ იგი სადღაც, შორეულ აღმოსავლეთში, თავადაც მუშაობდა მეზაქედ იმ გრაველის შემდეგ, რაც რუსეთის იმპერატორის ოჯახს თავს დაატყდა, მეზაქეები მაინც არ უყვარდა.

სახლამდე მივაცილე, შემდეგ კი იერუსალიმის მეორე ბოლოში წავე-

272 სირიის მართლმადიდებელ ეკლესიის საეპისკოპოსო რეზიდენცია 1140 წლიდან იერუსალიმში წმ. მარკომის მონასტერში მდებარეობს, რომელსაც იოანე მარკომის დედის მარიაშის სახლსაც ეძახიან. მონასტერი აშენდა იმ ადგილას, სადაც ანჯელოზის დახმარებით ცნობილი გათავისუფლებული წმ. პეტრე მივიდა (საქმეები 12, 3-17). მონასტრის ბერები კარგად უვლიან იოსებ არიმათიელის საფლავს, რომლის სამლოცველო ქრისტეს საფლავიდან არის მომორებული.

273 კოპტების სამლოცველო ქრისტეს საფლავის უკან მდებარეობს. აქ 1537 წლიდან მუდმივად მსახურობენ ეგვიპტელი ქრისტიანები. კოპტური მონასტერი ადღგომის გაძარბთან ახლოს არის აშენებული.

274 მამა ნიკოლას ჯიბსმა ოქსფორდში, მარსტონ სტრიტზე 1937 წელს ბოლშევიკების მიერ დახოცილი რუსეთის იმპერატორის ოჯახის სახელზე სამლოცველო დააარსა.

დი უმარმაზარი YMCA-ს შენობისკენ, რომელიც იმ ადგილას იდგა, სადაც ოღესღაც ქართული სასაფლაო იყო.

იერუსალიმის YMCA მასონური დაწესებულებაა. ეს დაფარული არ არის და ამის გამო იერუსალიმელ ქრისტიანებში მას ცუდი რეპუტაცია აქვს. თითქოს ჯიბრბე, ორ რუს მონაზონს გადავაწყდი, რომელნიც ამ შენობის წინ ავგობუსს ელოდებოდნენ. ხან ერთი შემომხელავდა, ხან - მეორე. მათ წარმოდგენაც არა აქვთ, რომ შესაძლოა, მეცნიერებს ურთიერთობა (ან უბრალოდ, საერთო ინტერესები) ჰქონდეთ. თუმცაღა, დიდად არ მანადვლებდა, ისინი ჩემზე რა ამრისანი იქნებოდნენ.

YMCA-ს მდივანმა ძალიან თავაზიანად მიმიღო და გამიყვანა ბაღში, სადაც ის საფლავის ქვა იპოვეს, ახლა პალესტინის მუზეუმში რომ ინახება. პაგარა, საუცხოო მუზეუმი მათაც აქვთ.

შინისაკენ მიმავალ გზაზე ბაგონ სიკსეკს შევხვდი, რომელიც, დიდი ხანია, არ მენახა. მან მითხრა, წმ. ჯვრის მონასტრის მიდამოებში ვილის მშენებლობისას ქვა აღმოჩნდა, რომელმაც ქართული წარწერა არისო. შემპირდა, რომ ამ აღმოჩენაზე მერე დაწვრილებით მიაბობდა, ახლა კი რაღაცის თხოვნა სურდა. მისი თხოვნა უცნაურად მეჩვენა. მითხრა, რომ მისი წინაპარი, ვინმე სიმონ მდივანი კაგამონში ქართულ სასაფლაოზე იყო დაკრძალული. მის საფლავს ქართული წარწერა ჰქონდა გარდაცვლილის სახელითა და გვარით. საუკუნეთა შემდეგ ბერძნებმა მხოლოდ მისი სახელის, „სიმონის“, კითხვა შეძლეს. ამის გამო, მიიჩნიეს, რომ აქ ბიბლიური სიმონის საფლავი და მისი საცხოვრებელი ადგილი იყო. ეს ის სიმონია, რომელმაც ქრისტე გულში ჩაიკრა და უთხრა: „აწ განუგეევებ მონას შენსას მეუფეო, თანახმად შენი სიგყვისა, მშვიდობით“.²⁷⁵ დავპირდი, რომ ხვალ იქ მივიდოდი და წარწერას შევამოწმებდი. თუ გვარის ამოკითხვას შევძლებდი, იგი მყისვე ამ გვარზე დაეწერებოდა. თუმცაღა დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერაფერს მივალწევდი.

სხვათაშორის, მდივანების ოჯახური კავშირები ძალიან საინტერესოა. ისინი დაკავშირებული არიან არა მხოლოდ თავადებთან და რუსეთის იმპერატორის ოჯახთან, არამედ კინოვარსკვლავებთანაც.²⁷⁶ ალბათ, ამ

²⁷⁵ ლუკა 2, 25-35.

²⁷⁶ მინიშნებაა ქართველი ემიგრანტების ოჯახზე. ალექსი მდივანი (1905-1935) დაქორწინდა ლუიზა ასტორ ვან ალენზე (1910-1997) 1931 წელს. 1932 წელს გაშორდა და 1933 წელს ცოლად შეირთო ბარბარა ვულვორთ პაგონი (1912-1979), იმ დროის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქალი, რომელსაც 1935 წელს გაშორდა. იგი ავგოავარიაში დაიღუპა. სერგო მდივანი (1903-1936) - 1927 წელს დაქორწინდა მსახიობ პოლა ნეგრიზე (ბარბარა აპოლონია ხალუპეც, 1894-1987). გაშორდა 1931 წელს, რასაც მოჰყვა მოკლევნიანი სასიყვარულო თავგადასავალი ოპერის მომღერალ მერი მაკკორმიკთან (?-?), შემდეგ ცოლად შეირთო თავისი ყოფილი რძალი ლუიზა ასტორ ვან ალენი 1936 წელს, რომელიც უბედური შემთხვევისას ცხენსურთის თამაშის დროს დაიღუპა. დავით მდივანი (1907-1984) დაქორწინდა მეი მურიეზე (1889-1965) 1926 წელს. გაშორ-

მდივნის სახელი, რომელიც მრავალი საუკუნის წინ ცხოვრობდა, სახარების ერთ ყველაზე ღიღებულ სახესთან გააიგივეს...

27. VIII. სუთშაბათი

ღიღის ექვს საათზე საპაგრიარქოში ვიყავი. შესასვლელის გვერდით, ბაღში, ხალხი უკვე იკრიბებოდა. მსვლელობას სამი არქივისკოპოსი მიუძღოდა. მათ ოცზე მეტი არქიმანდრიგი მიჰყვებოდა. მსვლელობის თავში საპაგრიარქოს ღრაგომანიე, დიდი არქიმანდრიგი მიდიოდა. მას არქივისკოპოსები მიჰყვებოდნენ, შემდეგ კი ჩვენ მივდიოდით. არანაირი ჯერები და დროშები, არანაირი გალობა. სისადავე ამ მსვლელობას განსაკუთრებით შთამბეჭდავს ხლიდა. ღვთისმსახურება ათ საათამდე გაგრძელდა. ბაზილიკა ხალხით იყო სავსე. თითოეულ მღვდელს, რომელიც წირვაში მონაწილეობდა, ყვავილების თაიგული მიართევს. ეს იყო არა ზიარების წირვა, არამედ ღვთისმშობლის დაკრძალვის ცერემონია. თითოეულ ჩვენგანს უმშვენიერესი ჰიმნების კრებულიდან რომელიმე მორიგეობით უნდა ეგალობა. მე სამჯერ ვიგალობე. ჩემ გვერდით მღვარი დიაკონის დახმარებით ბერძნულად ვიმღერე.

და 1934 წელს, სასიყვარულო თავგადასავალი ჰქონდა ფრანგ მახიობ არლეტიან (მარი ქული ბათია, 1898-1992) და ბოლოს, 1944 წელს, ცოლად შეირთო ვირჯინია სინკლერი, (1915), Sinclair Oil-ის მფლობელის ქალიშვილი. ნინო მდივანი (1910-1987) ცოლად გაჰყვა ჩარლზ ჰუბერიჰს (1877-1945) 1925 წელს. 1936 წელს გაშორდა, რათა იმავე წელს ცოლად გაჰყოლოდა დენის სგიუარტ პერსი კონან დილის (1909-1955), არგურ კონან დილის (1859-1930), შერლოკ ჰოლმსის ავგორის ვაჟს. რუსუდან მდივანი (რუსუდანა, რუსი) (1912-1938) 1932 წელს ცოლად გაჰყვა ესპანელ მხაგვარს ხოსე მარია სერგს (1874-1945), რომელიც 1920-1932 წლებში იყო მიმი სერგის მესამე ქმარი (მარი სოფია ოლგა შინაიდა გოდესკა, 1872-1950), ოციანი წლების დედოფლისა და სიმბოლო la belle époque. გრიგოლ ფერაძე მდივნების ოჯახს პარიზიდან იცნობდა: „1933 წლის მაგსულმა მცირედი იმედი ჩამისახა. ველოდი, რომ ეს იქნებოდა გადამწყვეტი ეგაპი პარიზის ქართული სამრევლოს ცხოვრებაში და საქართველოს კულტურისთვის გაწეულ ჩემს საქმიანობაში. ქართველ ალექსი მდივანს, რომელიც ევროპასა და ამერიკაში მდიდარ ქალებთან მრავალრიცხოვანი ქორწინებებით სახელგანთქმული ოჯახიდან იყო, ახალი მდიდარი საცოლე ჰყავდა და ჯერის დაწერა უნდოდა. დიდად არ მინდოდა ამ ამბავში ჩარევა, რადგან პირველ ცოლთან ჯერ კანონიერად გაშორებული არ იყო. მაგრამ მაინც დავთანხმდი, რომ ჯვარს დაეწერიდ, ოღონდ იმ პირობით, თუკი იგი რუსეთის ეკლესიასთან მოაგვარებდა საბუთების საკითხს. ივნისი ან ივლისი იყო, როცა მან ქართველი მოწმეების თანდასწრებით რუსული საკათედრო გაძრის საკურთხეველთან პირობა დადო, რომ ქორწილის შემდეგ პარიზში პაგარა ქართულ სამლოცველოს ააშენებდა პრესვიტერი. თუმცა მოგვიანებით, როცა დავაპირე, რომ მისთვის პირობა შეუმსხენებინა, ვეღარსად მივაგენი“ (Św. Grzegorz Peradze, *W służbie kultury gruzińskiej, Dzieła zebrane*, I, გვ. 67-68; წმ. გრიგოლ ფერაძე, ოსმულებათა კრებული, წიგნი პირველი, ქართული კულტურის სამსახურში, გვ. 72). პარიზის წმ. ალექსანდრე ნეველის საკათედრო გაძრის მრევლის ქორწინებების რეგისტრაციის წიგნის მიხედვით (34/1933) ალექსი მდივანის და ბარბარა ვულვორთ ჰაგონის ჯერისწერა 1933 წლის 22 ივნისს გაიმართა და მათ ჯვარი დაწერა მამა იაკობ სმირნოვმა.

ღვთისმსახურების შემდეგ თითოეულ ჩვენგანს ღიდ ლანგარზე დადებულ იყურძენი, ლეღვი და თითო ღიდი ბლითი მიართვეს. მანამღე კარგი რახი (არაყი) დაგვაღევიწეს.

ამის შემღეგ პოლოწეთის გენერალურ კონსულთან გავეღმართე. ხელში ბლითი და ყვაღვიღების თაიგული მეჭირა. ამ წმინღა ღღეღე იღედს ვამყარებღი, რომ მრავალი რამ ამისრულღებოღა და ეს იღედღები არ გამცრუებღია.

უმაღღეს კომისართან (პალესტინის გენერალ-გუბერნაგორთან)²⁷⁷ ერთ-ღმა ყვეღაღმე დაახლოებულღმა მღღიგანღმა მითხრა, რომ მასთან ერთ საათში მღღესულიყავი. მე მას ვეწვიე და იორღანეს სანაპიროღმე ქართული მონასტრისთვის მიწის გამოყოფის თაობაღმე ვისაუბრეთ. თუკი მიწას აქ ყვეღა ქრისტიანს აღღღეღენ, ჩვენი ეროვნული ღღრსებისა და ამ ქვეყანაში ჩვენი წარსუღის გათვალისწინებით, გამონაკღისი არც ჩვენ უნღა ვყოფიღიყავით.

ჩემ მიღმართ ღიღად კეთიღგანწყობიღმა მღღიგანღმა მიმიყვანა სხვა მაღღალჩინოსანთაწაც, რუბი-ბეი აბღულ ვაღისთან, ვინც რელიგიურ საქმეებს განაგებღა. იგი არაბი იყო, ომაღმღე თბიღისში თურქეთის კონსულად მუღმაობღა, იქაურ ვითარებას კარგად იცნობღა და იქ გაგარებულ ღღროს გულაჩუყებული იხსენებღა. „თქვენი ქვეყნის ღამყრობელთა შორის არა-ბები ყვეღაღმე ჰუმანურები იყვნენ. ისინი თბიღისს ორმოცი წელიწადი განაგებღენ“, – მითხრა ამაყად, რაღგან ეს თვით ქართვეღებს უთქვამთ საქართველოში. რა თქმა უნღა, ის ჩვენ ღღსახმარებღად ყვეღაფერს იღღონებღა, მაგრამ მიზნის მისაღწევაღ აუციღებღად უნღა გყყოლოღა ოფიციალური პირი, რომელიც აწ საქართველოღან ჩამოვიღოღა აწ ქართველი ემიგრანტების წარმომადგენელი იქნებოღა. ამ პრობღემის მოგვარება გაძწეღღებოღა: ჩვენს ემიგრანტულ წრეებს ამგვარი კულტურული ამოცანის აღსასრულებღად საკმარისი გამოცდიღება არ ჰქონღათ, ხოლო საქართველოში, იქაური პოლიტიკური ვითარების გამო, ამ მიღმართუღებით რაიღმეს გაკეთება შეუძღებელი ვახღღათ. ასეა თუ ისე, ამის თაობაღმე ვარშაღვიღან წერიღს გამოგვგზავნი, რათა არქივში ქართვეღებთან დაკავშირებული ერთი საბუთი მაინც ღაიღოს.

წასაღღღეღეს კაგამონისკენ მიღმავალ გრძელ გზას გავუღღექი. სამწუსა-როღ, იმ საფღაღვის ქვაბე, რომელიც წმ. სვიმეონს მიეწერება, ვერანაიღრი წარწერა ვერ ვიპოვე. მონასტერთან ახლოს პაგრიარქის მოაღღიღე, მიგროპოღიღი პაღაღღუსი ცხოვრობღა. ის ერთაღღერთი ეპისკოპოსია, არაბულად რომ ქაღაგებს. რაკიღა იქ ვიყავი, ეპისკოპოსსაც ვეწვიე.

277 სერ არგურ გრენფელ ვოუჩოპი (1874-1947), ბრიგანელი სამხედრო, 1931-1938 წლებში პალესტინისა და გრანსიორღანის უმაღღესი კომისარი.

28. VIII. პარასკევი

ღილით, საუმბის დამთავრებისთანავე, ებრაულ უნივერსიტეტში წავედი. რა ხანია, ამ აკადემიური ცენტრის ნახვა მინდოდა, მაგრამ დრო ვერ გამოვინახე. ამას დღეს თუ შევძლებდი, რადგან სვალ პოლონეთის გენერალურ კონსულს თელ-ავივში მივყავდი, მე კი ჩემი ებრაელი მეგობრის, ემანუელ ბენ გურიონისთვის²⁷⁸ სამეცნიერო წიგნებიდან ციგაგები უნდა ამომეწერა კარლოს დიდის დროს გერმანიაში მცხოვრებ ებრაელებზე.²⁷⁹

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი პროფესორი, დოქტორი ვეილი იყო.²⁸⁰ ადრე იგი ბერლინში პრუსიის ეროვნული ბიბლიოთეკის აღმოსავლური განყოფილების დირექტორი გახლდათ. ისე დამხვდა, როგორც ძველ მეგობარს და ყველა საჭირო მასალა მომაწოდა.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტის შენობები დამათვალიერებინა და უნივერსიტეტის განყოფილებათა მიერ თავმოყრილი კოლექციები მაჩვენა, მათ შორის, ბოგანიკური, მოლოლოგიური და წინარეისტორიული. მე და დოქტორი ვეილი ბონის უნივერსიტეტში კოლეგები ვიყავით. შემდეგ იგი ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა, ახლა კი ხაიფაში საშუალო სკოლის მასწავლებელია. პროფესორი, დოქტორი მარტინ პლესნერი²⁸¹ აქ ზაფხულის არდადეგებზე ჩამოდის ხოლმე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სამუშაოდ.

უნივერსიტეტის ბაღი უდაბნოს ესაზღვრება. კედელს იქით ბელუნიები, საძოვარზე გაფენილი თხები და არაბთა ქოხმასები მოჩანს. საყურადღებოა, რომ არაბებს ხეები არ უყვართ. აქედან სოფელი მოჩანს, სადაც ერთი ხეც კი არ დგას.

– „კედელს იქით მიწა ჩვენ გვეკუთვნის, – თქვა ჩემმა მეგობრმა, – იქ ხეების დარგვას ვაპირებთ. მიწის მცირე ნაწილს მაინც წავართმევთ უდაბნოს“.

ჩემი იერიქონის ვარდები მახსენდება. მხოლოდ თავდაუზოგავი შრომითა და ოფლისღვრით შეძლებ, უდაბნო, ეს მჭკნარი ყვავილი, თამისად გადააქციო და სული ჩაუდგა...

ძალიან მაინტერესებს ქართველ ებრაელთა ამბავი. სამწუხაროდ, ჩვენი, ქართული მეცნიერება, ამ საკითხს სრულებით არ იკვლევს, ევროპაში ამ

278 ემანუელ ბენ გურიონი (ემანუელ ბერლიჩევსკი, 1903-1987), ებრაელი მწერალი და მთარგმნელი.

279 კარლოს დიდი (742-814), კაროლუნგთა დინასტიის წარმომადგენელი, ფრანკთა მეფე 768 წლიდან, იმპერატორი 800 წლიდან.

280 ელიაკიმ გოტჰოლდ ვაილი (1882-1960), იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი 1935-1946 წლებში. შემდგომში არაბული და თურქული ფილოლოგიის პროფესორი ამავე უნივერსიტეტში.

281 მარტინ პლესნერი (1900-1973), ებრაელი მკვლევარი, ფილოსოფიისა და ოკულტიზმის სპეციალისტი.

საკითხზე გამოკვლევის დასაწერად საჭირო მასალა არ არსებობს. მე კი მთლიანად ჩაფლული ვარ იმ საკითხებში რომლებიც უფრო მაინტერესებს.

ებრაელებს სურთ, შეიგყონ, რუსულმა წარმომადგენლობამ მეფე ჰირკანუსის²⁸² საფლავის ქვა სად აღმოაჩინა. სამწუხაროდ, ეს მეც არ ვიცი. სასულიერო წარმომადგენლობაში არანაირი არქივი არ დაუტოვებიათ. ყველაფერი ლენინგრადშია წაღებული.

ნასადილევს ბერები მსჯელობდნენ სიონისტების კომიტეტის წერილზე, რომელიც იმის თაობაზეა, თუ რა უნდა გაკეთდეს კონფლიქტის აღმოსაფხვრელად. ბერები ამბობენ, რომ პროტესტანტულმა წარმომადგენლობამ ებრაელებს პასუხად ჯვარი და სახარება გაუგზავნა, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელ ამ გრაგვიას ბოლო მოელება მათი გაქრისტიანებით.

ალბათ, თვით ებრაელებიც ვერ თანხმდებიან. ამ უნივერსიტეტში, ერთადერთ ებრაულ უნივერსიტეტში, ძველი აღთქმის კათედრაც კი არ არსებობს, მაშინ, როცა ამგვარი კათედრები ყველა თეოლოგიურ განყოფილებაშია. ხასიდები მეცნიერებს ახლოს არ იკარებენ, ხოლო პროგრესულად მოაზროვნე ებრაელებს არ სურთ, რომ კათედრა ევრეთ წოდებულ მედავითნეებს დაუთმონ.²⁸³

ებრაელ ფანატიკოსებზე ამბობენ, რომ ისინი წინადაცვეთას უკეთებენ ყველას, ვინც ხელში ჩაუვარდებათ. ბევრ რუს ემიგრანტს ვიცნობ, რომელნიც წინადაცვეთაზე დათანხმდნენ, რათა ებრაელებს მათთვის სამსახური მიეცათ. ასეთნი წარმომადგენლობის სახლებშიც კი ცხოვრობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენს სამღვდლოებას ეს სულაც არ ადარდებს.

ერთმანეთში ვერ თანხმდებიან, ერთი მხრივ ამაღლებული იდეებით გულანთებული ებრაელები, საუკეთესო ოჯახების შვილები, რომელნიც აქ, წმინდა მიწაზე, ენთუზიამით აღსავსენი, მთლად ახალგაზრდები ჩამოვიდნენ, ჭაობების ამოშრობას, ქვების მგვრევას ჯან-ღონე შეაღიეს და ფილგვები დაიავადეს, მეორე მხრივ კი ისინი, ვინც ვაჭრებად დარჩნენ, მხოლოდ მდაბალი მისწრაფებები აქვთ და არანაირი სულიერი ღირებულებები არ გააჩნიათ.

29. VIII. შაბათი

ბუსტად რვა საათზე თელ-ავივში ვიყავი. ჩემი მეგობარი გერმანელი ებრაელი, პოლონეთის საკონსულოს მენობის წინ რომ მელოდა, ჩემი პუნქტუალობით განცვიფრებული დარჩა.

282 იოჰანან ჰირკან I (ძვ.წ. 134-104), იუდეველთა მეფე 135/134 წლიდან, ჰასმონების დინასტიის წარმომადგენელი.

283 რუსული სიტყვა начетчик ეწოდება ერისკაცს, ვისაც ნება აქვს დართული, ეკლესიაში რელიგიური ტექსტები წაიკითხოს.

[...]²⁸⁴

სირია. ჩემი შვებულების ბოლო თვე, სექტემბერი, სირიაში გავატარე²⁸⁵. ეს ქვეყანა პალესტინას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება. სირიაში წასვლა იმანაც გადამაწყვეტინა, რომ არაბულ-ებრაული კონფლიქტის გამო სამუშაო ძალიან მიფერხლებოდა. ამასთანავე, პალესტინაში მოგზაურობა სახიფათო იყო. სირიაში ყველაზე მეტად მაინტერესებდა ადრეული ქრისტიანული ძეგლები სიდონში,²⁸⁶ დამასკოსა²⁸⁷ და ალექოში,²⁸⁸ ასევე ბეროეთში,²⁸⁹ ორონგესთან²⁹⁰ მდებარე ანგიოქიაში, რომელსაც დღეს ასის ეძახიან, და უპირველეს ყოვლისა, ორი სვიმეონის, მესვეტე წმინდანთა მონასტრების ნანგრევები.²⁹¹ ქართველი ბერები სვიმეონ უმცროსის მონასტერში ჯერ კიდევ VI საუკუნეში ცხოვრობდნენ.²⁹² ამ ადგილებით რამდენიმე წლის წინ

284 დღიურები 1936 წლის 30 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა

285 გრიგოლ ფერაპემ იმოგზაურა კოელე-სირიაში (ლათ. *Coelesyria, Syria coele*, ბერძ. Κοίλη Συρία), თავდაპირველად ბექას სეობა განისაზღვრებოდა ლიბანისა და ანგილიბანის მთებს შორის მდებარე გერიგორითი (დღეს სირიისა და ლიბანის საზღვარზე). ამ სახელმა თანდათან მთელი სამხრეთ სირია მოიცვა (ლიბანის მთებსა და ეუფრატს შორის მდებარე გერიგორია), ჰელიოპოლის (დღეს ბააკეჩი), პალმირა, ემესი და დამასკო, მათ შორის იუდეი. მოგვიანებით რომის იმპერიის დროს კოელე-სირიად იწოდებოდა სირიის ჩრდილო ნაწილი, განსხვავებით Syria Phoenice-დან, რომელიც ფენიციას და ყოფილ კოელე-სირიას მოიცავდა.

286 სიდონი (არაბ. صيدا/საიდა, ებრ. יִזְרְזַל, ბილონ, ბერძ. Σιδών), მესამე უდიდესი ქალაქი ლიბანში, რომელიც სამხრეთ პროვინციაში მდებარეობს, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ქალაქ გირიდან 35 კილომეტრით. ხოლო ბეირუთიდან 41 კილომეტრით დაშორებული.

287 დამასკო (არაბ. دمشق ბერძ. Δαμασκός), სირიის დედაქალაქი და უდიდესი ქალაქი, მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. დამასკო მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და მუდმივად დასახლებული ქალაქია (პირველი ცნობები დამასკოს შესახებ ძვ. წ. VIII საუკუნეს განეკუთვნება) და აღმოსავლეთის კულტურულ-რელიგიური ცენტრი.

288 ალექო (არაბ. الحلب - ჰალაბ, თურქ. ჰალეხ), ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ სირიაშია. სტრატეგიულად ხელსაყრელი ადგილი ეკავა, აქ გადიოდა სავაჭრო გზები ხმელთაშუა ზღვასთან, ეგვიპტესთან და შუამდინარეთთან. მეორე ქალაქი (დამასკოს შემდეგ) და მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი მუდმივად დასახლებული ქალაქი ძვ.წ. 1800 წლიდან.

289 ალექო ძვ.წ. 333 წ. ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაპყრობილი სელევკიდების მმართველობაში გადავიდა. ძვ.წ. 280 წ. სელევკე I ნიკატორმა (დაახ. 358-281) ბეროეთ უწოდა (ბერძ. Βέρωια)

290 ანგიოქია (ბერძ. Αντιόχεια; თურქ. ანგაკია), სხვა ანგიოქიებისგან განსხვავებით სირიის ანგიოქიას უწოდებდნენ, ხოლო ანგიკურ პერიოდში ანგიოქია დაფნასთან ახლოს, ქალაქი სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში, მდინარე ორონგესთან, 40 კილომეტრი ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე, სილიკუსის მთის ძირას.

291 წმ. სვიმეონ მესვეტე უფროსის ცხოვრება: *Vies georgiennes de S. Symeon Stylite l' Ancien et de S. Ephrem*, ed. G. Garitte, CSCO, 171, გვ. II+89; CSCO, 172, გვ. X+126

292 „ვეგონებ, პირველი ქართველი ვიყავი, რომელმაც შეძლო შუა საუკუნეების შემდეგ ენახა წმ. სვიმეონ მესვეტე მცირის მონასტრის ნანგრევები. სწორედ ამ მონასტერში დაირწა ქართული კულტურის აკვანი – V თუ VI საუკუნეში საქართველოში წამოვიდნენ მისიონერი ბერები, ხოლო XI-XII საუკუნეების მიჯნაზე აქ ცხოვრობდა ეკლესიის ცნობილი მამა,

მამა იოვანეს მესერიანმა, ბეირუთის იემუიგური უნივერსიტეტის²⁹³ პროფესორმა დამაინგერესა, როცა ერთმანეთს ვენაში შევხვდით. იგი საკვირველ მთაზე ათი წლის მანძილზე გათხრებს აწარმოებდა, მონასტრის ნანგრევებში ქართულ ძეგლებს ეძებდა. ინგერესი ამან გამიღვივა. მინდოდა, გათხრები დამეთვალაიერებინა და მისი აღმოჩენების მნიშვნელობა შემეფასებინა. ის გარემოება, იმ ადგილთა ნახვას რომ შევძლებდი, სადაც მარტვილების გარჯით ჩვენი ეკლესიის ისტორიის პირველი ფურცლები იწერებოდა, იქ წასასვლელად მაგულიანებდა. ჩემი მოგზაურობის მეორე, საინგერესო მიმანი კაჯა პუნარში დოქტორ იოჰანეს ლეფსიუსის²⁹⁴ მიერ დაარსებული ობოლთა თავშესაფრის მონახულება გახლდათ. კაჯა პუნარი²⁹⁵ მონასტრებისაკენ მიმავალ გზაზეა. ცხადია, გულით მინდოდა, ჩვენი ძვირფასი დოქტორ ლეფსიუსის მოღვაწეობის ეს მხარე გამეცნო.

ალეპო. 11. IX. პარასკევი

დღეს ალეპოდან ანტიოქიაში მივდივარ. სომეხი ეპისკოპოსის მდინამა მითხრა, რომ კაჯა პუნარისკენ მიმავალი უმოკლესი გზა ანტიოქიაზე გადიოდა. ჩემდა გასაოცრად, სომხებმა კაჯა პუნარზე არაფერი იციან. დილით გავისეირნე და მაღაზიებში გამოვიკითხე, კაჯა პუნარზე რამე თუ იცოდნენ, თუმცაღა, ვერაფერი შევიგევე. იემუიგ პრეფექტს ვეწვიე. მასთან სტუმრობა უფრო შედეგიანი აღმოჩნდა. იქ გავიგე, რომ მამა მესერიანს, რომელმაც მემოთ მოგახსენებდით, ანტიოქიის ახლოს ვნახავდი. უნდა მეჩქარა, რადგან ბეირუთში დაბრუნებას აპირებდა. პაგარა ქარავანს უნდა გავეყოლოდი, რომელსაც მისთვის საჭმელი და ფოსტა ანტიოქიიდან კვირაში ერთხელ მიჰქონდა.

ფერე მცირე“. [Sw. Grzegorz Peradze, *W służbie kultury gruzińskiej, Dzieła zebrane*, I, გვ. 72; წმ. გრიგოლ შერაბე, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, გამოსაცემად მოამზადა ღაღი თოლბაიამ, ვარშავა, 2012, გვ. 78].

293 წმ. სვიმეონ მესვეტე უმცროსის (521-592) მონასტრის ნანგრევები, რომელიც მდებარეობს ანტიოქიასა და სამანდალს შორის, სოფელ ნაჰირილისთან ახლოს.

294 იოჰანეს ლეფსიუსი (1858-1926), ცნობილი გერმანელი ეგვიპტოლოგის კარლ ლეფსიუსის (1810-1884) შვილი. პასტორი, ევანგელიკური ეკლესიის მისიონერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. 1895 წ. დაარსა Deutsche Orient-Mission, რომელიც სცემდა ჟურნალ „Der Orient“-ს (1919-1936). იოჰანეს ლეფსიუსმა ხელი შეუწყო გრიგოლ შერაბის 1921 წელს გერმანიაში სასწავლებლად ჩამოსვლას.

295 კაია პუნარი, დანიელი მასწავლებლის, მისიონერისა და სომხების დამცველის კარენ ეპეს (1876-1935) მიერ 1921 წელს დაარსებული ცენტრი ჯაბალ აკ-აკრადის მთის ფერდობზე (ახლანდელი ქალაქ ქესაბის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი). კარენ ეპესი 1903 წლიდან იოჰანეს ლეფსიუსთან თანამშრომლობდა, მდრ. *Deutschland, Armenien und die Türkei 1895-1925. Dokumente und Zeitschriftenaus dem Dr. Johannes-Lepsius-Archiv an der Martin-Luther-Universität Halle-Wittenberg*, opr. H. Goltz & A. Meissner, München 2004, III, გვ. 273-275.

ანგიოქია მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. ოდესღაც აქ, ორონგეს²⁹⁶ ნაპირებთან, დიდი კულტურა ყვაოდა. აქ იყო არა მარტო ძლევამოსილი რომის იმპერიის პრეფექტების და კონსულების, არამედ იმპერატორებსა და მაღალი რანგის სასულიერო პირების (მაგალითად, იოანე ოქროპირს)²⁹⁷ რეზიდენციები. ქალაქის ბინადართა ნახევარი სომეხია. ანგიოქია თანამედროვე გზებიდან ძალიან მოშორებულია და ამის გამო ამ ქალაქით მხოლოდ დიდი თავგადასვლების მაძიებელნი ინტერესდებიან. იმ ადგილებში ვერსად ნახავთ პალმირას²⁹⁸ ან ბაალბეკის²⁹⁹ მსგავს გიგანტურ ნანგრევებს, დამასკოს ელევანტურობას ან ბეირუთის ცხოვრების დახვეწილ სიბლს. ვისაც ძველი ისტორიული ადგილები არ აინტერესებს, აქ საყურადღებოს ვერაფერს ნახავს სუფთა და ლამაზი ქუჩების, მშვენიერი ხეების, ძველი ოქროს მონეტებითა და სამკაულებით სავსე საიუველირო სავაჭროებისა და მღვრიე ორონგეს გარდა.

თავდაპირველად კაპუცინებს ვეწვიე. ეს აქ კათოლიკეების ერთადერთი ორდენია. მათი მისამართი ალექოში მომცეს. კაპუცინებს ობოლთა თავშესაფარიც აქვთ სომეხი ბავშვებისთვის. წინამძღვარმა თავაზიანად მიმიღო და დამპირდა, რომ იმ ქარავანს გამაყოლებდა, რომელიც აქედან მამა მესერიანთან მიდიოდა საკვირველ მთაზე. ერთი ობოლი იმ სასტუმროსკენ გამიძღვა, წინამძღვარმა რომ მირჩია. ძალიან გავოცდი, როცა შევიტყვე, რომ ბაგონი ანტრანიგ კავუკლიანი,³⁰⁰ დოქტორ ლეფსიუსის

296 ორონგესი (ბერძ. Ορόντζ, არაბ. ادرنج; ნაჰრ ალ-ასი, თურქ. ასი), მდინარე რომელიც ლიბანში, სირიასა და თურქეთში მიედინება, 540 კილომეტრი სიგრძის. მდ. ორონგესის გასწვრივ ქალაქები, მათ შორის ჰომსი, ჰამა და სირიის ანგიოქია მდებარეობს. მდინარეში ნაოსნობა არ ხდება, ორონგეს უფრო სარწყავად იყენებენ.

297 წმ. იოანე ოქროპირი (349-407) ეკლესიის ერთ-ერთი დიდი წმ. მამა, კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსი 397 წლიდან. 404 წელს განდევნეს ჯერ ანგიოქიაში, შემდეგ კი პონტოში (ბიჭვინთაში).

298 პალმირა, უძველესი ქალაქი სირიის ცენტრალურ ნაწილში, მდებარეობს სირიის უდაბნოს ოაზისის ჩრდილოეთ ნაწილში ჯაბალ აბუ რუჯმანის მასივის ძირას, დაახლოებით 215 კმ დამასკოდან ჩრდილო აღმოსავლეთით. დღეს აქ მდებარეობს ქალაქი თადმური. (არაბ. تدمر, პალმირას ბერძნული სახელი Παλμυρα) არის თარგმანი არამეული სახელი თადმორი, რომელიც არამეულად ნიშნავს პალმას, რომელიც ბიბლიაშიც არის აღნიშნული (2 ნეშგ. 8, 14).

299 ბაალბექი, ბალაბაქ (არაბ. بلبلعق), ძველი ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ ლიბანში მდებარეობს ბეირუთიდან 80 კილომეტრში. მოსახლეობა 81 ათასი კაცი. (სიდიდით მეოთხე ქალაქი). ცნობილი ქალაქი, როგორც ფინიკური ღმერთის ბაალის თავყვანისცემის ადგილი, შემდეგ ქალაქს უწოდეს პელიოპოლი, (ბერძ. Πελιοπολις).

300 ასტრანიგ კავუკლიანი (დაახ. 1900-დაახ. 1941), დოქტორ იოჰანეს ლეფსიუსის თანამშრომლი. მისი მეუღლე იყო რუთ ღემნიცი (1904-1934), გერმანულ ღემნიცის და. II მსოფლიო ომის შემდეგ ცხოვრობდა და გარდაიცვალა რადებულში დრემბენთან ახლოს, შდრ. *Deutschland, Armenien und die Türkei 1895-1925. Dokumente und Zeitschriftenaus dem Dr. Johannes-Lepsius-Archiv an der Martin-Luther-Universität Halle-Wittenberg*, III, გვ. 269, 274-275.

ობოლთა თავშესაფრის ღირეჩქორი, დღეს აქვე მოვიდოდა. ბაგონი კავუკლიანი, რომელიც თვეში ერთხელ ან ორჯერ ჩამოდიოდა ქალაქში, ამავე სასტუმროში აპირებდა დაბინავებას. ძალიან გამიმართლა. გეგმა უმაღლესად შევცვალე და გადავწყვიტე, ბაგონ კავუკლიანს დავლოდებოდი და მასთან ერთად კაჯა პუნარში წავსულიყავი. იქ მონასტრის ნანგრევებს ვნახავდი.

ანგიოქია. 12. IX. შაბათი

ბაგონი კავუკლიანი გუშინ ჩამოვიდა. ერთმანეთი აქ გავიცანით, გერმანიაში მისი გაცნობის შესაძლებლობა არ მომეცემია. ბაგონმა კავუკლიანმა დამარწმუნა, რომ კაჯა პუნარიდან საკვირველ მთაზე წავსულიყავი, რომლის ნახვას ისედაც ვაპირებდი. ბაგონ კავუკლიანს შუადღისას უნდა შევხვედროდი, მანამდე კი მონასტრის ძველი მოზაიკის სანახავად გავწიე. არქეოლოგიურ გათხრებს პენსილვანიის უნივერსიტეტი აგარებს იმ ადგილას, სადაც ანგიოქიის ძველი თეატრი (ან ტაძარი) იდგა. იქ ძალიან მნიშვნელოვანი მოზაიკა აღმოჩნდა. იმ მოზაიკას ქალაქიდან ერთი კილომეტრის დაშორებით, ბანაკში ინახავდნენ. ადგილი, სადაც მოზაიკა იპოვეს, დამთავალიერებლებისთვის დაკეცილი იყო. შევიტყვე, რომ ნაპოვნს სამად გაყოფდნენ: ერთ ნაწილს ამერიკაში წაიღებდნენ, ერთს – ლუერში, ერთი კი აქ დარჩებოდა. იმედი შესასვლელთანვე გამიცრუვა: მოზაიკის ნახვა, თურმე, მხოლოდ ნაშუადღევს შეიძლებოდა. შიგნით შესვლა მაინც მოვახერხე ფრანგი ოფიცრის შემწეობით, რომელსაც ბანაკის ნახვა ასევე სურდა. ამგვარად, ძველ მოზაიკას ბერძნული მითოლოგიითა და ხელოვნებით გატაცებულ ჯენგლმენტან ერთად ვათვალისწინებდი. ერთად ვცდილობდით, მის აზრს ჩავწვდომოდით. აქაურობის დახვეწილ ექსპერტთან საუბრისას შევიტყვე, რომ ფრიდრიხი³⁰¹ იყო აღფრთოვანებული და მისი საფლავის ნახვა უნდოდა. ფრიდრიხს ბარბაროსა ხომ ანგიოქიაში იყო დაბადებული და მის საფლავად მიჩნეული ადგილიც აქვე იყო. ფრანგ ოფიცერს შევთავაზებე, ჩემთან ერთად წამოსულიყო კაგაკომბების სანახავად, მაგრამ მან მითხრა, აღმოსავლეთში ეკლესიებზე და მეჩეთებზე ბევრად უფრო საინტერესო ადგილების დათვალიერება შეიძლება.

იმ დღეს მე და ბაგონი კავუკლიანი კაპუცინელთა წინამძღვარს ვეწვიეთ, შემდეგ ბაზრობა, უმთავრესად კი საოქრომჭედლო მალაზიები დავათვალიერეთ. იქაურობა სრულებით არ მომეწონა.

სასტუმროს საფასური გადავიხადე, რასაც დიდი ჯახირი დასჭირდა. ახლა კაჯა პუნარისკენ ვაპირებდი გამგზავრებას, მაგრამ მძლოლმა, რომელსაც გუშინ შევუთანხმდით, ჩვენი წაყვანა აღარ ისურვა. რა თქმა უნდა,

301 ფრიდრიხ I ბარბაროსა (დაახ. 1125-1190), 1152 წლიდან გერმანიის მეფე, 1155 წლიდან იმპერატორი. ანგიოქიაში მდინარე სალეფზე (ახლანდელი გოქსუ) გადასვლის დროს ვერ დაიმორჩილა და დაიხრჩო.

ფასის მომატება უნდოდა. ბევრი ვიდავიდარაბეთ, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს, მე და ბაგონმა კავუკლიანმა მოვახერხეთ, იქით მიმავალ თურქებს დავემგზავრებოდით.

მანქანაში ოთხნი ვისხედით: მანქანის პაგრონი, მისი მძღოლი, ბაგონი კავუკლიანი და მე. გზაში ორჯერ გავჩერდით: ერთხელ დაფნეს თვალწარმგაც ჩანჩქერთან, რომელმაც ბაგონმა კავუკლიანმა³⁰² მითი მიამბო და კიდევ ერთ ადგილას, სადაც ბუნება ასე მომხიბლავი არ იყო.

მგზავრობა სახიფათო და შემაშფოთებელი აღმოჩნდა. როცა სხვა მანქანამ გაგვასწრო, ბაგონმა კავუკლიანმა ჩვენს მძღოლზე დამცინავად რაღაც თქვა, რამაც მისი აღმოსავლური თავმოყვარეობა შეურაცხყო. ჰოდა, მან მანქანა გააფთრებით გააქროლა. ორი, იღუმალად მომდიმარი, თურქის გვერდით ვისხედით და წარმოდგენა არ გვქონდა, რას ფიქრობდნენ. ბაგონმა კავუკლიანმა მითხრა, ძალიან ცუდ ღღემი ვართო. ამ გიჟური რბოლის დროს კაჯა პუნარში ჩასვლას ოაზისის გამოჩენასავით ველოდი. როგორც იქნა, იქამდე ჩავალწიეთ.

კაჯა პუნარი. 13. IX. კვირა.

უმშვენიერეს პაგარა სახლში ვცხოვრობ, რომლის ყოველ მხარეს არაჩვეულებრივი თვალსაწიერია. ჩემ წინ ჯებელ ბალუმში,³⁰³ იგივე კასიუსის მთა³⁰⁴ არის აღმართული. კვი პროსს გავცქერი და მის მიღმა განფენილი „მარადიული ნათებით“ ვგვკები. როცა ჩვენ უკუნი ღამით ვართ გარემოცულნი, კვი პროსში ღღეა. „მარადიული ნათების“ ფენომენი აღრიანემაც³⁰⁵ ისილა და ივლიანე განდგომილმაც.³⁰⁶ დანარჩენი სამი მხრიდან სახლი მომ-

302 ადგილი ანგიოქიასთან ახლოს (ახლანდელი ანგაკია, თურქეთი), მდიდარი ჩანჩქერებით, წყაროებით, არხებითა და დაფნის ხეებით, სადაც ბერძნული მითის მიხედვით, მშვენიერი ნიმფა დაფნე დედამისმა დაფნის ხედ გადააქცია, რათა მასზე შეყვარებული აპოლონის დევნიგან დაეხსნა. ეს ადგილი მრავალი გაძრითაა სახელგანთქმული. 572 წელს ის მთლიანად დაინგრა და მივიწყებულ სოფლად გადაიქცა. დღეს იქ ანგაკიელების დასასვენებელი ადგილია.

303 კასიოსის მთა (არაბ. جبل الكاسية ჯაბალ ალ-აკრა; ჯაბალ ბალუმ), მღვის ღონიდან 1759 მ. სიმაღლეზე მდებარეობს. წმ. პარლაამა აქ 500 წელს მონასტერი ააშენა. ანგიოქიის რაიონში კალიფორნიის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის პროფესორმა ვასტანგ ჯობაძემ (1917-2007), არქეოლოგიური ვათხრები აწარმოა: იხ. შრომები: *Materials for the Study of Georgian Monasteries in the Western Environs of Antioch on the Orontes*, Louvain, 1976; *Archeological Investigations in the Region West of Antioch On-The-Orontes*, Stuttgart, 1986. პროფესორ თამილა მგალობლიშვილის გადმოცემით ანგიოქიის მახლობლად არსებობდა თექვსმეტი ქართული მონასტერი.

304 მთის სახელი მომდინარეობს მის მწვერვალზე მდებარე ღვთაებრივი ზევსის კასიოსის ტაძრის სახელიდან. მის ადგილას წმ. პარლაამმა მონასტერი ააშენა.

305 აღრიანე (76-138), რომის იმპერატორი 117 წლიდან, ანტონინების დინასტიის წარმომადგენელი.

306 ივლიანე განდგომილი (დაახ. 331-363) – რომის იმპერატორი 361 წლიდან, იმპერატორ

ცრო ბორცვებს, კლდეებს, მინდვრებსა და ტყეებს გადაჰყურებს. თავად ობოლთა თავშესაფარი ჰაგარა სამთავროს ჰგავს, სადაც ბავშვები კიდევაც მუშაობენ და საქმესაც განაგებენ. ყოველ ბავშვს რაღაც ევალება. ერთ-მა ღორებს უნდა მიხედოს, მეორემ – ვენახს, მესამემ – სახელოსნოს. თითოეულ ბავშვს საქმე აქვს მიჩენილი უნარისა და ვითარების გათვალისწინებით.

ბავშვები ამგვარად პასუხისმგებლობას ეჩვევიან და თავდაჯერებულობას იძენენ. იმასაც სწავლობენ, რომ გადაწყვეტილებები თავად უნდა მიიღონ. ეს აღზრდის ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტებია.

აქაურობის მცირე ნაწილი გერმანელთა აღმოსავლურ წარმომადგენლობას ეკუთვნის, უდიდესი ნაწილი კი ქესაბელი სომხებისგან³⁰⁷ აქვთ დაქირავებული. თუმცაღა წარმომადგენლობას ამ ქონების შესყიდვის უფლება აქვს. შენობები ქვეყნის ყველაზე იაფ ადგილას, სომხურ მამულშია.

დღეს კვირაა. მიუხედავად იმისა, რომ აქ გრიგორიანი სომხების საკმაოდ დიდი თემი ცხოვრობს – ას აღამიანზე მეტი – რომელთა შორის ბევრი ბავშვია, მათ მღვდელი არ ჰყავთ. ბატონი კავუკდიანი ქადაგებებს თავად კითხულობს. მთხოვეს, რომ დღეს ბავშვებისთვის მოკლე სიტყვით მიმემართა. გუშინდელი მოგზაურობის შემდეგ ცოგა დაღლილი ვიყავი, თანაც გამიძნელებოდა, იმ ბავშვებისთვის მიმემართა, ვისაც არ ვიცნობდი, მაგრამ დავთანხმდი. დირექტორის სახლში მოკლე ლოცვას ბატონი და ქალბატონი დემნიცები³⁰⁸ ბატონი შნაიდერი³⁰⁹, ალექოღან სტუმრად ჩამოსული ინგლისელი ქალბატონი და ბატონ კავუკდიანის ორი მშვენიერი ქალიშვილი შემოუერთდნენ. ლოცვის შემდეგ, სახარების იგავებით შთაგონებული, გავეშურე საკლასო ოთახისკენ, სადაც ბავშვები მელოდნენ. მათ წინაშე ანაფორით შემოსილი და გუშინდელი სახიფათო მოგზაურობის შთაბეჭდილებით აღვსილი ვიდექი და კეთილი სამარიტელის ამბავს ვუამბობდი. ის გზა გავიხსენე, რომელმაც იესო ორი ათასი წლის წინ ლაპარაკობდა:

კონსტანტინე დიდის (280-337) ძმისშვილი, რომელიც განუდგა ქრისტიანობას.

307 ქესაბი (არაბ. كسابة ქესაბ, სომხ. Էսսապ - ქესაბ), სომხების ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ სირიაში, კასიოს მთის ფერდობზე (ჯაბალ ალ-აკრა).

308 პოლ გერჰარდ დემნიცი კაი პუნარში იოაჰანეს ლეფსიუსი Deutsche Orient-Mission-ის თანამშრომელი; მისი და რუთი (1904-1934) ცოლად ჰყავდა ანტრანიკ კავუკდიანს. დემნიცი არის ავტორი კაია პუნარის შესახებ: იხ. *Deutschland, Armenien und die Türkei 1895-1925. Dokumente und Zeitschriften aus dem Dr. Johannes-Lepsius-Archiv an der Martin-Luther-Universität Halle-Wittenberg*, III, გვ. 117, 269, 274-275.

309 გერჰარდ შნიდერი, პასტორი, კაი პუნარში იოაჰანეს ლეფსიუსი Deutsche Orient-Mission თანამშრომელი, წიგნებისა და სტატიების ავტორი კაია პუნარის შესახებ იხ.: G. Schneider, *Kaja Punar. The story of a farm orphanage for Armenian boys*, London, 1939, შტრ. *Deutschland, Armenien und die Türkei 1895-1925. Dokumente und Zeitschriften aus dem Dr. Johannes-Lepsius-Archiv an der Martin-Luther-Universität Halle-Wittenberg*, III, გვ. 269, 274-275, 450.

„მიდიოდა ერთი კაცი იერუსალიმიდან იერიქონში და ყაჩაღებს ჩაუვარდა ხელში“.³¹⁰ დასკვნით ნაწილში ჩვენი თანამედროვე კეთილი სამარიტელის, ჩვენი ქველმოქმედი დოქტორის – იოჰანეს ლეფსიუსის სახე დაფხავდა.

საღამო ხანს ობოლთა თავშესაფრის ბაღში, უზარმაზარ კლდეებს შორის, ერთ წყაროსთან ახლოს, რომელიც პირდაპირ მიწიდან მოედინებოდა, პაგარა პურობა გვექონდა. ბავშვები სომხურად მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ბოგი ბელუინად იყო გადაცემული; ისეთივე განსაცემელი ეცვათ, როგორც მე დამასკოში სუვენირებად ვიყიდე. დასასრულს, ინგლისელმა ქალბატონმა ბავშვებს თითო პეშვი კარამელი ჩამოურიგა და მშვენიერი კვირა დღე დასრულდა.

კაჯა პუნარი. 14 IX. ორშაბათი

დღეს დილით საოცარ ექსკურსიაზე ვიყავით ჯაბალ კასიუსზე. ბაგონი დემნიცი და ქალბატონი სტილიც წამოგვეყვინენ. ერთი ცხენი წავიყვანეთ და ცოცხა საჭმელი წავიღეთ. იქ წმ. ბარლაამის³¹¹ მონასტრის ნანგრევებია, ამიგომაც ჰქვია ჯაბალ ბალუმი. აღსანიშნავია, რომ ამ წმინდანის ცხოვრების აღწერა მხოლოდ ქართულადაა შემორჩენილი. იგი პროფესორმა ნიკო მარმა გამოსცა³¹². მე ბრიგანეთის მუზეუმში უფრო ძველ ხელნაწერს მივაკვლიე და ამის თაობაზე დაგწერე კიდევ.³¹³ ასე რომ, ამ მხარეს ვიცნობდი. რატომ შემორჩა მხოლოდ ქართული ვერსია? ეს ძალიან საინტერესოა. რა თქმა უნდა, შესაძლოა, ეს იმდაგვარად ავხსნათ, რომ სიტყვა „კასიუსი“ საქართველოში „კავკასიად“ იქცა და ამის შედეგად დაიბადა ქართული ლეგენდა სირიის კავკასიაზე. უცხო ქვეყანაში მშობლიურ ჰაერს ვსუნთქავდი.

სამწუხაროდ, ნანგრევები შემორჩენილი აღარ იყო. თუმცაღა, როგორც შევიტყვე, მამა მესერიანი გათხრების ჩაგარებას აქაც აპირებდა.

მთის წვერიდან მშვენიერი გადასახედა. ჩვენგან სამი საათის სავალზე ჯაბალ ელ აგრას ამაყი მწვერვალია აღმართული. ხოლო უკან მოჩანს ანგიოქიის ძველი სანაპირო, სადაც უწინ სელეუკიის სახელგანთქმული საპორტო ქალაქი ყვაოდა, ახლა კი მისი ნანგრევებიღაა შემორჩენილი.

310 ლუკა 10, 30.

311 შტრ. P. Peeters, *S. Barlaam du Mont Casius*, „Melanges de la Faculte Orientale“ (Universite Saint Joseph, Beyrouth), 3(1909), t. 2, გვ. 805-813.

312 *Житие св. Варлаама Сирокавказского (К вопросу о „Варлааме и Иоасафе“)*, ნიკო მარის მიერ გამოცემული. იხ. ნ. მარი, *Агиографические материалы по грузинским рукописям Иверы*, სანქტ-პეტერბურგი, 1901, II, ივერონის მონასტრის ხელნაწერების საფუძველზე № 55, 229-246.

313 შტრ. G. Peradze, *Georgian Manuscripts in England*, *Georgica*, 1:1935, no. 1, გვ. 80-88; ქართული ხელნაწერები ბრიგანეთის ფონდებში, წმ. გრიგოლ ფერაძე, თბილეთათა კრებული, წიგნი მეორე, გვ. 207-2018.

კაჯა პუნარი. 15. IX. სამშაბათი

გუშინდელი მოგზაურობის შემდეგ ვისვენებ. წერილებს ჩავუჯექი, თანაც ფრანგულ წიგნს ვკითხულობ ალავიგებზე, რომელნიც ამ მადამოებში ბინადრობენ. ისინი ძველი ფინიკიელების შთამომავლებად მიაჩნიათ. IX საუკუნიდან მუჰამედ იბნ ნუსაირის მოძღვრების გაარაბებული მიმდევრები არიან, თუმცა საკუთარი რელიგია მაინც აქვთ. მათი რელიგია საკუთარ წარმოდგენებთან ქრისტიანობისა და ისლამის ნაზავს უნდა წარმოადგენდეს, თავიანთი მღვდლები ჰყავთ და მისგერიის მსგავს ცერემონიებს ატარებენ. ახალი წლის ღამეს ჯაბალ ალ აკრას მწვერვალზე ათევენ და აღმოსავლეთიდან ამომავალი მზის პირველ სხივებს ლოცვებით ეგებებიან. თავიანთ ღღესასწაულებთან უცხოებს არ აკარებენ.³¹⁴

კაჯა პუნარი. 16. IX. ოთხშაბათი.

ღღეს მე და ჩემმა სომეხმა მეგზურმა „საკვირველი მთის“ საძებნელად გავწიეთ. თუმცა ბაგონმა კავუკლიანმა ჩემს მეგზურს გზა დაწვრილებით აღუწერა, ის მაინც ვერ გაერკვა. გზა რამდენჯერმე იკითხა, თუმცა ამაოდ. მგზავრობისას ორ კარგ აღმოსავლურ წესს გავეცანი: მშიერ მოგზაურებს შეუძლიათ, გზის პირას მდგარ ხეებზე ხილი თავისუფლად მოკრიფონ და ჭამონ, ხოლო ყოველ სახლში წყალი მოითხოვონ. ჩემმა მეგზურმა ეს წესი ბევრჯერ გამოიყენა. ბოლოს, როგორც იქნა, ორონგესა და ძველ პიტიასს³¹⁵ მივალწიეთ, რომელიც ღღეს პატარა, ღარიბი ქალაქია. ეს ის ადგილია, სადაც იოანე ოქროპირმა და მისმა მოწაფეებმა მათხული გაატარეს. იქ ერთი სომეხი ვნახეთ, რომელმაც გზა მიგვასწავლა.

სელევიკის³¹⁶ ძველ ქალაქს გავცდით. ახლა ეს ქალაქი სომხურია. შემდეგ ბინძური მდინარე გადავლახეთ, რამდენიმე მინდორი გავიარეთ და პატარა

314 ალავიგები, ნუსაირელები - შიიტთა ერთ-ერთი სექტის მიმდევრები სირიასა და სამხრეთ თურქეთში. სახელწოდება მიიღეს ხალიფა ალის სახელისაგან, რომელსაც თავყანსცემდნენ, როგორც ღმერთს. მეორე სახელწოდება, ნუსაირელები, მომდინარეობს IX ს-ში მცხოვრები იბნ ნუსაირის სახელისაგან, რომელსაც სექტის დაარსებას მიაწერენ. მაჰმადიანთა ჯგუფი, მაჰმადიანი თეოლოგების უმეტესობას ერეგიკოსებად მიაჩნია. ეს ჯგუფი X საუკუნეში მუჰამედ იბნ ნუსაირის მოძღვრების საფუძველზე ჩამოყალიბდა. მისი მოძღვრება ვარსკვლავების და მზის კულტს, ქრისტიანობისა და ისლამის ელემენტებს აერთიანებს. 1920 წელს იმ გერიგორიას, სადაც ისინი სახლობდნენ, ფრანგულმა ადმინისტრაციამ ავტონომია მიანიჭა. 1946 წელს ალავიგების დასახლებული რეგიონი სირიის ნაწილი გახდა.

315 პიტიასი (ბერძ. Πυθιας), საუანე ანგიკურ ხანაში ანგიოქიასთან ახლოს.

316 სელევიკა, სელეუკია, სელეუკა (ბერძ. Σελευκεια) სვადასხვა ქალაქების სახელები სელეუკოსის სახელიდან გამომდინარე, რომელიც დაარსეს სელევიკიდების დინასტიის მმართველებმა მათ მიერ შექმნილი უმარმაზარი სახელმწიფოს გერიგორიაზე. ამ შემთხვევაში იგულისხმება სელევიკიდების სირიაზე მდ. ორონგესთან მდებარე საპორტო ქალაქ ანგიოქიაზე.

არაბულ სოფელში შევედით, რომელიც „საკვირველი მთის“ ძირშია. ახლა ამ მთას „ჯაბალ სემანი“³¹⁷ (ანუ სვიმონის მთა) ჰქვია, რადგან აქ ცხოვრობდა უძველესი ეკლესიის სამ უდიდეს წმინდანთაგან ერთ-ერთი, სვიმონ მესვეტე-უმცროსი (გარდაიცვალა 592 წელს). რადგან მასთან დაკავშირებით ბევრ სასწაულს ყვებიან, ამიტომ მთასაც საკვირველი უწოდეს. მთაზე აღმართული მონასტერი ოსმალთა შემოჭრის შედეგად დაინგრა. მამა მესერიანი უკვე ათი წელია, იქ არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს.

მამა მესერიანმა გულთბილად მიგვიღო. მან მთელი თავისი ნამუშევარი დამათვალიერებინა და რამდენიმე ქართული წარწერაც მაჩვენა. ერთადერთი ქართული მოზაიკური წარწერა, რომელიც VI-VII სს-ით თარიღდება, შესაძლებელია აქ იყოს ნაპოვნი³¹⁸. კარავში მეძინა. ღამით საშინელი თავსება იყო, ისეთი, წმინდანთა „ცხოვრებებში“ რომ არის აღწერილი და რომლის დროსაც მონასტრის აგებები წყლით ივსებოდა.

კაჯა პუნარი. 17. IX. ხუთშაბათი.

სანამ კვლავ გზას გავუდგებოდი, მამა მესერიანმა კიდევ ერთხელ მაჩვენა ნახგრევები და ანტიოქიამდე გაშლილი წარმგაცი თვალსაწიერი. ვხედავდი ზღვას, ჯაბალ ელ-აკრას და სახელგანთქმულ ჯაბალ მუსას³¹⁹ და მის ფერდობზე შეფენილ რამდენიმე სომხურ სოფელს³²⁰. მთის წვერზე სომხების მიერ აღმართული უცნობი ფრანგი ჯარისკაცის ძეგლია. მამა მესერიანს გულთბილად გამოვემშვიდობე და წამოვედი.

317 მონასტერი, რომელსაც „სვიმონის ციხე-სიმაგრეს“ ეძახიან მდებარეობს ჯაბალ ას-სამანის (არაბ. جبل سماني), მთაზე, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 922 მეტრია.

318 274 წლით დათარიღებულია ნეკრესის უძველესი ქართული წარწერა.

319 მუსა დადი (თურქ. მუსა დადი, არაბ. محمد طوس, ჯაბალ მუსა, სომხ. Մուսա լեռ – მოსეს მთა), მდებარეობს ზღვის დონიდან 1355 მ. სიმაღლეზე, ახლანდელი თურქეთის ათაის პროვინციაში. ადგილი, სადაც სომხური მოსახლეობა 1915 წელს წინააღმდეგობას უწევდა. გაძევებულები ექვსი სოფლიდან 55 ღლის განმავლობაში თავს აფარებდნენ და იბრძოდნენ ჯაბალ მუსაში. სიკვდილს გადარჩენილი 4000 სომეხი ეგვიპტის საიდის პროტიდან ფრანგულმა სამხედრო გემებმა გაიყვანეს. ეს მოვლენები აღწერილია ფრანკ ვერფელის (1890-1945) მოთხრობაში „ორმოცი დღე მუსა დადი“, ი. ფრუჟლინგის თარგმანი, ვარშავა, 1959.

320 1918 წლიდან, როდესაც ჰათაის პროვინცია საფრანგეთის პროტექტორატს დაექვემდებარა, ექვსი სომხური სოფლის მცხოვრებლები თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ. 1939 წლის 19 ივნისს საფრანგეთ-თურქეთის მოლაპარაკებების საფუძველზე ჰათაი თურქებს გადაეცა. მხოლოდ ვაკიფლი კოიუს (სომხ. Վակիք, ვაკიფ) სოფლის მცხოვრებმა სომხებმა გადაწყვიტეს, რომ დარჩენილიყვნენ. ეს არის ერთადერთი სომხური სოფელი თურქეთში, სადაც ცხოვრობს 140 სომხური ოჯახი. ლიბანში გადმოსული სომხები, ბექაას ფერდობზე მდებარე ქალაქ ანჯარში (არაბ. عجره, სომხ. Ասիիք) დასახლდნენ. ქალაქი დაყოფილია ექვს უბნად, რომელთა მაცხოვრებლები არიან თურქეთის ექვსი სოფლიდან ემიგრირებული სომხები. მოსახლეობს 2400 კაცი, ძირითადად სომხები.

კაჯა პუნარი. 18-20.IX. პარასკევი-კვირა.

სულ ერთი საათია, რაც აქ ვარ და აქედან წასვლა არ მინდა, რადგან ჩემი სამშობლოს ნაწილი აღმოვაჩინე. აქ ჩემ მიმართ ყველა ძალიან გულთბილი და კეთილგანწყობილია. ალაფიტა ამბავს ვკითხულობ, ბავშვებთან ვთამაშობ და მათთან ერთად ვსეირნობ. საუცხოო ლელვებქვეშ მრავალი საათი გავაგარე და ამ უგემრიელესი ხილით ვიმარხულე. აქ ასეულობით ლელვი დგას. გზასთან ახლოსაც ბევრია. ბიჭები ყარაულობენ, რომ მოხეგიალე თურქებმა სულ არ ჩამოკრიფონ.

ახლა ობლებზე უფრო მეგს ვზრუნავ. ყოველ საღამოს, დაძინებამდე, ბაგონი შნაიდერის ირგვლივ იკრიბებიან და ის მათ რაიმე ამბავს უყვება. ამბების მოყოლის დრო ყველა ბავშვს უყვარს. განაბულები თვალს არ აშორებენ მთხრობელის ბავს. განსაკუთრებით უყვართ ამბები დიად გმირებზე. პირდაღებულნი უსმენენ, ზოგჯერ რომელიმე ბავშვი რაღაცას შეეკითხება, ზოგჯერ ყველანი ერთად იცინიან, ხანაც მთხრობელს ეხმარებიან, როცა მას შესაბამისი სომხური სიგყვა არ ახსენდება.

კაჯა პუნარი. 21. IX. ორშაბათი

დროა, წასვლაზე ვიფიქრო. ყველას ვემშვიდობები და პაგარა ობოლ ბიჭუნასთან ერთად ქესაბში მივდივარ მანქანის მოსაძებნად, რომელიც ლაგაკიაში წამიყვანს, ალაფიტების დედაქალაქში, ანტიკურ ლაოდიკიაში³²¹, სადაც ერთ დროს აპოლინარიოს უფროსი და აპოლინარიოს უმცროსი (მამა-შვილი) ცხოვრობდნენ.³²²

გულდამძიმებული წამოვედი ამ მშვენიერი ქვეყნიდან, რომლის კურთხეული ბუნებაც სულ არ შეესაბამება იმ შთაბეჭდილებას, რასაც ამ ქვეყნის მცხოვრებნი გოვებენ. სომხები, რომლებსაც აქ შევხვდი, დათრგუნულები ჩანან, ომის უბედურებისაგან დაღდასმულნი. მხოლოდ ნანგრევებიდაა დარჩენილი იმ ძველი დიდებიდან, რის მოწმეც ყოფილა ეს ქვეყანა თავისი ისტორიის მანძილზე სახელოვან ვაჟკაცთა წყალობით.

[...]³²³

ბეირუთი, 26. IX. შაბათი

დილით ქალაქში დავხეგიალობდი და დამასკოური ტკბილეულით სავსე დიდი კოლოფი ვიყიდე ჩემი ვარშაველი ნაცნობებისთვის. მთელი ამ მოგზაურობის მანძილზე გაზეთიც პირველად შევიძინე.

321 ლაოდიკეა (არაბ. *اللاذقية*, აალ-ლაზიკია, ბერძ. *Λαοδικεία*, ლათ. *Laodicea ad Mare*), ახლანდელი ლაგაკია, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპორტო ქალაქი სირიაში, მდებარეობს ლათაკიის მუჰაფაზსში. ქალაქი დაარსდა ძვ. IV-III საუკუნეებში (როგორც ლაოდიკეა). ლაგაკიაში დაახლოებით 550 000 ადამიანი ცხოვრობს.

322 აპოლინარიოს უფროსი (310-390), გრამატიკოსი ბეირუთიდან, აპოლინარიუს უმცროსის მამა.

323 ტექსტი ნაკლულია, 22-25 სექტემბრის ჩანაწერები არ ჩანს.

გამბეთში წავიკითხე, რომ დღეს ალექოში სირიის დამოუკიდებლობის გამოცხადების ზეიმი დაიწყებოდა და სამ დღესა და ღამეს გასტანდა. პარიზიდან ჩამოსული მაღალჩინოსანი დამოუკიდებლობის დეკლარაციას წაიკითხავდა.

ორშაბათამდე დრო მქონდა. ასე რომ, ალექოში წასვლა და დროულად უკან დაბრუნება შემეძლო. წუთითაც არ დავფიქრებულვარ, სასტუმროში დავბრუნდი და „გარსონს“ ვთხოვე, ავტოფარეხამდე მივეცილებინე. ყველაფერი, რაც მქონდა, სასტუმროში დავგოვე, თბილი მოსასხამიც კი არ წამიღია.

ცხრა საათზე ავტოფარეხში ვიყავით. ავტობუსის მფლობელმა დამარწმუნა, რომ ნახევარ საათში ალექოსკენ გზას გავუდგებოდი.

ერთი უხეირო ადგილისთვის მთელი სირიული ფუნტი გადავიხადე და ავტობუსში ჩავჯექი.

ავტობუსის მფლობელი კმაყოფილი ჩანდა, რომ მიამიგი უცხოელი მოაგყუა და ბილეთების გაყიდვას განაგრძობდა. ჩემ წინ მჯდომი ორი-ჩადრიანი ქალი ავტობუსის დაძვრას მოთმინებით ელოდა. ვინ იცის, იქნებ გამთენიისას იყვნენ მოსულნი.

ავტობუსიდან ჩამოსვლა არ შემეძლო, რადგან ასე ადგილს დაეკარგავდი, შეიძლება შემდეგ საერთოდაც აღარ ამიშვან უკან. ამიგომ მოთმინებით ველოდები და ვწყევლი იმ წუთს, როდესაც გამბეთი შევიძინე. ჩვენ წინ დგანან დამასკოში მიმავალი სახელმწიფო ავტობუსები. მოგიერთი მათგანი დაიძრა კიდეც, ჩვენ კი ისევ ვიდექით.

ავტობუსი მგზავრებით ნელ-ნელა ივსება, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ცოგანი არიან, იმისათვის, რომ ყველა ადგილი შეავსონ. ჩემ სიახლოვეს რამდენიმე ბედუინი დაჯდა.

ბოლოსდაბოლოს, ორის ნახევარი შესრულდა, როცა ჩვენ ადგილიდან დავიძარით.

მძლოლს ვკითხე, ალექოში როდის ჩავიდოდი. მიპასუხა: დღესვე, ექვსზე ან შვიდის ნახევარზე მაინცო.

კი, მაგრამ როგორ? ალექომდე ოთხას კილომეტრზე მეტი ყოფილა!

ჯერ კიდევ ქალაქში ვიყავით, როცა მძლოლმა შეამჩნია, რომ ავტობუსში წყალი აღარ იყო. თუმცა რამდენიმე საათი ავტოფარეხში ვიდექით და მძლოლიც უქმად იდგა, ამაზე არც უფიქრია.

ეს იყო ჩვენი პირველი გაჩერება.

ავტობუსში ასე თუ ისე ამოსუნთქვა შეიძლება თუმცა ყოველ წუთს შემოდიოდნენ პოლიციელები და ამოწმებდნენ მგზავრთა რაოდენობას. გამოიკვია, რომ ერთი ბიჭი ბედმეტი იყო და ამიგომ მჯდომარე არაბების გრძელი სამოსის ქვეშ იმალებოდა.

მაგრამ როდესაც გავიარეთ სასაზღვრო კონგროლი გრაბლუსთან³²⁴ თითქმის ყოველ ნაბიჯზე არაბები იდგნენ და ყველას ჩვენთან ამოსვლა უნდოდა. ისინი ჯერ ფასებზე ვაჭრობდნენ, ხოლო შემდეგ კი, როდესაც მორიგდებოდნენ, შევირდი უღებდა მათ კარებს და ავტობუსში უშვებდა. ბოლოს იმდენი მგზავრი მოვროვდა, რომ ლამის კალთაში გვესხდნენ.

მერე ავტობუსში ბენზინი გამოილია და ამიგომ კვლავ გავჩერდით.

ერთ-ერთი გაჩერებისას უჩვეულო ავანტიურის მოწმე გაეხდა: გზის პირას იყო პაგარა მალაზია, სადაც ვიღაც ქალი შედედებულ რძეს ჰყიდიდა. მგზავრები გაღმოვიდნენ ავტობუსიდან და მიირთმევდნენ რძეს ან სეირნობდნენ. მე ავტობუსში დავრჩი და თავს ვსაყვედურობდი, რომ ალექოში წასვლა დაუღევრად გადავწყვიტე მაშინ, როცა გამგზავრებამდე ცოცხა ღროლა იყო დარჩენილი. თუ სადმე კიდევ შევფერხდებოდით, შესაძლოა, ველარც მიმე-სწრო გემისთვის, რომელიც ხაიფადან ოცდაცხრა სექტემბერს, ნაშუადღევს სამ საათზე გადიოდა. ამბობდნენ, რომ გემი ყოველთვის პუნქტუალურად მიმოდიოდა.

ახლა ველარაფერს შევცვლიდი. სიმწრის ფიალა ბოლომდე უნდა შემესვა.

უეცრად მალაზიიდან ყვრილი მომესმა. მოჩხუბრები გარეთ გამოვიდნენ. ჩემ გვერდით მჯდომ ხნიერ და დარბაისლური გარეგნობის კაცს ვკითხე, რა მოხდა-მეთქი.

ერთ არაბს თურმე ორი პიასტრის ხაჭო მოუთხოვია, ქალს ხუთი პიასტრის ხაჭო მიუცია. ახლა არაბი ორი პიასტრის გადახდას აპირებდა, ხოლო ქალი ხუთს ითხოვდა. ჩხუბი ძალიან გახურდა. არაბი ქალს ლანძღვა-გინებით იკლებდა. ბოლოს, იმ ქალის ქმარი გამოჩნდა, პოლიციაც მოვიდა და ყველანი პოლიციის განყოფილებაში წავიდნენ ინციდენტზე ახსნა-განმარტების დასაწერად.

მთელი ამ ხნის მანძილზე ავტობუსში ვისხელით და ვიცლიდით. კაცებს მოთმინება აღარ ეყოთ და აჩოჩქოლდნენ. მძღოლს სთხოვდნენ, რომ გზა დაუყოვნებლივ განგვევრძო. ქალები წყნარად ისხდნენ და ხმას არ იღებდნენ.

მინდოდა, რომ ის სამი პიასტრი მე გადამეხადა, რათა დრო აღარ დაგვეკარგა, მაგრამ არ ვიცოდი, ეს როგორ მომეხერხებინა. ჩემს მეზობელს რჩევა ვკითხე. მან შემომხედა და მითხრა: „აქ დავა ფულზე კი არა, ღირსებაზეა!“

როგორც იქნა, მგზავრობა განვაგრძეთ.

სადაც შორს, უდაბნოში, შუქი მოჩანდა. ერთ არაბს რაღაც საქმე ჰქონოდა მოსაგვარებელი იქ ერთ კაცთან, რომელიც, ალბათ, კარავში ცხოვრობდა. წავიდა და აღარ ბრუნდებოდა. ჩვენ კი უკვე ერთ საათს ვიცლიდით.

324 გრაბლუ, გრიგოლი (არაბ. غرابلس) გრაბლუს), მოსახლეობის რაოდენობით მეორე ქალაქი და ნავსადგური ჩრდილოეთ ლიბანში.

ბოლოს, მგზავრთა დელეგაციამ მიაკითხა და სთხოვა, რაც შეიძლება, მალე მოეგვარებინა თავისი საქმეები.

შემდეგ კიდევ ერთგან გაეჩერდით, სადაც ლელვის ყიდვა შეიძლებოდა. რამდენიმე პიასტრის ლელვი ვიყიდე. ფერმკრთალი ბიჭუნა, ბედუნის სამოსის ქვეშ რომ იმალებოდა, თვალს არ მაშორებდა და მეც პაგარა ხელებში იმდენი ლელვი ჩავუყარე, რამდენიც ჩაეგია.

ისევ უღაბნო.

ათს გადაცილებული იყო, ბნელოდა. უეცრად დავინახეთ ქვა, რომელმაც ეწერა, რომ ალეპომდე ას ოცი კილომეტრი იყო დარჩენილი. ღრმად ამოვიოხრე. ერთმა არაბმა, ჩემ წინ რომ იჯდა და მიყურებდა, მითხრა: „ჰავაჯა საბაკთან“, რაც ნიშნავდა: – მიგატოვებს“.

ქრისტემ სწორედ ეს სიგყვა წარმოთქვა უდიდესი განჯვისას, ჯვარზე გაკრულმა: „ელი, ელი, ლამა საბაკთან!“³²⁵ გამისარდა, რომ ეს სიგყვა ჯერ კიდევ ცოცხლობდა და ახლახან გაუნათლებელი არაბისგან, ალბათ, ხელოსნისგან გავიგონე. სისარული დამეუფლა. მაშ, ჩემს მოგზაურობას დანგესეულ დამეში უაზროდ მაინც არ ჩაუვლია!

თუმცაღა ჩვენი მგზავრობის დასრულებამდე კიდევ ძალიან შორს ვიყავით.

კიდევ ერთი ქალაქი. ეს იყო ჰომსი, ანუ ძველი, სახელგანთქმული ემესა.³²⁶ აქ ცხოვრობდა ცნობილი ნემესიოს ემესელი,³²⁷ ავგორი ფილოსოფიური თხზულებისა ადამიანის სულზე.³²⁸

ისევ ავგოფარეხში აღმოვჩნდით. ავგობუსი გაფუჭდა და მძლოლი და მისი თანაშემწე არემონტებდნენ.

არცთუ ისე განადი მამაკაცი მომიახლოვდა. ალბათ, ისიც ერთ-ერთი მგზავრი იყო. „ერთი შეხედეთ“, – მითხრა ფრანგულად და გაიცინა, – „რკინისგან გაკეთებული მანქანის შეკეთება უნდათ და ჰგონიათ, რომ ამას თოკებით შეძლებენ! თქვენ აქაური არ უნდა იყოთ, არა?“ – მკითხა მცირედი დაყოვნების შემდეგ.

„არა, გურისგი ვარ. ქვეყანას ვათვალიერებ“, – მიუვგე მე.

„ხნიერი ქალი, მე რომ მახლავს, ამას უმალ მისვდა, – განაგრძო უცნობმა, – დეიდას ასაკის გამო ვეძახი, თუმცა მართლა დეიდაჩემი არ არის. ხვალ თურქეთში მიემგზავრება, ამიგომ ახლა ალეპოში, რკინიგზის სადგურამდე ვაცილებ. უმალ ამოვიცნოთ, – განაგრძო შესავლის შემდეგ, – და მითხრა, რომ

325 მათე 27, 46; მარკოზი 15, 34: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე?“

326 ჰომსი (არაბ. حمص, ჰიმს), ანტიკურ ხანაში ცნობილი იყო როგორც ემესა (ბერძ. Ἐμεσα), ქალაქი დასავლეთ სირიაში, მდებარეობს ელ-ასის ხეობაში. იმპერატორ დომიციუსის (81-96) დროს ემესა რომის იმპერიაში შედიოდა.

327 ნემესიოს ემესელი (დაახ. 390 წ.), ემესის ეპისკოპოსი, ღვთისმეტყველი.

328 Nemesius of Emesa, *O naturze ludzkiej*, translated by A. Kempfi, Warszawa, 1982.

არაბი არ იქნებოდით, რადგან აქ აყალ-მაყალი ერთხელაც არ ავიგეხიათ, თანაც გულკეთილი ხართ, რადგან ბიჭს ლელვი მიეცით“.

ნეტავ რა ეროვნებისა იყო? არაბები არ მოსწონდა, მაშ, შესაძლოა, სომეხი ყოფილიყო; მაგრამ სომხები ხომ საკმაოდ გულჩახვეულნი არიან და თავიანთ ამრს უცხოს არასდროს გაანდობენ.

„სადაური ხართ?“ – შევეკითხე.

ჩერქეზი³²⁹ ვარ, – მომიგო და როცა განცვიფრება შემაგყო, სწრაფად დაუმატა: - „ამ ქვეყანაში, ამ ხალხში ფიზიკურად გადავგვარდით. სადღა არიან ჩვენ შორის თვალგანადი მამაკაცები, ვისმედაც ლეგენდებს ჰყვებიან?! თუმცა ჩვენ მათ სულიერებით, სიმარჯვითა და გამჭირახობით აღვემატებით. მაგალითად, დეიდაჩემმა, რომელიც ჩემი ნამდვილი დეიდა არ არის (მან იგივე გაიმეორა), თურქული და არაბული ძალიან ძაღვად ისწავლა; ყაბარდოდან³³⁰ რამდენიმე წლის წინ ჩამოვიდა“.

უთხარი, რომ მეც კავკასიელი, ქართველი ვიყავი და ახლა ვარშავაში ცხოვრობდი.

„იქ ერთი მეგობარი მყავს, შემაწყვეტინა მან, გამოცემელი ბაიგუგანი.³³¹ პირადად არასდროს შევხვედრივართ, ერთმანეთს წერილებს ვწერდით. კავკასიელ მთიელთა ქურნალი, Şimali Kafkasya³³² მომდიოდა, რომლის რედაქტორიც ის იყო. რამდენიმე წლის წინ სამი ახალი ხელმომწერი აღმოუჩინე. შემდეგ ავად გავხდი, ფულს ვეღარ ვაგზავნიდი. კარგა ხანია, ის ქურნალი აღარ მიმიღია“.

შევპირდი, რომ ამაზე ვარშავაში ვიმრუნებდი და ქურნალს გამოუგზავნიდნენ. „ერთხელ სტაგიაც დაწერე ჩერქეზულ ცხენებზე, მაგრამ არ დამიბეჭდეს“,³³³ – განაგრძო მან. ეს კაცი, ამ სიშორეზე ასეთ თემებზე რომ

329 ჩერქეზები, ჩრდილო-კავკასიის ეთნიკურ, ჩერქეზულ ენაზე მოლაპარაკე ჯგუფი. XIX საუკუნეში რუსეთის ეთნიკური წმენდის მსხვერპლნი გახდნენ. 1864 წელს დაახლოებით 500 ათასი ჩერქეზი კავკასიიდან თურქეთში გადაასახლეს. 120-150 ათასი ჩერქეზი - რუსეთის სხვადასხვა ადგილებში. უფრო ადრე, 1859 წელს 200 ათასი ჩერქეზი ნებაყოფლობით რუსეთის სიღრმეში გადასახლდა. 1987 წელს რუსეთში 217 ათასი ჩერქეზი ცხოვრობდა.

330 ყაბარდოელები (საკუთარი სახელწოდება ადიღე), ცხოვრობენ ძირითადად ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთსა და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყნებში. ყაბარდოელი ენა განეკუთვნება კავკასიური ენების აფხაზურ-ადიღურ ჯგუფს. ყაბარდოელები მუსულმანები არიან. XV III საუკუნემდე გავრცელებული იყო ქრისტიანობა და წარმართულ რწმენათა ნაშთები.

331 ბარასბი ბაიგუგანი (1899-1982), ოსი პოლიტიკოსი და გამომცემელი.

332 Şimali Kafkasya (ჩრდილოეთ კავკასია) ქურნალი, რომელსაც ბარასბი ბაიგუგანი ვარშავაში გამოსცემდა - 1934 წლის მაისიდან 1939 წლის აპრილამდე (სულ გამოიცა 60 ნომერი). ქურნალი წარმოადგენდა კავკასიის მთიელთა ეროვნული პარტიის ოფიციალურ ორგანოს.

333 სავარაუდოდ, იგულისხმება სტაგია: Doguzh, Tabun loshadei v nugaiskikh stepakh, „Şimali Kafkasya“, 5:1937, ნოს. 38-40, გვ. 36-41.

მუშაობდა, უყურადღებოდ არ უნდა დარჩენილიყო, და შეეპირდი, რომ მის ნამუშევარს ყურადღებას მიაქცევდნენ.

მან ბევრი რამ იცოდა კავკასიურ ფედერაციაზე და კავშირი ჰქონდა ბევრ ჩერქეზთან, რომელთაც აქ მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავათ.

მათ შორის ბევრი მაღალი თანამდებობის პირი იყო. თითქმის მთელი ფრანგული კავალერია, არმიის, პოლიციისა და ჟანდარმერიის თანამდებობები ჩერქეზებით იყო დაკომპლექტებული. არც სამოქალაქო თანამდებობებზე ჩამორჩებოდნენ ვინმეს. მათ მხოლოდ სომხები თუ შეეცოლებოდნენ.

ეს კაცი კუნეიტრას³³⁴ ჩერქეზულ სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა.

„აღრე თქვენს სკოლაში ფრანგულს ერთი ქართველი ასწავლიდა. იცნობდით?“ – შევეკითხე და ჩემი თანამემამულის სახელი ვუთხარი.

„კუნეიტრაში ასეთ კაცს არც მე ვიცნობ და სხვაც არაფერს იცნობს“, – მომიგო მან.

არაბი ბელუნიების ჯგუფი მოგვიახლოვდა. ერთი მათგანი ალექოში ოჯახთან ერთად მიდიოდა. ყაბარდოელს ჩემზე ჰკითხეს, ვინ არის და რას დაეძებსო. სამეცნიერო ან გურისგულ მოგზაურობაზე წარმოღგენა არ ჰქონდათ. მათი ამრით, ვინც სამშობლოდან უცხო ქვეყანაში მიდიოდა, თავგადასავალთა მაძიებელი, მდიდარი და სულელი კაცი იყო. ამგვარი რამ ასირებად მიაჩნდათ.

„თუ ალექოში საქმე არა აქვს და იქ მხოლოდ ასირების გამო მიდის, – თქვა ერთმა, – მაშინ ურჩევნია, ბეირუთში გაბრუნდეს. ეს ბოლო ადგია, სადაც მაგარებელში ჩაჯდომას შეძლებს. ამის იქით გრანსპორტი აღარ შევხვდება“.

მე კი, განსაკუთრებით ახლა, როცა საინგერესო თანამგზავრს შევხვდი, მოგზაურობა აუცილებლად უნდა განმეგრძო.

ჩემმა ახალმა ნაცნობმა მითხრა, ასე საშინლად ჯერ არასდროს მიმგზავრია, ვმიშობ, რომ დეიდაჩემი თურქეთის მაგარებელს ვერ მიუსწრებს, დილის 6 საათზე ალექოდან რომ გადის. ხვალ კი ალექოდან ბეირუთში უნდა დავბრუნდე, რადგან იქ საქმეები მაქვს მოსაგვარებელიო, და შემომთავაზა, იქითობასაც ერთად ვიმგზავროთო.

ავგობუსში ასვლის დროც მოვიდა. როგორც იქნა, ძრავა შეაკეთეს და გზას გავუღეეთ.

ქალაქში სხვა მგზავრებიც შემოგვიერთდნენ. სანამ ყაბარდოელს ველაპარაკებოდი, ერთი ბელუნი ჩემს ადგილზე დამჯდარიყო და აღარ დგებოდა. ამის გამო დიდი ყვირილი და აყალ-მაყალი აგვხეს: ყაბარდოელმაც, ჩემმა არაბმა მემობელმაც, ეფურაგზე მდებარე დეირ ემ-მორიდან³³⁵ რომ იყო, და იმ

334 ელ-კუნეიტრა (არაბ. عطنيترا), ქალაქი სამხრეთ-დასავლეთ სირიაში, მდებარეობს გოლანის მაღლობების ჩრდილო ნაწილთან, ელ-კუნეიტრის მუჰაფაზის მინგაკში.

335 დაირ-ელ-ზაფრი (არაბ. دير الزور), სომხ. Դիր Զոր), ქალაქი სირიაში, რომელიც დაირ-

არაბმაც, რომელმაც დიდებული და ვასაოცარი სიგყვა „საბაქეთანი“ მითხრა. ისინი ცდილობდნენ, ბედუინი ჩემი ადგილიდან როგორმე აეყენებინათ.

ეს ყველაზე ცუდი ადგილია, – მითხრა ყაბარლოელმა, – ყოველთვის მძლოლის ახლოს უნდა დაჯდეთ, თუმცა ის ადგილები უფრო ძვირია, სამოცდაათხუთმეტი პიასგრი ღირს.

– მე კი ჩემს ადგილზე ერთი გირვანქა სგერლინგი ანუ ასი პიასგრი გადავისადე“, – მივუგე მე. ძალიან აღმაშფოთა არაბების გაიძვერობის დამადასტურებელმა კიდეც ერთმა ამბავმა.

„როგორ არ რცხვენიათ, უცხოელს ასე უსინდისოდ რომ აგყუებენ?“ – ჰკითხა მან იმ არაბს, ეფფრატთან რომ ცხოვრობდა.

აი, უბედურება. ოცდახუთი პიასგრს ვინდა დამიბრუნებდა?! ისიც კარგი იქნებოდა, ავგობუსიდან შუა გზაზე თუ არ ჩამომსვამდნენ!

ძლივს მივჩოჩავდით.

იმ არაბმა, სამი პიასგრის გამო ბევრი რომ იჩხუბა და ძალიან ღარიბი მეგონა, ახლა ერთ არაბთან რაღაც საქმის გაჩარხვა დაიწყო და ჯიბიდან ფულის დიდი დასტა ამოიღო. ჩემმა მეზობელმა ჩათვლიმა და ბედუინს მურგზე შემთხვევით შეეხო. ის კი ხმამაღლა აყვირდა. ისევ ჩხუბი აგესა. ვერ ვიძინებდი. ავდექი და ჩემი ადგილი ეფფრატელ არაბს დავუთმე.

ის ბედუინი, ადგილს რომ მეცილებოდა, კუთხეში ხვრინავდა და საწყალ პაგარა ბიჭს მედ აწვა. ბინძური იყო და პირიდან ღორბლი ჩამოსლიოდა.

ალეპოში, ხუთს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, მაშინ ჩავედით.

ალეპო, 27. IX. კვირა

ალეპოს ქუჩები განათებული და მოსეირნეებით, დამთვალეირებლებითა და შავმოსასხამიანი ქალებით იყო სავსე. ყველგან ხალისისა და კმაყოფილების გამომხატველი შეძახილები გაისმოდა. ჩვენს ავგობუსს მხიარულად ესალმებოდნენ და ტაშს უკრავდნენ. ალბათ, დელეგაცია ვეგონეთ. მგზავრებიც იცინოდნენ, ხელს უქნევდნენ ან ტაშს უკრავდნენ. არ ვიცი, რაგომ, მაგრამ უეცრად იმ ჭუჭყიან ბედუინს, რომელიც გუშინ ადგილს მეცილებოდა, სრულიად უმეცყველო ხელებზე, ნებისყოფა და ხასიათის ნაგამალი რომ არ აჩნდა, ხელი მოეკიდე და ტაში შემოვაკვრევინე. გაოცებულმა ბედუინმა წამოიყვირა და ბინძური ღორბლი გადააფრქვია პაგარა ბიჭს, რომელიც გვერდით ეჯდა. მე კი არაბი მიწოდა. ასე რომ მისი თანამემამულე გავხდი. ესმოდა კი, ეს რას ნიშნავდა?

ავგობუსი ავგოფარესში გაჩერდა და ჩამოვედით.

ყაბარლოელმა რკინიგზის სადგურამდე წასასვლელად ეგლი დაიქირავა და მითხრა, საათნახევარში დავბრუნდებით.

დაღლილი ვიყავი და ოთახის ძეხნას შევუდექი, მაგრამ ამოვად, ყველა ოთახი დაკავებული იყო.

ნაცნობ ყავახანაში შევედი. ნაცნობმა ოფიცინანგმა ადგილი ძლივძლივით მომიხანა. ყავა შევუკვეთე. მგზავრობის შემდეგ ჭუჭყიანი ვიყავი, მაგრამ იქ ხელ-პირის დაბანის საშუალება არ იყო.

ხალხის ნაკადს გავყურებდი და მათი სამოსის მშვენიერება და ფერადოვნება მათ მოეცა. ხალხი ფეხშიშველი მიმოდიოდა, ხელში ხმლები ეკავათ. ზოგნი ძველი სკივრიდან ამოღებული, დაქანგებული ხანჯლებით დადიოდნენ.

უნებურად ეთიოპიელები გამახსენდნენ, იგალიელებს ამგვარი ხანჯლებით რომ შეუტყის და მალლა აღმართული ხმლებით თვითმფრინავებს ემუქრებოდნენ.

უკან დაბრუნებაზე ბრუნვა დავიწყე. განრიგი არსად იყო, ამიტომ რკინიგზის სადგურზე წავედი.

ალეპოში ორი სადგური იყო: მთავარი სადგური და მეორე, ქვესადგური. მეორე უფრო ახლოს იყო, ამიტომ იქით გავწიე. გზაში ყაბარლოელი შემომხვდა, ბარგით დატვირთული ეგლით დეიდასთან ერთად რომ მოდიოდა. მთავარ სადგურში გაუგზავნიათ. თურქეთისკენ მიმავალი მაგარებლები თურმე მხოლოდ მთავარი სადგურიდან გადიოდა, რადგან იქ საბაჟო ჰქონდათ. ვუთხარი, დროს ნუ დაკარგავთ, რომ არ დაგაგვიანდეთ-მეთქი.

განრიგის მიხედვით, ბეირუთისკენ მიმავალი მაგარებელი ღამის ათ საათზე გადიოდა. „შესაძლოა, დააგვიანდეს“, – მითხრა სადგურის უფროსმა. ეს ასე რომ იქნებოდა, მეც დარწმუნებული ვახლდით. ვერც ის მითხრა, მაგარებელი ბეირუთში როდის ჩავიდოდა. ალბათ, სვალ სადამოს ან ზევ დილას, ყოველ შემთხვევაში, იმ დროს მაინც არა, განრიგით რომ იყო მითითებული.

როცა ყაბარლოელთან შესახვედრად მივეშურებოდი, ახალაშენებულ მეჩეთს ჩავუარე, ჯერ კიდევ დაუმთავრებელს. შესასვლელ საფეხურებთან სამი არაბი დაჩოქილიყო, თავზე ულამაზესი ფრიგიული აბრეშუმის ქუდები ეხურათ და ფერადი მოსასხამები ოსტაგურად შემოესვიათ. მათ გვერდით მოხუცი კაცი იჯდა. წინ დიდი თიხის ჯამი ედგა, შორიასლოს გაჩერებული მაწანწალა ძაღლი მათ უცქეროდა.

ქუჩები ჯერ კიდევ დემონსტრანტებით იყო სავსე. მათ შორის იყვნენ ყველა ქრისტიანული თემის წარმომადგენლები. კვირა დღე იყო, მაგრამ არც ერთ ქრისტიანულ ტაძარში იმ დღეს წირვა არ გარდებოდა. დღეს ყველანი პოლიტიკაში იყვნენ ჩაბმულნი. ისინი ქმნიდნენ სწორედ იმ პოლიტიკას, რომელიც მალე მათ წინააღმდეგვე შემოგრიალდებოდა. ახლა კი მხოლოდ ერთი პლაკატი დაიბეჭდა, რომელზეც ნახევარმთავართი დაფარული ჯვარი იყო გამოსახული! საფრანგეთი საერთოდ არ ერეოდა სხვადასხვა ქრისტიანულ თემთა საქმეებში.

ჩადრიანი ქალები ყოველ კუთხეში იდგნენ და თვალყურს ადევნებდნენ, მათ ირგვლივრა ხდებოდა. ხანდახან ბრბოში ვილაც ისე წამოიკივლებდა,

თითქოს ჭიხვინებსო. ეს მათი „ბრაფო“ გახლდათ. ცოცხალი ხნის შემდეგ მიხვდით, რომ ქალები ყვიროდნენ.

რა თქმა უნდა, ამ ქალებს მომიგინგეთა მიმართ ენთუზიამით აღსაცხე მისალმების საფასურს უხდიდნენ.

ჩემი თანამგზავრი ყაბარდოელი ავგოფარესში უკვე მისულიყო. ჩემსავით დაღლილი და ჭუჭყიანი გახლდათ. იმ არაბსაც შევხვდით, მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად რომ მგზავრობდა. შემოგვიჩვენა, წუხელ ჩანთა მომპარესო.

ავგოფარესში არც სახელმწიფო ავგობუსი ჩანდა და არც კერძო. ერთმა მძღოლმა მითხრა, შესაძლოა, ერთ საათში რამე გამოჩნდესო. ის ერთი საათი ყავახანაში გავატარეთ, ის მძღოლი მერეც შეგვხვდა, მაგრამ თვალი აგვარიდა.

ჩემი თანამგზავრი გრანსპორტის მოსაძებნად წავიდა, ხოლო მე ყავახანაში ველოდებოდი. დიდი ხნის შემდეგ, როგორც იქნა, გამოჩნდა.

„მაგყუარები არიან, – ბუმბუნებდა იგი, – ვერავის ენღობი. ხან ამბობენ, ავგობუსები არისო, მერე გეგყვიან, არ არისო“.

ამ ქვეყანაში იყო დაბადებულ-გამრდილი და ახლავა შეამჩნია, რომ აქ ხალხი ცრუობდა.

„სხვა გზა არა გვაქვს, სადამომდე უნდა მოვიცადოთ და მაგარებელს გაყვეთ“, – მითხრა ბოლოს ჩაფიქრებულმა და დამშვიდებულმა. რაოდენ დიდი წუხილი და სამზრუნავი იმალებოდა მისი გარეგნული სიმშვიდის მიღმა!

მოგვძივდა. ხუთ პიასტრად პური, ყველი და ყურძენი ვიყიდეთ, ქუჩის კუთხეში მოვკალათდით და ჭამა დავიწყეთ. ამფლელ-ჩამფლელი არაბები ჩვენ შემოგვექეროდნენ. „ამის გამო ნუ ინალვლებ, – მითხრა ჩემმა თანამგზავრმა, – აქ მაინც არავინ გვიცნობს“.

შემდეგ ისევ სადაც გაქრა და მერე რამდენიმე ჩერქეზთან ერთად დაბრუნდა, რომელნიც ეროვნულ ღღესასწაულზე იყვნენ ჩამოსულნი და თავიანთი თანამემამულის მონახულებას აპირებდნენ, რომელიც აქ გავლენიანი კაცი იყო – მოსამართლე გახლდათ.

დაუბანელი, ჭუჭყიანი, დაღლილი და გაბრაზებული ვიყავი.

„მაგას სჯობს, ციგადელზე წავიდეთ, მაღალჩინოსანი მამლუქების დარბაზი ვნახოთ და მათი მმართველობის ხანაში წარმოსახვით ვიმოგზაუროთ“, – შევთავაზე მე.

ჩემს ყაბარდოელს არც დრო ჰქონდა და არც ისტორიის დიდი სიყვარული გააჩნდა. თანაც, ეს ქვეყანა სძულდა. ევროპაში უნდოდა ცხოვრება, სადაც, მისი ამრით, პაგიოსნად ცხოვრობდნენ და წესებს ემორჩილებოდნენ, სადაც ხალხი მუშაობდა და ერთმანეთს არ აგყუებდა.

დავემშვიდობე. თავისი სახელი მითხრა, მაგრამ ძალიან დაღლილი ვიყავი და კარგად ვერ გავიგონე. ერთ საათში მაინც დაბრუნდებოდა და მერე მთელი ღამე ან, იქნებ მთელი დღე და ღამე ერთად უნდა გვემგზავრა. მის სახელსა და მისამართს მაშინ ჩავიწერდი.

ორი საათი ველოდე, ის კი არ ჩანდა. ამიგომ ქალაქში სახეგიალოდ წავედი. სომხური სახლებისა და სასტუმროების გარდა ყველაფერი აღმოსავლურად ბრწყინავდა. სომხებს მხოლოდ რამდენიმე დროშა ჰქონდათ გამოკიდებული, ხალიჩები და ეროვნულ გმირთა სურათები არსად ჩანდა.

უეცრად მომაფიქრდა, რომ ნაცნობ ინგლისელს ვწვეოდი და ცოცხად ამქვეყნად.

პირველსავე ქანდარმს საავადმყოფოს მისამართი ვკითხე. მან გზა მიმასწავლა და იქით გავეშურე.

რა კარგია, აქ ნაცნობი რომ მყავდა! კარგად დავისვენე და ახალ ამბებზეც ვისაუბრეთ.

„ალეპოში ამდენი ხალხი არასდროს ჩამოსულა, მითხრა მან, საინტერესოა, ამ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებიდან, ახლა სიხარულის გამოსახატავად ქუჩაში რომ არიან გამოსულნი, ნეგავ, ვინ ნახავს სარგებელს დამოუკიდებლობით შექმნილი კულტურული განვითარებიდან და კეთილდღეობიდან? ვის ექნება ხელისუფლება და სინამდვილეში ვინ დატკბება დამოუკიდებლობით?“

სირია ეთნიკურად ჭრელი ქვეყანაა. აქ ცხოვრობენ მდიდარი და მარჯვე სომხები, რომელთაც ფრანგებთან კარგი სახელი აქვთ მოპოვებული. მათ გარდა აქ ჩერქეზებიც არიან. მათი რაოდენობა სომხებისას არ ჩამოუვარდება ანუ ნახევარ მილიონამდე მაინც იქნებიან. ისინი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში ცხოვრობენ, სომხები კი – ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ მხარეში. ჩერქეზები გამჭრიახნი, პაგიოსნები და კარგი მეომრები არიან. ფრანგები მათ ენდობიან. აქ მცხოვრები სირიელები სამი სხვადასხვა რელიგიის მიმდევარნი არიან – ნესტორიანელები³³⁶ იაკობიტები³³⁷ და მარონიტები³³⁸. დაბოლოს, აქაურ არაბთა ნაწილი მაჰმადიანია, ნაწილი – ალავიტი და ნაწილი კი დრუზი.³³⁹ ამას გარდა, აქ ქრისტიანი არაბებიც არიან და ეს ქრისტიანები, თავის

336 ნესტორიანიელობა, სახელწოდება კონსტანტინოპოლის პაგრიარქის ნესტორის (428-431) სახელს უკავშირდება. ნესტორიალური მიმდინარეობა დაგმობილ იქნა ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ 431 წელს.

337 იაკობიტები, მონოთეიზმური მრწამსის მქონე ეკლესიის წარმომადგენლები. თავდაპირველად ცხოვრობდნენ ანტიოქიისა და იერუსალიმის საპაგრიარქოს გერიგორიებზე (ახლანდელი სირია, ლიბანის და ერაყი). XIX-XX საუკუნეებში ემიგრაციის შედეგად ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ცხოვრობენ. ისინი სემიტური ხალხის პირდაპირი შთამომავლები არიან არაბთა შემოსევამდე VII საუკუნეში.

338 მარონიტები (არაბ. *مرونيون*, ლათ. *Ecclesia Maronitarum*), მარონისგული მრწამსის ეკლესიის წარმომადგენლები, რომელიც აღმოსავლური ეკლესიის განხეთქილების შედეგად VII საუკუნეში სირიისა და ლიბანის გერიგორიებზე წარმოიშვა. ცხოვრობენ ძირითადად ლიბანში; ემორჩილებიან ვატიკანს.

339 დრუზები, პერმეგული რელიგიური ჯგუფი, რომელიც XI საუკუნეში წარმოიშვა. 1017 წელს

მხრივ, სხვადასხვა აღმსარებლობას მიეკუთვნებიან. ზოგი მართლმადიდებელია, ზოგი კათოლიკე (უნიატი) და ზოგიც პროტესტანტი.

ამ სისხლით მონათესავე ხალხებს ერთმანეთი საშინლად სძულთ. ყველას კარგად ახსოვს ღრუბების ამბავი, რომლებიც საგანის მიმდევრებად მიიჩნიეს და ისიც, თუ რა ღლეში ჩააგდეს ისინი ჩერქებებმა.

სირიაში თურქებიც ცხოვრობენ. ამ ქვეყანას ერთ ღროს ისინი განაგებდნენ. თურქები და სომხები გვერდიგვერდ ბინადრობენ. აქ საკმაოდ ბევრი რუსი ემიგრანტიც არის. ამ ქვეყანაში ებრაელები თუ ცხოვრობენ, არ გამოიგონია.

თუ ფრანგები სამ წელიწადში აქედან მართლა წავლენ, დარწმუნებული ვარ, აქაურობა სხვადასხვა ეროვნების ხალხთა სისხლით მოირწყება. ამ ვითარებით მოგებული მხოლოდ თურქეთი დარჩება, რომელიც თავისი ძველი სამფლობელოების გაერთიანებას კვლავ ესწრაფვის, ალექსანდრე გამდე³⁴⁰ მაინც.

მაშინ, შესაძლოა, ახალი სომხური გრაგედია დაგრილდეს და სომხებმა ეს კარგად იციან³⁴¹.

საფრანგეთი ჭკვიანურად მოიქცა, როცა სირიას სრულ დამოუკიდებლობას დაჰპირდა, რადგან ყველა ეროვნების ხალხი ფრანგებს თხოვნას დაუწყებს, მშვიდობის დასაცავად დარჩითო.

როცა საღამოს რვა საათისთვის რკინიგზის სადგურში ვბრუნდებოდი, შევნიშნე, რომ გერმანიის საელჩო მორთული საერთოდ არ იყო. მის-

ღრუბები ჩრდილოეთ სირიაში დასახლდნენ. ღრუბების რელიგიაში ისლამის საფუძვლები ქრისტიანობის, გნოსტიციზმის და ძველი შუა აღმოსავლეთის რწმენებსა თუ წარმოდგენებს ერწყმის. ღრუბების დოქტრინა ისლამის დოქტრინისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, ამიტომ ისინი ერეგიკოსებად, ხოლო მათი მიმდინარეობა ისლამისგან განსხვავებულ ცალკე რელიგიადაც კი მიაჩნდათ. ამას აგრეთვე ხელს უწყობდა თემის პერმეჯული წყობა, რწმენის საიდუმლოდ შენახვა და ზოგიერთი, ისლამისათვის უცხო წარმოდგენა. ღრუბების რელიგია მონოთეისტურია. მათ სწამთ, რომ ხალიფა ალ-ჰაკიმ ბი-ამრ ალაჰი (გარდაიცვალა 1021 წელს) ღმერთის განსახიერებაა და ახლაც მასში იღუპილად არსებობს. ისინი აღიარებენ შვიდ შეუმცდარ და უცოდველ წინასწარმეტყველს, მათ შორის ადამს, აბრაამს და იესოს. მათ სჯერათ რეინკარნაციისა. მათი რწმენით, იგი მაშინ ხორციელდება, როცა სული უერთდება უნივერსალურ გონს, რომელიც ღვთის ნებასთანაა გაიგივებული. ღრუბები არ აღიარებენ ისლამის ხუთ ძირითად საფუძველს. მათი წმინდა წიგნებია ყურანი, ახალი აღთქმა და საკუთარი რელიგიური თხზულებები.

340 ალექსანდრეა (ახლანდელი ისქენდერუნი), ქალაქი სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში, პათაის პროვინციაში, ისქენდერუნის ყურესთან. მისი მოსახლეობა 230 ათას ადამიანს შეადგენს, რომელთა უდიდესი ნაწილი ეროვნებით თურქია, დანარჩენი სომხები და არაბები. ქალაქი ალექსანდრე დიდმა დაარსა ძვ.წ. 333 წელს, როგორც *Alexandria ad Issum*-ი.

341 მინიშნება ოსმალეთის იმპერიაში 1915-1917 წლებში სომეხი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი გენოციდის (სომხ. Հայոց ցեղասպանություն, თურქ. *Ermeni Soykrımı*) შესახებ, დაღუპულთა რიცხვი მერყეობს 1-დან 1,5 მილიონამდე.

გან განსხვავებით, რუმინეთის საელჩო ხალიჩებითა და ფერად-ფერადი ნათურებით მორთულ-მოკაზმული გახლდათ. ამ ქვეყნის მიმართ განსაკუთრებული მისწრაფება თუ ჰქონდათ?

მოსაცლელი დარბაზი ბელუნიებით იყო გადაჭედილი. ყველგან უზომოდ ღრიანცელი გაისმოდა. სიბინძურის აღწერა კი შეუძლებელი იყო. გავიკითხე, სადგურის უფროსის ოთახი სად იყო და იქით გავემართე. სომეხი აღმოჩნდა. ვუთხარი, უცხოელი, უნივერსიტეტის პროფესორი ვარ, როგორმე მაგარებლის ბილეთი მიშოფე-მეთქი, რადგან რიგში ჩადგომა არ შეიძლებოდა იმის გამო, რომ რიგი საერთოდ არ არსებობდა და ხალხი გზას მუჯღუგუნებით მიიკვლევდა.

სადგურის უფროსი ძალიან გულკეთილი აღმოჩნდა, თავისი ხელქვეითი გაგზავნა და დაახლოებით თხუთმეტიოდე წუთში ბილეთი ხელთ მქონდა.

მაგარებელი ბაქანზე უკვე ჩამომდგარიყო. ჩემი ადგილი დავიკავე და უცბად შევამჩნიე, რომ ჩემს ბილეთს ერთი ფურცელი აკლდა. ტრიპოლში მაგარებლიდან ჩასვლას ვაპირებდი. შემდეგ გზა ავგობუსით უნდა განმეგრძო. სხვაგვარად, შესაძლოა, დამგვიანებოდა და მერე საიფადან პოლონეთისკენ მიმავალი გემისთვის ორი კვირა უნდა მეცადა. ავგობუსის ბილეთი არ აღმომაჩნდა, თუმცადა, სადგურის უფროსის ხელქვეითს საიმი-სოდ ფული მივეცი.

ისევ სადგურში დავბრუნდი. უფროსი ვერ ვიპოვე და პირდაპირ სალაროსკენ გავემართე. სალაროს მღვა ხალხი მიხვეოდა. ყველა რადაცას გაჰყვიროდა და ბილეთს ითხოვდა. მოლარე საშინელ დღეში იყო, ღრიანცელისგან, ალბათ, თავი უსკდებოდა. ოფისს გვერდითა კარიც ჰქონდა. კარის წინ ქანდარმი იდგა. კართან მივედი და შიგნით შესვლა დავაპირე, თან ქანდარმს ვითომ არც ვამჩნევდი. მან გამაჩერა და არაბულად მითხრა, შესვლა აკრძალულიაო. მე თავი ისე დავიჭირე, ვითომ ვერაფერი გავიგე და ფრანგულად ვუთხარი, რომ სადგურის უფროსისგან მოვდიოდი და აუცილებელი საქმე მქონდა მოსაგვარებელი. ქანდარმმა მე შემიშვა და კარი მიხურა. ის არაბები კი, რომლებიც ცდილობდნენ, რომ შიგნით შემომყოლოდნენ, ჯოხით გაყარა.

28. IX. ორშაბათი

შუალამე ახლოვდებოდა, როცა მაგარებელი დაიძრა.

კუპეში რამდენიმე მგზავრი იყო: ორი ბელუინი და ერთი ნესტორიანელი, რომელიც ძველ ასირიელ ღესპოგს ჰგავდა.

ბელუინებს ლამაზი კომბლები ჰქონდათ, კათოლიკე მღვდლების კვერთხს რომ ჰგავდა. ძალიან მინდოდა, რომ მეყიდა და ნესტორიანელს ვთხოვე, მათთვის ფასი ეკითხა.

„Mon vieux, – მიპასუხა მან, – il ne faut pas du tout parler avec eux, ce sont des

animaux”³⁴².

მაგარებელი ძალიან ნელა მიდიოდა, არადა უკვე აგვიანებდა. ჩავასწრებდი თუ არა? კუპეში უბერავდა, ამიგომ ფანჯრის დაკეცვას შევეცადე. თუმცა ამაოდ. ვერც ნესტორიანელი გახდა რამეს. „კონტროლიორს სთხოვეთ“, – მითხრა და ეშმაკურად გაიღიმა.

კონტროლიორი მოვიდა და მეც დახმარება ვთხოვე. „ამრი არა აქვს, – ჩაიბუზღუნა მან, – გგონიათ, თქვენზე ღონიერი ვარ?“

ნესტორიანელმა სმამალლა გაიცინა. „თავი ევროპაში სომ არ გგონიათ, – მითხრა მან, – იქ ხალხი თავაზიანია. ეს აზიაა, აზია!“ – მიზღივით გაიმეორა და ვივრძენი, რომ ევროპა ენაგრებოდა, – „თუ ამ პირუტყვებს დაემგზავრებით, – ბედუნიებზე მანიშნა, – მაგარებლიდან გადაგაგდებენ, ყელს გამოგჭრიან ან უღაბნოში ჩაგქოლავენ“.

მაგარებელი ერთ სადგურზე გაჩერდა. ნესტორიანელი და ბედუნიები ცოცხალი ჩავიდნენ. უეცრად ერთი არაბი ბიჭუნასთან ერთად კუპეში შემოვარდა. ბიჭმა ერთი ბედუნიის მოსასხამი ძირს ჩააგდო და მის ადგილზე დაჯდა. აღვშოთიდი. იმდენი თავისუფალი ადგილი იყო! „ეს ბიჭი ბოროტმოქმედად გაიმზღება“, – გავიფიქრე და მამამისს ვთხოვე, ბიჭუნას აღზრდისთვის მეგი ყურადღება მიექცია (თავად თუ იყო კარგად აღზრდილი?). მამამისი აყვირდა: „რა, ჩემი შვილი უფასოდ მგზავრობს? ბილეთი არა აქვს თუ, რა?“

მაშ, რადგან საფასური გადაიხადა, ყველაფრის ნება უნდა ჰქონოდა.

ნესტორიანელმა ყვირილი გაიგონა და შემოვიდა. არაბი მყისვე აღვა და ადგილი დაუთმო. არ იცოდა, ვინ იყო, მაგრამ მის მიმართ მეგი პატივისცემა გამოამჟღავნა. ნეგავ, რაგომ? ნესტორიანელს ჩემზე უკეთ არ ეცვა. სამაგიეროდ, მისი გარეგნობიდან ავგორიგეტულობა, ძლიერება, ყველა მათგანის მიმართ მოურიდებლობა და მიზლი გამოსჭვიოდა და ამიგომ პატივს სცემდნენ.

თუმცადა, ამგვარი ღესპოგიზმი და თავყანისცემა მხოლოდ ამ შორეულ უღაბნოში არ გვხვდება!

ავგობუსი გრიჰოლში გვიცდიდა. მხოლოდ იმის დროდა მქონდა, რომ სასტუმროში მივსულიყავი და ბარგი წამომეღო. ბეირუთის ავგობუსების გარაჟში როცა მივედი, საიფასკენ მიმავალი სახელმწიფო ავგობუსის გასვლამდე თხუთმეტი წუთიდა იყო დარჩენილი.

საიფას ასსამოცკილომეტრიანი გზა სიდონსა და გიროსს შორის ბღვის სანაპიროს მიუყვებოდა. ბედნიერი ვიყავი, რომ ყველაფერი ასე კარგად დამთავრდა. მხოლოდ იმაზე ვწუხდი, რომ ყაბარლოელს ვედარ შევხვდი. რაღას ვიზამდი? ჩერქეზების საკითხი ძალიან საინტერესოა და ერთ ღა-

342 „ჩემო კარგო, მაგათ საერთოდ ნუ დაელაპარაკებით. ეგენი პირუტყვები არიან“.

მეში, თანაც მაგარებელში, მისი შესწავლა შეუძლებელია. ნამდვილად ღირს, რომ კიდევ ერთხელ ჩამოვიდე აქ და ამ მნიშვნელოვან საკითხს მეტი დრო დავუთმო. მათ წინაშე დიდი, ახალი პერსპექტივაა და უნდა დავეხმაროთ. ერთ დროს, როცა ისინი ეგვიპტესა და მცირე აზიას განაგებდნენ, დიდი ამაგი დასდეს ქართულ კულტურას, რადგან ქართულ მონასტრებსა და ბერებს პაგრონობდნენ. ხელთა მაქვს უცნობი საბუთები, საიდანაც ჩანს, რომ მაჰმადიანი მამლუქები ქართულ მონასტრებს თანხებს სწირავდნენ.

ახლა კი ჩვენი ჯერია! ვისი? ჩვენი ემიგრაციის... ჩემი ფიქრების მდინარეა შევაჩერე. რა მშვენიერი, რა საოცარი იყო აქაურობა, თითქოს სამოთხეში მივემართებოდით. ხელმარჯვნივ მღვა მოჩანდა, ხელმარცხნივ – მთები, სოფლები და თვალწარმგაცი ბაღები. ყაბარდოელს კი აქედან ევროპის დიდ ქალაქებში უნდა გაქცევა, სადაც თითქმის ნახევარი წელიწადი ზამთარი, ყინვა და ნისლია, სხეულში, ფილგვებში რომ გვეჭრება, გვაჭლექებს, სულისა და ხასიათის უნაგიფეს ფერებს, ჩვენს ეროვნულ ფერებს, ჩვენი სამშობლოს ფერებს რომ გვართმევს...³⁴³

343 წიგნებს თავისი სვედრი აქვს. წმინდა მიწასა და სირიაში მოგზაურობის დღიური წმ. გრიგოლ ფერაპემ 1936 წლის 5 ივლისიდან 28 სექტემბრამდე დაწერა. აქამდე მხოლოდ მისი ფრაგმენტები იყო ცნობილი. ეს ფრაგმენტები გამოქვეყნდა ჟურნალში „Słowo“, თვით ავტორი საკუთარი მოღვაწეობის შემაჯამებელ სტაგიაში „ქართული კულტურის სამსახურში“ მხოლოდ ამ ჟურნალში გამოქვეყნებულ ფრაგმენტებს მოიხსენიებს. 2005 წლის დეკემბერში ბაგონმა გომამ კუპრიანოვიჩმა მითხრა, რომ ამ დღიურის გაგრძელება დაიბეჭდა 1939 წელს გამოცემულ ჟურნალში „Wiadomości Metropolii Prawosławnej w Polsce“ (მანამდე, დაახლოებით ოცი წლით ადრე, მე გადავხედე ამ ჟურნალის პირველ ნომრებს და დავასკენი, რომ წმ. გრიგოლ ფერაპეს იქ არაფერი გამოქვეყნებია). რთული აღმოჩნდა ჟურნალის „Wiadomości Metropolii Prawosławnej w Polsce“ სრული სერიის მიკვლევა. ძიება ბოლოს მაინც წარმატებით დავერგვინდა. მიუხედავად იმისა, რომ დღიური ნაკლულია (17 დღის მასალა აკლია, რომელიც, როგორც ჩანს, არასდროს გამოქვეყნებულა), იგი წარმოადგენს შესანიშნავ საბუთს, რომელსაც განუზომელი მნიშვნელობა აქვს საქართველოში ქრისტიანობის ისტორიის კვლევისა და წმინდა მიწის ისტორიისთვის. დღიურის სახელწოდება - „იერიქონის ვარღვაი“ - ჟურნალ „Wschód-Orient“-ის გამოქვეყნებული ნაწილის სქოლიოში აღმოვაჩინე, სადაც ეწერა, რომ სრული ტექსტი მალე ამ სახელწოდებით გამოქვეყნდებოდა. დღიური დაწერილია 1936 წელს, როცა მოგზაურობის დღიურების შედგენა ახალი გადასული იყო მოდიდან. აღსანიშნავია ავტორის შესანიშნავი სტილი, რაც მის დიდ ლიტერატურულ ტალანტზე მიუთითებს, აგრეთვე ინფორმაციისა და დეტალების სიმრავლე.

შენიშვნა, რომელსაც აღნიშნული აქვს (*) ვარსკვლავი ეკუთვნის გრიგოლ ფერაპეს, ყველა დანარჩენი [1-341] ჰენრიკ პაპროცკის მიერ არის მითითებული.

1926 წელს ჟურნალში „Der Orient“ აღწერილი ჩემი სწავლის პერიოდი გერმანიაში, ასევე ჩემი პროფესორები და მომავალი სამეცნიერო გეგმები¹. მას შემდეგ უკვე თითხმეგმა წელმა განვლო. ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა - განსაკუთრებით ბოლო წლებში - არა მხოლოდ კერძო პირთა, არამედ მთელი სახელმწიფოებისა და ხალხების ცხოვრებაშიც.

რას ნიშნავს ახლა სამეცნიერო გეგმები, რა ფასი აქვს კაბინეტში გამოკეტვას, რათა თავი შესწირო აბსტრაქტული პრობლემების გაშუქებას, რომლებიც უმეტესად კოლეგების მეგად ვიწრო წრეს აინტერესებს, მაშინ როცა ჩვენ ირგვლივ ცხოვრება, სავსეა საშინელი ისტორიული მოვლენებით, გადამწყვეტ გავლენას ახდენს ცალკეული ხალხების გადარჩენასა თუ გაქრობაზე. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენი პლანეტის მცხოვრებნი პასუხს აგებენ თავიანთი წინაპრების ცოდვებზე, თუმცა საბოლოო ანგარიშსწორების დღე ჯერაც არ დამდგარა.

ფიქრობ, ასეთი ვითარება ხელს არ უწყობს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. მეცნიერისათვის ხომ მშვიდი გარემო და შესაფერისი აგმოსფეროა აუცილებელი. სამაგიეროდ, ასეთი დრო სრულიად შესაფერისია ადრე შექმნილი ნაშრომების გადახედვისა და უკვე შესრულებული სამუშაოს თავმოყრისათვის. ამავე დროს, მომავლის გეგმებში საჭიროა განვლილ პერიოდში მომხდარი მოვლენების გათვალისწინებაც. ყოველი გარკვეული პერიოდის შემდეგ საკუთარი საქმიანობის შეჯამება ნამდვილად სასარგებლოა.

გერმანული მეცნიერების შესწავლა დავიწყე მისი აყვავების პერიოდში. ისეთი პიროვნებები, როგორებიც არიან ჰარნაკი² ჰოლი³ დაისმანი⁴, ბაუდი-

1 G. Peradze, *Die Ausbildungszeit unseres georgischen Theologen in Deutschland*, „Der Orient“, 8(1926), 5-6, გვ. 80-83 [= *O moich studiach w Niemczech*, „Pro Georgia“, 13(2006), გვ. 173-176 = ქართული კულტურის სამსახურში, „არგანუჯი“, 11(2003), გვ. 37-57.

2 ადოლფ ფონ ჰარნაკი (1851-1930), გერმანელი თეოლოგი, ეკლესიის ისტორიკოსი, პატროლოგი. ჰარნაკის კომენტარებით ივ. ჯავახიშვილმა გერმანულ ენაზე გამოსცა „ევესტაგე მცხეთელის მარტვილობა“.

3 კარლ ჰოლი (1866-1926), ლუთერანული ეკლესიის ისტორიკოსი.

4 ადოლფ დაისმანი (1866-1937), გერმანელი მეცნიერი, ფილოლოგი.

სინი⁵, გრესმანი⁶ გუსენი⁷ და ერჰარდი⁸, ყოველ თაობაში როდი იბადებიან, ისინი მრავალი თაობის სწრაფვისა და სულიერი ღვწის გვირგვინს წარმოადგენენ. ახლა რომ ვიწყებდე სწავლას, მათ დახმარებას სრულიად სხვაგვარად შევაფასებდი და გამოვიყენებდი, მაგრამ სინანული უკვე გვიანაა.

სიმართლე რომ ითქვას, მე არა ვარ თეოლოგი. არასოდეს ვანიჭებდი დიდ მნიშვნელობას წმინდა თეოლოგიურ მეცნიერებას. დოგმატიკას მხოლოდ იმიტომ ვსწავლობდი, რომ იძულებული ვიყავი – ამ საგანში ხომ შემდეგ გამოცდა უნდა ჩამებარებინა; ასევე არ მადლეებდა ქრისტიანული მსოფლმხედველობის პრობლემატიკა და სხვა რელიგიებთან თუ თანამედროვე სულიერ მიმდინარეობებთან მისი დაპირისპირება, ყოველივე ის, რაც ტერმინ აპოლოგეტიკით გამოიხატება; არასოდეს მიგრძენია წრეგადასული სიყვარული სისტემური თეოლოგიის მიმართ.

საქართველოს საეკლესიო ხელისუფლებას, რომელმაც 1921 წელს გერმანიაში გამაგზავნა თეოლოგიის შესასწავლად⁹, სურდა განსაკუთრებული ყურადღება დამეთმო აპოლოგეტიკისა და თანამედროვე სასულიერო მიმდინარეობებთან ქრისტიანთა კამათისათვის, განსაკუთრებით ათეიზმისათვის და ასევე ქრისტიანობის კონფრონტაციისათვის სოციალიზმსა და კომუნისტთან. მაგრამ გერმანიაში ერთი წლის ცხოვრების შემდეგ მივხვდი, რომ გული არ მიმიწევდა ამ სახის მეცნიერებებისაკენ. ადამიანი, რომელიც მაშინ მესმარებოდა თავისი რჩევებით და მამობრივ მზრუნველობას იჩენდა, იყო დოქტორი ლეფსიუსი¹⁰. ძირითადად ამან განაპირობა ჩემი დაინტერესება ბიბლიური და ისტორიული თეოლოგიითა და აღმოსავლური ენებით – ძველბერაულით, სირიულით, სომხურით. მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ მივუბრუნდი ქართული ეკლესიისა და ქრისტიანული ლიტერატურის ისტორიის კვლევას. ამ მიზნით გავეცანი იმდროინდელი სამეცნიერო მუშა-

5 ვოლფ ვილჰელმ გრაფ ფონ ბაულისინი (1847-1927), გერმანელი მეცნიერი, ბიბლიის ხელნაწერების აღიარებული მკვლევარი, ძველი აღთქმის სპეციალისტი.

6 ჰუგო გრესმანი (1877-1927), გერმანელი მეცნიერი, ბიბლიის ხელნაწერების აღიარებული მკვლევარი, ძველი აღთქმის სპეციალისტი.

7 ჰაინრიხ გუსენი (1863-1927), გერმანელი ორიენტალისტი, ბონის უნივერსიტეტის პროფესორი. შეად.: A. Baumstark, Heinrich Goussen, OC, 24:1927, გვ. 356360; H. Kaufhold, *Die Sammlung Goussen in der Universitätsbibliothek Bonn*, OC, 81(2007), გვ. 213-227.

8 ალბერტ იოსებ მარია ერჰარდი (1862-1940), გერმანელი კათოლიკე მღვდელი, ეკლესიისა და კულტურის ისტორიკოსი, პაგროლოგი და ზიზანგოლოგი.

9 შეად.: J. Lepsius, *Ein neues Band mit Georgien*, „Der Orient“, 4(1922), 1-2, გვ. 1-5.

10 იოჰანეს ლეფსიუსი (1858-1926), ცნობილი გერმანელი ევგეპტოლოგის კარლ ლეფსიუსის (1858-1926) შვილი. პასტორი, ევანგელიკური ეკლესიის მისიონერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. 1895 წ. დაარსა „დოიჩე ორიენტი მისიონი“ (Deutsche Orient-Mission), რომელიც გამოსცემდა ჟურნალ „Der Orient“-ს (1919-1936). იოჰანეს ლეფსიუსმა ხელი შეუწყო გრიგოლ ფერაპის 1921 წელს გერმანიაში სასწავლებლად ჩამოსვლას.

ობის მეთოდებს და საერთოდ მთელ ევროპაში ვსწავლობდი ყველაფერს, რაც შემდეგ დამეხმარებოდა საქართველოსთან დაკავშირებული პრობლემების კვლევაში.

ამგვარად, სამი წლის განმავლობაში ვსწავლობდი ბერლინში და ვცხოვრობდი პოგსდამში. კვირაში ერთხელ შემედლო მენახა ლოქტორი ლეფსიუსი, რომელიც პირადად მასწავლიდა სხვადასხვა თეოლოგიურ საგანს. დღემდე ნათლად მახსოვს თუ როგორ ვკითხულობდით ერთად იოანეს სახარებას. იოჰანეს ლეფსიუსს განსაკუთრებით უყვარდა სიყვარულისა და სულის მეოხი სახარება - იოანეს სახარების სიმბოლო ხომ არწივია. ლეფსიუსის მთელი მაღალკულტურული ცხოვრება სახარების გავლენით განვითარდა.

ქართული წიგნების ძიებისას გავიცანი პროფესორი ჰაინრიხ გუსენი. იგი უაღრესად მშვიდი ბუნების მეცნიერი იყო, ენების გენიოსი - სრულყოფილად ფლობდა არა მხოლოდ ინგლისურს, ფრანგულსა და რუსულს, არამედ აღმოსავლურ ენებსაც: სომხურს, ქართულს, კოპტურს, ეთიოპურს, არამეულს, სირიულს, იცოდა ასევე ლათინური და ბერძნულიც. ჰქონდა უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელიც სავსე იყო აღმოსავლური წიგნებით. ოქროს გულის მქონე, უაღრესად კულტურულ ადამიანს, სიკვდილამდე შერჩა სიყვარული და ნდობა ადამიანთა მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით განიცდიდა მათგან იმედგაცრუებას. მრავალი სხვა მეცნიერისაგან განსხვავებით, იგი არ იყო არც „წიგნების ჭია“ და არც მათი გულგაციებული ავტორი. წერაზე მეტად სიცოცხლეს აფასებდა, ამიტომ თავისი ცოდნის ამოუწურავი საგანძურიდან არცთუ ისე ბევრი რამ დაუგოვა შთამომავლობას, მაგრამ რაც დაწერა, საუკუნეებს გაუძლებს.

ბერლინიდან ბონში მასთან გავემგზავრე - ერთი სამყაროდან მეორეში და ამ მეორე სამყარომ ისე მიმიზიდა, რომ დიდხანს უკან აღარ გამოვბრუნებულვარ. იქ ყველაფერი ჩემთვის ახლობელი და კარგად ნაცნობი იყო. ქალაქის გარეუბნებში მშვენიერი გორაკები, რბილი კლიმატი და ბარაქიანი მიწები უფრო მეტად მომაგონებდა ჩემი სამშობლოს ბუნებას, ვიდრე ბერლინი და მისი შემოგარენი. იქაური ხალხიც უფრო გულდია და თბილი მომეჩვენა. ძალზე მომეწონა აგრეთვე ცხოვრება პაგარა საუნივერსიტეტო ქალაქში, სადაც ყველაფერი სასწავლებლის გარშემო გრიალებდა, მისთვის არსებობდა და სხვა არაფერი აინტერესებდა. აქ ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, რომ უნივერსიტეტი ყველაზე წინ და ყველაფერზე მაღლა იდგა. ასეთ ადგილას ძალიან მალე შეიძლება იგრძნო თავი როგორც საკუთარ სახლში. ადამიანი მალე ეჩვევა აქაურობას და შეუძლია მხოლოდ თავისი საქმიანობით შემოიფარგლოს.

ის, რაც მე ლოქტორმა ლეფსიუსმა ჩამაგონა, კიდევ უფრო გააძლიერა პროფესორმა გუსენმა. უკვე დრო იყო დამეწყო ქართულ თემატიკაზე მუშაობა. ჩემი ნაშრომის - „ქართული ბერძონაზნობის ისტორია მისი დასაწყისიდან 1065 წლამდე“ - საჭიროებიდან გამომდინარე, მან დიდსულოვნად

დამითმო მთელი თავისი ბიბლიოთეკა, ასევე უშურველად მესმარებოდა თავისი მდიდარი ცოდნა-გამოცდილებითაც. მისი მეოხებით გავიცანი ცნობილი მეცნიერი, ორიენტალისტთა მეფედ მიჩნეული პაულ პეეგერსი¹¹. სწორედ ამ ნაცნობობას, რომელიც შემდგომში პირად მეგობრობაში გადაიზარდა, ვუმაღლი ძალზე ბევრ შემოქმედებით იმპულსს.

ჩემი პირველი ნაშრომი, სამწუხაროდ, აქამდე სრულად არ დაბეჭდილა. პირველი განყოფილება - „ბერმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში“ გამოქვეყნდა ჟურნალში „Zeitschrift für Kirchengeschichte“¹². შუა ნაწილი დაბეჭდა ფრანგულმა ჟურნალმა „Revue d'Histoire Ecclésiastique“¹³ ხოლო დასკვნითი ნაწილი დაისტამბა ბერნში¹⁴ გამოშვალ „Internationale Kirchliche Zeitschrift“-ში. მთელი ნაშრომის ერთად დაბეჭდვის თაობაზე (თითქმის ცამეტი თავი) მოლაპარაკება მქონდა გამომცემლობა „ეკლესიის მამათა ბიბლიოთეკასთან“ (Verlag Kösel w Monachium)¹⁵. იქნებ ომის შემდგომ შევძლო ამ ნაშრომის გამოქვეყნება.

ვისბადენში სტუმრობისას, 1925 წლის შემოდგომაზე, უკანასკნელად ვნახე დოქტორი ლეუსიუსი¹⁶. იგი 1926 წლის თებერვალში გარდაიცვალა, მე კი თვის ბოლოს დავიცავი სადოქტორო დისერტაცია.

სწავლის დასრულებისა და დოქტორის ხარისხის მოპოვების შემდეგ, სახლში დაბრუნება და ეკლესიაში ან უნივერსიტეტში მუშაობის დაწყება მსურდა. ამ მიზნით განცხადება გავუგზავნე საბჭოთა საელჩოს. ვინაიდან პასუხი არ ჩანდა, გერმანიის აღმოსავლეთის მისიის იმდროინდელი დირექტორის წინადადებით, სამეცნიერო მივლინებით ბელგიაში გავემგზავრე, რათა გარკვეული ხნით შემუშავა ისეთ გამოჩენილ ქართველოლოგთან, როგორც იყო ბოლანდისტი პაულ პეეგერსი. მას 1926

11 პაულ პეეგერსი (1870-1950), ბელგიელი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, ქართველოლოგი. შუად.: P. Devos, *Le R. P. Paul Peeters*, Bruxelles, 1951.

12 G. Peradze, *Die Anfänge des Mönchtums in Georgien*, „Zeitschrift für Kirchengeschichte“, 46(1927), 1, გვ. 34-75; ცალკე გამოცემა: *Gotha*, 1927, Fr. A. Perthes, გვ. 41+3 nbl.[= *Początki monastycyzmu w Gruzji*, „Pro Georgia“, 17(2008), გვ. 7-43= ბერმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში, წმ. გრიგოლ ფერაპე, თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი, ვარშავა, 2012, გვ. 89-163.

13 G. Peradze, *L'activité littéraire des moines géorgiens au monastère d'Iviron au mont Athos*, RHE, 23(1927), 3, გვ. 530-539 = *Aktywność literacka mnichów gruzińskich w monasterze Iwiron na Górze Atos*, „Pro Georgia“, 17(2008), გვ. 45-56 = *Dziela zebrane, O monastycyzmie gruzińskim, O Liturgii gruzińskiej*, გვ. 117-127].

14 G. Peradze, *Über das georgischen Mönchtum*, IKZ, 34(1926), Neue Folge, 16, 3(135), გვ. 152-168 [= *O monastycyzmie gruzińskim*, „Pro Georgia“, 17(2008), გვ. 77-90; Św. Grzegorz Peradze, *Dziela zebrane, O monastycyzmie gruzińskim, O Liturgii gruzińskiej*, ed. Henryk Paprocki, t. I, გვ. 129-142].

15 1936 წლის 29 იანვრის წერილი გამომცემლობიდან.

16 გრიგოლ ფერაპემ მიუძღვნა მას ცალკე გამოქვეყნებული ნაშრომი: *Dem Andenken von D. Johannes Lepsius*, ib. G. Peradze, *Die Anfänge des Monchtums in Georgien*, Gotha, 1927, გვ. 3.

წლის შობის არდადეგების დროს შეეხვდი ბრიუსელში. განზრახული მქონდა აგრეთვე გარკვეული დრო დამეთმო კათოლიკური თეოლოგიის შესწავლისათვის ლუვენის ცნობილ ძველ უნივერსიტეტში. ბელგიაში წელიწადზე ოდნავ მეტი დრო დაფყავი - 1926 წლიდან 1927 წლის აპრილამდე. ვსწალობდი ძველ ქართულ წიგნებს ბოლანდისტების მდიდარ ბიბლიოთეკაში, პეეტერსთან ვსაუბრობდი ქართული ჰაგიოგრაფიისა და ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხებზე. იქვე მოვამზადე დასაბეჭდად ზემოთ ნახსენები სამეცნიერო ნაშრომიც. ჩვენი ერთობლივი განხილვისა და კამათის შედეგად იშვა ორი ნაშრომი: ერთი პეეტერსის - „L'église géorgienne du Clibanion au Mont Admirable"¹⁷ მეორე კი ჩემი - „Die Probleme der ältesten Kirchengeschichte Georgiens"¹⁸.

პაპი ლეონ XIII-ის ცნობილი ბულის შემდეგ, რომელიც კრძალავდა სქოლასტიკური ფილოსოფიის შესწავლას, ლუვენის უნივერსიტეტში განსაკუთრებული ინტერესით შეუდგა ისეთი სახელგანთქმული ფილოსოფოს-სქოლასტიკოსის მემკვიდრეობის გაცნობას, როგორც იყო თომა აკვინელი. აქ არსებობდა სემინარია, რომელიც ამ პრობლემებზე მუშაობდა. ამრიგად, შესაძლებლობა მომეცა გავცნობოდი ფილოსოფიის ამ მიმართულებას, მაგრამ ამროვნების სქოლასტიკური მეთოდი ჩემთვის საკმაოდ უცხო აღმოჩნდა. მას მცირე რამ ჰქონდა საერთო ჩემს მომავალ გეგმებთან, ამიტომ მის ნაცვლად ეკლესიის ისტორიის, პაგროლოგიისა და ორიენტალისტიკის შესწავლა დავიწყე. გარდა ამისა, შევუდექი ფრანგული ენის, ფრანგული ლიტერატურის და ფლამანდიური ხელოვნების შესწავლასაც. აქ ყოფნისას, როგორც სტუდენტმა, ძალიან ბევრი ვიმოგზაურე ამ ქვეყანაში და დავათვალიერე ბევრი ქალაქი, მათი მშენებნიერი ხელოვნების გალერეები, ეკლესიები, მონასტრები.

1927 წლის აპრილის ბოლოს ბელგიიდან ინგლისში გავემგზავრე, რათა ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმსა და, უწინარეს ყოვლისა, ბოდლეანში¹⁹ (ოქსფორდის ცნობილ ბიბლიოთეკაში) გავცნობოდი იქ შემონახულ ხელნაწერებს. სამწუხაროდ, დიდხანს დარჩენა არ შემეძლო - ბონში პროფესორ გუსენის გარდაცვალების შემდეგ (1927 წლის აპრილი) აღმოსავლეთის სემინარიამ მისი ადგილის დაკავება შემომთავაზა. ვფიქრობ, მთელ გერ-

17 პ. პეეტერს, *L'église géorgienne du Clibanion au Mont Admirable*, ABol, 46(1928), 3-4, გვ. 241-286.

18 1932 წლის 24 მაისს ფრანგულ ენაზე წაკითხული, გამოქვეყნებული გრიგოლ ფერაძის მიერ: G. Peradze, *Die Probleme der ältesten Kirchengeschichte Georgiens*, OC, 29(1932), 3 Serie, Bd. 7: Festschrift Anton Baumstark zum 70. Geburtstag, გვ. 153-171; რეცენზია: O. G. von Wesendonk, „Völkische Kultur“, 1933, 5, გვ. 89-93.

19 ბოდლეის ბიბლიოთეკა (*Bodleian Library*) ოქსფორდის უნივერსიტეტში ამავე უნივერსიტეტის პროფესორმა და დიპლომატმა თომას ბოდლემ 1598 წელს დაარსა. მან ბიბლიოთეკას თავისი ქონების დიდი ნაწილი შესწირა.

მანიაში ვერ მოიძებნებოდა ერთი მეცნიერეიც კი, რომელიც მას თუნდაც ნაწილობრივ მაინც შეეცვლიდა. პეეტერსის გარდა არ მეგულებოდა სხვა ვინმე, ვინც მასავით იქნებოდა დაუფლებული ყველა აღმოსავლურ ქრისტიანულ ენას. მე ლექციები უნდა წამეკითხა მხოლოდ ძველი სომხური და ძველი ქართული ენების შესახებ. ისევ არ ჩანდა ჩემი განცხადების პასუხი საბჭოთა საელჩოდან, მე კი მსურდა რაიმე მოკრძალებული სამეცნიერო თანამდებობა მაინც დამეჭირა, სადაც ჩემთვის საინტერესო პრობლემებზე დაუბრკოლებლად მუშაობას შევძლებდი. მივხვდი იმასაც, რომ სულიერად და მეცნიერულად თავის სამშობლოსთან დაკავშირებულ ადამიანს მისი კულტურის პოპულარიზაციისათვის უფრო მეტის გაკეთება შეეძლო, თუ ის სამღვარგარეთ იმუშავებდა.

ბონში ყველაზე ხელსაყრელი პირობები იყო ჩემი მიზნების მისაღწევად. პროფესორ გუსენის ბიბლიოთეკა, რომელიც მან კოლონიის კარდინალს უანდერბა, ოცდაათი წლით გადაეცა ბონის უნივერსიტეტს, სადაც ყოველთვის იყო ქართული და სომხური ენებით დაინტერესებული რამდენიმე ადამიანი. მაშინ რომ უფრო გამოცდილი ვყოფილიყავი, ან ვინმეს ერჩია ჩემთვის, შემეძლო ამ მოლაპარაკების პროცესში სამეცნიერო შვებულების ან სტიპენდიის მიღებისთვისაც მიმეღწია. იმ დროს მაგერიალურად უზრუნველყოფილი ვიყავი. მუშაობის გაგრძელება უსაყვარლესი მასწავლებლის შემდეგ, მისი სამეცნიერო გეგმებისა და ამოცანების შესრულება ჩემთვის უდიდესი პატივი იყო. ამიგომ წინადადებაზე დადებითად ვუპასუხე. ივნისის ბოლოს ყველა საჭირო ფორმალობის შესასრულებლად ბონში უნდა გამოეცხადებულიყავი.

1927 წლის აგვისტოში ლომანაში გაიმართა მსოფლიო კონფერენცია თემაზე: „რწმენა და საეკლესიო წყობა“, რომელზეც მიმიწვიეს როგორც ქართული ეკლესიის წარმომადგენელი. კონფერენციასთან დაკავშირებული ჩემი საქმიანობის შესახებ და ასევე ჩემი მოხსენება ნაწილობრივ უკვე დავბეჭდე ქურნალ „Der Orient“-ის ფურცლებზე²⁰.

ბონში 1932 წლის აპრილამდე დავრჩი. აღმოსავლეთის სემინარია პროფესორ პაულ კალეს²¹ ხელმძღვანელობით აღმავლობას განიცდიდა. აქ მსოფლიოს თითქმის ყველა კულტურული ენა ისწავლებოდა.

მისი ბიბლიოთეკა ყოველდღიურად მდიდრდებოდა, ამერიკიდანაც კი უგზავნიდნენ ხელნაწერებს გამოკვლევებისათვის. მაშინ სემინარიაში ლექციებს კითხულობდა ლიგურგიკული ტექსტების ცნობილი მკვლევარი, პროფესორი ანტონ ბაუმშტარკი²². მისი ინიციატივითა და თანამშრომლო-

20 G. Peradze, *Die Weltkonferenz in Lausanne für Glauben und Kirchenverfassung*, „Der Orient“, 9(1927), 9-10, გვ. 106-108. *Rede Dr. Gregor Peradses (Georgische Kirche) auf der Konferenz zu Lausanne*, „Der Orient“, 9(1927), 9-10, გვ. 108-109.

21 პაულ ერნესტ კალე (1875-1964), გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე და ფილოლოგი.

22 ანტონ ბაუმშტარკი (1872-1948), გერმანელი თეოლოგი, ლიგურგიკის ისტორიკოსი.

ბით შეიქმნა ჩვენი ერთობლივი ნაშრომი: „Die Weihnachtsfeier Jerusalems im siebten Jahrhundert”²³ და ორი ნაშრომიც ლიგურგიის ისტორიის სფეროდან: „Zur vorbyzantinischen Liturgie Georgiens”²⁴ და „Es monuments liturgiques prebyzantins en langue georgienne”²⁵ და კიდევ ერთი - „Die altgeorgische Literatur und ihre Probleme”²⁶.

მეცნიერული მუშაობისას მხარში დგომისათვის გულწფელ მადლობას ვუხდით ასევე მღვდელს, პროფესორ ერჰარდს, ცნობილ პაგროლოგსა და ბიზანტოლოგს. მისი წყალობით დაეწერე ნაშრომი - „Die altchristliche Literatur in der georgischen Überlieferung”²⁷. განსაკუთრებით მჭიდრო მეცნიერული კავშირები მქონდა კათოლიკური თეოლოგიის განყოფილების ახალი აღთქმის მკვლევართან, პროფესორ ჰაინრიხ ბოგელსთან²⁸. პროფესორმა თავისი მეცნიერული ცხოვრება შესწირა „Diatessaronu”-ს²⁹ პრობლემის კვლევას. მისი შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახარების ტექსტების რეკონსტრუქციის, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავდაპირველი ფორმის დაბრუნებისათვის. სახარებისადმი სიყვარული, სახარებისეული ტექსტე-

23 A. Baumstark & G. Peradze, *Die Weihnachtsfeier Jerusalems im siebten Jahrhundert*. (Übersetzung nach Kekelidze, *Ijerusalimskij Kanonar’ VII veka*, გფილისი, 1912, გვ. 43-49), OC, 23(1927), 3 Serie, Bd. 1, გვ. 310-318; *Dziela zebrane, O monastycyzmie gruzińskim, O Liturgii gruzińskiej*, გვ. 195-202.

24 წაკითხული 1928 წლის 25 აგვისტოს ბონში აღმოსავლეთმცოდნეობის V კონფერენციაზე. ასევე: G. Peradze, *Zur vorbyzantinischen Liturgie Georgiens*, „Muséon”, 42(1929), 2, გვ. 90-99. [Résumé:] „Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft”, 82(1928), Neue Folge, 7, გვ. „XXXVII. [= *O przedbizantyjskiej liturgii gruzińskiej*], „Pro Georgia”, 13(2006), გვ. 180-184; *Dziela zebrane, O monastycyzmie gruzińskim, O Liturgii gruzińskiej*, გვ. 175-181.

25 წაკითხული ფრანგულ ენაზე ოქსფორდში 1932 წლის 6 მაისს, გამოქვეყნებული: G. Peradze, *Les monuments liturgiques prebyzantins en langue georgiens*, „Muséon”, 45(1932), 4, გვ. 255-272. [*Przedbizantyjskie zabytki liturgiczne w języku gruzińskim*, „Pro Georgia”, 13(2006), გვ. 125-137; *Dziela zebrane, O monastycyzmie gruzińskim, O Liturgii gruzińskiej*, გვ. 183-194]. რეცენზია: S. Kuryłowicz, „Elpis”, 7(1933), 1, გვ. 210-212.

26 G. Peradze, *Die altgeorgische Literatur und ihre Probleme*, OC, 24(1927), 3 Serie, Bd. 2, გვ. 205-222.

27 G. Peradze, *Die alt-georgische Literatur in der georgischen Überlieferung*. [A] – OC, 25-26(1928-1929), 3 Serie, Bd. 3-4, გვ. 109-116. [B-D] – Bd. 3-4, გვ. 282-288. [E-G] – 27(1930), 3 Serie, Bd. 5, გვ. 80-98. [H-I/J] – Bd. 5, გვ. 232-236. [Johannes Chrysostomus] – 28(1931), 3 Serie, Bd. 6, გვ. 97-107. [Johannes von Damascus-Joseph von Arimathea] – Bd. 6, გვ. 240-244. [Josephus Flavius-Lukianos] – 30(1933), 3 Serie, Bd. 8, გვ. 86-92. [M-Z] – Bd. 8, გვ. 180-198.

28 ჰაინრიხ ფოგელი (1880-1972), გერმანელი მეცნიერი, ბიბლიის ხელნაწერების აღიარებული მკვლევარი, ახალი აღთქმის სპეციალისტი

29 ღიათესარონი (ბერძ. „To Dia Tessaron Euangelion” – „ოთხთა სახარება“), ოთხი სახარების ტექსტი ერთ უწყვეტ თხრობად დალაგებული მეორე საუკუნის ქრისტიანი აპოლოგეტის ტაციანის მიერ. იხ. *Apologia*, იხ. *Pierwsi apologetci greccy. Kwadratus, Arystydes z Aten, Aryston z Pelli, Justyn Męczennik, Tacjan Syryjczyk, Micjades, Apolinary z Hierapolis, Teofil z Antiochii, Hermiasz. ks. Leszek Misiarczyk* (თარგმანი, შესავალი, კომენტარები), მამა იუფუფ ნაუმოვიჩი (ტექსტის დამუშავება). კრაკოვი, 2004, გვ. 501, სერია: Biblioteka Ojców Kościoła 24.

ბისა და ასევე იესოს ცხოვრების შესწავლისადმი ინტერესი ჯერ კიდევ დოქტორმა ლეფსიუსმა შთამაგონა პოცდამში. მას ხომ დიდი წვლილი აქვს შეტანილი ამ საქმეში.

ბონში ქრისტიანული აღმოსავლეთის სფეროში ჩემი დისერტაციის თემად შევარჩიე მარკომის სახარების ქართული ტექსტები. ჯერ კიდევ ადრე, პროფესორ გუსენთან კონტაქტების მეოხებით შევძელი მარკომის ტექსტების იშვიათი ეგზემპლარების მოპოვება, რომლებიც თარიღდებოდა 913 და 995 წლებით. პროფესორმა კალემ ლენინგრადიდან დაბრუნების შემდეგ აღმოსავლეთის სემინარიისათვის ჩამოიგანა სახარების ყველაზე ძველი ქართული ტექსტის ფოტოლითოგრაფია; იგი 897 წლით თარიღდებოდა³⁰. მარკომის სახარების Codex Vaticanus-ში დაბეჭდვის შემდეგ დავიწყე ქართულ ტექსტთან შედარების ერთობ მძიმე და მოსაწყენი შრომა.

პროფესორ ბაუმშტარკის სემინარებზე მრავალი წლის განმავლობაში ვსწავლობდი აღმოსავლურ (არაბულ, სირიულ, ქართულ, სომხურ, ეთიოპურ და კოპტურ) ენებზე სახარების თარგმნის პრობლემებს და ასევე ტექსტების კრიტიკულ შინაარსს. ბაუმშტარკის გამოკვლევა სახარების³¹ ქართული ტექსტების შესახებ ჩვენი ერთობლივი ნაშრომის შესავალივით მოგვევლინა. სახარების ქართულად თარგმნის პრობლემის განმამოგადებელი, საკუთარი კვლევის შედეგები წარვეუდგინე 1930 წელს ვენაში გამართულ ორიენტალისტთა VI გერმანულ კონფერენციას³². ამ ნაშრომის წყალობით, რომელიც მცირე ხნის შემდეგ გამოქვეყნდა კიდევ, გავეცანი ქართველოლოგიისა და ორიენტალისტიკის, ასევე შედარებითი ფილოლოგიის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენელს, გენიალურ მკვლევარს, პროფესორ ნიკო მარს³³. ჩვენი მოკრძალებული მეცნიერული კონტაქტები შემდგომ თანდათან მჭიდრო ურთიერთობაში გადაიზარდა. პროფესორი მარი 1931 წლის დასაწყისში მცირე ხნით ჩამოვიდა ბონში. მას განზრახული ჰქონდა პირადად გასცნობოდა ბონის უნივერსიტეტის ქართულ-სომხური განყოფილების შრომებს. მაშინ შემომთავაზა მის ასისტენტად ლენინგრადში გადასვლა, მაგრამ თავში სულ

30 (*) 1916 წელს გამოიცა მოსკოვში [ადიშის სახარება. *Адическое евангелие*, ექვთიმე თაყაიშვილის შესავალი წერილით, მოსკოვი, 1916 (= *Материалы по Археологии Кавказа*, Выпуск 14).

31 OC, 25(1930), გვ. 117-124.

32 (*) G. Peradze, *Die Probleme der georgischen Evangelienubersetzung*, „Zeitschrift für die Neutestamentliche Wissenschaft und die Kunde der älteren Kirche“, 29(1930), Bd. 3-4, გვ. 304-309. რეზიუმე: „Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft“, 84(1930), Neue Folge, 9, გვ. 94-95.

რეზიუმე: A. Baumstark, OC, 25-26(1928-1929), 3 Serie, გვ. 117-124; H. Gerstinger, „Byzantion“, 5(1929-1930), 1, გვ. 426-427; A. Bertram, „Theologische Blätter“, 9(1930), გვ. 213.

33 ნიკო მარი (1865-1934), ენათმეცნიერი, ფილოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე და არქეოლოგი, რუსეთის აკადემიის ნამდვილი წევრი (1912). მარმა წამოაყენა თეორია, რომ ქართული ენათესავება სემიტურ ენებს და ქართველურ ენებს იაფეგური ენები უწოდა. იხ. შ. ძიმიგური, ნიკო მარი – ქართული კულტურის მკვლევარი, თბილისი 1965.

სხვა ჩანაწერი მიგრიალებდა. მძიმე ავადმყოფობა მქონდა გადაგანილი და გადავწყვიტე პარიზში წავსულიყავი, რათა იქაურ ქართველ ემიგრანტთა შორის სასულიერო მოღვაწეობა წამომეწყო. პროფესორი მარი ძალიან ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ ამგვარი გადაწყვეტილება დიდად ავნებდა ჩემს სწავლასა და სამომავლო გეგმებს. გამიზიარა ქართულ ემიგრაციასთან ურთიერთობის საკუთარი გამოცდილება. სამწუხაროდ, მაშინ კარგად არ ვიცნობდი ჩვენს ემიგრაციას და მისი დასკვნები წმინდა თეორიულ მსჯელობად მეჩვენებოდა. ამიგომაც მყარად ვიდექი ჩემს პოზიციამე, რითაც მისი მეგობრობაც და მხარდაჭერაც დაეკარგე. ჩაწერილი მაქვს ჩვენი მაშინდელი საუბარი და ოდესმე ალბათ გამოვაქვეყნებ.

გარდა იმ ანგარიშისა და მოკლე სტატიისა „Orientalische Literatur-Zeitung“-ში³⁴, სახარების ქართული ვერსიების თემაზე და მისი გაციანის „Diatessaron“-ის მსგავსებაზე ორსაათიანი მოხსენება წავიკითხე ოქსფორდში 1932 წლის 11 თუ 13 მაისს³⁵ ეს ხელნაწერი არ გამომიქვეყნებია, ვინაიდან მისი კიდევ უფრო გაფართოება მინდოდა. იგი ჩემი მრავალწლიანი დაძაბული მუშაობის შედეგია და კვლავ დაფუძრუნდებოდა, რათა საბოლოოდ მოემზადებინა დასაბუქლად, მაგრამ ეს აქამდე ვერ მოვახერხე.

ამასობაში მარკომისეულ და მათესეულ სახარებათა ქართული ტექსტები გამოქვეყნდა ბლეიკის³⁶ „Patrologia Orientalis“-ში. ბლეიკი იძლევა ქართულ ტექსტს ლათინურ თარგმანთან ერთად³⁷. ასევე მინდოდა ამ ტექსტების გადამუშავებული ვარიანტების გამოქვეყნებაც. ვფლობ ერთი ხელნაწერით მეგს, ვიდრე ბლეიკი (კერძოდ, 936 წლის ჯრუჭის სახარებას)³⁸. ომამდე მცირე ხნით ადრე (1939 წელს) მოლაპარაკება გავმართე ჟურნალ „Biblica“-ს (რომი) რედაქციასთან³⁹. თავიდან განზრახული მქონდა ერთად გამოქვეყნებინა

34 G. Peradze, [რეცენზია:] G. Cuendet, *L'ordre des mots dans le texte grec et dans les version gothique, armenienne et vieux-slave des evangiles. Premi`ere partie: Les groups nominaux. Collection linguistique publiee par la Societe de Linguistique de Paris* 26, Paris 1929, „Orientalische Literatur-Zeitung“, 34(1931), 5, გვ. 455.

35 „Oxford University Gazette“, 62(1932), 1932 წლის 27 აპრილის, № 1999, გვ. 489

36 რობერტ პირპონტ ბლეიკი (1886-1950) ამერიკელი ბიზანტოლოგი, ქართველოლოგი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, ნიკო მარის მოწაფე.

37 (*) R. P. Blake, *The old georgian version of the Gospel of Mark*, Paris, 1928 (= Patrologia Orientalis, 20/3); იხ. აგრეთვე: *The old georgian version of the Gospel of Matthew*, Paris, 1933 (= Patrologia Orientalis, 24/1).

38 ქართული სახარების ხელნაწერები დოქტორ თეოდორ კლუგეს მიერ იქნა გადაღებული ფოტო ასლები პრუსიის სამეცნიერო აკადემიისათვის. იხ: პრუსიის სამეცნიერო აკადემიის ანგარიში (ბერლინი, 1911), XV, გვ. 360-370. [= Th. Kluge, *Abhandlungen der Preussischen Akademie der Wissenschaften*, Phil.-hist. Klasse, 1911, გვ. 368-370].

39 ამ ჟურნალის დირექტია 1939 წლის 24 ივნისის დაითანხმეს წერილით, რომ გადაიღონ ამ გრაქტაგის ფოტო ასლი. ხელნაწერის გამოგზავნის დრო 1939 წლის 15 ოქტომბერი იყო.

ჯრუჭის მარკომის გექსგსა და სხვა ვერსიებს შორის განსხვავებები, მაგრამ მალე ომიც დაიწყო.

ბონში ცხოვრებისას, 1930 წელს დავათვალაიერე ძველი ქართული ხელოვნების გამოფენა ბერლინში. ამის შესახებ წერილიც დავებჭდე ჟურნალში „Der Orient“⁴⁰. ბონში ჩემი მუშაობის პერიოდში ჩაგარდა ორიენტალისტიკის V და VI გერმანული კონფერენციები - 1928 წელს ბონში, ხოლო 1930 წელს ვენაში. მე ორივეგან მივიღე მონაწილეობა. ბონში ვილაპარაკე საქართველოს წინაბიზანტიური ლიგურგიკის⁴¹ ვენაში კი სახარების ქართული თარგმანების პრობლემატიკის შესახებ⁴². ბონის ყრილობის ბოლო დღეს, 1928 წლის 25 აგვისტოს V სექციის (ქრისტიანული აღმოსავლეთი) მონაწილეებმა შემდეგი დადგენილება მიიღეს: ძველი ქართულის, მისი ჯერ კიდევ წინარებიზანტიური ლიგურაგურის ძეგლებისა და ლიგურგიული გექსგების მნიშვნელობიდან გამომდინარე, გერმანული ორიენტალისტიკური კონფერენციის სექცია ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას განსაკუთრებული მზრუნველობით მოვეკიდოთ ქართული კულტურის შესწავლის საქმეს⁴³.

რემოლუცია გადაეგზავნა პრუსიის კულტურის მინისტრს (მაშინ მინისტრად მუშაობდა ორიენტალისტი ბეკერი⁴⁴, რომელსაც მანამდე ბონში პროფესორის თანამდებობა ეკავა). ეს იყო უდავოდ დიდი წარმატება გერმანიაში ქართული კულტურის შესწავლის საქმეში, რის უშუალო გამოხატულებაც იქცა ძველი ქართული ფილოლოგიის კათედრის დაარსება⁴⁵.

ვენაში ორიენტალისტიკების ყრილობის დასრულების შემდეგ გავემგზავრე გრაცში, რათა გავცნობოდი მდიდრულ ქართულ კოლექციას, რომე-

40 G. Peradze, *Zur Ausstellung der georgischen Kunst*, „Der Orient“, 12(1930), 4, გვ. 120-122.

41 იხილე სქოლიო ნომერი 11.

42 იხილე სქოლიო ნომერი 17.

43 „Zeitschrift der Deutschen Morgenlandischen Gesellschaft“, Neue Folge Band 7 (82), Seite XLV (Leipzig, 1928).

44 კარლ ჰაინრიხ ბეკერი (1876-1933), გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე.

45 ახალი ქართული ფილოლოგიის კათედრა დიდი ხანია არსებობს ბერლინის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სემინარზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქართული ენისა და თანამედროვე ლიგურაგურის საუკეთესო სპეციალისტი პროფესორი რიჩარდ მაკელაინი. რაც შეეხება გრიგოლ ფერაძეს, „ძველი ქართული ფილოლოგიის კათედრას“ შეიძლება მხედველობაში ჰქონდა მისიელ წერეთელის ბერლინის უნივერსიტეტის „აღმოსავლეთი ენების სემინარი“ (1936 წლიდან „გერმანიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი“. შეადარე: ბერლინის უნივერსიტეტი. Personalverzeichnis 125. Rektorsjahr 1934/35, გვ. 109; ლექციები „აღმოსავლეთი ენების სემინარზე“: რიჩარდ მაკელაინი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი (სამხრეთი სლავების, ქართულის, პოლონურისა და ესპანური ენების) მასწავლებელი. მისიელ წერეთელი (1878-1965) ფილოლოგიის დოქტორი, (ძველი ქართული ენის) პროფესორი. შეადარე: K. Salia, *80^e anniversaire du Prof. M. Tseretheli*, „Bedi Kartlisa“, 4-5(1958), გვ. 9-13 აგრეთვე Michel Tsereteli (1878-1965), „Bedi Kartlisa“, 19-20(1965), გვ. 7-13

ლიც ეკუთვნოდა 1927 წელს გარდაცვლილ ცნობილ ლინგვისტს – ჰუგო შუჰარდტს⁴⁶. ეს კოლექცია ახლა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება. ბიბლიოთეკის დირექციის თხოვნით მაშინ მოვაწესრიგე დაბეჭდილი ქართული წიგნების კატალოგი. მე უპირველეს ყოვლისა მაინც ქართული ხელნაწერები მაინტერესებდა, განსაკუთრებით იაკობის საგალობლის ქართული ვერსია, რომელიც შემდგომ გამოვაქვეყნე ფრანგულ ენაზე⁴⁷.

ბონის პერიოდს მიეკუთვნება ასევე ნარკვევი საქართველოს კულტურის ისტორიიდან - „Der Heilige Georg im Leben und in der Frömmigkeit des georgischen Volkes“⁴⁸, „Das Mönchtum in der orientalischen Kirche“⁴⁹, და „Das Monchtum in der georgischen Kirche“⁵⁰ გარდა ამისა, წერილი „საქართველო“ პროტესტანტული თეოლოგიური და რელიგიათმცოდნეობის ენციკლობედიისათვის⁵¹ რამდენიმე რეცენზია⁵² ქართული კულტურის ისტორიის სხვადასხვა საკითხზე⁵³.

46 ჰუგო ერნესტ მაროი შუჰარდტი (1842-1927), გერმანელი ენათმეცნიერი, ბასკოლოგი. იხ. *Cartas a Schuchardt. La correspondencia inédita de los folkloristas y otros intelectuales españoles con el romanista y lingüista Hugo Schuchardt*. Sevilla: Fundación Machado, 1996.

47 ქართულიდან თარგმნილი: *Liturgia sancti et omnilaudati Apostoli Petri*, [იხ:] H. W. Codrington, *The Liturgy of Saint Peter*, Liturgiegeschichtliche Quellen und Forschungen, Heft 30, Munster in Westfalen, 1936, გვ. 156-163 = *Liturgia św. Piotra Apostola, Dziela zebrane, O monastycyzmie gruzińskim, O Liturgii gruzińskiej*, გვ. 211-218].

48 G. Peradze, *Skizzen zur Kulturgeschichte Georgiens. 1. Der Heilige Georg im Leben und in der Frömmigkeit des georgischen Volkes (ein religionsgeschichtlicher Versuch)*, „Der Orient“, 12(1930), 2, გვ. 45-52 [*Szkice z historii kultury gruzińskiej. „Pro Georgia”*, 17(2008), გვ. 57-76 = *Dziela zebrane, O monastycyzmie gruzińskim, O Liturgii gruzińskiej*, გვ. 143-147].

49 G. Peradze, *Skizzen zur Kulturgeschichte Georgiens. 2. Das Monchtum in der orientalischen Kirche*, „Der Orient“, 12(1930), 3, გვ. 85-89. [ი. რუკერმა განიხილა „Ierusbblatt“-ში (ბავარიის ეპარქიის მღვდელთა ორგანო), ტომი 17 (Eichstatt, 1936) 49, გვ. 909 და ნსს., რვეული, ჟურნალი და სტატია „Der orientalische Monchtum. Eine Betrachtung von Prof. Dr. Georg Peradze (Warschau)“; აქ იგულისხმება ქართველი მეცნიერი, მღვდელი მიხეილ თარხნიშვილი (1897-1958); G. Garitte, „Museum“, 71(1958), გვ. 397-399; იულიუს ასფალგი, „Bedi Kartlisa“ 6-7(1959), გვ. 56-64 (ბიბლიოგრაფია); ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის ფონდი ი. უგურაშვილის გამოცემა, ტომი 1: მიხეილ თარხნიშვილი, წერილები, თბილისი 1994, გვ. 9-39 (ბიოგრაფია), გვ. 539-543.

50 G. Peradze, *Skizzen zur Kulturgeschichte Georgiens. 3. Das Monchtum in der georgischen Kirche*, „Der Orient“, 12(1930), 6, გვ. 178-182.

51 G. Peradze, *Georgien, Die Religion in Geschichte und Gegenwart. Handwörterbuch für Theologie und Religionswissenschaft*, Tübingen, 1927, Verlag von J.C.B. Mohr (Paul Siebeck), t. II, 1031-1033. [აგრეთვე: *Faustus von Byzanz*, t. II, 529].

52 (*) G. Peradze, [რეცენზია:] K. Kekelidze, *Die Bekehrung Georgiens zum Christentum*, Leipzig 1928, „Der Orient“, 11(1929), 5, გვ. 162-164. [ასევე:] „Zeitschrift der Deutschen Morgenlandischen Gesellschaft“, 49(1930), Neue Folge, 12, გვ. 95-99. ასეთივე რეცენზია დაიბეჭდა „Orient“-ში [ტომი 11] 5(1929), გვ. 162-164

53 (*) აქვე მომყავს ვრცელი წერილი ქართული კვლევის მნიშვნელობაზე, რომელიც ჩემი თხო-

როგორც ბემოთ აღენიშნე, 1932 წლის 1 აპრილს სინანულითა და გულისგ-
კივილით ლავგოვე ბონი და პარიზში გადავედი, რათა მხოლოდ სასულიერო
ცხოვრებით მეცხოვრა მართლმადიდებელ ემიგრანტ ქართველთა შორის.
ჩემი კავშირი პარიზელ ქართველებთან 1929 წლიდან იწყება. ამ წლის დასა-
წყისში პარიზში დაარსდა კომიტეტი, რომლის ამოცანაც სამრევლოს შექმნა
იყო. სწორედ მაშინ ბონში თანამშრომლობის წინადადებით მომმართეს და
მეც საშობაო არდადეგების დროს იქითკენ გავეშურე. პარიზში პირველად
ვიყავი. ჩემი მიზანი იყო ადგილზე შემესწავლა მდგომარეობა და პირადად
გამეცნო როგორც მრევლი, ისე კომიტეტის წევრებიც. რადგან სამეცნიერო
ინტერესებს ჩემთვის უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა, პარიზი არ მომე-
ჩვენა შესაფერის ადგილად, იქაური მრევლისგანაც ნაკლებმოსალოდნელი
იყო ჩემი მისწრაფებებისა და საქმიანობისადმი მხარდაჭერა. ამიგომ უარი
განვაცხადე იქ სულიერ მოძღვრად დარჩენაზე და ბონში დავბრუნდი, რათა
გამეძლიერებინა მუშაობა აღმოსავლეთის სემინარიაში.

მაგრამ მაშინ მოხდა ორი მოვლენა, რომელმაც მაიძულა დავთანხმე-
ბოდი პარიზელ ემიგრანტთა წინადადებას: 1. ბონში ჩემი დაბრუნების
შემდეგ კონსტანტინოპოლიდან პარიზში ჩავიდა ქართველი მღვდელი –
უნიტი (კონსტანტინოპოლში არსებობს უნიტური მიმდინარეობის ქართუ-
ლი მონასტერი), ამიგომ მართლმადიდებლური ეკლესიის დაარსება და
მართლმადიდებელი მღვდლის ყოფნა პარიზში აუცილებელი გახდა; 2. 1930
წელს, როდესაც მძიმედ ავადმყოფი ვიწექი უნივერსიტეტის კლინიკაში და
სიკვდილს ვებრძოდი, ჩემთან წინადადებით მოვიდა პარიზის სამრევლოს
წარმომადგენელი. ამრიგად, მივიღე მიპატიჟება პარიზში.

პოსპიგლის დაგოვებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ყოველ-
დღიური საქმეებით ვიყავი დაკავებული, საოცარი სულიერი აღმაფრენა
ვიგრძენი, თითქოს ჰაერში დავლივლივებდი. მხოლოდ პარიზში ჩემს
მომავალ მუშაობაზე ვლაპარაკობდი, მოუთმენლად ველოდი აღდგომის
არდადეგებს, რათა რაც შეიძლება მალე ჩავსულიყავი იქ და მღვდლის
მოვალეობის შესრულება დამეწყო. ვერც ცნობილმა პროფესორმა კალემ,
ვერც ნაცნობმა პროფესორმა მარმა (რომელიც, თითქოს ბედის ირონიათ,

ენით გადასცა მისმა აღმაგებულებამ ბაგონმა ფონ ჰარნაკმა მაშინდელი ქართული სემინარის
დირექტორს პროფესორ კალეს. ეს წერილი, ჩემ დროს ინახებოდა ორინგალისტიკის სემინა-
რის არქივში და უნდა გამოქვეყნებულიყო. ამ წერილს გამოენამურა ქალბატონი ფონ ჰარნაკი,
რომლის 1932 წლის 4 იანვრით დათარიღებული წერილი ხელთ მაქვს. სიმუსტისათვის – აქ
ნახსენებია X ს. ძალიან მნიშვნელოვანი ქართული ხელნაწერი, რომელიც (von Kate Grote-Ha-
hn (Berlin-Wilmersdorf, Hildegardstrasse 14) კერძო კოლექციაში ინახება. ამ ხელნაწერებს ჩემი
ყურადღება მიაპყრო პროფესორმა დეისმანმა. ხელნაწერი დავათვალიერე 1929/1930 წლების
საშობაო არდადეგების დროს. რადგან ეს ქალბატონი ამ ხელნაწერებს ყიდის, მე უფლება
არა მაქვს გამოვაქვეყნო ჩემი შენიშვნები ხელნაწერებზე. [* შეად.: G. Peradze, OC, 1930,
გვ. 191; G. Garitte, „Museon“, 67(1954), გვ. 76, შენიშვნა 18].

სწორედ იმ ხანებში ჩამოვიდა ლენინგრადიდან, გადმომცა მოკითხვა ჩემი შორეული სამშობლოსი და შემომთავაზა მუშაობის დაწყების პერსპექტივები ვერ გადამათქმევინეს მიღებული გადაწყვეტილება. ამქვეყნად არავის შეეძლო მისი შეცვლა, დედაჩემსაც კი, რომელიც წერილით მირჩევდა უკან დაბრუნებას. მისი აზრით, თუ არჩეულ გზაზე სიარულს გავაგრძელებდი, სამშობლოს ხილვას ველარასოდეს შევძლებდი. ყველანაირი მცდელობა ამაო იყო – რადგან გადაწყვეტილება მივიღე, მგკიცედ ვიდექი მასზე და 1931 წლის 18 თუ 19 აპრილს ლონდონის ბერძნულ ეკლესიაში ბერად აღვიკვეცე, მეორე დღეს კი დიაკვნადაც მაკურთხეს. მღვდლად მაკურთხა მსოფლიო საპატრიარქო საყდრის ეგზარქოსმა არქიეპისკოპოსმა გერმანოზმა, რომლის რეზიდენციაც ლონდონში იყო. კურთხევის ცერემონიალი პარიზის ბერძნულ ეკლესიაში 1932 წლის 25 მაისს ჩაგარდა.

ჩემთვის დაიწყო სრულიად სხვაგვარი, ახალი ცხოვრება, რომელიც ასევე მსურდა შემეწირა ქართული კულტურისათვის. ქართველი ხალხის ისტორიაში კულტურისა თუ სულიერი ცხოვრების განვითარებას ხომ უპირატესად ბერებმა დაამჩნიეს დიდი კვალი. რატომ არ უნდა დაგვეარსებინა ჩვენც ასეთი კერა პარიზში? იქ მდებარეობდა ქართული ემიგრაციის მთავარი ცენტრი, ემიგრაცია კი განათლებული ხალხისაგან შედგებოდა! მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ შეიძლება იყო ნასწავლი, შესაძლოა მინისტრიც და მაინც ვერ იქვე კულტურულ ადამიანად. ჩემს დანიშნულებას აღვიქვამდი მისიონერის მოვალეობად და ვგრძნობდი, საჭირო იყო, რაღაც ძალა ამომდგომოდა მხარში. როდესაც მისიონერები ინდოეთში ან სადმე სხვაგან მიდიოდნენ, მათ თანადგომას მშობლიური სამრევლო უცხადებდა. მე დაგვიანებით დავიწყე ასეთ მხარდაჭერათა ძიება, მაგრამ ამაოდ. ამიგომ უკმაყოფილო ვიყავი საკუთარი თავით, რადგან დაეკარგე ძვირფასი დრო, რომელიც შემიძლო შემეწირა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის. ემიგრაციის ახალი თაობა (აღმოსავლეთში ადამიანი ახალგაზრდად ითვლება, ვიდრე სულ არ გათეთრდება და კბილები არ დასცვივა) უმეგესად უმუშევარი, ავადმყოფი და გაუნათლებელი იყო. სამაგიეროდ, „ძველი დამსახურებებით“ დამძიმებული, ათასგვარ პოლიტიკურ დაჯგუფებაში ჩათრეული უფროსი თაობა თავისი მიზნების მისაღწევად მებრძოლებსა და მხარდამჭერებს ახალგაზრდებს შორის ეძებდა. უმომნო პოლიტიკური ბრძოლები, სულისშემხუთველი მძიმე ატმოსფერო დაუფლებოდა ჩვენს ემიგრაციას. რამდენიმე თვეში მთელი ჩემი ენთუზიაზმი ჩაქრა. როგორც სრულიად უცხოს მიერ დაწერილს, ისე ვკითხულობდი რელიგიურად მგზნებარე ნაწარმოებს - „ქერუბიმთა ჰიმნს“⁵⁴, რომელიც ბონში ლოგინში მწოლიარე ავადმყოფმა დავწერე.

54 (*) G. Peradze, რომელნი ქერუბიმთა (ხილვა), „ჯვარი ვაზისა“, 4(1934), გვ. 31-55. აგრეთვე: „მამათ ჩვენოს“ განმარტება. ქადაგებანი. ნარკვევები, თბილისი, 2001, გვ. 132-150 [= *Hymn Cherubinow (Poemat)*, „Pro Georgia“, 17(2008), გვ. 155-172].

მაინც ვცდილობდი კარგად შეემსრულებინა ჩემი მოვალეობა და, ამა-სთან, მცირე ღროც გამომენახა სამეცნიერო მუშაობისათვის. პარიზში დიდხანს არ გაეჩერებულვარ – ბონიდან საფრანგეთის დედაქალაქში გადავედი 1932 წლის აპრილის დასაწყისში. მაისიდან ივლისის შუა რიცხვე-ბამდე უკვე ინგლისში ვიმყოფებოდი, სადაც ოქსფორდის უნივერსიტეტის თხოვნით წავიკითხე ოთხი ლექცია „Examination School“-ში და მივიღე ჰონორარი ორმოცდაათი გირვანქა სტერლინგის ოდენობით. აღნიშნული თანხით შემძლო გარკვეული ღროის მანძილზე უშფოთველად მეცხო-ვრა ინგლისში და მემუშავა ბრიტანეთის მუზეუმსა და ბოლდენში. ამ ბიბლიოთეკებში დაცულია 75 ქართული ხელნაწერი. ზოგიერთი მათგანი ძალზე ძვირფასია. მაშინ პირადად გავიცანი სახელგანთქმული ინგლისე-ლი მეცნიერი, პროფესორი ფ. ს. ბურკიგი⁵⁵ კემბრიჯიდან სახარების ძველი სირიული ტექსტების გამომცემელი. ბურკიგი რამდენჯერმე მოვინახულე კემბრიჯში. ჩემი შრომით ძალზე დაინტერესებული ცდილობდა რაიმე მოკრძალებული სამეცნიერო თანამდებობა გამომენახა. რამდენჯერმე გაემგზავრა ლონდონში, რათა პირადად დაეჭირა მხარი ჩემი განცხადე-ბისათვის როკფელერის ფონდიდან სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე.

ივლისიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე პარიზში ვიმყოფებოდი, შემდეგ გავემგზავრე ბონში, საითაც ძალზე მიმიწევდა გული. ბედმა გამიღიმა, რად-გან ბუსტად მაშინ აღმოსავლეთის განყოფილებამ თბილისიდან მიიღო ჩემ მიერ შეკვეთილი ყოველთვიური ქართული ჟურნალ „მნათობის“ შვიდი თუ რვა ნომერი. ყურადღებით წავიკითხე ისინი, ამოვიწერე საინტერესო აღ-ვილები და მოგვიანებით, როდესაც გამომიჩნდა ღრო და მშვიდი გარემო, წესრიგში მოვიყვანე და გამოვაქვეყნე სათაურით - „Das geistige Leben in heutigen Sowjetgeorgien im Spiegel der Schönen Literatur“⁵⁶. ბონიდან პოლო-ნეთში გავემგზავრე, რათა იქაური ქართული ემიგრაცია გამეცნო.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ერთადერთი მღვდელი ვარ საქართველოს ფარგლებს გარეთ. მაშინ ვარშავაში მცირე ხნით გაეჩერდი და კრაკოვშიც წავედი, რათა ჩარგორისკების მუზეუმში არსებული ქართული ხელნაწერე-ბი შეემსწავლა. იქაური აღმოსავლეთის სემინარიის მიწვევით წავიკითხე ლექცია რუსულ ენაზე. ვარშავაში მიგროპოლიტ დიონისეს⁵⁷ შუამდგომლობის

55 ფრანცის კრეფორდ ბურკიგი (1864-1935), ინგლისელი ისტორიკოსი და ორიენტალისტი.

56 G. Peradze, *Die geistige Leben in heutigen Sowjetgeorgien im Spiegel der schonen Literatur*, [წიგნი:] *Schriften der Albertus-Universitat, Königsberg-Berlin*, 1938, Bd. 14, გვ. 270-288.

57 დიონისი (კოსტანტინე ვალედინსკი, 1876-1960), 1923 წლიდან სრულიად პოლონეთისა და ვარშავის მიგროპოლიტი, 1933 წელს მან მოიწვია გრიგოლ შერაპე პოლონეთში, როგორც ვარშავის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის პროფესორი, პოლონეთის ქართუ-ლი კოლონიის სულიერი მოძღვარი. მიგროპოლიტი დიონისის ღროს კონსტანტინეპოლის პატრიარქმა 1924 წელს ოფიციალურად ცნო პოლონეთის მართლმადიდებლური ეკლესიის

წყალბით კონტაქტი დავამყარე პოლონეთის კულტურის სამინისტროსთან, სადაც დაინტერესდნენ, ვარშავაში მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკულტეტზე მუშაობას სომ არ ვისურვებდი. თანხმობა განვაცხადა და ჩემი მეცნიერული მზადყოფნის დასაბუთების მიზნით სამინისტროში დავტოვე მოვიერეთი ნაშრომის ასლი (რომლებიც შემთხვევით თან აღმომაჩნდა).

მიგროპოლიტი დიონისე 1927 წელს ლოზანაში, საერთაშორისო კონფერენციაზე გავიცანი. ჯერ კიდევ მაშინ შევძელი ვარშავაში გადასვლა და იქ მუშაობის დაწყება⁵⁸. მაგრამ მაშინ ბონში დარჩენა ვამჯობინე, სადაც გაცილებით უკეთესი პირობები იყო მეცნიერული მუშაობისათვის. დაახლოებით 1932 წლის ნოემბრის ბოლოს ბერლინ-პოტსდამის გავლით პარიზში დავბრუნდი, რადგან ქრისტიანობის დღესასწაულის გაგარება ჩვენს მრევლთან ერთად მსურდა. მომავალში მინდოდა მუშაობის დაწყება ვარშავის უნივერსიტეტის პაგროლოგიის ლექტორად. არც პარიზში, არც ბონში გულხელდაკრეფილი არ ვმჯდარე, ყოველთვის ვპოულობდი რაიმე სამეცნიერო საქმეს და ახლაც მუშაობის დაწყების წინადადებით ექვს ადგილას ვიყავი შესული. ვარშავა მეშვიდე იყო.

რადგან პარიზში დასახლება მსურდა, უპირველესად აქ მინდოდა გამოემეებნა მოკრძალებული თანამდებობა. პარიზის უნივერსიტეტის ახალი აღთქმის ცნობილმა პროტესტანტმა პროფესორმა მ. გოგუელმა⁵⁹ რომელთანაც პირადი ნაცნობობა მაკავშირებდა, რეკომენდაცია მომცა „College de France“-ის ცნობილ ბიზანტოლოგ გაბრიელ მილეტიან⁶⁰ რათა ლექციები წამეკითხა ძველი ქართული ლიტერატურის თემაზე. თუმცა ისიც მითხრა, რომ ასეთი შესაძლებლობა გაჩნდებოდა მხოლოდ 1934 წლიდან⁶¹ და ეს არ იქნებოდა მუდმივი სამუშაო. მხოლოდ ერთ ან ორ წელს თუ გასტანდა.

ბრიტანეთის ბიბლიურ სამოგალოებასთან მიწერ-მოწერა მქონდა უკვე 1929 წლიდან. იგი ჩემი კურთხევისთანავე, 1931 წელს არქივისკოპოს

დამოუკიდებლობა რუსეთის ეკლესიის გვერდის ავლით. 1948 წელს მიგროპოლიტი დიონისე კომუნისტების მიერ ჩამოშორებულ იქნა ეკლესიის მმართველობიდან (შეად.: S. Dudra, *Metropolita Dionizy (Waledyński) 1876-1960*, Warszawska Metropolia Prawosławna, 2010; K. Urban, *Przyczynek do losów metropolity Dionizego Waledyńskiego po II wojnie światowej*, „Wiadomości Polskiego Autokefalicznego Kościoła Prawosławnego”, nr 4/1990; A. Mironowicz, *Kościół prawosławny na ziemiach polskich w XIX i XX wieku*. Białystok: Wydawnictwo Uniwersytetu w Białymstoku 2001.

58 პოლონეთის მართლმადიდებლური ეკლესია დაახლოებით ოთხ მილიონ მორწმუნეს ითვლიდა. ჰქონდა სასულიერო სემინარია და მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკულტეტი ვარშავის უნივერსიტეტში.

59 მაურის გოგუელი (1880-1955), ფრანგი თეოლოგი და ბიბლიის ხელნაწერების აღიარებული მკვლევარი.

60 გაბრიელ მილეთი (1867-1953), ფრანგი ბიზანტოლოგი.

61 (*) ამის შესახებ წერს 1932 წლის 2 აგვისტოს წერილში.

გერმანოზთან ერთად მოვიხსნა. არქიეპისკოპოსის შუამდგომლობით ბიბლიის თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნის შესაძლებლობა მომცეს. ამას ოთხი-ხუთი წელი დასჭირდებოდა, რის შემდეგაც ვალდებულებას ვკისრულობდი მომზადებული ორიგინალი გადამეცა საზოგადოებისათვის დასაბეჭდად. ამგვარად მსურდა შემეთავსებინა სასარგებლო და საჭირო საქმე სასიამოვნოსთან და ამავე დროს უფრო ინტენსიური გამეხადა სამრევლოს მუშაობა. ეს მცდელობაც მარცხით დასრულდა. ინგლისელები განსაკუთრებულ ყურადღებას ფინანსურ მხარეს აქცევდნენ. ეს საქმე საზოგადოებას მოგებას ვერ მოუტანდა, რადგან ხელაფინანსები, რომ ქართველი ემიგრაცია ვერ ამქლავებდა მაღალ კულტურას. ამასთან, არც თვით საქართველოს შემდგომი ბედი იყო გარკვეული⁶².

პარიზში არსებობდა წმ. სერგის სახელობის თეოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც მიგროპოლიტი ევლოგიუსი⁶³ ხელმძღვანელობდა. აქ ლექციებს კითხულობდნენ თეოლოგიის ინსტიტუტებს შორის, იგი მნიშვნელობით მეორეა მსოფლიოში (ათენის ინსტიტუტის შემდეგ). საკმაოდ კარგად ვიცნობდი ბოციერთ აქაურ პროფესორს, მიგროპოლიტთან კი ახლო, მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა. მიუხედავად იმისა, რომ შემეძლო, არასოდეს მიცდია ამ ინსტიტუტში მუშაობის დაწყება. ეს რომ გამეკეთებინა, მაშინ იძულებული გავხდებოდი გარკვეულ იერარქიულ დაქვემდებარებაში მოექცეულიყავი რუს მიგროპოლიტთან. ჩვენი სამრევლოს მთელი ძალისხმევა კი იქით იყო მიმართული, რომ შეენარჩუნებინა ძველქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალური მდგომარეობა. პარიზში ვერ ვიპოვე ისეთი სამუშაო, რომელიც შემადგებინებდა სულიერი მოძღვრის საქმიანობის შეთავსებას სამეცნიერო კვლევებთან. ამიტომ სამსახურის ძიება სხვა ადგილას დავიწყე.

თავიდან გერმანიაზე ვფიქრობდი, მაგრამ ბონში დაბრუნება არ შემეძლო (თუმცა შესაფერისი კანდიდატურა ვერ მონახეს და ჩემი შტატი კვლავ თავისუფალი იყო), რადგან იქაური ხელისუფლება პარიზში ჩემი მოღვაწეობის წინააღმდეგი იყო. მათ წამომიყენეს პირობა - მუდმივად უნდა გავჩერებულიყავი ან იქ, ან აქ. ამ დროს გამახსენდა ორიენტალისტთა კონფერენციის გადაწყვეტილება და მისი რეალურად განხორციელება მოვსინჯე. დახმარება ვთხოვე ბერლინელ პროფესორებს - დაისმანსა და ლიცმანს⁶⁴. როგორც შემდგომ მათი წერილებიდან გაირკვა, პროფესორებს

62 (*) ამის შესახებ არსებობს წერილები 1929 წლის 29 აგვისტოს, 1931 წლის 8 მაისის და 1939 წლის 27 მარტის.

63 მიგროპოლიტი ევლოგიუსი (ვასილი სემიონოვიჩ გეორგიევსკი, 1868-1946), მართლმადიდებელი მიგროპოლიტი

64 ჰანს ლიცმანი (1875-1942) გერმანელი თეოლოგი, ეკლესიის ისტორიკოსი, ბიბლიის ხელნაწერების აღიარებული მკვლევარი.

ყველაფერი უცდიათ, რაც კი შესაძლებელი იყო. მოკრძალებულ კათედრას, რომლის გახსნაც დაეგეგმათ, განზრახული ჰქონდა მჭიდრო კონტაქტების დამყარება პრუსიის მეცნიერებათა აკადემიის საეკლესიო მამების კომისიასთან, მისი სამეცნიერო მოღვაწეობის მთავარი სფერო კი უნდა გამხდარიყო ქართული საეკლესიო დამწერლობის ძეგლები. არაფერი ჰქონდათ იმის საწინააღმდეგოც, რომ არდადეგების პერიოდში მომენახულებინა ჩემი სამრევლო პარიზში (შემდეგ სადმე სხვაგანაც გამეხსნა მომცრო ქართული სამრევლო). უფრო მეტიც, ფიქრობდნენ, რომ ასეთ მოგზაურობას, რომელიც სამეცნიერო მიზნებთანაც იქნებოდა დაკავშირებული, შეეძლო სარგებლობა მოეგანა სწავლების პროცესისათვის. ამრიგად, მაშინ, როდესაც მეჩვენებოდა, რომ საქმეს კარგი პირი უჩანდა, ჩავედი ბერლინში, რათა შევხვედროდი ამ საქმისათვის საჭირო ადამიანებს მაგრამ დავკარგე ეს თანამდებობა, იქნებ ჩემი მოუხერხებლობის გამოც.

ეს იყო მესამე შესაძლებლობა. მეოთხე ოქსფორდი იყო. იქაური უნივერსიტეტი ფლობს უორდროპების⁶⁵ საგვარეულოს მიერ დაწესებულ მნიშვნელოვან სტიპენდიას, რომელიც მიმართულია ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებისაკენ. წინათ იქ ლექციებს კითხულობდა ცნობილი არმენოლოგი ფ. კონბეარი⁶⁶ და მაშინ მისი ადგილი ჯერ კიდევ თავისუფალი იყო, სომხურის და ქართულის სწავლების ერთმანეთთან დაკავშირება კი იოლად შეიძლებოდა. გარდა ამისა, ოქსფორდის ცნობილ ბიბლიოთეკაში, ბოლღანში, დაცულია მრავალი ქართული ნაბეჭდი წიგნი და ასევე 75 ნაწილობრივ ჯერაც შეუსწავლელი ქართული ხელნაწერი⁶⁷. მე იქ მიმიწვიეს ოთხი ლექციის წასაკითხად, მაგრამ კათედრის დაარსება გადაიდო, რადგან ენის შესწავლის მსურველი არავინ აღმოჩნდა. ფ. კონბეარი მდიდარი ადამიანი იყო და ლექციებს საკუთარი სიამოვნებისათვის ატარებდა. მის ლექციებზე შევხვდი უდიდეს მეცნიერს - ფ. კ. ბურკიტს, რომლის დახმარებითაც როკუელერის ფონდის სტიპენდიის მიღება ვცადე. იგი სამი-ხუთი წლით ენიშნება იმ მკვლევარებს რომელთა მოღვაწეობისათვისაც საჭირო ხდება სამეცნიერო მოგზაურობები. ჩემს მიზანს შეადგენდა აღმოსავლეთში (არაბულ ქვეყნებში, თურქეთში, სპარსეთში) ქართული ხელნაწერებისა და სხვა უძველესი ძეგლების მოძიება. გარდა ამისა, განზრახული მქონდა თანამედროვე არაბული ენის შესწავლა და ყურანის

65 მარჯორ სკოტ უორდროპის (1869-1909) გარდაცვალების შემდეგ მისმა ძმამ ოქსფორდში, ბოლღეს ბიბლიოთეკაში 1910 წელს დაარსა მარჯორ უორდროპის სახელობის ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების ფონდი. იხ. Shorena Stoyer, *Marjory Scott Wardrop and Early Twentieth-century Georgian History, Comparative Literature and Culture*, 13.1(2011).

66 ფრედერიკ კონბეარი (1856-1924), ინგლისელი აღმოსავლეთმცოდნე.

67 შეად.: D. Barret, *Catalogue of the Wardrop Collection and of the other Georgian Books and Manuscripts in the Bodleian Library*, Oxford, 1973.

კვლევის იქ არსებული დონის ვაცნობა. ეს მოხუცი მეცნიერი ჩემთვის სტიპენდიის საკითხის მოსაგვარებლად ლონდონშიც კი გაემგზავრა, მაგრამ როგორც მისი წერილებიდან ირკვევა, ჩვენს მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია⁶⁸.

საინტერესოა აგრეთვე ჩემი დასაქმების უიღბლოდ დასრულებული შემდგომი ცდაც. ორი ნაცნობი კათოლიკე მეცნიერი ცდილობდა ჩემთვის ვატიკანში სტიპენდიის გამონახვას, რათა განმეხორციელებინა კვლევა ძიებითი სამუშაოები ქართულ ხელნაწერებზე იტალიაში. „მისმა ბრწყინვალეებამ, რომელსაც ჩვენ მივმართეთ, თქვენი თხოვნა აუდიენციაზე წარუდგინა წმინდა პაპს პიუს XI-ს” - მწერდნენ შემდეგ ისინი. „e Saint P`ere, avant entendu par la bouche de (აქ გვარი) votre desir de faire des etudes dans les bibliotheques de l'Italie pour trouver des manuscrits georgiens se montre apr`es quelque hesitation (tr`es comprehensible: il recoit tant de suppliques de ce genre) pr`et a vous accorder une subvention”⁶⁹ ასეთი გულმოდგინე მცდელობის მიუხედავად, იმედი ამჯერადაც გამიცრუვდა.

ამრიგად, ჩემი ყველა გეგმა წარუმაგებლად დასრულდა. 1933 წელს პარიზში შევხვდი. წერილს მხოლოდ ვარშავიდან ველოდებოდი. იანვარში ძალზე სამწუხარო ცნობა მივიღე სამშობლოდან: 1932 წლის 19 დეკემბერს გარდაიცვალა დედაჩემი. ახლა უკვე შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ ბოლო ფიზიკური ძაფი (რადგან სულიერად და კულტურულად სამშობლოსთან ყოველთვის ძალზე მჭიდროდ ვიყავი დაკავშირებული) გაწყდა ჩემსა და ჩემს სამშობლოს შორის. უპირველეს ყოვლისა, ვწუხდი, რომ პარიზში გადასულით დედას ასეთი დიდი დარდი გაუუჩინე და ახლა, როდეს-

68 (*) 22 August 1932. Dear Dr. Peradze, I have to thank you for the extract from the ZNTW about the Didache. Dr. Armitage Robinson is preparing an edition of the Didache and I will see that he is informed of your interesting discovery. I wish I had otherwise any good news for you. I received a reply from the Rockefeller Foundation to say that on my recommendation they would keep your name in mind, but that at present they were not offering any Fellowship or “Found” for ancient literatures. I think all these American funds are feeling the universal commercial depression. I wish I could see any opening for you in Cambridge, but at present there is none. There is no found for Georgian or even Armenian studies and very little interest in what may be called Byzantine studies generally. On the whole I should recommend you to ask R. P. Blake, Widener Library, Harvard University, Cambridge, Mass. U. S. A. what it [sic!] recommends. It is not as a Georgian scholar, but as Director of the Harvard University Library that he has an official post. But he may know where there is any demand for the work of a Georgian scholar like yourself. I wish I had better advice to give, but the prospects of Christian Study in England are very dark.

69 (*) იტალიაში ორგანის მოგზაურობის დროს (1937/1938 საშობაო არდადეგების დროს და 1938 წლის ივლისში) რამდენიმე ბიბლიოთეკაში ქართული ხელნაწერები აღმოვაჩინე. სამწუხაროდ ვერ შევძელი მაშინ რომის ბიბლიოთეკაში მუშაობა, ვერ შევძელი ასევე პალერმოში მემუშავა, სადაც შესაძლოა ყოფილიყო ქართული მასალები. არსად არასდროს არ გამომიქვეყნებია იტალიაში ჩემი მოგზაურობის მასალები.

საც ჰორიზონტზე შუქის მცირე სხივები აკიაფდა, ანუ ვარშავაში გადასვლის შესაძლებლობა მომეცა, საიდანაც მისთვის მცირეოდენი დახმარების გაწევა მაინც შემეძლო, სიკვდილმა წამართვა. მისი გარდაცვალების თაობაზე ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციას ვღებულობდი. ოფიციალური განცხადების თანახმად, დედა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. ჩემი ძმა კი მწერდა, რომ ლეკემბერში დედამ მთელი ღამე პურის რიგში გააგარა. დილით უგონოდ მყოფი უცხო ადამიანებმა მოიყვანეს და მალე კიდევ გარდაიცვალა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სიმართლეს მიმაღავენ. შენახული მაქვს დედაჩემის ყველა წერილი და მსურს აღვწერო მისი ცხოვრება, როგორც კი საამისო დრო და სიმშვიდე მომეცემა.

1933 წლის ბაფხულმა იმედის სხივი ჩამისახა, რომელსაც შესაძლოა კეთილისმყოფელი გავლენა მოეხდინა როგორც პარიზის ქართულ მრევლზე, ასევე ჩემს შრომაზე ქართული კულტურის სფეროში. ქართველმა ალექსანდრე მდივანმა, რომელიც ევროპასა და ამერიკაში ცნობილი იყო თავისი მრავალრიცხოვანი ქორწინებებით მდიდარ ქალებზე, გამოძებნა ახალი საცოლედ და სურდა მასზე ჯვარი ეკლესიაში დაეწერა⁷⁰. არ მინდოდა ამ საქმეში ჩაერეულიყავი, მითუმეტეს, რომ პირველ ცოლიან ოფიციალურად განქორწინებული არ იყო, მაგრამ დავთანხმდი, ოღონდ იმ პირობით, თუ ლოკუმენტებს რუსულ ეკლესიაში შეიგანდა. ივნისში თუ ივლისში, რამდენიმე ქართველის თანხლებით, მდივანმა სამეიმოდ დაიფიცა რუსული ეკლესიის მღურბლზე, რომ ქორწინების შემდეგ პარიზში პაგარა ქართულ სამრეკლოს ააშენებდა მღვდლის ოთახითურთ, მაგრამ როდესაც დაეაპირე

70 საუბარი ქართველი ემიგრანტების ოჯახზე: ალექსი მდივანი (1905-1935), 1931 წელს ცოლად შეირთო ლუიზა ასტორ ვან ალენი (1910-1997), რომელთანაც განქორწინდა 1932 წელს. 1933 წელს ცოლად შეირთო ბარბარა ვულფორთ ჰუტონი (1912-1979), იმ დროის ერთ-ერთი უმდიდრესი ქალბატონი, რომელთანაც განქორწინდა 1935 წ. ალექსი მდივანი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. სერგო მდივანი (1903-1936), 1927 წელს ცოლად შეირთო ჰოლივუდის ვარსკვლავი პოლ პოლა (ბარბარა აპოლონია ხალუპეჯი 1894-1987), რომელთანაც განქორწინდა 1931 წელს. შემდეგ სასიყვარულო რომანი ჰქონდა ოპერის მომღერალ მერი მაკკორმიკთან (1889-1981). მან 1936 წელს ცოლად შეირთო თავისი ყოფილი რძალი ლუიზა ასტორ ვან ალენი; იგი გარდაიცვალა პოლოს თამაშის დროს. დავით მდივანი (1907-1984) - 1926 წელს ცოლად შეირთო მსახიობი მეი მური (1899-1965), რომელთანაც განქორწინდა 1934 წელს, შემდეგ სასიყვარულო რომანი ჰქონდა ფრანგ მსახიობ არლეტთან (ლეონიე მარი ჯული ბათია 1898-1992). 1944 წელს დაქორწინდა ვირჯინია სინქლაირზე (1915-1979), რომელიც იყო „სინქლაირ ოილის“ მფლობელის ქალიშვილი. ნინო მდივანი (1910-1987) 1925 გაათხოვდა ჩარლზ ჰუბერისზე (1877-1945), რომელსაც 1936 წელს გაეყარა. იმავე წელს ნინო ცოლად გაჰყვა დენის სტიუარტ პერსი კონან დოილს (1909-1955), არტურ კონან დოილის შვილს (1859-1930), ცნობილი დეტექტივის შერლოკ ჰოლმსის პერსონაჟის ავტორს. რუსულან მდივანი (1906-1938) 1928 წელს ცოლად გაჰყვა ესპანელ მხატვარს ხოსე მარია სერგს (1874-1945). იხ.: Św. Grzegorz Peradze, *Dziela zebrane, O monastycyzmie gruzińskim, O Liturgii gruzińskiej*, გვ. 67.

შემესრულებინა ცერემონიალი, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ველარსად ვი პოვეთ ნეფე. ერთხელ, როდესაც დიღსა და მდიდრულ სასტუმროებში აღექსანდრე მდივნის უშედეგოდ ძებნის შემდეგ ნაღვლიანი და დარდიანი დავბრუნდი, ჩემი ღარიბული სასტუმროს ნომერში პოლონეთის კულტურის სამინისტროდან ოფიციალური მოწვევა დამხვდა. იგი იუწყებოდა, რომ ვარშავაში ჩასვლა და სამუშაოს დაწყება შემეძლო. სასწრაფოდ მოვაგვარე ყველა საქმე და პირველივე მაგარებლით ვარშავისკენ გავემურე.

არასასიამოვნო სიგუაციის მიუხედავად, შევძელი პარიზში ყოფნა სამეცნიერო მიზნებისათვის გამომეყენებინა. პირად ბიბლიოთეკას ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე მეგობართან ვინახავდი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მოვახერხე მასალების შეგროვება პარიზის მდიდარ ბიბლიოთეკებში, ბრიგანეთის მუზეუმსა და ოქსფორდის ბოლდეანში. აგრეთვე შევძელი გამოსაცემად მომემზადებინა რამდენიმე მნიშვნელოვანი ქართული სამეცნიერო ნაშრომი. მათ დაბეჭდვასთან დაკავშირებული დიდი სირთულეების მიუხედავად პუბლიკაციები ამ პერიოდისა და მათ შემდეგ. ერთი ქართველი ემიგრანტის ქალაქებში გადავაწყდი თორმეტი მოციქულის ქადაგების ქართულ თარგმანს, რომელიც დაბეჭდე „Zeitschrift der Neutestament lichen Wissenschaft“-ში⁷¹. ცნობილი ლიტერატურის ჰ. ვ. კოდრინგტონის⁷² თხოვნით ვთარგმნე პეტრეს ლიტურგიის ქართული ვერსია ფრანგულ ენაზე, რომელიც ჩაერთო ნაშრომში „The Liturgy of Saint Peter“⁷³. ოთხი წლის შემდეგ პარიზში, სამეცნიერო წელიწადეულში დაბეჭდე ქართულ ენაზე მხოლოდ ჩემ მიერ რედაქტირებული „ჯვარი ვაზისა“⁷⁴; ოქსფორდში წაკითხული ლექციების

71 G. Peradze, *Die „Lehre der zwölf Apostel“ in der georgischen Ueberlieferung*, „Zeitschrift für die Neutestamentliche Wissenschaft und die Kunde der älteren Kirche“, 31(1932), 2, გვ. 111-116, 206.

72 ჰამურეი ვილიამ კოდრინგტონი (1879-1942), ინგლისელი აღმოსავლეთმცოდნე და ლიტურგიის მკვლევარი.

73 იხ. სქოლიო ნომერი 28.

74 (*) [ჯვარი ვაზისა] გამოცემული 1931-1934 წლებში, პროფესორ გ. დეგერსის მიერ განხილული: „Zeitschrift der Deutschen Morgenlandischen Gesellschaft“, ტომი 91, რეველი 2 (Brockhaus, laifcigi, 1937), გვ. 529-530. ჟურნალის პირველ ნომერში (პარიზი, 1931) დაბეჭდა ბესარიონ გაბაშვილის გამოუქვეყნებელი ლექსი, რომელიც ემყარება ოქსფორდში ბოლდეს ბიბლიოთეკის უორდროპისეულ კოლექციაში ჩემ მიერ გამოვლენილ მანამდე უცნობ სელნაწერს. ასევე გამოქვეყნებულია პროფ. ჯავახიშვილის მოსაზრებებზე ქართული წარმართობის შესახებ, გვ. 6-35. „ქებათა ქების“ ძველი ებრაულიდან ქართულ ენაზე საკუთარი თარგმანი კომენტარებითურთ, გვ. 35-48. ჟურნალის მესამე ნომერში (1933) გამოვეცი ქადაგებათა ციკლი „მამაო ჩვენსო“ განმარტება, გვ. 13-68. და ბოლოს „ქრონიკა იოანე ნათლისმცემლის მონასტრის XVIII საუკუნის“ გამოკვლევა, რომელიც ოქსფორდში ბოლდეს ბიბლიოთეკის უორდროპისეულ კოლექციაში აღმოვაჩინე. ჟურნალის მეოთხე ნომერში გვ. 31-55 გამოვაქვეყნე პოეტური თხზულება „რომელნი ქერუბიმთა“, რომელიც დაწერე ავადმყოფმა ბონში.

ციკლი, აგრეთვე ლექციები „College de France“-ში (1933 წლის მარტში) სწორედ პარიზში ცხოვრების დროს მოვამზადე.

პოლონური ენის შესასწავლად 1933 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებამდე კრაკოვში ერთ პოლონურ ოჯახში ვცხოვრობდი. იქვე მოვამზადე მოხსენება ინაუგურაციისათვის, რომლის გამართვაც უნივერსიტეტის დიდ დარბაზში მხოლოდ 1933 წლის 7 დეკემბერს მოხერხდა (სხვადასხვა გარემოების გამო ვარშავის უნივერსიტეტში 1933 წლის შემოდგომიდან სწავლა შეწყვეტილი იყო)⁷⁵.

ამდენ წარუმატებლობას, წესით, ჭკუა უნდა ესწავლებინა, უფრო ბრძენი და წინდახედული გავეხადე. სამინისტროში გამართული მოლაპარაკებების დროს ყურადღებას ძირითადად ორ მომენტზე ვამახვილებდი: 1. პარიზში თავისუფლად გამგზავრებაზე წელიწადში მინიმუმ ორჯერ და ასევე საზღვარგარეთული პასპორტის მიღებაზე, რათა არდადეგების დროს სამეცნიერო მიზნებით ხანგრძლივი მოგზაურობის საშუალება მქონოდა; 2. მოვითხოვდი აგრეთვე, რომ საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია ეცნო პოლონეთის მართლმადიდებლურ ავტოკეფალურ ეკლესიას და მათ შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარებულიყო. ორივე თხოვნის შესრულებას შემპირდნენ. ამგვარად, დავსახლდი აქ და ომის დაწყებამდე, 1939 წლის სექტემბრამდე, ვმუშაობდი ვარშავის უნივერსიტეტის მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკულტეტზე. ვარშავაში მოღვაწეობის პერიოდში წელიწადში ორჯერ მივემგზავრებოდი პარიზში ჩემს სამრევლოში, ხოლო მაფხულის არდადეგებზე ვაწყობდი სამეცნიერო მოგზაურობას ქართული კულტურის ძეგლების მოსაძიებლად.

სამეცნიერო საქმიანობისათვის მისაბამ მაგალითად მიმაჩნდა ცნობილი ქართველი სწავლული ალექსანდრე ცაგარელი⁷⁶ რომელმაც პირველმა დაიწყო ქართული ხელნაწერების მოძიება მთელ მსოფლიოში და საფუძველი ჩაუყარა მათ კაცლოგიზაციას. ძველი ქართული ლიტერატურის მეცნიერულად დამუშავების ეს პიონერი დიდი ხნის მანძილზე პროფესორად მუშაობდა პეკერბურგში და გარდაიცვალა ოციოდე წლის წინათ

75 G. Peradze, *Pojęcie, zadania i metody patrologii w teologii prawosławnej*, „Elpis”, 8(1934), 1, გვ. 209-218 (რეზიუმე ფრანგულ ენაზე, გვ. 243-244). ცალკე გამოცემა: Warszawa, 1934, Drukarnia Synodalna, გვ. 12. [= „Pro Georgia”, 13(2006), გვ. 157-165 = პატროლოგიის გაცემა, ამოცანები და მეთოდები მართლმადიდებლურ თეოლოგიაში, „არგანუჯი”, 11(2003), გვ. 87-96 = *Dziela zebrane, O patrologii, O historii Kościoła*, t. 3, Warszawa 2011, გვ.157-166].

76 ალექსანდრე ცაგარელი (1844-1929), ენათმეცნიერი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, პალეოგრაფი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი. იხ.: ალ. ცაგარელი, ცნობები ქართული მწერლობის ძეგლებზე და ქართულ სიძველეთა ძეგლები წმინდა მიწაზე და სინამე. ეს სტაგია ჯერ არსად არ გამოქვეყნებია. როგორც ჩვენთვის ცნობილია, პროფესორი ცაგარელი ბერლინსა და ლაიფციგის ბიბლიოთეკებში დაცულ ქართულ ხელნაწერებს არ იცნობდა.

თბილისში. მის კვალზე მიმავალი ვოცნებობდი მენახა ის ხელნაწერებიც, რომლებიც მისთვის XIX საუკუნის ბოლოს მიუწვდომელი აღმოჩნდა.

1934 წლის ზაფხულის არდადეგებზე გავემგზავრე გერმანიაში, სადაც აღვწერე ლაიფციგისა და გეტინგენის ბიბლიოთეკებში, აგრეთვე ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერები⁷⁷. ისინი ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პალესტინის წმინდა ჯვრის მონასტრიდან გიშენდორფმა ჩამოიგანა. როდესაც მის მემკვიდრეობას ვსწავლობდი, ხელთ ჩამივარდა კორესპონდენცია, რომელიც შეეხებოდა ცნობილი Codex Sinaiticus-ის აღმოჩენასა და გამოქვეყნებას. განსაკუთრებით დაშინდებულა გიშენდორფის⁷⁸ მიმოწერამ ცნობილ რუს მეცნიერთან, არქიმანდრიტ პორფირი უსპენსკისთან. ამ ნაწილის ასლი ადგილმევე გადავიღე, დანარჩენი კი გადასაღებად გადავეცი ფოტოგრაფს და ვარშავაში დაბრუნების შემდეგ დავბეჭდე „Codex Sinaiticus – die Sinaimonche – Russland“, გამოვაქვეყნე ჟურნალ „Der Orient“-ში⁷⁹. აგრეთვე დოკუმენტები, რომლებიც ეხება როგორც თავად ჩოლეს-ის გექსტს⁸⁰ ასევე მისი აღმოჩენის ისტორიას. პროფესორი კარლ შმიდტი⁸¹ დაინტერესდა ამ ნაშრომით, სურდა შეეკვეთა მისი თარგმანი და გამოკვლევა⁸². არ ვიცი, გამოაქვეყნა რაიმე ამ თემაზე, თუ მისი ნამუშევარი დღესაც ელის მკვლევარის ხელს.

სიამოვნებით დავრჩებოდი გერმანიაში მთელი არდადეგების მანძილზე, მაგრამ ძალიან მსურდა მონაწილეობა მიმელო პოლონური ენისა და კულტურის კურსებში, რომელიც სექტემბრის თვეში ეწყობოდა უცხოელთათვის ვარშავის უნივერსიტეტში.

შემდეგი, 1935 წლის არდადეგები უფრო მოშორებით - რუმინეთში, ბულგარეთსა და საბერძნეთში გავაგარე. რუმინეთსა და ბულგარეთში არსებული ქართული კულტურის ძეგლების შესახებ პროფესორმა ცაგარელმა გაცილებით მეტი იცოდა.

საბერძნეთში ვესტუმრე მხოლოდ ათონის წმინდა მთაზე მდებარე ცნობილ მონასტერს, სადაც დაახლოებით ექვს თვემდე დავრჩი. განზრახული

77 ეს სგაგია ჯერ არსად არ გამოქვეყნებია. როგორც ჩვენთვის ცნობილია, პროფესორი ცაგარელი ბერლინსა და ლაიფციგის ბიბლიოთეკებში დაცულ ქართულ ხელნაწერებს არ იცნობდა.

78 ლობეგოტ ფრიდრიხ კონსტანტინ ფრეიჰერ გიშენდორფი (1815-1874), გერმანელი ლუთერანელი თეოლოგი და პალეოგრაფი.

79 G. Peradze, *Der Codex Sinaiticus – die Sinaimönche – Russland*, „Der Orient“, 16(1934), 5, გვ. 110-111.

80 G. Peradze, *Dokumenty dotyczący zagadnień odnalezienia i tekstu Kodeksu Synajskiego*, „Elpis“, 8(1934), 2, გვ. 127-151 (რეზიუმე ფრანგულ ენაზე გვ. 186-187). ცალკე გამოცემული: ვარშავა, 1934, სინოდის გამომცემლობა, გვ. 28.

81 კარლ შმიდტი (1868-1938), გერმანელი კოპტოლოგი და ეკლესიის ისტორიკოსი.

82 1937 წლის 26 ოქტომბერს მის მიერ გამოგზავნილი საფოსტო ბარათი (საფოსტო ბეჭედის თარიღი), G. Peradze, *Der Codex*.

მქონდა იქ უფრო დიდხანს გაჩერება, ხოლო იქიდან თესალიაზე მეგეორის ცნობილ მონასტერში წასვლა, სადაც ასევე მეგულებოდა ქართული ხელნაწერები, მაგრამ ათონის მთაზე მალარია შემეყარა. საბედნიეროდ, ძალა მოვიკრიბე და უკან გამობრუნებულმა ბულგარეთში კიდევ ათი დღე გავაგარე – ბაჩკოვოს ძველი მონასტერი მოვიინახულე. იგი ქართველის მიერ არის აშენებული ქალაქ პლოვიდივის მახლობლად. ათონის მთაზე მოგზაურობიდან ჩამოვიგანე ძალზე საინტერესო მასალები. იქ შევხვდი ექვს ქართველ ბერს და მათგან შევიგეყვე ქართველ ბერთა ცხოვრების ახალი ამბები ათონის მთაზე.

ივერთა ძველ ქართულ მონასტერში, სადაც ამჟამად ბერძნები ცხოვრობენ, გადავწერე უძველესი, 978 წლით დათარიღებული ქართული ბიბლიის ხელნაწერის ნაწილი. აქვე შევისყიდე ათონის მონასტრის X საუკუნის ქართულ ხელნაწერთა XIX საუკუნის ასლები. ათონის მონასტერშივე შევიძინე XVIII საუკუნეში დაბეჭდილი მრავალი იშვიათი წიგნი. ათონის ერთ-ერთ მონასტერში აღმოვაჩინე სამი ვილნელი წმინდანის - ანტონის, იოანესა და ევსტახის წამების აქამდე უცნობი აღწერა. იქვე გადავიღე მათი ასლები. ბულგარეთში გამობრუნებულს, ბედნიერება მქონდა სოფიის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში აღმომეჩინა აქამდე უცნობი ბაჩკოვოს მონასტრის გიპიკონი⁸³. ომამდე მცირე ხნით ადრე მივიღე მისი მშვენიერი ფოტოასლი, რომელიც ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ იყო შესრულებული. როდესაც მშვიდობა დამყარდება, განზრახული მაქვს, მის შესახებ გამოკვლევა გამოვაქვეყნო⁸⁴. ჩემი კვლევის შედეგები დაბეჭდვით სამეცნიერო ნაშრომში: „Die Einflüsse der georgischen Kultur auf die Kultur der Balkanvölker”⁸⁵.

83 ამ აღმოჩენაზე წერს სოფიის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი: რ. რაიკოვი, *Нова важен документ за историята на Бачковския манастир*, „Зора”, 17(1935), No 4878, 2 X 1935, გვ. 5.

84 შეად. მ. თარხნიშვილი, *Typicon Gregorii Pacuriani, Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, vol. 143*, 14 Louvain, 1954. პეტრიწონის წესდება, ბერძნული გექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შენიშვნები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი V, 1963; ქართული ვერსია გამოაქვეყნა აკაკი შანიძემ, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი გიპიკონი. ძველი ქართული ენის ძეგლები, 13, თბილისი, 1971.

85 G. Peradze, *Die Einflüsse der georgischen Kultur auf die Kultur der Balkanvölker (Eindrücke von einer Reise durch Rumänien, Griechenland und Bulgarien)*, „Der Orient”, 18(1936), 1, გვ. 1-9; *Udział Gruzji w dziejach kultury duchowej na Balkanach*, „Wschód-Orient”, 7(1936), 1, გვ. 56-64; *Georgian Influences on the Cultures of the Balkan peoples*, „Georgica”, 1(1936), 2-3, გვ. 14-23. [= „Pro Georgia”, 13(2006), გვ. 113-124= ქართული ელემენტის გავლენა ბალკანეთის ხალხების კულტურაზე, ინგლისურიდან თარგმნა ნათელა ფოფხაძემ, „საუნჯე” 4(1984)]. რეცენზია: G. Deeters, „Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft”, 91(1937), Neue Folge, 16, გვ. 525. არასდროს არ გამომიქვეყნებია ხელნაწერთა კატალოგი და ძველი ქართული წიგნები, რომელიც

სიმშვიდემ, რომელიც მოვიპოვე შემდგომ აკადემიურ წელიწადს, საშუალება მომცა, დამესრულებინა პარიზში წამოწყებული სამუშაოები და ჩამერთო ისინი სამეცნიერო ნაშრომში, რომელიც ეხებოდა ინგლისში⁸⁶ არსებულ ქართულ ხელნაწერებს. ნაშრომის სათაური იყო: „Das geistige Leben in heutigen Sowjetgeorgien im Spiegel der Schönen Literatur“⁸⁷ ასევე გამოვაქვეყნე აქამდე უცნობი მონოფიზიტი⁸⁸ მიმართულების აპოკრიფული სახარება.

1936 წლის ზაფხულის არდადეგებზე იერუსალიმსა და სირიაში გავემგზავრე, რითაც შესაძლებლობა მომეცა სრულად შემესწავლა არა მხოლოდ წმინდანთა ისტორია მისი მსვლელობის ადგილებში, არამედ დამეთვალაიერებინა და აღმეწერა საქართველოს „ნაშთინი ძველი დიდებისა“. სამწუხაროდ, ჩემი იქ ყოფნა ძალზე დაძაბულ დროს დაემთხვა და იერუსალიმს გარეთ მოგზაურობა სასიფათო იყო. ამიგომ იძულებული გავხდი უარი მეთქვა თავდაპირველი გეგმის განხორციელებაზე, რომელიც სირიის მონახულებასაც ითვალისწინებდა. ყოველ შემთხვევაში, საშუალება მომეცა აღმომეჩინა რამდენიმე ქართული წარწერა, რომლებიც ყურადღების მიღმა დარჩა XIX საუკუნის 80-იან წლებში პროფესორ ცაგარელს. ვგონებ, პირველი ქართველი ვიყავი, რომელმაც შეძლო შუა

ჩამოვიგანე ათონის მთიდან ვარშავაში. ასევე ჩემი დღიურები „მოგზაურობა მონასტრებში“. ხელთაშაქვს ქართველი მწერლის ჯონი ხელაშვილის (გარდაიცვალა 1837 წ.) უცნობი წერილები, რომელიც არის ძალიან მნიშვნელოვანი რუსეთში XVIII ს-ის ქართული ემიგრაციის ისტორიის შესახებ. მას არ იხსენებს მიხეილ თარხნიშვილი *Geschichte der kirchlichen georgischen Literatur*, ვაგაკანი 1955, გვ. 305-309. წლის ვილნოს წამებულია ცხოვრების გექსტი (ისინი ეწამნენ 1347 წელს) გაავაგზავეთ ათენში პოლონეთის საელჩოში, რადგან ვერ შეეძელი ძველი ბერძნულიდან ამოკითხვა და ვთხოვე გამოეგზავნათ ჩემთვის საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი ასლი. მაგრამ უნდა დაველოდოთ ომის დამთავრებას რომ დავინახოთ თუ რა გამოვა ამისგან. იობის ქართული რედაქციის შესახებ გავაკეთე მოკლე მოხსენება ვარშავის ორიენტალისტთა საზოგადოებისათვის (1936 წლის თებერვალში). ქართული თარგმანი შესრულებულია უცნობი სეპტუაგინტის რედაქციიდან და ამიგომაც ჰიობის ქართულ რედაქციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სეპტუაგინტის შესასწავლად.

86 G. Peradze, *Georgian Manuscripts in England*, „Georgica“, 1(1935), 1, გვ. 80-88. რეცენზია: G. Deeters, „Zeitschrift der Deutschen Morgenlandischen Gesellschaft“, 91(1937), Neue Folge, 16, გვ. 523.

87 ა. შანიძე, *Сочинения в двенадцати томах*, თბილისი 1985; *Грузинский монастырь в Болгарии и его типик*. *Грузинская редакция типика*.

88 G. Peradze, *Nieznaną Ewangelią apokryficzna pochodząca z kół monofizycznych*, „Elpis“, 9(1935), 1-2, გვ. 183-215 (შესავალი გვ. 183-184; სახარების გექსტი გვ. 184-215; რეზიუმე ფანგულ ენაზე გვ. 215-216). ცალკე გამოცემა: ვარშავა, 1935, სინოდის გამოცემა, გვ. 36. საგრეთვე: *Apokryfy Nowego Testamentu* მღვდელი მარეკ სტაროვეისკის რედაქციით, *Ewangelie apokryficzne*, I, Lublin, 1980, T. N. K. U. L., გვ. 150-172; მეორე გამოცემა: ლუბლინი, 1986, გვ. 150-172; მესამე გამოცემა: კარკოვი, 2003, WAM, I, გვ. 204-229. რეცენზია: R. Sereschnikoff, „Kyrios“, 3(1938), 4, გვ. 329-330; F. Zorell, „Orientalia“, 8(1939), Nova series, გვ. 258-259.

საუკუნეების შემდეგ ენახა წმ. სვიმონ მესვეტე მცირის მონასტრის ნანგრევები. სწორედ ამ მონასტერში დაირწა ქართული კულტურის აკვანი - V თუ VI საუკუნეში საქართველოში წამოვიდნენ მისიონერი ბერები, ხოლო XI-XII საუკუნეების მიჯნაზე აქ ცხოვრობდა ეკლესიის ცნობილი მამა ეფრემ მცირე.

ჩვენი მეგობრის, კაია პუნარში⁸⁹ თბოლ სომეხთა სახლის დირექტორის, ანდრანიკ კავეკლიანი დახმარებით შევძელი კასიუს მთაზე მდებარე წმ. ბარლაამის მონასტრის მონახულება. ამ წმინდანის ბიოგრაფია მხოლოდ ქართულ ენაზეა შემონახული. ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე დამასკოში, ანგიოქიასა და სირიის მცირე ქალაქებში მოგზაურობამ. მეჩვენებოდა თითქოს სახლში ვიყავი, ისე ჰგავდა იქაური ყოველდღიური ცხოვრება და ქუჩებში ადამიანთა საქმიანობა ყოველივე იმას, რაც საქართველოდან მახსოვდა.

ამ მოგზაურობიდანაც საინტერესო მასალები ჩამოვიგანე, მათ შორის აღსანიშნავია VII-VIII საუკუნეების რამდენიმე ქართული პალიმფსესტი. იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში მუშაობისას, პატრიარქ გიმოთეს წყალობით, ყურადღება მივაქციე ხელნაწერის მინდვრებზე გაკეთებულ წარწერებს, რომლებიც მეცნიერებაში „memento“-ს სახელითაა ცნობილი. რომელიმე ბერი ან მლოცველი ამ სახით ხელნაწერს წააწერდა მნიშვნელოვანი მოვლენის, თავისი თუ მონასტრის ცხოვრების, ასევე რაიმე ადგილობრივი შემთხვევის შესახებ. ეს წარწერები ძალზე მნიშვნელოვანია მონასტრის ისტორიის შესასწავლად. პროფესორმა ცაგარელმა თავის კატალოგში ბევრი ასეთი წარწერა შეიგანა. მათზე ძალზე ინტენსიურად მუშაობდა პროფესორი ნ. მარი (1902 წ.). პროფესორმა ბლეიკმა კი, რომელიც პალესტინაში შედარებით ბოლო ხანებში (1923 წლის 19 დეკემბრიდან 1924 წლის 3 იანვრამდე) იმყოფებოდა და ასევე გამოსცა ქართული ხელნაწერები, თავის შრომებში „memento“-ს წარწერები ნაკლებად გამოიყენა. საბედნიეროდ მივაკვლიე რამდენიმე ასეთ აქამდე უცნობ და გამოუქვეყნებელ წარწერას.

წმინდა მიწაზე გამოკვლევების წარმოება უსასრულოდ შეიძლება. მე განსაკუთრებით მაინტერესებდა პილიგრიმთა ჩანაწერები, რომლებიც პალესტინაში ჩასვლამდე საკმაოდ დიდი რაოდენობით დავამუშავე სხვადასხვა ენაზე. ლაიფციგში, გერმანიაში მცხოვრებ პალესტინელთა კავშირის ბიბლიოთეკაში, ასევე პარიზში, ლონდონში და საერთოდ ყველგან, სადაც კი ხელი მიმიწვდებოდა, დავეძებდი ასეთ ჩანაწერებს. XVI საუკუნიდან ქართველი ბერები იძულებული ხდებოდნენ მიეგოვებინათ თავიანთი

89 G. Peradze, *Erlebnisse in und um Kaja Punar*, „Orient im Bild“, 11(1937), 9, გვ. 33-34. [= *Róże Jerychońskie. Dziennik podróży po Ziemi Świętej i Syrii* (9. VII.-28. IX. 1936), „Pro Georgia“, 13(2006), გვ. 82-881.

მონასტრები წმინდა მიწაზე. მათი ახალი ბინადარნი - ბერძნები, სომხები, ლათინები კი უძველეს მონასტრებში ანადგურებდნენ და აქრობდნენ ქართველთა ყოველგვარ ნაკვალევს. ერთადერთი, რისი განადგურებაც მათ ვერ შეძლეს, იყო პილიგრიმთა ჩანაწერები ქართული მონასტრებისა და ქართველი ბერების შესახებ. თავდაპირველად ასეთ ჩანაწერებს ვაგროვებდი მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო. დროთა განმავლობაში ეს მასალები ისე გაიზარდა, რომ ბევრი ნაცნობი მირჩევდა მათ გამოქვეყნებას. ოღონდ თავდაპირველად მსურდა ამ მონასტრების პირადად ნახვა და ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილებების შეგანა.

ამ საინტერესო სამუშაომ საკმაოდ დრო მოითხოვა. ვარშავაში დაბრუნების შემდეგ თანდათან იშვა ერთგვარი მოსხენება პალესტინაში ქართული მონასტრებისა და ქართველი ბერების შესახებ, რომელიც არაქართველ პილიგრიმთა ჩანაწერებს ეყრდნობოდა. ეს არის ცოდნის ამოუწურავი, უპირატესად ხელნაწერებში⁹⁰ შემონახული საგანძური და ისიც ცხადია, რომ ყველაფრის შეგროვება შეუძლებელიცაა. განზრახული მქონდა ეს სამუშაო თანდათან შემეფსო. პალესტინაში დღიურს ვწერდი. თავდაპირველად იგი გამოქვეყნდა პოლონურ ენაზე ჩვენს საეკლესიო გაზეთში „Słowo“. დღიური მოიცავს პერიოდს 7 ივლისიდან 28 სექტემბრამდე. იგი გამოიცა 17 აგვისტოს⁹¹. ვფიქრობ, დანარჩენი ნაწილი განადგურდა სტამბაში ომის დროს⁹². ამავე ხანებს განეკუთვნება ჩემი პატარა სტაგია „Ein Dokument der mittelalterlichen Liturgiegeschichte Georgiens“-ში⁹³ და რამდენიმე მცირე წერილიც⁹⁴.

90 იხ. სქოლიო ნომერი 35.

91 გრიგოლ შერაპე, *Z dziennika podróży po Ziemi Świętej i Syrii* (5. VII.-28. IX. 1936), „Polska Stronica Słowa“, 3:1938, № 5-6, 30 იანვარი, 1938, გვ. 6-7; № 7-8, 13 თებერვალი, 1938, გვ. 4-6; № 9, 27 თებერვალი 1938, გვ. 6-7; № 12-13, 27 მარტი, 1938, გვ. 5-7; № 14-15, 10 აპრილი, 1938, გვ. 5-6; № 16-17, 24 აპრილი, 1938, გვ. 7-8; № 18-19, 8 მაისი, 1938, გვ. 6-8. აგრეთვე: *Betlejem. Wrażenia z pobytu osobistego*, „Polska Stronica Słowa“, 2(1937), № 1, № 3. I. 1937, გვ. 3. აგრეთვე: *Uroczystości niepodległościowe w Aleppo. Wrażenia z podróży*, „Wschód-Orient“, 7(1936), 4, გვ. 43-50.

92 ავტორი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ „დღიურების“ შემდეგი თავები დაიბეჭდება: „Wiadomości Metropolii Prawosławnej w Polsce“, 2:1939, 10, 5 მარტი 1939, გვ. 2-3; № 11, 12 მარტი, 1939, გვ. 2-3; № 13, 26 მარტი, 1939, გვ. 2-3; № 14, 2 აპრილი, 1939, გვ. 3; № 15, 8 აპრილი, 1939, გვ. 5; № 18, 30 აპრილი, 1939, გვ. 3; № 19, 7 მაისი 1939, გვ. 3; № 21, 21 მაისი 1939, გვ. 3; № 22, 28 მაისი, 1939, გვ. 3; № 24, 11 ივნისი, 1939, გვ. 3; № 25, 18 ივნისი, 1939, გვ. 3; № 26, 25 ივნისი, 1939, გვ. 3; № 27, 2 ივლისი, 1939, გვ. 3; № 28-29, 9 ივლისი 1939, გვ. 2-4; № 30-31, 23 ივლისი 1939, გვ. 3-4; № 33, 13 აგვისტო, 1939, გვ. 4-5; *Erlebnisse in und um Kaja Punar*, „Orient im Bild“, 11:1937, 9, გვ. 33-34. [გამოქვეყნდა როგორც: G. Peradze, *Róże Jerychońskie. Dziennik podróży po Ziemi Świętej i Syrii* (9. VII.-28. IX. 1936), „Pro Georgia“, 13(2006), გვ. 9-112].

93 G. Peradze, *Ein Dokument der mittelalterlichen Liturgiegeschichte Georgiens*, „Kyrios“, 1(1936), 1, გვ. 74-79 = *Dzieła zebrane, O monastycyzmie gruzińskim, O Liturgii gruzińskiej*, გვ. 203-210].

94 განსაკუთრებით ყურადღება მინდა გაგამახვილო ჩემს სტაგიაზე: დოქტორი ალოლუ

ამ მოგზაურობებმა „ღაშრიგა“ ჩემი ფინანსები და ვალებიც კი დაძვესო (ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მივიღე ფული სამეცნიერო მიზნებისათვის. ეს მოხდა ბონში, როდესაც გამომიყვანეს 60 თუ 90 მარკა 1930 წელს ბერლინში მოწყობილი ქართული კულტურის გამოფენაზე გასამგზავრებლად. ამის შემდეგ თავად უნდა დამეფინანსებინა საკუთარი მოგზაურობები). ამიგომ 1937 წლის მაისში არდადეგებზე შედარებით ახლოს გავემგზავრე - ავსტრიაში, რათა ხელახლა შემესწავლა გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული შუჰარდტის ქართული კოლექცია. განსაკუთრებით მაინტერესებდა ქართული ხელნაწერები, რომლებიც შეიცავდნენ X საუკუნით დათარიღებულ ლოცვათა ტექსტებს. შედარებისათვის ლოცვების დაბეჭდილი ქართული ეგზემპლარიც კი შევიძინე. გარდა ამისა, განზრახული მქონდა შემესწავლა შოთა რუსთაველის⁹⁵ ეპოქის ამსახველი ქართული ლიტერატურა, რადგან 1937 წლის შემოდგომაზე უნდა ჩაგარებულიყო XII საუკუნის ამ უდიდესი პოეტის იუბილე. ვარშავაში საიუბილეო სხდომაზე მე უნდა წარმომეთქვა სიტყვა მისი ფილოსოფიურ-რელიგიური შეხედულებების შესახებ... მაგრამ იმედგაცრუება მელოდა. ლოცვანის ხელნაწერი მხოლოდ უმნიშვნელოდ და არაარსებითად განსხვავდებოდა ქართული „textus receptus“-გან, ხოლო ამ ბრწყინვალე ქართველ პოეტზე მასში ძალზე მცირე რამ იყო ნათქვამი. ამიგომაც ვისარგებლე მშვენიერი ამინდებით და არდადეგები დასასვენებლად, ვენის გარეუბნებში სასეირნოდ გამოვიყენე.

ვარშავაში დაბრუნებისთანავე დავწერე ნაშრომი ავსტრიაში დაცული ქართული ხელნაწერების შესახებ, რომელიც იმავე წელს დაიბეჭდა ვენაში, ქურნალში „Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes“⁹⁶. ამის შემდეგ მზადება დავიწყე რუსთაველის იუბილესათვის. უნდა ვაღიარო, რომ, როგორც ქართული საეკლესიო ლიტერატურის თაყვანისმცემელი, კვლავაც მცირე დროს ვუთმობდი მის უკვდავ შემოქმედებას, მაგრამ საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ „ვეფხისტყაოსანი“ ჩემთვის უაღრესად ძვირფასი გახდა და ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ შოთა რუსთაველი საქართველოში რელიგიური აზროვნების მამამთავარიცაა.

დესიმანი. ჩემი მოგონებები, „Polska Stronica Słowa“, 2(1937), 16, 18. IV. 1937, გვ. 2.

95 შოთა რუსთაველი, (რუსთველი) XII საუკუნის დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე, შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი. 1840 წელს კამბიერ ლაფინსკიმ ვიორჯი ერისთავის დახმარებით ვეფხისტყაოსანი პროზაულად პოლონურ ენაზე თარგმნა. იხ.: ეჟი მაგურსკი, იან ბრაუნი. შესავალი, დავით ყოლბაია, ჰენრიკ პაპროცკი, „ვეფხისტყაოსანი“, Witeź w tygrysięj skórze, ვარშავა 2017.

96 G. Peradze, *Über die georgischen Handschriften in Österreich*, „Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes“, 47(1940), 3-4, გვ. 219-232.

ვარშავაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა ენერგიული დახმარებით იუბილე ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა. ჩემი მოსხენება დაიბეჭდა წიგნში, რომელიც გამოსცა ვარშავის ქართველთა კომიტეტმა⁹⁷ გარდა ამისა გამოვაქვეყნე რამდენიმე რეცენზია და პატარ-პატარა წერილები⁹⁸.

1937-1938 აკადემიური წელი მიეძღვნა დიონისე არეოპაგელს⁹⁹. ჩვენს მიგროპოლიგსაც დიონისე ჰქვია და ამ წელს აღინიშნებოდა მისი მღვდლად კურთხევის 40 წლისთავიც. ამიგომ დიდი სურვილი მქონდა მისთვის მიმეძღვნა გამოკვლევა დიონისე არეოპაგელის მემკვიდრეობის შესახებ. ოქსფორდში ყოფის დროს გადაწერილ ლოკუმენტებს შორის იყო ასევე მოციქულების – პეტრესა და პავლეს მოწამებობრივი სიკვდილის აქამდე გამოუქვეყნებელი აპოკრიფები, რომელშიც დიონისე არეოპაგელი

97 G. Peradze, *Religia Szoty Rustaweli*, G. Nakaszdze, Szota Rustaweli, Warszawa, 1937, გვ. 13-15.

98 G. Peradze, [რეცენზია:] H. W. Codrington, *The Liturgy of Saint Peter, Munster in Westfallen*, 1936, „Kyrios”, 2(1937), 3, გვ. 260-262; აგრეთვე: [რეცენზია:] H. W. Codrington, *The Liturgy of Saint Peter, Munster in Westfallen*, 1936, „Elpis”, 10(1936), 1-2, გვ. 232-233; იქვე, [რეცენზია:] R. P. Blake, *Epiphanius de Gemmis the old Georgian Version and the Fragments of the Armenian Version*, London 1934, „Elpis”, 11(1937), 1-2, გვ. 261-262; აგრეთვე: [რეცენზია:] R. P. Blake, *Epiphanius de Gemmis the old Georgian Version and the Fragments of the Armenian Version*, London, 1934, „Kyrios”, 2(1937), 4, გვ. 343-345; აგრეთვე: [რეცენზია:] ვ. ნალივაიკო, *Po Swjatij Ziemli*, Lwow, 1937, „Szlach”, (1937), 3, გვ. 8; აგრეთვე მოკლე წერილი: *Przeznaczenie*, „Polska Stronica Słowa”, 3(1938), 1-2, 2. I. 1937, გვ. 5-7. ეს წერილი თარგმნა რუსულ ენაზე რუსმა მწერალმა ევგენი ვადიმოვმა და გამოსცა: *Предопределение (Быль)*, „Воскресное Чтение”, 15(1938), 1-2, გვ. 4-8. უფრო მუსგად ეს მოკლე სააღდგომო გამოკლევა „გზა გამარჯვებისაკენ“, ერთდროულად პოლონურ ენაზე გამოქვეყნდა ზემოაღნიშნულ საეკლესიო გაზეთში (29. V. 1937), გვ. 4.

99 დიონისე არეოპაგელს, რომელიც არეოპაგეში წმინდა პავლეს ქდაგების მოსმენის შემდეგ ქრისტიანად მოექცა და ათენის პირველი ეპისკოპოსი იყო, მრავალი საუკუნის განმავლობაში მიაწერდნენ ე.წ. არეოპაგეტულ კორპუსს (Corpus Areopagiticum), რომელიც ათი ეპისკოპოსა და ოთხი გრაქტაგისაგან შედგება. ესენია: „მეციური იერარქია“, „საეკლესიო იერარქია“, „ღვთაებრივი სახელები“ და „მისტიკური თეოლოგია“. (შეად. ფილოსოფიის ისტორია გომი I, შეადგინა ივანე მარტინიძე. იგალიურიდან თარგმნა მარიკა სააკაშვილმა, რედ. ზაზა შათირიშვილი, თბილისი 2008; ი. პოპოვი და ა. პოკროვსკი, *Дионисий Areopagit, [წიგნი:] Христианство. Энциклопедический словарь*, Moskwa, 1993, I, გვ. 480-483). უკანასკნელ დროს დადგინდა, რომ წმინდა დიონისე, I ს-ის მოღვაწე არ შეიძლება ყოფილიყო ამ კორპუსის ავტორი, შესაბამისად, უცნობ ავტორს ეწოდა ფსევდო დიონისე არეოპაგელი. 1942 წელს ქართველმა მეცნიერმა შალვა ნუცუბიძემ ფსევდო დიონისე არეოპაგელისა და V საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწის პეტრე იბერის იდენტობის საკითხი წამოაყენა. (იხ. შ. ნუცუბიძე, პეტრე იბერი და ანტიკური ფილოსოფიური სკოლა, თბილისი 1963). მისგან დამოუკიდებლად ამავე დასკვნამდე მივიდა ცნობილი ბელგიელი მეცნიერი ერნესტ ჰონიგმანი 1952 წელს, რის შემდეგაც აღნიშნულ თეორიას ეწოდა ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია. E. Honigmann, *Pierre l'Iberien et les écrits du Pseudo-Denys l'Areopagite*, Bruxelles 1952; დ. შლენკოვი, „Areopagitika” [წიგნი:] *Православия Энциклопедия*, Moskwa 2001, III, გვ. 195-213; შ. ხიდაშელი, შალვა ნუცუბიძე – ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისი 1969 (ახლავს ნუცუბიძის ბიბლიოგრაფიას; ვ. ჩაჩანაძე, პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბილისი 1974).

გამოყვანილია როგორც ეფესოს ეპისკოპოსის – გიმოთეს ისგორიის მოწმე. მას ქრისტიანულ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული წერილების ფორმა აქვს. დიდი ხანია მინდოდა ამ საინტერესო ტექსტის გამოქვეყნება, რის თაობაზე მიმოწერაც მქონდა პროფესორ ლიცმანთან¹⁰⁰. ვყოყმანობდი რადგან ტექსტის ბერძნული ხელნაწერი შემონახული უნდა ყოფილიყო ფლორენციაში და მისი ადგილზე შემოწმების გარეშე ვერ გადავწყვიტავ ჩემი ხელნაწერის გამოქვეყნება.

ამიგომ ქრისტიანობის დღესასწაულის არდადეგებზე, 1937-1938 წლებში, პარიზის ნაცვლად იტალიაში გავემგზავრე. ეს იყო ჩემი პირველი მოგზაურობა იტალიაში. ვნანობდი რომ აღრე ვერ მოვახერხე ხელოვნებისა და პოეზიის ამ უმშვენიერესი ქვეყნის გაცნობა. ამდენ ძეგლს, შენარჩუნებულ გრადიციებსა და ხელოვნების დახვეწილ გაგებას ძნელად თუ შევხვდებოდა ადამიანი სადმე სხვაგან. არდადეგების მცირე დრო ძირითადად ფლორენციის ბიბლიოთეკაში ხელნაწერის ბერძნული ვარიანტის ძიებაში გავაგარე. თუმცა იმდენი დრო მაინც მრჩებოდა, რომ მომენახულებინა სიენა, რომი, ნეაპოლი და პომპეი. ის, რასაც ადამიანი მათი ხილვისას შეიგრძნობს, მთელი სიცოცხლის მანძილზე მზის სხივივით თან დაჰყვება. თუ შემთხვევა მომეცემოდა, ვეძებდი ქართულ ხელნაწერებსაც და სახლში ჩამოვიტანე უაღრესად საინტერესო, თუმცა მცირე რაოდენობის, მასალები. ვარშავაში დაბრუნების შემდეგ გამოვაქვეყნე სამეცნიერო ნაშრომი - „Apokryficzny list Dionizego Areopagity do biskupa Tymoteusza z Efezu”¹⁰¹. 1937-1938 აკადემიური წლის ბოლოს შემომთავაზეს თანამშრომლობა პოლონურ სერიულ გამოცემაში - „ეკლესიის მამათა წერილები”. დავთანხმდი და დასაწყისისათვის გადავწყვიტე გამოსაქვეყნებლად მომემზადებინა მოწამეთა ცხოვრებები¹⁰². ამრიგად, 1938 წლის არდადეგები მოწამეთა ცხოვრების შესწავლას მივუძღვნი. რომის ცნობილი კოლიმეუმის დათვალიერების გარდა, ჩრდილოეთ იტალიასა და სამხრეთ საფრანგეთში წმინდა

100 1930 წლის 5 თებერვლის პროფესორ ჰანს ლიცმანის წერილი.

101 G. Peradze, *List apokryficzny Dionizego Areopagity do biskupa efeskiego Tymoteusza o męczeńskiej śmierci apostołów Piotra i Pawła*, „Elpis”, 11(1937), 1-2, გვ.111-142 (წინასიტყვაობა, გვ. 111-134; ტექსტი, გვ. 135-142; რეზიუმე ფრანგულ ენაზე გვ. 142-143), Warszawa, 1937, სინოდის გამომცემლობა, გვ. 35+1 nbl. [აგრეთვე: „Wiadomości Polskiego Autokefalicznego Kościoła Prawosławnego”, 16(1986), 3-4, გვ. 39-45 (ტექსტი). = *Apokryfy Nowego Testamentu. Apostołowie*, I, გვ. 460-470. რეცენზია: K. Sereschnikoff, „Kyrios”, 3(1938), გვ. 329. ამ სემინარის დამსახურება, რომ გამოიცა ნაშრომი: G. Peradze, *Akta męczenników*, Warszawa 1934, მართლმადიდებელ თეოლოგთა წრე, გვ. 2+26+1 nbl. [= „Pro Georgia”, 17(2008), გვ. 91-144= *Dziela zebrane, O patrologii, O historii Kościoła*, t. 3, Warszawa 2011, გვ. 235-284].

102 ამ სემინარის დამსახურება, რომ გამოიცა ნაშრომი: G. Peradze, *Akta męczenników*, Warszawa 1934, მართლმადიდებელ თეოლოგთა წრე, გვ. 2+26+1 nbl. [= „Pro Georgia”, 17(2008), გვ. 91-144= *Dziela zebrane, O patrologii, O historii Kościoła*, t. 3, Warszawa 2011, გვ. 235-284].

მოწამეთა სისხლით ნაკურთხი ადგილების მონახულებასაც ვაპირებდი. ამ მოგზაურობების დროს ჩავაღწიე მონგენებლომდეც, სადაც XIX საუკუნეში ქართველ უნიტ ბერებს მცირე სემინარია ჰქონდათ გასხნილი. აქაური კათოლიკური არქივიდან გადმოვიწერე ბევრი საინტერესო დოკუმენტი სემინარიის მუშაობის შესახებ, რისი საშუალებაც მომცა მონგენებლოს ეპისკოპოსმა¹⁰³.

1938 წლის სექტემბერში მონაწილეობა მივიღე ბრიუსელში გამართულ ორიენტალისგთა საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში. თვის ბოლოს ვარშავაში დაბრუნებულმა მოვამზადე სამეცნიერო ნაშრომი ამ კონფერენციის ქრისტიანულ-ორიენტალისტურ სექციაზე წაკითხული მოხსენებების საფუძველზე და დასაბუქლად გადავეცი ჩვენი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალ „Elpis“-ს. იქვე მოვათავსე რამდენიმე რეცენზიაც.

დაიწყო ომი. მთელი აკადემიური წლის განმავლობაში ვმუშაობდი ნაშრომზე წამებულთა ცხოვრების შესახებ. ხელნაწერი გამოსაცემად უნდა წარმედგინა 1939 წლის ქრისტეშობის დღესასწაულისათვის. დასაბუქლად მოვამზადე აგრეთვე მოხსენება პაგროლოგიის სფეროდან. მაისის ბოლოს მიმიწვიეს ბიზანტოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც უნდა გამართულიყო 1939 წლის 9 ოქტომბერს ალჟირში. მოწვევაზე დაეთანხმდი და მის თავმჯდომარეს, პროფესორ გაბრიელ მილეგს გასაცნობად შევთავაზებე ფრანგულ ენაზე მომზადებული რეფერატი ბაჩკოვოს მონასტრის შინაგანაწესის შესახებ. მოხსენების შემოკლებული ვარიანტი¹⁰⁴ მისთვის აღრევე მქონდა გადაგზავნილი. თემა დაამტკიცეს.

განსაკუთრებით დამაინტერესა კართაგენის ნანგრევებმა და თავად გუნისმა (კონფერენციის მონაწილეთათვის ამ ქვეყანაში ექსკურსიაც იყო

103 861 წელს კონსტანტინოპოლის ერთ-ერთ უბანში, პეგრე ხარისჭირაშვილმა (1804-1892). ქართველთა სავანე ეკლესია, დედათა და მამათა მონასტრები დააფუძნა. ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაცია მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა. შეიქმნა სასულიერო სასწავლებელი. საღვთისმეტყველო საგნების გარდა ისწავლებოდა ქართული ენის გრამატიკა, ლიტერატურა და ისტორია. ასწავლიდნენ ლათინურ, ფრანგულ ენებს. წარმატებულ ასალგაზრდებს ევროპაში გზავნიდნენ სწავლის გასაგრძელებლად. ამ სასწავლებელში აღიზარდნენ მისიელ თამარაშვილი (1858-1911) და მისიელ თარხნიშვილი (1897-1959). XIX საუკუნის სამოცდაათიან წლებში კონგრეგაციამ შეისყიდა პაგარა სახლი მონგენებლოში, გულუმის ჩრდილოეთით დაახლოებით ორმოცდაათი კილომეტრის დაშორებით. ამ სახლში დაარსდა სტამბა, რომელიც 1880 წელს საფრანგეთის ხელისუფლების მიერ დაიხურა. ის ილია გაბაღუა, *L'imprimerie georgienne à Montauban*, „Bedi Kartlisa“, 37(1979), გვ. 232-238. 104(*) პროფესორ ა. ლოტოცკის წიგნზე ვერანაირად ვერ გამოვაქვეყნე პაგარა რეცენზია (A. Łotocki, *Autocefalia*, Warszawa, 1938, უკრაინის სამეცნიერო ინსტიტუტის გამომცემლობა) უკრაინულ ენაზე, ჟურნალი „Szlach“ (ლუცკი 1939, 1). ქართულ ხელნაწერებზე ფრანგულ ენაზე 1939 წლის 8 თებერვალს ჟურნალ „La Georgie“-ში ბაგონ გვაზაფასთან გაავაზაფენე რამდენიმე შენიშვნა. ხელნაწერის ჩაბარება დამიდასტურეს 1939 წლის 18 თებერვლის წერილით. დღესდღეობით ვერ გვცხვით, თუ რა ბედი ეწია ამ მასალებს.

დავეგმილი). აქ სომ უამრავმა ქრისტიანმა დაღვარა თავისი წმინდა სისხლი ქრისტიანობის დასაცავად. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან წმინდანები - პერპეტუა და ფელიციტა. ყოველი თეოლოგი ოცნებობს იმ ქვეყნის მონახულებაზე, სადაც მოღვაწეობდნენ ეკლესიის უდიდესი მამები - კირიანე, გერგულიანე, ავგუსტინე, ქვეყნისა, რომელიც წმინდა მიწისა და რომის შემდგომ გახდა ეკლესიის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი, მსოფლიო ღირებულებების მქონე მოვლენების ასპარეზი. ივლისის შუა რიცხვებში, როდესაც საგარეო საქმეთა სამინისტროს მიემართე პასპორტის ასაღებად, განმიცხადეს, რომ წასვლა შემძლეო, მაგრამ უკან გამობრუნებისას შესაძლოა პრობლემები გამჩენოდა. უარი ვთქვი მოგზაურობაზე, რადგან ვარშავაში მაქვს საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა, დაახლოებით ორი ათასი ტომი, მათ შორის იშვიათი ქართული პაგრისტიკული წიგნები. ვფიქრობდი, რომ არ შემეძლო ბედის ანაბარა მიმეგოვებინა ევროპაში მთელი ჩემი ცხოვრების ნამოღვაწარი, მთელი ეს სიმდიდრე, ამიტომ ვარშავაში დავრჩი, იქ ვიყავი მისი ალების დროსაც, მიუხედავად იმისა, რომ უცხოელებს ქალაქის დატოვების ნება დართეს. ღმერთს მაღლობას ვწირავ, რადგან როგორც ჩემი ბიბლიოთეკა, ასევე მოკრძალებული ბინა ხელუხლებლად გადარჩა. ღვთის წყალობის იმედითა და რწმენით სავსე, კვლავაც სასოებით შევეყურებ მომავალს.

შემოკლებული სიტყვების განმარტება

- ABol – „Analecta Bollandiana”, Bruxelles, 1882.
- AOL – „Archives de l’Orient Latin”, Paris, 1881-1884.
- CCCM – Corpus Christianorum Continuatio Mediaevalis, Turnhout, 1984.
- CSCO – Corpus scriptorum christianorum orientalium, Paris, 1903-1949; Louvain, 1950.
- Der Orient – Der Orient. Monatsschrift für die Wiedergeburt der Länder des Ostens, Potsdam, 1918-1936.
- EL – „Ephemerides liturgicae”, Roma, 1887.
- EO 1707 1707 – „Ephemerides liturgicae”, Roma, 1887.
- Elpis – „ელპისი. თეოლოგიური ჟურნალი გამოცემული მიგროპოლიგ დიონისესა და ვარშაფის უნივერსიტეტის მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკულტეტის პროფესორების ერთობლივი ძალისხმევით“, ვარშაფა, 1926-1937.
- Georgica – „Georgica. A Journal of Georgian and Caucasian Study”, Hertford, 1935-1937.
- IKZ – „Internationale Kirchliche Zeitschrift”, Bern, 1911.
- ჯვარი ვაზისა – „ჯვარი ვაზისა. წმინდა ნინოს ქართული მართლმადიდებელი მრევლის ორგანო“, პარიზი, 1931-1934.
- Luk – „Liturgie und Kunst”, München-Gladbach, 1920.
- Muséon – „Le Muséon. Revue d’études orientales”, Louvain, 1882.
- OC – „Oriens Christianus. Hefte für die Kunde des christlichen Orients”, Roma-Wiesbaden, 1901.
- PG – Patrologia Graeca, ed. J. Migne, Paris. Polska Stronica Słowa – Polska
- Pro Georgia – „Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies”, Warszawa, 1991-.
- RHE – „Revue d’histoire ecclésiastique”, Louvain, 1900.
- ROC – „Revue de l’Orient chrétien”, Paris, 1896-1939.
- WPAKP – „Wiadomości Polskiego Autokefalicznego Kościoła Prawosławnego”, Warszawa, 1971.
- ZDMG – „Zeitschrift der deutschen morgenländischen Gesellschaft”, Leipzig-Wiesbaden, 1847.
- ZfK – „Zeitschrift für Kirchengeschichte”, Stuttgart, 1876-.

პირთა საბიებელი

- აბაშიძე ირაკლი.: 26
აბაშიძე დაფ. 86
აბელი ფელიქს-მარი: 134
აბსაზი ელენე: 80, 81, 86
აბსაზი ნიკო: 85
ათიანასე გრაპიზონელი: 96
ათიანელიშვილი თ.: 65
აკიბა ბენ იოსები: 187
ალენი უილიამ: 79, 81
ალექსი (ვოლინის არქიეპისკოპოსი): 119
ალექსი I (პატრიარქი): 21
ალექსაშვილი: 28, 29
ანანიაშვილი დიმ.: 86
ანთიმოზ ივერიელი: 92
ანტიოქე სტრაგევი (წმ. საბას მონასტრის ბერი): 155, 160
ანტონი (ნოვეგოროდის არქიეპისკოპოსი): 93
ანჯელიკო ფრა: 191
ამბროსი (ხელაია), კათოლიკოს-პატრიარქი: 8, 58, 63
ამილახვარი დიმიტრი: 15, 78
ამირანაშვილი შ.: 46
ამირეჯიბი შალვა: 85, 86, 88
ანანია და საფირა: 34
ანდრო დეკანოზი (სამინადარი): 85
აპოლინარიოს უფროსი: 216
არტურ კონან დოილი: 202
არჩილი (გრიოგლ ფერაძის ძმა): 7, 65, 88
ასათიანი ალ.: 87
ასფალგი იულიუში: 241
ასგარგე: 134
- ბაგრატიონი ირაკლი.: 60, 85
ბაგრატიონი სოფო: 79, 80
ბაგრატიონ-გურანქან ნატალია: 15, 78, 79, 85
ბაგრაგ III: 142
ბაზილევსკაია ნატალია: 78
ბათია მარიე ქული: 203, 249
ბაიგუგანი ბარასბი: 22, 202, 220
ბალანჩინი გიორგი (ჯორჯ): 86
ბალდი დ.: 139
ბალოშვილი: 33

- ბარათაშვილი მარიამ: 88
ბარათაშვილი ნიკოლოზ: 50
ბარნაბიშვილი ელენე: 38
ბარლაძე: 31
ბარელიძე: 51
ბასილ დიდი (წმ. მამა): 182
ბაუდისინი ვ.: 232
ბაუმგარტენი მ.:
ბაუმშტარკი ანტონი: 11, 17, 236, 238
ბაქსტონ ჰაროლდ: 134, 149
ბელიანიძე: 51
ბეზა მარკუ: 176
ბეკერი კარლ ჰაინრიხ: : 87 240
ბოკონინი რობერტი: 87
ბენედიქტე (ბესარიონი) ქიოტიშვილი: 100
ბერიძე შალვა: 87
ბერკმან-კარენინი ეჟი: 19, 20, 21
ბერულაშვილი: 35
ბესარიონ (ვასილი) ქიქოძე: 100
ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი): 91, 250
ბილანიშვილი მიხეილ: 79
ბლეიკ რობერტი: 134, 159, 161, 239, 255
ბოდლე თომას: 235
ბორკოვსკი სტანისლავ ლუდვიგ: 138, 166
ბოლაშვილი: 29
ბრანიცკი (გრაფი): 19
ბროსე მარი: 92, 154
ბური ნიკო: 79
ბურკიტი ფ. ს.: 244, 247
- გაბაშვილი კეკე: 61
გაბაშვილი ტიმოთე: 108
გაბრიელ ქიქოძე: 100
გამსახურდია კონსტანტინე: 58
გამყრელიძე (კაპიტანი): 30, 33
გან-ფარი (გრიგოლ ფერაძის ფსევდონიმი): 17
გაფრინდაშვილი ვ.:
გარსიაშვილი გიორგი: 42
გელაშვილი: 28
გერასიმე იორდანელი (გარდ. 475) : 197
გვაზავა ათანასე: 99
გვაზავა გიორგი: 22, 88
გვაზავა ნინო: 85

გვაზავა მათე: 99
გვარჯალაძე კონსტანტინე: 80
გეგეჭკორი თამარ (მათიკო): 78
გერმანოზი არქიეპისკოპოსი: 117, 243
გერმანე (მღვდელმონაზონი):
გიგინეიშვილი: 29
გიორგი ათონელი: 10
გიორგი მთაწმინდელი: 74, 75, 95
გიორგი პროხორესი: 152
გოგიაშვილი ესტატე: 25
გოგუაძე ვლადიმერი (ვალოლია): 80
გოგუელი მაურის: 245
გოდებსკა მარი სოფია ოლგა შინაიდა:
გრიგოლ ბაკურიანი: 102, 103, 105
გრაფი გეორგ: 155
გრესმანი ჰუგო: 232
გრიგოლ პალამა: 93
გრიგოლ ფერაძე: 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23
25, 26, 28, 32, 38, 46, 49, 51, 53, 57, 58, 60, 61, 65, 66, 67, 68, 86, 95. 100, 108,
117, 118, 125, 126, 133, 136, 139, 150, 159, 161, 166, 177, 179, 191, 203, 206, 207
208, 213, 229, 234, 235, 244, 261
გრომაძე ალექსი (ალექსანდრე) ვოლინის არქიეპისკოპოსი: 119
გრუშეფოი ა.: 126
გუგუნავა: 51
გუგუშვილი ანდრია: 81
გურიონი ემანუელ ბენ (ემანუელ ბერდიჩევსკი): 205
გუსენი ჰაინრიხ: 1, 13, 73, 74, 75, 76, 139, 232, 233, 25, 236, 238

დავითაშვილი: 40
დაუშვილი რ.: 80
დადიანი იოსები: 84, 85, 87
დადიანი მერი: 87
დადიანი (კოკი) ნიკოლოზი: 79, 81, 84, 87
დადეშკელიანი ილამაზი: 81, 84, 85
დადეშკელიანი თენგიზი: 84
დაისმანი ადოლფი: 257
დამიანე I: 168
დემნიცი პოლ გერჰარდი: 209, 212, 213
დეეგერსი გ.: 17
დეკანოძე: 51
დენის სტიუარტ პერსი კონან დოილი: 203
დიონისე (კოსტანტინე ვალედინსკი), მიგროპოლიტი: 13, 14, 21, 117, 119, 244, 245
დიურერი ალბრეხტ: 170

დობროვოლსკი გ.: 191
დოსტოევსკი თეოდორე: 40
დრიუფელი: 32
დულარიძე თამარი: 23

ედენი რობერ ენგონი: 165
ეელოვიუსი (ვასილი სემიონოვიჩ გეორგიევსკი) მიგროპოლიტი: 246
ეშეკია: 232
ელია წინასწარმეგველი: 110
ელისაბედი (ალექსანდრე კუსიკოვის ცოლი): 7
ელიზავეტა ფიოდოროვნა: 130, 173
ელენე (ბარნაბიშვილი): 38
ელენე დედოფალი: 127
ერაძე გიორგი: 81
ერისთავი: 3, 44, 46
ერისთავი ალექსანდრე (გენერალი): 85, 87
ერისგავი გიორგი: 257
ერისთავი რაფიელ.: 80, 87
ერისთავი ვ.: 80
ერისთავი თ.: 87
ერისთავი ალექსანდრე (საშა): 85
ერჰარდი ალბერტ იოსებ მარია: 11, 232, 237
ექვთიმე დიდი (წმ. მეუღაბნოე, ასკეტი): 184
ექვთიმე მთაწმინდელი: 95, 103

ვაილი ელიაკიმ გოგჰოლდ: 205
ვან ალენი ლუიზა ასტორი: 202
ვასო, ვასილი (გრიგოლ ფერადის ძმა): 58, 67, 68
ვაშაკიძე (პოლკოვნიკი): 28
ვაჩნაძე დათა: 85
ვაჩნაძე: 35, 46, 51, 52
ვაჩნაძე ვ.: 80
ვაჩნაძე ივანე (იუნკერი): 87, 88
ვახვასიშვილი თამარ: 64
ვერფელი ფრანც: 215
ვინსენტი ლუი: 134
ვო როლანდ დე: 134
ვოუჩოპი სერ არტურ გრენფელი: 204

ზაგურსკი ეეი: 118
ზალდასტანიშვილი სოლომონი: 86
ზაქარიძე ალექსანდრე: 22
ზორელი ფრანც: 128

ზურაბიშვილი არჩილ 14, 77, 78, 79, 84,
ზურაბიშვილი ივანე: 77, 88
ზურაბიშვილი ლევან: 78, 85, 87
ზურაბიშვილი ნინო: 85
ზურაბიშვილი სალომე: 78, 84

თაბუკაშვილი რეზო: 22
თაფღირიძე ნიკო: 63
თამარაშვილი მისეილ: 107, 260
თამარი, (საქართველოს მეფე): 46, 61, 127
თარხნიშვილი მისეილ: 17, 241, 253, 254, 260
თაყაიშვილი ექვთიმე: 45, 53, 79, 80, 85, 238
თოფურია: 49

იაშვილი ნიკოლოზი: 78
იბერი პეტრე: 115, 258
იერონიმე სგრიდონელი: 107
ივანიცკი (რაფიელ ინგილო): 60
იოსელიანი პლატონ: 108
ივანოვსკი ნ.:
ივერაშვილი: 29
ივლიანე განდგომილი (რომის იმპერატორი): 211
ილარიონ ქართველი: 93, 100, 101
ილია (ფანცულაია), ბერი: 61
ილიფე ჯონ ჰენრი: 174
იმნაიშვილი გერასიმე: 51
იმნაძე კოტე: 22
ინგოროყვა პ.:
იოანე ოქროპირი: 63, 209, 214
იოანე ფოკა (XII ს.), (კრეცელი ბერი): 197
იორგა ნიკოლაე: 92
იოსებ არიმათიელი: 127, 201

კავუკლიანი ანტრანიც: 209, 210, 211, 212, 214
კალანდაძე შ.: 87
კალე ჰაულ ერნესტი: 11, 76, 236, 238, 242
კალისტოს მელიარასი: 154
კალიქსტი არქიმანდრიტი: 119, 125
კანდელაკი ბენიამინე: 27
კარბელაშვილი ვასილ: 82
კარგარეთიელი ალექსანდრე: 87
კარლოს დიდი: 205
კაუსკი კარლ: 49

კახელაძე დავით: 81
კელია თეოდორა (თეონა): 78
კელია ზეინაბ: 78
კელია მელქისედეკ (მექი): 78
კელია სპირიდონ: 78
კეკელიძე კორნელი: 8, 38, 65, 66, 91, 95, 108
კემულარია იოსებ: 84, 85, 87
კენიგაძე (გიორგი ჩიქოვანი) (გენერალი): 79, 85, 86, 88
კიკნაძე ირაკლი: 109
კირიონ II (საძაგლიშვილი): 39
კლიმენტი (ეპისკოპოსი): 96
კლემენი კ.: 11
კლუგე თეოდორ: 239
კონბეარი ფრედერიკი: 247
კრესი (გენერალი): 8
კურდღელაშვილი ნიკო: 28
კურნიკოვსკი მჯისლაფ: 128

ლაისტი არგური: 10, 59
ლამბი ჯომეფ როუსონ: 165
ლასკოვი დანილ: 53
ლაუდენბახი: 26, 33, 34, 35, 46
ლაცაბიძე: 51
ლალიძე დავით (დათა): 82
ლეიციმანი ჰანს: 246
ლენინი: 33,
ლეონიდე (კათოლიკოს-პაგრიარქი): 9, 39, 45, 51, 53, 69
ლეონიდე: 43
ლეფსიუსი იოჰანე: 8, 10, 11, 12, 60, 65, 73, 74, 75, 76,
207, 208, 209, 212, 213, 232, 233, 234, 238
ლეფსიუს კარლ: 60, 208, 232
ლობოლოვსკი იუზეფ: 16
ლოკი ჯონ: 45
ლოგი ანდრე: 79
ლოგოცკი ა.: 260
ლუბახი ეჟი: 23
ლუნაჩარსკი: 37

მაიერი რიჰარდ (პასტორი): 64
მათიკაშვილი ნ.: 82
მაიმონიდესი (მოსე ბენ მაიმონი): 187
მაისნერი ბრუნო: 10

მამულაიშვილი ელენე: 79
მარი ნიკო: 159, 213, 238, 239
მარიამ იაკობისა: 37
მარიამ მაგდალინელი: 30, 37, 130, 131, 186
მარინოვიჩი: 82
მარკოზიშვილი: 29
მარტელი ჟორჟ დე (ფრანგი დიპლომატი): 43
მარშავა: 29
მარჯანიშვილი კოტე: 64
მათიკაშვილი ნიკოლოზ: 82
მაყაშვილი (კოტე) კონსტანტინე: 61
მაყაშვილი მარიამი (გიორგი კვინიტაძის მეუღლე): 79, 80
მაყაშვილი მარო: 61
მანაბელი გიორგი: 80, 85
მანაბელი ნინო: 80
მდივანი ალექსი: 202
მდივანი დავით: 202
მდივანი მარიამ (ბუღუ მდივანის მეუღლე): 61
მდივანი ნინო: 203
მდივანი პოლიკარპე (ბუღუ): 61
მდივანი რუსუდანი: 203
მდივანი სერგო: 202
მეგრელი ლუგუ (დიმიტრი სოშტარია): 59
მეკელაინი რიჩარდ: 11, 73, 240
მელქისედეკი: 127
მელიქიშვილი-კრუმენშტერნი მარიამ: 87
მელიტონ მადაბელი (არქიეპისკოპოსი): 125
მენელიქ II (სალე მარიამი/საჰლე მარჯამი): 177
მესერიანი იოვანეს: 133, 208, 209, 213, 215
მილეთი გაბრიელ: 245
მიხეილ საბინინი: 82
მოსიძე ალექსანდრე (მაიორი): 29, 49
მოჩიაშვილი: 27
მურეი მეი: 202
მჭედლიშვილი: 29
მჭედლიძე: 29

ნაზარი (ლეკაევა), მიტროპოლიტი: 33, 35, 57
ნაზლი საბრი: 175
ნაკაშიძე გიორგი: 16, 20, 22, 42
ნალივაიკო ვ.: 258
ნანობაშვილი მიხეილ: 85
ნარცისი (არქიმანდრიტი): 118, 177

ნაგროვეი ანგ.: 96
ნეგრი პოლა (ბარბარა აპოლონია ხალუპეცი): 202
ნეგუსის (ეთიოპიის იმპერატორისქალიშვილი): 122
ნემესიოს ემესელი: 219
ნიკოლემოსი: 127, 148
ნიკოლემოსი (მილონასი), (კვიპროსის კიგიონის მიგროპოლიტი): 148
ნიკოლას ჯიბსი: 124
ნიკოლაძე შოთა: 78
ნინო (წმ. ქართველთა განმანათლებელი): 9, 14, 15, 63, 69, 77, 79, 80, 82
ნოვიკოვი: 51
ნოზაძე ვიკტორ: 75
ნუსუბიძე შალვა: 258

პაულე არქიმანდრიტი (ჯაფარიძე):
პაულე მოციქული: 25
პაპავა აკაკი: 87
პაპროცკი ჰენრიკ: 21, 22, 23, 165, 229
პაპუაშვილი ნ.: 64
პარკაძე: 29, 54
პაგარიძე ელისე: 87
პეგერსი პაულ: 11, 12, 13, 74, 93, 133, 234, 235, 236
პეტიტი ლუის: 104
პეტრე იბერი: 115
პილსუდსკი იოზეფ: 200
პლაგონი: 30
პლესნერი მარგინ: 205
პოლგარაცკაია ნინო: 79

ქანენი რ.: 17
ქორდანიანოე: 22, 39, 40, 41, 62, 85
ქლენტი ლეონტი (ვიქტორ): 88

რაიკოვი რ.: 253
რამბაში (მოსე ბენ მაიმონი): 187
რას დესგა: 122, 123
რენანი ერნესტ: 25, 30, 31, 37
რილელი იოანე: 103
როსტოვევი მ.: 131, 187, 196
რუსთაველი შოთა: 16, 26, 37,

საბა (ლუბლინის ეპისკოპოსი): 15
საბინინი მისეილ: 82
საენიაკი რაფაელ: 133, 134, 137

სალადინი (ეგვიპტის სულთანი): 184
სალაყაია იოსები: 33
სამადალაშვილი მარიამ: 7, 38
სამადალოვი ალექსი: 7
სერგი ხოსე მარია: 203
სარჯველაძე იოსებ: 15, 77
სარაჯიშვილი დავით: 56
სელემზოვი: 25, 47, 48, 50, 51
სელინი ერნსტ ფრანც მაქს: 194
სვიმეონ მესვეტე უფროსი: 204, 207
სვიმეონ მესვეტე უმცროსი: 208, 215
სიამაშვილი მანია: 87
სიკსეკი: 196
სილაქაძე დიმიტრი: 32, 36, 54
სინკლერი ვირჯინია: 203
სიმონ სალონიკელი: 93
სინჯიკაშვილი დიმიტრი: 87
სირკუ პოლისრონი: 103
სემირადსკი ჰენრიკ: 147
სოლომონ II- იმერეთის მეფე: 100
სტურუა მისეილ: 15, 78

ტაბალუა ილია: 260
ტაბიძე გალაკტიონი: 40
ტატარკევიჩი ვ.: 191
ტერტერაშვილი: 29
ტიმოთე იერუსალიმის პატრიარქი: 117
ტიშენდორფი კონსტანტინ: 16, 137, 252
ტოროშელიძე მალაქია: 58
ტროცკი ლევ: 33
ტურანქანი ჟან: 78

უგრესელიძე (თალიკო) ვიგალი: 18, 19
უორდროპი მარჯორი: 91, 101, 247
უორდროპი ოლივერი: 165, 250
ულფანიანი: 25, 29, 46, 47, 48, 52, 54
ურაგაძე გრიგოლი: 14, 77, 81
ურაგაძე მეღუნია: 77
უსპენსკი პორფირი: 156

ფალიაშვილი ზაქარია: 82
ფალავა იური: 64
ფირცხალავა სამსონ: 85

ფერაძე რომანოზ (მღვდელი): 7, 38
ფერაძე ვასილ: 67, 68,
ფინკელი ალექსანდრე მოისევიჩი: 27
ფლურ ლეა: 79
ფორაქაშვილი-სარაჯიშვილი ეკატერინე: 56
ფოტიუსი არქიმანდრიტი: 152
ფუად I: 175
ფრიდრიხ I ბარბაროსა: 210
ფრუფლინგი ი.: 215

ქავთარაძე სერიოჟა.: 59
ქავთარაძე ივ.: 82
ქარუმბე შალვა: 60, 62
ქვარიანი კოლა (ნიკოლოზ): 78
ქუთათელაძე სპირიდონ: 87

ღამბაშიძე ვახტანგი: 84

ყანჩაველი იესე (წმ. ილარიონ ქართველი):
ყარაულაშვილი: 47
ყაუხჩიშვილი ს.: 107, 253
ყობაია დავით: 7, 9, 10, 12, 15, 22, 49, 66, 86, 95,
106, 109, 118, 126, 133, 137, 208, 257, 261
ყოყოჩაშვილი: 29

შანიძე აკაკი: 26, 253
შკლიარსკი: 52, 95
შლენოვი დ.: 258
შმიდტი კარლ: 252
შნელერი იოჰან ლუდვიგ: 137
შუჰარდტი ჰუგო ერნესტ მარიო: 16, 241, 257

ჩარკვიანი ცაცუ: 79
ჩაჩანიძე გაბრუშა (მიგროპოლიტი გაბრიელი): 42
ჩაჩანიძე ვ.: 115, 258
ჩოლოყაშვილი ქაქუცა: 84, 87
ჩერქეზიშვილი ელენე: 80
ჩიქოვანი გიორგი (გენერალ კვინიტაძე): 85
ჩიჯავაძე სოფო: 78
ჩხენკელი აკაკი: 79
ჩხენკელი მაკრინე: 79, 86
ჩხენკელი ქეთევან: 80

ცინცაძე ნოე: 87
ციცერონი: 47
ციცქიშვილი ვასო: 72, 82
ციცქიშვილი ელიზ-სუმი: 77
ციცქიშვილი ნაგაშა: 77
ცაგარელი ალ.: 75, 94, 105, 108, 116, 126, 135,
142, 150, 151, 152, 156, 157, 159, 160 161, 164,
183, 196, 251, 252, 254, 255
ცონევი: 102

ძიმიგური შ.: 238

წერეთელი აკაკი: 15, 78
წერეთელი გიორგი: 26
წერეთელი მისეილ: 64, 240
წერეთელი სიმონ: 15, 78, 81
წერეთელი ტასო.: 85
წულუკიძე არაიანა: 77
წულუკიძე ვარდენ: 51

ჭიჭინაძე ნიკოლოზ: 49
ჭკალუა: 38, 44, 51
ჭუმბურიძე თ.: 10, 14, 22
ჭყონდიდელი ანტონ: 43

ხანძთელი გრიგოლი: 159, 160
ხარისჭირაშვილი პეტრე: 260
ხიდაშელი შ.: 258
ხოშგარია აკაკი: 59, 79
ხოჭოლავა იაკ.: 87
ხუნდაძე მისეილ: 77
ხოსრო II ფარეზი: 168

ჯავახიშვილი ივანე: 10, 12, 17, 46, 54, 64, 231, 250
ჯანელიძე ო.: 80
ჯანჯღავა: 51
ჯაფარიძე ივანე (გენერალი): 81, 84, 85
ჯაფარიძე გ.: 161
ჯაფრაიძე პაულე (არქიმანდრიტი): 33, 45, 46
ჯაფარიძე ნინო.: 79, 80, 86
ჯაფარიძე ლევან: 88
ჯიბლაძე: 32, 33
ჯიბო: 38

ჯიბსი ნიკოლას (წინამძღვარი): 124, 128, 130, 201
ჯინჭარაძე ქეთევან: 77, 80, 149, 211
ჯობაძე ვახტანგ: 149, 211

პარნაკი ა.: 10, 62, 231, 242
პუტონი ბარბარა ვულფორთ: 202, 203
პაჯი პასანი: 152
პოლი კარლ: 10, 74, 76, 231
პოს რუდოლფი (კომენდანტი): 21
პეროდე ანგი პა: 123, 187
პეროდე I, დიდი (იუდეის მეფე): 123, 180, 186
პირკან I იოჰანან (იუდეველთა მეფე): 199
პუბერის ჩარლზი: 249

Barret D.: 247
Baumstark A.: 11, 12, 108, 139, 232, 235, 237, 238
Benag Ch. L.: 124
Bertram A.: 238
Blake R. P.: 108, 239, 248, 258
Braun Jan: 16
Brianu J.: 92

Cooper J. C.: 183
Czuj J.: 170

Devos P.: 11
Deeters G.: 253, 254
Dionizy (Waledyński): 14, 245
Doguzh: 220
Durda S.: 14

Fokulidos I.: 194

Gaster M.: 93
Garitte G.: 207, 241, 242
Gerstinger H.: 238
Gibbes Mr.: 124
Goussen H.: 139, 232
Grober G.: 93

Hilpisch S.: 12
Holzer B.: 104

Iliffe I. H.: 179

Jalabert J.: 133

Janir R.: 12

Johannes Chrysostomus: 237

Josephus Flavius-Lukianos: 237

Kaufhold H.: 11, 232

Kekelidze K.: 241

Kiryłowicz S.: 237

Kolbaia David: 16

Lebon J.: 12

Lepsius Johannes: 12, 208, 209, 212, 232, 234

Łobodowski J.: 16

Łotocki A.: 260

Mamoulia G.: 22

Mecerian J.: 133

Migne J. P.: 191

Mironowicz A.: 14, 245

Museos G.: 104

Nakasidze G.: 118, 258

Paprocki Henryk: 20, 21, 22, 23

Peeters P.: 11, 93, 133, 184, 213, 234

Peradze G.: 9, 12, 13, 16, 108, 118, 133, 136, 150, 161, 166, 213, 231, 234, 235, 236, 237, 238, 239, 240, 241, 242, 243, 244, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256, 257, 258, 259

Perthes A.: 234

Perthes A.: 12

Picot E.: 93,

Raabe R. 108

Renan Ernest: 30

Rustaweli Szota: 16, 118, 259

Salia K.: 240

Sereschnikoff R.: 254

Stewart A.: 197
Stiernon D.: 104
Stoyer Shorena : 247

Tamarati M.: 107
Timotheos Patriarch: 176
Tomaschek J.: 184

Urban K.: 245

Walter J.: 104
Wesendonk O.: 235
Welch F.: 124
Woźniak A.: 59

Zagórski Jerzy: 16
Zorell F.: 254

შინაარსი

დავით ყოლბაია, წმ. გრიგოლ ფერაძე - შგრისები ბიოგრაფიიდან 7-23

წიგნი III. წმ. გრიგოლ ფერაძე, დღიურები 25-261
დღიური. 1920 წლის 26 ნოემბერი – 1921 წლის 6 ნოემბერი (25). გზა გამარჯვებისაკენ (67). ჩემი სწავლა-განათლების წლები გერმანიაში (73). საეკლესიო ცხოვრება წმ. ნინოს ქართული მართლმადიდებელი მრევლი (77). ქართული ელემენტის გავლენა ბალკანეთის ხალხების სულიერ კულტურაზე (91). იერიქონის ვარდები. წმინდა მიწასა და სირიაში მოგზაურობის დღიური (5. VII. - 28. IX. 1936) (107). ქართული კულტურის სამსახურში (231).

დამატება:

შემოკლებული სიგყვების განმარტება 263
პირთა საძიებელი 265

სიონის საკათედრო გაძარში, (...) იმ დღეს მორწმუნეთა სიმცირე იგრძნობოდა. თვით კათოლიკოს-პაგრიარქი ლეონიდე წირავდა რამდენიმე მღვდელთან ერთად. შესასვლელთან შეეჩერდი – ვერაფერს ვხედავდი, თითქოს გაუქვავდი, ვერც პაგრიარქთან მივედი, როდესაც მორწმუნენი მიუახლოვდნენ.

ღვთისმსახურების დამთავრების შემდეგ, ეკლესიიდან გამოსვლისას, პაგრიარქმა შემაძმნია და მომესალმა – „ქრისტე აღსდგა“ ავტომატურად ვუპასუხე, როგორც წესი იყო და თან გამოვეყვი.

ახალი დღე იწყებოდა. პაგრიარქის სასახლისაკენ მიმავალი, აღდგომის დღეებში ყოველთვის ხალხმრავალი ქუჩა ახლა სრულიად დაცარიელებულიყო, ფანჯრის დარაბებიც მიეხურათ. ეგყობოდა, რომ ქალაქი ვერ აღიქვამდა უდიდესი დღესასწაულით მონიჭებულ სიხარულს. პაგრიარქი მარგო მიდიოდა, არც ერთი მღვდელი არ აცილებდა. მე შორიასლოს მივყვებოდი. ქუჩის კუთხეში ორი წითელარმიელი გამოჩნდა, მიბლით შეხედეს პაგრიარქს და გზა განაგრძეს. თუმცა ერთ-ერთი სახლის კარებთან მჯდარი მელამხედველი მისი უწმინდესობის დანახვისას ფეხზე წამოდგა.

სასახლეში შესვლისას პაგრიარქი შეჩერდა, თითქოს იგრძნო, რომ უკან მივყვებოდი. ორივე ხელი ჩამავლო და ტკივილითა და დარდით საფე მამობრივი ხმით მითხრა:

„სულიერად დაცემული ვარ – წადი აქედან – გადაარჩინე შენი ახალგაზრდობა“.

არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე



www.ipn.gov.pl
www.ipn.pocztytaj.pl